

ომარ გურგველაშვილი



"ეხმ,
ეხმ აღნიშნე..."

ომარ მარგველაშვილი



"ეხმ, ეხმ აღნიშნე..."

თბილისი 2011



ომარ მარგველაშვილი: „დრო, დრო აღნიშნულობისა
საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბილისი 2011,
გვ. 448

რედაქტორი: ბერა ლორაძე

რედაქტორ-გამომიმღელი: ზაურ ნაჭელია

F98.663
3

- © ომარ მარგველაშვილი
- © საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“

ISBN 978-9941-9205-3-0

706ათავა

გარდასული დღეების ტებილ-მწარე მოგონებები, მნუ-წმინდა სულის შუქ-ჩრდილები ქცეულა თმარ მარგველაშვილის წიგნის ლაიტმოტივად... ხილული და ეპირიულად განცდილი სამყაროს „ჩანახატებში“ დოკუმენტურად იკვეთება ტანჯული დროისა და კორქის ღირსეული ადამიანების ერთობ შთამბეჭდავი სილუეტები...

წიგნის ფრიად დამაინტრიგებელ პასაჟებს აქვთ ამბიცია იყვნენ ბობოქარი დრო-ეამის ცოცხალი ანარეკლები, ანუ სიმართლით აღბეჭდილი ქრონიკები...

აკტორი, რა თქმა უნდა, წიგნში აღწერილ მოვლენათა უშეალო მოწმე და აქტიური მონაწილეა...

მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ რაღაც ფენომენალური მესიერებისა და წარმოსახების წყალობით, იგი, როგორც ნარატორი (მთხრობელი), ღრმად შეჭრილა მისივის როგონული რეალობის არსები და საოცარი სიცავადით აღუდგენია ლირიკული პასტორალებითა (გალაკტიონი, ირაკლი აბაშიძე, ჭაბუა მიორუები, რეზო ამაშუკელი, ნიაზ დიასამიძე და სხვა) და გრანდიოზული ძერებით, პარადოქსებითა თუ ტრაგიკული კოლიზიებით აღბეჭდილი სინამდვილის სტატიკა და დინამიკა...

წიგნის კომპოზიციური „მოზაიკა“, ანუ ცალკეული თავები (ეტიუდები), დამოუკიდებელი სიუჟეტების მოხედავად საერთო „აკონტრაპუნქტს“ ქმნიან და ერთ ამოცანას ისახავენ მიზნად — მკითხველისთვის ცხადი გახადონ „ავადმოსაგონარი“ ფაქტის მეტ-ნაკლებად ადამიანური სახე... ყოველგვარი რომანტიკული პათონის გარეშე წარმოაჩინონ დროის ის წარმართველი ფარული პროცესები, რომლებიც ჩვეულებრივ „მოკვდავთათვის“ ყოველთვის „TERRA INCOGNITA“-ს წარმოადგენდა...

როგორ იცხოვოთ და იღვაწა, რას ფიქრობდა და რაზე ცცნებობდა, ანუ როგორი იყო მენტალურად საბჭოთა სამთავ-



რობო რგოლის ერთი წარმატებული „იერარქი“ – აშშაპროფესიული კოცხვას კარგად სცენს პასუხს წინამდებარებულ მიზანით მიმდინარეობა...
ნი...

მასში, როგორც ყოველ საინტერესო „ამბავთა წიგნში“ – საკუთარი უფლებებისთვის „იბრძვიან“ სიკეთეცა და ბოროტებაც, დიდსულოვნებაცა და სულმოკლეობაც, რელიგიაცა და პილიტიკაცა...

განსაცეითურებლად შთამბეჭდავი მასში მაინც რეალურ ადამიანთა უმდიდრესი გალურეაა... ეს ის პიროვნებები არაან, რომლებიც საუკუნის სახეს ქმნიდნენ, რომელთა გენია თუ ტალანტი სამუდამოდ აღებეჭდა სამყაროს მეხსიერებას...

სხეადასხვა ერთს წარმომადგენელნი, ერთობლივად ქმნიდნენ იმ უნიკალურ „ანსამბლს“, რომლის ძლევამოსილ „შხრებზეც“ გადაარა საუკუნის კოლოსალურმა აღმშენებლობამაც და უპრეცედენტო სისახტიკით გამორჩეულმა რეჟიმმაც...

ფრიად საგულისხმოა ავტორის თხრობის „პოეტიკა“... ხალისიანსა და ლალ იუმრისტულ აქცენტებს, მოხდენილად ენაცემებიან დროის ტკივილებიდან „მომდინარე“ სევდიანი ობერტონები...

სატირის, ლირიკისა და ეპიკის სინთეზი ამ წიგნის თვალსაჩინო ნიუანსია და იყი კოდევ უფრო მეტ მიმზიდველობას ანიჭებს მას...

მთავრდება წიგნი ავტორისეული მედიტაციებით ყოფიერების ფილოსოფიაზე დაფიქრებული ადამიანის ანალიტიკურ განსვევათა ნაკადით...

ჩემთვის, როგორც მისი თაობის მოქალაქისთვის, მთავარი ის არის, რომ ამ წიგნმა ადამიანური სათნოების სხივი მოპტიმინა მრავალთაგან ზიზღით ხელნაკრავსა და უარყოფილ ჩექნის წარსულს... ჭეშმარიტად ღირსეულ თაობათა ბავშვობისა და სიჭაბუქის იმ ტკბილსა და დაუვიწყარ სამოთხეს...

და, ბოლოს: წიგნის საერთო სულისკვეთებამ „მიკარნახა“ გამექსენებინა ურთი დიდი მოაზროვნის სიტყვები – „ვათავისუ-



ულდი ნარცისიზმისგან და მიიღე ყოველი ტრაგიული შეზღუდვა, რომელიც ადამიანური არსებობისთვისაა შინაგანად დამაწამდებული ბეჭდი... გათავისუფლდი ილუზიებისგან და შეიგრძენი შენი თავი შემს აღვიღას...“ /ერის ფრომი/.

P.S. დარწმუნებული ვარ, რომ წიგნად შეკრული ამ „რემინისცენტრის“ შესწევთ ძალა გადაუმარონ მკათხველს ერთი ადამიანის სისხლსაც ცხოვრებისა და მოღვაწეობის შთამბეჭდავი „ქრონიკები“ – აგრძნობინოს იმ ევზისტენციურ შეგრძნებათა ცოცხალი მაჯისცემა, რომლისთვისაც ადამიანური სევდა-წუნილი ისვევ ბუნებრივი და ახლობელია, როგორც წამიერი ფერვერკებით გამრწყინებული სიცოცხლით გულუბრყვილო აღფრითოვნება...

გულწრფელად ვულოცავ ომარ მარგველაშვილს, ჩემს ძველისძველ მეგობარს, სიჭარმავის ფამის ამ დიდებული ჩანაფიქრის კეთილად დაგვირგვინებას... აღსრულებას იმ წმინდა ვალისა, წარსულის წინაშე რომ გააჩნია თავისი ჭვეულის ჭოველ ჭეშმარიტ პატრიოტსა და მოქალაქეს...

გ ურავ გ ანა ვ ი დ ა

ნახე – მიზანი თაობა

დღევანდელი ახალგაზრდობა ვერ წარმოიდგენს, რა მან-მე პირობებში ვიზრდებოდით ჩვენ, „ომის თაობის“ სახელით ცნობილი.

ფალიაშვილის ქუჩის №50-ში, სადაც დავიბადე, ბავშვობა და ახალგაზრდობა გავატარე, ოჯახები, როგორც ახლო ნათე-სავები, ისე კუნძულობდით.

იმ გაჭირვებამ გამოგვაწროთ, ურთიერთობადგომის ფასი გაგვაგებინა, გვასწავლა სიყვარული და მეცნიერობა.

ომის წლებში და შემდეგაც ყველაზე დიდი პრობლემა თბილისელებისთვის პური და ნავთი იყო.

დილაუთენია დგებოდნენ ჩვენი დედები და რიგს იკავებდნენ. შემდეგ მათ შეიღები ენაცვლებოდით. დედები ყოველთვის გვაფრთხილებდნენ – პურის წიგნაკები ხელში მაგრად დაი-ჭირეთ, არ დაგექარეოთ, ან ვინმერ არ წაგართვათ.

როდის-როდის მოგვიწვდა რიგი და გულში ჩახტტებული „ბუხანქა“ პურით გახარებულები მოვრბოდით შინისკენ.

დარიბული საუზმის შემდევ შმობლები ეზოში გვიშვებდნენ სათამაშოდ. იმ დროს ნაირ-ნაირი თამაშობებით ვირთობდით თავს: იყო კოჭობანა – თავისი აღწევ და ქლესა კოჭებით, ლაპტი – ქამრებისგან აწითლებული კანჭებით, ვირი და მისი პატრონი, გრძელი ვირი, ჩილკა-ჭოხი, „სამოკატქა“ – ორთვალა, და კიდევ ბევრი რამ...

ყველაზე დიდი დეფიციტი ბურთი იყო, პოპულარული „ქამერა-ობოლოჩქა“. ვისაც ასეთი ბურთი ჰქონდა, პირველი ბიჭიც ის იყო უბანში, ბურთის პატრონს მოსვენებას არ ვაძლევდით, შინ მივადგებოდით და სულ ბურთის თხოვნაში ვიყავით. ცხადია, ასეთი დაუნდობელი ექსპლუატაციის პირობებში ბურთი ცვდებოდა, უფრო ხშირად – კამერა სკდებოდა. მაგრამ ბიჭებს დამუშავებული გვქონდა მისი შეკეთების



იმ დროს ცნობილი „სოფელსკაია ლატკა“ – პატარა ქართველი ქაპიკიანი, ძაფი და – მისი ჯანი.

ომის შემდეგ ჩვენს ქუჩაზე ორ საცხოვრებელ სახლმა-ჭუბისა
უცხო ენების ინსტიტუტს გვრმანვლი ტყვევბი აშენებდნენ,
ისინი ყოველ დღისთ „პალტარატონებით“ მოპყავდათ შექ-
ებლობაზე, რომელიც მაღალი წის ღობით და მავთულხლარ-
თით იყო შემოვლებული. კუთხეებში საგუშავო კოშკები იღვა,
კოშკებში – ავტომატიანი სამხედროები.

ჩვენ, ბავშვები შენებლობაზე მომუშავე გერმანელ ტყვევბს
დაუუახლოებით ვიცნობდათ თითოეულს, გვეცოდებოდნენ.

ტყვევები წის მასალაზე მომუშავე ჩინგბული ხელოსნები
იყვნენ. ჩვენი გულები კი იმით მოიგეს, რომ წის სათამაშოებს
გვიკეთებდნენ: პატარა მანქანებს, „ვანკა-უსტან კებს“, წის ხმ-
ლებს, თოვებს, პისტოლეტებს. გვიკეთებდნენ და გვჩუქნიდ-
ნენ. მაგრამ ჩვენ ვალში ხომ არ დავრჩებოდით და შინიდან
ჩუმად ვასარავდით (რადგან რომელ ოჯახს პქონდა მაშინ
სხვისთვის დასარიგებელი საკვები პროდუქტები), ხან კარაქ-
იან პურს, ხან ყველს და პურს და ვაძლევდით გერმანელებს.
გადაცემის „პროცედურაც“ კარგად გვქონდა დამუშავებული:
შენებლობას გარსშემორტყმული ღობის ერთი ფიცარი შე-
ოლოდ ზედა ლურსმნით იყო მიჰედებული – სპეციალურად
ჩვენთვის: მივხოხდებოდით ღობესთან, ქვევიდან გადავწევდით
იმ ფიცარს და ღრიფოში შევძახებდით – ფრიც! ფრიც! მოვი-
დოდა რომელიმე მათგანი და გავუწვდიდით ჩვენს ნობათს,
მათაც ჩვენთვის დაშაბექული წის სათამაშოები მოპქონდათ,
რომლებიც გრძელი ფარავის ჯიბეებში პქონდათ დამალული.
თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბადრაგი ტყვევებს ბავშვებთან ურთ-
იერობას მაინც და მაინც არ უშლიდა, ისე იქცეოდნენ გუშ-
ავები, თითქოს ვერაფერს ამჩნევდნენ.

უფრო მეტიც: ხელოსნებს შენებლობის გარეთაც უშვებდ-
ნენ კერძო დაკვეთების შესასრულებლად. მამაჩემშა, მაგალი-

თად, გააკეთებინა ტახტი, დარაბები, მავიდა. მათ მშენებლობის ბილან მოპქონდათ ძველ სამხედრო „შინელში“ დამზადებული წის გამზადებული დეტალები და ჩვენთან სახლში აწყობდნენ მარცა გასამრჯელოდ უკულს არ იღებდნენ, ვერ მოიხმარდნენ — ვერაფერს იყიდდნენ, რაღვან ბარაკებიდან, სადაც ეს ტყვევები იმყოფებოდნენ და სადაც მკაცრი საპატიმრო რეემი იყო დამყარებული, ქალაქში გამოსვლაშე, ლაპარაკიც შეუძლებელი იყო. შრომის საფასურად თხოულობდნენ სიგარეტს, უფრო იშვიათად, — სასმელს, პირველ რიგში კი — საკებბპირდექტებს. ასეთი ნატურალური „აღჭა-მიცემისა“ ორივე მხარისთვის მომგებიანი იყო.

დღესაც თვალწინ მიდგას, როგორ უმასპინძლდებოდა დედაჩემი გაძვალტყველულ გერმანელ ტყვეებს სამზარეულოში, როგორ მოკრძალებულად იქცეოდნენ ჩვენს ოჯახში „უძლეველი რაიხის“ და „არიული რაიხის“ აწ უკკე ყოფილი ჯარისკაცები.

მერე იყო საშუალო სკოლა, კრისტალურად სპეტაკი და განათლებული პედაგოგებით, რომლებმაც დაგვაფრთიანეს და ისეთი განათლება მოგვეცეს, რომ ჯერ უმაღლესში, შემდეგ დიდ ცხოვრებაში შესულებს არც სწავლა გავეწენელებია და არც მუშაობა.

მექესე ვაჟთა სკოლა დავამთავრე. მექესე კლასამდე მხოლოდ ბიჭები ვსწავლობდით, გოგონებს ცალკე სკოლები პქონდათ, მერე გაგვაერთიანეს. ეს ცნობილი იპოლიტებს სკოლა იყო ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირზე. იპოლიტე ფანტასტიკური პიროვნება გახლდათ. ახლა იქ 55-ე საჯარო სკოლაა.

თბილად ვიგონებ იმ პერიოდის ჩემი და ჩემი თანაკლასელების დედებს — ახალგაზრდებს, შევთმიანებს (თბის შეღებვა მაშინ არავის სჭირდებოდა), გამზღვებს, ვრაციოზულებს, აუცილებელად კოაწია შლაპებითა და წითელი პირადით — პულისა და პომადის მეტი სხვა ფერუმარილი მაშინ ხომ არც კი არსებობდა.



ძალიან მიყვარდა ჩექი სკოლა, ჩემი კლასი და თანაკლასელები. ეს სკოლა ძალიან ბევრმა ღირსეულმა პიროვნეულობის დაამთავრა. თანაკლასელებს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი.

განსაკუთრებული პატივისცემით ვეპურობოდით ღიდბანტიან და ქათქათა თეთრწინსაფრიან გოგონებს, რომელთა მიმართ ჩვენი დამოკიდებულება იყო ზედმიწევნით გალანტური და თქვენ წარმოიდგინეთ, რომანტიულიც კი. ნახვარ საუკუნეზე მეტი გავიდა სკოლის დამთავრების შემდეგ, ბებიები და ბაბუები ვართ, მაგრამ, ყოველწელს კრიმინეთის ისეთივე ხალისით, სიხარულით და აღტაცებით ვხვდებით, როგორც დაუკინებარ გამოსაშვებ საღამოზე.

სამწუხაროდ, ბევრი გამოგვაკლდა და რაც დრო გადის, მცირდება თანაკლასელთა რიცხვი. ამას განსაკუთრებული გულისტკივილით განვიცდით.

გალაკტიონი და ნებტონის პინძი



როგორც ეთქვი, თბილისში, ვაკეში, ვაჟთა მექანის სა-შუალო სკოლაში ესწავლობდი. ძალიან ხშირად, სკოლიდან შინ მომავალს, ქუჩაში გადაკტიონი მხვდებოდა.

სტუდენტებსა და სასოფლო-სამურნეო ინსტიტუტს შორის, წრეს უვლიდა მეხუთე ნომერი ტრამვაი, მერე თავის მარშრუტს უკან, ვერისა და „ზემელის“ გავლით, ახლან-დელ სასტუმრო „რედისონის“ გვერდის ავლით, ქალაქის ცენტრისკენ მიდიოდა... ვაკეში, ბოლო გაჩერებასთან იდგა ცნობილი „ნესტორის ბუდეა“. ცოტა მოშორებით, ფალიაშვილის ქუჩაზე, უცხო ენათა ინსტიტუტის გვერდით კი ასევე „პოპულარული“ ხის „ბუდეა“ ედგა იპოლიტეს. ორივენი ჩამოსახს-მელი ღუდითა და არყით ვაჭრობდნენ. ჯიხურებში, იატ-აქზე, ხის კასრებით მარცვლოვანი შავი ხიზილალა ედგათ – მუშტარის, ძირითადად, სამსახურიდან მომავალ კაცებს, შავი პურით და ხიზილალით უმასპინძლებოდნენ – ხიზილალას კასრებიდან ხის კოვზებით იღუბდნენ, ბარაქიანად უსვამდნენ შავ პურზე, ხორბლის თავთავით დამშენებული ეტიკეტზებანი ბოთლიერიდან კი არაეს ჩამოუსხამდნენ და შეგარეოთ, აღალად უკნიერდნენ. ისინიც ურთ-ორ სირჩას გადაკრავდნენ, ჩამო-სასხმელ ღუდსაც დააყოლებდნენ და სახლისკენ მიდიოდნენ.

კიდევ რითი დამამახსოვრდა ეს ჯიხურები? რაც ახლა უნდა ვამბოთ, შეიძლება ზოგს ვადაჭარბებულადაც მოეჩვენოს, მაგრამ უაქტია და მას ვერსად გაექცევი! ორივეს, ნესტორიასაც და იპოლიტესაც ხშირად სტუმრობდნენ „ზობა“ კატები. ყველას აკვირებდა, მათი სიღიღე „საიდუმლო“ მაღა-ამოვხსენით: მეჯიხურები, მუშტრებს დოშითაც უმასპინძლებოდნენ, დოში კი „ბუდეის“ კუთხეში, მავთულის კავზე პქონდათ ჩამოკიდებული. ისეთი თვეზი იყო, სულ ქონი ვას-დიოდა. ხელმომჭირნე და ყაირათიან დახლიდრებს, ქონი უქ-მად რომ არ დაეღვარათ, ქვეშ თუნუქის კონსერვის ქილები



პქონდათ შედგმული. კატები კონსერვის ქილებიდან არხეცნად სვლეპდნენ დოშის ქონს. ასე რომ მანებივრებდნენ, კნაფლიატული დავიწყებდი და თავეებსაც დავაფრთხობდიო – ისტორიული ხოლმე რომელიმე ენაკვიმატი მეინახე...»

ბავშვები ვიყვაით და ბავშვური სანახაობები გვიტაცებდა. გარშეონ ბევრი ისეთი რამეც ხდებოდა, რასაც ჩემის თვალში მერე და მერე უფრო დიდი ფასი დავდო. პოეტთა მევა გალაკტიონი ხან ნესტორას, ხან კი იპოლიტეს „ბუტკას“ სტუმრობდა. ხშირად მოდიოდა თავისი ძველი, გაცვეთილი ყავისფერი პორტფელით. იმ პორტფელს ჯიშურის თაროზე დაღებდა, გახსნიდა და დიდი გულმოდგინებით ამოიღებდა ვერის ბაზარში ნაყიდ ქორფა ბოლოების ქონას, ჯერ ხელზე დაიცეროთხავდა, მერე მიმართავდა:

– აბა, ჩემო ნესტორ (ან იპოლიტე), ერთი, შენებურად გამირეცხე!-ო

ისიც მოწიწებით ჩამოართმევდა და მაშინვე მოუშერდა ონგანს, რომელიც იქვე, „ბულეის“ გეერდით პქონდა. წყლის ჭავლში იმ ბოლოებს ერთს კარგად „გაახანხალებდა“ და ისე მიართმევდა გალაკტიონს, როგორც გამორჩეულ ნუგბარს. გალაკტიონიც შეუდგებოდა ტრაპეზს: გადაპქრავდა არაყს და კონას მოწივეტილ წითელ ბოლოებს მიატანდა. ზოგჯერ მწვანე ფოთოლსაც დააყოლებდა ხოლმე.

როგორი სანახავი იყო, ჰა? დიდებული პოეტი, ჩვეულებრივი ლუდის ჯიშური და... „ხარაზების სუფრა!“ ახლაც სიზმარივით მახსოვს ხშირად გამეორებული ეს რეალური სცენები...

ღვდა თაროს დაყრდნობილი გალაკტიონი, თავის არაამქევენიურ ფაქტებში წასული (დასაჯდომი სკმი არსად იყო!), და ვინ იყის, იქნებ „ლურჯა ცხენების“ რომანტიკასაც ელაციცებოდა! მის ირგელივ კი დუღდა, ბრუნავდა, ტრიალებდა თითქოს ერთყეროვნი, ჩვეულებრივი, მავრამ მღვლვარე, დაუნდობელი და სასტიკი ცხოვრება, რომლის სიერცეშიც ჩვენი, II-12 წლის პა-



ტარა ბიჭების გაოცემული თვალებიც ირეკლებოდა! უცნობო რომ ეს წვერმოშვებული კაცი, „პიჯაპზე“ ლენინის სორტსტენისა და ლენინის სორტსტენის წერდა და გენალური პრეტი იყო, თუმცა მის პოეზიას ჯერ კიდევ არ ვიყავით ნაზიარები.

(პარადოქსია, რომ სათაფანებელი მეუღლის ოლია ოკუჯავის დაპატიმრების მესამე დღეს გაღაკტიონი ლენინის ორდენით დააჯილდოვეს!!!!).

ვიდექით და უცხურებდით, როგორც რაღაც სასწაულს – ჩენითების ამოუცნობასა და უცნაურს.

შემოგვხედავდა. ჩაუდიმებოდა, ალბათ, სიამოვნებდა ჩენი მისდამი ასეთი გამორჩეული ფურადღება: ასე თუ ისე, რაღაც პატარა აუდიტორიას წომ წარმოვადგენდით? თუმც ამ პატარა ბიჭებს, ჩანთები წიგნებით რომ გვქონდა გამოტენილი, გაკვეთილები უნდა მოგვემზადებინა და ამიტომაც შემოგვმახებდა:

– სკოლიდან მოღიხარო? რა კარგი ბიჭები ხართ ბიძიკოებო! აბა, წადით ახლა სახლებში, გაკვეთილები მოამზადეთ...

წავიდოდით, სხვა რა გზა გვქონდა...

ტრამეაიშიც მინახავს იგი სკამზე ჩამოძინებული. მაშინ ვაგონებში კონდუქტორები ყიდდნენ ბილეთებს. ისინი, როგორც წესი, ნაფრონტადი, უხეში, გამნდარი რუსი დედაკაცები იყვნენ, გულზე ბილეთების გორგალითა და კისერზე ჩამოკიდებული შავი ჩანთით... მოელი მათი არსებობის ფილოსოფია და ცხოვრების მიზანი ბილეთების გაყიდვითა და უბილეთო მგზავრებთან „უკომპრომის“ ბრძოლით იფარვლებოდა. რაისი გალაკტიონი და რომელი პოეზია! (ლეგენდი არა, ტარხუნა!)...

სკამზე ჩაძინებული ნებისმიერი კაცი მათვეის ჩვეულებრივი მგზავრი იყო, ტრამეაის ბოლო გაჩერებაზე აუცილებლად რომ უნდა ჩამოესვათ.

– Конечная остановка! Освободите вагон!

გალაკტიონს კი, უთავბოლო ცხოვრებისგან გვარიანად



„შებარბაცებულსა“ და დაღლილ-დაქანცულს, ღრმად ჩასძინებოდა და ეს კატეგორიული მოწოდება არ ესმოდა, არაც ადგილიდან იძეროდა. კონდუქტორი უხეშად შეანჯელ-რევდა ხოლმე და გამყინვავი ხმით დასწავლებდა:

— ეй, თქ, პირი და ვივალი ისიდა!

ერთი სიტყვით, გაეთრიეთ.

ვიდექი პატარა ბიჭი და საკუთარი უმწეობისა მრცხვენოდა — გული მწყდებოდა, რომ ამ უბირი დედაკაცის ძალადობისაგან დიდი პოეტის დაცვა არ შემეძლო...

ერთხელ, ჩენი ქართული ენისა და ლიტერატურის ბრწყინვალე პედაგოგის მარიამ დოჭვირის დიდი ძალისხმევით, გალაკტიონი ჩენს სკოლაშიც მობრძანდა. პირველი მას ჩენი მასწავლებელი მიესალმა. სახე აღეწოდა, დელავდა. მაინც არ უდალატნია თავისი პროფესიული ოსტატობისათვის — გამართულად, ლალად მეტყველებდა. უნებურად გაგვახსენდა მისი ნათექამი, გაღიაკეტიონს ქუთაისიდან, ახალგაზრდობის წლებიდან ვიცნობო. ახლა, როცა აღელვებულ და სახეაფორაჟებულ პედაგოგს ვუსძენდით, კიდევ უფრო სარწმუნოდ გვეჩენა ეჭვი, რომელიც მოსწავლეებში მაშინ იყო გავრცელებული, თითქოს დიდმა პოეტმა გენიალური ლექსი „მერი“ სწორედ მარიამ დოჭვირს უძღვნა:

შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს, მერი!
მერი, იმ ღამეს მაგ თვალთა კვდომა,
სანდომიან ცის ელვა და ფური
მწუხარე იყო ვით შემოდგომა!

.....
ქარი და წვემის წვეთები ხშირი
წყდებოდნენ როგორც მწყდებოდა გული
და მე აეტირდი — ვით მეუე ლირი,
ლირი, ყველასგან მიტოვებული.



რა თქმა უნდა, მოგვიანებით კველამ შევიტყვით, ხო
ნამდვილეში ვინც იყო ამ ლექსის ბედნიერი და ულამაზეს აღ
აღრესატი – მერი შერვაშიძე.

საკულტოს ხმრა, რომ სრულიად რუსეთის იმპერატორს
ნიკოლოზ მეორეს, მერი შერვაშიძისთვის რომ შეუელია თვა-
ლი, გაოცებულს აღმოხდენა: „Княжня, грешно быть такой
красивой!“

საკუპუნის წინ, როდესაც იმპერატორს სიხარულით მოახ-
სენეს, რომ ბათუმთან ჩაქვში შესაძლებელია ჩაის გაშენე-
ბა, მცირე ფიჭრის შემდეგ მან მოხსენებით ბარათს წააწერა
თურმე:

– „როგორც ჩემთვის ცნობილია, ჩაი კოლონიურ შრო-
მას მოითხოვს, მე კი არ მსურს, რომ ისეთი მშვენიერი ერი
როგორიც ქართველები არიან, გადაგვარდეს.“

როდესაც დიდმა გალაკტიონმა თავისი წამებული სი-
ცოცხლე ტრაგიკულად დასრულა, ჩვენი ქლასის მოსწავლე-
ები თაიგულით მივედით მწერალთა კავშირში პოეტთან
გამოსათხოვებლად.

შპპ „გადამისამართი“

ცხოვრებაში ძალიან ხშირად ხდება ხოლმე რაღაც გან-
საკუთრებული, რასაც მერე მეხსიერებიდან ვეღარ ამოშლი.
ასე დამემართა მეც, როცა ჩვენი დიდი მწერალი, ბატონი
ჭაბუა ამირეჯიბი ნახევარ საუკუნეზე მეტი წლის წინ ჩვეუ-
ლებრივ საოჯახო სარეცხ მანქანასთან მდგარი ვნახე! თანაც
— ფეხშიშველი და... შავი ტრუსების ამარა! მაშინ გავიგე,
რომ, თურმე დიდი პიროვნებებისთვისაც არაფერი ადამიანური
უცხო არ ყოფილა...

მაგრამ, მგრინი უკეთესი იქნება, თხრობას თუ ოდნავ შორი-
დან დავიწყებ!

როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ოჯახი ყოფილი უცხო ენათა
ინსტიტუტის წინ, ფალიაშვილის ქუჩის 50 ნომერში ცხოვ-
რობდა. ბატონმა ჭაბუამ გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ
ცოლად შეირთო ჩვენი კარის მეზობელი მართლაც საყოვ-
ელთაოდ გამორჩეული და მომხიბლავი გარევნობის მარინე
მხეიძე.

ორი შეიღი შეეძინათ. ლაშა (ჩუქი) და ირაკლი შეს-
ანიშნავი ბიჭები დადგნენ. ირაკლიმ აუხაუშეთის რმში ვაჟეა-
ცურად იბრძოლა და გმირულად დაიღუპა. კარგი მამის კარგმა
შეიღებმა ცხოვრების გამოცდა მართლაც რომ ურიადზე ჩაა-
ბარეს.

გაოცებული ვარ, ბედის უკუღმართობით „გარემოსილი“
ბატონი ჭაბუას სიმტკიცით...

დიდი ადამიანები სამშობლოს ტეივილს აღიათ სწორედ
ისე პასუხობენ, როგორც მათ ექადრებათ. ბატონმა ჭაბუამ
შეიღები ზოგიერთებივით თვალს კი არ მოაფარა, არამედ
ომში გზა თვითონევე დაუღოცა... მამა იყო, მაგრამ, უპირველე-
სად მაინც მამულიშვილის უღელი ეღვა კისერზე! ეს შეიღებ-
მაც ჩინებულად იცოდნენ. იცოდნენ, რომ ის „სისხლის კალო“
მათი კაცობის გამოცდაც იყო.



სახელოვანმა მწერალმა თავის ხალხს ზნეობრივი გმირობა
სა და „ჭირსა შიგან გამავრების“ საოცარი მაგალითი მისცეკვული

ჩენის ბინებს მხოლოდ ერთი კედელი ყოფდა, პირულ
ხმირი ქონტაქტი, თბილი და გულითადი ურთიერთობა გვქონ-
და – სწორედ ისეთი, როგორიც ძეველ თბილისში იცოდ-
ნენ – ჭირსა და ღისის ერთად ვინაწილებდით. შესანიშნავი
ტრადიცია იყო! სამწუხაროა, რომ ის თანდათან იკარგება:
ღლეს ბევრს ვერ წარმოუდგენია, რას ნიშნავდა და რა მაღლი
ჰქონდა ნაღდ თბილისელობას, რა კადო იდო ამ ცნებაში!..

დადგა დრო და ჭაბუა ამირეციბმა, იმ დროს ბევრისთვის
ჯერაც უცნობმა მწერალმა, პირველი წიგნი გამოსცა.

ურთხელაც, ჩენი ბელეტაჟის ფანჯარასთან შეჩერდა
ჭაბუა – მაღალი, წარმოსადევი, არაჩეულებრივი გარევნობის
ახალგაზრდა კაცი. ისეთი ღალი იყო, თითქოს ციხის ჯურ-
ლმულები და შორეულ ციმბირში გადასახლება თვალითაც არ
ენახოს! ცოდვა გამხელილი ჯობს და მაშინ ბევრმა არც იცო-
და, რისთვის ვაიღო მან ამხელა მსხვერპლი, რას ანაცვალა
თავისი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები. ეს ახლა ვიცით,
რომ ამ ადამიანმა ჯერ კიდევ მაშინ გამოიცხადა შეურიგე-
ბელი ბრძოლა იმას, რაც შეურაცხყოფს ყოველივე წიგნდას
და რომლის იქითაც ადამიანის პიროვნული თავისუფლება
მთავრდება...

პოლა, დგას გახარებული კაცი ჩენის ფანჯარასთან. აშგარ-
აძ ეტყობა, რაღაცით უხომოდ ბედნიერია და უნდა ეს ბედ-
ნიერება სხვასაც გაუზიაროს.

ფანჯარაზე მორიდებით მოაკაკუნა.

დედაჩემა გახედა.

– რამ შეგაწუხა, ჭაბუკა? – მაშინ მას ასე ვემახდით.

ჭაბუკამ დედას ახალთახალი, მომცრო, ცისფერყდიანი
წიგნი მიაწოდა:

– დედა თამარ, ეს ჩემი პირველი წიგნია... თქვენ პირველს
მოგარითვით...

დედაჩემსა საჩუქარი მოწინევბით გამოართვა. შიდა გვერდზე ავტორის გულთბილი მინაწერი წაიკითხა: „ქალბატუნისა...“ დედას ეს ჭარბების მიერა ძალიან ესიმოვნა. კიდევ მრავალი წიგნის გამოცემა უსურვა და მთელი გულით დაღოცა.

დედაჩემი ძალიან ლამაზი ქალი იყო (ოუმცა, ყველა დედა არაჩეულებრივად ლამაზია!). იგი აღრეულ ასაქმი გაჭალა-რავდა, რაც მის სათხო სახეს ძალიან უხდებოდა. ჭაბუკა გამორჩეულად სცენდა მას პატივს და უფარდა იგი, არადა, ჩენის როთხსარიველიან საცხოვრებელ სახლში სხვაც ბევრი მშენიერი ქალბატონი ცხოვრობდა და მაინც თავისი პირველი წიგნი სწორედ დედაჩემს მიართვა...

სამწუხაროდ, ხშირად ხდება ხოლმე: წიგნს განსაკუთრებით ესათუთები და უფრთხილდები, მაგრამ... რატომ-დაც მაინც სწორედ ის იკარგება. ახლაც ასე მოხდა: ბევრს უნდოდა მისი წაკითხვა და მაპქენდა. ბოლოს კინ წაიღო და აღარ დაგვიძრუნა, ვერ დავადგინეთ. დაგვეკარგა ჭაბუკა ამირე-ჯიბის ნაჩუქარი ის პირველი წიგნი, რომელსაც, დამეთანხმებით, ახლა სულ სხვა ფასი ექნებოდა.

როგორი იყო ჭაბუკა ამირეჯიბი ყოველდღიურობაში? ეს მართლაც ალბათ ბევრს აინტერესებს. ამ „საიდუმლოს გახსნაში“ დიდი წელილის შეტანა შეუძლია იმ კიზოდს, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

ურთ დღეს რაღაც საქმეზე შევედი მასთან. მაშინ ქარის არავინ კეტავდა და მქონბლები ერთმანეთთან დაუკავშირდლად შევდიოდით. სულ ზეპირად ვიკოდით, იმ დღეს ვის „აჯაფ-სანდალი“ პქონდა და ვის „ლობით“. ისიც უნდა ვთქვა, რომ ასეთ „თავისუფალ მიმოსვლას“ ბოროტად არავინ იყენებდა და დელიკატური ურთიერთობის ჩარჩოებში ყოფნას ცდილობდა... მეზობლის ოჯახის მფედროების დარღვევებას ერიდებოდა...

პოლა, შევედი ჭაბუკასთან... ვხედავ; დგას იგი სარეცხ მანქანასთან – ულამაზესი აღნავობის ახალგაზრდა კაცი. მთელი

ტანი მოსვირინგებული აქვს — ფართო მკურდს ცხენზე ამხედრუბული წმინდა გიორგი უშმევების.

შევციდი. უჩვეულო სვირინგმა გამაოცა. მოგეხსენჭმის „შემოსავა“ შინ ტატუირება ცუდის ნიშანი იყო და უფრო ნაციხრებისა და ძოხულივნო ელემენტების „პრივილეგიას“ წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, იგი თითქოს მათი პასპორტის ფუნქციასაც კი ასრულებდა. ჩვენ ჭაბუაზე უკვე ვიცოდით „რაღაც-რაღაცები“, თუმც იმას, რაც მასზე ვიცოდით და იმას, რასაც ვწერავდი, ერთმანეთს ვერანაირად ვუკავშირებდი!

ჭაბუაშ შემჩნია ჩემი გაოგნება, ღიმილით მეუბნება:

— გადასახლებაში აკითვისე ეს ხელობა — ტაიგაში ტყის ჭრაზე, სამჩერხაოშიც და „პრაჩენიაშიც“ კი მომიწია მუშაობა. აი, შანსი მომეცა და ჩემი გამოცდილების დემონსტრირებას ვახდენ.

გულზე მომეშვა და მეც გავიცინე.

მერეც არაერთხელ შემინიშნას: ეს საოცარი პიროვნება არც შავ სამუშაოს ერიდებოდა და არც მიუკარიებელი მყინვარწერის პოზას იღებდა. ისე ირჯებოდა, როგორც ოჯახის საჭიროება კარნახობდა.

მაშინ მე და ჩემი მეცობრები მეცხრე თუ მეათე კლასში ვსწავლობდით. ჭაბუა ყველას თანატოლებით გვექცეოდა...

ვერ დავიჩიქმებ, რომ თავისი თავვადასავალი პირებულად მე მიამბო, მაგრამ რომ მომიყვა, ფაქტია. ამ განდობამ განსაკუთრებულად თბილი და უშუალო ურთიერთობა ჩამოგვიყალიბა. მიხარია, რომ მწერლის ტრიუმფის ცოცხალი მოწმე ვარ. ისიც მეამაყება, რომ რაც „გორა მბორგალშია“ მოთხოვილი, გაცილებით ადრე ვიცოდი, ვიდრე ფართო მკითხველი შეიტყობდა. თუმცა, როგორც მახსოვეს, ბევრი საინტერესო ეპიზოდი რომანში გამოტოვებულია. მწერალმა, რაღაც მოსახრებით, ალბათ, მათი საჯაროდ გამოტანა მიზანშეწონილად არ ჩათვალა...

ნაშრობი გამაღლობა

ჩვენი დიდებული, მუდამ მღვდლვარე, დაუცხრომელი პოეტი რეზო აძაშებელი და მე ფალაშვილზე, სხვადასხვა ეზოში კცხოვრობდით. ჩემშე 6 წლით იყო უფროსი, მაგრამ ეს მე-გობრობაში ხელს სულაც არ გვიშლიდა. მამამისს საქმიანი კაცის რეპუტაცია ჰქონდა – წარმატებული კომერსანტი, თუ ბიზნესმენი იყო, რაც მაშინდელ დროში სულაც არ გახლდათ იოლი რამ... ცხოვრებითაც კარგად ცხოვრობდნენ.

ვიცოდით, რეზო ლექსებს რომ წერდა. ზოგჯერ ჩვენც გვიკითხავდა. მაშინ ბევრი რამ არც იმ ლექსებისა გვესმოდა და არც ის ვიცოდით, ჩვენს უფროს მეგობარს ეს გატაცხა როდემდე გაცვეცხოდა.

როგორ წარმოვიდგენდით, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული პიეტი იქნებოდა.

კრთმა გარემოებამ მე და რეზო კოდევ უფრო დაგვაახლოვა (ამაში, გარემოების მიუძღვოდა ბრალი!) – ისეთი საიდუმლო საქმე მომანდო, ყველას რომ არ გაუმსხვევენ... ძალიან პატარა ვიყავი, აღბათ შეიძიო-რვა წლისა. ჩემშე უფროსის ნდობა რომ მოვიპოვე, ეს ბევრს ნიშნავდა!

ჩვენს სადარბაზოში აბაზაძების ოჯახი ცხოვრობდა. პოლკოვნიკი ვლადიმერ აბაზაძე, აღმინისტრაციული ორგანიზაციის საზედამხედველო სამშართველოს უფროსი გახლდათ. კარგი და სამართლიანი კაცის სახელი პქონდა და მეზობელებიც დიდ პატივს სცემდნენ. მისი მეუღლე, ჩინებული ექიმი ირა ღორბეანიძე, „ლექტომბინატში“ მუშაობდა. ულამაზესი ქალი იყო, გემოვნებით იცვამდა. ჩვენს ოჯახებს შორის იმთავითვე გამორჩეულად კეთილმეგობრული, თითქმის ნათესაური ურთიერთობა დამყარდა. რაიმე რომ წამომტკიცდებოდა, დედა დაურეკავდა და ისიც მაშინვე მობრძანდებოდა თავისი თვალისმომჭრელი კიმანოს ფრიალით. ჩემი საწოლის კიდეზე კახსტად ჩამოვდებოდა. მის ყურებას არაფერი სჯობდა.



დავინახავდი თუ არა, სიცხეც უძალვე დამიწევდა და რაგობის უძალვე ტქივილიც გამივლიდა! ერთი სიტყვით, ეს ულამაზე ფიქრობით ტონი ჩემი მქურნალი იყო.

რეზომ სწორედ ამ ოჯახის ქალიშვილს – ლილი აბაზაძეს დაადგა თვალი. მართლაც ანგელოზივით გოგო იყო, დედამისივით მომხიბლავი, სათონ და ლამაზი. დედ-მამაც, ბებია-ბაბუაც ციც ნიავს არ აკარებდნენ. სკოლაში „ემადინი“ დაჭყავდათ. ეზოში რომ ჩამოვიდოდა, აუცილებლად ვინმე უნდა ხლებოდა. პოდა, აბა, სად შეეძლო რეზოს მისი დამარტოხელება?

საგანგებოდ გამიხმო ერთხელ ეზოს კუთხეში, ჰადრების ჩრდილში გამომცდელად ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მკითხა:

- ლილის ხომ იცნობ, მაგათან რეჯახში ხომ დადინარ? - ი დავუდასტურე, ვიცნობ და დავდივარ-მეთქი.
- მაშინ, აი, ეს გადაეცი. არც არავის აჩვენო და არც შენ წაიკითხო, პირადად გადაეცი! – დაკეცილი ქალალდი გამომიწოდა.

ბავშვი კი ვიყავი, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ რეზომ ძალიან დიდი საიდუმლო გამანდო და ჩემს მოხერხებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. წერილი გამოვართეი და დავალების შესასრულებლად გავწიე...

ახლაც ქარგად მასხსოვს, აბაზაძების კარებზე მიმაგრებული ხელით დასატრიალებელი ზარი. უცნაურ წრიპინა ხმას გამოსცემდა. დავრჩეს და ქარის გაღებას დავულოდე. ბებია ჟყავდა ლილის, ოლა, ყორანივით შევი, გამხდარი, წელში მოხრილი, ზომაზე მეტად მქაცრი და უცხვირპირო. სულ გვიპვირდა, ასეთ ფერიებთან ამ „ბაბაიაგას“ რა საერთო პქონდა... ქარი ლლა ბაბომ გამიღო და შინ შემისატიცა. ვკითხე, ლილი სად არის-მეთქი. მის რთახში შემიყვანა და თვითონ გარეთ გავიდა. მიეიხდე-მოვიხედე, დავრწმუნდი, რთახში სხვა რომ არავინ იყო და ლილის რეზოს წერილი გადაეცი. თან გაუფრთხილე, შენ წაიკითხე, არავის აჩვენო-მეთქი.



გავიდა დრო. რეზომ კიდევ მომაკითხა და ისევ ლილისმანი გამავწავნა. მაშინ თბილისის უბნებში ასეთი წესი იყო ჩატარებული ცრონების უფროსების დავალება უსიტყვოდ უნდა შეესრულებულია ნათ. ეს სულაც არ ნიშნავდა ვინმეს დაჩაგვრას. მეც ამ წესის ერთგული ვიყავი – უფროსი მეცობრის დავალების შესასრულებლად ისევ ხალისიანად გაეწიო.

კარი, დაბარებულიყოთ, ისევ ოლა ბებომ გამიღო. ისევ მოშეფერა და ლილის ოთახისქნ გამიძლვა. ქალიშვილს წერილი გადავეცი და წამოვედი.

მავრამ როკაპი ოლა ბებო რისი ბებო იქნებოდა, ჩემი ფრიად ხანმოქლე ვიზიტებისთვის ყურადღება რომ არ მიექცა? „ამ თითისტოლა ბალღს რა საერთო აქვს ჩემს შეილიშვილთან?“ – გაიფიქრა თურმე, ლილის ოთახს ქორივით დააცხრა და იქაურობა გადააქოთა!

საბედისწერი ლექსები, რა თქმა უნდა, იპოვა. ერთი ამბავი დააწია საცოდავ გოგოს, მავრამ გარეგნული სიმშეიდე მაინც შეინარჩუნა და მოვლენების განვითარებას დაელოდა.

და აი, მესამედ მიედივარ საიდუმლო მისიაზე. ისევ არხევინად ვარ, რაღვენ აბაზაძეების ოჯახში მომხდარის შესახებ არაფერი ვაცი. კარი მესამედაც ოლა ბებომ გააღო და, ჩემდა გასაოცრად, ძევლებურად კი არ შექმნდა, ქეჩოში მწვდა და შეინით შემათრია.

გამომიჭირეს...

– აბა, ვაებატონო, ახლავე ჯიბები ამოიბრუნე და მაჩევნე, ახლა რაღა მიგაქვს ლილისთან! – დამჩხაოდა ოლა ბებო და გამეტებით მანჯლრევდა. გადმომიტრალა ორივე ჯიბე და რეზოს გალექსილი წერილი ცხვირწინ ამიფრიალა: – ამ ლექსების მოსატანად დაძვრებოდი? წადი და თვალით აღარ დამენახო! იმ გიუპოეტას კი გადაეცი, ლილი სამუდამოდ დაიკიტეოს, ჩვენ სამაგისო გოგო ვერ არ გაგვიზრდა!

მტაცა ფურის ბიბილოში ხელი და ლაშის ამახია...

ჩემი „გმირობის“ ამბავი ამით არ დამთავრებულა: ოლა დე-

დაჩემთან „ჩამოვთვისანდა“, ღამის მთელი ქვეყანა შეჰქარა, ორმა-
რიმ ეს რა გავვიძედათ. თითქოს რეზოს ლექსები კი არენტოული არის
ზაქების რეზაზში კილონახვარი ტროტილი შემტეტარობის კულტურული
იუმრის გრძნობით დაჯილდოებული ქალი იყო და სიტუაციას
მაშინვე აღაღო აუღო. ოლა დაამშეიდა, მობრძანდება სახლში ვე
უიღბლო „ფოსტალიონი“ და კარგ დღეს დავაყრიო.

შინ რომ მივედი, დჯდა და მამა გულიანად იცინოდნენ, თან
მაღულად ჩემეენ აპარებდნენ მზერას. გამიხარდა, ორივემ ასე
კარგად რომ გამივო.

მართლაც, აბა მე, რეზოს რომანტიკული ახირების უნ-
გბური „მსხვერპლი“, რა შეაში ვიყავი...

კიდევ ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენ. ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტში, თავმჯდომარის – მამია მეგრელიშ-
ვილის თანაშემწედ მუშაობდა რეზო ამაშუკელი. ერთხელაც
ბატონ მამის გერმანიდან სტუმრები ეწვიონენ. ბევრი ექცეს
რეზო, მაგრამ ვერსად მიაგნეს. გავიდა ერთი დღე, ორი დღე-
რეზო კი არა ჩანს. ბატონი მამია იძულებული გახდა გერმანელი
სტუმრები თვითონ წაეყვანა არაგვის ხეობის ღირსშესანიშ-
ნაობათა დასათვალიერებლად. აჩვენა მცხვარა, სვეტიცხოველი,
ჯვარი, ანანური და ფასანაური. ფასანაურში, რა თქმა უნდა,
ხინკალიც მიირთვეს. რესტორნის ეზოში, საგანგებო ვოლიერ-
ში დათვი ჰყავდათ გამომწყვდეული. გერმანელი სტუმრების
გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა დაინახეს ვოლიერში
დათვთან ხელვადახვეული, თეთრი გახეული პერანგითა და
დათვის ტორებით დათხუპნული ახალგაზრდა კაცი, არყოს
ბოთლით ხელში... დათვი ბოთლიდან ლიმონათს მიირთმევდა,
კაცი – არაფს! მამია მეგრელიშვილი გადაირია: „რეზო გაგი-
უდი! მანდ რა გინდა, ორი დღეა მთელი კომიტეტი გეძებს...“
როგორც გაირკვა, მთელი ის ორი დღე, ბეჭდვითი სიტყვის
კომიტეტის თანაშერომლები თავქუდმოგლევილი რომ დაე-
ძებდნენ, რეზო იმ დროს ქიუობდა არაგვის ხეობაში.

სტუდენტალაქთან, სადაც ხუთი ნომერი ტრამვაი ბრუნველის მიერაც და, ურთხელაც „ნესტონას ბუდეა“ აიღვს და დიდი საცხოვრებელი სახლი წამოჭიმებს. იქვე, კუთხეში გაზეთების ჯიხური ჩადგეს. სწორედ იმ პერიოდში დაიწყო გამოსვლა გაზეთის „თბილისის“, რომელმაც უმაღვე მოიპოვა მკითხველის აღიარება. მთელი „საიდუმლოება“ კი იმაში იყო, რომ მხოლოდ იქ იძებნებოდა სამგლოვიარო განცხადებები. თუ ამ გაზეთს შეიძინდი, გეცილინებოდა, თბილისში კი არა, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში ვინ გარდაიცვალა, სად და როდის იყო პანაშვილი და დაკრძალვა.

რაღაც „თბილისი“ საღამოს გაზეთი იყო, ჯიხურშიც საღამოთი მოპქონდათ. იქაურობა უცბად გამოცოცხლდებოდა ხოლმე...

მეც იმათ მორის ვიყავი, ვისაც გაზეთის შექნა სურდა – დედაქემი უამგაზეთოდ ვერ ისვენებდა და გაერბოდი ხურდების ჩხრიალით – გაზეთი. მაშინ სულ რაღაც ორი კაპიკი ღირდა...

ჯიხურთან მისვლა სხვა მიზეზითაც მიტაცებდა: იქ იყრიდნენ თავს ჩემი უბნის ფველაზე გამოჩენილი ადამიანები – აკადემიკოსები, პროფესიონები, მწერლები, სპორტსმენები, მსახიობები... მოვიდოდა ახოვანი გოგლა ღეონიერ ისაკას შეკრილი დიდი ჭუდით, დაეყრდნობოდა ჯიხურის რაფას და დაიბუხუნებდა:

– რა არის, კაცო, რატომ იგებანებს გაზეთი?

ხალხი კი მოწიწებით შესცეკვილდა და მოთმინებით ელოდა, კიდევ რას იტყოდა ღევქისის დიდოსტატი.

ჯიხურს ჩშირად სტუმრობდა იოსებ ნინეშვილიც. მოვიდოდა, ფველას თავის დაკვრითა და ღიმიღით მიესალმებოდა, რიგს დაიკავებდა. თუ გოგლა იქ დახვდებოდა, ხაზგასმული პატივისცემით მოიკითხავდა და გააძახდნენ მასლაათს, რომელსაც ფველა ყურადღებით უსმენდა. გაიხედავდით და ახლა აკა-



დემიკოსი ვარღამ თოფურია და პროფესორი დიმიტრი ბერძენიშვილი ვილი დინჯი ნაბიჯით ერთად მობრძანდებოდნენ, მათ გამოყენებისა სალაძე მოპყვებოდა (№31 საავაციო ქარხნის დირექტორი – მამაჩერის უახლოესი მეგობარი), მერაბ ბერძენიშვილი, გიგ-ლა ფირცხალავა, ბიძინა ავალიშვილი, ალექსანდრე ნეიმანი, ანდრი ჭიჭინაძე (უფროსი ჩიჩიკა), ინოლა გურგულია, ამირან დუმბაძე... ერთი სიტყვით, თუ რომელიმე გამოჩენილი ადა-მიანის ნახვას მოისურვებდი, ჩვენს ჯიხურთან უნდა მოსუ-ლიყავი.

„ოპლებიანი, შავ-თეთრით გაწყობილი მოხდენილი კაბით „მოფრიალდებოდა“ ულამაზესი მედვა კაფარიძე. გაბრწ-ყინებულ თვალებს შეავლებდა რიგში მდგომთ, ყველას ული-მოდა და თბილად ესალმებოდა. კაცები მოწიწებით თავს უკრავდნენ, რიგს უსიტყვოდ უთმობდნენ და ისიც შეიძენდა ამ „ჭორიკანა“ გაზეთს, რათა გაეხარებინა მუსაძის ქუჩაზე მცხოვრები შშობლები.

მართლაც საოცარი და დაუკინებარი დრო იყო...
მნატრება იმ დროის თბილის...

სანდრო პანდელაძე

საინტერესო ადამიანების მოელმა გაღერებამ ჩაითხოვთ ჩემს
თვალწინ. ბევრთან პირადი ურთიერთობა მაკავშირებდა, ზოგი-
ერთთან – პირადი მეგობრობა. ზოგჯერ ეს წამის გაელექტრი-
ჰავდა, მაგრამ იგი სამუდამოდ აღიძეს და მეხსიერებას.

მართლა გაელექტრისავით იყო შეხვედრა ლეგენდარულ
ქართველ მოჭიდავესთან სანდრო კანდელაქთან.

მაშინ მეტეს კლასში კერძოდ მასწავლებელმა ბავშ-
ვები მცხეთაში ექსკურსიაზე წავიყვანა. ახლაც კარგად მახ-
სოვს – მანანა ლომაძე, ნოდარ სუმატაშვილი, ოთარ მათეშ-
ვილი, რამაზ მაყაშვილი, ომარ კაჭარავა, ნუგუარ დოლიძე,
ლალი სანებლიძე, ლევან აბულაძე... მაშინ პირველად ვნახე
სეტიც ბორელის ტაძარი და ის პირველი შთაბეჭდილება, ისევე,
როგორც პირველი მონათხრობი ქართველთა ამ სიწმინდეზე,
დღემდე მომყვება... სამთავროს დედათა მონასტრის დათვა-
ლიერების შემდეგ გავემართეთ მთის თავზე აგებული პატარა
საყდრისკენ. აღმართს უნდა შევდომოდით, როცა მთასავით
კაცი შემოგვხვდა, კონტად მორგებული კაზური ქუდით. უკვი
ხანდაზმული, მაგრამ ისეთი ფართებეჭებიანი და ძლიერი, გე-
გონებოდა მის ძარღვებში „არაგვი მიედინებოდა“. შებლზე
ნაჭრილობები ღრმა იარა ეტყობოდა, ერთი სიტყვით, გოლია-
თი მომართებოდა ჩვენსკენ ჯოხზე დაყრდნობილი.

პატარებს, ამა, საიდან გვეცოდინებოდა ვინ იყო იგი,
გარევნობით დევს რომ ჰგავდა, მაგრამ საოცრად კეთილი
თვალები რომ ჰქონდა და ღიმილი რომ უსხივოსნებდა სახეს.

ჩვენ არ ვიცოდით, მაგრამ იცოდა ჩვენმა მასწავლებელმა.
მოწიწებით მიესალმა, ჯერ ჯანმრთელობა გამოპკითხა... შეძ-
ლებ ჩვენ წარმოგვიდგინა ეს ცოცხალი ლეგენდა, რომლის
მძღველი დედამიწის ზურგზე თურმე არავინ ყოფილა. სან-
დრომაც რამდენიმე ეპიზოდი გაისხენა თავისი საჭიდაო წარ-
სულიდან. მახსოვს, უკრაინელი პაველ ზაგორიუქო ახსენა,



პოლიტიკური ნიკოლაი ქოვენიაკი, რუსები ივან პოლუბნი, და ვლადიმერ ოლეინიკი, ისინი ვინც დაუმარცხებია შეკვეთის დროს და ვის ვაჟკაცობასაც იგი ღიღად აფასებდა.

ეთხოვეთ, ჩენითან ერთად გადაედო სურათი. ღიმილით დავვთანხმდა. დღეს ეს უოტო ჩემს არქივში ინახება და ამ წიგნშიც გაქვეყნება.

ბრწყინვალე მოქანდაკის ბიძინა ავალიშვილის მიერ შესრულებული სანდორ კანდელაკის შესანიშნავი ბიუსტი, როგორც ამ უძველესი ქალაქისა და მისი სასახლო შეიღის აღიარების მარადიული სიმბოლო, მცხეთის ცენტრში დგას. ძეგლებთან ბრძოლის ჩენი დღეების ქარტეხილები, მადლობა ღმერთს, ამ ქანდაკებას არ შეხებია!

ძეგლების გადატანა-გადმოტანაში და ნგრევა-აფეთქებაში, ჩენს ხელისუფლებას ბადალი არა პყავს. ის კი არა და ზოგიერთი პარლამენტარი, რუსი კლასიკოსების – პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, ჩაიკოვსკის, გორკის... ძეგლების აღება – განადგურებასაც ითხოვდა და რა გასაკვირია, რომ ამ ვანდალებმა მოგლივეს და გააქრეს თბილისში დაბადებული და გაზრდილი მსოფლიოში აღიარებული მეცნიერის, ბირთვული ცენტრის დირექტორის, სამგზის სოციალისტური შრომის გმირის, სტალინური პრემიის სამგზის და ლენინური პრემიის ლაურეატის, კურჩატოვის, ლანდაუს, კოროლიოვის და ალფიოროვის თანამოაზრისა და კოლეგის, აკადემიკოს კირილ ივანეს ძე შოლენის ბიუსტი, რომელიც თბილისში, ფიზიკის ინსტიტუტის წინმდებარე სკვერში იდგა. რუსეთში ქალაქი, ინსტიტუტი, პროსპექტები და ქუჩებია მისი სახელობის, ჩენ კი ასეთი გამოჩენილი და ღირსეული თბილისელი კაცის ბიუსტი გავანადგურეთ. განა ეს არის ქართველების ყბადალებული ტოლერაციონისა?!



ერთი ნაოცსავი გვყავდა, საქმაოდ უნიკალური სმენტის გადა
და გვარით — არსენ ჯორჯგაშვილი. მეოცე საუკუნის დასაწ-
ყისში მისი სეხნია — ცნობილი რევოლუციონერ-ტერორისტი
იყო, სწორედ მან აფეთქა რუსეთის მეფის გენერალი გრიაზ-
ნოვი. ხალხმა არსენ ჯორჯგაშვილს სიძლერაც კი შეუთხნა:

მე გარ არსენა ჯორჯიაშვილი,
თავისუფლებას შევწირე თავი...
კერძოდ ბომბი, მოკალი მხეცი,
მაგრამ ჯალათებს ვერ გავექცი,
დედავ, ნუ სტირი, მამავ ნუ სჩივი,
მე მოკამირე სამშობლოს ჭირი!

ამ ჩვენს ნათესავს არაფური პქნონდა საერთო არც რევოლუციასთან და არც ბომბების აფეთქებასთან. შშვიდობიანი პროექტების კაცი – კომპოზიტორია კავშირის საქმეთა მმართველად მუშაობდა. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ თავისი საქმის ჰერხმარიტი პროექტსინონალი იყო. არ არსებობდა საკითხი, ბოლომდე რომ არ მიეყვანა. ამასთან, განლოდათ ძალზედ კომუნიკაციური, იცოდა ადამიანებთან კარგი და მეგობრული ურთიერთობა, რაშიც ღრმა განათლება და ერუდიცია უწყობდა ხელს. ამიტომ უჯვარდათ და პატივს სცემდნენ კავშირის წევრები არსენ ჯორჯგაშვილს.

რუსთაველზე ცხოვრობდა, კომპოზიტორთა ქაუშირის გევრადით.

გადაწყვიტა საკუთარი ღუბილის თავის ბინაში აღნიშვნა. ძველ შენობებში, როგორც წესი, კომუნალური სათავსოები საერთო ჰქონდათ, წყალი და საპირფარეშოები — ეზოში.

დღევანდველი წარმოდგენით, ეს ბევრ უხერხულობას ქმნადა, მაგრამ ადამიანების დაახლოებას, ჭირისა და ლხინის



განიარებას ხელს უწყობდა. კრთ დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ
მაშინ თბილისელები.

არსენას შშობლები ძველი ქალაქელები იყენენ. ამას იმა-
ტომ ვისენებ, რომ მკითხველმა ადვილად წარმოიდგინოს,
როგორი ფუსფუსი, ერთსულოვანი სამზადისი და საზემო
განწყობილება სუსევდა არსენ ჯორჯიაშეილის დაბადების
დღეს მის კომუნალურ სახლში.

მეც და ჩევენებიც ცოტა ადრე მივედით, მისახმარებლად.

ყველა მისოვის განკუთხნილ საქმეს აკეთებს და ყველა
მოუთმენლად ელოდება რეზო ლალიძეს, რომელიც, მართალია,
ახალგაზრდა, მაგრამ უკვე დიდად პოპულარული კომპოზი-
ტორი გახლდათ და ხალხის სიყვარულითაც სარგებლობდა.

სტუმრები, მათ შორის სახელოვანი კომპოზიტორები უკვე
მოსულები იყვნენ, მხოლოდ რეზო არ ჩანდა.

— სად არის რეზო? რატომ იგვიანებს? — ისმის წამდაუ-
წუმ.

და უცებ ეზოში შემოდის რეზო ლალიძე. იღლიაში
ამოჩინილი აქვს უხეშ ქალალდში გახევული რაღაც შეკვრა და
ბოლიშს იჩდის:

— მღესავმა დამაგვიანა. შევიარე ვერის ბაზარში დანების
გასაღესად. დიდხანს მოუწდა დანების პირის გაწყობას ის
მამაცხონებული — ამბობს იგი.

მე ჯერ ვერ გავიგე, რატომ დასჭირდა კომპოზიტორ კაცს
დანები, თანაც — არაერთი, და თანაც — კარგად აღესილი.

თუმც სულ მაღე ყველაუერი გაირკვა.

რეზომ ჯერ ხელები დაიბანა. შემდეგ თავისი მაგიდა
მოიკითხა, როცა მიუთითეს, გახსნა თავისი შეკვრა — წინსა-
ფარში გახევული ლაპლაპა დანები დააწყო მაგიდაზე, გაიხადა
პერანგი, „სეტკა“ მაისურში დარჩენილმა წინსაფარი გულზე
დაიკიდა:

— აბა, მომიტანეთ ხორცი! — გასცა განკარგულება.

მოუტანეს და გამოცდილი ყასაბივით, თუ შეფშარეულივ-

ით დაიწყო ხორცის ვირტუოზული დამუშავება. ამ ხანებში რომ მორჩია, მწვანილით, სანელებლებით შეანელა კერძი, ჩაუკი გრამ ეს არ იყო კერძის მხოლოდ უბრალი მომზადებულების მიერ საოცარი ხელოვნებით შესრულებული რიტუალი. სტუმ-რები მონუსხულებივით შეპყურებდნენ ამ სანახაობას. არსენ ჯორჯიაშვილისაც, თავისი იუბილის სამზადისში, რეზოს ეს გატაცება საგანგებოდ ჰქონდა გათვალისწინებული.

და რაც მთავარია, მისი მომზადებული კერძი უგემრი-ელები აღმოჩნდა, რაც ურთხმად აღნიშნეს კომპოზიტორებმა არჩილ კერქელიძემ, ბიძინა კვერნაძემ, იონა ტუსკიამ, შოთა მილორავამ, სულხან ნასიძემ, შურა შავერზაშვილმა, კოწო ამაშუკელმა და იქ დამსწრე ქალბატონებმა – კველამ, ვინც ურთის მხრივ რეზო ლალიძის ვირტუოზული მზარეულობა იხილა და მეორე მხრივ, გემო ჩაატანა მის ნახელავსა და ნა-კმაზ კერძს... ესეც ხომ ხელოვნებაა.

რაც კველაზე ნიშანდობლივია, ბატონშა რეზომ იმ დღეს შესანიშნავად, მისთვის ჩვეული სილალით ითამადა და კიდევ ერთხელ მოხიბლა იქ დამსწრე საზოგადოება.

კარგა ხნის შემდეგ მოსაშვილის ქუჩაზე კომპოზიტორთა საცხოვრებელი სახლი აშენდა. ესენი კველანი, მათ შორის არსენ ჯორჯიაშვილიც, იქ გადავიდნენ საცხოვრებლად და ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, როგორ ლალად და მევო-ბრულად ცხოვრობდნენ ეს მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვი-ბული შემოქმედი ადამიანები.

ოპ. ეს მოცეკვენარი. უფროიანი ახალგაზრდობა!

ეს ამბავი მურიე კურსის სტუდენტებს შეგვემთხვეა. მეგობრუებთან – გურამ ბენაშვილთან, ალექს კურცხალიასთან, რისმაგ გორდეზიანთან, მერაბ წეველიძესთან და ბიჭი ვაჩნაძესთან ერთად დუშეთში განლოდით. აბა, იქიდან უხინკლოდ ხომ არ წამოვიდოდით? ხოლო სადაც ხინკალია, იქ, რა თქმა უნდა, ღუდა და არაყიც ხომ უნდა იყოს... ეტყობა, ცოტა ზედმეტი მოვეივიდა. გზად მომავლები ადგილობრივებთან შევტამათლით და „მქლავი გაუშალეთ“. ის დამე დუშეთის მიღიციაში გავატარეთ.

აღიძრა საქმე. დატრიალუნენ ჩვენი პატრონები. რისმაგს ჩეუბის დროს მანქანაში ეძინა და საერთოდ არ გაუგია რა მოხდა, ამიტომ მალევე „გაანთავისუფლეს“. დანარჩენებმა, თქვენ წარმოიდგინეთ „ქაპეზეს“ კულუები რამდენიმე დღე „ვხეხეთ“.

ჩემს ინტერესებს იცავდა აღვოკატი გურამ უგრეხელიძე, შესანიშნავი, საყოველთაოდ აღიარებული პროფესიონალი და ზექცეტილი ადამიანი. არასოდეს დამავიწყდება ჩვენი შემდგომი ურთიერთობა, მამაშვილური კეთილგანწყობით რომ იყო აღსავსე.

უგრეხელიძეები მცხეთის ქუჩაზე ცხოვრობდნენ, ჩვენ – ფალიაშვილზე. საგულისხმოა, რომ ბატონი გურამი მიხედო კვესელავასთან ერთად ესწრებოდა ნიურბერგის ცნობილ პროცესს, ამიტომ მოსაყოლიც ბევრი პქონდა. მერე რა საინტერესო მოხაუბრე იყო! მასთან ყოველი შეხვედრა უდიდეს სიამოუნებას მევრიდა და დაუვიწყორდა ჩემთვის...

ასეთი შეხვედრების დროს ველოსიპედზე „ამხედრებული“ მინდია არ გვასცენებდა – ბატონი გურამის კაბინეტის კარს „გვიმტერევდა“, კურადღება მომაქციეთო. ამის შესახებ თვით

მინდიას კუამბე, როცა იგი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარებელი მარე იყო... საოცრად გახალისდა.

დუშეთის ინციდენტზე არაერთხელ დავაპირე მოყოლა მე-
გობართა წრეში, მაგრამ ზან რატომ გადაეცვიქრე და ზან რა-
ტომ. უფრო ხშირად რისმაგს „კუუფრათხილდებოდი“ – რატომ-
დაც ერიდებოდა მაშინდელი ამბის საჯაროდ გახსნება.

ვის არ შემთხვევია არასასიამოენო რამ ჭაბუკობისას!
ჩვენც ახალგაზრდები ვიყავით და სისხლი გვიდედდა. არც თუ
უსატიტელი მერეხელობაა თუ ვიღაცას მუშტი კუთავაზეთ!
იმანაც ხომ გვიპასუხა! სამაგიეროდ, ბიჭობის დაუწერელ
ფილოსოფიას ხომ კუერთგულეთ და ეს ყოველივე რომანტი-
კულ მოგონებად დაუტოვეთ ჩექნს მეხსიერებას...

სხვათა შორის, მაშინდელმა ჩემმა გალაზულმა წლების
შემდეგ მომძებნა, შეიღწე მთხოვა რაღაც – მიჭირს და დამებ-
მარეო. დახმარება შემძლო და უარს როგორ ვეტყოდი?

ასე შეერიგდით და გულში წყენის ნასახიც კი აღარ და-
ვიტოვეთ...

მ. მივარა და გამოხდი ქალი

ბორჯომში დედისული სახლი გვქონდა. სტუდენტობის დროს ზაფხულის არდადეგებზე უმეტესად იქ ჩავდიოდა.

არაჩეულებრივ უბანში ვსახლობდით, ბორჯომის წყლის სათავის გეერდით – მტკვრის ნაპირას. ბორჯომ-პარკში მინერალური წყალი მიღებით სწორებ აქვდან მიედინებოდა...

პარკში ძველი, ნიკოლოზის დროინდელი ჩამომსხმელი ქარხანა იღვა, აქედან, რკინიგზის სადგურამდე ვიწროლიანდა-გრანი მონაკვეთი იყო გაუენილი და სპეციალური სატეიროო ვაკონებით გაპქონდათ „ბორჯომის“ დიდი პარტიები იმპერიის დედაქალაქებში – პეტერბურგსა და მოსკოვში.

დედაჩემი ქაბანიძის ქალი იყო, წარმოშობით რაჭიძან – ნიკორწმინდიდან, მავრამ ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა. ის რაჭაში ნამყოფი არ იყო და მე ჩავიყვანე პირველად. მის სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, განსაკუთრებით ნიკორწმინდის ტაძრის ხილვისას მას ირგვლივ ლოცვით და პირველის წერით სამჯერ შემოუარა და კედლებს გამბირა.

და აი, ერთხელაც ბორჯომში დასასვენებლად რომ ვიყავი ჩასული, ჩემმა მეგობარმა თავის სოფელში მარიამიაზე მიმიწვია. ეს იყო ხაშურის რაიონის სოფელი აღა.

სოფელის განაპირას ფერდობზე, პატარა, ძველი ეკლესია იღვა, სადაც უმეტესად ჩარდახიანი ურმებით ახლო-მახლო სოფელებიდან მოდიოდნენ მომლოცველები და ღამისთვეითაც რჩებოდნენ...

ჩემი მეგობრის ოჯახს თბილისიდან ჰყავდა სტუმრები. მოკლედ, შესანიშნავი ღრი გავატარეთ, ვიქეიფეთ. ბოლოს სტუმრები, როგორც შეეძლოთ ისე მოაწყვეს მოსასვენებლად. მე ერთი ურემი გამომიყვეს, დამიგეს ნოხი, დამიღეს მუთაქა, ურემი გაასწორეს, გაამარტეს და ორი კაპი შეუყენეს. ახალგაზრდა, ჯანიანი კაცია და გადაბრუნება-გადმობრუნებაში ურემი არ დაუყირავდესო.



ძილბურანში ეარ და ვკრძნობ, რომ ამ ჩემს ურეშე ვიღებ
ამოცოცდა. ვიფიქრე, ალბათ, ჩემი მასპინძელია, დასაძინებლურები
სხვა ადგილი ვერ იპოვნა და ამიტომ სხვების მაგიტრუსებრივია
ჩემი შეწუხება არჩია-მეთქი. ჩავიწიო. ადგილი მოვუცალე-
ისიც დაწვა. მაგრამ ჩემს მეგობარს არ ჰგავს, არც კაცი უნდა
იყოს. ქალია! მართალია, სახეს ვერ ვხვდავ — იმ სიბნელეში
რა გამოჩნდებოდა, მაგრამ თუ კაცი ხარ, დაუნახავადაც ხომ
უნდა იკრძნო, რომ ქალი წევს შემს გვერდით.

ჩამესვია, მეფერება, მკონის, კველას სძინავს. „უმორჩე-
ლესად გთხოვ ხმა არ ამოიღო“ — ჩამჩურჩულა.

— ვინ ხარ-მეთქი? — ვკითხე.

— ნე მეკითხები, მაინც არ გეტყვიო — იყო პასუხი.

რაც შემდევ მოხდა, იმის აღწერა გამოიჭირდება... მეითხ-
ველს კი გაეახსნებ კონსტანტინე გამსახურდიას „ქალის
რძეს“, ჩემი ამ პიკანტური ეპიზოდის „არქეტიპს“...

კველაფერი ისე მოულოდნელად დამთავრდა, როგორც
დაიწყო: ის ქალი დამეს შეერია. გაქრა. ჩამოვედი ურმიდან.
დიდი მთვარე პკილია ცაშე, ვარსკვლავები ჩახჩახებენ. ზღა-
პარში მგონია თავით...

ჯადოსნურ ზღაპარში, რომელიც მოულოდნელად დამთავრდა,
და რომლის გაგრძელება შეუძლებელი გახდა, რაღაც დილით,
როცა ვცადე მეპოვნა ის ახალგაზრდა ქალი ან მიშვდარიყავი
მაინც ვინ იყო, კველა ჩემი მცდელობა ამაო გამოდგა.

დილით გაღვიძებულმა ვიგრძენი, რომ რაღაც უცხო, საო-
ცარ ბედნიერების კრძნობას კვავდი ატაცებული.

კველა ამდგარიყო, ტრიალებდა და ფუსტუსებდა: ვინ იქვე
ჩამომდინარე ან კარა რუში ჭურჭელს რეცხავდა, ვინ ჭრელ
ფარდაგებს ფერთხავდა და ავებდა მწვანე მინდორზე, ვინ სუ-
ფრას შლიდა, ვინ ხის ტოტზე ცალი ფეხით ჩამოკიდებულ
ჭედილას ატყავებდა ბაჟშები წყაროდან დოქებით და თუნგე-
ბით წყალს ეზიდებოდნენ. საღდაც უკკე მიშნინებდა მწვადი
და ირგვლივ მადისაღმძვრელ სურნელებას აფრქვევდა. ზოგი-
ერთები სანთლებით და შესაწირით ხელში მაღლა ეკლესი-

ისკენ მიმავალ დაკლაკნილ ბილიქს მძიმედ მოუკეციდნენ.  ულამაზეს ხეობას ჭრელი, მოჭიქჭიდე მოლალურების გუვიდას დასტრიალებდა. მე კველას ვუღიმოდი, კესალმებოდმ ჰათ წერილი ვალიერებდი...

ჩემი ბედნიერი განწყობილების გაგრძელების სურვილი მკლავდა. ევტებდი იმ ღამის მოულოდნელ სტუმარს და ვერ ვპოულობდი. ან როგორ ვიპოვიდი, როცა ახალგაზრდა ქალებს ისე უცხოდ ეჭირათ თავი, თითქოს პირველად მხედავდნენ. ხომ არ მივიღოდი და ვკითხავდი, რომელი თქვენგანი იყო, წუხელ რომ მასიმიუნა-მეთქი...

ის რომანტიული იღუმალი ღამე სამუდამოდ შემორჩია ჩემს მეხსიერებას.

რესი-მაგისტრი

სტუდენტები ვართ. არდადევებზე გაგრაში ვისევნებთ მე, ჩემი ძმა და ლელიკო ჯაფარიძე. ჩემს ძმასთან ჩამოვიდა თანაჯვეფელი გოგონა, რომელსაც უწაური სახელი ერქვა – სტრაფილა და ყველანი გალში, საკუთარ ოჯახში დაგვპატიჟა.

ძალიან კარგი ურთიერთობა პქონდათ ერთმანეთთან ჩემი ძმის ჯვეფელებს, რომელიც ძირითადად რაიონებიდან ჩამოსული გოგონები იყენებ. ისინი ჩემთანაც მეგობრობდნენ.

მოკლედ, ჩაევდით გალში.

არაჩვეულებრივი, გულთბილი ადამიანები დაგვხვდნენ. ზღაპრული სუფრა გაგვიმაღლეს. როგორც იტევიან, კარგად მოვილხინეთ. კარგი სიმღერებიც „ვთქვით“: ჩემი ძმა შესანიშნავად მღერის, ლელიკო ხომ სიმღერისთვისაა დაბადებული. მაშინ იყი კონსერვატორიაში ვრკალის ხელოვნებას უფლებოდნდა. ახალგაზრდა იყო და, ცხადია, ხმას არ უფრთხილდებოდა, როგორც ეს გამოცდილმა სოლისტებმა იციან.

თამადა ჩენი მასპინძლის ბიძა, წარმოსადევი, ჭარბავი კაცი იყო, სუფრას ტრადიციული წესითა და რიგით უძლვებოდნდა. სადღეგრძელოს სადღეგრძელო ენაცელებოდა, სიმღერას – სიმღერა.

ერთი უწაურობა შევამჩნიეთ ჩენი მასპინძლი გოგონას დედას, რომელიც რუსი იყო: ქართული არ იცოდა, სამავი-ეროდ მის მეგრულს ადგილობრივი მეგრელების მეგრულიდან ვერ გაარჩევდი. ლალად ლაპარაკობდა ამ ენისთვის დამახასიათებელი ნიუანსებით.

ბუნებრივია, დავინტერესდით ასეთი უცნაურობით. თამადამ, რომელიც ამ ქალბატონის მაზლი იყო, ყველაუერი აგვიხსნა.

მისმა უფროსსმა ძმამ, რომელიც დიდ სამამულო იმში იძოდა, რუსეთის ერთ-ერთ სოფელში გაიცნო ეს ქალი, მაშინ –



ახალგაზრდა კოკო. შეუყვარდათ ერთმანეთი. სანამ სამხედრო ნაწილი იმ კოკოს სოფელში იღდა, ერთად იყვნენ. თავის მიერ თევე იქ გაატარეს. მაგრამ, როცა მისი ნაწილი დასავლეთის კენ დაიძრა, ქართველმა ჯარისკაცმა მშობლებს წერილი მისწერა და თავისი ახალგაზრდა ცოლი საქართველოში, გალში ამ წერილით გამოაგზავნა. სიყვარულით მიიღო ფეხმძიმე რძალი ქმრის დიდმა ოჯახმა. მანაც შეითვისა და შეისისხლხორცა ისინი, აქაური ზნეჩეულება, ენა ზომ ზედმიწევნით კარგად ისწავლა.

ჩვენ, სტუმრად მისულები ამაში თავად დავრწმუნდით: ეს ქალბატონი მზრუნველ დედასავით თავს დაგვეტრიალებდა, გულითადად გვიმასპინძლებოდა. მისი შეგრული საოცარი მშვენიერებით გამოირჩოდა. ხოლო რაც შეეხება მის მიერ დამზადებულ ქრძებს, თამადამ გვითხრა, რომ მასავით გემრი-ელს მეგრული ქალებიც კი ვერ ამზადებენო...

ფრონტული სიყვარულის ისტორია, როგორც უმეტეს შემთხვევებში ხდება, ტრაგიკულად დასრულდა: რამდენიმე თევში ოჯახმა „შეეი ბარათი“ მიიღო — ის ბიჭი მტერთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. ახალგაზრდა დედა ახალშო-ბილ გოგონასთან — სტრაფილასთან ერთად ქმრის ოჯახში სამუდამოდ დამკიდრდა...

...სუურა კი თავისი წესითა და რიგით მიდიოდა. გული-ანად ვიღლხნდით — იუმორი, ლექსი, სიმღერა და საღლევრ-ძელო. ვერავინ დაგვეტრახავდა:

„პურსა სჭამენ და ღვინოს სმენ,
სიმღერას არ იტყვაინო,
არ ვიცი, ვინმეს გლოვობენ,
არ ვიცი, არ იციანო.“

ისე მოხდა, რომ გლოვის თემა მოულოდნელად შემოიჭრა ჩექებს იმ მხიარულებაში...

საღამოსკენ ჩვენს მასპინძლებს რაღაც შეშუოთება შე-ვატტყვეთ. არაფერი უთქვამო, არც არაფერი უგრძნობინებიათ

ჩვენთვის. მაგრამ შევამჩნიეთ, რომ რაღაც უსამოენი ამბავის
შეაწეხათ.

დაუინიტით ჩავკითხეთ...

ჯერ იუარეს, არაუერიო, მაგრამ რომ არ მოვემვით,
გვითხრეს, რომ სანამ ჩვენ აქ ვექიუობდით და ემღეროდით
(ლელიკოს ხმა ხომ ისეთ მაღალ რეგისტრებში აღიღია, რომ
მგონი, მეზობელ ოჩამჩირეშიც ისმოდა), მეზობლად ხანდაზმუ-
ლი ქალბატონი გარდაცვლილიყო.

შევწეხდით და მოუხედავად იმისა, რომ მასპინძლები
ძალიან ცდილობდნენ სტუმარ-მასპინძლობის წესი არ დაერ-
ღვათ – ნუ მიაქცევთ ამას ყურადღებას, სიკვდილ-სიცოცხ-
ლე ყოველთვის ერთად დაიარებიანო – მაინც წამოვიშალეთ
წახასკვლელად.

არ გვიშვებდნენ. მაგრამ ჩვენი გავიტანეთ. მაშინ მასპინ-
ძლებმა, რახან თქვენსას არ იშლითო, „მდიდრული“ საგზაული
გამოგვატანეს და რკინიგზის საღვურამდე გამოგვაცილეს.

ჩამოდგა მატარებელი. ავედით ვაგონში და იქ ჩვენი თაო-
ბის შშვენება, ქართული თუ რუსული რომანსების უბადლო
შეშისრულებელი, დაუგიშფარი მედიკო ძიძიგური არ შემოგვეუფ-
თა? შშობლებთან ერთად დასასვენებლად მიემგ შავრებოდა გა-
გრაში.

მათ კუპეში ჩვენი საგზაულო ისეთი სუფრა გაიშალა, ისეთი
სიმღერები ვიმღერეთ მედიკოსთან და ბატონ კაკო ძიძიგურთან
ერთად, რომ უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი!

60-ს ღიასამიმა და გრანტისა

იქ, სადაც დღეს ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაა, რომლიდანაც ჩვენმა უსაშობლო ხელისუფლებამ ფურნალისტები მასშტაბური სპეციალისტის ძალით გამოყარა, თავის დროზე ერთსართულიანი შენობების გრძელი რიგი იყო, სადაც საუკეთესო სასაჩიუქრე ქართული დვინო, კონიაკი, ლიქიორი, საკონდიტრო ნაწარმი და სუვენირები იყიდებოდა.

იმასთან დაკავშირებით, რომ გამომცემლობის სიმბლავრეები ვერ აუდიოდა გაზეთებისა და ფურნალების ბეჭდვას, აუცილებელი გახდა მისი გაფართოება. დაიწყო ბელინსკის ქუჩის დასაწყისში კონიაკის მველი, სარაჯიშვილის დროინდელი ქარხნის შენობის დანგრევა და მის აღვილზე სარედაქციო კორპუსის მშენებლობა...

იმ დროს სწორედ ამ სამშენებლო „პოლიგონზე“ დავიწყო მუშად მუშაობა.

შესევენებებზე, თორმეტი საათისთვის ბიჭები ქუჩის მეორე მხარეს, სახინკლეში გადავდიოდით. მენიუ ყოველთვის ერთი გვერილია – ხინკალი, ჩამოსასხმელი ღუდი და ცოტა არაფი.

ქარხანა მველი ქართული აგურით ავრო, ღუდაბი ისეთი მტკიცე იყო, რომ თაღოვანი გადახურვის და კედლების დაშლა-დანგრევა ძალიან გვიჭირდა. არადა, პნევმატური სანგრევი ჩაქუცებით გმუშაობდით. ძალიან კიდლებრივით და შესევნებაზე სახინკლეში შესვლა კურორტზე დასევნებასავით იყო ჩვენთვის. კიდევ უფრო ბედნიერად ვერძნიბდით თავს, თუ ამ დროს ბელინსკის ქუჩას „ჩამოყოლილი“ ჩვენი თაობის უსაყვარლესი ადამიანი, თბილისის კოლორიტი – ნიაზ დისამისე გამოჩნდებოდა...

თითქმის ყოველთვის ძალის მოასეირნებდა – თაფლისფერ სეტერს, რომელსაც ერქვა... შალიკო... ჩამოიკლიდა და ჩვენ

შემოგვახტებდა: გამარჯობათ, ბიჭები, როგორ ხართ, რაზ
იქმთო. რა თქმა უნდა, მოწინებით მიუიპატიუებდიურუსულები
უარს არასდროს არ გვეუბნებოდა.

ამ დროს დაბარებულივით გამოჩნდებოდა ხოლმე ერთი
შეუხედავი, ჩია ტანის, შუა ხნის ვერელი სომეხი, სახელად
გრანტიკა.

მოვიდოდა. დიდის ამბით მიესალმებოდა ნიაზს, მასთან
ერთად ჩვენც, რა თქმა უნდა, და შორიახლოს სიცივისგან
მობუზული აიტუზებოდა.

ნიაზი ეტყოდა:

— აბა, გრანტიკ, გენაცვალე, სტოიკა დაიჭირე.

გრანტიკასთვის გამეორება საჭირო არ იყო: ხელებს
დაეყრდნობოდა და პალტოიან-ჭუდიანა ყირაზე დგებოდა.
ჩამოუცურდებოდა ჭუჭყიანი, ფართხუნა შავი შარვალი და
გამოუჩდებოდა გამხდარი ბაჯაგვლიანი წევები, დაფულეთილი
წინდები, რომლებსაც „გვირგვინად“ რამდენიმე ნომრით დიდი,
გაცვეთილი ტალანიანი „ბათინ კები“ აღგა...

მერე შალიერ მიძართავდა ნიაზი — ახლა შენ დაიჭირე
„სტოიკა“ და ისიც დაცუცებულებოდა უცანა თათებზე, წინა
თათებს კი მეტადზე მიიკრავდა.

„ნომერი“ რომ დამთავრდებოდა, მაგიდასთან მოეიპატიუებ-
დით თვითნასწარე აკრობატს და შესვენების იმ ერთ საათს
ნიაზთან და ვერელ გრანტიკასთან ხალისიან საუბარში ვა-
ტრაებდით.

რა გვარი იყო გრანტიკა, სად ცხოვრიბდა, რით არსებობ-
და, არავინ იცოდა. ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ გავიდოდა
წლები და ასობით „გრანტიკებით“ — უსახლკარო, უსახსრო
და ღატაკი აღამანებით აივსებოდა ჩვენი დედაქალაქი. ვინ
იფიქრებდა, რომ თბილისის სანაგვეუბში აღამანები საკუტის
საძებნელად დაიწყებდნენ ქვევას?!



გრანტიკა რომ გრანტიკა იყო, ამას ისიც არ იგადოდა, არც თბილისელები დაუშვებდნენ მათ გვერდზე მყოფი მწერები დაცემასა და დეგრადაციას...

ნიაზს ბევრ სხვა სიტუაციაშიც შევხვდივარ, მაგრამ ბელინსკის ქუჩის სიურეალისტური სანახაობები მაინც განსაკუთრებით შემორჩინებას...

სპორტის სასახლის პროგრენდის

ვერაზე გამომცემლობის მშენებლობის მერე, მუშის „ქართვა“ სპორტის სასახლის მშენებლობაზე განვაგრძე, ქვაბულის სამუშაოები მიმღინარეობდა. ობიექტის ჩაბარებამდე აქ ემუშავდი. თან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვსწავლობდი. საღამოს ლექციებს ვესწრებოდი. რა თქმა უნდა, დატვირთვა დიდი იყო, მაგრამ მაშინ ასეთი შეთავსება ნორმალურ მოვლენად ითვლებოდა. არც მე ვაკლებდი მონდომებას – წარჩინებული სტუდენტიც ვიყავი და მოწინავე მუშაც – ერთდროულად.

ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი ვიყავი. მოელი ახალგაზრდობის პერიოდში სპორტს მიესდევდი. სკოლის პერიოდში ტანგარჯიშით და კალათბურთით ვიყავი გატაცებული. სტუდენტობისას აკადემიურ ნიჩბოსნობაზე დავდიოდი და წარმატებებიც მქონდა (ჩემთან ერთად სანდრო კავსაძე და სალომე ზურაბიშვილის მუედლე ჯანრი კაშაც ვარჯიშობდნენ).

ვმუშაობდი მებეტონედ, მეარმატურედ, მემონტაჟედ... სასახლის თაღის გადახურვის როტელ რეინა-ბეტონის ანაკრის კონსტრუქციებს ადგილზე ვამზადებდით.

თაღოვანი გადახურვის ავტორი იყო საყოველთაოდ ცნობილი, ფერომენალური კონსტრუქტორი დავით ქაჯაა. მისმა ორიგინალურმა პროექტმა დიდი დავა გამოიწვაა მშენებელ-კონსტრუქტორთა შორის. ბევრს არ სჯეროდა, რომ სასახლის უშაომაზარი თაღის ამ მეთოდით შეკვრა საერთოდ შესაძლებელი იქნებოდა და თუ მაინც შეიკრებოდა, კურ გაუძლებდა დატვირთვას და ჩამოინგრეოდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ აკადემიკოსი კირიაკ ზავრივი, საამშენებლო მექანიკის და სეისმომედვეობის ინსტიტუტის სახელგანთქმული დირექტორი, თითქმის ჭოველ დღე მოდიოდა მშენებლობაზე. რათა საკუთარი თვალით ენახა, როგორ მიმღინარეობდა თაღის შეკვრა. იყი ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე იყო იმ დროისთვის ამ უნიკალური კონსტრუქცი-



ის განხორციელებისა. კირიაკ ზავრივი კარგად მიცირულფურულებული უკვედა პორიზონტზე“ ვმუშაობდი და ერთხელ ყურადღებაში მომაქცია ძალიან ახალგაზრდა მუშას (მაშინ 17 წლის ვიზვი), გამომელაპარაკა და შემდგომში, შენებლობაზე მოსული, მომნახავდა ხოლმე, ხელკავს გამიკეთებდა და ავეყვებოდით ფიცრით ნაკეთებ დროებით კიბებს. მე მას, ხანდაზმულ ადამიანს, საყრდენად ვჭირდებოდი – სასახლის გადახურვის ნიშნულამდე ასვლა და ჩამოსვლა უსაფრთხო ნაძღვილად არ იყო. დაათვალიერებდა მიძინარე სამუშაოებს და სულ შემფოთებული და უქმაყოფილო ჩამოდიოდა. Не дай Бог, не дай Бог! – ერთაეთ იმეორებდა. დარწმუნებული არ იყო, რომ თაღოვანი გადახურვა გაამართლებდა.

რადიკალურად განსხვავებულ პოზიციაზე იდგა ცნობილი კონსტრუქტორი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასალათა გამძლეობის და დრუკადობის ორინის კათედრის გამგე, პროფესორი ალიოშა კაკუშაძე, რომელიც შენებლობაზე ყოველთვის დავით ქაჯაიასთან ურთად გამოწნდებოდა ხოლმე და ამხნევებდა ავტორს.

– დათიკო, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო – გულს უმაგრებდა ქაჯაიას.

ყოველივეს დეტალურად ათვალიერებინენ და აკონტროლებდნენ: თაღოვანი ფილების დამზადებიდან დაწყებული, ბეჭონის ხარისხით დამთავრებული, მიუხედავად იმისა, რომ ბეჭონის ყველა პარტიას, რომლებიც აკტომანქანებით შემოჰქინდათ, ლაბორატორიული შემოწმების და ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მოჰყებოდა.

დამთავრდა სპორტის სასახლის შენებლობა და პირველი ღონისძიება, რომელიც აქ გაიმართა ნიკიტა ხრუშჩოვთან შეხვედრა იყო.

ავიდა ხრუშჩოვი ტრიბუნაზე და სასტიკად გააკრიტიკა ვასილ მფავანაძე, რომელმაც დაუშვა ასეთი ძვირადღირებული სასახლის შენებლობა იმ დროს, როცა მოსახლეობა



საცხოვრებელი ბინებით არ იყო უზრუნველყოფილი, რომელიც აქლდა საავადმყოფოები, სკოლები და ა.შ. „Извишики“-ი - ცვიროდა ტრიბუნიდან. მისი აზრიში „*„თუ დაიშეი“ არ იყო მხრილი ე.წ. ხრუშჩინვები, სორილივით საცხოვრებელი ბინები, სადაც ჭერი ლამის თავზე ჰქონდათ დამხობილი მობინადრეებს.*

თუმცა რა უნდა გაგვეირვებოდა იმ კაცისგან, რომელმაც აშშ-ში გაეროს ტრიბუნიდან, ლამის დედა ავინა მასპინძლებს და მა ვამ იკავებს კუზკინუ მატე!-ი - დაუშუქრა. ამ მწარე სალხურ გამოიქმას თარჯიშნებმა ინგლისური შესატყვისი ეერ მოუმებნეს და თარგმანში უნებლივ პაუზამ სერიოზული კონფუზი გამოიწვია. მისმა უზრდელობამ პიქს მაშინ მიაღწია როცა ფეხსაცმელი გაიხადა და ტრიბუნას დასკვნო.

ნიკიტა უზრდელი და უხერხული სიტუაციების ოსტატი რომ იყო, ამ თავყრილობაზეც გამოიჩინდა.

სიტყვით გამოვიდა ფათუშა დუმბაძეც, ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი - იგი იმდენად მომზიდლავი იყო, რომ, ეტყობა, ააღელვა „наш любимый Никита Сергеевич“-ი ისე, რომ ეს მონძროსა კაცი წამოხტა და ტრიბუნიდან ჩამოსული ფათუშა ისე ჩაბლუჯა და ჩაქოცნა, როგორც შენი მოწონებული.

აქედან იწყება ფათუშა დუმბაძის თაებრუდამსვევი ქარივრა. ძალიან მაღლე ნიკიტას მიჰყავს იგი ინდოეთში პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრად. გადის ცოტა ზანი და ფათუშა დუმბაძეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად აწინაურებენ.

სპორტის სასახლეში გამართულ ამ შეხვედრას ვესტრებოდი, როგორც მოწინავე ახალგაზრდა მუშა და ამის დასტური იყო ჩემთვის მოცემული ის საშვი, რომელიც მოსაწვევ ბარათზე უფრო დიდ დაფასებად ითვლებოდა...

შენებლობაზე გაეიცანი საოცარი ადამიანი, შესანიშნავი არქიტექტორი და ულამაზესი კაცი - ლადო მესხიშვილი

(რომელსაც შემდგომში დაუკავშობრდი). ის სპორტის სახახლის პროექტის აეტორი იყო.

თუ არ უცდები, ღადღო სწორედ სპორტის სასახლის გენერაცია
ებლობის პროცესში დაუახლოვდა მის მომავალ მუცელლეს
კინორეჟისორ ღანა ღოღობერიძეს. ქალბატონი ღანა მაშინ
იღებდა კინონოველა „ფრესკას“, რომლისთვისაც სპორტის
სასახლის ექსტიბიულში სპეციალური ხარჩიები დადგეს და
დროებითი გადასაღები მოედანი დაამოწმავეს...

გადაღებები ორი-სამი თვე გაგრძელდა და ამ ადამიანებს
საშუალება ჰქონდათ სისტემატურად შენველროცხნენ ერთმა-
ნეთს. მაღვე მათ ერთმანეთს დაუკავშირეს ცხოვრება.

06ტელეგანდი-ლობი

ერთ ფრიად კურიოზულ შემთხვევას გავიხსენებ.

იმ დროს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის თბილისის სამსართველოს აპარატში საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსად კურიოზული მუშაობდი. ჩემი ერთ-ერთი თანამშრომელი არ-ნოლდ დორნინიქო, შესანიშნავი სპეციალისტი და ძალიან საინტერესო პიროვნება გახლდათ. თბილისელი კაცი კი იყო, მავრამ ქართული თითქმის არ იცოდა. ურთი ნაკლი პქონდა – სმა უყვარდა. არადა, ინტელიგენტური იურიო გამოირჩოდა, პქონდა დახვეწილი მანერები და ხალხში ყოველთვის კოსტუმით, გაპრიალებული ფეხსაცმელით, თეთრი ქათქათა პერანგითა და ჰალსტუხით წილდებოდა...

ის თავის ამ აღკომილისადმი მიღრეკილებას ამართლებდა იმით, რომ თვით შარლ ბოდლერი, ვდგარ აღან პო, უილიამ ფოლკნერი, ერნესტ პეტიონგუეი, ერიხ მარია რემარკი, ჯეპ ლონდონი, ფრენსის სკოტ ფიჯერალდი და სხვა მრავალნი – სასმელის დიდი მოყვარულები იყვნენ.

ერთ შევენიერ დილას მირეკავენ მიღლიციდან და მეკითხებდან, არნოლდ დორნინიქო თქვენთან თუ მუშაობსო. ცხადია, ეუპასუხე, რომ ის ჩვენი თანამშრომელია.

გთხოვთ მოხვიდეთ და მისი სარგო ტანისამოსი წამოიღოთ...

შევმუოთდი: რა არ ვიფიქრე – ალბათ მოკლეს ან მოკვდა და მიცალებულის გაპატიოსნებისთვის მთხოვენ ტანსაცმლის მიტანას-მეთქი.

დამამშვიდეს, მითხრეს რომ კარგად არის და გვთხოვა, თქვენთან დაგვერექაო...

დავტრიალდით, მიედექ-მოკვდექით, სასწრაფოდ შევა-გროვეთ ტანსაცმლი და გავვარდით მიღლიცის განყოფილე-ბაში – ოპერის უქან.

მივედით და რას ეხედავთ: ზის არნოლდი, ეს ყოველთვის



გამოწევის კაცი მაისურის, ტრუსების და წინდების ამართ.
ვაკეიილებით: არც ძალადობის რაიმე ნიშანი ატყვია, მაგრა მას უკავშირდება
რომ წაქცეულა და ტრამვა მიუღია.

ისიც კი ვიფიქრეთ, რამე ცუდ საქმეზე ხომ არ დაიჭირეს
ჩვენი ინტელიგენტი თანამშრომელი?

მოკლედ, რაც მიღიცაში მოგვიყვნენ, ერთი კარგი
ტრაგიკომიკური სიუჟეტის საფუძვლად გამოღვებოდა. აი,
თურმე რა მომხდარა:

იმ საღამოს დამთერალა. ეტყობა, ზედმეტი მოსკოვია და
ცოტა გონიერი მოსასვლელად მტკრის სანაპირო სკევერში
სკამზე ჩამომჯდარა და ჩაძინებია.

ის სკევერი „ბოსიაკების“ (ახლა „ბომუებს“ რომ უწოდე-
ბენ) თავშეყრის ადგილი ყოფილა. იმ საღამოსაც მისულიან.
ხედავენ, კარგად გამოწყობილ კაცს მკვდარივით სძინავს. ასეთ
შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშევებდნენ?! მაღვნენ მძინარე
არწოლდს და ტანისაცმელი და უეხსაცმელი გახადეს. შემდეგ
აიყვანეს ამ გარეწრებება და სანაპიროს მოაჯირზე დააწვინეს.
იმ ადგილას, სადაც ბერიას დროინდელი სანაპიროა, ქეის
მოაჯირი საქმიად განიერია, მაგრამ დედიშობილა ხომ არ
დატოვებდნენ? არ გაგვიციედეს და ძველი ვაზეთები და კარ-
ტონის ნაგლეჯები გადააფარეს.

გამთენისას გამოედნენ მეუზოებები „ნაბერეჟნის“ დასაგევ-
ლად. დილის ბინძუნდში ხედავენ, კაცი წევს მოაჯირზე!
შეშინდნენ – მკვდარი ეგონათ. მაგრამ დაინახეს, რომ შეირჩა
ის კარტონი და ვაზეთები ამ „შიცვალებულს“ რომ ეფარა.

მიერიდნენ, გააღვიძეს, სკამზე გადმოსვეს შეციიბული, რად-
გან აღრიანი ვაზაფხულია. დაუძახეს მიღიცას... ასე მოხვდა
ეს ჩვენი ლოთი-ინტელიგენტი რაიგანყოფილებაში.

ჩავაცვით. წამოვიყვანეთ სახლში. მას შემდეგ არავის, არ-
ცერთ თანამშრომელს მისთვის ეს ძალზედ უხერხული ამბავი
არ წამოუძახებია.

საშა ახვლედიანი

ახალგაზრდა კაცი ვარ. ვმუშაობ თბილისის ერთ-ერთ სამშენებლო სამშართველოს განყოფილების უფროსად.

დილაა. მოუღოდნელად შემოდის ჩემთან ჩენი სამშართველოს უფროსის მოადგილე აღექსანდრე დიმიტრის ძე ახ-ვლედიანი. მაღალი, ხმელ-ხმელი, ძალზედ განათლებული, ომგამოვლილი სამხედრო ინჟინერი... საზოგადოებაში გამორჩეული პიროვნება, ის ძელი ყაიდის კაცი იყო და რუსულად ლაპარაკობდა. მეუბნება:

— Омар, пойдем!

მეტი არაფერი უთქვაშს. გავყევი. გავედით შენობიდან. სამსახურის „მოსკვიჩი“ პუკუა. ჩაევექით.

— Омар, дорогой, я тебя очень прошу, молчи. Ничего не спрашивай, — и я буду тебе говорить — что я тебе скажу. — Омар, дорогой, я тебе говорю — я тебе скажу.

— Могу ли я тебе сказать — я тебе скажу.

ორშაბათია, დილაა, ცივა, წეიძე. დუქანში ადამიანის ჭაჭანება არ არის. მოიხმო დაწლიდარი, რა გაქვთო — პკითხა. რაც იმან ჩამოუთვალა ყველაფერი მოატანინა. როცა დასალევიც დადგეს მაგიდაზე, აღექსანდრ დიმიტრიევიჩი მეუბნება:

— „Я хочу, чтобы ты знал об этом,“ — и я ему скажу:

— წესებ ჩამოვფრინდი მოსკოვიდან ბოლო რეისით.

— მოსკოვში რა გინდოდათ? — ვკითხე.

— ჩემი მარინა მოსკოვში ჩაეცილე.

მარინა ახვლედიანი, დოდო აბაშიძის ცოლი, მისი ქალიშვილი იყო.

შერეგეტიეროს ახალი აეროპორტიდან გაუცილებია ლონდონში. ეს აეროპორტი უცხოეთის აეროეისებს ემსახურებოდა და იმ დროისთვის საბჭოთა კავშირში ყველაზე საუკეთესო იყო.



- ღოლინდონში რატომ წავიდა მარინა?
- ვიზა გამოუგზავნა მელორ სტურუამ და რუსულური მიწვა. გლისურის სპეციალისტი ათი თვით სტაჟირებაზე მიიწვა. მაგრამ დოდო არ უშევებდა.

ძალიან განაწყენებული იყო დოდოზე ბატონი საშა.

- არ დავუჭირე მხარი: ათი თვით მიდიოდა, ქმარს როგორ არ დაეკითხა-მეთქი.

ამან კიდევ უფრო გააცეცხლა ჩემი თანამეინაზე:

- როგორ ფიქრობ, მელორ სტურუას დოდოსთვისაც უნდა გამოუგზვნა ვიზა?

მე ჩემსაზე ვდგევარ. ის – თავისაზე.

მისულა შინ დოდო და ხედავს, მარინას ორი ჩემოდანი უკვე ჩაულაგებდა და გასამგზავრებლად არის გამსაღებული.

ზომ გითხარი, არ წაწვალო, – აუეთქებულა საქმაოდ ნას-კამი დოდო და ორივე ჩემოდანი მეშვიდე სართულიდან მოუს-ვრია, თანაც ისე, რომ ლამის სანაპიროს ტრასაზე გაუენილა ყველაფერი, რაც ამ ჩემოდნებში ეწყო.

მარინას მამა წერილად მომიერა, როგორ დაურეკია შეიღს მისთვის, ატირებულს და ანერვიულებულს. მამასაც აუღია იარაღი და წასულა შეიღოს დასახმარებლად.

– კიდევ კარგი არ დამშვედა დოდო, თორემ მოკელავდი, ისე ვიყავი მწყობრიდან გამოსულით, – მითხრა ბატონმა ალექსანდრემ.

შემდეგ წაპყოლია თავის შეიღს მოსკოვში და იქიდან ლონდონში გაუცილებდა.

აღელვებული იყო ამ ამბის გადამტანი მამა:

– დილიდან ისე აუთირიაქებული ვიყავი, რომ ადგილს ვერ ვპოულობდი. ვიფაქრე, ომარისთან ურთად წავალ და დაელვე-მეთქი.

დავლიერ, რა თქმა უნდა. საქმაოდ დავთუურით.

ბევრი ვიკამათეთ. არც მე დაეთმე ჩემი პოზიცია, ის რომ ცოლმა ქმარს ანგარიში უნდა გაუწიოს, არც მან – რომ



ქმარის არა აქცის უფლება, ცოლის ხელი შეუშალოს პროფესიულ დაოსტატებისა და კარიერულ წინსვლაშით. სირთულეები

ამ კამათმა და რა თქმა უნდა, უფრო ბახუსმა ჰქონდებოდა შეუწყო ასე თუ ისე დაემშვიდებინა ნერგები და მურე დღეს ჩვეულებრივი მონდომებით ჩაბმულიყო საქმეში. გარედან ჭოველშემთხვევაში ასე ჩანდა.

ღირსეული პროექტება იყო ბატონი სამა და მოუხედავად ხანდაზმულობისა, იშვიათი გარენობითაც გამოიწეოდა.

სამა ახვლედიანის მაღალ პროფესიონალიზმზე ასეთი ფაქტიც მეტყველებს: როცა ომის დამთავრების შემდეგ გერმანიიდან ჩამოსატანი გახდა ფაბრიკა-ქარხნების დაზგადანადგარები, მოწყობილობები და ტექნოლოგიური ხაზები, სწორედ ის და მისი დონის საეცალისტები მიავლინეს ამ როგორი საქმის შესასრულებლად. ჩვენი ინჟინრებისთვის უცნობი საწარმოების დემონტაჟი და მათი ჩვენთან დამონტაჟება, განსაკუთრებულ ცოდნას, გამოცდილებას, ინჟინრულ გამჭრიახობას და აღლოს მოითხოვდა.

ისიც სათქმელია, რომ აღვილზე დამონტაჟება პრიდაპირ ვაგონებიდან (монтаж с колес) ხდებოდა, ანუ ოპერატიულად, ჭოველგვარი შეალედური ეტაპების გარეშე: ქარხნების კორპუსების შექნებლობა და დაზგადანადგარების მონტაჟი პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა.

ესეც მისი მონათხრობიდან ვიცი.

დღეს გავიგე მარინა ახვლედიანის გარდაცვალების შეახებ...

კიდევ ერთი მშვენიერება წარიტაცა დრო-ზამა... დრო უმოწყვალოდ სწრაფად მიღის და მიპყებიან ადამიანებიც. სამწუხაროდ ისინც ვინც თავისი გამორჩეული სილამაზით, გამაორნებელი გარეგნობით და მომხიბვლელობით ამაღლებულ და რომანტიულ იერს ანიჭებდა თბილისს.

დრო უხდებოდა და დროს უხდებოდა იგი. რაღაც განუმეორებელი კლიფერი მოსავდა ლეგენდადქცეულ მის ცხოვრებას...

გერმანელი «რდისააზა»

1965 წელია. ოცდაორყაციანი ჯგუფი მოსკოვიდან გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უნდა გამგზავრებულიყო. ჯგუფში საქართველოდან მხოლოდ სამი ვართ: რამაზ გოგლიძე, ფელიქს სანაკოვი (შემდგომში პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო ქომიტეტის პირველი მდივანი) და მე.

მაშინ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მით უმეტეს, დასაკულტო გერმანიაში კი არა, დემოკრატიულ რესპუბლიკებში გასვლაც საკმარის შეზღუდული იყო. უმიშროება გულმოლგინედ სწავლობდა, კინ და რატომ მიღიოდა. უპარტიოებსა და უცოლშეკილოებს საზღვრის იქთ ცხეირის გაყიფვაზე ოცნებაც კი არ შეეძლოთ, აქამდა, უცხოეთში არ დარჩინოთ...

მე არც იჯახი მაწუხებდა, არც წითელი პარტბილეთი მედო ჯიბეში და არც დიდი თანამდებობა მექავა. ამიტომაც მოსკოვში ქვა ააგდეს და თავი შეუშეირეს. ვერსადაც ვერ გაუშვებთო!

როგორი ამბავია, უცხო ქვეყნის სანახავად განუწყო, მოსკოვში ჩახვიდე და უცბად ჯგუფიდან ამოგაგდონ! ღმერთმა უშეკელოს მამაჩემის მეგობარს ვანო ჩირსელს, რომელიც უმიშროებაში მუშაობდა და შეფის, ალექსი ინაურის დიდი ნდობით სარგებლობდა. როცა ინაურს ჩემს შესახებ მოახსენეს, ვანო ჩირსელმა თავი გამოიდო, მაგისთვის უარის თქმა როგორ შეიძლება, ასეთი კარგი იჯახის შეიძლიაო.

ასე დამტოვეს ჯგუფში.

მოსკოვის სასტუმროს „იუნისტი“-ს ერთ ნომერში ჩაგვასახლეს სამივე იელისია, ცხელა.

ძილის წინ, დღის განმავლობაში „დამაშვრალი“ თავისი წინდები ფელიქსმა საწოლის თავთან დაიკიდა. მან ძილს მისცა რა თავი, წინდები აბაზანაში ჩავუყარე. ადგა დაღით და ვტბს წინდებს, რომლებსაც თვალის ჩინივით უფრთხილ-



დებოდა. როგორც ვაირკვა, იგი მხოლოდ ამ წინდების ამასთა
ყოფილა წამოსული. ეძებს და ვერ პოულობს. ბოლოს ქადაგზე და
გაოცებულმა ფელიქსმა აბაზანაში მიავნო მათ. სახტროსტენი
გაწურა წინდები და ჩაიცვა. დარწმუნებული ვიყავით, რომ იგი
ჭერას იხმარდა და წინდებს საჯაროდ აღარ გამოიუწდა.

მეორე საღამოსაც იგივე გაიმეორა, წინდები კვლავ სას-
თუმალთან დაიკიდა. ღამე ჩუქად ავიღე და ფანჯრიდან გადა-
ვუყარე. დილით სად არ ეძება, მაგრამ რას იპოვიდა... იძულე-
ბული გახდა შიმევლი ფეხები გაუყარა ფეხსაცმელებში... უე-
ლიქისი მთელი დღე წუხდა – მე და რამაზი კი გულანად
ვხალისხმდით. ბოლოს გამოუტყდით და „გუმ“-ში წინდების
საყიდლად წავიყვანეთ.

ბერლინამდე ჯერ კიდევ დიდი გზა და გამოცდა გველოდა: მოსკოვის სასტუმროში მთელი ოთხი დღე დილიდან საღა-
მომდე ეისმენდით სპეციალისტების ლექციებს ამ ქვეყნის ის-
ტორიაზე, ფაშიზმის ჩასახვაზე, ომისწინა, ომისა და ომის
შემდგომ პერიოდებზე, პოლიტიკურ წერძაშე, ეკონომიკის გან-
ვითარებასა და ხალხის ცხოვრების დონეზე... ერთი „ჭკუის
სასწავლებელი“ ისტორიაც გაგვიძინდეს: თურმე, ჩვენამდევი
გაუგზავნიათ ჯვეუფი. მერე დასავლეთ გერმანიის თითქმის
გველა დიდ გაზეთს გამოუქვეყნებია მათი ფოტოსურათები,
„ბატებივით“ ერთ მწერივში როგორ მოდიან ქუსაში მაღაზიე-
ბის ვიტრინებისექნ კისერმილრეცილები.

– თქვენც ასე არ მოიქცეთ! – ეს ბრძანებაც იყო და გა-
ფრთხილებაც. როცა გერმანული ქალაქები ვნახეთ, მაშინდა
დავრწმუნდით, რომ იქ ბევრი ისეთი რამ იყო, რაზეც ჩვენ,
საბჭოელებს, მანამდე წარმოდგენაც არ გვჭონდა...

ჯერ აღმოსავლეთ ბერლინში ჩავედით. რაც იქ მოვიზილეთ,
მართლაც საშინელება იყო: არა მარტო რკინიგზის სადგურის
მოედანზე, არამედ მთელ ქალაქში ჯერ კიდევ მრავლად იყო
ზელუნდებელი, ომის დროს დაბომბილი, დანგრეული და გა-



პარტაზებული, ჩაშვებულ-ჩაუამჯობული შენობების ჩინჩიხები, როგორც იმის უტყვიი გაფრთხილება, რა შეიძლება შეინდუსტრიალიზებული როცა ქვეყნის ლიდერებს უსაშევლო ამბიციები გაუწინდებათ და თავისი ხალხის მომავალს სასწორზე შეაგდებენ...

ამ ხამწუხარო ჰემპარიტების ნათელი მაგალითია დაუფიქრებული ნაბიჯი 2008 წლის 8 აგვისტოს, რომელმაც უამრავი ნგრევა, მსხვერპლი, უსახლკაროდ დარჩინილი ოჯახები, უზარმაშარი ზარალი, ეკოლოგიური კატასტროფა, ქვეყნის ეკონომიკის მკვეთრი გარღვა, ინექსტორების დაფრთხობა-გაქცევა, ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის დაცემა, ხალხში შიშის და უძმედოების გაჩენა გამოიწვია და რაც ყველაზე მთავარია საქართველოშ ტერიტორიის მეზოთედი და-კარგვა. აი, რას წერდა ჯერ კიდევ საუკუნენახევრის წინ გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხს კანცლერი ოტტო ბისმარკი: „Никогда не воюйте с русскими. На каждую вашу военную хитрость они ответят непредсказуемой глупостью“.

„Любой договор с Россией не стоит даже бумаги, на которой он написан“.

„Никогда не верьте русским, ибо русские не верят даже самм себе“.

— ამაზე უკეთესად რუსეთის დამპურობლურ და აგრესიულ ბუნებას კერავინ წარმოაჩინდა.

აღმოსავლეთ ბერლინში სულ ექვსი დღე დავყავით. გვიჩერენს ქალაქის ყველაზე დიდი დირსშესანიშნაობა — ბრანდენბურგის ჭიქარი და ცნობილი კედელი, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვის დროს, 1961-1962 წლებში ააშენეს. ამ კედელს დღეს მსოფლიოში განიხილავნ, როგორც საბჭოთა სინამდვილის ერთ-ერთ ყველაზე სამარცხვინო მოვლენას. სამწუხაროდ, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ახლა აქ, საქართველოში გვიშენებს ისეთივე კედელს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, არც მათ უწერიათ დიდი დღე!

ჰამბურგში მე და რამაზ გოგლიძეს, ქუჩაში სკოლისგან
დროს ფეხდაფეხ გამოგვყვა სამი ხანდაზმული მამაკაცის წევნისათვის
ეს შევნიშნეთ, მაგრამ ვერაფრით ვერ ავსხენით ვინ შევნენ,
რა უნდოდათ, რატომ მოგვყვებოდნენ უკან. ცდილობდნენ არ
ჩამოგვრჩნდნენ. ერთმანეთში საუბრობდნენ, ხელების ფეხ-
ტიქულაციაზე და სახის მიმიკაზე მივხვდით, რომ ჩევნზე
საუბრობდნენ. მე და რამაზი შევჩერდით — მოგვიახლოვდნენ
და მორიცდებით მოგვესალმნენ.

— თქვენ საქართველოდან ხართ? ქართველები? — დამან-
ინჯებული რუსულით მოგვმართა ერთ-ერთმა. დაუდასტურეთ.
სამივემ სიამოვნებით გავეიღიმა:

— ჩვენ ყოფილი სამხედრო ტყვები გაერთიანებული ვართ
ყოფილ სამხედრო ტყვეთა საზოგადოებაში. ომის დამთავრების
შემდეგ საქართველოში ვიყავით სამხედრო ტყვებად, საქართ-
ველო და ქართველი ხალხი ძალიან კარგად გვახსენდება. იქ
ადგილომრივები თბილად გვაქცეოდნენ — ვეცოდებოდით, რაც
შეეძლოთ ყველანაირად გვეხმარებოდნენ. ჩვენს საზოგადოება-
ში არიან ყოფილი ტყვები, რომლებიც რუსეთში, უკრაინაში,
ბელორუსიაში და სხვაგან იყნენ — ისინი იხსენებენ, რომ მათ
იქ სასტიკად, არააღამიანურად ეპყრობოდნენ.

მე და რამაზი ბავშვობაში მეზობლები ვიყავით და ბუნე-
ბრივია მასაც კარგად ახსოვდა გერმანელ ტყვებთან ჩევნი
ურთიერთობა. ყოფილმა ტყვეებმა ბევრი კარგი და თბილი
სიტყვები გვითხრეს და ერთმანეთს ძველი ნაცნობებივით დავ-
შორდით.



პირვენი მსტრილები

მაგრამ დაგბრუნდეთ პამბურგში. ას, სად გატეატრული მოსკოვერი გაფრთხილება და სპეციალისტთა საუბრები – ყოველ ფეხის ნაბიჯზე გველოდა უამრავი „საცდუნებელი“, რასაც ჩვენი ქურადღების მიპყრობა შეეძლო. მაგრამ გვახსოვდა წინამორბედთა სამწუხარო ისტორიაც, როცა მათ სწორედ იმ ცნობისმოყვარეობის გამო გადაუდეს სურათები და გერმანულმა გაზეთებმა საქეკვნოდ გამოიჭინეს!

ნამდეილად არ გვინდოდა მათი შეკვდომების გამეორება, თუმცა... გულხელდაკრუსილები არ ვმსხდარვართ: მაშინ პროსტიტუცია ვვროპაში ღვეგალიზებული იყო მხოლოდ დასავლეთ გერმანიაში. ამ უტევლესი პროფესიის ღვეგალიზება მოგვიანებით მოხდა ნიდურლანდებში, იტალიაში და ავსტრიაში. პამბურგში არის რიპერანის ქანა ფეხით მოსიარულეთათვის. ორივე მხარეს ორსართულიანი შენობებია ჩარიცებული, პირველ სართულზე ლამაზად განათებული ვიტრინებით...

ვიტრინების მიღმა ისხდნენ სხვადასხვა ეროვნების, ფერის, ასაკის, ნახვერადშიშველი, ძალიან მოკლე გამჭვირვალე პერსარებში, ზოგი საცურაო კოსტუმებში, ახალგაზრდა ლამაზი ქალები... ისე მაცდურად იღიმებოდნენ, ძნელად რომ შესვლისაგან თავი შეგვეკავებინა... უნდა ვაღიარო, რომ იქ სტუმრობის ინიციატორი მე გახლდით! წავიყვანე რამაზ გოგლიძე და მასთან ერთად ჯგუფის ხელმძღვანელი ნიკოლოზ სმელოვი და მისი მოადგილე ნიკოლოზ სავიცქი! მათ ადრევა ვიცნობდი და ქარგი ურთიერთობაც გვქონდა...

გერმანულმა თარჯიმიანმა ოთხივე სტრიპტიზზე დაგვპატიჟა (პირველი სტრიპტიზი შესრულდა 1964 წელს სანტიურანცის კოში, მაშინ ამ ფაქტს დიდი აფიოტაჟი მოჰყვა. 2010 წლის დასაწყისში ისლანდის პარლამენტმა, მსოფლიოში ერთადერთმა ქვეყანამ სტრიპტიზის აქრძალვის კანონი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნის პარლამენტში დეპუტატების 60%-ზე მეტი ქალია).

...ქალაქი სულ შიშვლდებოდნენ და აი, მაღლან ლაპაზება და
მთლიად ნორჩისა გოგონამ გაწაფული ხელით გაიხადა კაბაჭიშენაზე ი
სნა აზღუდი და დამსწრე საზოგადოებისკენ ისროლა, მუზეუმის მიმდევა
ურთი ფეხიდან წაიძრო ბიქნი, მერე მეორიდან და ისიც დარბა-
ზის კენ მოისროლა. ჩვენ თვალები ლამის ბუდიდან წამიგეცევი-
და — ცლუნება მართლაც დიდი იყო... აღარც მოსკოვი მახსოვდა
და აღარც იქაური დარიგება: იმ გოგონასთან შეხვედრის სურ-
ვილი რომ გამოვთქვი. სმელოვს ახლა კი საბოლოოდ უდალატა
ნერვებმა, შემეხვეწა, მაგას ნუ იზამ, თორებ გახმაურდება და
უსამოენებას მარტო შენ კი არა, მეც ვერ აეცდებით. გამოკვდით
სტრიპტიზიდან. შუალამე გადასული იყო, მოვდიოდით სასტუმ-
როს კენ დაღვრებილები, მხრებ და გურუქჩამოყრილები...

უნივერსიტეტის სტუდენტების სტუდენტებთან სტუმრობის მერე მე და
ერთი ბელორუსი ექიმი გოგონა გერმანულ ოჯახში წაგიფუ-
ვანეს, მეორე დღეს კი „ბითლზების“ კონცერტზე დაგვატივეს.
ეს იყო რაღაც კოშმარი! დარბაზი ახალგაზრდებს აევსო. იდგა
ჭურისწამლები კაკაფონია, ღრაიანცელი, წივილ-კივილი, ფეხ-
ების ბრაგაბრუგი. ექსტაზში შესულებმა დაღეწეს სკამები.
ასეთი რამ არასოდეს გვენახა. თურმე, ეს ჩვეულებრივი რეაქ-
ცია იყო „ბითლზების“ კონცერტზე.

მაგრამ ჩვენი გაოცება ამით არ ამოწურულა. კონცერტი
დასრულდა თუ არა, დარბაზის უკანა გასასკლელიდან პოლ-
იციელებმა ცოცხალი დერუფანი მოაწყვეს, მონაწილეები ავ-
ტომანქანებამდე უსაფრთხოდ რომ მისულიყენენ. აღზნებული
ახალგაზრდები ამანაც ვერ შეაჩერა. ისინი მომღერლებს თმებს
აწიწენიდნენ და, როგორც კველაზე ძვირფას რელიგიას, ჯი-
ბებში იჩუროთავდნენ...

„ბითლზებთან“ ამ შეხვედრას ათეული წლების მერე თავ-
ისებური გაგრძელება მოჰყვა ჩვენთან, თბილისში: პატა შე-
გარღნაძე იყო პარიზიდან ჩამოსული. რესტორანში სადილზე
მიმიწვია. იყვნენ გია ჯოზიაბერიძე, ზაზა შენგელია, რეზო
ამაშუკელი, ნუგზარ გაბრიჩიძე და პაატას მეგობრები —

ერთ-ერთმა მისმა მეგობარმა განაცხადა, რომ საქართველოში „ბითლზების“ საზოგადოების თავმჯდომარე ვარონ გურიაშვილი რომ ჯერ კიდევ 1965 წელს ღივერპულელი ოთხეულის ქონცერტს ვარ დანასწრები ჰამბურგში. საგულისხმოა, რომ დედოფალმა მათ ბრიტანეთის რაინდის წოდება მიანიჭა. სამწუხაროდ, მხოლოდ ერთია დღეს ცოცხალი – პოლ მაკარტნი. ცნობილია, რომ მას პირველი ქორწინებიდან ოთხი შეიღია და ექვსი შვილიშვილი ჰყავს. 2001 წელს შეირთო მასზე თითქმის 30 წლით უძროსი, მარჯვენა ფეხამპუტირებული პიზერ მიღზი, რომელმაც ქალიშვილი კი აჩუქა, მაგრამ მაღე გაშორდა. პოლს ეს გაშორება 125 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუკავდა. ის ეხდა ჩემი ასაკისაა – 69 წლის.

მაშინ დაბადებულიც არ ვიყავიო, – დანანებით ჩაიღლაპარაკა სიმატიურმა ახალგაზრდად. თურმე, ჩვენთანაც ყოფილი „ბითლზების“ ფანგი. როგორც მოგვანებით გავიგვე, ჩემი მოსაუბრე დათო დუმბაძე საქმაოდ წარმატებული ბიზნესმენი ფოფილა.

ჰამბურგში მაშინ ეკრანზე ახლად გამოსულ „ჯეიმს ბონდზე“-ც მიგვიპატივეს. ჯერ კინოდარბაზის სიღლამაზემ გაგვაოცა, მერე კი ფილმმა შონ კონერის შესრულებით... დღემდე ის ითვლება ბონდის როლის ყველაზე ძლიერ შემსრულებლიად. 1999 წელს შონ კონერი მეოცე საუკუნის ვალაზე სექსუალურ მამაკაცად აღიარეს. ის ახლა 79 წლისაა.

ჰამბურგის „ოლისეადა“ ამით არ დამთავრებულა. შეხვედრა მოგვიწყო ჰამბურგის ახალგაზრდობის კაუშირმა. ჩვენ იმან გაგვაოცა, რომ, თურმე, ჩვენი მიწვევა ვინმე ხანდაზმულმა მილიონერმა დააფინანსა. თუმცა, გაოცება მაშინ უნდა გენახაო, როცა იმ მილიონერმა ჩვენთან შეხვედრის დროს გვითხრა, ბევრი ვითიქრეთ, რა საჩუქრები მოგვერთმია თქვენთვის, ბოლოს ისევ ფულის გადმოცემა ვამჯობინეოთ. მან ჯგუფის ხელმძღვანელს მართლაც გადასცა საქმაოდ სოლიდური თანხა, რომელიც ყველას თანაბრად გავიინაწილეს.



ბოლოსთვის საგანგებოდ შემოვინახე ერთი სასამართლოცა
და, ამასთანავე, გარკვეულწილად სამწერალო ამბავი: გერმა-
ნიაში შეეხვდი ომის შემდეგ იქ ჩარჩენილ ქართველებს. ისინი
ყოფილი სამსჯერო ტკიები იყვნენ და ამან დააშორა სამშობ-
ლოს. ყველამ ვიცით, საქართველოში რომც დაბრუნებული-
ყონენ, გადასახლებას ვურ გადაურჩებოდნენ. დღესაც მახსოვეს
ფილოლოგ ნიკოლოზ ჯანელიძის სევდანი სახე, ნისტალიით
ვარ ავად და წელიწადში ორ თვეს მაინც საავადმყოფოში ვა-
ტარებ, ჩამოსვლა კი მინდა, მაგრამ მეშინია. უცოლო იყო იგი.
ოჯახი რომ შეექმნა, ალბათ ასე ძალიან არ გაუჭირდებოდა...

ეკეთესად აეწყო ცხოვრება ექიმ გიორგი კორმაზიას
– ცოლ-შეილიც პყავდა და ეკონომიკურადაც არ უჭირდა.
რესტორანში დაგვატიქა, თავისი კლინიკაც დაგვათვალიერე-
ბინა. ქართულ სტუმართმოცვერებას არ უდალატა ნიკოლოზ
ჯანელიძემაც და პამბურგის ცეილის ქანდაკებების მუზეუმში
წავიყვანა.

მიუწენში შეეხვდი შემდგომში ქართული სათეასტრო-
მოს ხელმძღვანელს, იურისტ ქრისტეფორე კირკიტაძეს და
ექიმ ვახტანგ ჩხაიძეს. ისინიც უსასტიკესი ომის მსხვერპლი
იყვნენ. ორივეს პყავდა ოჯახი, თუმცა მაინც მათვის მიუწვ-
დომელ, შორის დარჩენილ სამშობლოს მისტიროდნენ...

იყო თუ არა ჩემთვის სარისკო იქაურ ქართველებთან
შეხვედრები? რა თქმა უნდა, იყო... მოუხედავად ამისა, ერთი
წუთითაც არ მიყომანა.

ამ პირების მოგზაურობამ საზღვარგარეთ, ჩემზე დიდი
შთაბეჭდილება მოახდინა. თერამეტი დღე ვიყავით დასავლეთ
და ექვსი დღე აღმოსავლეთ გერმანიაში.

მას მერე ძალიან ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, ზოგიერთში
რამდენიმეჯერ, მაგრამ პირველი მოგზაურობა განსაკუთრებით
დამამახსოვრდა.

მოედარდები შპსპედიტი... კანცლერებთან

როგორც კი დასავლეთ გერმანიის მიწას ფეხი დავადგით, მაშინვე ვიგრძენით, რომ სხვა სამყაროში მოვხედით. ვნახეთ ბერლინი, ბონი, ჰამბურგი, კოლნი, ჰანოვერი, ფრანკფურტი. ჩევნს ირგვლივ ყველაფერი ბრწყინვადა! არც ერთი დანგრუელი შენობა, არც კრთი მოუვლელი ქანა! არადა, ვიცით, ომმა მიწასთან როგორ გაასწორა ქალაქები და სოფლები. ყველას ერთი აზრი ვეიტრიალებს თავში: მაინც, როგორ შესძლეს ასე მოკლე დროში ქვეყნის ასე აღორძინება, აღმოსავლეთშიც ხომ ამ ჯიშისა და ჯილაგის ხალხი ცხოვრობს, იმათ რამ შეუშალა ხელი?...

ერთი სიტყვით, ფიქრისა და განსჯისთვის საქმაოზე მეტი მასალა დაგვიგროვდა... მთელი თვრამეტი დღე გვქონდა საამისოდ.

...კიოლნის ცნობილი ტაძრის დათვალიერების შემდეგ გარეთ რომ გამოევდით, შემთხვევით შევხედით კანცლერ ლუდვიგ ერხარდს, რომელიც ხალხის გარემოცვაში იღვა, ესალმებოდა და ესაუბრებოდა მათ... აღტაცებულმა ხალხმა მას გულობილი ოვაციები მოუწყო. საგულისხმოა, რომ მან ამ პოსტზე კონრად ადენბაუერის შემდეგ მთელი თოთხმეტი წელი დაპყო, მანამდე კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი იყო. ქვეყნის ეკონომიკა საოცრად მოკლე დროში სწორედ მისმა გონივრულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ააღორძინა!

გაივლის ოთხი ათეული წელი და ფრანკფურტში ყოფნისას კვლავ გაეიხსენებ კანცლერ ერხარდთან წამიერ შეხვედრას. გაეიხსენებ, რადგან... იქაც ფრიად სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა: მე და ჩემი მუსელლე სასტუმროში შევდიოდთ. თვალი მოვკარით, კიბეზე გაჭირებით ჩამომავალ, ასაკ და სიმსუქნე მორეულ ექსპანციურ პელმუტ კოლს! მივეგებე



და წელი შევაშელენ. ესიამოვნა, მხარზე დამეყრდნო. ძიგი
ვანე ავტომანქანამდე. სანამ ჩაჯდებოდა, პიჯაკი გაისაფათქდა
ახალგაზრდა გოგონას გადასცა, მან კი სანაცვლოსას ჩატარება
ოვი, ღილებინი ჟაკეტი მიაწოდა. კოლმა ჩაიცვა, ღილები
საგულდაგულოდ შეიკრა და მანქანაში ჩაჯდა.

ჩვენ შევიცადეთ, ვიღრე მანქანა ადგილიდან არ დაიძრა.
ექსკანცლერი და მისი თანმხლები გოგონა მაღლიერების ნიშ-
ნად წელს გვიქნევდნენ...

1980 წელს, როცა ბერლინის პედელი დაინგრა და ორი
გვრმანია გაერთიანდა, პელშტატ კოლი ერთიანი გერმანიის
პირველი კანცლერი გახდა და ბეკრი რამ გააკეთა საერთაშორ-
ისო ასპარეზზე ამ ქვეყნის ღირსეულად წარმოჩენისათვის.

პერმანენტის გენერაციის აღსარება

ჩემმა ერთმა თანაკლასელმა ქორწილში მეცვარედ შემძინებულია. მორიგი სადღეგრძელოს დროს უებზე წამოდგა ასაკოვანი, მშვენიერი შესახედაობის მამაკაცი. შევი კოსტუმის ფონზე უფრო საგრძნობლად იკეთებოდა მისი ჭაღარა თმა, თეთრი პერანგი, შევი პალსტუხი... ნეუე-დედოფლის სადღეგრძელო შესვა და ასეთი რამ თქვა: ოდითგანვე ცნობილია ქართველი ქალის სილამაზე. გერმანიაში ოცდაათიან წლებში წავიყითხე ერთი ინგლისელი მეცნიერის ვრცელი გამოკვლევა სხვადასხვა ეროვნების ქალთა აღნაგობასა და ანატომიურ თავისებურებებზე. ავტორი წერდა, რომ ქართველი ქალი თავისი დახვეწილი სრულყოფილებით ყველას აღმატება, ჩვენი პატარძალი სწორედ ამის ცოცხალი მაგალითია და იგი ქართული გენისა და ჯიშის განსახიერებააო...

ძალიან მოშენონა ეს მოხდენილი ტირადა და დავინტერესდი მისი ვინაობით... სიძე-ბატონშა მითხრა, დუდაჩემის ბიძაშვილი შეალვა მაღლაკლიმათ. მასზე უკვე მქონდა რაღაც-რაღაც წინაკითხული. ვიცოდი, რომ ერთ დროს, ჯერ ქუთაისის, მერე თბილისის და ბოლოს ავხაზეთის გენერალ-გუბერნატორი იყო. ჩემს ჭაბუკობაში ემიგრანტული ლიტერატურის სიუხვით მაინც-დამაინც ვერ დავიკვენიდით, მაგრამ რასაც მოვიხელთებდი, სულმოუთმელად ვეკითხულობდი. ასე „გავიცანი“ ნოე ქორდანია, კარლი ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, კაქი წერეთველი, კოკი დადიანი, ტიტე მარგველაშვილი, სპირიდონ კედია, გიორგი მაღალავაშვილი, შალვა ამირეჯიბი — ვერიქო ანჯაფარიძის პირველი ქმარი, გიორგი მაჩაბელი და სხვა...

ბატონ შეალვასთან გადავკვექი და კუთხარი, თქენზე ზოგიერთი რამ წავიკითხე და ძალიან დამაინტერესა-მეთქი. თუ ასეა, სხვა ამბებზეც გეტაცი ირიოდე სიტყვასო და ჯერ სუფრასთან, მეორე დღეს კი მის ბინაში (დიდუბეში-ბათუმის ქუჩაზე) გაგრძელდა ჩვენი საუბარი:



— მე ქუთაისის გიმნაზია დავამთავრე — სწავლება 12
წლიანი იყო. გიმნაზიის დირექტორი იოსებ ოცხელი გამოიყენებოდა
დათ. ჩემთან ერთად სწავლობდა ვიქტორ ნოზაძე. მოსკოვის
უნივერსიტეტში მე იურიდიულზე, ვიქტორმა კი ფილოლო-
გიურზე გავაგრძელეთ სწავლა. ტიციან ტაბაძეც სწავლობდა
ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაშინ მას ტიცე ერქვა. არ
მოსწონდა თავისი სახელი — ტიცე და ჩემი რეკომენდაციით
დაირქვა ტიციანი.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს
დამოუკიდებლობა. არ იფიქროთ, რომ ეს ნოე ფორდანიას დამ-
სახურება იყო. ეს გააქვთა ნოე რამიშვილმა. ნოე ფორდანიას
ლანჩხუთელი მღვდლის შეიღს რუსი ცოლი პყავდა — ქართ-
ველთა მოძღვე. საგულისხმოა, რომ რამიშვილს არ უყვარდა
ფორდანია:

— მე უნდა ვიყო შინაგან საქმეთა მინისტრი და ეგ პრეზი-
დენტიო?! — მეუბნებოდა.

ნოე რამიშვილი მენდობოდა, ყველაფერში მხარს მიჰერდა.
საწყალი პარიზში მოქლეს 1926 წელს, უკნიდან მიპარვით
ზურგში ესროლა ჭანუყვაძემ თუ კუპელიაძემ საბჭოთა უშიშ-
როების აგენტმა.

მე, თბილისის გენერალ-გუბერნატორმა, დაუაპატიმრე მიხა
ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, მამია ორაზელაშვილი, სერიოზა
ქაუთარაძე და სხვები.

1920 წელს მთავრობის ნებართვით და ჩემი განკარ-
გულებით ღვევალიზებული გახდა კომუნისტური პარტია.
ამიტომ იძულებული გავხდით ბოლშევიკები პატიმრობიდან
გაგვეთავისუფლებინა. ამის შემდგომ პირველად რუსეთმა სცნო
საქართველო, მერე გერმანიამ, თურქეთმა, ინგლისმა და არ-
გენტინამ.

ჩრდილოეთ ქაუთასითს მთავრობა რომ დაეცა და კიროვი
და ორჯონიძემ გროზნოში შემოვიდნენ, ჩვენთან მთავარსარდ-
ლად დაინიშნა გენერალი კვინიტაძე. ეს იყო მეფის გენერ-

ლის – ივანიკა კვინიტაძის ვაჟი. მან ქართული არ იცოდა. კვინიტაძის დანიშვნა იყო დიდი შეცდომა და ერთ-ერთი უძველესი ეზი ჩენი მარცხისა. სხვათაშორის, გავრცელებული შეცდებით აზრი, თითქოს შამილი გრიგოლ ორბელიანმა დაატყვევა, სინამდვილეში ივანიკა კვინიტაძემ შეიძყო შამილი...

როცა აფხაზეთის გენერალ-გუბერნატორად დამნიშვნეს, აფხაზეთის სათავეში იღვა მურზაყან ემხვარი, ქართული სულისკეთების აფხაზი თავადიშვილი. აქედან მეცხრე არმა მოდის, აღმოსავლეთიდან მეთერთმეტე. ეფურუშე ეშბას და ნებატორ ლაკიაბას უნდათ აფხაზეთი ჩამოაშორონ საქართველოს და გაასაბჭოონ. ამ დროს ნოე ფორდანია და მისი მთავრობა გასაქცევად ემზადება. ბოლშევიკები საქართველოში შემოსელას აპირებენ... წინააღმდეგობის გასაწევად მოვეტზადეთ და კახეთში, ქაქუცა ჩოლოფაშვილის მამულში უცხოეთიდან დიდძალი იარაღი შემოეიტანეთ. გაგვცეს და 1921 წლის 13 მაისს დამაპატიმრების მეტების ციხეში გამომქვეტების. შემდეგ მოსკოვში ეტაპით გადამიყვანეს. ლენინის პირადი რწმუნებული იყო გორგას პირველი ცოლი – ეკატერინე პავლოვნა პეშკოვა, რომელსაც კარგად უიცნობდი და მისოვის წერილის გადაცემა მოვაწერხ. პეშკოვა ლენინთან შუამდგომლობით შესულა, იმასაც განკარგულება გაუცია, მაღლაკელიძე საბჭოეთიდან დაუყოვნებლივ გააძველო (выдворить из страны советов). პეშკოვა დამეხმარა ლატვიის ვიზების გაფორმებაში და ჩემს გერმანელ ცოლთან და ვაჟიშვილთან, გაიოზთან ერთად რიგაში წავედო.

1923 წელს, ლატვიიდან გავემგზავრე პრაღაში.

(სხვათაშორის უბრწყინვალესი ქალბატონი, რუსეთის საიმპერიატორო სახლის უკანასკნელი წარმომადგენელი, ლეონიდა გიორგის ასული ბაგრატიონ-შუხრანელიც 1920 წელს რევოლუციური მთავრობის რისხეას, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ დიდგვაროვნებს, პეშკოვამ გადაარჩინა და თბილისიდან უცხოეთში გასვლაში დაემსარა.



ექატერინე პეშევას და მაქსიმ გორგას შეიღლაშვილი მარუა პეშევა, მე გავიცანი 1985 წელს მოსკოვში მექანიკაში მექანიკის თჯახში, როცა მე და ცნობილი ქიმიურ-ფისიონი რეზო ჩხეიძე მათ ვსტუმრობდით. ქალბატონი მარუა იყო სერგო ლავრენტის ძე ბერიას მეუღლე. (ავტ.)

ბევრი ვიწვალე, — განაგრძო ბატონმა შალვამ და ბოლოს 1934 წელს გერმანიაში ამოვევავი თავი. იმავე წელს პაულ ფონ ჰინდენბერგი, გერმანიის პრეზიდენტი გარდაიცვალა. მისი სიკვდილის შემდეგ პიტლერმა თავი სახელმწიფოს მეთაურად, მთავარისარდლად და რაიხსპიციალუნიტად გამოაცხადა.

დრო გავიდა, იქაურობას შეეწვიე. მჭიდრო კავშირი მქონდა ქართულ ემიგრაციასთან საფრანგეთში. ეროვნული პოლიტიკური ორგანიზაციის — „თეორი გიორგისა“ და ქართველ „ტრადიციონისტთა კავშირის“ დამფუძნებელი ვიყავი. სამსახური სამხედრო უწყებაში დავიწყე. 1939 წელს დავუახლოვდი ვილგერლმ კანარისს და გერმან გერინგს — გერმანიის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარისარდლობის წევრი გავხდი. იმ პერიოდში საინტერესო შეხვედრა მქონდა იტალიის მეფესთან — ვიქტორ ემანუელთან. 1939 წელს ვარშავიდან, სადაც საგანგებო დავალებით ვიყავი მივლინებული, რომ სამოვლოინდი ბერლინის აეროდრომზე გერინგი დამხვდა.

ომი დაიწყო. როცა გერმანელებმა ბაქოს ნავთობის ხელში ჩასავდებად კავკასიაში შემოჭრა დაპირებს, ემიგრანტ ქართველებს სამულებელი ბოლშევიკური რუსეთისაგან სამშობლოს დახსნის რეალური იმედი გაგეინდა. მაშინ მე ვერმახტის ქართული ლეგიონის მეთაური ვიყავი. ლეგიონი 1000 კაცს აჭარბებდა, ამიტომ დავყავი ბატალიონებად. კავკასიისკენ და-ვიძიარით. გაიოზი ჩემთან იყო ლეგიონში, მოგვიანებით ის გუდერიანთან გადაიყვანეს...

პიტლერს ერთხელ შევხვდი პრუსიაში, ტყეში, მის შტაბში, შელენბურგთან და გენერალ ქასტრინგთან ერთად.

ჩვენს ჩანაფიქრს, რომ ბოლშევიზმისგან გაგვეწავისუ-



ლებინა საქართველო, აღსრულება არ ეწერა: „კლელვაისის საგანგებოდ გაწვრთნილმა, რჩეულმა სამთო ბრიგადებში შემცირდა სინისა და ნაკრას უღელტეხილებზე ქართული შენარჩუნების სეან გამანადგურებელი მარცნი იწვნის. ხომ გერმანელების სამსახურში ვიდექი, გული სიამაყით ამივსო თანამემაშულეთა ამ გმირობამ – ვენაციალე, ქართულმა გენმა თავისი უპირატესობა დამტკიცა!

ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო ტყეებისთვის მრავალი ბანაკი არსებობდა. ჩემს ხელმძღვანელობას ვთხოვე, ქართველები გამოაცალ კევეთ, შევხდები და დაველაპარაკები, იქნებ გადმოვიდიოთ-მეთქი. ეს აზრი მოიწონეს.

– ნუ „ბუნტოვმჩიქობთ“, ყველაფერზე ნუ ბობოქრობთ. ვიცი, რომ იქრიბებით და რაღაც გვემბეს აწყობთ. ამათ ვერაფერს გამოაპარებთ და თავს ტყეულად დაიღუპავთ. მერედა, ვის ემსახურებით, ბოლშევიკებს? არ გონდათ საქართველო თავისუფალი ქვეყანა რომ განხდეს? მოგვეხმარეთ და ეს ვერლაფერი სასიკეთოდ შეიცვლება. გერმანელები უკე ქმნიან ნაციონალურ სამხედრო დაკიტუფებებს. თქვენც გაერთიანდით, გერმანელთა ნდობა მოიცოვთ. თუ ამას არ იზამთ, თავს წააგებთ. ტყეებისა თავი რომ დააღწიოთ, სულ ერთია, თქვენები არ დაგინდობენ-მეთქი! – მივმართე ტყეებს.

ჩემდა გასაოცრად, ბეჭრმა როდი გამოხატა აღტაცება. ისინი ბოლშევიკური იდეოლოგიით ისე იყვნენ მოწამლულები, არაფრის გაგონება არ სურდათ, თუმცა ნაწილმა თანამშრომლობაზე მზადყოფნა განაცხადა.

დარწმუნებული არ ვიყავი, რომ ეს ღონისძიება უთუოდ წარმატებული იქნებოდა, მაგრამ ცდა არ დამიკლია, რომ ქართველი ახალგაზრდა ვაჟკაცებისთვის სიცოცხლე შემენარჩუნებინა... კავკასიაში წარუმატებლობის შეძეგვ გერმანიაში დამაბრუნეს და გენტაბში გამამწესეს. 1944 წელს მომანიჭეს გენერლის წოდება, ეს დაამთხვიეს ჩემს 50 წლის იუბილეს. მაშინ საქართველო მაღალი თანამდებობა მექავა. წარმოიდგინეთ,



გენერლის ჩინით ვერმახტში ერთადერთი არაარიელი ვიყავი
ომი რომ დამთავრდა, ერთ ხანს კანცლერ კონრად ზერბადენი
ერის სამხედრო მრჩევლად ვმუშაობდი. უზრუნველად, მაგრამ
უსისარულოდ მიღიოდა ჩემი ცხოვრება. სამშობლოს გათა-
ვისუფლებაზე ოცნება საპნის ბუშტივით გასკდა, — განავრძო
თხრობა ბატონმა შალვამ, — ერთხელაც სამშა ვერმანელმა
საბჭოთა უმიშროების აგენტმა მოტყუებით ბერლინიდან მომი-
ტაცა. ეს მოხდა 1954 წლის 1 აგვისტოს...

სწრაფად გადამიყვანეს საბჭოთა ზონაში და გადამცეს რუს
სამხედროებს. იმავე დღეს მოიყვანეს ბერლინის აეროპორტი-
დან წინა დღეს მოტაცებული ჩემი მეორე ცოლი (ცოტაძის
ქალი) და ქალიშვილი... პირდაპირ აღმოსავლეთ ბერლინის
აეროპორტში, თვითმფრინავის ტრაპთან „მიგვაგრიალეს“ და
გადმოგვაფრინეს მოსკოვში...

ჯერ სასტუმრო „სოვეტსკაიაში“ ვცხოვრობდით, მერე კი
სასტუმრო „მოსკოვში“ და ბოლოს „სოკოლნიკებში“ — ბა-
რაქში, აუტანელ პირობებში.

მერე იყო ღუბიანკა და დილიდან გვიან ღამემდე განუ-
წყვეტელი დაკითხვები. მივხვდი, ჩემზე ყველა წერილმანი
იცოდნენ. მაინც ზედმიწევნით მაშობინეს ჩემი თავგადასავა-
ლი, თან მაგნიტოფონზე იწერდნენ. ბოლოს წინ დამიღეს
სუჟთად დაბეჭდდილი ავტობიოგრაფიის სულ სხვა ვარიანტი,
სხვა გვარ-სახელით. წამაკითხეს და ხელი მომაწერინეს, თან
მკაცრად გამაფრთხილეს, ამიერიდან ამ ბიოგრაფიით იცხ-
ოვრებოთ მოსკოვში, დაგინიშნავთ საარსებო საშუალებას, კონ-
ტაქტში კი არავისთან არ შეხვალთო...

რასაც დამპირდნენ, შემისრულები. ზოგჯერ მე ვურეკავდი
იქით, ვინაიდან ის „საარსებო საშუალება“ ძალიან მოკრძალე-
ბული იყო და არ მყოფნიდა. ქამარი შემოიჭირეო, მპასუხობდ-
ნენ. ფაქტოურად შინა პატიმრობაში ვიყავი.

ასე ვიცხოვრე გარევეული პერიოდი.

ერთხელაც მოვიდნენ და ისევ ღუბიანკაზე წამიყვანეს.



ვიფიქრე, ახლა კი წირვას გამომიყვანენ-შეთქა. წინ დამიღეს გერმანული გაზეთი, სადაც დეტალურად ეწერა - საიდან და როგორ მომიტაცეს, ვინ მომიტაცა, რომელი მარკი-სა და ნომრის მანქანით, როგორ გადამცეს საბჭოთა უშიშ-როებას და ა.შ.

ერთადერთი შეკითხვა პქონდათ: ვის შევხვდი და ვის ვესაუბრე ჩემს შესახებ.

- არც არავის შევხედრივარ და არც არავისთან მისაუ-ბრია, - ვუპასუხე... ერთ ხანს იქ მამყოფეს. ბოლოს გამო-მიშვეს, წადი და, სადაც გინდა, შენი გვარ-სახელით იცხ-ოვრეო. მგონი, დარწმუნდნენ, რომ ისევ თავისიანმა გასცა...

თბილისში ჩამოვედით. მას შემდეგ აქა ვართ. ერთი პე-რიოდი ადვოკატად ვმუშაობდი, მერე იქმდანაც დამითხოვეს.

აი, ეს საინტერესო ისტორია მიამბო შალვა მალლაკელ-იძემ, მაშინ ის 75 წლის იყო და მუშაობდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობაში იურისკონსულტად.

გარდაიცვალა 77 წლის ასაქში.

შალვა მალლაკელიძის მონათხრობმა გამახსენა ჩემი მოგ-ვარების - მამა-შეილის ტიტე და გივი მარგელაშვილების ბედი.

გერმანიაში განათლებამილებული ფილოსოფონის ტიტე მარგელაშვილი საქართველოს გასაბჭოების მერე ოჯახთან ერთად გერმანიაში გადასახლდა... ბერლინის უნივერსიტეტ-ში ფილოსოფიას ასწავლიდა და ქართველთა სათვისტომოს ედგა სათავეში. დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ ემიგრანტთა შორის მთელ ევროპაში. შალვა ნუცემდე მე-გობრობდა ტიტე მარგელაშვილთან. 1965 წელს, როდესაც პირველად ვიდავი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და შემდგომ წლებშიც - ქართველი ემიგრანტები - ნიკოლოზ ჯანელიძე, გიორგი ქორძახია, ვახტანგ ჩხაიძე, ქრისტეფორე კირკიტაძე, ვახტანგ ვეჯენგაძე და სხვები მეკითხებოდნენ, ვინ

იყვნენ ტიტე და გივი მარგველაშვილები ჩემი? სამწუხაროდ,
ისინი ჩემი ნათესავები არ არიან.

გივი ბერლინში დაიბადა. ომის დამთავრების შემდეგ „მამა-შვილი“ მოტკუპით გადაიცვანეს ბერლინის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში და ზაქენიძაუშნის საქონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. ტიტე რვა თვე აწამეს, ბოლოს დახვრიტეს. ყოფილ ნაცისტურ ბანაკში გივი მარგველაშვილმა ორი წელი დაჲყო. ამის შემდეგ იგი თბილისში გამოამგზავრეს. ქართულის არმცოდნემ, იცოდა მხოლოდ ევროპული ენები. კითხულობდა ლექციებს უცხო ენათა ინსტიტუტში და უნივერსიტეტში. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში, წერდა რომანებს, პოემებს, მოთხრობებსა და ლექსებს გერმანულ ენაზე... თუმცა არც ერთი მისი ნაწარმოები საქართველოში არ გამოცემულა. მხოლოდ 40 წლის შემდეგ მიეცა საშუალება დაბრუნებულიყო გერმანიაში. სწორედ იქ დაიბეჭდა მისი ნაწარმოებები... იგი აღიარეს თანამედროვეობის თვალსაჩინო შემოქმედად და ფილოსოფიასად. გერმანიაში მასზე გადაიღეს დოკუმეტური ტელეფილმი. ლექციებს კითხულობდა გერმანიის და აშშ-ის უნივერსიტეტებში. 1997 წელს აირჩიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. ამჟამად ცხოვრობს ბერლინში.

მამობრძალი ცობათი

ახალგაზრდობაში, სამუშაოთა მწარმოებელი რომელიმე მუნიციპალიტეტის მინისტრის აღმინისტრაციული და ამავე სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტის შენობებს ვაშენებდი. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა ნიკოლოზ აბრამიშვილი, ჩემი უშუალო დამტკვეთი. უკვე ასაკოვანი, დარბაისელი, კულტურული და სასიამოვნო აღაშიანი.

ერთხელ ბატონში ნიკოლოზშია ასეთი რამ მიამბო:

— ახალგაზრდობაში ვცხოვრობდი ხაშურში. ახალი დაოჯახებული ვიყავი. ჩემი ცოლი პეტა (პეტრე) კაპანაძის შეიძლი იყო. პეტა და სოსო ჯულაშვილი გორის სასულიერო სესინარიაში ერთად სწავლობდნენ.

ძალიან ხელმოკლედ ვცხოვრობდით, იმდენად გვიჭირდა, რომ როცა ჩემი სიღვრი, პეტას ცოლი გარდაიცვალა, ფულის სესხება დაგვჭირდა, კველა წესი და ადათი რომ შევესრულებინა.

აღო პეტაშ პროცენტიანი ვალი. მისი გადახდის შესაძლებლობა კი თეორიულადაც არ არსებობდა.

შევუჩინდით მე და ჩემი ცოლი პეტას, რათა მიემართა სტალინისთვის და ვოხოვა ფულით დახმარება. შემდეგ, ღმერთი მოწყალეა და იმდი გვქონდა გავისტუმრებდით პროცენტიან ვალისაც კი.

ძალიან არ უნდოდა მოსკოვში წერილის გაგზავნა, მაგრამ არ მოექმენით და დავიყოლიეთ, რადგან თვითონაც შესანიშნავად იციდა, რომ სხვა გზა, სხვა საშუალება ვალის გასტუმრებისა თვალსა არ გააჩნდა.

მიწერა პეტაშ სოსოს წერილი.

გადის სამ თვეზე მეტი და მოსკოვიდან ვიღებთ დეპეშას:
 „Молния Грузия ст Хашури Народному учителю Петру Капанадзе Твоё письмо передали мис позавчера опозданием



два месяца Твоя просьба будет исполнена привет Сталин-

Мы хотим выразить благодарность Вам за Ваше письмо, в котором Вы просите оказать помощь в решении вопроса о предоставлении Вам гражданства СССР. Мы благодарим Вас за Ваше письмо и просим передать Вам наши самые теплые поздравления.

Документ был подписан 5 декабря 1933 года.

На том же дне, когда было получено письмо, было решено, что Петру Капанадзе будет предоставлено гражданство СССР. А это было сделано на заседании Президиума Центрального комитета КПСС, состоявшемся 5 декабря 1933 года. В этот же день было решено, что Петру Капанадзе будет предоставлено гражданство СССР. А это было сделано на заседании Президиума Центрального комитета КПСС, состоявшемся 5 декабря 1933 года.

А также было решено, что Петру Капанадзе будет предоставлено гражданство СССР. А это было сделано на заседании Президиума Центрального комитета КПСС, состоявшемся 5 декабря 1933 года.

Что же произошло дальше? А еще через неделю Петру Капанадзе было предоставлено гражданство СССР. А это было сделано на заседании Президиума Центрального комитета КПСС, состоявшемся 5 декабря 1933 года.

Петру Капанадзе было предоставлено гражданство СССР. А это было сделано на заседании Президиума Центрального комитета КПСС, состоявшемся 5 декабря 1933 года.

Петру Капанадзе было предоставлено гражданство СССР.

Петру Капанадзе было предоставлено гражданство СССР.

Петру Капанадзе было предоставлено гражданство СССР.

Петру Капанадзе было предоставлено гражданство СССР. А это было сделано на заседании Президиума Центрального комитета КПСС, состоявшемся 5 декабря 1933 года.

— Кто здесь Петре Капанадзе? — спросил я.

— Я, — ответил я.

— Представьте Ваши документы, — сказал я.

Петру Капанадзе было предоставлено гражданство СССР. А это было сделано на заседании Президиума Центрального комитета КПСС, состоявшемся 5 декабря 1933 года.

Петру Капанадзе было предоставлено гражданство СССР. А это было сделано на заседании Президиума Центрального комитета КПСС, состоявшемся 5 декабря 1933 года.

Петру Капанадзе было предоставлено гражданство СССР. А это было сделано на заседании Президиума Центрального комитета КПСС, состоявшемся 5 декабря 1933 года.

პეტრე ქაპანაძე იღვა, მიაწოდა კონვერტი. კონვერტში კა
 ეს წერილი იდო:

„პეტას გაუმარჯოს!

ჩემი დეპეშა, როგორც ჩანს, მიგიღია. გიგზავნი ორი ათას
 მანეთს. მეტი არა მაქვს. ეს ფული ჩემი გონირარია. ჩვენ
 აქ გონირარის არ ვიღებთ საზოგადოდ, — მხოლოდ განსა-
 კუთრებულ შემთხვევაში ვიღებთ ხანდახან. შენი გაჭირვე-
 ბა ჩემთვის განსაკუთრებული შემთხვევაა და ამიტომ ავიღე
 გონირარი, რომ შენთვის გამოეიყენო. გარდა ამ ფულისა შენ
 მოგცემენ სესხათ 3000 მანეთს. მე გელაბარსაც ამის შესახებ
 ბერიას (ამიერკავკასიის საოლქო მდივანია), და იმან სიტყვა
 მომცა — უეჭველათ აღვასრულებო. მაშ ასე: — 2000 მანეთი
 მიიღე, როგორც ჩემი მეგობრული ნობათი, და 3000 მანეთი
 — როგორც სესხი.

იცოცხლე მრავალჭამიერ

შენი სოსო.

7.XII.33 წ.“

მეორე დღეს რაიკომის პირველმა მდივანმა კარგი ძღვენი
 გამოგვიყზავნა.

თვალში გამოვიწედეთ.

ბერიასთანაც ვიყავით მისასვლელები და ჩავკდით თბი-
 ლისში.

დაუყოვნებლივ მიიღეს პეტა ქაპანაძე ამიერკავკასიის
 საოლქო კომიტეტში. მე გარეთ ველოდი.

ბერიას ჯერ წვრილად გამოიყენებავს პეტასთვის, როგორ
 ცხოვრიბდა, რას აკეთებდა, შემდეგ გამოიუღია უკრა, ამოუღია
 კონვერტი 3000 მანეთით და, ეს ჩემგან საჩუქრად გქონდეთო
 — უთქვაშ...

პეტამ სასტიკად იუარა თურმე: სესხად კი, ბატონი, როგორც
 სოსომ მოიწერა, მაგრამ საჩუქრად, არაურის დიდებითო.

არ გაუვიდა უარის თქმა ლავრენტი პავლოვიჩთან. ეგ კი
 არა, ბერიას უკითხავს, კიდევ რა გურუთ, რით დაგეხმაროთო.

პეტას მადლობა მოუხსენებია კველაფრისთვის, მეტი რა უნდა გვინდოდესო. მაგრამ ლავრენტის უთქვამს, ახლა შესძლება კარგად მოიფიქრეთ და მე ხვალ გელოდებითო.

ასე დამშეიძლობებიან ერთმანეთს.

როცა ამ კველაფრის სიმამრი სიძეს მოუყვა, სიძე შეუჩნდა, ბინა ვთხოვოთ თბილისში, თორემ ახლად დაქორწინებულებს ხაშურში იატაკზე გვძინავს და ამ გაჭირვებიდან ვერასოდეს ამოვალოთო.

მეორე დღეს ბერიამ სიძე-სიმამრი ერთად მიიღო:

— აბა, რა მოიფიქრეთ?

უთქვამთ ამათ ბინის შესახებ და დიდი ბოდიში მოუხდიათ, ასეთი თხოვნით რომ გაწუხებთო.

გამოიძახა ბერიამ თავისი თანამშრომელი, — „წაიყვანე, ის ბინები აჩენე და რომელიც მოეწონებათ, გაუუორმეთო“.

გამომშვიდობებიან ბერიას დიდად მადლიერი ხაშურელები, რომელთაც თბილისში გადმოსვლის რეალური პერსპექტივა გაუჩნდათ. მანქანით მიიყვანა ბერიას თანამშრომელმა ჭავჭავაძის ქუჩაზე — თპერის წინ და შეიყვანა სხვა შენობებთან შედარებით ახლად აგებული საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთ ბინაში.

— მოგწონ? — შეეკითხა.

ასეთი აპარტამენტების დაბახავა სიძე-სიმამრს ხმის ამოღების უნარი წარომევიათ და პასუხის გაცემა უცემ ვერ მოუხერხებიათ.

მათმა მეგზურმა ეს დაყოვნება დაწუნებად აღიქვა:

— თუ არ მოგწონთ წავიდეთ, სხვა ბინას განახებთო.

— რას ამბობთ, მოგვწონს, როგორ არ მოგვწონს. ზღაპრული ბინა არისო.

ის დღე იყო, და მას შემდეგ აბრაძიშვილების ოჯახს საცხოვრებელი ადგილი არ შეუცელია. ამ ამბავს რომ მომიყვა, მაშინაც იმ ბინაში, ცხოვრობდა...



სამამულო ომის დაწყებიდან რამდენიმე თვეში სოსოციალური პეტა მოსკოვში იხმო.

ჩავიდა პეტა კაპანაძე მოსკოვში. დახვდნენ. შეიცვალეს სტალინის მოქრძალებულ ბინაში და დაეღმოდეთო, უთხრეს.

კარგა ზანს ელოდა და საღლაც ნაშააღამვეს დაბრუნდა ბელადი.

ძალიან თბილად შეხვდნენ ერთმანეთს ბავშვობის მეგობრები. ამდენი წლის უნახავებს გასახსენებელი ბევრი პქრნდათ.

ივანშვეს, საუბრით გული იჯერეს. გამოენისას დაიძინეს.

შეორე დღესაც იგივე განმეორდა. შეწუხდა პეტა: ამ ადამიანს მოელი ქვეყნის საქმე შხრებზე აწევს. აქ კიდევ — ომი, გერმანელები უტკვენ, ფრონტზე საქმეები ცედად მიდის, დიდია მსხვერპლი.

სტალინს სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეობა, თავდაცვის სახალხო კომისრობაც და სახკომსაბჭოს თავმჯდომარეობაც შეთავსებული პქრნდა. აგრე კიდევ პეტას მასპინძლობა, მასთან შეაღამით საათობით საუბარი.

შებედა პეტამ სოსოც:

— დაისვენე, სოსო, მთელი დღის ნაშემევარმა ადამიანმა ხომ უნდა მოისვენოს, დამე ხომ უნდა დაიძინოს რამდენიმე საათი მაინც.

— რას ამბობ, კაცო, მე შენთან ყოფნა მსიამოვნებს და შენთან საუბრის დროს ვისვენებ.

მერე იხსენებდა პეტა, რომ როცა ვერაფრით დაარწმუნებდა სოსოს, ეტყოდა — მე მეძინებაო.

— არაუკერიც არ გეძინება, — გაკანწლავდა სტალინი, — არ გავივა ეგ ეშმაკობათ, — და ვრძელდეოდა ღამის საუბრები.

ერთ ოთახში იწვენენ. პეტას საწოლი დაუდგეს, სტალინი კი, როგორც ყოველთვის დივანზე იძინებდა.

პეტა იხსენებდა, რომ როცა ძალიან გაუკრძალდებოდათ



დამის საუბრები, მორიდებულ ხვრინვას ამოუშვებდა, კითომ ჩაეძინა და ამით სტალინისთვის დასვენების საშუალება მიეცია სტალინს თავისთვის ჩაულაპარაკია: — ჩაგეძინა, შე ღმერთ-ძალლო?

ანლობელი ადამიანი სჭირდებოდა სტალინს, ურთიერთობები რომელიც ბავშვობიდან ტქბილად ახსოვდა და რომლებიც ასე აკლდა მას. სულ ოფიციალურ გარემოში იმყოფებოდა, უბრალო ადამიანური ურთიერთობა ენატრებოდა. მეორე ცოლამა ნადიამ თავი მოიკლა (ფსიქიკური აშლილობა დადიდან მოსდგამდა), უფროსი ვაჟი იაკობი ფრონტზე დაიღუპა, ვასია ურონტზე იბრძოდა, სკეტლანას თავისი გატაცებები გაუჩნდა.

სულ მარტო დარჩა.

ამიტომ სჭირდებოდა ადამიანური, თბილი, უშუალო, თავისუფალი ურთიერთობა... თანადგომა და თანაგრძნობა, ანუ ისეთი მიკროგარემო, რომელშიც თავს კვლავ სოსოდ იგრძნობდა, სოსო ჯუღაშვილად და თუნდაც ორიოდ საათით გათავისუფლდებოდა სახელმწიფოს მეთაურის კოლოსალური ტვირთისგან.

ტიტანი იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ იყო ადამიანიც, თავისი ადამიანური სისუსტეებით, რომელთა მოთოკვა მას კარგად შეეძლო. მაგრამ მაშინაც კი, როცა განსაკუთრებით კრიტიკული ვითარება იყო, როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, ნერვიული სტრესის გასანეიტრალებლად მცირეოდენი განმეხტვის უფლება მისცა საკუთარ თავს.

ერთი კვირის თავზე პეტამ სოსოს სოხოვა, წავალ საქართველოში.

დათანხმებია გულდაწყვეტილი სტალინი.

გავიდა დრო. ფაშისტებს დასავლეთისკენ მიერეცებიან. გარდატეხაა ფრონტებზე. კვლავ მიიწვია სოსომ პეტა — კარგად დაქტერა მისი ჩასელა მოსკოვში.

ომის დამთავრების შემდევ, ლიკანში დასასვენებლად მყოფმა სოსომ კვლავ მოინატრა პეტა და თავისთან მიიპატიფა...



— ამასობაში, — მიყვება ნიკოლოზ აბრამიშვილი, — ერთი
ცუდი ამბავი მოხდა. ჩემს ცოლის ძმას, რომელიც წერილი
სათრით მოსკოვში ჩაიყვანეს, ასწავლეს და დაასაქმეს, ერთხ-
ელაც გაუგებრობაში მოხევდრილს შემთხვევით კაცი შემოაკვ-
და...

პეტა სტალინთან „გაამწესეს“ ოჯახის წევრებმა — სიხ-
ოვე, ეგებ უშველოსო. ჩავიდა პეტა მოსკოვში და უამბო ეს
ამბავი სტალინს:

— კაცი შემოაკვდა ჩემს ბიჭს. სოხო, უნდა დამეხმა-
როო...

შეწუხებულა სტალინი და ჩვეულებისამებრ ჩაფიქრებულს
ბოლთის ცემა დაუწყია. მცირე პაუზის შემდეგ პეტასკუნ შე-
მოტრიალებულა:

— რა უცნაური ხალხი გართ ეს ქართველები. ასეთი სი-
ტყვა, მგონი, ქართულის გარდა, არცერთ სხვა ენაში არ უნდა
იყოს. რას პქვია შემოაკვდა?! მოკლა ადამიანი და პირდაპირ
ასე თქვი შე კაცოო...

უარით ვერ გამოისტუმრა სიყრმის მეგობარი და პატიმ-
რობიდან ვაღაზე ადრე გაანთავისუფლებინა ის ახალგაზრდა.

სიმღერება სსიტლაშვი

ბევრ საინტერესო პიროვნებას შევხვედრივარ ჩემი—უჭირებები იყრინების მანძილზე და ერთ-ერთი გამორჩეული სიმღერია სხირტლაძე იყო. იგი საქართველოში ცნობილი პედაგოგი გახლდათ, ქართული ლიტერატურის სპეციალისტი, ფილოლოგი და იმავე დროს განთქმული თამადა, წარმატებული და მრავალმხრივ განსწავლული კაცი. იგი თავის მოწაფებს არა მარტო ქართული ლიტერატურის მოყარულ და დამფუძნებელ ადამიანებად ზრდიდა, არამედ, ჭეშმარიტ პატრიოტებადაც. ასწავლიდა ადამიანური ცხოვრების ტრადიციულ კანონებს.

მომსწრე ვარ ჭირისა და ლხინის სუფრებზე მისი თამაღლების. ამ მხრივ მას ვფიქრობ ვერავინ შევდრებოდა...

იგი განეკუთვნებოდა თამადათა იმ კატეგორიას, რომლის სათავეებთან აღიარათ შედან ჭილაძე და გულბათ ჭავჭავაძე მოიაზრებოდნენ...

ერთ ამბავს გავიხსენებ. ცნობილმა მშენებელმა ზურაბ ჯაფარიძემ, თავისი ვაჟის გიასა და მისი რჩეულის – მარინა ერისთავის ქორწილში დამსატიქა. (გია, დღეს სახელოვანი მხატვარი-სკულპტორი და მისი უსათნოები მეუღლე მარინა, ამჟამად ჩემი მძახლები არიან.)

დიდი ქორწილია. გიას სახელოსნოში უზარსაზარი სუფრაა გაშლილი. თამადა სიმღერია. ქორწილს უძღვება ზღაპრულად.

ქრისტი დაწყებული იყო, როცა ქალბატონი ნინა უყანია და მისი მაზლი მამია ზოდელავა მოვიდნენ. ზამთარია. ქალბატონ ნინას „ჩერნაბურქა“ აქვს მხრებზე მოგდებული, „შლაპა“ ახურავს.

შემოვიდნენ და ჯერ კიდევ კარებში იდგნენ, როცა სიმღერია სხირტლაძემ თვალი მოპქრა მათ, წამოდგა და ისეთი დიდებული სიტყვა უთხრა ქალბატონ ნინას, რომ მისი გამეო-



რება ჩემს შესაძლებლობას აღემატება. შემდეგ აიღო უშველეული ბელი ყანწი და მიმართა შემოსწრებულებს:

— ამ ყანწით შევსვი ნეუე-ლელოფლის სადღეგრძელო და თქვენცა გთხოვთ სიტყვა შეგვაწიეთ.

ნინა ჟვანიამ, ისე რომ წარბიც არ შეუხრია, უპასუხა:

— მესროლე ეგ ყანწიო!

გადავირიე: ხომ არ გაგოუდნენ-მეთქი. სუფრის თავიდან ბოლოში ყანწი რომ ესროლა, ნინას კერ დაეჭირა და ვინმეს თავში მოხვედროდა, ხომ უბედურება დატრიალდებოდა?

სიმონიკამ მართლაც ისროლა ყანწი... ნინამ იგი მოხდენილად დაიჭირა... და ხალხმაც შევბით ამოისუნთქა.

მაგრამ ეს მხოლოდ შევენიერი სანახაობის დასაწყისი იყო. ქალბატონმა ნინამ ყანწის შევსება ითხოვა.

შეუვსეს.

ჯერ ისევ ქარებში იდგნენ ნინა და მამია. წარმოსთქვა ნინამ სადღეგრძელო და მოიყედა ყანწი. მამია ჩუმად „უკუ-დრება“ — დამიტოვეთ. მაგრამ ნინა ჟვანია, რის ნინა ჟვანია იქნებოდა, ბოლოობდე რომ არ გამოეცალა.

გამოცალა: ასე მტერი დაგეცალოთო და ისე გადასცა მამიას...

ცნობილია, რომ 1952 წელს დასაწყისში მამია ზოდელავა „შევრელთა საქმის“ მღვრიე ტალღაში მოყვა... იგი დააპატიმრეს და გადასახლეს...

წყალტუბოში ვისვენებდი. მამიაც იქ იყო მეუღლესთან ერთად. ერთ შევენიერ დღეს თავისთან მიმიწვდა შეიღლის — ანდროს გამოგზავნილ პურმარილზე, რომელიც მაშინ ზუგდიდის ქალაქების პირველ მდივნად მუშაობდა. მხოლოდ ორნი ვიფავით. მისი კეთილშობილი და საონო მეუღლე, ქალბატონი ტურფა გვემსახურებოდა.

მაშინ მომიყვა მამია ზოდელავა, როგორ დააპატიმრეს, როგორ დახვდნენ საღამოს კომკავშირის ცეკადან გამოსულს ჩეკისტები, აქეთ-იქით ამოუდგნენ და ჩასვეს მანქანაში...



სულ წერილად გვებოდა კველაფერს, ეტყობა, უნდოდა
რომ ვინმესთვის მოეთხორო თავისი მძიმე თავგადაშემუშავები
რომელიც ისევე უცნაურად დამთავრდა, როგორც დაიწერ.

— სტალინის გარდაცვალების შემდეგ გაგვათავისუფლება.
გადასახლებიდან დაბრუნებული მოსკოვში ლავრენტი ბერია-
სთან მიმიყვანეს. შევედი მის უზარმაშარ კაბინეტში და აღ-
მოეჩნდი მარტო. მოულოდნელად გრძელი და ფართო მავიღის
თავში იატაკიდან ამოიზიდა სავარძელში მჯდომი ბერია —
შევცბი. მომესალმა. მომიკითხა, დამსეა, მესაუბრა და საუბრის
ბოლოს მითხრა, რომ თბილისში ჩასელისთანავე შემაობას
დავიწყებდი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
პირველ მოაღვილედ (თავმჯდომარე მაშინ ვაღერიან ბაქრაძე
იყო).

გამიკვირდა, გადასახლებიდან პირდაპირ ასეთ მაღალ თან-
ამდებობაზე დანიშვნა...

ბერია დამეშვეიდობა და ისევ მოულოდნელად სავარძელში
მჯდომი იატაკის სიღრმეში გაუჩინარდა...

* * *

სიმონიკა სხირტლაძე ერთხელ ასეთ საოცარ ამბავს მო-
მიყვა:

— ზამთარი იყო. მევობრის ოჯახში დიღლამდე ვიქეიფეთ.
დილა-უორნა გამოვედით რესთაველზე და „გემოში“ ხაშუე
ჩავედით. კვირა დღე გათენებული იყო, როცა დიღლის სუფრი-
დან ავიშალენით...

მივუკვებით ზემელს. ზღაპრული ამინდია. ყინვიანი კრიალა
დიღლაა. ბარდნის. თბილისი თოვლის საბურველშია გახვეული
და ვხედავ: მოსკოვის ქუჩიდან ჩამოდის ღვთაება, ულამაზესი
ქალი, მოდის ისე რომ მიწას ფეხს არ აკარებს. ქუჩის აღ-
მართის შეყოლილი ხალხი ხან რას ეჭიდება, ხან — რას, თავი



რომ შეიძაგროს. ეს საოცრება კი ისე მოდის, თითქოს ყინულის ღისგან მოღიპულ ქვაფენილზე კი არა, მისთვის დაგჭირებულია თეორ ხალიჩაზე მოაბიჯებდეს.

ნატო ვაჩნაძე!

თეორ ქურქშია შემოსილი, თეორი მეღიას ბეწვით მხრებზე.

მოდის და მოაქვს ქვეყნა.

რომ მოგვიახლოვდა, უცებ გაეიხადე ტყავის პალტო, ფეხ-ქაშ გაუფინე და მუხლი მოვიყარე. არ შეჩერებულა, შედგა ფეხი ჩემ პალტოზე, ოდნავ შეყოვნდა, გაგვიღიმა თავისი შეედარებელი ღიძილით, თავი დაგვიკრა და გზა განაგრძო.

მოვიხედე და ყველა მუხლმოღრექილი გავყურებდით ამ სილამაზეს. ის კი მიდიოდა და მიანათებდა.

ლადოს ლექსისა არ იყოს, „სხვა რომ არა იყოს რა,ჩერნ ამ ლამაზი ქალების ეში დაგვიფარავდა“...

მაღლებულის მარავა

ოცდაზუთი წლისა ვიყავი, როცა მაღნეულის სამიცუდებელობის დიდობებელი კომბინატის შენებლობის უფროსად დამნიშნეს. ხელმძღვანელ თანამდებობებზე ახალგაზრდების დაწინაურება აღარავის უკვირს და მეც, ეს არნაზულ საოცრებად არ მიმაჩნია. მაგრამ... აქ ერთი მომენტი, ერთი მნიშვნელოვანი წე-
ალგამყოფია ძველ და ახლანდელ საკადრო პოლიტიკას შო-
რის. ეს არის გამოცდილება და პროფესიონალიზმი — მთავარი
პრინციპი, რომელიც ჩემს უძარვილკაცობაში განსაზღვრავდა
ფოკუს თანამდებობრივ გადაადგილებას.

სამწუხაროდ, დღეს ხშირად ეს პრინციპი უგულვებელყო-
ფილია...

მე რატომდა დამაწინაურეს? საქმე ის არის, რომ „მად-
ნეულმშენები“ მისკვლამდე შენებლის სერიოზული გზა მქონდა
გავლილი. სადაც კი მიმუშავა, დაკისრებულ მოუკალებას
შეეღან კარგად ვასრულებდი. გამოცდილებაც, იცოცხლეთ,
დამიკროვდა. ათასი თვალი მაკვირდებოდა. შემნიშნეს და...
მწვანე შუქიც ამის შემდევ ამინთეს...

აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ახალბედა ხელმძღვანელს
უფროსი და უმდიდრესი გამოცდილების მქონე პროფესიონ-
ალები ბედის ანაბარა არასოდეს ტოვებდნენ. ჩემს მაგალი-
თზე შემძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ მათი ზრუნვა და
თანადგომა სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებსაც არ მოჰკლებიათ. ეს
მათ საქმეზეც თვალნათლივ აისახებოდა და საერთო წარმატე-
ბასაც ხელს უწყობდა.

ნამდვილად გამიმართლა, რომ სამშენებლო ტრესტებში,
„ამიერკავკასიის მეტალურგმშენები“, შემდევ „საქართველოს
შახტმშენები“ ისეთი პროფესიონალების, სამშენებლო საქმის
დიდი ორგანიზატორების, არაჩეულებრივად გულისხმიერი
ადამიანების ხელმძღვანელობით ვმუშაობდი, როგორებიც იყვნენ
ბატონები ზურაბ ჯაფარიძე და შალვა გარდაუჩაძე. სწორედ



მათგან ვსწავლობდი, ვხევწდი და ვიღრმავებდი ცოდნას, ვიზ-
რდებოდი, როგორც შშენებლობის მომავალი ორგანიზაციული მიზანებით.

მაღიან მეხმარებოდა კომუნიკაციელობაც. მყარი და გულ-
წრფელი ურთიერთობები ჩამომიყალიბდა სამშენებლო დარიგის
როგორც საქართველოს, ასევე საკავშირო ხელმძღვანელებთან.
ასეთი კონტაქტები იმ დროს ბევრს ნიშნავდა. მათ შესახებ
ცოტა მოგვიანებით ვიტყვი, ახლა კი მაღნეულის პერიოდს
გავიხსენებ.

შშენებლობის მაშინდელმა მინისტრმა ვრიგოლ ვაშაკიძემ,
მართლაც არაჩვეულებრივმა პიროვნებამ, „მაღნეულმშენის“
უფროსად ჩემი დანიშნის ბრძანებას წელი რომ მოაწერა,
სწორედ იმ დღეს გაეხდი 25 წლის. ეს მოხდა 1967 წლის
6 სექტემბერს.

მაღნეულის სამთა-გამამდიდრებელი კომბინატის შშენ-
ებლობის დამკვეთი ფერადი მეტალურგიის საკავშირო სამინ-
ისტრო იყო. მინისტრი პეტრე ლომაკო გახლდათ, შშენიერი
გარევნობის, მრავალმხრივ თვალსაჩინო კაცი – გულისხმიერი
და დიდი პროფესიონალი (Петრ ფადეევიჩ – ასე მივმართავდით
მას). ლომაკო, სცოდალისტური შრომის გმირი, ფერადი მეტა-
ლურგიის მინისტრად სამჯერ დანიშნეს. პირველად 1950 წელს,
საერთო ჯამში მან 28 წელი იმუშავა ამ თანამდებობაზე, იყო
საკავშირო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარეც... პირველად
მაღნეულში, ლომაკო მაშინდელ საქართველოს ცენტ პირველ
მდივანთან ვასილ მჭავანაძესთან ერთად გვესტუმრა.

დიდი საწარმოო თაობირი რომ დამთავრდა, მყავანაძემ
გამისმო და დაწერილებით გამომკითხა, როგორი მდგომარეობა
გვქონდა მუშანელით შშენებლობის უზრუნველყოფის საკითხ-
ში. ეს თემა თაობირზე მე წამოვჭერი, ვთქვი, მაღნეულის
შშენებლობაზე ჭველაზე დიდი პრობლემა კადრებით უზრუნვე-
ლყოფა რომ იყო. ეტყობა ამით რესპუბლიკის ხელმძღვანელი
დაინტერესდა.

– მე ვატყობო, – მითხრა მან, – რომ თქვენთან სწრაფად

იზრდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა, რაც მუშახელის შესაბამისად გაზრდის აუცილებლობის წილი გაავრცელდება.

— ჩეკინ ხალხის ძალიან დიდ დუუიციტს განვიცდით, — დავუდასტურე.

— ვინ მუშაობს თქვენთან ძირითადად? — ქვლავ მეცითხვა.

უკასუხე, რომ ჩეკინთან უმეტესად ადგილობრივები მუშაობენ: ქართველები, რუსები, ბერძნები, სომხები, აზერბაიჯანელები, თქვენ წარმოიდგინეთ, გერმანელებიც კი... ისიც უფიხარი, რომ მშენებლობაზე დასაქმებული ხალხის სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობები ნორმალურია, ხუთსართულიანიდან გადავდივართ ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე და რომ კვალიფიციური მუშის ხელფასი მაღალია.

კედავ, რომ ყურადღებით მისმენს და ვაგრძელებ საუბარს:

— ძალიან ბევრ წერილს ვიღებთ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან დემობილიზებული ახალგაზრდებისგან, ისინი მზად არიან იმუშაონ ჩეკინთან და არაფერს განსაკუთრებულს არ ითხოვენ. ერთადერთი პირობა საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფაა.

— სწორედ ვაა ყურადღებამისაქცევი: ჩამოვა, დაოჯახდება, აქვე დასახლდება.

— რა თქმა უნდა, ასე იქნება-მეთქი.

— პოდა, მაგ საქმეს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩეკინი რაიონებიდან მოვიზიდოთ მაღნეულში ახალგაზრდობა. დიდად პერსექტიულია მაღნეულის კომბინატი, აქ მშენებლობაზე დასაქმებული ხალხი, საწარმოს ამოქმედების შემდევ იქ გადავა სამუშაოდ, ფეხს მოიკიდებს, ოჯახს შექმნის, აქვე დარჩება საცხოვრებლად და სამუშაოდ.

ლაპარაკობდა ვასილ მუკანაძე თითქოს მხოლოდ მშენ-



ებლობის უკეთ ორგანიზაციის საკითხებზე და ვხვდებოდი, რომ ეს, ცხოვრებით დაბრტყენებული ადამიანი, მე უკიდესი გაზრდა კაცს – მიმანიშნებდა, რომ წარმოების ორგანიზების საკითხების გარდა არსებობს უპირველესი ფასეულობა და საფუძველითა საფუძველი – მამულიშვილური გრძნობა, ეროვნული სულისკვეთება...

– ანალგაზრდობის აქ მოსაზიდად ქომქავშირს ვთხოვ ჩაერთოს. მათ კარგად ეხევრხებათ ასეთი საქმეებისთვის ანალგაზრდების მობილიზება.

მაშინ შევთავაზე:

– არის ასეთი კატეგორიის ხალხი – პირობით მსჯავრდებული, რომლებიც რეციდივისტების კატეგორიას არ განეკუთვნებიან. როგორც ვიცი, მათი დასაქმება უჭირს შრომაგასტორების სტრუქტურას. ჯანმავარი ანალგაზრდები არიან, რომელთაც ქრისტელ, შემთხვევით დაუცდათ ფეხი ცხოვრებაში. მათი მიმარტება ჩვენს შექნებლობაზე შრომით დასაქმებასაც შეუწყობს ხელს, მათ გამოსწორებასაც და მაღნულის საქმესაც.

დამეთანხმა.

შევთანხმდით, რომ ამ კონტინგენტს მე კი არ უხელმძღვანელებდი, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოვლინებული თანამშრომლები. შექნებლობის ზელმძღვანელობა სწორედ მათ მისცემდა სამუშაოთა განაწესს და მათვე მოხსოვდა საქმის შესრულებას.

ჩვენ კი უზრუნველყოფით საცხოვრებლით, საყოფაცხოვრებო პირობებით.

მოკლედ, ჩამოვიდა შექნებლობაზე ქომქავშირის ცე-ს პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი და საქმეც სწრაფად დაიძრა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმაც თპერატულად ადგილზე შეისწავლეს სიტუაცია, ჩვენ ფერადი მეტალურგიის სამინისტროს ვთხოვთ და გამოგვიყო 60 ადგილიანი ხის ოთხი ანაკრები საერთო საცხოვრებელი. თითოს ასაწყობად ერთი კვირაც არ დაგვიზარჯავს. მაქსიმალურად



უზრუნველყოფა ახლადიამოსულები ნორმალური საცხოვრებელი პირობებით, და აეწყო საქშე. შუშახელის პროცესის მიზანითადად მოიხსნა: რესპუბლიკის გარედან მათი შემოყვანა აღარ დაგვჭირვებია...

პირობებით მსჯავრდებულებთან დაკავშირებით ასეთი შემთხვევა მასტენდება.

კაზრეთში ვარ, საღამოა. ჩემს კაბინეტში ვმუშაობ. იღება კარი და შემოდის ცნობილი კომპოზიტორი გოგი ცაბაძე მე-გობართან ერთად.

გოგი მეუბნება:

— გავიგე, რომ გულისხმიერი კაცი ხართ და ამიტომ გა-დავწყვიტე პირდაპირ თქვენთან მოსვლა ერთი სათხოეარით. პირობებით მსჯავრდებულთა შერის ერთი ჩვენი მეგობრის შეიღლი შუშაობს თქვენთან. წვალ ამ ჩვენი მეგობრის იუბილეა. გვინდოდა განსაკუთრებული პატივი გვეცა და გვითხეთ, რა გაეხარდებოდა ამ იუბილესათვის ყველაზე შეტად? თვალებზე ცრემლები მოადგა, და გვითხრა: ჩემი შეიღლი ჩემს გვერდით რომ იყოსო.

დაეპირდით, რომ შევუსრულებდით ამ ნატერას, და იმედ-გაცრუებულებს წუ გაგვაბრუნებო.

ერთი მაიორი იყო იმ მსჯავრდებულთა ბანაკის უფროსი. ძალიან კარგი ადამიანი. დავუძახე, სტუმრების თხოვნა გადავ-ეცი და თან ჩემიც დავუძატე:

— იქნებ, რაძე მოუხერხოთ.

აღმოჩნდა, რომ ის ბიჭი წესიერად იქცეოდა და კარგადაც შრომობდა.

— წავიდეს, მაგრამ ზედ დიღით დაბრუნდესო, — თავისი პირობა წამოაყენა მაიორს.

— ეგებ, სამი ღამით გაგვატანოთ, — მორიდებით გვთხოვა ბატონმა გოგიმ.

მაიორს გავხედე, მან თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია.

გაიხარეს სტუმრებმა. დიღი მაღლობა გადაგვიხადეს.



წარმომიდგენია, რა სიხარულით შეხვდებოდნენ, იმ ბოლქ
ოჯახში.

მაღლიერმა მამამ დათქმულ დროს ჩამოიყეანა შეიღი კა-
ზრეთში და მაიორს ჩააბარა.

დღეს კი რა მდგომარეობაა საქართველოში? დასაქმების პრობლემა უმწვავესია, კოლოსალურად გაიზარდა უმუშე-
ვართა რაოდენობა, ჩენი მოსახლეობა საზღვარგარეთ მიღ-
ის სამუშაოს საძებნელად. საქართველოში შემოსულია სხვა ქვეყნებიდან სამუშაოს მტებნელთა და ჩვენთან დამკავიდრების მსურველთა მთელი არმია. სამწუხაროდ, მათ ნაკადებს არავინ აკონტროლებს, სრული განუკითხაობაა.

საგანგებოდ უნდა აღნიშნო საკავშირო შშენებლობის მინ-
ისტრის გიორგი კარავაგვის პიროვნება, რომელიც ისე მქ-
ცეოდა, როგორც საკუთარ შეიღს. მოსკოვში მივლინებით რომ ჩავდომიდი, საქალალდეში მოთხოვნებისა და გადასაწყვე-
ტი საკითხების მთელი ნუსხა მედო. არ მახსოვს, რომელიმე პრობლემის მოგვარებაზე უარი ეთქვა. რაგინდ დაკავებული არ უნდა ყოფილიყო, გულთბილად მიმიღებდა და დაუყოვნებლივ შეუდგებოდა „მაღნეულშენის“ საკითხების განხილვას.

მაღნეული რომ ჩაეძარე, საქმე უკიდურესად ჩაგარდნილი იყო. მბიმე სურათი დამხვდა როგორც საფინანსო, ისე საწარ-
მოო მაჩვენებლების მხრივ. იყო ძალიან დიდი გადახარჯვა, რა თქმა უნდა, ზარალი და დანაკლიის საბრუნავ საშუალებებში და, აქედან გამომდინარე, როგორც ინჟინერ-ტექნიკური პერ-
სონალის, ასევე პროფესიონალი მუშახელის დიდი დენაზობა და ამით გამოწევეული კადრების დეფიციტი. იყო მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო მასალათა უქმარისობასაც.

რისი და ვისი იმედი უნდა მქონოდა? ვიცოდი, უპატრონოდ და ბედის ანაბარა რომ არ მიმატოვებდნენ. აი, აქ გამომადგა წარისული წლების გამოცდილება და უფროსი კოლეგების რჩევები!



ჩამორჩენა თანდათან დავძლიერ.

შენებლობას მაშინ საქართველოს ცეკას მდივანი წევნები ცხაკადა კურირებდა, არაჩეულებრივი კაცი, რომელიც სულ ჩემი დახმარების, მხარში ამოღვომის მცდელობაში იყო.

— სად გირჩევნია, რომ თათბირები ჩავატაროთ — აქ, მადნეულში, თუ ჩემთან, ცენტრალურ კომიტეტში? — მეოთხა ერთხელ, როცა მორიგი თათბირის დამთავრების შემდეგ ჩემს ქაბინეტში მარტონი დაერჩიო.

— თქვენთან, ცეკაში უმჯობესია, — ვუპასუხე და იქვე განვმარტე, — ცეკასი უფრო მეტი შიში, რიღი და კრძალვა აქვთ-მეტქი.

მდივანს ჩემი ეს გულახდილობა აშერად მოეწონა, გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დამიკრა...

ასეთი თათბირები წესად იქცა და სისტემატურადაც იმართებოდა. საქმეში ყოველთვის აქტიურად ერეოდა ნიკა ცხაკადა. მასთან ერთად განვიხილავდით შენებლობის მიმღინარე საკითხებს: რა და როგორ შესრულდა, რა გვიჭირს და რა გვაძრკოლებს. თათბირებს ესწრებოდნენ მინისტრები, ცენის, მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი პირები. მათ, ჩემი ინფორმაციის საფუძველზე, იქვე აძლევდნენ ლპერატორელ დავალებებს, ხოლო მომდევნო თათბირზე ანგარიშს სთხოვდნენ. ამ პრაქტიკამ გაამართლა და მოკლე ვადაში ჩამორჩენას თავი დავალწიეთ.

შრომის მკაცრი და ზუსტი ორგანიზაცია რომ არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, საშენებლო-სარემონტო სამუშაოების გრაფიკის შესრულება მრავალჯერ ჩაიშლებოდა. როგორია, თუნდაც ათასობით ტრია ლითონ კონსტრუქციის წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით დამზადება, ობიექტიამდე ტრანსპორტირება და მონტაჟი, თანაც — დროულად და ხარისხიანად. აღარაუერს ვამბობ სხვა მასალებით უზრუნველყოფაზე. წარმოდგინეთ, როგორი სირთულეები შეგვექმნებოდა 28 ქვემოთვარე და სამჯერ მეტ მოწყოდებელ ორგანიზაციებთან!



მაღნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ფარავანი დენიმე ათეულ პეტრარჩე გადაჭიმული როგორც ბიზაფშენი ითხეა ებლობის, ასევე სამრეწველო კომპლექსის სამშენებლო მოედანზე აშეკრად იგრძნობოდა შენებლობის ორგანიზაციის მაღალი კულტურა. ყველა მომუშავე აღჭურვილი იყო სპეც-ტანსაცმლითა და „ქასქებით“. ყველა მაღალი რანგის სტუმარი ამას აღნიშნავდა, განსაკუთრებით უხაროდა კარავავეს, დარევის დიდ პროფესიონალის. ის ერთხელ დაინტერესდა ჩვენი სასაწყობე მუსიკურნებით. შევედით ჩვენს ბაზებში. კურადღებით დაიარა და გაოცებულმა სიამოვნებით აღნიშნა: „ასეთი წესრიგი და სისუფთავე იშვიათად მინახავს“.

მან კურადღება მიაქცია ქვემოთვარადე ორგანიზაციების, მომწოდებლების, დამკვეთის პოზიციების კომპლექტაციის სერიოზულ ჩამორჩენას. ჩვენი სატკივარიც ეს იყო. როცა ჩვენი გასაჭირის შესახებ მოვახსენე, მითხრა:

— ახლა აქ — კაზრეთში ამ საუბარს აზრი არა აქვს — ვისთან განვიხილო და გადავწყვიტო ეს რთული საკითხები? ამიტომ, შეიმუშავე კონკრეტული წინადაღები და მოსკოვში ჩამოდიო...

ასეც მოვიქცი — ჩავედი, ჩავიტანე საჭირო მასალები და მოვამზადეთ ერთობლივი ბრძანება, რომელსაც ხელი მოაწერეს შენებლობის მინისტრმა კარავავმა, სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების მინისტრმა ბაკინმა და ფერადი მეტალურგიის მინისტრმა ლომაკომ. ამ ბრძანებას დავარქიოთ „Приказ трех министров“.

ბრძანებაში დეტალურად გაიწერა, შეთანხმდა და დაზუსტდა არა მარტო სამუშაოთა შესრულების ვადები, არამედ მითითებული იყო კონკრეტული პასუხისმგებელი პირები. ერთი სიტყვით, ეს იყო კონკრეტიკით და ცალკეული დეტალური ვამაგრებული მასშტაბური დოკუმენტი — სამოქმედო პროცესიამა.

შეიძლება დაბევრითებით ითქვას, რომ სწორედ ამ ბრძანებამ განაპირობა ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ



კადებში მაღნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის შენიშვნების დამთავრება და ექსპლუატაციაში ჩაბარება... გადამოწმენა

ერთხელ მაღნეულის შენებლობაზე საქმიანი ვაზიტით ჩამოსულმა საკავშირო ცეკას მდივანმა ალექსანდრე დოლგიშვილმა, ჯერ დეტალურად დაათვალიერა კომპლექსი, შეძლევ თათბირზე ჩემი და კომბინატის დირექტორის პესალომ ჭანტურის ინფორმაციები მოისმინა. ქადაფილი დარჩია შენებლობის მიმდინარეობით. თათბირის შეძლევ თავისთან მიმიხმო და რუსეთში, ნორილსკის ფერადი მეტალურგიის უზარმაზარი კომბინატის შენებლობის ხელმძღვანელად გადაყვანა შემომთავაზა, მითხრა, მეც იქ კუმაობდიო. ცდუნება თითქოს დიდი იყო – როგორია, ახალგაზრდა კაცს ამხელა საკავშირო ობიექტს გთავაზობენ... უზარმაზარი შესაძლებლობები და პერსპექტივა იმღებოდა ჩემს წინ, მაგრამ შემოთავაზებაზე მაინც თავაზიანი უარი კუთხარი – ამ საუბარს მაშინდელი ცენტრული მდინარი კლუარდ შევარდნაძე, საკავშირო ფერადი მეტალურგიის მინისტრის პირველი მოადგილე ვლადიმერ ვოროტნიკოვი და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაური ესტრებოდნენ.

მაღნეულის კომბინატი ექსპლუატაციაში ჩაბარდა ოთხი რიგად – ოთხივე რიგის ჩაბარებას დაესწრო საქართველოს ცენტრის ბიუროს მთელი შემადგენლობა კლუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. შევარდნაძეს, ყოველი ჩამოსვლის დროს ახლდა ერთადერთი პირადი დაცვის თანამშრომელი, რომელიც მის მანქანაში წინა სავარტელში იჯდა – ამირან გურგენიძე.

ბევრი საინტერესო პიროვნება ჩამოდიოდა ჩემთან მაღნეულში. ერთხელ ტრესტის მმართველის მოადგილემ – ნიკუშა აღხაზიშეიღმა ჩამოიყვანა მისი მეგობარი, გადასახლება – მოხდილი, ცნობილი მსახიობი გრიგოლ კოსტავა – ქართველი სცენის ვარსკელავის შედეა ჯაფარიძის პირველი ქარი მათ დავათვალიერებინე კომბინატის მთელი კომპლექსის შენებლობა. ვივახშემეთ. დიდხანს შევრჩით სუფრას იმის

გამო, რომ მან ბევრი საინტერესო ისტორია გვიამბო თავისი
ცხოვრებიდან.

ზემოთ ვახსენე საქართველოს ახალგაზრდობის შაშქი-
დელი ღილერი – ჯუმბერ პატიაშვილი. მასთან დაკავშირებით
ასეთი ეპიზოდი მინდა გავიხსენ:

ჩემს ახალგაზრდობაში ქორწილს, როგორც წესი, ოჯახში
აღნიშნავდნენ, იშვიათად იხდიდნენ რესტორანში. ჩემს ქორ-
წილში ჯუმბერ პატიაშვილიც მოვიწვიე, მაგრამ გაირკვა რომ
ჯუმბერი სასწავლო უნდა გაფრენილიყო ღენინგრადში. სა-
მაგისტროდ დამპირდა, რომ აუცილებლად დამიკავშირდებოდა
მოსკოვში, სადაც საქორწინო მოგზაურობაში ვაპირებდით
წასელას.

ქორწილის შემდეგ მე და ბეჭა ჩავფრინდით მოსკოვში
და მოვეცყვეთ იმ დროისთვის ერთ-ერთ კულტურულ
სასტუმრო „სოვეტსკაია“-ში, სადაც ნომრის დაჯავშნა ყოვ-
ლოთვის როგორი იყო, მაგრამ ჩემი მოსკოველი მეგობრების
მცდელობით ამ სასტუმროში ღუვის დაგვახვედრეს.

თბილისში დაწყებული ზეიმი მოსკოვში გაგრძელდა. ჩასვ-
ლის შეორე საღამოს სასტუმროს რესტორანში სუფრა გაუშალე
და დაკატიფე ჩემი მოსკოველი და თბილისელი მეგობრები –
კოლია სმელოვი, კოლია სავიცეი, ედუარდ კანდელაკი, გუჯა-
კავკასიები მუჟალებებითურთ, კიდევ რამდენიმე მეგობარი და
რა თქმა უნდა ჯუმბერ პატიაშვილი, რომელიც იმ დროს უკვე
მოსკოვში იყო ჩამოსული ღენინგრადიდან.

სტუმრები ჩვენს ნომერში შეიკრიბნენ. ხილი, ტებილეული
და შამპანური დავახვედრეთ. დიდი სასტუმრო ოთახი, სადაც
როიალი იდგა, სტუმრების მორთმეული ყვავილებით აივსო.
შესანიშნავი განწყობილება სუფედა, მხიარული და წალი-
სიანი.

ბეჭამ თბილისიდან უღამაშესი საქორწინო კაბა წამოიღო,
ამ კაბაში იგი მართლაც დედოფლივით იყო.



დავიძარით რესტორნის გუნ. ჩვენი მეორე სართულიდან ცენტრალურ პოლში ქათქათა თეორი, მარმარილოს, საქართველოს კიბე ეშვებოდა.

ეტყობა მართლაც ღამაზი და უჩეულო სანახავი იყო შეა იანგარში უძრავი ფავილებით შემცელი კიბებზე ჩამომავალი „საქორწინო კორტეჯი“, ამიტომაც პოლში მყოფმა საზოგადოებამ ვერ ღამალა თავისი აღტაცება და ტაშით შევვებება. იქაურმა მომსახურე პერსონალმა შემდეგ გაგვიმხილა, რომ პირველად იყვნენ ასეთი გულწრფელი აღტაცების მომსწრენი.

ჩვენი სუურა რესტორანში მყოფთა ფურადლების ცენტრში მოექცა.

შეა ქეიფში, ჩვენ მაგიდას მოუახლოვდა ერთი სიმპატიური რესი ახალგაზრდა კაცი და ჩემს მეუღლესთან ცვეჭის უფლება მოხოვა. დავთანხმდი, თუმცა, ბელამ უარით გაისტუმრა...

გავიდა ცოტა წანი და კვლავ ის ახალგაზრდა მოგვიახლოვდა იგივე თხოვნით. ეს უკვე თავხედობა იყო და ცოტა გაღიზიანებულმა უარი ვუთხარი.

ასეთი უტაჭრო დაინება უცხო კაცის მხრიდან ხაშინლად არ მოეწონა ჯუმბერ პატიაშვილს, გაცეცხლებული წამოვარდა სკამიდან. პალსტუხში სწვდა იმ ახალგაზრდა კაცს. რესტორნის სკეტთან მიათრია. ზურგით მიაჟუდა და აღკოპოლით გაბრუებული თავი ზედ ახაოქუნებინა.

ძლიერ გავაგდებინეთ ხელიდან გააფთრებულ ჯუმბერს აბეზარი ცეკვის მოყვარული.

დამსწრე საზოგადოებამ ჯუმბერის საქციელი დადებითად აღიძევა...

და კიდევ:

მოსკოვში იმ დროს ძალიან პოპულარული იყო სასტუმრო „ოქტოსტი“, რომელიც ღუშნიკების სტადიონის მახლობლად მდებარეობდა. ამ სასტუმროს რესტორანი განსაკუთრებული

სიმყუდროვით გამოირჩეოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჯუმა
ბერძა მე და ბელა აქ დაგვპატიჟა, თავისი მეგობრები ფაფლურული
ველია და კარგი ქორწილიც გადაგვიხვდა.

დღემდე მახსოვს იმ საღამოს თბილი და არაჩუულებრივი
განწყობილება.



მაღნეულში მუშაობა რომ დავიწყე, უცოლი ვიყავი. იმ პერიოდში დავეოჯახდი. მეუღლებ, ბელა ლოლამებ, წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ასპირანტურაში სწავლის გავრძელება შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა – სადაც ჩემი მეუღლება, მეც იქ უნდა ვიყოო.

„მაღნეულშენის“ ბაზას კაზრეთელი გივი ავკოფაშვილი განაცხადა, საოცრად კეთილი და ზედმიწევნით პატიოსანი კაცი. არ ჰგავდა თავის სხვა კოლეგებს. კრთხელ, გივიმ მე და ბელა შვილის დაბადების დღეზე მიგვიწვია. გაგვაცნო თავისი კაფუნდარა მეუღლე, მეგრელი ქალბატონი და ხუთი წლის ვაჟი. ჩვენი ვარსაცდით, მათ უფრო დიდი ასაკის შეიღებიც უნდა პერილოდათ.

შშენიერი სუფრა გაეწყო, ამიტომ ძალიან გაგვიკვირდა, როცა ჩვენს გარდა სხვა არავინ მოსულა. მგონი, განგებ მოიქცა ასე – ცოლ-ქმარს ჩვენთან განძარტოება სურდა.

შაბათი იყო, რაღაც მეორე დღეს არსად არ გვეჩქარებოდა, სუფრას ვეიანობამდე შემოვრჩით. რა თქმა უნდა, დავინტერესდით, მეგრელმა და ქართლელმა როგორ იპოვეს ქრომანეთი, ან, ასე პატარა შეილი რატომ ჰყავდათ და აი, რა გვიამბოდიასახლისმა:

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე და განაწილებით აქ, სოფელ კაზრეთში გამომაგზავნეს – სკოლაში პედაგოგად დავიწყე მუშაობა. ბინა გივის მშობლებთან ვიქირავე. კარგი ხალხი იყო და აღვიღად შევეთვისე. გივის ცოლი არ ჰყავდა. ურთმანეთი მოგვეწონა და შევეუღლდით.

ბეღნიერები ვიყავით. ქმარიც კარგად მექცეოდა და დედამთილ-მამამთილიც. ქალს კი მეტი რა უნდა?

მაგრამ სადარღებელი მაღა გაგვიჩნდა: შეილი არ გვიჩ-



ნდებოდა. არ გამოგვიტოვებია არც ერთი ექიმი. ყველაფერი კუადეთ – ტრადიციულიც და არატრადიციულიც. და ასე რომ გივი ჯანმრთელია, უშვილო მე ვიყავი...

განა ვინმე მსაყველურობდა, მაგრამ, უშვილო ქალის ამ-ბავი ხომ იცით? წლები გადიოდა. ძაღლიან განვიცდიდი. სანამ დედამთილ-მამამთილი ცოცხლები იყვნენ, კიდევ რა უშავდა, მაგრამ ისინი რომ გარდაიცვალნენ და მარტონი დაურჩით, უშვილობა უფრო მძიმე ასატანი გახდა. არ შეუცვლია ხა-სიათი ჩემს ქმარს, ისევ აღერსიანი და ყურადღებიანი იყო, მაგრამ... მაინც ხელოვნური მეჩვენებოდა ეს სიმშვიდე. გელი მიგრძნობდა, თუ რამეს არ ვიღონებდი, ერთხელაც ჩვენს ცაჟე საავდრო ღრუბელი აიშლებოდა...

ბევრი აღარ მიიფირია, გამოვძებნე ახალგაზრდა, ჯან-მრთელი, ღამაზი გოგო. მოველაპარაკე, ჩემთან წაგიყვან, ჩემს ქმართან გაცხოვრებ, მოვივლი და ვიპატრონებ, არათერს არ მოგაკლებ. შეიღს რომ გააჩინ, დაგვიტოვებ და ჩვენ გავზ-რდით, შენ კი სათანადოდ გავისტუმრებთ. გულს არაფერზე დაგწყვეტთ, სამაგიეროდ, აღარასოდეს აღარ უნდა გამოჩინდე-მეთქა.

შეთანხმებაში სხვა პირობებიც შედიოდა: ოჯახიდან არ-სად არ უნდა გასულიყო და ჩვენი საიდუმლოებაც ბოლომდე შეენახა.

დამთანხმდა. როცა დაუქეხმდიმდა, გივი ჩემს ოთახში გამოვიყვანე. ქალს სათანადოდ ვუვლიდი. ყველა სურვილს ვეს-რულებდი, კარგად ვასაჩუქრებდი. დრომ რომ მოუწია, ოჯახში მე ვამშობიარე... აი, ეს ბიჭი შეეძინა.

– შეასრულა თავისი პირობა, აღარ შეუწეხებიხართ? – კიოთხა მონაყოლით გაოგნებულმა ჩემმა მეუღლემ.

– არა, აღარ გამოჩინილა. ისიც არაჩვეულებრივი ადამიანი გამოდგა...

დიასახლისს საოცრად ნატანჯი სახე პქონდა. იმდენ დარდსა და განცდებს თავისი კვალი დაემჩინა. ჩვენი ვარაუდი

გამართლდა: მთელი თცდასამი წლის შეუღლებულები ფილიფენები

შეიძლება ზოგმა იფიქროს, თავისი კი გაინაღდეს, შავრამ იმ უბედურს დედობა ხომ წაართვესი? ამაში არის ჭეშმარიტების მარცვალი, ოღონდ მე მაინც დიდ გმირობად მიმაჩნია: ჩვენი მასპინძლის მეუღლებ უდიდესი რისკი გასწია, ვინაიდან არავინ იცოდა, რას მოიმოქმედებდა ქმარი, გასწირავდა თუ არა უშეიძლო ქალს. ქმარიც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, რადგან იცოდა, რომ მის ცოლს სწორედ დიდმა სიყვარულმა გადაადგმევინა ეს ნაბიჯი. სამაგიეროდ, ამით მეუღლეც და ოჯახიც შეინარჩუნა, თანაც დედა გახდა.

რაც შეეხება პატარას, ორივე, ცოლიც და ქმარიც მასზე ჰქონას კარგავდნენ.

გავიდა დრო. მინისტრის მოადგილე ვარ. ერთ საღამოს ბინაში ტელეფონზე უცნობი მირეკაუს, მეუბნება, გივი აკოფაშვილის შეიღი ვარ და თქვენი ნახეა მინდათ. სახლში მივიწვიე. შევენიერი ჭაბუკი დამდგარიყო. თავისი ეზოს კაკალი მომართვა! კიდევ უფრო გამიხარდა, როცა მითხრა, „მაღნეულმშენები“ ვმუშაობო. თურმე, შშენებელი ყოფილა უკვე!

— უმანქანოდ ვარ, ბატონო ომარ, ისევ საქმისთვის შშირდება. იქნებ დამეხმაროთ და გამომაყვანილოთ...

ამ საქმის მოგვარება ჩემთვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა და უარს რატომ ვეტყოდი? მის მერე მაღლე გადავედი მოსკოვში.

ის აღარ შემნძინებია...



ნაღმირობა და თევზაობა ბაჟშეობიდანვე მიტაცებული და შემსრულებელი მასწავლებელი იყვნენ მამაჩემი და მისი ძმები.

როცა წამოედიშარდე, მამამ არაჩვეულებრივი გერმანული თოვეი – „ზაუერი“ მაჩუქა, მსუბუქა, ტყვია მიზანში ზუსტად მიპქონდა, საფანტს კარგად შელიდა. გიგა ბათიაშვილიან, ჩვენს სახელგანთქმულ არქიტექტორთან და მის მეუბობართან – ნოდიკა მენაბდესთან ერთად, ზშირად დავდიოდით სანადიროდ გიგას „ვოლგით“. ზოგჯერ ჩვენთან ერთად, კინორეჟისორი, გიგას უმცროსი ძმა, დიმაც მოდიოდა... არაჩვეულებრივი გარევნობის და ოუმორის პატრონი.

გიგამ ერთხელ პოინტერის ლეკები მაჩუქა, თუმცა სამწუხაროდ მოუცდელობის გამო გამიჭირდა მისი მოელა და 3 თუ 4 თვეს მერე უკან დაუკუნრუნე.

ერთხელ მივდივარ მეუბობართან ერთად რუსთაველის გამშირზე, კხედავ კონსერვატორიის ჩამოსახვევიდან გამოვიდნენ გიგა და მისი შშვენირი მუსელე, კონსერვატორიის პედაგოგი. გიგას უჭირავს „ჩიხოლში“ ჩადგებული თოვე, ლალის კი „ფუტლარში“ ჩადგებული ვიოლინი. საოცრად სანალისი სანახავი იყო ეს ულამაზეს წყვილი „ფუტლარებით“ ხელში.

თაედინავე ისეთ ადამიანებთან ერთად ვნაღმირობდი (თემიერ ჭიჭინაძე, ვოვა ისელიძე, ბეხა წერეთელი, გელა მამა-იაშვილი, ზურა გოგროვანი), რომ ბრაკონიორობა გამორიცხული იყო. ნაღმირობის ხიბლი ჩვენთვის ხოცვა-ულეტის ვწება კი არ იყო, არამედ უპირველესად ცოცხალ ბუნებასთან ურთიერთობას წარმოადგენდა...

მამას მეუბობარს, შესანიშნავ პიროვნებას შოთა მაჭავარიანს ხშირად დაუყავდი სანადიროდ. იცოდა, რომ მონაღმირის ეთიკას არასოდეს დავარღვევდი.

მახსოვს, გარეულ ინდაურზე სანადიროდ წავედით აზერ-



ბაიჯანისკენ. ჩემთან ახლოს იარეთ, მეტყოდა ხოლმე და იმ დღენად კეთილშობილი კაცი იყო, რომ წამოფრენილი უფრო გელისთვის სროლას ჯერ მე დამატდიდა და თუ ავაცდენდი, მხოლოდ შემდეგ ესროდა თვითონ. ამით უნდოდა, ჩემთვის, თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ბიჭისთვის ესიამოვნებინა და ეს-წავლებინა ბუნებასთან ადამიანური დამოკიდებულება. ნადირობაც ხომ სხვა არავერდა, თუ არა – მეგობრობა, ურთიერთ-პატივისცემა და სულიგრძელობა...

ასე ვნადირობდით.

თუმც იყო ერთი პროფერორი, გვარად კერძელიმე. ის ერთხელ გარეულ ინდაურზე სანადიროდ წამოგვყვა. იცოდა იმ კაცმა, რომ შოთა სროლის პირველ შენს მე მაძლევდა. ამიტომ ახლომახლო მოგვყენებოდა და ჩემთვის განკუთხილი უპირატესობით თვითონ ცდილობდა ესარგებლა – რაც, რა თქმა უნდა შოთას განაწყენებას იწვევდა.

პროფერორი თან ძალიან ცუდი მსროლელი იყო. ერთი, რომ ვერ ახვედრებდა მიზანში და, მეორეც, აურთხობდა ინდაურების მთელ გუნდს ანუ არ გვაძლევდა ნორმალური ნადირობის საშუალებას. თავიდან უნდა შევდგომიდით გუნდის ძენას, რასაც სიცხეში კილომეტრობით მანძილის ფეხით გავლა სჭირდებოდა.

ასეთი მაგალითებით კარგისა და ცუდის გარჩევას მასწავლიდნენ უფროსი ადამიანები.

ერთხელ, მეგობარმა მონადირეებმა ლაგოდეხის ნაკრძალში მთხოვეს ნადირობის ორგანიზება. კარგად ვიცნობდი რაიკომის პირველ მდივანს ლეიმონ კიბაბიძეს – უაღრესად დადგებით და კეთილშობილ პიროვნებას. დავურებეմ, ვთხოვე, სიამოვნებით დამთანხმდა.

ნაკრძალში უამრავი ხოხობი ბინადრობდა. ხშირად წამოვეიურინდებოდა და ეს ჩემი ჩაყვანილი მონადირეები ასეთ შემთხვევას ხელიდან არ უშევებდნენ – განუწყვეტელი სროლებით აყრუებდნენ გარემოს...



აკულმენოთდი:

— ეს რა ნადირობაა?! ეს ხომ ხოცვა-ულეტაა! არა განკუთხული გენიათ-მეთქი...

ნამუსზე შევაგდე სერგო გოცირიძე, ომარ კიქნაძე, თემო ბუილლაშვილი. ვიბრძოდე, ვიძალე და როგორც იქნა, დავა-შოშმინე სროლის აზარტში შესული მონადირები.

იყო ასეთი შემთხვევაც.

ინსტიტუტი ახალი დამთავრებული მქონდა, როცა ბორ-ჯომში მცხოვრებმა ჩემმა მოგვარეო, შველზე სანადიროდ დამპატიება.

შემოღომა იყო.

ტყეში ცეცხლი დაგანთეთ. ვივახშეთ, ცოტა წავიძინეთ და უთხნა „ნომრებში“ ჩავსწედით.

ვზივარ და რას ვხედავ: მძიმედ მოდის და მოაღლაწუნებს ხმელ ტოტებს ქორბუდა. მთის ერთ ფერდზე მე ვზივარ, მეორეზე ის მოძრაობს.. მონადირები აქეთ ვართ ჩამწერივებ-ულები. ჩემს შორის დიდი მანძილი არ არის. გაემზადნენ სას-როლად და უცებ გავიფიქრე, როგორ შეძლება სიცოცხლეს გამოასალმო ეს სილამაზე, ბუნების ეს მშვენიერება?

— არ ესროლოთ, თქვე უდმერთოებო, არ მოკლათ! — განგებ ხმამაღლა წამოვიძახე, იქნებ, ჩემმა ხმამ დააფრთხოს ირეში და გაიქცეს მეთქი...

ზოგიერთი იტყვის, რა მონადირე ყოფილ ხარო. მაგრამ მე სხვანაირად ვფიქრობ: ცოტაა განა მოსანადირებელი — კურდ-ლელი, მწერი, კაქაბი, ღალა, ტყის ქათამი, ღუპელი, ირეშს რომ არ ესროლო?!

ირეში დაფრთხა და შურდულივით გაეარდა, სულ ლიწინ-ლიწინით მირბოდა.

მე მგონი, სწორად მოვიქცი და იქაური მონადირების საყვედური სრულიად უსამართლოდ დავიმსახურე...

ლიკანში ვისვენებ. შეებულებით იყენებ ჩამოსულები რთარ ლოლაშვილი, საგვემო კომიტეტის თავმჯდომარის მოაღვილე.



თბილისის პარტიული კომიტეტის ყოფილი პირველი ქანი და ოთარ ქავთარაძე, ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის ტრი, რომელიც იმ დროს კომუნალური მეურნეობის მინისტრის ნიკოლოზ ნეველოვის მოაღვილედ მუშაობდა. შესანიშნავი ადამიანები, ისინი ჩემთვე ბევრად უფროსები იყვნენ, მაგრამ ასაქში სხვაობა ხელს არ უშლიდა ჩვენს მეცობრობას. ეს კეთილშობილური თვისება იმ თაობისთვის ფრიად დამახასიათებელი იყო.

„ნიკა“ ახალი ნაყიდი მყავდა, თოფიც მქონდა წამოღებული. ჩემმა უფროსმა მეცობრებმა მთხოვეს წავიდეთ სადმე გავისეირნოთ, ცოტაც წავინადიროთო.

ჩემს ძველ მეცობარს დიმა კოტეტიშვილს დაუურეკე, ის ახალციხის რაიონს თავკაცობდა და ვთხოვვ, დაგვხმარებოდა სასაზღვრო ზონაში შესასვლელად. მაშინ ეს რაიონი დახურული იყო და საგანგებო ნებართვის გარეშე იქ ვერავინ შეფიქროდა, მითუმეტეს, სანადიროდ, ან სათევზაოდ.

დიძამ, რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დაგვტოვა და პატარა მდინარე ურაველასთან მეთევზე ბიჭები დაგვაზვედრა. დახურულ ზონაში არაერთ თევზს არ იჭრდა და ამიტომაც ეს პატარა მდინარე სავსე იყო კალმანით.

მაღალ სათვალთვალო კოშკურებზე რუსი მესაზღვრები იღვნენ და მთელ პერიოდში გულდაგულ აკონტროლებდნენ.

ჩვენზე მითითება პქნინდათ მიღებული და, აქედან გამომდინარე, თევზაობა ჩვენთვის ნებადართული იყო.

მეთევზებს ბადეც პქნინდათ... ერთ-ერთს ზურგზე პატარა აკუმულატორი პქნინდა წამოკიდებული, საღნების ბოლოებს წყალში რომ ჩადებდა, წრედი იკვრებოდა და გაბრუებულ ჭალმას მეორე ბიჭი პატარა ბადით ნაპირზე ყრიდა.

ვერ მოვითმინე და ვუსაყველურე – ეს თევზაობა კი არა, ბარბაროსობაა მეთქმა...

ნაპირს მიყვებოდით მოზრდილ თევზებს ვიტოვებდით, პატარებს კი ისევ მდინარეში ვაბრუნებდით. დუნი მათ არ კლავდა – მხოლოდ აბრუებდა...



შეიძლება, ეწყინათ კიდევ ჩენი ასეთი საქციელი, მაგრამ
სხვანაირად არ შეგვეძლო.

ზომა ხომ უნდა იცოდეს მეთევზემაც და მონადირემაც.

მეორე დილით საუზმეზე აღვიღოობრივი მზარეულის მიერ
შემწევარი ჩვენი კალმახი დამსევნებლებს ჩამოურიგეს.

გავიძეორებ, რომ ნადირობა და თვეზაობა უპირველესად
ბუნების სიყვარულსა და მასთან შერწყმის იდილიას უნდა
გაგრძნობინებდეს და არა ხოცვის ფინით აღტყინებულ ვნე-
ბას...

«შეიქმნალება» ტრასტის ზონააღმდეგ



მაშინ „საქართველოს“ ტრესტის მმართველად ვმუშაობდი კი იყო იმ პერიოდში ძალაში კარგი მარკენებლები გვქონდა. ტრესტი შრომის წითელი ღრმაშის ორდენისანი იყო! მას ჰქონდა ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რაც ჩვენს სრულფასოვან საქმიანობას და დამოუკიდებლობას უზრუნველყოფდა. მოწინავეთა შორის კიყავით, ამიტომ მოსკოვშიც სათანადოდ გვაფასებდნენ.

და უკებ ღამის ყველაფერი წყალში ჩაგვიყარეს!

იმ წელს მეუღლესთან ერთად იუვისლავიაში, ღუბრივი კისერებდი. ორი კვირის შემდეგ ჩამოვფრინდა მოსკოვში. თბილისში, სამსახურში დავრცეკ-გუმანმა გამომართლა — ცუდი ამბავი დამახვედრეს: ტყიბულსა და ტყევარჩელში საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ პატარიძე ყოფილა ჩასული, თან საბჭოთა კავშირის ქანახშირის მრეწველობის მინისტრი ბორის ბრატჩენკო ახლდა თურმე. ჩვენი სამშენებლო ორგანიზაციები და დამხმარე საწარმოები ბრატჩენკოს სამინისტროსთვის უნდა გადაუცა, შევარღნაძის თანხმობა უკვე არისო...

დამცეცხლა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ხელიდან გვაცლიდნენ ყველაფერს, რაც ჩვენს წარმატებას უზრუნველყოფდა. კარგავდით მოულ რიგ შედავათებს, რაც უთუოდ უარყოფითად აისახებოდა როგორც ტრესტის მარკენებლებზე, ისე მომუშავეთა ანაზღაურებაზე.

კარავაევთან მიხელა გადავწევიტე. მართალია, ამით საურთხეში ვაგდებდი ჩემს თავს, მაგრამ სხვა გზა არ მოჩებოდა: ვიცოდი, მინისტრი სამსახურში ყოველთვის დილით ადრე მოდიოდა, ამიტომ რეის ნახევარზე სამინისტროს შესასვლელთან დაეხვდი. გაუკვირდა, რატომ არ ვამატრთხილე, ჩამოსვლას თუ აპირებდი, ხომ შეიძლებოდა ადვილზე არ დაგხვედროდით. სამინისტროს დიდ პოლში წითელი მარმარილოს კედელი იყო.



ორდენისანთა დაფაზე ჩვენს ტრესტს კრის-ერთი საპატიო ურთიერთები აღვილი ჰქავა.

მოვახსენე, — საგანგებო შემთხვევაა — და თუ სასწრავოდ არ ჩატრევით, გამოუსწორებელი შეცდომა შეიძლება მოხდეს. თან დავამატე, მე რომ ახლა თქვენთან ვარ, საქართველოში არავინ უნდა შეიტყოს, თორემ იქ აღარ ჩამესვლება-მეთქი...

კარავაევი მიხვდა, რას ნიშნავდა ეს „თორემ“.

რაც ვიცოდი, მოკლედ მოვუყევი.

— რატომ უნდა წაიღოს ეს ყველაფური ბრატჩენკომ?

ახლაც თვალწინ მიღდას ამ კაცის სახე. ბუნებით ისედაც ფიცხი იყო და, ცხადია, თავმოყვარების შელახვამ კიდევ უფრო „აანთო“ — მაშინვე ტელეფონს ეცა და ნომერი აქრიფა.

— ბორის ფილოლოვიჩი, — ხმამაღლა, მიუსალმებლად მი-მართა ქვანახშირის მრეწველობის მინისტრს ბრატჩენკოს, თან სამი უხამსი რუსული სიტყვა დაამატა, — შენ რა, უჩემოდ ავ-გარებ საკითხებს და საშმეწებლო ორგანიზაციებს მართმევ? — ხმას თანდათან აუწია. ყვიროდა, იგინძოდა კარავაევი. თავისი პრინციპულობისა და მაღალი პროფესიონალიზმის წყალობით მას მოუღს კაუშირში უდიდესი აეტორიტეტი ჰქონდა. ასეთი გაჯავრება თუ შეეძლო, არ ვიცოდი.

— მე რა შეაში ვარ? ჩემთან პატარიძე ჩამოვიდა, საქმეს სჭირდება და ასე უნდა გავაკეთოთო. მეონა, თქვენთან შეთ-ანხმებული იყო. ტყიბულშიც ვიყავით და ტყვარჩელშიც. შეეხ-ვდი შევარდნაძესაც. დახმარებას დაგვპირდა. როგორც ვიცი, საქართველოს ქომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინის-ტრთა საბჭო ერთობლივ დადგენილებას ამზადებენ. ვაღიარებ, დამნაშავე ვარ, თქვენთვის უნდა მეცნობებინა... მაგრამ ახლა მე ვეღარაფერს შევცვლი, ისევ შევარდნაძეს უნდა მიმართოთ... საერთოდაც, რომ იცოდეთ, თქვენს წინააღმდეგ არასოდეს მიმოქმედია და არც მომავალში ვაპირებ რამესო — აი, ასეთი იყო ბრატჩენკოს პასუხი...

— რა ვქნათ? — უშწეოდ მომაპყრო თვალები მინისტრია,



როცა კურმილი დაკიდა. ვიცოდი, რომ შევარდნაძესა და ქართველი გავეს შორის იმ წელიწადს შექმა კატამ გაირბინა, პშიტიშებულები ერთმანეთს აღარ ეკონტაქტებოდნენ. კარავაევი, როგორც წუხა; შევებულებას ყოველთვის საქართველოში ატარებდა, იმ წელს კი, ისე იყო ნაწყენი, აქეთ აღარ გამოუწედავს. არადა, შევარდნაძე უკვე პოლიტიკუროს წევრობის კანდიდატია, მაშასადამე, ანგარიშგასაწყვი ფიგურაა. კარავაევმა ეს კარგად იცის. თუმცა, შევარდნაძესთან დარეკვისაგან მაინც თავს იკავებს.

- მოდით, კოლბინს დავურეკავ, ვეგა მან გვირჩიოს რამე!
- ხავსს ეჭიდება კარავაევი.

დაურეკა. პასუხი არც იმისგან იყო დამაიმედებელი:

- ყველაფური ვიცი. გეთანაშებით, რომ პატარიძე შეცდა, აჩქარდა. მაგრამ შეცდა ბრატიქნეოც. სამწუხაროდ, ვე საკითხი უკვე გადაწყვეტილია და ვერ დაგეხმარებით. ერთობლივი დადგენილება, ვორნებ, უკვე მომსაღებულია. ერთადერთი, ვისაც თქენთვის სასურველი კორექტივების შეტანა შეუძლია, შევარდნაძე... ვეგა დაელაპარაკოთ?

კარავაევი აღგა, ბოლოთისცემას მოჰყვა.

ზაფხულია, ძალიან ცხელა. მაშინ მოსკოვის გარშემოტორფი იწვეოდა და საშინალად ჩახუთული პაერი იყო. მინისტრი კოსტიუმში გამოწყობილიყო, მე კი მოკლე სახელოებიანი პერანგი მეცვა და ვივრქნი, რომ შემცირდა — თურმე, კაბინეტში კონდიციონერები ჩაერთოთ...

- ცივა, — წამომცდა უნბურად. კარავაევმა შემომხედა და გაეკლის. მაშინვე მდივანი გამოიძახა, ჩაის მოტანა სიხოევა, სტუმარი უნდა გავათბოთო.

მე ვუთხარი კარავაევს, რომ შევარდნაძის გარეშე ეს საკითხი არ გადაწყდებოდა.

- დიახ, სამწუხაროებ, ასეა, — თავისთვის ჩაიღლაპარაკა.

ხელი ჩაიქნია და ისევ ჭურმილს მისწედა.

- გამარჯვობათ, ელუარდ ამბროსიერი! — მიმართა ფრთხილად, მაგრამ საკუთარი ღირსების შეუღაბად. მის ყოვ-



ედ ფრაზაში მოსაუბრის მიმართ პატივისცემა იღრმონდება. საუბარი „ვეჩეთი“ წარმოებდა, ამიტომ ყველაფერი კრიტიკული მესმოდა.

შევარდნაძემაც სათანადო ყურადღება გამოიჩინა. მოიყოთხა მინისტრის მეუღლეც – ნინა ალექსეევნა. ჰეთხა, სად ისვენებდით, ქაფოფილი თუ ხართო. კარავაევმა უპასუხა, შეუაზიაში ვიყავით და მარცდამაიც აღტაცებულები არა ვართო.

— თქვენ ყოველ წელს ჩეხითან, აფხაზეთში ისვენებდით, წლეულს კი ჩევეულებას უდალატეთ. ახლა პირადები მე გე-პატივებით, მეუღლით ჩამომრაანდით, ჩემი სტუმრები იქნებით. მოსკოვში რომ ჩამოვალ, უფრეს გნახავთო....

კარავაევს ესიამოვნა, რომ ყინული გალლვა. შეპირდა, აუცილებლად ჩამოვალთო. მერე ჩევნს პრობლემას შეეხო.

შევარდნაძეს აუხსნა, რატომ არ შეიძლებოდა ტრესტისათვის ქანახშირის შახტების მშენებლობისა და სხვა მთელი რიგი დაშმარე საწარმოების ჩამორთმევა.

— ედუარდ ამბორისივიჩ, უნდა ამაყობდეთ, ასეთი ძლიერი ორგანიზაცია რომ გაქვთ. ის მთელს კაეშირში თითით საჩვენებელია. იმის მაგივრად, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ, მის დასუსტებას ვაპირებთ. ამის აუცილებლობა კი არ არის. იქნებ ერთხელ კიდევ გადახედოთ ამ საკითხს, რათა არ დაუშვათ ასეთი სახელოვანი, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ტრესტის დაშლა.

— ბრატჩენკო ყველაფერს გვპირდება – მექანიზმებს, ტრანსპორტს, დანადგარებს, მოწყობილობებს, ახალი საწარმო სიმძლავრების მშენებლობის დაფინანსებას და უარს რატომ ვეტყოდით? კარგად იცით, ტყიბულიც და ტყვარჩელიც მუშათა რაიონებია, საცხოვრებლი სახლების მშენებლობა პარივით გვჭირდება – იყო შევარდნაძის პასუხი.

— რასაც ბრატჩენკო დაგპირდათ, ტრესტს წელსვე გამოკუყოფთ, თანაც – დაუყოვნებლივ, ოღონდ ევ ნაბიჯი არ ვადადგათ! – სთხოვა მინისტრმა.



— კარგით, საკითხს აღარ ვანვიზილავთ, მაგრამ იმედის
დაპირებას თქვენც შეასრულებთ! საქმიანი საუბარი ამით ჟურნალის
როლდა.

ერთმანეთს გულთბილად დაქმედილობნენ. კარავაევმა
ყურმილი დაკიდა. აშკარად ქმაყოფილი იყო. საკარძლილო
წამოდგა და ხელი ჩამომართვა:

— გილოცავთ!

მეცხრე ცაზე ვიყავი.

— ახლა რა ვქნათ? — მექითხება.

— სიტყვა თქვენზეა — დაპირება უნდა შეასრულოთ...

დრო უქმად აღარ დაუკარგავს, მოადგილები და მთავარი
სამმართველოს უფროსები გამოიძახა. ვითარება გააცნო.

— ტრესტის მმართველი აქ ბრძანდება, ერთად ნახეთ
მექანიზმების, ტრანსპორტის, დანადგარ-მოწყობილობების,
ფულადი სახსრების რა რეზერვები გაგვაჩინა, რისი გამოყოფა
შეგვიძლია. წაიმუშავეთ, სათანადო დოკუმენტი მოამზადეთ და
კოლეგიაზე დასამტკიცებლად შემოიტანეთ.

იმავე დღეს თბილისიდან ორი თანამშრომელი გამოიძახე.
ერთი კვირა ვიმუშავეთ. კვალიფიციური დოკუმენტი შედგა.
ეს იყო მთელი წიგნი დანართოებით, გრაფიკებით, ცხრილებით,
ვადებით, შესრულებაზე პასუხისმგებელ პირთა გვარებით!

როდესაც მინისტრს ბრძანების პროექტი წარუდგინეს,
კარავაევმა მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებები შეიტანა და
ხელი მოაწერა.

მხოლოდ ამის შემდეგ ამოვისუნთქე თავისუფლად და თბილისში გამოვიწრინდი. მეორე დღეს შევედი მინისტრთან, ნოდარ
მექმარიაშვილთან და მაგიდაზე ბრძანება დავუდე. ბრძანების ერთი პუნქტი საგანგებოდ მიუთითებდა, ტრესტი „საქშახტ-
შენი“ საბჭოთა კავშირის მშენებლობის სამინისტროს პირდა-
პირ უზრუნველუროვაზე იქნას აყვანილიო!

ეს იმას ნიშნავდა, რომ ტრესტის პროგრამის ფორმირებას და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას საკავშირო

სამინისტრო კისრულობდა. ნოდარს ისე გაუსარდა, რომ გადა-
მეტვია და გადამკოცნა.

— მაინც, როგორ მოახერხე? — მყითხა.

ჰყელაუერი გულწრფელად უუამბე. გაიცინა:

— რაც ახლა გამანდე, სხვასთან არ წამოგცდეს, თორემ ვერავინ გიშველის.

ქარავაევი ჩემთან გულთბილ ურთიერთობას ქვდავაც განაგრძობდა. ყოველ წელს ტელეფონით დაბადების დღეს მიღოცავდა, თან მთავრობის დეპეშასაც მოაყოლებდა. ერთხ-
ელაც, მაშინ უკვე მინისტრის მოადგილე ვიყავი, რეკავს ტელეფონი და ნაცნობი ხმა მესმის:

— ომარ ალექსანდროვიჩ, ძეირფასო, სამოცის ვხდები. აუცილებლად უნდა ჩამოხვიდეთ ჩემს იუბილეზე... დღეც დამის-
ახელა და რესტრორანც.

ნოდართან შევედი. ქარავაევმა თავის იუბილეზე დამპატი-
ფა, აღბათ თქვენც დაგირევათ-შეთქი. მაშინ მათ შორის არ
იყო სასურველი ურთიერთობა.

— ვიცი, არ დამირევას. შენ კი აუცილებლად უნდა წახ-
ვიდეო — მირჩა მინისტრმა.

ეს ამბავი ჩემმა ბავშვობის მეგობარმა ნოდარ წვთისიაშ-
ვილმა რომ გაიგო, დამპირდა, ისეთ საჩუქარს მოგიმზადებ,
ქარავაევს არასოდეს დაავიწყდებათ. ის მაშინ კონიაკის ქარხა-
ნაში ჩამოსხმის საამქროს უფროსი იყო. მივხვდი, არაორდი-
ნარული რამ ჩაიფიქრა:

— სახელობით კონიაკს ჩამოგისხამ, სამოცწლიანი სპირ-
ტით. როგორი იქნება, ჲა?

ტექსტიც იქვე შევადგინეთ. მოსკოვში გამგზავრების წინ
სამი ღამაზი ბოთლი გადმომცა. არაჩვეულებრივ ეტიკეტზე
გიორგი ქარავაევის გვარ-სახელი და სათუბილეო თარიღი
იწონებდა თავს.

ვნუკოვოს აეროპორტში ქარავაევის ჭაცი დამხვდა. მითხრა,
იუბილარი შინ გელოდებათო. წავყევი. ახლაც მახსოვეს მისა-



Мართо — Новоконюшенный переулок, дом №11.

როცა მინისტრმა კონიაქის ბოთლზე წარწერა წარმოიშვა
— აღფრთოვანდა და გაიხარა.

— რა ხართ ეს ქართველები! ამას ჩემს სიცოცხლეში არ
დავივიწყებ, — დაუსრულებლად იმეორებდა გრძნობამოძალუ-
ბული.

მთებედავად ჩემი ენერგიული წინააღმდეგობისა, ერთი
ბოთლი მაშინვე გახსნა და სანამ არ გამოვცალეთ, არ გამო-
მიშვა.

ვიფიქრე, რომ საიუბილეო ბანკეტზე ჩემთვის მრავალი
უცნობი ადამიანი იქნებოდა და უხერხულად ვიგრძნობდი
თავს, მითუმეტეს, საქართველოდან მხოლოდ მე ვიყავი მიწვეუ-
ლი. ამიტომ საიუბილეო საღამოს არ დავსწრებიყარ, თუმცა
მასპინძელმა მერე ამის გამო მისაყვედურა.

უნდა ვთქვა, რომ ედუარდ შევარდნაძემაც შეასრულა ქა-
რავაევისათვის მიცემული სიტყვა, როცა მოსკოვში ჩამოვალ,
უსათუოდ გინახულებოთ: ერთ დღეს საკუთარი თვალით ვნახე,
შენებლობის სამინისტროში როგორ მოვიდა „კანარეიკების“
ესკორტით.

* * *

ტრესტის მმართველი ვიყავი, ქარავაევი რომ ჩამოვიდა
საქართველოში და მაღნეულში გვეწვა. შენებლობის მიმდინ-
არეობით ქმარისტილი დარჩა, შეგვაჭო. გამომშვიდობებისას ვთხ-
ოვე, საღამოს ტრესტისა და სამინისტროს ხელმძღვანელებთან
ერთად ვიყახშმოთ მეთქი. სიამოვნებით დამთანხმდა. ამის შეს-
ახებ ნოდარ მემარიაშვილი წინასწარ გავაფრთხილე. ის და
ქარავაევი რუსთავეში ერთად წავიდნენ. მავრამ რესტორანში
დათქმულ დროს ვახშამზე, მარტო ნოდარი მოვიდა მეუღლით.
როდესაც სტუმრის შესახებ კვითხე, მითხრა ძალიან უსია-
რენო საუბარი გვჭონდა და არ მოვალ.

რა თქმა უნდა, კველა შევწიუბლით: ჩვენ ზომ კარავაევის
პატივისცემა გვსურდა!

ეკვე მოეიღნენ შექნებლობის მინისტრის მოადგილეები,
„საქახტეტშენის“ მთელი ხელმძღვანელობა. კველამ იცოდა
ჩემი და კარავაევის კარგი ურთიერთობის შესახებ და მთხ-
ოვეს, იქნებ, წახვიდეთ და მოიყვანოთ. კარავაევი განთქმული
იყო თავისი სიჯირტითა და სიკერპით. მაინც წავდი კრწანის-
ში. მეუღლესთან ერთად საშინაო ტანსაცმელში გამოწყობილი
დამსვდა. თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს მიხი და მინისტრის
უთანხმოების შესახებ არაფერი ვიცოდი. კუთხარი, კველა
თქენენ გვლოდებათ, სუფრასთან არავინ ჯდება, უთქვენოთ ვახ-
შამს ფასი არა აქვს-მეთქ.

— ომარ ალექსანდროვიჩი მართალია, აუცილებლად უნდა
წავიდეთ, უხერხულია ხალხი გველოდება, — უთხრა ცოლმა.

კარავაევმა უარი კველარ მითხრა. ორივემ ჩაიცვა და წამო-
მყენენ. კველას აშკარად გაუხარდა მათი მისელა. სტუმრებმა
მართლაც კარგად მოილნინეს. რაც მთავარია მინისტრები შე-
ვარიგეთ.

* * *

ჩემმა წინამორბედმა საქახტეტშენის მმართველის პოსტზე,
ერთი ხელის მოსმით გაათავისუელა საშიახურიდან საპენსიო
ასაქის კველა თანამშრომელი.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდა ვიფავი, ახ-
ალგაზრდა კადრებით დაკომპლექტებაზე უნდა გამეცეთებინა
აქცენტი. მაგრამ ეს საღი აზრისა და ადამიანური ურთიერთო-
ბის სრული უგულვებელყოფა იქნებოდა.

გათავისუფლებულთა შორის ხუთი პიროვნება გამორჩეუ-
ლად გამოცდილი და უაღრესად მაღალი კვალიფიკაციის სპე-
ციალისტი იყო.

საქახტემშენის სისტემაში ჩამოვყალიბდი როგორც ხელმძღვანელი. იმ ხალხს, რომლებიც „ბორტს მიღმა“ უწინოებული ნდა, დიდი ამაგი პქონდა ჩემზე გაწეული. ვიცოდი მათვი ფასის მიერა უმრავლესობას მოსკოვის ბაჟმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი პქონდა დამთავრებული, რაც მაშინ ძალიან პრესტიჟულად ითვლებოდა და საკებით სამართლი-ანადაც. საბჭოთა კავშირის ყველა დიდ მიწისქვემა და სამთო ობიექტების მშენებლობაზე იყვნენ ნამუშევარნი.

აი სწორედ ეს გათავისუფლებული ადამიანები დავაბრუნე სამსახურში და მათვის შეკმენი – ხუთკაციანი განყოფილება.

განყოფილებას სათავეში ჩავუყენე გამოცდილი სამთო ინჟინერი, უაღრესად კუთილსინდისიერი პიროვნება – ნიკუშა ალხაზაშვილი. მათ ჩავაბარეთ ძალიან როგორ საქმე: დამკვეთებთან და ქვემოიჯარადე ორგანიზაციებთან ურთიერთობის მოწესრიგება.

გაფორმებული ხელშეკრულებების მიუხედავად არცერთი ეს ორგანიზაცია არ ასრულებდა სახელშეკრულები ვალდებულებებს. ამ საქმისათვის თავის მობმას სჭირდებოდა ზედმიწვნით სკრუპულოზური, ბეჯითი მუშაობა, რათა ჩვენს ოურისტებთან ერთად კანონის ძალით პასუხი მოგვეთხოვა მათვის. თამათინებზე გაუთავებელ დაუას და კამათს წერტილი უნდა დასმოდა.

არადა, ათიათასობით დასახელების დასამონტაჟებელი მასალები და სპეციალიზიებული პროდუქცია უნდა მოეწოდებინათ დამკვეთებს ჩვენი, ძალიან როგორ სამრეწველო ობიექტების მშენებლობისთვის. თითოეულ ამ პოზიციაზე უნდა გვემუშავა – გავვერკვია, რატომ, რა დროით, ვისი მიზეზით დაიგვიანა მოწიდებამ და ა.შ. არ ასრულებდნენ ვალდებულებებს არც ქვემოიჯარე ორგანიზაციები, დროზე და ხარისხიანად არ გვაძარებდნენ სპეციალურ სამონტაჟო სამუშაოებს.

ახალმა განყოფილებამ ამ საქმეში, შეიძლება ითქვას, წეს-

რიგი დაამჟარა, ჩეკნს თურისტს, გამოცდილ სამართალმცოდნებს ისეთ სრულყოფილ მასალებს უწადებდნენ, რომ სასამართლო ლოს პირველ თუ არა, მეორე სხდომაზე, საღაც ჩვენი ქართული ლებს განიხილავდნენ, ჩეკნთვის სასარგებლო გადაწყვეტილებები გამოპერნდათ: ძალიან დიდ ჯარიმებს ადებდნენ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩვენთან დადებულ სახელშეკრულებო პირობებს არღვევდნენ.

მოკლედ, საჯარიშო სანქციებმა დადებითად იმოქმედა საქმეზე. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ ჩეკნს დამკვეთებს და ქვემოიჯარადებს ასეთი პრინციპულობა არ მოსწონდათ. გაელენიანი ხელმძღვანელები იდგნენ ამ ორგანიზაციების სათავეში, ხშირად ცდილობდნენ ჩეკნზე ზემოქმედებას ცეკას ძირისადან, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილების მეშვეობით.

რატომ იქცევით ასეო, მსაყვედურობდნენ, — ვპასუხობდი, რომ თვითონ არ ასრულებენ ვალდებულებებს, მე კი მიჩინიან ცეკაში, მთავრობაში, რომ ობიექტს დროზე ვერ ვაბარებ, ვერ ვასრულებ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პროგრამას. არადა ვერ ვასრულებ მათი მიზეზით, ამიტომ სსვა გზა არ დაგვიტოვეს, იძულებული გავვხადეს კანონისთვის მივემართა.

ამით, ვერ ერთი, საჩიერები შეწყვიტეს ზემდგომ ინსტანციებში, მეორე, გამგებნი და დამთმობნი გახდნენ, მაქსიმალურად ცდილობდნენ, დროულად დაეკომპლექტებინათ ობიექტები სპეციალური მასალებით. მესამე, ცეკაშიც და მთავრობაშიც დარწმუნდნენ, რომ სამშენებლო სამუშაოების შეფერხება დამკვეთების მიზეზით ხდებოდა.

ერთი ასეთი კარგი შედევრიც გამოიღო ჩეკნმა პრინციპულობამ: თუ ისეთი მასალა ჰქონდათ, რომელიც მე ძალიან მჭირდებოდა, მაგრამ იმ მომენტში არ გამაჩნდა, სიამოვნებით მითმობდნენ. მაგალითად, „ჭიათურმარგანეცს“ ჰქონდა დიდი რაოდენობით ზეტყის (H3) „ხელშეუხებელი მარაგი“, რომელ



იც შტაბელებად წლობით ეწყოთ გაუთვალისწინებელი შემთხვევებისთვის. ეს მარაგი ყოველწლიურად იცხოვოდა. ეჭურვაზე ძალიან მჭირდებოდა მაღაროს სამაგრი ხეტყე. ასეჭემა, ჰქონია ნახშირს“ პქონდა დიდი რაოდენობით შახტების რკინაბეტონის სპეციალური განხელები. ვთხოვდი და ულაპარაკოდ – გაგონებით მაწვდიდნენ.

– კანონის უზენაესობაში ყველაფერს ნათელი მოპოვინა, და კადევ ერთხელ დამარტიმუნა იმ ჭეშმარიტებაში, რომ მხოლოდ კანონი და კანონიერებაა ქვეყნის არსებობის და გადარჩენის ერთადერთი გარანტი.

გენეზი პრილიბის პრიმარიმისი...

მთელს რესპუბლიკაში დღიხანს ჰქონდათ სალაპარაკებად; როგორ დავარღვი ადაუწერელი კანონი", გავსედე და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს უწარმაზარი აუდიტორიის წინაშე შეეყავასუხე, პირდაპირ ვუთხარი, მცდარი ინფორმაცია გაქვთ და დარბაზი შეცდომაში შეგვავთ-მეთქი! ზოგიერთების აზრით, ჩემი მხრივ ეს გაუკონარი თავებდობა იყო: მაშინ ასეთი რამ არ ხდებოდა. თუ ვინმე ეტიკეტს დაარღვევდა, აუცილებლად მოპეიოთხავდნენ და საქმაოდ მკაცრადაც ამიტომ ქვეყნის პირველ პირებთან საჯაროდ შეპასუხებას ვერავინ ბედავდა...

განა ისეთი რა მოხდა? რატომ შევაგდე სასწორზე ჩემი ბედი, რისი და ვისი იმედი მქონდა?

მაშინ ტრესტი „საქშახტმშენის“ მმართველი ვიყავი. ყველა მაჩვენებლის მიხედვით საუკეთესო შედეგი გვქონდა. აქ კი, მადლობას ვინ ჩივის, სასტიკად გვაკრიტიკებდნენ! ჩემს უჭი იდგა კოლექტივი და მე, როგორც თავკაცის, მისი ინტერესები უნდა დამეცა. ამიტომაც ვეღარ მოვითმინე, ხალხით გაჭვდილ დარბაზში, ფეხზე წამოედექი, თუმცა მშენებელი მესმოდა, რამ შეიძლება ეს გაბედულება თანამდებობის ფასად დამჯდომიდა, პარტიის ცეკას მეორე მდივანს მოხსენება შევაწვევინე...

ამ, როგორ მოხდა ეს:

სისტემატურად, თვეში ერთხელ, ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს ერთობლივ გაფართოებულ თათბირებზე მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს იხილავდნენ. ტრიბუნაზე იდგა მოშსსენებელი, ცეკას მეორე მდივანი გენადი კოლბინი. თათბირს ესწრებოდნენ დარგის კურატორები – ცეკას მდივანი ვიორგი ანდრონიკაშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იური ქედიშვილი, მინისტრები, რაიკომის პირველი მდივანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარები



და შესვილი სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მომსახურებულის ბინათმშენებლობაში ჩამორჩენისთვის მაკლავი გააკრიტიკა დარგის მესვეურები. მოულოდნელად გვნადი კოლბინშა ჩემი გვარიც ანსენა, „საქშახტმშენი“ ჭიათურაში ძალიან ცუდად მუშაობს, ალბათ გადაწყვეტილებას მიეიღებთ და „ჭიათურშახტმშენს“ და მის ყველა ორგანიზაციას საბჭოთა კავშირის შევი მეტალურგიის სამინისტროს გადავცემთ.

ჯერ გავვოცდი, მერე კი სასტიკად ავღელდი, ასეთ ქრიტიკას ნამდვილად არც ველოდი და არც ვიმსახურებდი. ჭიათურაში წლების მანძილზე საუკეთესო მაჩვენებლები გვქონდა როგორც სიმძლავრეთა ექსპლუატაციაში გადაცემის, ისე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმების შესრულების მხრივ. ამ წარმატებათა გამო „ჭიათურშახტმშენი“ სისტემატურად იღებდა საკავშირო თუ რესპუბლიკურ გარდამავალ წითელ ღრიოშებს, პრემიებს, მადლობებს.

დაუმსახურებელი ქრიტიკა ვერ მოვითმინე:

— Генадий Васильевич, у вас неправильная информация! Мы ежегодно перевыполняем не только ввод мощностей, но и объемы строительно-монтажных работ.

ჩემი ეს განცხადება ბომბის აფეთქებას ჰგავდა. დარბაზი გაისუსა. ანდრონიკაშვილი და ქედიშვილი ხელით მანიშნებენ, გაჩუმდი და დაჯექიო. კოლბინი ასეთ რეაქციას არ მოელოდა — მიცნობდა და იცოდა, თავშეკავება რომ შემეძლო. მოლოდინი ნამდვილად არ გავუმართდე და გაოცდა.

— Мы это посмотрим и рассмотрим! — ისე უხეშად მიპასუხა, თითქოს ჩემი დაშინება სურდა. ამან კიდევ უფრო გამაცეცხლა.

— Генадий Васильевич! У Вас искаженная информация. Вот эту искаженную информацию проверьте и перепроверьте! — უკან არ დავიხიე და დაჯექიო.

ახლა მარტო გიორგი ანდრონიკაშვილი და იური ქედიშვილი კი არა, მთელი დარბაზი მუშახდა, გაჩურდი, დაჯექიო.



არ ვიცი რა მოხდა, რატომ დაიღვა მრისნანება კუნძულის გეორე მდივანმა და საკითხი აღარ გაამწევა. შესაძლულია მართვა ბინა იფიქრა, რომ ჩემთან ამ ტონით საუბარი არ ვამოადგევ ბოდა. ან, იქნებ თავისი ინფორმაციის უტყუარობამ დააჭირა.

მას ყველა იცნობდა, როგორც ბოლომდე უკომპრომისო მებრძოლს.

როცა დარბაზიდან გამოვდიოდით, მეგობრებმა და კოლეგებმა მისაყველერეს, ყველაზე ახალგაზრდა ტრესტის მმართველი ხარ, მომავალზეც ხომ უნდა იფიქრო, არ იცი, ასეთ დროს თავშეკავება რომ სჯობსო.

ერთი სიტყვით, გაბეჭულება დამიწუნეს! ჩემი საქციელის სისწორეში მე ერთი წამითაც არ დავუჭებულვარ...

სამსახურში დაბრუნებისთანავე გამოვიძახე საგეგმო და საწარმოო განყოფილებათა უფროსები, დაწვრილებით ვუამბე, რაც ცკის და მთავრობის გაფართოებულ თაობირზე მოხდა. დავავალე, სასწრაფოდ შეკრიბათ მასალები და სრულად გაეანალიზებინათ, როგორი იყო ტრესტის მაჩვენებელი როგორც მარგანეცის მაღაროთა ჩაბარების, ისე სამუშაოთა მოცულობის შესრულების მხრივ, შავი მეტალურგიის სამინისტროს დაქვემდებარებაში ყოფნის დროს და მისგან გამოყოფის შემდეგ.

ამ საქმით ვიყავით დაკავებული, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობის განყოფილების გამგის მოადგილემ აღექსანდრე ვინოგრაძოვმა რომ დამირეკა. თბილისელი კაცი იყო, კოლეგებში დიდი აეტორიტეტი და გავლენა ჰქონდა. ჩემს მიმართ იმთავითე კეთილად განეწყო. გულწრფელად ახარებდა ჩემი სამსახურებრივი წარმატებები. მკითხა, ახლა რას აპირებო. კუპასუხე, ვანალიზებთ, რა იყო და დღეს რა გვაქვს, მერე კი კოლბინთან შევალ-მეოქი.

— ძალიან სწორად იქცევი. სანამ კოლბინთან შეხვიდოდე, ჯერ ჩემთან მოდი. თუ საკუთარი თავისა გჯერა, მაშინ შენი საქციელი ამსოდებულია გამართლებულია და არც შენი მწვავე რეაქცია გასაკიცხი. ერთი სიტყვით, გელოდები.



од сафадомине грузине. Чироиди чайкотка. Когодбинон с

ка да утешра, хижташ омашар магдевеллашвили, монхеси

да риаати монгубаана да ткваренთаан шефомине грузине. Теборуленоми

— Пусть зайдет! — Укашева ма.

Шефомине да монгеса альми. Мегомна, гаражаврельеулла да ცუ-
დად монгубаане-მეთქი. ჩემდა გასაკვირად, წამოდგა, монгевела,
გამოიძიმа да ხელი ჩამომართვა:

— Садитесь, Омар Александрович!

დავჯექი да монхеси ნებითი ბარათი გავუწოდე. გვერდნახე-
ვარი იყო. ჩემი თანდასწრებით ფურადღებით ჩაიკითხა. შეკითხ-
ვები არ მოუცია. წამოდგა, ხელი გამომიწოდა да მითხრა:

— Спасибо Вам!

გაედიდა დრო და დაწვრილებით გავიგე, რა უძღვდა ვაჭარ-
თოებულ თათბირზე გენადი კოლბინის განცხადებას. ჭიათურ-
აში ქალაქქომის პირველ მდინად ჩემი დიდი ხნის მეგობარი
ნოდარ გაშაბე მუშაობდა. ის წლების მანძილზე თავმჯდო-
მარეობდა ნახშირის მრეწველობის პროფესიონები. მეც ხომ
სამთო საქმეს ვემსახურებოდი 11 წლის მანძილზე. ყოველთვის
კვრწნობდი მის ფურადღებასა და მხარდაჭერას.

ზემოხსენებულ თათბირს ნოდარიც ესწრებოდა და რაც
იქ მოხდა, ძალიან კარგად იცოდა. როგორც მან მიამბო,
ჭიათურაში ყოფნის დროს გენადი კოლბინის უთქვამს, შავი
მეტალურგიის მინისტრის პირველ მოადგილედ ჩემი სვერ-
ლოვსკელი თანამემამულე და მეგობარი დაუნიშნავთ. როცა
დაშირება და ეს შემატყობინა, მიკულოცე და საქართველო-
ში მოვიწვიე. იმ პირობით ჩამოვალ, თუ ჭიათურას ჩვენ
გადმოგცემთვა. მაშინ ის სამინისტრო მხოლოდ მარგანეცის
მოპოვებასა და ექსპლუატაციას უზრუნველყოფდა. ძალიან
უნდოდათ, რომ მაღაროების მშენებლობაც და მონტაჟიც მათ
დაქვემდებარებოდა.

— Передайте нам строительство и я буду чаше
приезжать! — Уთქვამს მეგობარს კოლბინისთვის.



კოლბინიც შეპირებდა, გადმოგცემო. აი, თურმე, რაჭა
ყოფილა საქმე!

გენადი კოლბინმა ერთბაშად რამდენიმე შეცდომა დაუსუსტა. ჯერ უნდა გასცნობოდა ჩვენი ტრესტის მაჩვენებლებს, მერე კი გამსაუბრებოდა. ალბათ იფიქრა, მშენებლებს ყოველთვის ცუდად აქვთ საქმე და ეს ტრესტი რაღა გამონაკლისი იქნებათ. ჩვენ კი მარგანეცის მაღაროსა სიმძლავეებს მუდამ ვადაზე აღრე ვაბარებდით. ზოგჯერ სამი-ოთხი სიმძლავრეც ჩამიბარებდა წელიწადში, რაც დარგისთვის რეკორდული მაჩვენებელი იყო. მე მცონი, კოლბინი ჩემმა ახალგაზრდულმა ასაქმაც შეაცდინა — იმედოვნებდა, კონფლიქტს მოერიდება და აღვილად დავიყოლიებო. არ გამოუვიდა....

«В КОНЦЕ КОНЦОВ, КОГДА ЖЕ ВЫ БУДЕТЕ РАБОТАТЬ?»



Саქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იური ქედიშვილი უცნაური კაცი იყო და ძალიან არასა-სიამოვნო მოგონებებიც დამიტოვა. ორიოდე შემთხვევას გა-ვისენებ.

მარნეულის რაიონში, სოფელ იმირთან ინერტული მა-სალების სამსხურევ-დამხარისხებელ მაღალი კლასის გიგან-ტურ კომბინატს ვაშენებდით. დამკვეთი სამშენებლო მასალათა მრეწველობის სამინისტრო იყო (მინისტრი ოთარ ლოლაშ-ვილი, მოადგილე შოთა ბეზარაშვილი), ორივე შესანიშნავი ადამიანი იყო. შემნებლობას მიამაგრეს იური ქედიშვილი. ჩენ კვირაში ერთხელ ვათვალიერებდით ობიექტს. იქვე ობიექტზე, თათბირზე ვიწილავდით ყველა პრობლემურ საკითხს. საქმე ჩინებულად მიდიოდა, კომბინატი წლის ბოლოსათვის საექს-პლუატაციოდ უნდა გადაგვეცა.

და აი, ერთხელ, როცა ტრესტში დეტალურად გავაანა-ლიზეთ კომბინატის სიმძლავრეების ამოქმედების საკითხები, იმ დასკვნამდე მიევდით, რომ დამპროექტებლებმა ბოლოობელ ვერ გათვალის და ვერ დაამუშავეს მზა პროდუქციის ტრანს-პორტირების საკითხი – ვერც არსებული სავტომობილო გზე-ბი და ვერც საავტომობილო ტრანსპორტი უწყვეტი ციკლით მოშუშავე კომბინატის მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებდა და აუცილებელი იყო რკინიგზის ჩიხის შემნებლობა, რათა მზა პროდუქცია რკინიგზის ვაკონებით მიეწოდებინათ საქართ-ველოს ნებისმიერ წერტილისათვის. პარალელურად კი უნდა დაწყებულიყო იმირი – მარნეულის საავტომობილო გზის რე-კონსტრუქცია.

პრობლემის არსი გავაცანი და თათბირის დანიშნა ეთხ-ოვე იური ქედიშვილს. თათბირზე მოსაწვევთა სიაც გადავ-ეცი (გავითვალისწინე როგორც დამკვეთები, ისე სამუშაოთა



შემსრულებლებია: თეოტერაზ დაკითაშვილი, გიორგი რობერტ ტაშვილი, ოთარ ლოლაშვილი, შოთა ბეზარაშვილი, შემქმნელი გარდოსანიძე...).

თათბირზე ინფორმაციის დროს აღვნიშვნე, რომ ობიექტის შენებლობა გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა და დატემულ ვადებში დამთავრდებოდა, თუმც ინტერტული მასალების ტრანსპორტირება გაჭირდებოდა, ვინაიდან დაპროექტებისას ბოლომდე არ იყო გათვლილი არსებული საავტომობილო გზისა და ავტოტრანსპორტის შესაძლებლობები. რეინიგზა კი საერთოდ არ გაეთვალისწინებიათ. ვითხოვდი, რომ დამკეუთს შეეკვეთა რეინიგზის ჩიხის შენებლობის და საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის პროექტები, ვარდოსანიძეს და რობიტაშვილს კი თავის მიმდინარე წლის გეგმაში გაეთვალისწინებინათ.

ინფორმაცია ძალზე ღარისური და გასაგები იყო. მითითებული მქონდა პრობლემის გადაწყვეტის გზებიც, ვადებიც და შემსრულებლებიც.

არ ვიცი, რა მოეჩვენა ქედიშვილს. უცრად ანერვიულდა, სკამიდან წამოხტა და აფინდა:

— თქვენ ობიექტის ექსპლუატაციაში დროული ჩაბარება არ გინდათ და ყოველნაირად ცდილობთ, რომ შეუერხება სხვა მიზეზებით ახსნათ...

რაც მეტს ღაპარაკობდა, მით უფრო მეტად კარგავდა თეთკონტროლს. ბოლოს ასეთი რამ ბრძანა:

— საკითხს აღარ განვიხილავ! ინტერტული მასალები ისე გამოიტანეთ, როგორც გინდათ, გნებავთ ავტომანქანებით, გნებავთ — ვაგონებით! არაფრის გაგონება აღარ მსურს! Я ничего не знаю, и знать не хочу! (ამ ურაზას ის წმირად იმურებდა) ახლა კი ყველანი აქედან მიბრძანდით! მისი თათბირიდან გამოსულები, მინისტრთა საბჭოს კორიდორებში ირონიულად იცინოდნენ — „ეს კაცი თვითონ აღიარებს, რომ არაფური არ იცის და არც უნდა რომ იცოდეს!“¹⁴-ო



მიგვატოვა და მოსასვენებელ რთახში გავიდა. გავმოითქმი უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდით.

გარეთ გამოვედით. ვერ ვისვენებდი. უნდა შეეძრულებელი ლოლამეულმა და ბეზარაშვილმა ხელი მომკიდეს, მითხრეს, თავი დაანებე, ვერ ხედავ, შემლილივით რომ იქცევაო.

არავის რჩევას ჭური არ ვათხოვე და მის კაბინეტში შევბრუნდი. იქ რომ არ დამხვდა, მოსასვენებელში შევედი. ავერ ფოფილა ვაჟაპეტონი, საღილობს და ჩაისაც მიირთმეს! თავზე დავადექი, ეს რა ჩაიდინე-შეთქი. ძალიან შეშინდა! ალბათ იფიქრა, ვცემდი. ჩემგან რა გინდათო, — იყვირა და ტუალეტში შევარდა. ახლა იქიდან ატეხა ჭყივილი, მიშველეთო...

ამასობაში გარეთ გასულებიც უკან შემობრუნდნენ და გამომიყენეს.

იმავე დღეს გენადი კოლბინის სახელზე მოხსენებითი ბარათი დავწერე და საკითხის გარკვევა ეთხოვე. ბარათი თვითონ შევუტანე. ვუამბე კიდეც, რაც იმ დღეს ქედიშვილის კაბინეტში მოხდა. კოლბინმა მოხსენებითი ბარათი ჩემი თანდასწრებით წაიკითხა, ტელეფონის ფურმილს მისწვდა და ქედიშვილს დაურეკა. არც მისალმებია, ისე მიძართა:

— იური ივანოვიჩ, თათბირზე განსახილველი საკითხები ხომ წინასწარ შეგითანაბეს, რატომ არ მიიღეთ გადაწყვეტილება, როდემდე უნდა იყოთ ცეკას იმედად? ეს ხომ თქვენი საქმეა. В конце концов когда же вы будете работать?

უთხრა ეს მკაცრი ტონით და ფურმილი დაუკიდა.

რაც ქედიშვილს ტელეფონით უთხრა, მოხსენებით ბარათ-საც თითქმის იგივე რეზოლუცია წააწერა. იქ იმასაც ვწერდი, რომ სანამ ქედიშვილი ობიექტის კურატორი იქნება, პრობლემებს გადაჭრა არ უწერია-შეთქი.

მალე ქედიშვილს კურატორობა ჩამოართვეს და ეს მისია გიორგი ანდრონიკაშვილს დააკისრეს.

— იმირის სამსხურეულამხარისხებელი კომბინატი დროულად და წარისხიანად ჩავაბარეთ ექსპლოატაციაში.



ახლა იმასაც მოგანსენებთ, როგორი იყო ის საკუთარი
ხალხის, თავისი მშობლიური ენის მიმართ და მიზეზნის უდიდესი
ქართული საქმის რანაირი გულშემატეივარიც იქნებოდა...

ტრესტის მმართველი რომ ვიყავი, დამირექა, კვაისაში
როცა წახვალოთ, მეც წამიერანეთო. კვაისაში ტკივია-თუთის
გადამშემავებელ კომბინატის და მთელ ინფრასტრუქტურას
ვაშენებდით – საცხოვრებელ სახლებს, საავადმყოფოს, სკო-
ლას, საბავშვო ბაღს, შიდა გზებსა და კომუნიკაციებს. და-
ურენებელ და მერიე დღეს წავდით. იქ საქმე კარგად გვქონდა
აწყობილი, შხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების პრობ-
ლემები იყო მოსაგვარებელი – რაიკომის ახალგაზრდა მდი-
ვანს კონკრეტულ დანართება და ისიც დაგვპირდა, ხარვეზებს
დროულად აღმიერებოდა.

რაჭაში, ბარიტის და დარიშხანის გადამშემავებელ კომბი-
ნატების მშენებლობაზე ვაპირებდით წასკლას, როცა ოსების
ხანდაზმულთა საძაცვიანი დელეგაცია მოგვადგა – გაეგოთ,
„ჩენი“ ქაცი ჭოფილა აქ და ჩვენს გასაჭიროზე დავულაპარაკე-
ბითო. მაღლები, ხმელ-ხმელები იყვნენ, კარაკულის მაღალი
ბოხოზებით, ხელჯოხებით, ფართო ქამრებშემოჭერილი, ბო-
ლომდე შეკრულდილებინი თაღზი ფერის ხალათებით.

– ტოვარიში ქედიშეილი, – დაიწყო ერთ-ერთმა რუსუ-
ლად და მაშინვე ოსურზე გადავიდა. იქვე ვდგევარით მე და
მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე ჯუნა მხედი. ქედიშ-
ეილმა უშესებდ გადმოვგეხდა, არაფერი მესმისო. უხერხული
მდგომარეობიდან რომ გამომჟყვანა, რაიკომის მდივანი მოვისმე.
„დალევაციის“ წევრები ლაპარაკს განაგრძობდნენ ისურად.
ქედიშეილი იღიმებოდა და თავს უქნევდა. მოვიდა მდივანი და
ოსებს მიუბრუნდა, ამხანავ ქედიშეილს ოსური არ ესმის, მე
მითხარით, რაც გნებავთ და გადავუთარგმნიო.

როგორ თუ ოსური არ იცის, ეს რა ოსიაო, იყვირეს იმათ,
გვერდზე გადაპურჭებეს, ხელი ჩაიქნიეს, ზურგი შეაქციეს და
ბუზღუნ-გინებით წავიდნენ.



ქედიშვილი განადგურებული ჩანდა. ერთი კი ჩაილაპარაკავა...
ოსური საიდან უნდა ვიცოდეო. ირში ჩასვლამდე ხშირად მოიცულია...

ურთხელ თბილისში ჩამოვიდა გორგი კარავაევის მოადგილე, ჩვენი რესპუბლიკის კურატორი სერაფიმ ცარუკიანი. ჰქვიანი კაცი იყო, ომგამოვლილი, საქმიანი. მშვენიერი ურთიერთობა გვქონდა. ერთ საღამოს კრწანისის რეზიდენციაში ვახშამი გაუმართეს. ვახშამზე მე და ნოდარ მემბარიაშვილიც მივკინების. სტუმართაგან ორი მოსკოველი არძის გენურალიც დამძმახსოვრდა, ალბათ უფრო გვარის გამო: ერთი შაბანოვი იყო, შეორე — ლურაკოვი...

იური ქედიშვილი გვიან შემოგვიერთდა. ჩემს გვერდით დაჯდა. კონაკი ვსვამდით. კოლბინი განსაკუთრებულ ჭურადლებას აქცევდა ქედიშვილს — იცოდა, სასმელს არ ეტანებოდა, მაგრამ მაინც აძალებდა. იურიმ თავი გამოიდო, ჭიქას ჭიქაზე ცლიდა. მომსახურე პერსონალთაგან ურთი და იგივე პიროვნება უვსებდა სასმისს. ხედავს კოლბინი, ქედიშვილის ჭიქას ორთქლი ასდის! რეაქციამაც არ დააყოვნა:

— Что это такое! — დაიქუხა მდიდარი.

აღმოჩნდა, რომ ქედიშვილმა შემოსვლისას მომსახურეებს კონაკის ბოთლში ჩაის ნაყენი ჩაასხმევინა და იმას სვამდა! როცა ერთი ბოთლი გამოსცალა, შეორე შემოუტანეს, ვერ მოეწომათ და ცივის ნაცვლად თბილი ჩაი ჩაესხათ!

ასე „გაიყიდა“ ქედიშვილი.

— Как, обманываяешь? — ისევ დაიქუხა კოლბინმა. — Налейте! — მომბართა მე.

წინ ოთხი დიდ-პატარა, სიმაღლის მიხვდვით ჩამწკრივებული ბროლის ღამაზი, მაღალი ფუჟურები გვეღვა. ბოთლი პატარას მიუჟარჯვე, იურისთვის უნდა დამესხა. კოლბინმა თითო გამოიშვირა და მითხრა, დიდ ფუჟურში დაუსხიო.

— Омар Александрович, если выпью, сегодня непременно умру, — დაიკვნესა ქედიშვილმა.



უუუური შეკუვესე და დაალევინეს. ისევ შემავხებინეს, იური
უარს ვერ ამბობს და აღარ იცის, რა ქნას. „იქნებ კონტაქტები
მართ?“ — მთხოვს. ჭიქა კი მოიყვადა, მაგრამ როგორც კი
კოლბინმა მზერა მოაცილა, წამსევ მე დამიდგა. ხელი მოკეთდე
თუ არა, კოლბინმა თვალი შემასწრო:

— რა ვი დეათე, ომარ ალექსანდროვიჩ? — უქმაყ-
ოფილოდ მომაძანა.

მივხვდი, კოლბინი ამას შევნებულად აკეთებდა: ქედიშ-
ვილი არც მას ეხატებოდა გულზე...

ქედიშვილმა ამდენ „დაწოლას“ ვეღარ გაუძლო, კისერი
მოწყდა და წაიყვანეს.

გავიდა წლები. საკავშირო „მშენბანების“ მითითებით რეს-
პუბლიკაში მშენებლობის მიმდინარეობა შეამოწმეს და დიდი
მიწერები გამოივლინეს. ამის გამო გაათავისუფლეს მინის-
ტრითა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იური ქედიშვილი,
ცეკას მდივანი გიორგი ანდრონიკაშვილი, თბილისის საქალაქო
საბჭოს თავმჯდომარე ზაურ მესხიშვილი, მისი მოადგილე
ირაკლი არობელიძე, მშენებლობის მინისტრის მოადგილეე-
ბი გიგა ქართველიშვილი და რევაზ თათეიშვილი, ტრესტის
მმართველები...

ერთ დღეს იური ქედიშვილი ჩემთან თხოვნით მოვიდა,
უშუშევრად დავრჩი და იქნებ სადმე დამასაქმოთო. მრავალი
წელი მას სოვედა მისგან, მაგრამ გულში ხინჯი მაინც არ ჩამ-
რჩენა. მით უმეტეს, რომ ჩემ წინ ხელმოცარული კაცი იჯდა
და უნდა დავხმარებოდი... კაპიტალური მშენებლობის სამმართ-
ველოს უძლვებოდა დამსახურებული პიროვნება კარლო გოგ-
იჩიაშვილი. ვთხოვე და ქედიშვილმა მასთან დაიწყო მუშაობა.
რიგიანი კაბინეტიც მივეცით და სამსახურის ავტომანქანაც-
ჩემთან ხშირად მოედიოდა დახმარების სათხოვნელად. ვეხმარე-
ბოდი, რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ის ძველი ქედიშვილი აღარ
იყო...

მოსახლეობის სასტუმრო

საქართველოს ტრესტის მმართველი ვარ. ვზიგათი გრიშამიათევა ნეტში. საღამოა. მირეკავს ცეკას მშენებლობის განყოფილების ინსტრუქტორი ხონა მაჩაბელი:

— Омар, дорогой, срочно на бюро!

დამცეცხლა: კარგ საქმეზე ასე მოულოდნელად და ასე გვიან არავის უძახიან.

ვეკითხები:

— Нона, в чем дело?

— Ничего не знаю...

წახლის წინ სასწრაფოდ დავურეკე მინისტრს — ნოდარ მებმარიაშვილს. კუპინები, რომ ბიუროზე მემახიან. მეც დამირეკეს და მეც მიბარებენო. არც მისთვის უთქვამთ, რა საკითხთან დაკავშირებით გვიბარებენ ცეკას ბიუროს სხდომაზე.

მივედით. ბიუროზე საკითხების განხილვა დამთავრებული იყო და პირდაპირ შევედით სხდომაზე. რომ ვთქა, არ ვნერვიულობდით, არ იქნება მართალი. ეტყობა, ეს ნერვიულობა და დაბნეულობა ორივეს ისე გვეხატა სახეზე. რომ ედუარდ შევარდნაძემ, სიცილი ვერ შეიკავა. გაეცინათ ბიუროს სხვა წევრებსაც.

გულზე მოგვეშვა — არც ისე ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე.

დავსხედით და ედუარდი იწყებს ლაპარაკს:

— მოსკოვის ცენტრში ჩვენმა მინისტრთა საბჭომ უნდა ააშენოს სასტუმრო. ეს მშენებლობა უნდა განეხორციელებინა სასოფლო მშენებლობის სამინისტროს. მაგრამ დღეს გაზით „პრავდის“ მოწინავეში „Сельские строители строят несвойственные объекты“ ხაზგასმითაა მითითებული, რომ ასეთი მანქიზი პრაქტიკის გამო ყურადღება აკლდება სასოფლო-სამუერნეო დანიშნულების ობიექტებს. ეს კრიტიკა სა-



მართლიანია და ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ. დღეს ბოჭკოვს სხდომაზე სასტუმროს მშენებლობა სოხო ხარატიშვილების უნდა დაგვევალებინა, მაგრამ ამ პუბლიკაციის შემდეგ უმისაჭვერა დღე და გადავწყვიტეთ, რომ მოსკოვში ეს სასტუმრო უნდა ააშენოს თქვენმა ტრესტმა „საქმახტმშენმა“. დარწმუნებული ვართ თქვენ ყველაზე უკეთ დაადგამს თავს ამ საქმეს.

ძალიან გამიკვირდა: შახტებს და მაღაროებს ვაშენებ, მაგრამ მოსკოვში სასტუმრო?! ხმამაღლა წამომცდა ეს ფრაზა.

— დიახ, სასტუმრო მოსკოვში, — მიპასუხა ედუარდ შეკარდნაძე, რომელმაც ყური მოპერა ჩემს რეპლიკას. თქვენ გაგიწიათ რეკომენდაცია კოლბინმა, პატარიძემ, ჩხეიძემ, ანდონიკაშვილმა.

უთათბირიათ, გადაუწყვეტიათ და კამათს აზრი აღარ ჰქონდა.

კარგით-მეტქი, დავთანხმდი, რადგან ჩათრებას ჩაყოლა სჯობდა...

ის კი ვიკითხე — ტექნიკური დოკუმენტაცია ვისა აქვს, რომ გამოვართვათ-მეტქი...

— ძალიან კარგია, რომ ეს საკითხი დააყენეთ, — მუუბნება შევარდნაძე, — ზურაბ პატარიძე უზრუნველყოფს ყევლაფერს. თქვენი დამტკიციც ის იქნება. შესაბამისად — ირაკლი ანდონიაძეც.

სამწუხაროდ, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შორის იყო სრულყოფისაგან. რაც მთავარია მოსკოვში, ცენტრში, ჩვენმა სამშენებლო ორგანიზაციამ სასტუმრო უნდა ააშენოს და ამ დროს ეს მშენებლობა მოსკოვის არცერთ შესაბამის სტრუქტურასთან არ იყო შეთანხმებული... Скатертьныи перекулок №6, ჩვენი წარმომადგენლობის გვერდით უნდა აგებულიყო ეს ობიექტი, მოსკოვის ძველ უბანში, სადაც კომუნიკაციები მოძველებულია, მჭიდრო დასახლებაა, თან იმ ადგილას საკაეშირო საგვეგმო კომიტეტის მოქმედი საერთო საცხოვრებელი დგას, რომელიც შეტანილია მოსკოვის ისტო-

როგორ-არქიტექტურულ ძეგლთა ნუსხაში. აյ სამშენებლო პროდუქტობის მოწყობა უამრავ სირთულესთანაა დაკავშირებული კი ეს დაგანვრცელებას?! 

დავიწყოთ შეთანხმებების პროცესი, ძალიან გაგვიჭირდა, რადგან დამკვეთის (ირაკლი ანდრიაძე) და პროექტის ავტორის (გოგი ტონია) მხრიდან სრულ უპასუხისმგებლობას წავაწყდით.

იძულებული გახდი, მთელი ეს სიმძიმე ჩემს თავზე ამეღო... ამ საქმეში ძალიან დამეხმარა ანდრეი მიხეილის ქიაკობაშეიღი. მან გამიერავა გზა მოსკოვის საქალაქო საბჭო-საკენ, სადაც მას დედაქალაქის აღმასკომის თავმჯდომარიდან — ლეგენდარული პრომისილოვიდან დაწყებული, ყველა იცნობდა და დიდ პატივს სცემდა.

აკადემიკოსი ანდრეი იაკობაშვილი „მოსკოვეტს“ დაქვემდებარებულ საავტომობილო ტრანსპორტის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა და, იმავე დროს, „Главмосавтотранс“-ის უფროოსის პირველი მოადგილეც იყო. ამ უზარმაზარ მეურნეობას სათავეში ედგა სოციალისტური შრომის გმირი გობერმანი.

ტუქი იაკობაშვილს, ჭკედანს, ნიჭიერს და არაჩეულებრივი გარევნობის კაცს, ათას კაცში გამოარჩევდი — იგი მთელ მოსკოვს უყვარდა.

საკავშირო შენებლობის სამინისტრო და პირადად მინისტრის მოადგილე სერაფიმ ცარიკიანი, ძალიან დამეხმარა. დაუბრკოლებლად გამოივიყენს ახალთანალი სამშენებლო მექანიზმები — ამწე კრანი, ბულდოზერი, ექსკავატორი, ყელაფერი რაც კი გვჭირდებოდა.

სხვათა შორის, ზურაბ წერეთელიც ძალიან დაგვეხმარა. ამაში მას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მოსკოვის მთავარი არქიტექტორი მიხეილ პოსოხინ, მისი მძახალი იყო.

ჩვენი მუდმივი წარმომადგენელი თემი ხარისუ შხარში ამოგვიდგა.

სრულიად გაურკვეველი პოზიცია დაიკავა ჩევნმა შინაგა-
ტრთა საბჭომ, პირადად სამეურნეო სამსართველოს ქრესტეფი-
ვანელმა ირაკლი ანდრიაძემ. ჩამორჩენას გვიკიფინჯახერთა შესა-
გრამ დამკვეთის უუნქციების შესრულებას კლემენტარულადაც
ვერ უზრუნველყოფდნენ.

მახსოვეს, სასტუმროს შენებლობის საკითხზე ირაკლი ან-
დრიაძის დაკინგული მოთხოვნით, 3 იანვარს ზურაბ პატარ-
იძე ატარებს თათბირს. მომხსენებული ანდრიაძეა და აცხადებს,
რომ შენებლობა გაჩერებულია. მოსკოვიდან თებო ხაჩიძეც
სამოსულია და ესწრება ამ თათბირს.

ვუსმენ „საბრალდებო დასკვნას“ და დარწმუნებული ვარ,
რომ ირაკლის შემდეგ მე მომცემენ სიტყვას. მაგრამ ზურაბმა
თვითონ გასცა პასუხი:

— ირაკლი, არ გრცხვენია, რასაც ამბობ? არ იცი, რა
მოხდა მოსკოვში 29 დეკემბრის ღამეს?

მაშინ მოსკოვში ყინვამ 40 გრადუსს გადააჭარბა, ურთ
ღამეში რამდენიმე რაიონული საქაბე მწყობრიდან გამოვიდა
და ხალხი ახალ წელს თბილად ჩატარები გაყინულ სახ-
ლებში შეხვდნენ, სამარტეულოებში ანთებულ გაზქურებთან.

ასეთ პირობებში ღია ცის ქვეშ სამშენებლო სამუშაოების
გაგრძელება არა მარტო შეუძლებელი იყო, არამედ კატეკო-
რიულად იქრძალებოდა.

სასტუმროს შენებლობაზე უწყვეტი ბეტონირების მეთო-
დით ვმუშაობდით 24 საათის განმავლობაში, თანაც ბეტონის
ელექტროგათბობას ვიყენებდით და მისი გაყინვისა და გაფუ-
ჭების არ გვეშინოდა. მაგრამ, როგორც კი 20 გრადუსს ყინვას
გადასცედა ტემპერატურა, შენებლობაზე გამოცხადდა მოსკო-
ვის Arхстroiийнадзорი და ყველა მექანიზმი დაგვიპლომბა.
ელექტროენერგიაც გამოგვირთეს და სწორადაც მოიქცნენ.
მუშაობა შეწყდა, ირაკლი ანდრიაძემ კი აქ „სასამართლო
გარჩევა“ მოგვიწყო, მაგრამ როგორც ვთქვი, მთავრობის თავ-
მჯდომარისგან შესაფერისი პასუნიც მიიღო.



ყინვიან ამინდთან დაკავშირებით ერთ ასეთ ამბავს ცეკვითი გიხსენებ.

ზამთარი იყო, საკავშირო ცეკას მდივანი მიხეილ სუსლოვი რომ გარდაიცვალა. ეს უძალლესი რანგის ფუნქციონერი, სტალინმა დააწინაურა. საგულისხმოა რომ ის მაშინ ყველაზე ახალგაზრდა ცკის მდივანი იყო, მაგრამ სტალინის გარდაცვალების მერე მისი უსასტიკესი მტერი გახდა... დაას, მაღლიერების ნაცვლად ზიზღით უჟასუხა ბეჭადს.

აქადემიის მსმენელებს დაგვავალეს დაერძალვაზე დასწრება. ვისაც გამოცდილება პქონდა, შესაბამისად მოქმედდა. მაგრამ ჩემთვის საგანგებო „აღჭურვილობის“ აუცილებლობა უცნობი იყო. თბილად კი ჩავიცვი, თუმც რაღაც განსაკუთრებულად არა. თან ვიტიქრე, ძალიან თუ შემცირებოდა, ჩავიდოდი მეტროში და რამდენიმე გაჩერების შემდეგ შინ აღმოვჩნდებოდი.

დაგვაუყნეს წითელ მოჯანზე. ცოტა წანს, გავუძღი, მაგრამ როცა ძალიან შემცირდა, დავაპირე წამოსვლა. ვინ გიშვებს? თურმე მოჰელი ეს „მგლოვიარე მასა“ მოქცეული ვართ უშიშროების სამსახურის თანამშრომელების ბადეში, საიდანაც გამოსვლა წარმოუდგენერელი იყო. ჩე იულიენო! — გვეუბნებიან, თან არავინ გიხსნის, რატომ...?

მოსკოველებს, ასეთ ექსტრემალურ პირობებში, ორივე ნალური მეთოდი პქონდათ შემუშავებული. ბუტერბრივებით, არყით, თერმოსებით ყავა და ჩაით „აღჭურვილები“ როგორც კი იღრმნობდნენ, რომ ყინვამ შემოუტიათ, საპასუხოდ აამოქმდებდნენ საკუთარ „რესურსებს“...

მოკლედ, რადიკულიტი „ავიკიდე“ და მიუხედავად იმისა, რომ საკავშირო ჯანმრთელობის სამინისტროს მეოთხე მთავარი სამმართველოს საექიმო პერსონალი მკურნალობდა (აქადემიის მსმენელებს გვეკუთვნოდა ასეთი დონის მომსახურება), არაფურმა მიშველა.



უეხზე დადგომა რომ შევძლი, მეგობრების, ჭრის, ზურ მესაბლიმეილის დახმარებით მივაკითხე ჯუნა და უსაკრიტიკული თაშვილს, ცნობილ ექსტრასენსს, რომელსაც იმჟაფრულების ისეთი სახელი პქონდა გავარდნილი მთელს მოსკოვში, რომ ჩვეულებრივი მოკედავისთვის მასთან შეღწევა პრაქტიკულად შეუძლებელიც კი იყო.

ადრე ჯუნა მოსკოვში ამიკო კავკასიძემ და ჯიმი მიქელაშვილაცნება ცამაცნეს... სასტუმრო „მოსკოვის“ აპარტამენტებში ჯუნამ წვეულებაზე მიგვიპატივა.

დიდი გაჭირებულით მივაღწიე ჯუნამდე. მოსაცდელში სხედან საყოველთაოდ ცნობილი პიროვნებები: არქადი რაიკინი, ილია გლაზუნოვი, ბრექნევის თანაშემწერ აკადემიკოსი სმირნოვი... რამდენიმე უცხოელი... მათ შორის ირანის ელჩი და ურთი შეინიც...

როგორც კი უთხრეს ჯუნას, რომ მე ვარ, დაუყოვნებლივ მიმიღო. ჩამოვადა პატარა პუზზე, ზურგით თავისკენ დამაყნა და მექოთხება:

— Омар, Вы что нибудь чувствуете?

კვრინობდი, რა თქმა უნდა, კვრინობდი, რომ წელზე დიდი ძალით მაწვევოდა. თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ წავიქცევა უთხარი ამის შესახებ.

აბა მიიხედე სარკისქნო. დიდი სარკი ბულეტის ჭარზე იყო. მივიწედე და რას ეხედავ: ჯუნას ხელისგულები თხუთმეტი სანტიმეტრით მაინც აქვს დაცილებული ჩემი სხეულიდან. არ მეხება. არადა, მე ისეთი შეგრძნება მაქსს, რომ თითქოს მთელი ძალით მაწვება.

მოკლედ 12 სეანსი ჩამიტარა და სრულად გამომაჯანმრთელდა.

დიაგნოზი პირველსაცე შეხეედრაზე დამისვა: ჯანმრთელი კაცი ხარ და ბოლომდე ჯანმრთელი იქნებიო.

ამიხდა ჯუნას წინასწარმეტყველება — ახალგაზრდობის

ასაკს ქარგა ხანია გადავაძივე, მაგრამ ჯანმრთელობას უწევივა.

ისიც უნდა ვთქვა, რომ მთელს ამ მკურნალობაში ქაპი-
კი არ გამოიმართვა. თბილისელ კაცს ფულს როგორ გად-
ავახდევინებ, აბა, შეხედე, რამდენი ელჩი, შეიხი და მიღიონ-
ერი მელოდებაო!

სეანსებზე ყოფნისას ჯუნამ უამრავი უურნალ-გაზეთი
მაჩვენა, როგორც უცხოური, ასევე საბჭოთა, სადაც მადლობას
უხდიდნენ მსოფლიოში აღიარებული პიროვნებები, მათ შორის
ამერიკელი ასტრონავტი ნილ არმსტრონგი, მან პირველმა
დაადგა ფეხი მოვარის ზედაპირს.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი,
სამგზის სოციალისტური შრომის გმირი ანატოლი პეტრეს
ძე ალექსანდროვი მაღალი აზრისა იყო ჯუნა დავითაშვილის
ნიჭისა და ტალანტზე, ამასთანავე მის ამოუხსნელ უენომენზე.
მისი აზრით, მეცნიერების ღლევანდელ მიღწევებს სამწუხ-
აროდ არ ძალუქს დავითაშვილის ფენომენის ამოხსნაო —
წერდა იგი.

თაცაღგომა

იმ ამბის შემდეგ, ახლა რომ უნდა კიამბოთ, საკმაოზე დიდი დრო გავიდა, მაგრამ ის იმდენად სულის შემძვრელი იყო, რომ დღემდე მახსოვეს.

მოსკოვიდან მოვფრინავდი. ტრაპშე ჩემს წინ რუსი ახალგაზრდა ქალი, ავიდა ექიმების თანხლებით და მკრედზე მიხუტებული პატარა ბავშვით... მიეხვდით, მძიმე ავადმყოფი მიპყავდა. ბავშვის სახეს დაეხედე, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

ახალგაზრდა ქალი ჩემს წინა რიგში დაჯდა. ექიმები თავს დასტრიალებდნენ. თვითმფრინავში ჩასხდომა ისევ გრძელდებოდა. ხალხი ნელ-ნელა ამოდიოდა. უკრად ქალმა ბავშვი კიდევ უფრო ჩაიხუტა და ამოიგმინა, მერე კი მწარედ აქვით-ინდა.

ყველაფერი ნათელი იყო: ჩანს, საავადმყოფოდან უიმედო პაციენტი გამოისტუმრეს...

უმაღლ შემთხვევის ადგილზე გაჩნდნენ სტიუარდესები. სხვა გამოისავალი არ იყო, ახალგაზრდა დედა და გარდაცვლილი ბავშვი ბორტიდან უნდა მოეხსნათ. ასეთი იყო კანონი – თვითმფრინავით სათანადოდ შეუუთელი მიცვალებულის წაღება მხოლოდ საბარეო განყოფილებით შეიძლებოდა. ჭირისუფალი კი არ გადის, ამბობს, რომ თბილისის აეროპორტში ქმარი და შობლები ელოდებიან. ოლონდ დამტოვეთ, სიტყვას გაძლევთ, ხმას არ ამოვილებ, არავის შევაწუხებო, – რუსულად იფიცება, რაღვან ქართული ცუდად იცის.

წარმოვიდგინე, რამდენი ნერეითულობა ელოდა ისედაც გამწარებულ დედას, ამიტომ ფეხზე წამოვდექი იმ განხრახვით, რომ უბედურს დავხმარებოდი – ნებისმიერი საშუალებით ორივენი ბორტზე უნდა დაგვეტოვებინა.

მაგრამ კანონი, რომელიც სტიუარდესების ენით დაღადებს, შეუვალია! არაფრის გაგონება არ სურთ! მოვიდა „უნუკოვოს“



მიღლიცას. ზედაც არ უყურებენ ჩემს პირადობის მოწმობას. მივდივარ საპაერო ლაინერის მეთაურთან, ახლა იმას კუნძულის ვინა ვარ და რა მინდა.

ამ გაწამაწიაში ვარ, როცა მხარში ამომიღვა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოაღილე ნუგზარ ებრალიძე (სამწუხაროდ, დღეს ცოცხალი აღარ არის. ღმერთმა ნათელში ამყოფის მისი სული) როგორც იქნა, ურთობლივი ძალით გავტეხეთ ხომალდის მესეურთა წინააღმდეგობა და ახალგაზრდა ქალი სალონში დავატოვებინეთ...

უბედურმა დედამ დაპირება შეასრულა. ვინ იცის, რა ჯოჯონხეთურ თავშეკავებად დაუკდა ეს, თუმცა, თბილისამდე ქრინტიც არ დაუძრავს. მაგრამ აი, თბილისში... როგორც კი თეითმფრინავის ქარი გაიღო, ტრაპზე გავიდა და შინაურებს მოპქრა თვალი, თავი ვეღარ შეიკავა... ამდენი წნის შეგუბებულმა მწუხარებამ გულიდან ერთბაშად ამოხეთქა და პაერი დედის კივილმა შეძრა.

ის ხმა დღესაც ჭურებში მიწივის და ჭოველ განსენებაზე განგებას შევთხოვ: ღმერთო, ჭველას, ჭველას არიდე შვილის სიმწარე...

დაზინაჟრება

შუაღამება და ტყიბულში, სახტაში ვარ. ერთ-ერთ პორტ-ზონტზე მორიგე მეუბნება, მინისტრის თანაშემწეობი ედუარდ ქაბაძინანმა დარეკა და გიქითხათ, მემმარიაშეიღი ექტასო. და-ურეკე ქაბაძინანს. რატომ გეძებს არ ვიცი, მაგრამ ასე თქვა, ხეალ, დილით, ცხრა საათზე, ჩემთან უნდა იყოსო.

— ახლა დამის თორმეტია. როდის ამოვალ შახტიდან, ან როდის მოეწესრიგდები და წამოვალ-შეთქი...

— არ ვიცი, ომარ ალექსანდროვიჩ... თბილისში, მინისტრთან უნდა იყოთ 9 საათზე-ც.

გამოწენისას თბილისში ვიფაცი.

ცხრა საათზე მინისტრთან ვიჯვექი. ტყიბულის ამბები გამომკითხა, მერე კი მეუბნება:

— ჩემი მოადგილე ლევან თოლურია სახელმწიფო მომარსების კომიტეტის თავმჯდომარის პირები მოადგილედ გადაიყვანეს. მისი ადგილი უნდა შემოიტავაზოთ...

მოულოდნელობისგან გავშრი. ასეთ დანიშნებს, როგორც წესი, წინ უსწრებდა მითქმა-მოთქმა, მე კი არაფერი გამიგია. ჩემი გონება ავტომატიკით მუშაობს: „ტრესტის შპართველი ვარ და საქმე აწყობილი მაქვს. მაღალი ხელფასი, პლიუს პრე-მიები, მე-13 ხელფასი, დანამატი და წელთა დამსახურება, თვეში საშუალოდ 1000-1200 მანეთამდე გამომდის, მაქვს უმრავი შეღავათიც, მინისტრის მოადგილედ თუ გადავალ, ყველაუერზე უარი უნდა ვთქვა, მე კი ოჯახი მყავს შესანახი...“

— დიდი მადლობა ასეთი დიდი ნდობისათვის, ნოდარ აკაკი-ვიჩი, მაგრამ ვთხოვთ დამტოვოთ ჩემს თანამდებობაზე კოდევ რამოდენიმე წელიწადი.

მინისტრი გაოცდა:

— თქვენ რა, მინისტრის მოადგილუობაზე უარს მეუბნებით??!

მისი არგუმენტები ჩემზე სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. მიზანს რომ ვერ მიაღწია და ვერ დამიყოლია, გან-



რისხებული სკამიდან წამოსხტა, ხელი ჩაიქნა, მიშატოვა და კაბი-
ნეტიდან გაუარდა. თანაშემწეს მიაძახა, კოლბინთან მიეციცა და
დაბნებული ვარ. რა ვქნა, როგორ მოვიქცე? შესაძლოა, სხვა
ამ წინადაღებას ღვთის წყალობასავით შეხვედროდა, ჩემზე კი
მან დამთრუნველი ზეგაელენა მოახდინა. შემოდის ქაბაბჩიანი.
ისიც გაოცებულია:

— Что с Вами? — Мечтаете. Играй, Роман Михаилович. ვმეცობრობთ. უკირს, განა ისეთი რა მოხდა, მინისტრი კაბი-
ნეტიდან თავქულმოვლეჯილი რომ გამოვარდა.

ვუთხარი, მოადგილედ გადმოიყვანას მიპირებს მჟავა.

— Правда? Поздравляю! А я ничего не знал!

სამინისტროში აღარ გაეჩერებულვარ, ტრესტში წამოიედო. მირუკავს ალექსანდრე ვინოგრადოვი, ახლავე ჩემთან ძოლით. მასთან დამხვდა მინისტრთა საბჭოს შენებლობის განყოფილების გამგე გიურ შანიძე.

— Шენ რა, გადაირიე, უარს რატომ ამბობ? — შემომი-
ტია საშამა, — შენისთანა პერსპექტივა ბევრს არ დაესიზმრება. გაითვალისწინე, საკითხი კოლბინთან უკვე შეთანხმებულია. შენი
არგუმენტები კარგად შეინახე და დაიხსომე, ცეკაში ხელფასზე,
პრემიებზე და, საერთოდ, შემოსავლებზე საუბარი ცუდ ტონად
ითვლება. მაგაზე აქცენტის გაკეთებას არ გირჩევ. ფრთხილად
იყავი, ყველაფერი უკულმა არ შეტრიალდეს!

ტელეფონმა დარეკა. ვინოგრადოვმა ფურმილი აიღო. ცე-
კას მდივანი გიორგი ანდრონიკაშვილი იყო, ომარი კოლბინთან
შეეიდეს, ელოდებაო.

— აბა, შენ იცი, რაც გითხარი, არ დაივიწყო, — ისევ
გამაფრთხილა საშამ.

კაბინეტში შევედი თუ არა, კოლბინი შემეგება და ხელი
ჩამომართვა.

— ომარ ალექსანდროვიჩ, მე თქვენი აზრი უკვე ვიცი,
მაგრამ... ახლა მიწისქეშა საქმეები გვერდზე უნდა გადადოთ,
სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას და



ტრანსპორტს მიხედოთ. როგორც ტრესტში გამოიჩინეთ თავი, ახალ თანამდებობაზეც უნდა იყოჩაღოთ! ბიუროს სამუშაოები ყველა მხარს გიჭროთ. წარმატებებს გისურებოთ. თურთმეტ საათზე ბიუროშე მოდით – მეუბნება ცკის მეორე მდივანი.

ეს ყველაფერი ერთ დღეში გადაწყდა!

კიდევ ერთი „ქოშირი“ მეგულებოდა და იმაზეც ვამყარებდი იმედს: ახალგაზრდული ცდუნებისთვის სასკელს იხდიდა ჩემი უძროვის ძმა – თამაზი. მაშინ ოჯახურ მდგომარეობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. მეც ვიიქიქრე, იქნებ ძმის ცოდვამ მიშეველოს-მეთქი. გულს ისიც მიმავრებდა, რომ ბიუროს დაწყებამდე ედუარდ შევარდნაძეს უნდა შევცველოდი. მოგეხსენებათ, ის კადრებს როგორ გულმოდგინედ არჩევდა.

მაგრამ კორზი აქაც ნაცარში ჩამივარდა: თავისი დიდების ზენიტში მყოფმა ცვეპას პირველმა მდივანმა ისე თბილად მიმიღო, თითქოს დიდი წნის მონატრებული ახლო ნათესავი ვიფავი! მამაჩემის ჯანმრთელობით დაინტერესდა, მერე კი თამაზიც მოიკითხა...

ამან სულ დამაბნია.

– თამაზი დაპატიმრებულია, ედუარდ ამბროსიევიჩ, – ვუპასუხე. მეგობრებიდან ყველამ იცოდა, ძმის ამბავს როგორ მძიმედ განვიცდიდი.

– რას ვიზამთ, უარესიც ხდება ხოლმე. მაგაზე წე ინერვულებთ. ახალგაზრდობაში ასეთი ამბისგან არავინ არ არის დაზღვეული... ვიცი, რომ ტრესტში კარგად მუშაობდით. იმედია, სამინისტროშიც კარგად იმუშავებთ. რაიმე შეკითხეა ან თხოვნა ხომ არ გაქვთ? – მეუბნება ედუარდ ამბროსიევიჩი.

რახან ჩემი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, შემთხვევით ვისარგებლე და ერთი მეტად უხერხული საკითხის მოგვარებას შევეცადე. ჩემი წინამორბედი კურირებდა აჭარას და რამდენიმე სამინისტროს. ბუნებრივია, იგი ამ რევილნა და დარგებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა, რაც დიდი მითქმა-მოთქმის საგანი იყო – თითქმის ყველა დერეფანში ამაზე ლაპარაკობდა.



ეს მავნე პრაქტიკა უკეთესობად უნდა აღმოფენილიყო, რათა
მთელი კურადღება ყველა რეგიონშია და დარგშე თანხმისათვის
გამოიწილებინა და ვინმესოთვის წამოძახების საბაბიც შემუშავის.
კლუარდ შევარდნაძემ სიტუაციას წამსევ აღლო აუდო და მხ-
არდაჭერას დამსირდა.

ბიუროშე პირველად ჩემი საკითხი განიხილეს. ყველამ
ერთხმად დამიჭირა მხარი. ბატონშა კლუარდმა წინასწარ
გასაუბრებაზე ჩემს მიერ წამოწეულ საკითხზე გაამახვილა
კურადღება და თქვა — კურატორობის გაუქმებას მხარს კუჭე-
რო. პირველ მდივანს გენადი კოლბინი და ზურაბ პატარიძეც
დაათანხმნენ. შევარდნაძემ საკითხის გადაწყვეტა დაავალა
მინისტრ ნოდარ მექმარიაშვილს, რომელიც ბიუროს ესწრე-
ბოდა. მან ბრძანა, რომ ეს საკითხები საკაუშირო მინისტრის
კარავაევის პრეროგატივაა და უიმისოდ გადაწყვეტილებას ვერ
მივიღებო. შევარდნაძე კოლბინს მიუბრუნდა:

— გენადი ვასილევიჩ, თუ შეიძლება, დღესვე დაუკავ-
შირდით კარავაევს და ცეკას ბიუროს თხოვნა გადაეცით...

ასე განვთავისუფლდი კურატორობის მეტად უხერხული
მოვალეობისგან.



მართვის დარღვეულების სისტემა

სისხლეთა მიმართ ინტერესი ყოველთვის შექმნდა. ვკრძნობდი, რომ მთელ რიგ საკვანძო საკითხებში პროგრესი აუცილებელი იყო. როცა შშენებლობის მინისტრის მოადგილედ დამაწინაურეს, ხელ-ფეხი გამეხსნა, რათა ჩემი დიდი ხნის ჩანაფიქრი სისრულეში მომეუფანა – ჩამოვაყალიბეთ მატერიალური უზრუნველყოფის, კომპლექტაციის და ანგარიშსწორების სრულიად ახალი სისტემა. ამას ხელი შეუწყო სელექტორული კავშირის გამოყენებით სადისპეტჩერო თათბირების დანერგვამ, რომელთაც ყოველ ორშაბათს საღამოს ექვს საათზე სამინისტროს გამოთვლით ცენტრში ვატარებდით.

სელექტორულ თათბირებში მონაწილეობდა შშენებლობის სამინისტროს ყველა ქვედანაყოფი: გაერთიანება, ტრესტი, სახლმშენებელი კომბინატი, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმო თავისი დისლოკაციის ადგილიდან, სახელმწიფო მომარაგების ხელმძღვანელობა და მისი სამსახურები (გურამ კლიმიაშვილი, ანზორ თავართქილაძე, ანზორ მენთეშაშვილი, ბონდო ხობელავა, დავით თევზაძე, ნიაზ ხოფერია, ემზარ ორევონიკიძე), აგრეთვე, სამშენებლო მასალების, ხეტყის გადამუშავების, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები, ნაეთობმომარაგება და სწორი ვისთანაც კი საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებდა. თათბირში მონაწილეობდნენ სამინისტროს აპარატის ის სამსახურებიც, რომელთაც უშუალოდ ეხებოდათ განსახილები საკითხები. ყველამ წინასწარი იცოდა თავისი რეგლამენტი.

ისეთი გარემო შეიქმნა, როცა ყველა ყველას უსმენდა და იქვე, ოპერატორულად შეეძლო თავისი აზრის გამოთქმა და საჭირო ინფორმაციის მოწოდება. თანდათან წარსულს ჩაბარდა ერთმანეთშე გადაბრალების, უსაფუძვლოდ თავის მართლების, ფუჭი მიმოწერის, არასწორი ინფორმაციის მიწოდების მანკიკრი პრაქტიკა.



სიახლის არსი შემდევშიც მდგომარეობდა: ვინილუპვილი და ვწყვეტდით არა მარტო ჩეუნი სამინისტროს ქვედაზე მუნიციპალიტეტის ბის საჭირობოროტო პრობლემებს, არამედ თათბირის მონაწილე მომწოდებელი ორგანიზაციების – ჩეუნი პარტნიორებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებსაც. ადრე, როგორც წესი, მათ პრეტენზიებს ფურადღებას არავინ აქცევდა: თათბირები იწყებოდა და მთავრდებოდა ურთიერთ საყველურებითა და ბრალდებებით, ხოლო პარტნიორს ჩეუნივე მიზეზით თუ რამე უჭირდა, არავის აინტერესებდა. საქმე ის არის, რომ ხშირად გვიგროვდებოდა მომწოდებელთა ე.წ. ვადაგადაცილებული დავალიანებები: სამშენებლო ორგანიზაციები შესრულებული სამუშაოს საფასურს დამკერთებითა დარღულად თითქმის ვერასოდეს იღებდნენ. ამაში დამკერთები ძალიან სცოდავდნენ. ეს კი აყოვნებდა ხელფასების დროულ გაცემას და მომწოდებლებთან ანგარიშეწორებას.

უფერობით გაწამებული შექნებლები დრღულად ვერ ახერხებდნენ საჭირო მასალების შექნას და შემოტანას, ამიტომ საკითხის დარღულირება ჩეუნის ინტერესებშიც შედიოდა: თუ მომწოდებელს პრობლემებს არ შევუქმნიდით და ფულს დრღულად გადაუკენდიდით, მასაც ყველა საშუალება კწნებოდა, რომ ჩეუნი დაკვეთები დროზე და ხარისხიანად შეესრულებინა. ჩემს ქვედანაყოფებს მკაცრად ვთხოვდი, რათა პარტნიორებთან პირნათელნი ყოფილიყვნენ, ფინანსური დავალიანებები ვადაგადაცილებაში არ გადასხვდილიყო და მათ მიერ შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება თავის დროზე აძრევით დამკერთებისგან.

ამან ჩეუნის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა: მომწოდებლებმა დაინახეს, რომ მათი წარმატება-წარუმატებლობა ჩეუნც გვაღელვებდა. თვალნათლივ დარწმუნდნენ, რომ მათ ინტერესებსაც ვიცავდით, ვწრუნავდით, რათა ვადაგადაცილებული დავალიანებები მოლიანად აღმოგვეფხვრა. ეს მათვეის დიდი სტიმული იყო, რათა ჩეუნის მიმართაც პირნათელნი ყოფილიყვნენ.



სელექტორულმა სადისპეტჩერო თათბირებმა და მუნიციპალიტეტის დაურად შეცვალა სიტუაცია – გააჯანსაღა და გააუმჯობესებულება სამშენებლო და საწარმოო ქვედანაყოფების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა და ჩვენს პარტნიორებთან ურთიერთობა. ზენორმატიული ნაშთები ნორმატივის დონეზე და-კიყვანეთ.

მაგრამ ჩვენი ღონისძიებები მხოლოდ ამ სელექტორულ-სადისპეტჩერო თათბირებით როდი ამოიწურებოდა. სამინისტროს შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ყოველ სამშაბათს მივდიოდი საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში, სადაც მინისტრი თემურაზ დავითაშვილი თავის ქაბინეტში იწყვებდა რესპექტის სატრანსპორტო გაერთიანებათა ხელმძღვანელებს, თავის ყველა მოადგილეს, სატვირთო გადაზიდვების სამმართველოს უფროსს აღექონ ჩეკიძეს (მასთან ბავშვობის დროინდები მეგობრობა მაკავ-შირებდა). თათბირზე დიდი გულისფურით იხილავდნენ უაღ-რესად საჭიროებროტო და გადაუდებელ საკითხებს. მართალია, ჩვენს სამინისტროს პჟონდა საკმაოდ ძლიერი სატრანსპორტო ტრესტი, მაგრამ იგი საკუთარი ტრანსპორტით მეოთხედითაც კერ უზრუნველყოფდა ჩვენს მოთხოვნებს. ამდენად, თემურაზ დავითაშვილის სამსახურებთან ურთიერთობა შემნებლობის სამინისტროს წარმატებათა საწინდარი იყო. ბატონი თემურაზი თავისი საქმის დიდი პროფესიონალი, შესანიშნავი ორგანიზატორი, ძალიან გულისხმილი პიროვნება გახლდათ. ჩვენს მიერ დასმულ ყველა საკითხს მუდამ უკრალდებით ეკიდებოდა და ოპერატორებიდაც წყვეტდა. ჩვენ, შემნებლები, მისი დიდი მაღლივობები ვიყავით.

ხუთშაბათობით ამიერკავკასიის რკინივზის სამმართველოს სადისპეტჩეროში სასელექტორო თათბირზე გვიწვევდა გზის უფროსი ლევან გარდოსანიძე ან მისი პირველი მოადგილე აღექსანდრე ქვანტალიანი – პროფესიონალი, გულისხმილი, დინჯი და თავაზიანი ადამიანი. რკინივზის სადგურებში თათ-



ბირში მონაწილეობდნენ ჩვენი სამინისტროს რეინა-ბერნონის ქარხნების, სახლმშენებლი ქომბინატების, საკარიერული უზრუნველყოფის ნებათა ხელმძღვანელები. მათ რეინიგზის ვაგონების განსაკუთრებით დიდი ბრუნვა პქონდათ. ადგილებზე, მთელს რესპუბლიკაში, თათბირის მსელელობაში მონაწილეობდნენ სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაკები. უნდა შევნიშნო, რომ ასეთმა პრაქტიკამ — საკითხების განხილვაში ორივე მხარის აქტიურმა მონაწილეობამ, მინიმუმამდე შეამცირა გაუგებრობები, თუ კი რამ ჩვენს ურთიერთობაში მანამდე არსებობდა. მინიმუმამდე დაეციდა ვაგონების მოცდენები და საკრძნობლად გაუმჯობესდა სავაგონო შემადგენლობის ბრუნვა.

ყოველ პარასკევს, საღამოს ეჭვს საათშე ჩემი სამსახურებითურთ ოპერატორულ თათბირზე გვიწყვდა ალექსანდრე ბუაძე, არაჩეულებრივი ადამიანი, გულისხმიერი და გამოცდილი ხელმძღვანელი. მის მოადგილეებთან და შესაბამის სამსახურებთან ერთად წყნარ, უაღრესად საქმიან კოთარებაში განვიხილავდით ყველა აქტუალურ საკითხს. თუ ადრე გაუთავებელი დავა, კამათი, ყვითილი და ერთმანეთზე გადაბრალება ისმოდა, ახლა ცივილიზაციული მეორედებით ვწყვეტდით ორივე მხარისათვის საჭიროოროგრ პრობლემებს.

პარტნიორებთან ურთიერთობაში მომხდარმა ამ სასიკეთო მკეთრმა გარდატეხამ ძალიან დააინტერესა ჩვენი მინისტრი ნოდარ მექმარიაშვილი, ამიტომ იმ თათბირებს თვითონაც წმირად ესწრებოდა. აშკარად უწყობოდა, რომ კმაყოფილი იყო. დიდ მაღლობას გვიხდიდა ყველას.

ახლა იმაზეც გიამბობთ, საქმისთვის რა დამღუპეველია მოუფიქრებელი და გაუმართლუებელი თათბირები. ასეთი თათბირებისადმი მიღრეკილებით თავი გამოიჩინა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იური ქედიშვილმა, რომელიც შენებლობას კურირებდა (მანამდე პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენებლობის განყოფილების გამგელ მუშაობდა). ალბათ იფიქრა, არავის ჩამოვრისეო და თათბირები



დანიშნა... ყოველ საღამოს რვა საათზე! თათბირებს ჩემს გარემონტინი და ესწრებოდნენ სახოულო მშენებლობის სამინისტროს მიერად სახელმწიფო მომარაგების ხელმძღვანელები. ამ თათბირებმა მეც და სხვა მონაწილეებიც ძალიან დაგვქანცა.

მაინც, რა უნდა შეცვლილიყო იმ კრთ დღეში? ან ჩვენ რა ახალი ინფორმაცია უნდა მიგვეწოდებინა მეტისმეტად ამ-ბიციური კურატორისთვის? ეს იყო დროის ფუჭად ფლანგვა და დიდი უგუნურება, სხვა არაუერი! ერთ-ერთი თათბირის შეძლევ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან, ზურაბ პატარ-იძესთან დაერჩი და ყველაფური დაწვრილებით ვუამბე, იური ქედიშეიღი დროს სულ ტყედლად გვაკარგვინებს-მეთქი.

— ორშაბათს, დილით მინისტრთა საბჭოს პრეზიდიტის წევრებთან თათბირი მაქს. ალექსანდრე ბუაძესაც მოვიწვევთ, ღვევან ვარდოსანიძესაც, თემურაზ დავითაშვილსაც, ოთარ ლომაშვილსაც და იოსებ ხარატიშვილსაც, მოდი და ინფორ-მაცია გააკეთე, — მითხრა ზურაბმა.

ორშაბათს პატარიძესთან თათბირზე მოკლე ინფორმაციაში ამომწურავად დავახასიათე მშენებლობაში არსებული ვითარება, წარვადგინე სათანადო დოკუმენტაცია, სადაც ნაჩვენები იყო, ყოველ დღე-დამეში როგორ ვიღებდით, ვტვირთავდით და ვკლიდით საშუალოდ 1100-1200 ვაგონს სხვა სამინისტრო-ებთან და უწყებებთან შედარებით ყველაზე მეტ რაოდენობას. უამრავი შეკითხვა მომცეს. განსაკუთრებით დაინტერესდნენ, რამდენად ოპერატორები, მოქნილი და შედეგანი იყო ჩვენს მიერ შექმნილი მართვის ახალი სისტემა. ჩემს გარდა მოწვეულებმაც გამოიქვეს აზრი და ერთხმად აღნიშნეს, რომ იყი დღეს ყველაზე პროგრესული და სრულყოფილი სისტემაა, რომ უწყებათაშორისი მიმოწერებიც მინიმუმამდე შემცირდა, საჩივრებმაც საგრძნობლად იყლო და მატერიალურ-ტექნილო-გოური კომპლექტაციის სისტემაში ჩართულ ყველა რაგა-ნიზაციას ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუუმ-ჯობესდა.

როცა ბატონშა ზურაბმა ეს ყველაფერი მოისმინა და  ცხრილებიც ნახა, გაოცდა (თვითონაც ხომ ჩინებული მეურნე იყო კურიული იყო!). ვითარებას უცბად აუღო აღლო:

— თუ ყველაფერი ასეა, თუ ამათ ერთმანეთში საერთო ენა გამოინახეს, პროცესები თპერატიულად იმართება, ურთიერთბრალდებები თითქმის გამოირიცხა და საქმეს უკეთესად უძლევებიან, მეტი რაღა გვინდა? ადრე, მინისტრთა საბჭოს სხდომებზე ერთმანეთს ადანაშაულებდნენ და უჩიოდნენ ხოლმე. ახლა ორივე მხარე მივლინებებში ერთად დადიან მოსკოვში, უკრაინაში, ციმბირში, შესა აზიაში... დროულად აგვარებენ პრობლემატურ საკითხებს პარტნიორებთან. სასურველი ცელილებები და წარმატებებიც სახეზეა...

ერთი სიტყვით, ზურაბ პატარიძემ ძალიან შეგვაქო და მადლობაც გადაგვიხადა. მერე ქედიშვილს მიუბრუნდა:

— თური, ამ ხალხს რატომ აცდენ? რა თათბირები აგიტდა? შეეშვი, თავისი საქმისა ამათ უკეთესად არ იყავან?

ქედიშვილი თავის მართლებას შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

გვეშველა!

როცა თათბირი დამთავრდა და გარეთ გამოვედით, ყველა მილოცავდა და მადლობას მიხდიდა, ქედიშვილის „ბრჭყალებიდან“ რომ დაგვიხსენიო.

სისტემის დახვეწასა და სრულყოფაში ძალიან მეხმარებოდნენ გამოთვლითი ცენტრის დირექტორი ოთარ ჯლამაძე და მისი ჯგუფი. ოთარი განათლებული და ინტერესიანი ქაცი იყო. მასთან ურთიერთობა სიამოვნებას მდერიდა. ერთმანეთს ხშირად ვეთათბირებოდით და აზრს ვუზიარებდით. სისტემის სრულყოფაზე მუშაობა კი გრძელდებოდა. თანდათან ზერელობისა და უპასუხისმგებლობის ნებისმიერი მცდელობა აღმოიფარა!

ვფიქრობ, მიზანს მიუაღწიეთ!

პ.შ. მამათბავაძე

რკინიგზის ვაგონების მოცდენამ სახიფათო ზღვისის რომ მიაღწია, შეიქმნა მუდმივმოქმედი სატრანსპორტო კომისია ცენტრალური კომიტეტის მდივნის ზურაბ ჩხეიძის თავმჯდომარეობით. კომისიის წევრები იყვნენ ლევან ვარდოსანიძე, თეიმურაზ დავითაშვილი, ვასო ჩიტიკაშვილი, ბორის ბარსუკოვი და სხვები.

მშენებლობის სამინისტროს ტრანსპორტს მე კურირებდი. დღე-დამეში ყველაზე მეტი ვაგონის ჩვენ ვამუშავებდით. მოცდენებიც ყველაზე მეტი ჩვენ გვჭონდა და სამართლიან კრიტიკასაც ყოველი შეასრული და დილის 9 საათიდან მე ვისმენდი. მოვაწესრიგეთ ყოველდღიური აღრიცხვა, გავამკაცრეთ კონტროლი და მოთხოვნა. ერთობლივიმა სელექტორულმა თათბირებმაც დადგითი შედევი გამოიღო. რა თქმა უნდა, შემცირდა მოცდენები, ოღონდ ეს საკმარისი მაინც არ იყო.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოდან ჩვენს სატრანსპორტო სამმართველოში გადმოვიყენეთ გამოცდილი პროექტებითაც, თუ მებსიერება არ მდაღატობს, გვარად – სოზაშვილი თუ სოზიაშვილი.

ამ პიროვნებამ რკინიგზელთა მიერ წარმოდგენილ საკარის დოკუმენტაციაში უმრავი დარღვევა აღმოაჩინა.

გაირკვა: რკინიგზა თითქმის ორჯერ მეტი ვარიმას გვაწერდა. ორ-სამ თვეში საჯარიმი სანქციები განახერდა. ამას დაემატა აღმინისტრირების გაძლიერება და შედეგმაც არ დააუზვნა – მოცდენები მინიშვიმაძე დავიყენეთ. კომისიების სხდომებზე უკვე აღარ გვსაყვადურობდნენ, პირიქით, გვაქებდნენ კიდევ. ყველა სასიამოვნოდ გაოცებული იყო, გარდა ლევან ვარდოსანიძისა.

ერთ-ერთი კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ ვარდოსანიძემ სოზოვა ზურაბ ჩხეიძეს, რათა მათთან მეც

დავეტოვებინე. როდესაც ყველა წავიდა და ქაბინეტში სამართლის დავრჩით, ღვევანძა დაიწყო:

— ზურაბ ამბროსიევიჩ, მარგველაშეიღმა ჩეკინგში შეატყობინა ვანა ერთი გარევნილი თანამშრომელი და იმის დახმარებით შეამცირეს მოცდენები. კატეგორიულად მოვითხოვ, ის თანამშრომელი სამსახურიდან გაანთავისუფლონ. ზურაბი გაოცებული უსმენს, თან მე მიეურებს თვალებგაფართოებული — კი, მაგრამ, რატომ უნდა გაანთავისუფლონ, თუ კი მან საჯარიშო სანქციები სავრმობლად შეამცირა?!

— იმიტომ, რომ მამათმავალია! —წარბმეუხრელად ეუბნება ღვევანი.

ამან ზურაბიცა და მეც მოლად გადავურია.

— კი, მაგრამ, ღვევან გრიგორიევიჩ, თქვენთან იმ კაცში 14 წელი იმუშავა, ჩემთან რამდენიმე თვეა, რაც მუშაობს. მაინდამაინც ჩემთან გახდა მამათმავალი და თქვენთან მამა აბრამის ბატქანი იყო?

ზურაბს სიცილი აუტყდა. თავი კერც მე შევიტავე.

— სამუშაოზე რომ ვიღებდით. ხომ არ შევეკითხებოდი, პედარასტი ხომ არ ხარ-მეთქი ან საამისი ცნობას ხომ ვერ მოვთხოვდი? ადამიანი ცოლშვილიანია, მაღალი კვალიფიკირის სპეციალისტია, შესანიშნავად ფულობს ყველა ნორმატიულ აქტს რაც კი სარკინიგზო-სატექნიკო გადაზიდვებს ეხება, თქვენს დოკუმენტაციაში უამრავი დარღვევა აღმოაჩინა. გაუგებარია, ამის საწინააღმდევო რა გაქვთ? ჩვენ დავოწეულდით, რომ თქვენ არასწორად არიცხავთ წარმოებებს ჯარიშებს.

— ზურაბ ამბროსიევიჩ! გთხოვთ, თქვენმა კომისიამ ჩეკინიურითობების საკითხი შეისწავლოს! — ეთხოვე ჩხეიძეს.

— ღმერთმა მშევიდობაში მოგახმაროთ, ბატონი, ეს პედარასტი და გქონდეთ კარგი მაჩვენებლები, რადგან ასე გინდათ!

ღვევანი სკამიდა წამოსტა, გაბრაზებულმა ხელი ჩაიქნა და ქაბინეტიდან გავარდა.





საქავშირო სამინისტროებსა და უწყებებში ჩემი ბეჭდი მეტად მუშაობდა, ამიტომ ურთიერესი საკითხების მოგვარულა არასოდეს გამძნელებია. ოუმცა, ზოგჯერ, ჩვენი ინტერესები კბილებითაც უნდა დამუცა და კუთვნილი მატერიალური რესურსები ასე მიმღელ.

ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაშე უნდა გიამორთ.

ლითონით, ხე-ტყითა და ცემენტით მომარაგებაში სერიოზული პრობლემები შეგვებინა. ჩემი თხოვნით მოსკოვში ერთად გადავფრინდით ცეკას მდივანი ზურაბ ჩხეიძე, სახელმწიფო მომარაგების თავმჯდომარე ალექსანდრე ბუაძე და მე. სამიცენი ერთად შევეღით სახელმწიფო მომარაგების თავმჯდომარესთან ნიკოლოზ მარტინოვთან. ის ერთდროულად საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეც იყო. მოვლს ქვეყანაში უზარმაზარი აეტორიტეტი და გავლენა ჰქონდა. ნაფრონტალ კაცს სახეშე ნაიარევი ეტყობოდა.

ჩვენი მისვლის მიზანი ზურაბმა გააცნო. მოკლედ მოახსნა, რომ დიდი შეუერხებები გვქონდა ლითონის ნაწარმზე, ცემენტსა და ხეტყეზე. ბატონი ზურაბი, მორიცებული კაცი გახლდათ, ზედმეტი ლაპარაკი არ ჟევარდა. როცა თავისი სათქმელი ამოწურა, ალექსანდრეს გადახედა, მაგრამ ის არაურის დამატებას არ აპირებდა. ამ პაუზით ისარგებლა მარტინოვმა და ალაპარაკდა. დამრიცებულური ტონით დაგვიწყო ნოტაციების კითხვა იმაზე, რომ სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ სამშენებლო მასალების ეკონომიკურ ზარჯვას, ახალი ტექნილოგიების დანერგვას, დიდია ლითონის დანაკარგები, ცემენტში არ ვიყენებთ სპეციალურ დანამატებს და ა.შ.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ჩვენს დაუდევობას და უყარაობას გადააბრალა.

ზურაბი ასეთ დახვედრას არ მოელოდა. სახე აელენა.

ველარ მოვითმინე და შეცეპასუხე- კუთხარი, ჩვენი სი-
მართლის დასადასტურებლად მხოლოდ რამდენიმე მაგალითზე უკუ-
დაგისახელებთ-მეთქი. ხე-ტყე საბუთებში ისეა გატპრეზული, მოვა-
როვორსაც სინაძვილეში უნდა გვაწვდიდნენ „აბრეზნო“ ფაქ-
ტობრივად კი ჩამოუგანელს გვიგზავნიან. დასახერხი მასალა
ისეთი წერილია დასამუშავებლად უვარესია. ასეთი შემთხ-
ვევები ხშირია. რაც გვეკუთვნის, იმის 30-40 პროცენტს გვაკ-
ლებენ.

ლითონი? ხშირად არ ახლავს სერთიფიკატი, ურ გაიგებ,
რომელი კლასისაა, ქარხნები კი ჩვენს შეკითხვებზე არ პა-
სუხობენ. არასტანდარტულია ნაგლინი. ხშირად ვიღებთ
სქელკვდლიან მიღებს. მათ წონა კი აქვთ დიდი, მაგრამ რაოდე-
ნობისა რა მოგაბრძნოთ! ამ მიზეზით ათეულობით კილომეტრი
მიღი გვაკლდება.

არც ცემენტით მომარაგებაშია საქმე უქეთესად. როგორც
წესი, ამ ბოლო დროს მას ლია გონილებით გვიგზავნიან,
ივანევე (Союзглавцемент) ამას იმით ხსნის, რომ დახურუ-
ლი ვაგონები არ გვყოფნისო. გზაში, ატმოსფერული ნალექე-
ბის გამო, ცემენტი სკელდება და 30-35 სანტიმეტრის სისქის
ქერქს იკეთებს. ამის გამო მექანიკურ ჩამომცლელებს ველარ
ვიუწნებთ – იჭულებული ვართ, პნევმატური ჩაქუჩებით და-
ვამსხრიოთ და გადავყაროთ. ად, რამდენს ვკარგავთ თქენი
მომარაგების სამსახურების უპასუხისმგებლობის გამო. თქენი
„ვლავები“ ჩვენს რეკლამაციებზე და პრეტენზიებზე კი არ
რეაგირებენ.

ალბათ კიდევ დიდხანს ვილაპარაკებლი, ალექსანდრე ბუატე
რომ არა – მაგიდის ქვეშ ფეხს ფეხზე მარტყამდა, გაჩრდილ.
მერე ზურაბ ჩხეიძემაც ხელი დამადო მუხლზე, მანიშნა, საკ-
მარისიაო.

შევხედე მარტინოვს და გული გადამიქანდა: ადამიანის
ფერი აღარ ვდო! სახის ნაიარევი მხარე ერთიანად გაწითლე-



ბოდა და ნერვიულად უტოკავდა. ერთი თვალი მოჭერის დროიდა ცალი თვალით განრისხებული მიცემდა. დრო დამსჭირდა კი ვიდრე სახეს ძველი ფერი და ფორმა დაუბრუნდა და ჩემი მასპინძელი სელექტორთან დაიხარა და სამ ღილაკს თითო დააჭირა. არც ერთ მოპასუხეს არ მისაღმებია, მქაცრი ტონით უთხრა:

— ჩემთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და აღექსანდრე ბუამე არიან (მე საერთოდ არ გავხსენ ებივარი!). თქვენთან მოულენ და შეძლებისდაგვარად (მერე ეს სიტყვა „მაქსიმალურით“ შეცვალა) დაეხმარეთ!

დიდი მაღლობა მოვახსენეთ და დაკემპილობეთ. გარეთ ბუამის მოადგილე გურამ კლიმიაშვილი გვიცდიდა. ბატონი ზურაბი დაგვემშეიდობა, ჩვენ სამინი კი წავედით, რათა მარტინოვის „კეთილი“ მასპინძლობით გვესარგებდა. მის სამ მოადგილეს კენტვით და საკითხებიც მოვაგვარეთ.

უნდა აღვნიშო, რომ ამის შემდეგ სამინისტროს უზრუნველყოფა სამივე პოზიციის მიხედვით საგრძნობლად გაუმჯობესდა...

* * *

დავიცავდით რა საკავშირო სამინისტროში ხე-ტყის ფონდს, მერე ხდებოდა მისი მიმაგრება მომწოდებლებზე და შემდგომ რესურსებით უზრუნველყოფა. როგორც წესი, მიმაგრება ხდებოდა ძირითადად რუსეთის მომწოდებლებზე, თუმცა, გარკვეული ნაწილი აღვილობრივ სატყეო მეურნეობებზეც მოდიოდა და ეს იყო ათასობით კუმუნიმეტრი ხე-ტყე. ეს დამკაიძრებული წესი ანადგურებდა საქართველოს ტყეებს — დაკარგვა ემუქრებოდა მინერალურ და ბალნეოლოგიურ წყლებს და არა მარტო მათ...

მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე დავსვი ეს პრობლემა და



კონფერენციალური საკითხი საკავშირო ორგანიზაციის განსახილებით მხარი დამიჭირეს. მოვამბადეთ მასალები კონფერენციალური კლობის, მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტებთან და კურორტოლოგებთან ერთად.

მოსკოვში გავემგზავრეთ: სახმშენის თავმჯდომარის პირველი მოადგილე თინა ქუთათელაძე, მეცნიერების და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლეონიდე ოკლეი და მე.

ლ. ოკლეი ეროვნებით შევდი იყო, შესანიშნავი პიროვნება, თბილისში დაბადებული და გაზრდილი. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ბევრ ქართველს საქართველოს ერთგულებასა და სიყვარულში არ ჩამოუვარდებოდა!

ამ ურთეულესი საკითხის განხილვა მოეწყო საკავშირო მშენებლობის კომიტეტში – საგეგმო და მომარაგების კომიტეტების მონაწილეობით. ჩვენ მოვითხოვდით ადგილობრივი ტყის ჭრა შეწყვეტილიყო და ეს ფონდები მიემაგრებინათ რუსეთში. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ნახსენებ საკავშირო ორგანოებიდან ძალიან დიდ წინააღმდეგობას წავაწყდით, მიზანს მაინც მივაღწიეთ. ადგილობრივი ტყის ჭრის ფონდები მოლიანად გადავითისამართეს რუსეთში. ეს იყო დიდი მიღწევა. ისინი გაგებით შეხვდნენ ჩვენს არგუმენტებს. რაოდენ სამწუხაროა, რომ დღეს, ჯერ რუსეთმა გადაგვიძუგა ასწლოვანი ტყეები და ნაკრძალები, მაგრამ საუბედუროდ ჩვენებიც ბარბაროსულად ანადგურებენ და აჩანაგებენ ამ ღვთით ბოძებულ სიმდიდრეს და სილამაზეს.



წესად დაკიმკიდრე; როცა რომელიმე ქალაქში პირველად ჩატარდი, აუცილებლად ვეწვეოდი მუზეუმს, ბაზარსა და სასაფლაოს. სამივე მათგანი გაწვდის საკმაო ინფორმაციას, რათა წარმოდგენა შეგექმნას იქ მცხოვრებთა სოციალურ და ეკონომიკურ მდგრადირობაზე, კულტურასა და ისტორიაზე, მათ ზენ-ჩეეულებებზე.

სამსახურებრივი მოვალეობის გამო ძალიან ხშირად მიხდებოდა მოგზაურობა. ქვეყნის ეკონომიკული ნაწილის გარდა შემოვლილი მქონდა ციმბირის ქალაქები – ირკუტსკი, კრასნოიარსკი, ნოვოსიბირსკი, ჩელიაბინსკი, ომსკი, ტომსკი, სვერდლოვსკი, ჩიტა... ბევრი გამოჩენილი პიროვნების მუზეუმი ვნაზე – სწორედ იქ იხდიდნენ სასჯელს ქვეყნის ყველაზე ცნობილი ადამიანები, ისინი ვინც ხელისუფლებისთვის რამე საშიშროებას წარმოადგენდა. სვერდლოვსკში (ეკატერინებურგი) პირველი სტუმრობისას დავათვალიერე სამხედრო ინჟინრის იპატიევის სახლი, სადაც რუსეთის უკანასკნელი მეფის, ტახტიდან ნებაყოფლობით გადამდგარი ნიკოლოზ მეორის რვაზი ჰყავდათ გამომწყვედეული.

ამ სახლის სანახავად ხშირად მოდიოდნენ, როგორც ადგილობრივები, ისე ჩამოსული სტუმრები.. ცნობილია, რომ ერთ დღეს, სვერდლოვის დაქინებული მოთხოვნით და ლენინის უშუალო, საიდუმლო განკარგულებით გადაწყდა მეფის რვაზის დახურეტა. სისასტიკის ექსტაზში შესულებმა დედაწულიანად ყელანი ისე ამოხოცეს, ავადმყოფი ბავშვიც კი არ დაინდეს... ამ გაუგონარმა ვანდალიზმა ლევ ტროციც კი შესძრა. მეორედ რომ ჩავედი, ის ზის დიდი მორებით აშენებული სახლი აღარ დამხედა – როგორც ბოლშევიკების წარმოადგენელი არაადამიანობის უტიკი მოწმე, პირისაგან მიწისა აღეგავათ... გზის ვთომ რეკონსტრუქცია-გაფართოების მიზნით სახლი და მთელი ის ტერიტორია ბულდოზერებით მოესწორებინათ...

ურალს იქით, ყველგან საოცარი, მართლაც თავშაოდ-
მცემი სიღატაცე სუჟეკტია... ყოველთვის „ინტურისტში“
საბჭოთა კავშირის ყველაზე პრესტიჟულ და კეთილმოწმობელ რეაცია
სასტუმროში ვჩერდებოდი, მაგრამ რიგიან საჭმელს იქცევის მიზანით
რაფერს შეძოვთავაზებდნენ: იღვა ცარიელი შენობა, გარედან
მტერს უბრძავებდა თვალებს, შიგნიდან – მოყვარეს! ბაზარში
მხოლოდ თხილის სიმსიხო კარტოფილს, მშესუმზირას და
„სამავრის“ ყიდვენენ. იქაურისა საკენი იყო ლოთებით, მაწან-
წალებით, დებოშიორებით, მეძავებით, ნარკომანებითა და ქურდ-
ბაცაცებით. ერთმანეთში ირეოდნენ ნაკატორლალი ქალები და
ქაცები, რომელთაც ადამიანურობისა აღარაფერი ეცხოთ...

ეკაცი ეერც სასურსათო მაღაზიებსა და გასტრონომებში
იმოედიდა რამეს.

– მხოლოდ დღესასწაულებზე თუ გამოიტანდნენ წესიერ
რამეს, ისიც ისე ცოტას, რომ ყველას არ ხვდებოდა. „აღარც
კი მახსოვეს, უქანასკნელად ძეხვი როდის ვჭამეო,“ – მითხრა
ერთმა უცნობმა.

ეს მართლაც უსასტიკესი რეალობა იყო: ავონიაში მყოფი
იმპერია ჩვენს თვალწინ სულს ღაფავდა...

ციმბირში ნანახსა და გაგონილს ჩემდაუნებურად საქართ-
ველოს სინაძღვილეს გადარებდი. ჩვენთანაც უკკე იგრძობოდა
ზოგიერთი სახეობის პროდუქტის მწვავე დეფიციტი და მაღა-
ზიებთანაც გახშირდა რიგები, მაგრამ შედარება მანც არ შეი-
ძლებოდა – ბევრად უკეთესად ცენოგრობდით. თბილისის ბაზა-
რიც ტელებურად სავსე იყო ჩვენი მაღლიანი მიწის ნობათით
და არა უცხოეთიდან შემოტანილით, როგორც დღეს ხდება.

რაღვან ციმბირის სიტუაციას კარგად ვიცნობდი, იქ გამგ-
ზავრების წინ მოსკოვში ყოველთვის მოვიმარავებდი ხოლმე
ძეხეს, კონსერვებს, სხვა პროდუქტებს.

ირკუტსკში ერთ-ერთი მიულინების დროს რესპუბლიკის
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარებ ზურაბ პატარიძემ საოლქო
კომიტეტის პირველ მდივანთან წერილი გამატანა, რათა ის



ხე-ტყით მომარაგების საკითხის მოგვარებაში დამსმარებლიც თან დამავალა, ზენველრის მერე აუცილებლად დამისრენი და საქმის კურსში ჩამაყნელ.

ციმბირული გულითადობით მიმასპინძლა სახელმწიფო მომარაგების აღმოსავლეთ ციმბირის ტერიტორიული სამართველოს უფროსმა ვალერი შიშოვმა — კეთილმა და კურადღებიანმა კაცმა. რა თქმა უნდა, ზურაბ პატარიძის წერილმაც თავისი დადგებითი როლი შესარულა და საქართველოში ხე-ტყის გამოგზავნის დაჩქარების საკითხი დადგებითად გადაწყდა. როცა ყველა საქმე მოვილი, შიშოვს კონვენი, „კენეთი“ თბილისში, მთავრობის მეთაურთან დამარცვინე-მეთქი. ზურაბის თანაშემწერმი მიშა ესაკიამ მითხრა, პატარიძე მოსკოვშიაღ. გამოვართვი ტელეფონი და ახლა მოსკოვში დაერწეკე. როცა ბატონი ზურაბის ნამდინარევი ჩნდა შემომესმა, მაშინდა მივხვდი, რომ მოსკოვსა და ორკუტსკს შორის არსებული დროის სხვაობა, მთელი ეჭვი საათი შეხველობიდან გამოიმრჩა!

— ომარ მარგველაშვილი ვარ, ზურაბ ალექსანდროვიჩ! მაპატიუთ, ასე ადრე რომ გაწუხებთ...

— რა შეწუხებაა, კაცო! აბა, მიაშე, როგორ არის საქმე.

მოკლედ მოვახსენე, რომ ყველამ კარგად მიმიღო და ხე-ტყე მაღლე დაიძრებოდა საქართველოსკენ. მთავრობის მეთაური ჩემი ინფორმაციით კრაიტილი დარჩა. შეითხა, წამოსვლას როდის აპირებოთ. კუპასუხე, ამ საღამოს-შეთქი.

— მეც თბილისში ამ საღამოს მიუფრინავ, იქნებ მოახერხო, რომ ერთად გავფრინდეთ მოსკოვიდან? შენთან საღაპარაკო მაქსე, — მითხრა პრემიერმა.

დამცეცხლა: როგორ უნდა მომესწრო მოსკოვში ჩასვლა, მე ხომ ისიც არ ვიცოდი, ზურაბი თბილისში რომელი რეისით აპირებდა გაფრენას! ჩანს, დროის ფაქტორი მასაც მხედველობიდან გამორჩა... ფიქრის დრო აღარ იყო და მოსკოვში საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს თემურაზ ხაჩიძეს დაუკრეცე „კენეთი“, ირკუტსკიდან გელაპარაგები, იქნებ მითხრა, ზურაბ

ჰატარიძე თბილისში რომელი რეისით აპირებს გაფრინდას
მეტქი...

— რას გაიგებ, ომარ, რა ვიცი, როდის მორჩიება საქმეებს გენერალის
შენ ჩამოურენა როგორ უნდა მოასწრო? — გაიკირვა თემომ.

შიშოვეს ვითარება ავუხსენი, სასწრაფოდ მოსკოვში უნდა
გაფლრინდე-მეტქი. შეწუხდა. მაშინვე „აეროფლოტში“ დარეკა,
ჩეკის სტუმარს სასწრაფოდ მოსკოვში გაფრენა ესაჭიროება
და რეისი როდის იქნებაო. უპასუხეს, ორმოც წუთში მონღო-
ლეთის თვითმფრინავი აფრინდება, თუ მოასწრებთ, მობრძან-
დით და გაემგზავრებთ.

შიშოვმა თავისი ავტომანქანით წამიყვანა სასტუმროში.
ავიღე ჩემი ხელბარგი და აეროპორტისკენ გავწიეთ. თვით-
მფრინავი წამი-წამს უნდა აფრინდოფი. ბილეთზე ფიქრის
დროც აღარ რჩებოდა, ამიტომ პირდაპირ ტრაქთან მიმიყვანეს
და მაღლ სალონში აღმოჩენდი. ბილეთი თვითმფრინავის სა-
ლონში შევიძინე. საერთაშორისო რეისებზე ასეთი რამ არ
სდებოდა, გამონაკლისი ჩემი მასპინძლის დიდი პატივისცემის
ნიშანად დაუშვეს.

თვითმფრინავის კარი ისე სწრაფად მიკეტეს, შიშოვთან
წესიერად დამშეიღობებაც კი ვერ მოვასწარი. მაღლ ავტონ-
დით და გეზი მოსკოვისკენ ავიღეთ.

სავარიძელში მოწყვეტით ჩაეცეი და მაშინდა ვიგრძენი
საშინელი დალლიღობა. ვნერვიულობდი, დროზე ჩავიდოდი
თუ არა მოსკოვში. ბოლოს გადავწყვიტე, რომ მარჩიელო-
ბით საჭმეს მაინც ასაფერი ეშველბიღდა და ბედს მიუნდედი.
„გასართობიც“ გამომიჩნდა: მონღოლი მგზავრები სალონში
უეხშიშველები, წინდების გარეშე დაბრძანდებოდნენ და, წარ-
მოიდგინეთ, ტუალეტშიც ასე შედიოდნენ...

ესეც შენი „საერთაშორისო რეისი!“

... ვნუკოვოს აეროპორტში საღამოს მივედი, ზურაბ პატა-
რიძე, თემო ხაჩიძის თანხლებით დაპუტატთა რთახიდან უკვე
გასული იყო. აეროპორტის დაცვამ გზა გადამიღობა და ამდენი

წუალება ლამის წყალში გადამიყარა. ბედად, თვალზე შეძენ-
წრეს საღეპუტატოს მომსახურე კოვონებმა, რომლებიც ჩერტვი-
ხშირი ფრენის გამო კარგად მიცნობდნენ. მათ ხელი დამიჭირებული
და დაცვის მუშაკებს ანიშნეს, გამოუშვით, ჩენისანიათ. ახლაც
კარგად მახსოვეს ბატონი ზურაბის გაოცებული სახე. აქ საიდ-
ან გაჩიდო, მერე მომიბოლიშა, საუბარი რომ დავამთავრეთ და
ფურმილი დაცეიდე, მაშინდა მივხედო, საიდანაც მირეკავდიო...

— ბილეთი არა მაქვს, — კუთხარი ზურაბს.

— ეგ არაფერი, ბილეთს მაღლა მოგცემენ.

ერთად დაუსხედით. ახლა კი დაწერილებით კუამბე ჩემი
ციმბირული „კოიაჟის“ შესახებ. კმაყოფილი დარჩა. მერე მო-
მიბრუნდა და მითხრა:

— ამდენს დადინარ რესერის ოლქებში. თუ კაცი ხარ,
მომიყვევი, როგორ არის იქ პროდუქტების საქმე?

— ძალიან ცუდად.

— რატომ?

— აბა, რა მოგახსენოთ... გასტრონომები გამოფხექილია,
ვიტრინებში ვეშაპის კონსერვის პირამიდებია აღმართული. ეს
არის მათი მოუკლი სიძლიერე, სხვას წამლადაც ვერაუკრს
ვერ იშოვით. არც შაქარია, არც ბრინჯი, მაკარონი, კარაქი,
ზეთი... წარმოლენება არა მაქვს, ხალხს რითი გააქვს თავი.
ბაზარიც ძალზე დარიბია — მხოლოდ წერილი კარტოფილი,
შექსუმშირა, შინნახადი „სამოგონი“... როცა სადღესასწაუ-
ლოდ რამე გამოაქვთ, მაღაზიებთან ისეთი ზედახორაა, ლამის
ხალხში ერთმანეთი დახორცის.

— ომარ, გთხოვ, ორშაბათს, დილის ცხრა საათზე. ჩემთან
მოდი. რაც ახლა მომიყვევი, პრეზიდიუმის წევრებსაც მინდა
უაშ्वორ...

დილის ცხრა საათზე მინისტრთა საბჭოში ვიყავი. პრეზ-
იდიუმის ყველა წევრი ადგილზე დამხვდა. შეულამაზებლად
და დაწერილებით ვილაპარაკე უნით აუწერელ სიღატაკეზე,
რაც ციმბირში იყო გამუფებული და რაც საკუთარი თვალით



ვიხილე, ყველა გაოცდა და შემუოთდა.

— აი, კაცო! ხედავთ? დავდივარ საკაცშირო ორგანიზაციების
ვმათხოვობ. რა გვაკლა? ცეკა კი მაინც უქმაყოფილოა,
რესპუბლიკა კვების პროდუქტებით ცუდად მარაგდება, —
ხელები გაშალა პატარიძემ.

დიახ, უკიდევანო იმპერიაში ყველაფერს საშინელი სიღ-
ატაჟის ელფური დაპქრავდა... მწიფოდებოდა მყაცრი და დაუწ-
დობელი მოვლენები, რომელთაც ალბათ უკვე ვეღარაფერი
შეაჩერებდა...



თიბის ულტიმატიზმი

მივლინებებს ყოველთვის ახლავს პატარ-პატარია და ფუნდი რზები, მოუღოვნელობი და თავგადასაკულტო, რომლებიც სამუდამოდ რჩება ადამიანის მენსიერებაში. ერთ-ერთ მათგანზე მინდა გასმოთ.

სკოლობოსქმი ერთად გაფურინდით საქართველოს სახელმწიფო მომარაგების თავმჯდომარის მოადგილე გურამ კლიმიაშვილი, ბონდო ხობელავა და მე. სანამ იქაური ტერიტორიული სამმართველოს უფროსის კაბინეტში შევიდოდით, გურამი პოლის აფთიაქის ღია დახლოთან შეჩერდა, რომელიდაც წამალი შეიძინა და ინსტრუქციის კითხვას შეუდგა. საოცარი კაცია გურამი – ტიპიური ქართლელი, აღალი და უეშმაკა... არ ვიცი, რა ბზიქმა მიებინა, უცრად გადავწყვიტე. გაეხუმრებოდი – ჩვენ ხომ დიდი ხნის თბილი, მეგობრული ურთიერთობა გვქონდა! დახლზე ყუთებით უხეშ ქაღალდში შეფუთული საბჭოთაური პრეზერვატივები ელაგა (არც მიგთავსი გამოირჩოდა სანაქებო ხარისხით). ერთი ცალი რთხით თუ ხუთი კაპიქი ღირდა. ბევრი ვიყიდე. ეს გურამმა ვერ შეამნია – ისევ ინსტრუქციის კითხვით იყო გართული. მისი „მოუცულელობით“ ვისარგებლე და... პრეზერვატივები პიჯაკის გარე ჯიბეში ჩავუცერვე.

რატომდაც ბონდო ხობელავა გურამმა გარეთ დატოვა, მე და გურამი კი შევედით სახელმწიფო მომარაგების ტერიტორიული სამმართველოს უფროსის კაბინეტში თათბირზე, რომელსაც ჩვენი რესპუბლიკის მომარაგების საკითხები უნდა განეხილა. თათბირს სამმართველოს უფროსი იური მელეშქო უძღვებოდა. მან რაივენი თავისთან ახლოს, პატარა მაგიდასთან მიგვიწვია. ცალეკ ძღვომ გრძელ მაგიდას სამმართველოს თანამშრომელი ქალები შემოსხდომოდნენ. როცა გურამმა თავისი „დაეთარი“ ამოიღო და საკითხის ირგვლივ აღაპარაკდა, ქალები რაღაცაზე შეედავნენ. ახლავეო, – უპასუხა



მან და სათვალისთვის ჯიბეში ხელი ჩაიყო...

სათვალე ამოიღო და... ყველასათვის მოულოდნელად წერილი გვლივ პრეზერვატივების დასტა მიმოიფანტა! ხელში ერთი ცალიღა შერჩენოდა. სათვალე მოირგო და წარწერა წაიკითხა. გაოგნდა. დაიხარა და მიმობნეული პაკეტების აკრეფა დაიწყო. ქალები მიხედნენ, იატაქზე რაც ეფარა და სიცილი ატეხეს. გურამი უფრო დაიბნა, ანერვიულდა. ბუდიღან ამოვარდნილი ერთი პარკეტი ხელს აყოლა. ბევრს ეცადა, მაგრამ თავის აღვიღს ვეღარ მოარგო. ამან უარესად დააბნია. მიევდი, მხარზე ხელი დავაადე და დამშვიდება დაუუწყე. ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა, საუბრის გაგრძელება ვეღარ შეძლო. მე შევენაცვლე. როცა დაწყნარდა, საკითხების განხილვაში აქტივურად ჩაერთო.

თაბიირი დამთავრდა, მელეშქომ თავისი ხალხი დაითხოვა. ჩვენ კიდევ დიდხანს გვესაუბრა, საღამოსთვის კი ვახშამზე მიგვიწვეა.

გარეთ გამოსულებს ბონდო ხობელავა შეგვეგება, თათბირის შედეგები აინტერესებდა. გურამმა ხარივით შეუბდებირა და მწარედ შეუკურთხა. ჩემგან რა გინდაო?! – გაუკვირდა ბონდოს. ეგონა, ციფრების გამო მედავებაო და თავის მართლებას მოჰყეა.

ხობელავამ წევული პრეზერვატივების ამბავი არ იცოდა, ამიტომაც ვერაფრით აეხსნა, გურამმის გაღიზიანება...

ამასობაში მოსაღამოვდა და მელეშქოსთან ვახშამზე წასელის დროც მოეიდა. ბონდოს წუ წავიყვანთო, — ჩაიღაპარაკა გურამმა. ჩემი თხოვნით მაინც წავიყვანეთ. რომ შევზარხოშდით, მაშინდა გამოვუტყდი გურამს, ბონდო როგორ გაგიბედავდა, მე გაგეხუმრე, მე ჩაგიწყვე პრეზერვატივები ჯიბეში-მუთქი. ჯერ არ იჯერებდა, მერე ხელი ჩაიქნა და დაწყნარდა.

ესეც ხომ ჩვენი ცხოვრებაა! ასეთი პიკანტური შემთხვევები რომ არა, სახალისო მოსავონებელიც, ალბათ, ბევრი აღარაფერი გვექნებოდა...

ნობის პპირაპი

გუდაური, დღეს სახელგანთქმული სათხილამურო ბაზა იმ თაობის სპეციალისტების მიერაა აშენებული, რომელთაც დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები არად აგდებენ და მიაჩინათ, რომ საქართველოს აღმშენებლობა მათთვის იწყება.

რატომ ივიწყებენ, რომ მართლაც პირველად საქართველოში, უცხოულების მიერ ახლადაგებულ აეროპორტის შენობას სამჯერ ახადა ქარმა სახურავი. მბრუნავ გადასახედს – «смотровая площадка»-ს რიყეზე, ქალაქის ყველაზე დაბალ ნიშნულზე რომ დაამონტაჟეს, მხოლოდ უკიცი თუ გააკეთებდა. გადასახედი, აბა რის გადასახედია, თუ დაბინძურებული მტკვრის გარდა ვერაფერი ვერ დაინახე? თბილისს, რომელიც ბუნებრივი გადასახედების ნაკლებობას არ განიცდის, ასეთი ნაგებობა ნამდვილად არ სჭირდებოდა!

დიდი ზარზე იმით გახსნეს ეს უაზრობა, მხოლოდ ერთხელ აიყვანებს მასზე პრეზიდენტი და მას შემდეგ არც არაერთ აუკანიათ, არც არაერთ დაუტრიალებიათ. დაშალეს და გააქრიეს.

გუდაურის მშენებლობის ინიციატორი და ორგანიზატორი ცხონებული სოლიკო ხაბეუშვილი იყო. იგი გამოიჩინა და იშვიათი საქმიანი და ადამიანური თევისებებით. გუდაურში, პერიოდულად, მისი თაოსნობით ვიკრიბებოდით.

იმ დღესაც ტრადიციული შეხვედრა უნდა გამართულიყო. დაწყება დაგვანდა, ველოდით, საქართველოს საავტომობილო გზების მინისტრის გიორგი რობიტაშვილს. ამ კეთილშობილი და კეთილსინდისიერი პიროვნების სსენებაზე აუცილებლად უნდა აღვნიშნო, იმდროინდელი მინისტრების უდიდესი უმრავლესობის კრისტალური პატიოსნება, ჭორადაც ვერ გაიგონებდი მათზე აუგს: – გრიგოლ ვაშაკიძე, ნოდარ მექანიკაშვილი, თეიმურაზ დავითაშვილი, გიორგი ჯიბლაძე, ვახტანგ



პაატაშვილი, გელა ლევავა, ოთარ ლოლაშვილი, ნიკოლაშვილი ნეუდოვი, თამარ ლაშქარაშვილი, ნათელა ვასაძე თელავიურა თაქთაქიშვილი, მამია მეგრელიშვილი, გურამ მირიანაშვილი, არმაზ სანებლიძე, რომელი ერთი დავასახელო! ისინი, უპირველეს ყოვლისა, უმაღლესი რანგის პროფესიონალები იყვნენ, არაჩეულებრივი ორგანიზატორები და, რაც მთავარია – სუფთა და სპეციალისტი ხალხი.

საგულისხმო ის არის, რომ მაშინდელი მინისტრები, კომიტეტის თავმჯდომარეები, თუ ზელმძღვანელი მუშაკები დღვევანდელებისგან განსხვავებით საკითხებს მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით წყვეტდნენ.

ის კი არადა, ზოგიერთ დღვევანდველ ზელმძღვანელზე ისე-თი საშინელება იწერება, თმები ფალფზე დაგიდგება. ზოგს მამათმავლებად, ზოგს ნარკომანებად, ზოგს ბოზებად, თქვენ წარმოიდგინეთ ზოგს ნარკობარონებად და მკვლელებადაც მოიხსენიებენ პრესაში. საოცარი ის არის, რომ ისინი პასუხ-საც არ სცემენ ასეთ უმძიმეს ბრალდებებს. გაუგებარია ასეთი პრიზიცია: თუ მართალი ხარ, ხმა ამოიღე, დაიცავი შენი თავი, ნურავის ნუ აპატიებ ღირსების შელახვას! ჩუმად რომ ხარ, ე.ი. შენი კრიმინალური საქმიანობის საქვეყნოდ გამოტანისა გეშინია და ამიტომაც კურდელიერით ჩირგვებში ჯდომას ამ-ჯობინებ!

გიორგი რობიტაშვილმა, როგორც ვთქვი, დაიგვიანა. უფრო აღრე ამოელნენ მისი მოაღილეები გოგი ჩახავა და ოთარ მხეიძე. ხასიათწამხდარი მობრძანდა ბატონი გიორგი და გვითხრა, გუშინ, გვიან საღამოს, ცკის ბიუროზე ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, როგის გვირაბის შმენებლობის საკითხი გადაწყდა: საქართველომ სამხრეთიდან უნდა დაიწყოს გვირაბის გაყვანა...

ეს ის დროა, როცა რაიმე სერიოზულ საშიშროებაზე ფიქრი კავკასიონის მეორე მხრიდან წარმოუდგენელიც კი იყო.



მაგრამ საქართველოს ხელმძღვანელობა წლების მანძილზე, თუ ეთანაბეჭდიდა საკავშირო ორგანოებს ამ გვირაბის შეწილებულები ბის საკითხში. თუმცა ბოლოს და ბოლოს, მაინც ვერ გაუმდინ მოსკოვის ზეწოლას.

ზურაბ პატარიძე მოსკოვში დაიბარეს გვირაბის შეწილებლობის თაობაზე... და დაითანაბეჭეს.

მოსკოვშა ასე განახორციელა თავისი მზაცერული ჩანაფიქრი.

ზურაბ პატარიძე დიდი სამურნეო ხელმძღვანელი, არაჩეულებრივი ენერგიის მქონე პიროვნება, ყურადღებანი და სპეტაკი ადამიანი იყო. ბრწყინვალედ იცოდა საქმე, დეტალებშიაც კი ზუსტად ერკვეოდა, მაგრამ ერთი თვისება ჰქონდა – საქართველოში განსაკუთრებულად გრანდიოზული სამრეწველო დანიშნულების პროექტების განხორციელებას ესწრაფეოდა, მიუხედავად იმისა, სჭირდებოდა თუ არა ეს ჩვენს რესპუბლიკას, გვიონდა თუ არა აუცილებელი ნედლეული, იყო თუ არა მოთხოვნილება პროდუქციაზე, გვყავდა თუ არა ამ გიგანტური შეწილობისათვის და მისი შემდგომი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი შეშახელი, სპეციალისტები, გარე კომუნიკაციებისთვის საჭირო რესურსები, ინფრასტრუქტურა და ა.შ.

სხვათა შორის, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების დახურვის, საბოლოო ჯამში, განაცემის და უმუშევრობის კატასტროფული ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც იყო, რომ რესპუბლიკას არც წარმოებისთვის საჭირო ნედლეული გააჩნდა და არც პროდუქციის გასაღების ბაზარი...

ბატონი ზურაბი ავტოკატასტროფაში რომ დაიღუპა, მთავრობიდან დაშირეკეს, მაშინ შეწილობის მინისტრის მოადგილე ვიყავი და მთხოვეს მის ბინაში მივსულიყვავი. მე და ჩემი კოლეგა – მამია კიკნაძე, ერთად მივედით. და რა ვნახეთ! თავიდან, როგორც ჩავაბარეთ შეწილებამა ის საცხოვრებელი სახლი – მისი ბინა, იმავე მდგომარეობაში, გაურემონტე-



ბელი დაგენერაციული მივაქცევით ხელოსნები, მოუწვდის დღედამე ვამუშავეთ და შეძლებისდაგვარად მოვიყვანები რიგში.

აქ ერთ დეტალს მივაქცევ თქვენს ქურადღებას, რომელიც ახასიათებდა ზურაბ პატარიძეს, როგორც თავმდაბალ და უპრეტენზიო ადამიანს.

მას ბინა მისცეს დაკობ ნიკოლაძის ქუჩაზე ახლადაშენებულ პრესტიულ სახლში, მეოთხე სართულზე. მობინადრეთა შესახლება რომ დაიწყო, ზურაბ პატარიძეც მიეიდა.

ეზოში მას შეშა დახვდა, რომელსაც იმავე სადარბაზოში მისცეს ბინა, დახვდა და პრეტენზია წაუყენა: მე ბოლო სართულზე მომცეს ბინა, თქვენ მეოთხეზეთ. ეს უსამართლობა არის, რადგან პატარა შეიღები მყავს და ჩემ ცოლს ბავშვების ეზოში ჩაყვანა გაუჭირდება.

ეს ის დროა, როცა ელექტროენერგიის პრობლემა საქართველოში არ დგას, ლიფტები გამართულად მუშაობენ და ამოტორებიც იმ მუშის პრეტენზია ყოველგვარ საფუძველს იყო მოკლებული.

მაგრამ ზურაბ პატარიძემ ასე არ განსაჯა. მოუხმო იქვე მყოფ ქალაქის აღმასკომის წარმომადგენელს და უთხრა: ეს კაცი მეოთხე სართულზე ჩამოიყვანეთ, მისი ბინა კი მე გამზუორებოთ.

ჩაჯდა მანქანაში და წავიდა ისე, რომ თავისი ახალი საცხოვრებელი არც დაუთვალიერებია, არც უფიქრია მისი გარემონტება და იცხოვრა მშვიდად ამ გაურემონტებელ ბინაში.

დაახ, ასე მოკრძალებულად ცხოვრობდნენ მაშინდელი ხელისუფალნი!

მოულოდნელი ჟარი პრემიზან

ეს ამბავი პირველწუაროდან მაქვს გავონილი — ბატონ-მა დევი სტურუაშ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა მდივანმა მომითხრო. იგი გარკვეულწილად აშიშელებს ჩვენი პატარა ქვეყნისადმი რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელთა აგრძესიული დამოკიდებულების ფეხევებს.

ბატონი დევი დღიდი კრუზიციით გამოიიჩინდა, შესანიშნავი მოხრობელი და ნამდევილი ინტელექტუალი იყო. მისი მოსმენა მართლაც ერთ რამდე ღირდა. ხშირად ისეთ ამბებს ჰყვებოდა, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო.

იმ წელს ქობულეთში ოჯახებთან ერთად ვისკენებდით. ერთ დღეს ჩემმა ბათუმელმა მეგობრებმა პატარა კატარილა გამოიგვიგზავნეს გასასეირნებლად. სათევზაო მოწყობილობით აღჭურვილებმა ზღვაში შორს შევცურეთ და ანგესები გავაწყვეთ. იდეალური სიტუაცია იყო მეგობრული საუბრისთვის. ბატონმა დევიმ ასეთი ისტორია გაიხსნა:

— ვასილ მეურანაძესთან ვიყავი შესული, ცეკას ბიუროზე განსახილველი საკითხი უნდა შემუთანხმებინა. — ამ დროს რეკაეს მაღალი სისტერის ეწ. „ვეჩე“. ამ ტელეფონის აპარატს ისეთი მაღალი სმენადობა ქქონდა, რომ ოთახში ყველას თავისუფლად შეეძლო მოესმინა „იქნებ რა აქვთ სათქმელი, რატომ უნდა გახსდე საუბრის უნებლივ მოწმე?“ — მეტქი, გავიფიქრე, წამოვდექი და კარისკენ გავეშურე. ოთახში დარჩენა ისევე უხერხული იყო, როგორც სხვისი წერილის კითხვა. მეურანაძემ ხელით მანიშნა — დაჯექიო.

რეკავდა ავადსახსენებელი ნიკიტა ხრუშჩივი, საკავშირო ცეკას პირველი მდივანი.

ყვიროდა, ილანძლებოდა, უშეერი სიტყვებით აგინძდა მეურანაძესაც და ქართველ ხალხსაც. სიბინძურის ნიაღვარი რომ გადმოანთხია, პასუხიც არ მოუსმენია, ისე დაახეთქა ყურძილი.



მეავანაძეს მიტქლის ფერი დაედო. წამოდგა. ნერგულიამდე
დაიწყო ბოლოთის ცემა. ხმას არ იღებდა. ვრაუინიდან წყალი
დავუსხინ და ჭიქით მივაწოდე. მოსვა, ღრმად ამოისუნთქა.
ცოტა ხნის შემდეგ დაჯდა. ძალა-ღონე მოიკრიბა და თავი
ხელში აიყვანა.

— იცი, რა მითხრა, დევი? — ქართველებს ერთიანად
აგყრით მაგ მიწა-წყლიდან, ჩამოვაუკრებ „ტეპლუშექბს“ —
«Товарищай порожняк»-ს და ციმბირის გზას გაგიფენებთო.

მეავანაძეს საუბარი დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ისევ
დარწევა „ვეზემ“ ისევ ხრუშჩიოვი იყო. კლავ შეურაცხმუ-
ლული სიტყვების ქორიანტელი ამოაფრქენდა.

— არ გეგონოთ, რომ გეხუმრებით, ნამდვილად გაგასახ-
ლებთ! — ბლაოდა ცოფმორეული ნიკიტა.

— ვნედებოდი, რომ სტალინთან იყო დაკავშირებული ხრ-
უშჩიოვის ეს ისტერიკა და მწყობრიდან გამოსვლა, — თქვა
ბატონშა დევიძ. მიზეზი მას აღარ დაუკონკრეტებია და აღარც
მე მივძალებივარ.

აი, მოელი ათი წლის მანძილზე, ასეთი კუკიში არამხადა
იღება უზარმაზარი, ატომური ზესახელმწიფოს სათავეში. ათი
წლის მანძილზე კაცობრიობას ზაფრავდა ახალი მსოფლიო
ომის გაჩაღების შიში და პატარა საქართველოს შემფოთხა
ვიღას უნდა გაპკირვებოდა? ნიკიტა ხრუშჩიოვის სიბრივეის
გადამტედნი, აღმათ კიდევ კარგად გადავრჩით.

დღეს რუსეთის ახლანდელი ლიდერები ცდილობენ ნიკი-
ტას ჩანაფიქრის ხორცშესხმას. აფხაზეთი და სამაჩაბლო ხომ
ამის ნათელი მაგალითია. მიაღწევს კი მშაქვრულ ჩანაფიქრს
დამპტობელი? თუ საქართველო ლდინდელი სიბრძნისა და
გონიერების წყალობით მტრის მიერ ვერავულად დაგებულ
ხაუანგს კვლავაც თავს დააღწევს? — საოცრად თავსატეხი
კითხვაა...

რუსეთი განა მარტო ხალხმრავალი ქვეფანაა და ძალიან
დიდი ტერიტორიის მპყრობელია (Владей Кавказ, Владей



Восток...), аრამედ, უზარმაშარი ბუნებრივი, ფინანსური და ენერგეტიკული რესურსების მფლობელიცაა, მის შემახვევაში ბაზე და სამხედრო პოტენციალზე რომ აღარაფერი უთქვას. მენდელეევის სისტემაში არ არის ელემენტი, რუსეთს რომ არ პქონდეს. რუსეთს მსოფლიოს ყველა სახელმწიფო ანგარიშს უწევს, უფრო ეშთიათ. ჯერ კიდევ 1866 წელს ცნობილი რუსი პოეტი პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტი ფიოდორ ტუტჩევი წერდა „Умом Россиию не понять, Аршином обшум не измерить“...

საქართველოს ხელისუფლებას მართებს დიდი სიურთხილე და წინდანედულება. მას მოუწევს სამართებლის პირზე გავლა, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური და თანასწორუფლებიანი ურთიერთობები აღადგინოს.

სამწუხაროდ, ეს მარტოდენ ჩვენს სურვილზე არ არის დამტკიცებული...

ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი ჩვენი თუ რუსეთის ხელისუფლების იმედი ნაკლებად უნდა პქონდეს საქართველოს...

ყოველივეს კი აღბათ მომავალი გვიჩვენებს!

გამგება – მსოფლიო საოცრება

ვისაც საშუალება მიეცემა, სიცოცხლეში ერთხელ დამასკნელი უნდა მოინახულოს მსოფლიო ბუნების ნამდვილი საოცრება – ბაიკალის ტბა. მე ეს საშუალება ორჯერ მომეცა – იქ ზამთარშიც და ზაფხულშიც გახლდით. ორივეჯერ ირკეტსკიდან ჩავდით ავტომანქინით. ზამთარში ტბა ისე იყინება, ზედ ზეტყოთ დატვირთული მძიმეწონიანი „ტრაილერები“ მოძრაობენ.

ბაიკალის ტბა აღმოსავლეთ ციმბირის სამხრეთ ნაწილშია გადაჭიმული – 636 კილომეტრზე. იგი დედამიწის ყველაზე ღრმა კონტინენტური წყალსატევა და მსოფლიო მტკნარი წყლის ერთ მეხუთედს მოიცავს. ერთეულის 336 დიდი და პატარა მდინარე, ტბაში არის 27 კუნძული. მრავალუჯროვანია ფლორა (დაახლოებით 600 სახეობა) და ფაუნა (1200-ზე მეტი თევზის სახეობა). ბაიკალის ნაპირებზე გაშენებულია ქალაქები, დასახლებული პუნქტები და ნაკადგურები.

რა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად დავათვალიერეთ ყველა ის ღირსშესანიშნაობა, რის საშუალებასაც თავისუფალი დრო გვაძლევდა. ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საინტერესო მუზეუმმა, სადაც ტბის ყველა ბინადარობა ფიტულია გამოიყენილი. იგი მუზეუმთან ერთად, სამეცნიერო დაწესებულებაცაა, რომელიც მუდმივად სწავლობს და იკლევს ამ უზარმაზარი წყალსატევის ფექტებს, იქ მიმდინარე პროცესებს. ეს ძალზე სერიოზული სამუშაოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტბის საშუალო სიღრმე 730, მაქსიმალური კი 1620 მეტრია.

შეორიახლო თავს იწონებდა „ინტურისტების“ შშენიერი სასტუმრო, რომლის რესტორანშიც უგემრიელესი თვეზით – ბაიკალის „ომულით“ გაგვიძასპინძლოდნენ. ტურისტები მსოფლიოს ამ საოცრებას, არც ზამთარში და არც ზაფხულში არ აკლია.

სხვათაშორის როდესაც აშშ-ს პრეზიდენტი, ჯერადად ფორდი კლადივისტოებმა 1975 წელს შეხვდა ლეისიდ ბრეზნის, შეხვერდის მეორე დღეს მათ ერთად მოინახულეს ბაიკალის ტბა.

მრი ს უფრაზე მოჯერ ნაცვალი მობისტრი



მასის დღება ერთი შემთხვევა, რომელზეც აუცილებლად უნდა გაიმორო. ამას საგანგებოდ იმიტომაც მოგახსენებთ, რომ მკითხველს ამით წარმოდგენა შეექმნას იმაზე, თუ როგორ შეძლება მაღალ თანამდებობაზე შემთხვევით მოხვედრილი ადამიანის უხასავობამ სხვებსაც გაუფეხოს გუნდა-განწყობილება.

საქმე ეხება ვლადიმერ გოგოლაძეს, რომელიც სრულიად დაუშესახურებლად აღმოჩნდა მინისტრის სავარისტოში.

ერთ დღეს, ბევრი ჩვენგანისთვის მოულოდნელად და დაუშესახურებლად, მშენებლობის მინისტრის პოსტიდან გაათავისულეს, ჭეშმარიტი პროფესიონალი და სამშენებლო საქმის დიდი ორგანიზატორი – ნოდარ მეშმარიაშვილი. მისი ერთადერთი „ნაკლი“ ის იყო, რომ ზოგიერთივით მუცელზე „ხოხეა“ არ შეეძლო და სათქმელს მოუწოდებლად, პირდაპირ ამბობდა...

მასსოფს, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გენადი კოლბინმა მისი განთავისუფლების შესახებ სამინისტროს კოლექტის აცნობა, დარბაზში ქალბატონების შეუკავებელი ქვითინი გაისმა... მდივანმა ნოდარს გაწეული მუშაობისა და ქეყნის წინაშე დამსახურებისათვის დიდი მაღლობა გადაუხადა, ყველას თვალწინ გადაეწვია და გადაკოცნა... იგი გადაიყვანეს საქართველოს სახელმწიფო საგვარდო კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. აი, ასეთი აღიარებული და ნაცადი ზელმძღვანელის მაგივრად მინისტრად დანიშნეს ვლადიმერ გოგოლაძე, მანამდე „მრეწვმშენის“ ურთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი ტრესტის ზელმძღვანელი, რომელსაც საქმის სისტემატური შეუსრულებლობის გამო, თითქმის ყოველ კოლეგიაზე მწვავედ აქრიტიკებდნენ. როგორც გაირკვა, ის გურიის სოფლის სკოლაში ეღუარდ შევარდნაძესთან ერთად სწავლობდა. მოგვიანებით ისიც შევიტყვეთ, რომ ვლადიმერი



გოგოლაძემ რუსეთს თავი სწორედ ნოდარ ბებმარიაშვილის
წყალობით დააღწია და სამშობლოში დაბრუნდა. სხვამას შეზრულა
რის, ქართული ხომ დაიკიტყა და დაიკიტყა, ჯეროვნად უფრო
რუსული ისწავლა. მოკლ სამინისტროში სალაპარაკო იყო
მისი „ია პაშოლ ნა ცეკა“ (ანუ, ცეკაში წავჭდიო...).

რამდენიმე დღეში გოგოლაძემ პირველი კოლეგია მოი-
წვია. ილაპარაკა ვრცლად და... ზოგადად, როგორც რუსები
იტყვიან, „ვოკრუგ და ოქოლო“. არავისთვის არ მოუსმენია,
მერე კი ტრესტის მმართველებს, გაერთიანებათა ხელმძღვანე-
ლებს, კოლეგიის წევრებს სთხოვა, რომ საათზე რესტორან
„ქალაქურში“ მობრძანდით, მე-14 ტრესტის მმართველი გივი
ქვაჭიძე გვიმასპინძლებსო.

ხალხი დამალა, მე კი ახალგამომცხარმა მინისტრმა
თავისთან მიმიწვია. რომ საათისთვის კოლებინთან უნდა ვყო,
ამიტომ მოვგავანებით შემოვიერთდებით და ადგილი შენს გვერ-
დით შემინახეო, — მითხრა. ვურჩიე, ვლადიმერ ტრიფიომოვიჩ
(სამწუხაროდ მაშინ ასე მიემართავდით ქრთმანეთს), დღეს
ორშაბათია, რომ საათზე შშენებლობის სამინისტროს მთელი
ხელმძღვანელობა რესტორანში რომ შევიქრიბოთ, შეიძლება
პარტიის ცენტრალური კომიტეტის ან მინისტრთა საბჭოს
მხრიდან უსიამოვნება შეგვხვდეს. ხომ არ ავობებს, საღამოს
შვიდ საათზე რომ შევიქრიბოთ-მეთქი.

— თქვენ იქ რომელ მიღით, მე კი ექვსიდან შეიღამდე
მოვალ. „ნიჩევო სტრანიოვო ნე ბუდეტ“—ღ.

დათქმულ დროს „ქალაქურში“ შევიქრიბეთ. თამაღად მინ-
ისტრის მაშინდელი პირველი მოადგილე კლასი მანჯგალაძე
ავირჩიეთ. ერთ მხარეს ანზორ დვალიშვილი მომიჯდა, მეორე
მხარეს კი ერთი სკამი მინისტრისთვის შევინახე.

მოვიდა ვლადიმერ გოგოლაძე რესტორანში და ჩემს გვერ-
დით დავდა. მაშინვე საჭმელს ეცა. არაყი მოითხოვა. არ
გასულა დიდი ხანი, ანზორი გადაისარა, მინისტრს ბოლიში
მოუხადა და მორიდებით მიმართა:



— ვლადიმერ ტროფიმიკინი, ვიცი, რომ საქმის კურსმან
ხართ. გიორგი კარავაევმა თავისი ბრძანებით და მეტანალიზმის
შეთანხმებით მე-12 ბორჯომის ტრესტის მმართველად დაწ-
ნიშნა. როდიდან შევუდგე მოვალეობის შესრულებას?

და ბრძანება მიაწოდა.

გოგოლაძეს არც ჭამა მოუტოვებდა, არც ბრძანებისთვის
შეუვლია თვალი, ისე მოუგდო:

— Засунь эту бумагу в зад!

და ისევ ჭამა გააგრძელა.

უეპრად მოხდა ისეთი რამ, რასაც არც ველოდი და ვერც
წარმოვიდგენდი: ანზორ დვალიშვილი, ეს ზედმიწევნით ზრდი-
ლი, კულტურული ადამიანი, ნაღმივით აფეთქდა — ორმეტრი-
ანი კაცი ზამბარასავით წელში გაიმართა, სკამიდან წამოზტა,
გადასწვდა მინისტრს, ყვლში ეცა და ახრჩიბს.

ვხედავ, როგორ გადმოკარკლა თვალები გოგოლაძემ,
როგორ სცვივა პირიდან საჭმელი. მესმის, როგორ ზრიალებს,
მაგრამ მისმარებას ვერ ვახერხებ — ანზორი თავისი გოლათი
სხეულით მთელი ძალით მარცვება და საშველს არ მატლევს.
ვლადიმერი კი ხავის, ხროტინებს. მადლობა ღმერთს, გარშემო
მყოფნი წამოიშალნენ და ანზორს ვევბა სელებიდან ძლივს
გამოპეტლივეს ცოცხალ-მკედარი მინისტრი!

ანზორი აღარ გაჩერებულა — გარეთ გაიყვანეს. ჩვენც
ნელ-ნელა დავშოშმინდით, თუმცა განწყობილება უკვე გაფე-
ჭებული გვქონდა. დიდი ძალისსმევა დასჭირდა თამადას, რათა
სუფრაზე წესრიგი აღედგინა.

ვლადიმერ გოგოლაძემ კი ცხვირი თევზში ჩარგო და ისევ
განაგრძო ღმერბელა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. იმ დღის
ონციდენტი ამით არ ამოწურულა. მალევე, ხელახლა გაჩაღდა
გაწევ-გამოწევა, მიზეზი კი... ისევ გოგოლაძე იყო! ჩვენს წინ,
იჯდა ტრესტ „საქსპეცშენის“ მმართველი გოგი გოგელია
— ჯანმაგარი ახალგაზრდა კაცი. იგი წყნარად ესაუბრებოდა
გოგოლაძეს. უეპრად გოგი წამოზტა, ერთი ფეხით სკამზე



შედგა, მეორეთი მაგიდას დაუყრდნო და ავაზასავით დაცხი
მინისტრს. ისიც, ლადოს ყელში სწედა. ხალხი გამოიჩინა სამართლის
ფრც მე გავიგე; რა მოხდა, რამ გაახელა გოგელია, რომელიც
რამდენიმე წუთის წინ მინისტრს მშეგიდად ესაუბრებოდა. მიზ-
ეზი მერე გავიგე; თურმე, უკუღმართ მინისტრს, შეურაცხოფა
მოუყენებია გოგისთვის. რუსეთში დედის გინებას მიჩვეულს,
დედა შეუგინებია... აბა აბას როგორ მოუთმენდა თავმოყვარე
ახალგაზრდა ქაცა.

სხვათა შორის, კლადიმერ გოგოლაძემ, ამ სავალალო
მაგალითებიდან სათანადო დასკვნები მაინც ვერ გააკეთა. უდი-
ურად და აგდებით ექცევითებს, უხეშობდა და ბილ-
წისტყვაობდა. ერთხელ გავაფრთხილე კიდეც, თქენ დიდხანს
იყავით რუსეთში, იქაურ ყაიდაზე გადაერთეთ, მაგრამ რად-
გან ახლა საქართველოში ხართ, აქაური ჭუდი უნდა მოირ-
გოთ-მეოქი. თქენც არ მომიკვდეთ, იმან ვერაფერი შეის-
მინა. ისევ ისეთი გულღრძო, უხეში და უცხვარპირო დარჩა...
სწორედ ამ გაუწონასწორებელი ხასიათის მსხვერპლი შეიქმნა
მისი თოთხმეტი წლის ულამაზესი და უჭირანესი გოგონა,
რომელმაც მამის აღვირახსნილი სისასტიკის გამო სიცოცხლე
მოისწრაფა. სამწუხაროდ, უბედური მამა ვერც ამ შემთხვევის
შემდეგ მოეგო გონს, უფრო უარეს ცინიქოსად იქცა....

ასე ჩაიარა ახალი მინისტრის „ინაუგურაციაშ“ – რა-
დაც ერთი საათის მანძილზე, თავისი უხიავი ხასიათის გამო,
კლადიმერ გოგოლაძე როჯერ გადაურჩა „დახრჩობას“...

მე გარეთ გამოვედი, ანზორი და გოგი მოვძებნე, დავაწყ-
ნარე და გავაცილე, კიბეებს ავხედე – ხალხი სულიდან წა-
მოშლილიყო. ასე გუნებამოშხამულები ჩაესხდით მანქანები. ერთმანეთს რიგინად არც კი დაემშვიდობებივართ, ისე წავედ-
წამოვედით.

კლადიმერ გოგოლაძემ ვერა და ვერ აუღო ალღო იმ
ქართულ ურთიერთობებს, რომელთაც დიდი ხნის წინათ შეაქ-
ცია ზურვი.

ჩემი მოსკოვში, სანალხო მუზეუმების აკადემიაში წას-
ვლის მთავარი მიზეზი, სწორედ მისი გაუწონასწორებელი
ხასიათი იყო...





საქაუმირო მშენებლობის მინისტრის (გ. კარავაევის) მოადგილედ მუშაობდა გამოცდილი და ჭევიანი ადამიანი სერაფიმ ცარუქიანი. ის კურიორებდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს და ამავდროულად, საქაუმირო მშენებლობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფას განაგებდა (სამშენებლო მასალები, სატრანსპორტო საშუალებები, მუქანიზმები, დანადგარები და ა.შ.).

ის ჯერ კიდვე მაღინეულიდან მიცნობდა და კარგი საქმიანი ურთიერთობები გვქონდა.

მინისტრის მოადგილე ვარ. მირეკავს და მუქანება:

— მე ხვალ დილით აღრე მოვურინავ თბილისში, აეროპორტში წუ დამხვდები, კოლაბინი და მეძმარიაშვილი მხედებიან, იქიდან პირდაპირ რესთავში მივდივართ. საღამოს ვიქწები კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში. გთხოვ იქ დამიკავშირდე და შექმნდე, შენთან სათხოვარი მაქსო...

შევხვდი. ვახშმად დაესხედით. მომსახურე პერსონალი. დაითხოვა. ორნი დაკრჩით. დაიწყო საუბარი. ვატყობლებავს:

— ომარ ალექსანდროვიჩ, რასაც ეხლა გეტიეით უმორნილესად გთხოვთ არავინ არ უნდა გაიღოს, ხეალ დილით მინდა წამიყვანოთ სომხეთში. სომეხი კი ვარ, მაგრამ არასოდეს არ ვარ იქ ნამყოფი, მე უკვე ხანდაზმული ადამიანი ვარ, გთხოვთ სწორად გამიგოთ, ეს ჩემი ისტორიული სამშობლოა, არ მინდა ისე წავიდე ამ ცხოვრებიდან, რომ ჩემი მშობლოური ქვეყანა არ ვნახო. აღრე არასდროს, მაგრამ რაც ასაკი მემატება სიზმარში ხშირად ვხედავ რასაც მიამბობდნენ ბავშვობაში ბებია და ბაბუა. ისინი ხომ გენოციდის მსხვერპლინი იყვნენ, ოჯახიანად აიყარნენ და გადაიხვეწნენ როსტოკის გუბერნიაში. მათ მშობლები და ორი შვილი დაეღუპათ იმ კოვენტებთში...



ცრემლები მოადგა. ზელისკანქალით არავი ჩამოასხა
გაჭირვებით მიიტანა ტურით სასმისი და გამოცალის უწყებები
უხმოდ დაელიე. შემცოდა. გაუჭირდა საუბრის გაგრძელება.
სული მოითქვა და მითხრა:

— ჩემთვის მთავარია არავინ იცოდეს ჩვენი წასვლის შეს-
ახებ არც საქართველოში, არც სომხეთში და არც მოსკოვში.
ხალ დილის ექვს საათზე გავიდეთ...

კვირას, ექვსს ათი წუთი აკლდა მივედი, გარეთ ჩაცმული
მელოდიებოდა. დავიძარით.

სევანის ტბასთან ვთხოვე: შევიდეთ რესტორანში ვისაუწ-
მოთ-მეთქი.

— გთხოვთ ვიჩქარით, იქნებ ეჩმიაძინში ვაზგენის წირვას
მიუჟეწროთ — მიპასუხა.

ჩავედით. ხალხით გაჭედილ ეჩმიაძინის ტაძარში შესვლა
შეუძლებელი იყო. დავედოდეთ. წირვა დამთავრდა. ხალხმა
დაიწყო გამოსვლა. შევედით როგორც იქნა. ათვალიერებს და
მეტითხება რა უნდა გავაძეთოთ...

— სანთლები შევიძინოთ და დაეანთოთ-მეთქი...

— მე მორწმუნე კაცი არ ვარ და შეიძლება სანთლები რომ
დავანთოო? — მკითხა.

— რა თქმა უნდა სომებთა უმთავრეს ტაძარში — ეჩმიაძ-
ინში ხართ, აუცილებლად უნდა დაანთოთ-მეთქი.

ვიყიდეთ სანთლები, მივედით ქვიშით სავსე ხას-
ანთლესთან.

— სანთლი არასოდეს დამინთიაო, ვამიმხილა...

ამ დროს მის გვერდით ანთებული სანთლით ხელში დადგა
6-7 წლის ლამაზი ვოგონა. მე ვუთხარი, სერაფიმ კარპოვიჩ,
სთხოვეთ მაგ ბავშვს და მოგიყიდებთ-მეთქი.

ჯერ მოერიდა, მაგრამ მაინც სთხოვა რუსულად (მან
სომხური არ იცოდა), ვოგონამ ვერ გაიგო (მან კი რუსული
არ იცოდა). ვოგონა ვერ მისწვდა სასანთლეს და ცარუქდან
სთხოვა დახმარება, თან ხელებით ანიშნებდა, როგორ უნდა მო-

ქცეულიყო. მან თხოვნა შეუსრულა ბავშვს. ბავშვი პირველის
იწერდა და ბუტბუტებდა. ცარუკიანი მას განცვიფრდეს და
შეჰქორებდა, მერე თავზე ხელი გადაუსვა, სანთლებს მოუქმდია
და და პირველი გადაიწერა. გამოვედით ტაძრიდან. ძალან
ღლავდა. ტაძარს შემოვუარეთ, დავათვალიერეთ სასულიერო
სემინარიის ტერიტორია, ახალგაზრდა სემინარიელმა გაგვიწია
მევ ზურიბა.

ერვანში დავათვალიერეთ ცენტრალურ მოედანზე არსებ-
ული სახელმწიფო მუზეუმი, ექსკურსიათმდროლმა კველაფერი
დაგვათვალიერებინა და ავეიშსნა. ცარუკიანი ნასიამოვნები
ჩანდა.

თბილისისკენ წამოვედით. მანქანაში აქვდანაც და იქ-
დანაც, ღრმად ფიქრებში ჩაძირული დუღდა. სევანის ტბასთან
შებინდებისას მიუჯდით. მთელი დღის შშივრები ვიყავით, ვთხ-
ოვე სახელდახელოდ წაგვეხმას. სახლიდან წამოლებული კა-
ლათიდან ამოვალაგვ რაც გვქონდა და მანქანის კაპიტზე გავ-
შალე. თითო ჭიქა ქონიაკით დავიღლოცეთ და გზა განვაგრძეთ...
თბილისში სამთავრობო რეზიდენციაში რომ მიედით, მთხოვა
ერთად გვევახშმა...

შევვდით. გამალეს სუფრა. არაყი ჩამოვასხი. აიღო სას-
მისი და მეუბნება:

— ომარ ალექსანდროვიჩ, თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ
რა უზარმაშარი ბეღნიერება და სიხარული მომანიჭეთ, ასე
მცონისა ჩემი წინაშე ვალი მოვინადე, რაღაც დიდი
ტეირთი მომეხსინა, ტეირთი რომელიც მე მთელი ჩემი შეგნე-
ული ცხოვრების მანძილზე მტანჯავდა, მაწვალებდა, სულს
და სხეულს მიმძიმებდა. შენი უსაზღვროდ მაღლიერი ვარ,
გაისაროს შენმა ოჯახშა... სანამ ცოცხალი ვარ ამ სიკეთეს
არასდროს დაგივიწყებ, გმადლობთ მვირფასო, მე დღეს უბედ-
ნიერესი ადამიანი ვარ.

გადის ორი თუ სამი თვე. მირუკავს: — ომარ ალექსან-
დროვიჩ, კიდევ მაქვს ერთი დიდი თხოვნა. მას მერე მოსკოვში



რომ დაუბრუნდი და ჩემს მეუღლეს ვუამბე ჩვენი ციხიტის /
შესახებ, მოსვერება დაკარგა, გამუდმებით მეხვეწყბა გამოფიტა...
ზავნო თბილისში და შენ გაუკეთო ორგანიზება მის ეჭვიშეუხურა...
რობას ერევანში და ეჩმიაძინშიო...

ცარუკანს მეუღლეც როსტოველი სომები ჰყავდა და მისი
წინაპრებიც გენოციდის მსხვერპლნი იყენნ.

ჩამოვიდა, მოინახულა. წავიდა განცვიფრებული და მაღ-
ლიცერი...

მოგვიანებით, როდესაც მოსკოვში გადავედი აკადემიაში
სასწავლებლად ცარუკანის და მისი მეუღლის ფურადლება
არ მომკლებდა. სისტემატიურად გვირეკავდნენ, აინტერესებ-
დათ როგორ მოვეწყვეთ, ბავშვები რუსულ სკოლას როგორ
შეეგუნ, რამე პრობლემები ხომ არ გვიონდა...

ცარუკანები ხშირად გვიწვევდნენ ოჯახში ბავშვებთან
ერთად. პირველად რომ დაგვპატიჟეს ბავშვები არ წავიყვანეთ,
მოგვერიდა, სერაფიმი ძალიან გამინაწყენდა, სასწრაფოდ სამ-
სახურებრივი მანქანა გამოიძახა და მოხვევა: წადი ბავშვები
აუცილებლად მოიყვანეო. მან ჩემს შეიღებს მათი თანატოლი
შეიღების დაახვედრა, გააცნო და ხარობდა ბავშვები ერ-
თად რომ თამაშობდნენ.

ჩვენც სიამოვნებით გვსტუმრობდნენ.

იური ივანეს ძე მატეინი საბჭოთა კავშირის საქართველოს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. აკადემიაში ერთად ვსწავლობდით და შემიძლია ეთქვა, რომ იყო ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება იყო.

ორიოდ სიტყვა აკადემიის შესახებ, რომლის სრული სახელწოდება იყო – „საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის აკადემია“. სწავლება იორბელიანი იყო. მსმენელებად (და არა სტუდენტებად) მიწვეველები ვიყავით სახალხო მეურნეობის ახალგაზრდა, პერსპექტიული მუშაკები, რომლებსაც ხელისუფლება ხელმძღვანელ თანამდებობებზე სამუშაოდ ამზადებდა. თითოეული ჩენითავანი რესპუბლიკების ხელმძღვანელობის მიერ ვიყავით რეკომენდირებული (მე საქართველოს ცკ-ს ბიურომ გამიწია რეკომენდაცია).

ღვეულები, რომლებსაც მეცნიერების სხვადასხვა მიმართულების კრიიფები ვეიკითხავდნენ, იმდენად საინტერესო და ბევრის მომკებელი იყო, რომ თავისუფალი დასწრების პრინციპის მიუხედავად, არავის აზრად ან მოსდიოდა მათი გაცდენა.

თემატიკა – მრავალუეროვანი: ექინომიკა, დაგეგმვა, ფინანსები, მართვა, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესი და, რა თქმა უნდა, პოლიტიკა. მაგრამ პოლიტიკა არა ცენტურის ჩარჩოებით შემოფარგლული და ოფიციალის მიერ ნებადართული, არამედ თბიექტური... ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ – „დაზურული ინფორმაციის“ გადმოცემითა და პრინციპული ანალიზით მოწოდებული, რომელიც წარმოუდგენელი იყო სხვაგან და სხვა დონეებზე. ბრეზნევის, პოლიტბოროს, მთავრობის და საერთოდ ხელისუფლების პოლიტიკის იქ მოსმენილი კრიტიკა ისეთი მწვავე და პრინციპული იყო, რომ დღევანდელი თავისუფალი ქართული ბეჭდვითი მედიის პირობებშიც კი მნელი წარმოსადგენდა.



არც გენერალურ მდივანს ეპულოდნენ და, მით უფლის, /
არც პელიტბიუროს სხვა წევრებს, რომლებიც იმდენად კუთხა
დაზმულები იყვნენ, ერთმანეთს ეყუდებოდნენ რომ არ ჭავჭავა-
ლიიყვნენ. ტელეოპერატორების განსაკუთრებული მცდელობისა
და მათთვის მიცემული მეცრი რეგლამენტაციების მოუხედა-
ვად — ვინ, როგორ და რომელი რაგურსითაც არ უნდა გად-
აქორო, მათი მიხრწნილობა მაინც აშკარად ჩანდა.

ერთმანეთისთვის ორდენებისა და მედლების ჩამორიგება
ხომ ანექდოტების ამოუწურავ თემას წარმოადგენდა: ბრეჟენევს
ორდენებიან მუნდირს რომ ჩაცამენ, წელში კედარ იმართე-
ბაო — მწარედ ხუმრობდნენ.

ბარემ ერთ იმდროინდელ ანექდოტსაც შეგახსენებთ ლე-
ონიდ ილიჩის ჩინ-მედლების სიყვარულზე. იმდენჯერ დაა-
ჯილდოვეს საბჭოთა და სხვა სოცეცვების ორდენებით, რომ
მერძებები ადგილი აღარ დარჩია ახალი ჯილდოვებისთვის და
პოლიტბიურომ მიიღო სპეციალური დადგენილება: Считать
спину товарища Брежнева, грудю товарища Брежнева. აბა,
რა ექნათ?...

ერთი სიტყვით, აკადემიაში ყველას თამამად აკრიტიკებდ-
ნენ. ასე იყო ამ სასწავლებლის აუდიტორიებში და ზოგჯერ
მის კედლებს მიღმაც. მაგალითად, დავასახელებ საკავშირო
საგეგმო კომიტეტს, სადაც აკადემიის მსმენელებს გვატარდე-
ბოდა სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები. მაგრამ ეს არ
იყო კრიტიკა კრიტიკისთვის. საგეგმო კომიტეტის თავმჯ-
დომარის პირველმა მოადგილემ ბაჩურინმა, რომელიც მოუ-
რიდებელი და პრინციპული პოზიციით გამოირჩოდა, ცენ-
ტრალურ კომიტეტსა და საკავშირო მთავრობას მიაღებინა
დადგენილება ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული განვითარები-
სთვის აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ,
რომელიც თავისი არსითა და მიმართულებით სიციალიზმის
კურსის შეცვლისა და საბაზრო ეკონომიკასთან მიახლოების
სერიოზულ ელემენტებს შეიცავდა.



ბაჩურიანი, რომელიც აკადემიაში ხშირად მოღიოდა, ჩვენთან
საუბრისას აკრიტიკულა ქვეყნის პარტიულ ხელმძღვანელობის რაზეც
განსაკუთრებით სუსლოვს, საბჭოთა იდეოლოგიის მამამტაქაშიმომარცავა

აკადემიკოსებით ფედორენქო, ავამბეჯიანი, აბდულიოვი და
სხვები, წუხდნენ იმის გამო, რომ ცეკა და მისი იდეოლო-
გიური მარწუხები შემოქმედებითი საქმიანობის გზებს უკატ-
ავდა მათ, თორემ მთავრობა, კოსიგინის ხელმძღვანელობით,
მზად იყო გლობალური რეფორმების განსახორციელებლად და
ხალხის ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

იცოდნენ, რომ იმ დროს პროგრესის მთავარი დამამუხრუ-
ჭებული მიხეილ სუსლოვი იყო. ბევრს ეცონა, რომ მისი გარ-
დაცვალების შემდეგ ქვეყნა ამოისუნთქებდა, მაგრამ, სამწუხ-
აროდ, ასე არ მოხდა — მნიშვნელოვანი ცელილებები არც
შემდეგ განხორციელებულა.

კვლავ მატკინს დაუკაბრუნდები.

ვრც მშენიერ დღეს აკადემიის პარტიული კომიტეტის
მდივანმა თავისთან მიმიწვია და მაუწყა, რომ მთავაზობს მშენ-
ებლების საქმაოდ დიდი ჯგუფის პარტორგანიზაციის მდი-
ვნობას. ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი იყო.

რადგან პარტიული მუშაობის არაეთარი გამოცდილება
არ მქონდა, კატეგორიული უარი კუთხარი, მაგრამ იმ დროს
თუ რაიმეს ან კინმეს შესახებ „იყო აზრი“, თავი რომ მოგე-
ქლა, არაფერი გამოვიდოდა.

მოკლე — ამირჩიეს.

გავიდა თითქმის წელიწადი. მიბარებს პარტკომის მდივანი
და მაჩვენებს წერილს, რომელიც აკადემიის ხელმძღვანელობის
სახელშე იყო გამოგზავნილი პარტიის არხანგელსკის საოლქო
კომიტეტიდან. იქაური პირველი მდივანი წერდა, რომ თურმე
მატკინს არხანგელსკში მუშაობის პერიოდში აუშენებდა ავა-
რაკი, რისთვისაც გამოუყენებია აღვილობრივი რესურსები ისე.
რომ ეს ყველაფერი წესისა და კანონის მიხედვით არ გაუ-
ცორმებდა.

ასეთი გადაცდომანი იმ პერიოდში დიდ დანაშაულიად კლებოდა და ამიტომ აკადემიის ხელმძღვანელობას წარტოვნის ტორს, აკადემიკოს სერგეევსა და პარტიულ კომიტეტს მოსახურავდნენ მის უმკაცრესად დასჯას – აკადემიიდან და პარტიიდან გარიცხვამდეც კი.

პარტკომის მდივანმა ეს წერილი ოფიციალურად გადმომცა და მატკინის პერსონალური საკითხის განხილვა დამაკალა.

განვიხილეთ, სხვა რა გზა გვჭონდა. აკადემიის რამდენიმე მსმენელი, ვისაც მეცნიერული ურთიერთობა ჰქონდა მატკინთან, გააფთოებული კრიტიკით გამოვიდნენ: ეს რა ჩაიდინ და როგორ გაბედეო... შეუტიეს, მაგრამ რა შეუტიეს! შევატყველომ საბრალო მატკინი კერ გადარჩებოდა და კრებას მივმართე წინადადებით, რათა საკითხში საფუძლიანად გარკვევის მიზნით, განხილვა გადაგვედო. მხარი დამიჭირეს და გადავწყვიტეთ რამდენიმე დღეში კვლავ შეკრებილიყავთ.

ვისარგებლე შექმნილი სიტუაციით, შევხვდი მატკინის წინააღმდეგ გამოსულ მსმენელებს. ვუთხარი, – ეს კაცი ხომ ჩვენი მეცნიერია, ჩვენი ჯგუფელია, რომელზეც აქამდე ყველანი მხოლოდ კარგს კლაპარაკობდით და მხოლოდ დადგითად ვახასიათებდით. თქვენ რა, განა ერთმა წერილმა შეგაცვლევინათ აზრი?! ჩვენ ხომ არ ვიცით, რამდენად ობიექტურად შეისწავლის არხანგელსკში მატკინის საკითხი? ხომ არ ვამორიცხავთ, რომ ვიღაც ჩასაფრებული ინტრიგანის ხრიყებია, რომელსაც ბრძად ენდო საოლქო კომიტეტი ან ტენდენციურად შეისწავლა საკითხი? ჩვენ მასზე მხოლოდ დადგითის თქმა შეგვიძლია და ვთქვათ ეს სიმართლე! ჩვენ თუ რამე შეგვეძლება და დავკარგავთ ობიექტურობას, შეიძლება ადამიანს საბოლოოდ დაუკავშიროთ ცხოვრება. ერთი სიტყვით, იმდენი არგუმენტი მოვიშველიე, რომ შევძელი სიტუაციის შემობრუნება – მატკინის მოწინააღმდეგები მატკინის მომხრეებად იქცნენ და კრებაზეც დაადასტურეს საკუთარი პოზიცია. მივიღეთ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენი კოლეგის

მხარდამჭერი უფრო იყო, ვიდრე მისი გამამტყუნებელი...

მაგრამ პრობლემა ამით არ აძირულია — ჩვენს შემთხვევაში მატკინის პარტიაში ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა განხენილ მოსკოვის გაგარინის რაიონული კომიტეტის ბიუროს. ბედად, იმ დროს რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა აკადემიის ყოფილი პროფექტორი, პროფესორი — იური კარაბასოვი. დაუკავებელი, მიმიღო, მომისმინა. ჩვენი არგუმენტები, რომლებიც კრების ოქმში იყო დაფიქსირებული, მაგიდაზე დაუკავებელი, კურადღებით წაიკითხა. მითხრა, რომ თუ ასეა საქმე, განსახილებიც აღარაფერი ყოფილაო, თუმც ისიც დასძინა, არც განუხილებელობა შეიძლებაო...

გაიყვანეს ის რაიკომის ბიუროს სხდომაზე. მე სიტყვით გამოვედი, დადებითად დაუკასიათე მათ მატკინი, გადავეცი ჩვენი პარტორგანიზაციის წევრების საერთო აზრიც. მხარი დამიჭირეს ბიუროს წევრებმა, არავინ არ გამოსულა კრიტიკულად და პარტიიდან გარიცხვაზე კი არა, ჩვეულებრივ საყვედურზეც სიტყვა არავის დასცდენია. გადაწყვეტილება ასეთი იყო — Поставить на вид, ано — Молчанитесь! ერთ მომენტს ხაზი უნდა გავუსვა: რაიკომის პირველ მდივანსაც და ბიუროს წევრებსაც ესიამოვნათ ჩვენი მსმენელების ერთსულოვანი პოზიცია, ანუ ის რომ მევობრებმა ზურვი არ შეაქციეს და არ გაწირეს კოლეგა, ერთი ფარატინა წერილის გამო არ გაუმრუდეს გზა და არ გაუფეხეს კარიურა, რომელიც ამ კაცს წარმატებული ჰქონდა: აკადემიის დამთავრების შემდევ იგი საყავშირო სააერაციო მრეწველობის მინისტრის მოაღილედ დანიშნეს, შემდევ საგვემო კომიტეტში თაქმჯდომარის მოაღილედ გადაიყვანეს. მაშინ თბილისში დამიკავშირდა და მითხრა — მშენებლობას მე ვკურიებ და როცა დაგჭირდები, მზად ვარ — მიმსახურეო.

პირველად რომ მივედი, თათბირს ატარებდა. მდივანმა ჩემი სახელი და გვარი რომ გაივი, შებრძანდითო, მითხრა. ვიუარე — თათბირზე ხომ არ შევეჭრები-მეთქი. ასე მითხრა, როგორც



კი მოვა, შემოვიდესო, — არ მოშეშვა ეს ქალი. მაინც არ შეუძლია. აიღო ტელეფონი და მატეინს მოახსენა — ომარიშე შეკრებული ლაშვილი აქ არის, მაგრამ არ შემოდისო. უცებ იღება კაპიტენის ქარი და ოური მატეინი გამოდის! გადამეშვია, გადამკოცნა გახარებულმა და შემთევანა თავის კაბინეტში, რომელიც სავსე იყო საგვეგმო კომიტეტის პასუხისმგებელი თანამშრომლებით. მომისვა გვერდით და წარმადგინა მათ წინაშე: ზнакомтесь! Օмар Александрович Маргвелашвили, мой лучший друг! Он меня спас в самый критический момент моей жизни! тან გააფრთხილა, თუ იყი რაიმე საკითხზე მოგმართავთ, გთხოვთ, მხარი დაუჭირეთ.

მისი ასეთი წარდგინება ბევრჯერ გამომადგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

ერთხელ იური მატეინი ტელეფონით დამიკავშირდა — მოსკოვში როდის იქნებიო, — არა და ეს ზარი დაემთხვა მოსკოვში ჩემს მიელინებას. ჩავედი და შევხვდი.

იმ დროს საკავშირო უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობდა მიხეილ გორბაჩივი, მასში შემავალ შექნებლობის კომიტეტს — ბორის ელცინი. ამ კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ცნობილი არქიტექტორი და შესანიშნავი პიროვნება — ნოდარ მგალიბლიმენილი იყო... ხოლო კომიტეტის ერთერთი წევრი იყო ჩვენი სამინისტროს მიწინავე მემონტავე — ვალერი დიხტოიარი... საბჭოს დღის წესრიგში შეტანილი იყო იური მატეინის მეგობრის, საკავშირო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვალერი სეროვის საკავშირო სახმელის თავმჯდომარედ დანიშვნის საკითხი.

მატეინმა მთხოვა, რომ სეროვს ძალიან სჭირდებოდა კომიტეტის ქართველი წევრების მხარდაჭერა.

შევხვდი ჩვენს წარმომადგენლებს, რომლებიც სასტუმრო „მოსკოვში“ ცხოვრიობდნენ. სხვათა შორის, მაშინ ელცინიც ამ სასტუმროში ცხოვრიობდა. მგალიბლიმენილმაც და დიხტიარმაც დამაიმდეს, რომ კომიტეტის მესამე წევრსაც საქართველო-



დან ჩააყენებდნენ საქმის კურსში და სამოვენი ერთობლივად სეროვის კანდიდატურას დაუჭერდნენ მხარს (სამწუხაო მინისტრის მესამე წევრის გვარი არ შემორჩა ჩემს მესამერე-ბას).

თბილისში რამდენიმე დღის დაბრუნებული ვიყავი, როცა მატეინმა დამირეკა და მადლობა გადამიხადა – „ქართველებმა ძალიან აქტიურად დაუჭირეს მას მხარი. სეროვი სხდომიდან გაოგნებული გამოვიდა: ქართველები რომ არ ყოფილიყვნენ, ჩემი დანიშვნა შეიძლება სათუო გამხდარიყო და მთხოვა დიდი მადლობა გადმომეცა თქვენთვის“⁴-ო.

ვალერი სეროვმა ამ თანამდებობაზე იური ბატალინი შეცვალა.

გავიდა დრო და სეროვი რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დააწინაურეს. მასვე დაავალეს რუსეთ-საქართველოს ერთობლივი კონომიკური კომისიის ხელმძღვანელობა, რომელსაც უნდა მოემზადებინა ორი ქვეყნის კონომიკური ურთიერთკავშირების ხელშეკრულებების პაკტი.

ამ საკითხებთან დაკავშირებით პრეზიდენტი შევარდნაძესთან რომ ყოფილა სეროვი, მე მოვუკითხივარ. ბატონმა ედუარდმა ცისანა ჩიხლაძეს, მისი სამდივნოს უფროსს, დაავალა ჩემი მოძებნა. ატყდა ერთი ამბავი, მეძებდნენ. ამ დროს კურშაობიდი საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ.

მოძებნეს. გადმომცეს სტუმრის თხოვნა. მივკლი კრწანისის სახელმწიფო რეზიდენციაში.

არაჩეულებრივი სითბოთი შემხვდა სეროვი. მოვიდა გიორგი ანდრონიკაშვილიც – ერთი პლეადის ხალხი იყო და შესანიშნავი ურთიერთობა პქონდათ. ვისაუბრეთ. ვისარგებლე შემთხვევით და აფხაზეთის პრობლემა წამოვწიე. პირდაპირ ვუთხარი, რომ მას, როგორც ერთობლივი კომისიის თავმჯდომარეს შეეძლო სერიოზული წვლილი შეეტანა კონფლიქტის მოგვარებაში. ისიც არ დამიმაღავს, რომ საქართველოს



ეს ორგანიული შხარე სწორედ რუსეთმა წაგვართვა და რომ
სეპარატისტები ვერ გაბედავდნენ და ვერაფერს მიაღწიათ და რუსეთის
რუსეთის ხელისუფლების და შეარაღებული ძალების ფარუ-
ლი თუ აშკარა შხარდაჭერა რომ არ ჰქონდათ...

გიორგი ანდონიკაშვილმა მხარი დამიჭირა.

სეროვმა შწარედ ამოიოხრა:

— К величайшему сожалению, эта проблема сверх моих возможностей, друзья.

* * *

რადგან აკადემიაზე კლაპარაკობ, ერთ ამბავსაც გავიხ-
სენებ.

აქადემიაში სწავლა, 1980 წლის 1 სექტემბერს დავიწყეთ.
საკამაოდ იოლად აუცდე ალლო აქაურ სპეციფიკას, რომელიც
აქცენტირებული იყო მხერჯლითა დამოუკიდებელ მუშაობაზე
და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენაზე. ყალბი
თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ როგორც ჩანს, თავი სხ-
ვებზე მეტად გამოვიჩინე.

მოახლოვდა 7 ნოემბრის დღესასწაული, რომელიც, ვისაც
ახსოვს, დიდი პომპეზურობით აღინიშნებოდა ზოლმე.

ზეიმის ცენტრი, რა თქმა უნდა, მოსკოვი იყო. შერომელთა
დემონსტრაციისა და სამხედრო აღლუმზე დასასწრებად წი-
თელ მოედანზე გამართულ მარჯვენა ტრიბუნაზე იწვევდნენ
საკავშირო მინისტრებს, ელჩებს, უმნიშვნელოვანების უწყებე-
ბის ხელმძღვანელებს, ხოლო მარცხნა ტრიბუნაზე იყვნენ
მხოლოდ მაღალი ჩინის სამხედრო პირები.

პოლიტბორო მავზოლეუმის მაღალ ტრიბუნაზე იღვა. მის
ქვევით იყო მარჯვენა და მარცხნა ტრიბუნა.

აქ მოხვედრა დიდ პატივად ითვლებოდა.

და აი, დღესასწაულის წინა დღეებში თავისთან მიბარებს
აკადემიის პარტიული კომიტეტის მდივანი და მუსიკა:



— აკადემიას გამოუვაჭრეს 2 მოსაწვევი ბარათი. ერთა, როგორც წესი, რექტორისაა, მეორე, გადაუწყვიტელი ჰქანიერია მოგცეთ თქვენ, როგორც წარჩინებულ და აქტიურ მსმენელს.

შდივანმა ისიც მითხრა, რომ შემძლო ჩემი არასრულწლოვანი შეიღების წაფანაც. თუ ჩაწერილები გყავთ პასპორტ-შით, ვისარგებლე ამ შემთხვევით და ჩემს ბიჭებთან ერთად, რომელებიც მაშინ პირველ-შეორე კლასებში სწავლობდნენ, მივედით და მარჯვენა ტრიბუნაზე ჩენი ადგილი დავიკავეთ.

გადის დრო. წარმატებით ვამთავრებ პირველ აკადემიურ სემესტრს. პირველი მასის კვირაძალს კვლავ მიბარებს სოკოლოვი და კელავ წითელი მოედნის ტრიბუნაზე მოსაწვევ ბარათს მთავაზობს. უნდა შევნიშნო, რომ ბარათში უკვე ჩაბეჭდილი იყო ჩემი გვარ-სახელი და მამის სახელი.

როცა ეს დემონსტრაციაც მოვითავე, მივედი სოკოლოვთან, დიდი მადლობა მოვახსენე დაფასებისთვის და ვთხოვე, უგებ, შემდეგ ჯერზე სხვისთვის მიეცათ მოსაწვევი ბარათი. მე ხომ არაფრით ვარ-შეთქი მათგან გამორჩეული.

მან ასე მიპასუხა:

— Мы солнечную Грузию любим и уважаем по особенному! — და მოაყოლა საოცარი სიტყვები ჩენი ქვეწის სილამაზეზე, ხალხის ნიჭიერებაზე, სითბოსა და სტუმართმოყვარეობაზე. ერთი სიტყვით. ჩემს წინაშე, თვალსა და ხელს შეა შეიცვალა ეს უცხვირპირო კაცი, ვის სახეზეც დიმილის ნიშანწყალიც კი არასოდეს დამინახავს, დათბა და სიყვარულით ავსო თვალები....

აკადემიის კურსდამთაკრებულთა გამოსაშევი საღამო გრანდიოზული იყო. საზემო სხდომის შემდეგ უკენებელურ რესტორანში დიდი წევდება გაიმართა. ჩემი დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რექტორატის დაუინბული თხოვნით, თამაღად ამირჩის.

საბედნიეროდ, მოვახერხე ამ ხალხმრავალი თავყრილობის ღირსეულად გაძლოლა. ყველა ქმაყოფილი დარჩა. დიდ მაღ-

ლობას მუხლის მიღების წესი კოლეგია და მოწვევული სტუდენტები რები.

ამ, საქართველოსადმი ასეთი დამოკიდებულება ფორმიზირებდა მაშინ რესეტში. გულდასაწყვეტია, რომ ამჟამად კველაფერი შეიცვალა, რადიკალურად განსხვავებულმა პოზიციამ იმძლავრა. გაოცებით ვკითხულობ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებს, რომლებიც პრესაში ქვეყნდება და რომელთა მიხედვით რესეტში გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა ქვეყნის მტრებად მიიჩნევს აშშ-ს და შემდეგ – საქართველოს!

ვინ წარმოიდგინდა, რომ ოდესშე ამასაც მოვესწრებოდით!

მოთა ჭავეშვაძე

სამწუხაროა, რომ დღეს ასე აღმაცერად უფრო ებეჭმ კომუნისტიური პერიოდის ლიდერებს, ყველას განურჩევლად. არადა დიდი უძრავესობა განათლებული, პატრიოტი, მაღალი რანგის პროფესიონალი და ღირსეული ადამიანი იყო.

ერთ-ერთი მათ შორის შოთა ჭავეშვაძე იყო – კეთილშობილი, წარმატებული პარტიული მუშაკი და ორგანიზატორი, პრობლემების აღმისა და მათი გადაჭრის არაჩვეულებრივი უნარით დაჯილდოვებული პიროვნება...

ერთხელ, როცა მაღალ მაჩვენებლებს გამოკიდებულმა რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში მახარაძის რაიონს სახელმწიფო გეგმების კიდევ და კიდევ გაზრდა მოისთხოვა (თქვენი რაიონი შეძლებულია და არ გაგიჭირდებათო), შოთა ჭავეშვაძემ, რომელიც მაშინ მახარაძის რაიონში პირველი მდივანი იყო, პირში მიახალა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს:

— თქვენ რა, მართლა გვონიათ, რომ მახარაძეში სუფსას მოაქვს ფულიო?!

შრომობს ხალხი და იმიტომ არის შეძლებული. ამ ხალხს კი მოვლა და გაფრთხილება სჭირდება და არა უღმერთო ექსპლუატაციაო...

ადამიანებზე ზრუნვის ეს სწრაფვა გაპევა მას ცენტრალური კომიტეტის მდივნად მუშაობის დროსაც... სოფლის მეურნეობას კურირებდა იგი... სავსე იყო მის პერიოდში ბაზრები და მაღაზიები საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

აკადემიაში ვსწავლობ, ოჯახიანად ჩაესახლდი საბჭოთა კავშირის დედაქალაქში. დამირეკა ჩემმა მეგობარმა თენგიზ ჩიკვაძემ, რომელიც მოსკოვში მივლინებით იყო ჩამოსული და რესტორანში დამპატიება.

მივედი. ვსხვდვართ „სასტუმრო“ მოსკოვის პოლში. ვსაუბრობთ. ამ დროს გამოიარა შოთა ილარიონის-ძემ. მოგვესალ-

მა. მოედითხეთ ერთმანეთი. თენგიზმა მოწიწებით დაპატიჟა
რესტორანში.

შემოგვიყრთდა ქალბატონი თინა ქუთათელაძეც და ოთხ-
ივე შევეღით რესტორანში. როცა თენგიზმა ჩემი ხადლევრ-
ძელო წარმოთქვა, ხაზი გაუსვა იმას, რომ მე მშენებლობის
მინისტრის მოადგილის თანამდებობა დაუტოვე და აკადემიაში
სასწავლებლად წამოვედი, ჩემი ცოლ-შეილით. გაიცო რა ბა-
ტონმა შოთამ, რომ ორი მცირეწლოვანი ვაჟი მოსკოვში მყავს,
ბოდიში მოიხადა, ახლავე მოვალო და გავიდა.

ცოტა ხანში მობრუნდა ზელში რაღაც შეხვეულით. და-
ჯდა და მუქმნება:

— ლმარ, ეს არის არაჩეულებრივი სულგუნი. შენს ბიჭებს
მონატრებული ექნებათ და მიუტანე.

ძალიან მუხხერხულა, ვიუარე, მაგრამ ქატევორიულად
განმიცხადა, — ეს ბიჭებს უნდა მოუტანოთ. ისე გულით იყო
იგი მორთმეული, მან ისეთი სითბო გამოამეღავნა, რომ უარის
თქმა სიკეთის დაუნახაობა იქნებოდა ჩემის მხრიდან...

ერთ რამესაც დავამატებდი. საქართველოს სოფლის მუქმ-
ნების გონივრული მართვისა და ეფუქტური გაძლიერის პრაქ-
ტიკა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა შოთა ჭანუქაძემ, ღირ-
სეულად გააგრძელა და გაამდიდრა მისმა შემცელელმა, ცეკას
დარგობრივი ძღვინის თანამდებობაზე დანიშნულმა სრულიად
ახალგაზრდა ჯუმბერ პატიაშვილმა.

ასე ზრდილნენ საბჭოთა პერიოდში პროფესიონალ ქა-
დრებს, დღვეანდელისგან განსხვავებით, მინისტრები და ღეპუ-
ტატები შრომის წიგნაკებს ამ თანამდებობებზე მოსვლით რომ
ხსნიან.

ალბათ, საერთოდ ამიტომაც გაუქმეს შრომის წიგნაკები
საქართველოში!



„ზემოუჩინებელი“, მოსკოვის მახლობელ ამ მართლაც ციფრული გარე ნამყოფი, მათ შორის ერთხელ – ცოლ-შვილთან ერთად. ახლა კველამ იცის, რომ სწორედ აქ ცხოვრობდნენ მომავალი და მოქმედი კოსმონავტები. აქ გადაღვნენ ისინი სათანადო წერილისა და სწავლებას.

უნდა ითქვას, რომ აქ მათი ცხოვრებისა და მომზადების მართლაც იღებალური პირობები იყო შექმნილი. ულამაზესი ბუნება, სიმწვანეში ჩაფლული სკოლები, მაღრკვნები, ინგელივ კველგან ყვავილნარი, პატარა ტბებში მოცურსავე იხვები და გედები, ფეხით სასიარულო მოკირწყლული ბილიკების გასწრივ დასაჯდომი ლამაზი სკამები. რაც სანახავი იყო და გვაინტერესებდა, დიდი მონძომებით დაგვათვალიერებინა კოსმონავტთა სწავლებისა და მომზადების ხელმძღვანელმა გენერალმა. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სამგლოვარო დარბაზმა („Траурный зал“), სადაც გამოფენილია იმ კოსმონავტთა სურათები, ნივთები და ბიოგრაფიული მონაცემები, ვინც იური გაგარინამდე და მას შემდეგ კოსმოსის ათვისებას შეუწირა.

უკველივე ეს მძიმე მოსასმენი და სანახავია, თუმც იძულებულის, შთაბეჭდავია იმ შხრივ, რომ ნათლად წარმოაჩენს ადამიანის სიდიადეს, მის გონიერივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს.



სამინისტროს ინტერესებიდან გამომდინარე, სამსახურებრივი მივლინებებით ჩქირად ვმოგზაურობდი ურალსიქითა რუსეთის ოლქებში და ქალაქებში. ჯერ კიდევ აკადემიაში სწავლის პერიოდში უამრავი დახურული – მქაცრად გახსაიდუმლობული ქალაქი და მიწისქეშა საწარმო მოენაზულებერ მათგანს, ქვეყნის წინაშე უდიდესი დამსახურების გამო, რამდენჯერმე პქონდა მინიჭებული ლენინისა და მრომის წითელი ღროშის ორდენები. ეს გიგანტი სამრეწველო საწარმოები, ფაქტობრივად – სახელმწიფო ოფიციალური უშვებდნენ სამხედრო დანიშნულების პროდუქციას, რომლის წყალობითაც, თითქმის სამოცდაათი წლის მანძილზე, საბჭოთა კავშირი მსოფლიოს აზანშარებდა. ვისაც ერთი შეხედვით თვალისოფას შეუმნიველი, მქაცრად შენიდული ეს მრისხანე იდუმალება არ უნახავს, ვერ წარმოიდგინს რუსეთის არა მარტო სამხედრო პოტენციალს, არამედ ამოუწურავ ბუნებრივ რესურსებსაც.

მარადმწვანე ტყეებით გარშემორტყმული, ინფრასტრუქტურის ყველა სიკეთით უზრუნველყოფილი ეს ქალაქები, როგორც წესი, გაშენებულია მდინარის, ან ტბის პირას. უნდა ითქვას, რომ მათი მცხოვრებიც გრძნობდნენ მთელ ამ მქაცრი სიდიადეს – არაერთ სუფრას შევსწრებივარ, სადაც საზოგადოების ფართო ნაწილისოფას უცნობი, უდიდესი მეცნიერები, მკედვეარები, მაღალი სამხედრო ჩინოსნები დაუფარავი სიამაყით წარმოსთქმადნენ სადღევრძელოს „За военную мощь советской державы!“ ამ ხუთ სიტყვაში აერთიანებდნენ ისინი თავიანთ ოდინდელ, მთელი მსოფლიო ხალხებზე ბატონობის დაუოკებელ მისწრაფებას...

საკულისხმოა ის, რომ ამ ქალაქებსა და გიგანტ საწარმოებს ქართველმა – ლავრენტი ბერიამ ჩაუყარა საფუძველი. სწორედ მისი უშუალო ზელმძღვანელობით აშენდა მეცნიერების



კორიულებით და უდიდესი გამომგონებლებით („Обороншкини“) და კომპლექტურული მეცასაწარმოები, სწორედ მან შეუქმნა შემთხვევა და მათ ოჯახებს ნაყოფიერი შრომისა და ცხოვრების შესტატიზაციის პირობა. ამ ქალაქების სამეცნიერო-საქველევი, საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტებში და საკონსტრუქტორო ბიუროებში მომუშავე პერსონალი გასაიდუმლოვბული იყო. კველა უმიმროვების ორგანოების მიერ გამოგონილი ბიოგრაფიით და გვარ-სახელით ცხოვრობდა!

მე ვიცნობდი ჩვენს თანამემატულე ტიტულოვან შეცნიერებს ზესაიდუმლო გრიფით, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე სარაკეტო-კოსმოსური ტექნიკის შექმნაზე მუშაობდნენ – აღექსანდრე ნადირაძეს და ვახტანგ ვაჩინაძეს.

აკადემიკოსი აღექსანდრე ნადირაძე ორგზის სოციალისტური შემომართვის გმირი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ღაურეატი – 1984 წელს თბილისში გავიცანი.

ლენინური და სახელმწიფო პრემიების ღაურეატი აკადემიკოსი ვახტანგ ვაჩინაძე – გაეიცანი მოსკოვში, აკადემიაში მისი სტუმრობის დროს, როცა ის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ენერგიის“ გენერალური დირექტორი იყო.

თუ არ ვცდები, საბჭოთა კავშირში 52 საკავშირო სამინისტრო და კომიტეტი იყო, მათ შორის 18 სრულიად გასაიდუმლობული, რომლებიც საგანგებო დავალებით მხოლოდ სამხედრო პროდუქციას აწარმოებდნენ.

დიახ, იქ მომუშავეებსა და მაცხოვრებლებს ყველაფური გაცილებით უფრო მეტი და უკეთესი პქონდათ, ვიდრე საბჭოეთის ჩვეულებრივი ქალაქების მქედირთ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ირგვლივ სასტიკი რეჟიმი მეფობდა. მათ არ პქონდათ გადაადგილების თავისუფალი უფლება. საგანგებო ორგანოებისაგან უნდაართვოდ მათ ახლო ნათესავიც კი კურენტიდა! სამაგიეროდ, ქვეყნისათვის განსაკუთრებით საჭირო და სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ!

დიახ, მათ თითქმის ყველაფური პქონდათ ნორმალური ცხოვ-



რებისათვის, გარდა თავისუფლებისა. მათ ეს თავისუფლება
წართვა ქვეყნისთვის უაღრესად საჭირო და აუცილებელის
პროფესიამ — ისინი დიდი მეცნიერული აღმოჩენების მშენებად
იქცნენ და „ველიკაია დერფავას“ კრთვულების ნიშად შინა-
პატიმრობაში ცხოვრება „არჩიეს“... მათ აკრძალული პქონდათ
თავიანთი მძიმე შრომით მოპოვებული სახელმწიფო რეგალიე-
ბით — ორდენებითა და მედლებით, სამეცნიერო წარისხებითა
და სამხედრო წოდებებით საქვეყნოდ თავის მოწონებისა და
ტქმობის პრივილეგია...

და ყოველივე ადამიანური საბჭოთა სახელმწიფოს სამხ-
ედრო ძლიერებას შესწირეს.

ეს – მოსტაპოვის ღაშაათიშვებელი სტუმარი



ცხოვრებაში რას არ მოესწრება კაცი! აბა, როგორ ვიფაქებდი, თუ ოდესმე გენდალური კომპოზიტორის, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, სოციალისტური შრომის გმირისა და სხვა მრავალ რევალიათა კავალერის დიმიტრი შოსტაკოვიჩის აგარაკზე დამეს გავათვედი! თანაც, სწორედ იმ ოთახში, საღაც დიდი კომპოზიტორი იძინებდა. ეს კი ასე მოხდა: აკადემიაში სწავლის დროს ორ პროფესორთან ერთად სემინარში მონაწილეობისათვის ლენინგრადში გავემგზავრეთ. გულთბილად დაგვხვდნენ ჩვენი იქაური მეგობრები. ღონისძიების შემდეგ ფინეთის ყურეში „გავვასეირნეს“. საქმაოდ ციოლა, მაგრამ ამას ჩვენს გუნება-განწყობაზე უარყოფითად არ უმოქმედია, რადგან „გათბობის საშუალება“ არ გვაქლდა. „მწვანე ზონაში“ ახლად აშენებულ, ქათქათა, ნამდვილ ფინურ საუნაშიც ვინებივრეთ და გვარიანადაც მოვილხინეთ. ირგვლივ ორსართულიანი, კოტტა კოტევები იდგა. დილით სწორედ ერთ-ერთ მათგანში გამოქვედია. თვალი რომ გავახილე, მეზობელ ოთახში დიდი, შევი როალი შევნიშნე.

მეორე სართულიდან პირველზე ჩამოვედი და რას ვხედავ, ნამდინარევ და ნაბახუსევ თვალებს იუშენეტენ საწოლებში მოფუთუუთე „ჩემი“ პროფესორები... „სადა ვართ?“ – ვეკითხები ოლევ პროცენკოს, „გარეთ გადი და ნახე, ფირნიშე რა აწერია“, – მითხრა. გამოვედი და წავიკითხე: „დიმიტრი შოსტაკოვიჩის დაჩა“.

ასე აღმოეჩნდი საქვეყნოდ აღიარებული კომპოზიტორის დაუპატიჟებელ სტუმართა შორის...

იმ დღეს ვნახეთ ციცი, მოუკარებელი და მშეოთვარე ფინეთის ფურე. ვიყავით სოფელ რეპინოში, მას ადრე კუოკალა ერქვა. აქ სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ცნობილმა მხატვარმა ილია რეპინმა, რომელიც საბჭოუთიდან ფინეთში



გადაიხვეწა და იქ გარდაიცვალა 1930 წელს. ვნაზეო მის
საფულავი. 1940 წლიდან ეს სოფელი და ფინეთის სტემაზე და
დიდი ტერიტორია დაიპყრო საბჭოთა კავშირმა და თბილისის
ლერებში მოაქცია.

ცოცხალი ჭავა საბჭოთს გაექცა და მაინც საბჭოთის
მიწაზე განისვენებს.

ასევე ვინახულეთ დიდი პოეტის ანნა ახმატოვას (გორე-
ნკო) საფულავი. საოცრად მოუვლელი, ეკალ-ბარდებით დაფარ-
ული, დაუანგული და დეფორმირებული ლითონის მესერით.

ის ოდესაში დაიბადა 1889 წელს, იცხოვრა და გარდა-
იცვალა მოსკოვში, დაკრძალეს მის საყვარელ კომარიუოში
1966 წელს, ხოლო წესი ლენინგრადში აუგეს...



მაშინ აკადემიის მსმენელი ვიყავი და მოსკოვში ცეცხლფაქტობება რობდი. ჩემმა უახლოესმა მეგობარიმა ნოდარ ხეთისიაშეიღმა დამირეკა და მთხოვა, ურუბენზეს სანაპიროზე საქმე მაქვს და ნუ დამზარდები, 50-ე სახლის წინ შემხვდიო.

ისე რობდა, რომ დათქმულ აღგიღნებულ მე უფრო ადრე მივედი — ნოდარი დაიდი პუნქტუალიბით არასოდეს გამოირჩეოდა და ახლაც დააგვიანა. მივიხედ-მოვიხედე. შორიახლო, ძელსკამზე მოხუცი კაცი შევნიშნე. მივედი, მივესალმე და გვერდით მიუკუჯები. საქართველოს გრილოდა. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, ამინდზე წამოვიწყეთ საუბარი. ეტყობა, აქცენტზე მინხდა, რუსი რომ არ ვიყავი და მქითხა, ქართველი ხომ არ ხართო.

— დიახ, ქართველი ვარ! — ვუპასუხე.

გამოცოცხლდა და სახე გაებადრა:

— საქართველოსთან ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს. მშვინიერი ქვეყნაა, დიდებული ხალხი!

უცნობი განაგრძობდა:

— ქართველები ნიჭიერი ხალხია. მეც, როცა საქმე მოითხოვდა, სწორედ მათ შორის ვეძებდი პერსპექტიულ ახალგაზრდებს. უნდა ვაღიარო, რომ გუმანს არასოდეს უდალატია

— ისინი ყოველთვის მიმართლებდნენ. ასე გამიმართლეს იმ ამხანაგებმაც, რომლებიც მე დავაწინაურე — ნიკოლოზ ესაკა (შემდგომში — სოციალისტური შრომის გმირი), ილია გოცირიძე (შემდგომში — საბჭოთა კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე), ვიორგი კიქნაძე (შემდგომში — სოციალისტური შრომის გმირი), ვრიგოლი ქადაგიძე (მოსკოვის რეინიგზის სამმართველოს უფროსი, შემდგომში — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი), ვანო ფიცხელაური (შემდგომში — ბელორუსიის



რეინიგზის უფროსი)... ჩემი მოსაუბრის მიერ ზემოთ ჩამოაფენილი დირსეულ პიროვნებებიდან, გარდა კრისტიან ჭავჭავაძე-მამუკა ისა, კარგად ვიცნობდი ნიკოლოზ ესაკიას. იყო გამაცმით დამაახლოეთ ელიზბარ მინდელმა. ეს იყო ძალზედ დამსახურებელი და ღირსეული პიროვნება. სრულიად ახალგაზრდამ თავი გამოიჩინა მოსკოვის მეტროს მშენებლობაზე – ურთულეს გეოლოგიურ პირობებში ააშენა რამოდენიმე საღვური. ომის დაწყებისთანავე მიიღო დავალება კრემლის ტერიტორიაზე უმაღლესი მთავარსარიდლისთვის (Ставка) უმოკლეს ვადაში აეშენებინა მიწისქვეშა თავშესაუარი, სადაც განლაგდებოდა ყველა აუცილებელი აპარატურით აღჭურვილი სამუშაო კაბინეტები. ნიკოლოზ ესაკიამ ეს დავალება ბრწყინვალედ შეასრულა.

ამის შემდეგ მას დაავალეს სოხუმი-გაერის ურთულესი სარკინიგზო მონაკვეთის მშენებლობა, რომელსაც დაიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ბაქოს ნაეთობით ფრთხილის დროული და უწყებელი მომარაგებისთვის. რეინიგზის მაგისტრალის ამ მონაკვეთზე იყო ბევრი ურთულესი საინჟინრო ნაგებობა – გვირაბები, ხილები, ესტაკადები. ესაკიამ ეს რთული დავალებაც უმოკლეს ვადაში შეასრულა.

კურჩატოვისა და კოროლიოვის ხელმძღვანელობით ბირთვული იარაღის შესაქმნელად აშენდა ურთულესი მიწისქვეშა ნაგებობები, რომელთაც ნიკოლოზ ესაკია ხელმძღვანელობდა. ყველა ამ დავალებას მან ბრწყინვალედ გაართვა თავი. აქედან დავძინთ, რომ მისი ხელმძღვანელობით აშენდა საბჭოთა კუმინის სარაკეტო სარტყელის მიწისქვეშა ნაგებობებიც...

ამ დამსახურებებისთვის მინიჭებული ჰქონია სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინური და სტალინური პრემიებით. იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი და გენერალ-ლეიტენანტი. როდესაც სტალინური პრემიის კანდიდატები წარუდგენიათ, კავანოვის ესაკიას შესახებ უთქვამს: „Он достойный грузин, товарищ Сталин!“

სტალინს უღვაშებში ჩაუღიმია და უპასუხია: „Не только достойный грузин, но он и мингрелец!“ და ბერიას კუნძულები აუხვდავს...

ამ რას წერდა ნიკოლოზ ესაკიაზე საბჭოთა კაციონის საშუალო მანქანათმშენებლობის მინისტრი, სამგზის ხოციალისტური შრომის გმირი, ატომური და ბირთვული იარაღის ერთ-ერთი შემქმნელი უფიმ ჰყლეს მე სლავსკი:

„Сооружения, созданные горняками под руководством Николая Михайловича Эсакии, не имеют precedента в мировой практике, являются чудом инженерного искусства и символом человеческого мужества“.

ყოველივე ამას, ჩემი თანამოსაუბრე ისე ზედმიწევნით იხსენებდა, რომ გამაოცა.

— ასე კარგად საიდან იცნობთ საქართველოს და ქართველებს? — ვკითხე.

— თითქმის წელიწადი თბილისში ვცნოვრიაბდი, თანაც, ცენტრში — გოლოვინის პროსპექტზე! ჩინებული სასტუმრო იყო, მეონი, „ორიენტი“ ერქვა. მაშინ ამიტკავკასიის სამხედრო საბჭოს წერი ვიყავი.

„ეს კაცი თითქოს სადღაც მინახავს, მაგრამ სად?“ — გვიფიქრე.

ვათვალიერებ ბეწვის საყველოსთან და მაჯგბზე გაცრეცილ, საქმაოდ ძველმოდურ პალტოს, დაკემსილ ხელთათმანებს, დაკერქულ, თბილ „ბატინქებს“, გაქუცულ ზამთრის ქუდს....

„ლერთო ჩემი, ნუთუ ეს კაგანოვიჩა? შეუძლებელია! ის ხომ ცოცხალი აღარ უნდა იყოს.“

მოხუცი კი განაგრძობს:

— ბენიცრი კაცი ვარ, დიდი წნის მანძილზე ვმუშაობდი ისეთ ვიგანტთან, როგორიც იოსებ ბესარიონის ძე იყო...

ახლა კი მივხვდი, საიდან მასსოვდა ეს სახე: მე ხომ არაურთხელ მინახავს მისი პრიტჩეტი! მაგრამ, არ დაგავიწყდეთ, რომ ოთხმოციანი წლებია. მუ ეს მართლა კაგანოვიჩა,

გამოდის, რომ, სულ ცოტა, ოთხმოცდაათი წლის მაჩქცე უნდა
იყოს ივი... სიცილის განვითარები

- ბოდიში, იქნებ მითხრათ, ვინ ბრძანდებით?
- კაგანოვიჩი ვარ, — უბრალოდ მიპასუხა.

თვალი შევავლე მის ჩატულობას და კიდევ ერთხელ
დაერწმუნდი, რომ „დროინი მეფებენ და არა მეფენი...“

კაგანოვიჩი კი განაგრძობდა:

— მე ვკურინებდი სსრ კავშირის რეინიგზას — მის ექსპლოატაციას, მშენებლობასა და განვითარებას. მეტროს მშენებლობაც ჩემთან შემოღილდა. როცა საქმე მოითხოვდა, ობიექტებზე ღამის საათებშიც კი მივდიოდ ზოლმე, რათა საკუთარი თვალით მენახა, რა როგორ კეთდებოდა. იმ დროს იმდენი გიგანტური შექმნლობა მიმღინარეობდა და იმდენი სამრეწველო საწარმო მუშაობდა, რომ ვგრძნობდი, საბჭოთა კავშირის მასტებით განსაკუთრებული რგოლი იყო აუცილებელი, რათა მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა მკეთრად გაგევუმჯობესებინა. პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე ასეთი ორგანოს შექმნის წინადაღება წამოვაყენესტალინმა სწრაფად აუდო ალღო ჩემ წინადაღებას და მაშინვე მხარი დამიჭირა, პოლიტბიურომ კი დებულების მომზადება დამავალა... აი, ასე დაედო სათავე სახელმწიფო მომარაგებას (Госснаб), მის პირველ თავმჯდომარედ კი მე დამინშენეს...

— ლაშარ მოისეევიჩ, თუ საიდუმლო არ არის, რამდენი წლის ბრძანდებით? — კითხე მორიცდებით.

— დევიანი და, — მიპასუხა და ღიმისლით გადმომხედა.

იმხანად მოსკოვის აკადემიაში ერთივან კურსებს გადიოდა ჩემი მეგობარი, საქართველოს სახელმწიფო მომარაგების თავმჯდომარე ალექსანდრე (საშა) ბუაბე. ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდევ, ჩემს მოსკოვის ბინაში საღილად მოვიწვიე საშა ბუაბე, ნოდარ მემარიაშვილი, გიზო პატეიშვილი (საქართველოს სახელმწიფო ბანკის მაშინდელი მმართველი, იმ დროს ისიც აკადემიის მსმენელი იყო) და ტუკი



აკობაშვილი. როცა ეს ამბავი ვუამბე, გაოცდნენ. ჯერ ის გაუკვირდათ, კავანოვიჩი ცოცხალი რომ იყო, მერე იპიტიშვილი კავშირის სახელმწიფო მომარაგების კომიტეტი რომ შუალედობას მისი წინადაღებით დაარსებულა და პირველი თავმჯდომარევი ის ყოფილა...

ლაზარ მოისეევიჩის საუბრის საღერღელი აეშალა და კიდევ ბევრი რამ გაიხსენა. მეც ინტერესით ვუსმენდი, მსამარენებდა ჩეენს ქვეყანაზე უამრავი საქებარი რამ რომ თქვა. ამასობაში ნოდარიც გამოჩნდა. ქართულად ვუთხარი, ეს კაცი კაგანოვიჩი-შეთქი. ჯერ არ დაიჯერა, მაგრამ როცა მოხუცს მოუსმინა, დარწმუნდა, რომ მართალს ვეუბნებოდი. ამ დროს კაგანოვიჩი ქართულ სამზარეულოს და ლვინოებს აქებდა. ნოდარშა მიმართა:

— ლაზარ მოისეევიჩი, მომეცით თქვენი მისამართი და ქართულ საუკეთესო ლვინოს მოგართმევთ.

ნოდარი მაშინ სააქციო საზოგადოება „სამების“ პრეზიდენტი იყო. ეს კომპანია ლიდერობდა საქართველოში ლვინის მწარმოებელთა შორის, როგორც პროდუქციის წარმოების რაოდენობით, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

კაგანოვიჩმა მაღლობა მოახსენა, მისამართი კი არ მისცა. მერე წამოდგა და სახლისექნ ბებრულად „გაიჩქარა“... გავაცილეთ... თურმე, იმავე სახლში ცხოვრობდა. სადარბაზოსთან შეტერდა და ხელი გამოგვიწოდა:

— სასიამოვნო იყო თქვენთან საუბარი, კარგად ბრძანდებოდეთო და სადარბაზოში გაუჩინარდა...

თბილისში მივლინებით ჩამოსული, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გრიგოლ ქადაგიძეს შევხვდი. მაშინ რკინიგზის უფროსი აღარ იყო. ხელი გამოვდე და ფანჯარასთან მიეიყვანე.

— იცით, ვინ მოგიკითხათ მოსკოვიდან-შეთქი?

— ვინო? — მკითხა და მოლოდინით შემომაჩირდა.

— ლაზარ მოისეევიჩ კაგანოვიჩმა...

— რას ამბობ, კაცო! ცოცხალია და ვახსოვარი? — გვი-
ცება ვერ დამალა გრიგოლმა, — მახსოვრობაც ასეთი წენდას ი-
რამდენი წლისაა-ო, მკითხა.

— ოთხმოცდათორმეტის, — უუპასუხე.

სულ ათიოდე წელი გავიდა ამ შეხვედრის შემდეგ. ქვეყ-
ანაზე უამრავი რამ მოხდა — კარგიც და ცუდიც. ერთ დღეს
103 წლის ქავანოვიც, როგორც ჩვეულებრივი მოკედავი
დაემშვიდობა სამზეოს...

მაგრამ სამზეოს დაემშვიდობა ის ქვეყანაც (და ეს ლოგი-
კურიც იყო), რომლის სათავეებთან ამდენი ხნის მანძილზე
ისიც იღვა.

80-იან წლებში ამერიკელი უერნალისტის შეკითხვაზე, თუ
რატომ არ წერდა მემუარებს, კაგანოვის უასუხია: «Я не умею
писать, да и незачем. Все люди делятся на три категории:
народ, который никогда не узнает правды и руководители,
которые знают правду, но она очень жестокая и далекая от
действительности. Главная их забота состоит в том, чтобы
кроме них ее больше никто не узнал. И есть небольшое
количество людей, которые пытаются узнать правду, но
они не будут иметь полных доказательств. Руководители
старатительно уничтожают все улики своей преступной
деятельности.»

აბარაპების გამო ღასჯილი...



...ვიქტორ ჩხილვაძე მოსკოვში გავიცანი. მაშინ ამ პედაგოგიკური ფოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში იურიდიულ სამსახურს ხელმძღვანელობდა. ცხოვრიბდა გაგარინის მოედაზე-დავეგობრდით და ერთმანეთს ხშირად ვეხმანებოდით.

1981 წელია. მაშინ მოსკოვში ეცხოვოდი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავის აღსანიშნავ საზეიმო ღონისძიებათა შემდევ დიდი ბანკეტი გაიმართა. თამაზობდა პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი. იყვნენ სოლიკო ხაბეიშვილი, ოთარ ჩერქეზია, ზურაბ ჩხეიძე, მინისტრები, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები და ხელოვნების მოღვაწენი. ვიქტორ ჩხილვაძეს თითქმის არავინ იცნობდა, მათ შორის არც რამაზ ჩხილვაძე. მე სიამოვნებით წარუდგინე ბატონი ვიქტორი, ჩვენს სუფრასთან მსხდომ საზოგადოებას: ვიქტორმა, მკათხა, ვიცნობდი თუ არა პეტრე ჩხეიძის შვილს ზურაბს. ვუთხარი, რომ ის ჩემი ბავშვობის მეგობარია, რომ ერთ უბანში გავიშარდეთ და ერთ სკოლაში ესწავლობდით. გაუსარდა, მე ზურაბზე დიდი ამაგი მაქვს, კარგი ახალგაზრდაა და ნამდვილად გამიშართლაობრიბანა...

ჩვენი ერთ-ერთი შეხვედრის დროს ბატონ ვიქტორს მოგონებები აეშალა და მიამხო:

— ზესტაფონელი ვარ. სკოლა დავამთავრე, თბილისის უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. მეორე კურსზე ვიყავი, შოთარების უკითხებად მოსკოვში რომ ამოვყავი თავი. არც რესული ვიცოდი, არც ფული მქონდა და არც ვინმეს ვიცნობდი. მიმერენების სახალხო კომისარი სერგო ორჯონიშვილი იყო. კომისარიატი „Площадь Нагина“-ზე მდებარეობდა. წავედი, როგორც თანამემამულესთან. მიმიღო. ყველაფერი უსაბე და დახმარება ვთხოვე.

— კაცო, — მეუბნება, — რესული შენ არ იცი, მოსკოვში

არავის იცნობ, ბინა შენ არა გაქვს და როგორ ისწავლიდა? თქვენ დამეხმარეთ, დანარჩენი ჩემზე იყოს-მეთქ. ერთიანული

სადღაც დარეკა. საერთო საცხოვრებელოში შემძლებელი რუსულის მასწავლებელი დამინიშნეს, მერე კი იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ინსტიტუტი დავამთავრე, მუშაობა დაეიწევ, დავეიჯახდი. თავი გამოვიჩინე — კარგი სპეციალისტი დავდევ და დამატინაურე.

ხელისუფლებაში ნიკიტა რომ მოვიდა, საქართველოში ვა-სილ მუკანაძე გაგზავნა და... ცოტა ხანში მეც თან გამაყოლა — ცეკას მურა მდინარე დამინშნეს. ჩემი მეუღლე მეცნიერთა ოჯახიდანაა, თვითონაც დოქტორია, პროფესორია და თავმ-დაბალი ადამიანია, იქაურ „წესებს“ ვერაფრით შეეწყო: რაღაც ღონისძიებებზე რამდენჯერმე წავიდა მუკანაძის მეუღლესთან ერთად, მერე კი ახლოსაც აღარ გაეკარა. არ მოეწონა გა-რემოცვა. ის კი ურეკავდა, მოითხოვდა, ხშირად მესტუმრეო. ჩემი მეუღლე ამ თხოვნას არ უსრულებდა. ეტყობა, ის განაწყ-ენდა და ქმარს ჩემზე რაღაც ცუდს ელაპაპარაკებოდა. ვა-სილ პავლოვიჩმა ამრეზით დამიწყო ყურება და ხშირად სრულიად უსაფუძვლოდ მსაყველურობდა. ერთხელაც ხრუმჩოვნა დამიბა-რა. მის კაბინეტში შეკვედი თუ არა, ნიკიტა სკამიდან წამოხტა და უშვერი სიტყვებით დამიწყო გინება, ვანა მუკანაძისთვის სამარის გასათხრელად გაგაგზავნე, არ იცი, ცეკას პირველი მდივანი ვერასიდეს რომ ვერ გახდებიო. სხვა სისულელეებიც წამოროშა...

მივხვდი, ჩემი საქშე ცუდად რომ იყო. თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა. ჩემდა ბედად, ერთ-ერთი საერთაშორისო ორ-განიშაუიდან მოთხოვნა მოვიდა და... შვერცარიაში გამამწესეს. ავშენდა კაცი! ნაძღვილი ცხოვრება იქ ვნახე! სადაც მსურდა, იქ ვმოგზაურობდი. საქშეს კარგად გავართვი თავი და მერე ვაღითაც დამტოვეს. თითქმის ათი წელი იქ დაუყავი. ორი ვაღის ამოწურვის მერე ფრედერიკ ფოლო-კიურის ორდენით

დამსჯილდოვეს! თურმე, იმხანად ეს ჯილდო მთელს საბჭოთაში მხოლოდ მე მქონდა, მოგვიანებით კი ბრეენვესაც გადასცეს. შეეიცარიიდან რომ დავბრუნდი, მოსკოვში სამართლებული იმაზეა სტიტუტის (Институт Права) დირექტორად დამნიშვნეს.

ეტყობა, სამსახურებრივი „გაუგებრობები“ ჩემი ბედია და მუდამ თან ძღვეს. შევარდნაძის დროს ხმები დამიყარეს, ჩინკვაძეს პირველ მდინად უპირებენ გამოგზავნასი. რა თქმა უნდა, სიცრუე იყო — არც მიპირებდნენ და არც მსურდა! ერთხელ უკვე ეიწვნიე მდინარები და მეფო! მოსკოვში, ჩემს ინსტიტუტში, თავს მშვენიერად ვკრძობდი, მაფასებდნენ, პატივს მცემდნენ. ვწერდი წიგნებს, რომლებსაც დაუბრკოლებლად გამოსცემდნენ. მეც მეტი არაფერი მინდოდა. მაგრამ რა მეტა, სხვის „გაფრინდი სიტყვას“ ხომ ვერ გამოკიდებოდი? როგორც ჩანს, ვიღაცას მართლა არ ასვენებდა ვიქტორ ჩინკვაძის ავტორიტეტი!

ჩემს წინააღმდეგ დაწყებულ ამ კამპანიას წინ უსწრებდა ერთი აბბავი: აფხაზეთში აგარაკის აშენება შემომთავაზეს. მოსკოვთან ახლოს კი მქონდა შშვენიერი აგარაკი, მაგრამ ვიფიქრე, რატომ უნდა ვთქვა უარი, თუ საქართველოშიც მექნება-მეთქი. დავთანხმდი. ჩავედი აფხაზეთში, ადგილი მაჩვენეს, მომეწონა. პროექტი შემითანხმეს, გადავინადე ფული. როცა მშენებლობა დამთავრდა, ჩავედი აფხაზეთში და ვნახე. ეს იყო და ეს, ჩემს აგარაკზე არასოდეს დამისვენდა... წარმოიდგინეთ ერთი დამეც კი არ გამითენებია იქ...

გავიდა დრო. მოულოდნელად პარტიულ კომისიაში მექანიან. თურმე, ანონიმური საჩივარი შესულა, აფხაზეთში აგარაკი აიშენაო. ფაქტი არ უარმიყვადა, აკი კველაფერი კანონიერად მოხდა! იქ კი მეუბნებიან, მოსკოვშიც აგარაკი გაქვთ, ეს არ შეიძლება, თქვენ ხომ კომუნისტი ხართო... ერთი სიტყვით, შავი დღე მაყარეს! პარტიიდან გარიცხვას გადავურჩი, სამსახურიდან კი გამომაბრძანეს... იძულებული გამხადეს, ორივე აგარაკზე უარი მეთქვა.



კათ ხანს ვიყავი უმუშევარი. არადა, სამეცნიერო წრდებული, ცოლნა, გამოცდილება არ მაკლდა. ვარ იურიდიულ მეცნიერებას ბათა დოქტორი, პროფესორი, საბჭოთა კავშირის მეცნიერებას ბათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბოლოს, მეცნიერებათა აკადემიაში მიმიწვიეს და იურიდიული სამსახური ჩამაბარეს. დღემდე იქ ვმუშაობ...

აი, ეს მიამბო 1981 წელს გიქტორ მიხეილის ძე ჩხიტვაძეს, რუსეთში საყოველთაოდ აღიარებულმა პიროვნებამ, სამშობლოში კი მავანთაგან დაუშასახურებლად შერისხულმა ადამიანმა... დიდი ხანი არ არის, რაც დრმად მოხუცებული გარდა-იცვალა და მოსკოვის მიწას მიებარა...



ეთიომაელი ქართველი

სახალხო მეურნეობის აკადემიაში შესანიშნავი ჟოფილი პირობები გვქონდა: ცეხოვრობდით ერთოთაშიან ქვთილმიწ-ყობილ ნომრებში, საღაც ტელევიზორიც იღვა და მაცივარიც, ტელეფონიც გვქონდა და აბაზანაც, მეცადინეობაც შეგვე-ძლო და გართობა-დასკენებაც. ჯაბმრთელობის სამინისტროს მეოთხე სამმართველო გვექმსახურებოდა, ტრენაჟორების დარ-ბაზიც იყო და სპორტული მოედნებიც. ქვეყნის ფარგლებში, საითაც მოგესურებოდოდა, იქ წახვიდოდი მიულინებით, ოლონდ მიელინების აუცილებლობა მოხსენებითი ბარათით უნდა დაგ-ესაბუთებინა. საზღვარგარეთაც რამოდენიმეჯერ ვიყავი მივ-ლინებით. შესანიშნავი ბიბლიოთეკა პქონდა აკადემიას. იქ უამრავი, იმ პერიოდში აკრძალული წიგნებიც ქი ჩვენთვის ხელმისაწვდომი იყო. ხელფასს ყოველთვის დროულად, ანალ-თახალი, „ტეიცინა“ ბანქორებით გვიხდიდნენ.

აკადემიაში სწავლება იმითაც იყო გამორჩეული, რომ გან-საკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მსმენელთა ქულტურულ პროგრამებს. ყოველ სამშაბათს, აკადემიასთან არსებულ კულ-ტურის უნივერსიტეტში, რომლის რექტორიც საბჭოთა კავ-შირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურიატი ვასილი ლანავოი იყო, იმართებოდა შეხვედრები ქულტურისა და ხელოვნების ცნობილ მოღვაწეებთან... ეწყობოდა საბჭოთა და უცხოური იმ ფილმების ჩვენებები, რომლებიც დიდ ეკრან-ზე არ გადიოდა. მათ შორის იყო ისეთი ფილმებიც, რომლებ-საც საზღვარგარეთის კონფინმები ექსკლუზიური უფლებით უკვეთავდნენ „Госкино“-ს და რომელთა დემონსტრირება ჩვენს ქვეყანაში იკრძალებოდა.

არ დარჩენილა ცნობილ „Золотое кольцо“-ს ფარგლებში არც ერთი ღირსშესანიშნაობა ჩეენ რომ არ დაგვეთვალიერე-ბინა: მოსკოვში – „Алмазный фонд“, „Оружейная палата“, „Третьяковка“, პუშკინის და სხვა მუზეუმები, ასევე სუზდა-



ლი, კლადიშვილი, აბრამცოვი, არხანგელსკოე და ა. შ.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს ამდიდრებდა ჩვენს წესრიგის ტურულ ცნობიერებას.

შემქნელებმა წესად დავამექიდრეთ: ჯამაგირს რომ ავიღებდით, რომელიმეს ნომერში შევიკრიბებოდით და სუფრას გავშლიდით. ერთხელაც „ხელის უფრო ფართოდ გაშლა“ გადავწყვიტეთ მე, იური მატეინმა, ღვევ ზარუბეინმა და კლადიშვილიმა (თანმიმდევრობით: შემდგომში — საბჭოთა კავშირის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; საბჭოთა კავშირის შემქნებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე; უკრაინის კონომიკის მინისტრი), აქალემიასთან ახლოს, ვერნადსკის პროსპექტზე გრანდიოზული სასტუმროს რესტორანში გადაუწყიტეთ წასელა. ავედით მეორე სართულის ფართო დარბაზში და მაგიდას შემოუესხდით. ცოტა ხანში წამოვდექი და მეინახებს ვუთხარი, რაც გსურთ, დაუკვეთეთ, მე მაღლ მოვალ-მეთქი.

პირველ სართულზე ჩამოვედი და სიგარეტი ვიყიდე. ფოიეს თვალი მოვალე. ძალიან ბევრი ზანგი ირეოდა — პატრის ლუმუშებას სახელობის ხალხთა მეცობრიბის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები იყვნენ.

ეიბებს ნელი ნაბიჯით ავუყევი. ვერმნობ, ფეხდაფეხ ვიღაც მოძევება, თან რაღაცას მუებნება. ყურადღებას არ ვაქცია — ზანგებს დებოში უყვარდათ, მე კი იმ საღამოს ჩაშხამება არ მინდოდა. მაინც არ მეშვება! როგორც კი კიბე ავათავე, სწრაფად შემოისარა და წინ დამიღვა. შევხდე, მაღალი, სასიამოვნო აღნაგობის ახალგაზრდა ზანგია, ღამაზი სახის ნაკვთებით, ჩემდა განსაცეიფრებლად, სუჟითა, უაქცენტო ქართულით მექისხება:

— უაცრავად, ბატონი, ქართველი ბრძანდებით?

წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა! ზანგები კი ამტვრევდნენ რესულს, მაგრამ ქართული, თანაც — გამართული ქართულით, ისიც, ჩვენთან, საქართველოში კი არა, მოსკოვში!

იმანაც შემატყო გაოცება და ცეცხლზე ნავთი დამისხა:

— ბატონი, მეც ქართველი ვარო...

რა ვქნა, იქნებ მომესმა? აბა, კილაც ზანგმა საიდან უნდა
იცოდეს ქართული-მეთქი.

— შენ ხომ ზანგი ხარ? — როგორც იქნა, ამოვლენის
— ეთიოპელი ქართველი ვარ, გვარად ნახუცრიშვილი! —
ჯოუტად მუჟბნება.

თითქოს ენა გადავყლაპე, პირში ნერწყვი გამიშრა:
— საიდან, როგორ?

ხელი მოვიდე და მფუღრო ადგილას გადავინაცვლეთ. მე-
გობრები კი მექანიან, ხელებს მიწევენ, რას გადაკიდე ვიღაც
ზანგს, დაანებე თავით. მათ ფურადღებას აღარ ვაქცივ.

— ახალგაზრდა, უცოლშვილო ბაბუაჩები გასაბჭოებაძე
ჩამოსულა ეთიოპიაში და ბებიაზე დაქორწინებულა. ბებია შე-
ძლებული ოჯახის შეილი იყო, საქმაოდ ლამაზი. ბაბუაც ქარ-
გად მახსოვს — ახოვანი, სასიამოენო გარეუნიბის ქაცი. ოთხი
შეილი გაუჩინდათ. ჩვენი ოჯახი ადის აბებაში ცხოვრობს. ჩვენ
ქრისტიანები ვართ. ბაბუა ზშირად გვესაუბრებოდა თავის სამ-
შობლიზე, ძალან ლამაზი ქვეყანაო საქართველო. რუეპე
გვიჩვენებდა. სულ დარდობდა. მონატრებას იმით იქლავდა, რომ
ქართულად გველაპარაკებოდა და გულმოღვინვე გვასწავლიდა.
მარტო შვილებსა და შვილიშვილებს კი არა, ბებიასაც შეას-
წავლა ქართული!

ჩვენ ქართველები და თქეენ ეთიოპიულები, გამოირჩეული
კულტურის ხალხი ვართო — ამბობდა ბაბუა, მხოლოდიში არ-
სებულ 14 დამწერლობას შორის ცნობილია როგორც ქართუ-
ლი, ასევე ეთიოპიური დამწერლობაო.

ყველაზე ბეჯითი შეგირდი მაინც მე გამოვდექი — თითქმის
უნაკლოდ დავეუფლე. სიკედილის წინ ბაბუამ მიმიხმო და ან-
დურმივით დამიბარა, უკეტველად უნდა ნახო საქართველო, იქ
შენი წინაპრების ფესვებიაო...

ბეკრერ ეცალე საბჭოთა კაცშირში ჩამოსელა, მაგრამ
ამაოდ. პატრის ლუმუმბას უნიკერსიტეტის საშუალებით კი
ბაბუასთვის მიცემული სიტყვის შესრულების იმედი ჩამესახა.



ჩამოვედი თუ არა მოსკოვში, ქართველების ძებნა დავიწეოდე. ერთ რუსთაველ ახალგაზრდას დაუკამბერდი. ძალიან მშენებელი იწვალა და, როგორც იქნა, ვიზა მომიხრება.

სიხარულით მეცხრე ცაშე ვიყავი!

მაგრამ ჩემი სიხარული ნააღრევი გამოდგა: თბილისისა და რუსთავის იქით ფეხი არ გამადგმევინეს. წინასწარ გამაფრთხილეს, ამ ორი ქალაქის გარდა არსად არ წახეალო... რა მექნა? რომ არ დამეჯერებინა და გამერისეა, იმ ჩემს მეგობარსაც პრობლემებს შეუტმიდი... განზრახვაშე ზელი ავიღე და მოსკოვში ისე დაგებრუნდი, ბაბუაჩემის სოფელი, თვალითაც არ მინახავსო...

ჩემი თანამესუფრები არა და არ ისვენებენ, მეძახიან და მიხმობენ. მე კი ისე ვარ აღელევებული, არაუერი მესმის და აღარც ის ვიცი, რა გავაკეთო. მოვკიდე ზელი ჩემს უთიოპელ ქართველს და მაგიდასთან მივიყვანე.

— Знакомьтесь, ребята, это мой земляк! — гулубёндი.

— Да какой он тебе земляк?! — უკვირთ.

ოფიციანტს სკამი მოვატანინე, მაგრამ სტუმარი არაფრით არ დაჯდა, ფეხზედომელამ გვადლევრძელა. მერე მომიბრუნდა, მთხოვა, თუ შეიძლება, ვახტანგურად დავლითოო. ამან კიდევ უფრო გამოიცა: ბაბუას მისოვის მარტო ქართული ენა კი არა, ქართული ზნეზვეულებაც, ადამ-წესებიც უსწავლებია!

ჭიქები გამოიცალეთ, ჩამექუტა და მხარზე მეამბორა.

რადგან აღარ გაჩერდა, „მალბოროს“ კოლოფზე ნაჩქარევად ჩავიწერე მისი ტკლეულონი.

მეორე დღეს ეს ამბავი ჩემს უფროს მეგობარს გივი გორგოშიძეს უკამბე. პარტიის ცეკაში იყო ნაშენევარი და ცხოვრების უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდა. მითხრა, ომარ, შეუშეი, პერსპექტიული კაცი ხარ და ხათაბალას არ გადაეყარო. ტელეფონიც დაივიწყე, „მალბოროს“ კოლოფიც გადაგდე. ეს არც იმ უთიოპელს და არც შენ გჭირდებაო...

დაუჯერე. დაუჯერე და დღესაც ვნანობ...



მოსკოვში ცხოვრების პერიოდში ვეგობრობდი ჰისტორიუმის თბილისელთან, ერთობ სასამოვნო პიროვნებასთან ვასო მთაწმინდელთან. იგი მაშინ მოსკოვში საქართველოს ეულტურის ცენტრის „მზიურის“ დირექტორი იყო. ამჟამად ეს ცენტრი აღარ არსებობს, მაშინ კი ძალას აქტიურად ფუნქციონირებდა. სწორედ ვასო მთაწმინდელის ხელმძღვანელობით ტარ-დებოდა „მზიურში“ ჩვენი მხატვრების, წიგნის თუ ქართული ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვები, ეწყობოდა თბილისელი შემსრულებლების და მოსკოვში მოღვაწე ქართველი ხელოვნების მუშაკების კონცერტები, მოსკოვის მოქალაქეებთან მათი შეხვედრები, ფუნქციონირებდა „ლალიძის წყლების“ ფილიალი და ა.შ. მაშინ ჩამოყალიბდა აქ ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელშიც სიამოვნებით გაერთიანდნენ რუსი ბავშვებიც და, რაც მთავარია, იმ პერიოდში გაიხსნა ქართული სკოლა.

მთაწმინდელის მეუღლე დოდო ქადაგიძე იყო საქართველოში ცნობილი ოჯახის შეიძლება: მამა – გრიგოლ ქადაგიძე ერთ დროს ამიერკავკასიის რეინიგზას ხელმძღვანელობდა. მა სულიერ ქადაგიძე კი ცნობილი მეცნიერი გახსლდათ... პროფესიონი დოდო ქადაგიძე დღესაც მოსკოვის რნკოლოგის ცენტრში მოღვაწეობს და დიდი აუტორიტეტით სარგებლობს.

ცოლ-ქმარმა ერთხელ თავიანთ აგარაქშე, მოსკოვის მახლობლად – პერედელენიში მიმიწვია. პერედელინი, უწინარეს ყოვლისა, ცნობილია როგორც მწერლების, შემოქმედებითი ინტელიგენციის დასასევენებელი ადგილი. მთელი რუსული ელიტა აქ იყო თავმოყრილი. მაშინ ვნახე პირველად დიდი რუსი პოეტის ბორის პასტერნაკის აგარაქი, შევედით პატარა მართლმადიდებელ ეკლესიაში, სანთლები დაკანონეთ და სახაფლაოც მოვინახულეთ...

მხოლოდ ერთი კვირადღე დავყავი პერედელპინში და



მაინც შევიგრძენი აქაურობის რაღაც განსაკუთრებული აუტო, რაც, ალბათ, დიდი ტალანტების საცხოვრისს ახლავს ჩრდილები ფოველთვის.

* * *

სულიკო ქადაგიძე ვახსენე ზემოთ. 25 წლის წინათ სულიკოს და სოსო ცისკარიშვილს თავს დიდი რისხვა დაატყდათ.

ეს ის დროა, როცა თენგიზ აბულაძემ დაამთავრა თავისი გენიალური ფილმი „მონანიება“, ხოლო მოსკოვის ცენზურამ ივი თაროზე შემოდო — ეკრანზე მისი გაშვება აკრძალა.

მოსკოვში, საქართველოს წარმომადგენლობაში შექვედა თენგიზ აბულაძე, რომელიც რატომლაც მაინც დათოვუნული არ ჩანდა. მოვიყითხე.

თენგიზს ადრეც ვიცხობდი, ერთხელ ჩემს მოსკოველ შეგობრებთან ერთად თავისთან ოჯახში მიმიწვია. მისმა შევენირმა მეუღლემ არაჩვეულებრივად გვიშასპინძლა. მაშინ აბულაძეების ოჯახი თერთმეტ სართულიან სახლში ცხოვრობდა.

მან მითხრა, რომ ეს-ესაა შექვედა ედუარდ შევარდნაძეს (შევარდნაძე მაშინ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო), რომელმაც აღუთქვა დახმარება. დიდი იმედი მაქვს, რომ ხალხი დიდ ეკრანზე ნახავს ჩემს ფილმსო...

მაგრამ სანამ ხალხი ნახავდა, სულიკოს და სოსოს ძალიან სერიოზულად შეუტია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რაღაც მათ ვიდეოკასეტაზე გადაწერეს „მონანიება“ და მის „არალეგალურ“ ჩვენებას შეუწყვეს ხელი.

სულიკო ქადაგიძე იმ დროს საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის უნივერსიტეტის რექტორი იყო, სოსო ცისკარიშვილი მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — ორივე განათლების ურიცხვული და პერსპექტიული ახალგაზრდა.

განიხილეს მათი საკითხი ცეკას ბიუროს სხდომაზე,
გამოუცხადეს სასტიკი საყვედური პირად საქმეში შეტანით
და ორივე გაანთავისუფლეს დაკავებული თანამდებობებიდან.

გავიდა დრო. ვესწრები საქართველოს ცეკას პირველ მდი-
ვნითან გამართულ თათბირს. ინფორმაციით გამოდის ქულ-
ტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, რომელიც რესპუბლიკის სელმძღვანელობას მოახსენებს როგორი არნახული წარმატება
აქვს „მონანიებას“ მოსკოვში. კინოთეატრ „როსიასთან“. —
თქვა მან, — ცხენოსანი მილიცია — („Конная милиция“)
მობილიზებული წესრიგის დასაცავად, იმდენად დიდი მასა
მოსკოველებისა ცდილობს ფილმის ნახვას. მეც კი, — დასძინა
მან, — მოუხედავად საკავშირო კულტურის სამინისტროს თან-
ამშრომლების მცდელობისა, ძლივს მოვახერხე კინოთეატრში
შეღწევა-ო.

ვალერიმ მოითხოვა თანხები „მონანიების“ ასლების
დასამზადებლად, რათა ეს ფილმი ერთსა და ორ კინოთეატრში
კი არა, მთელ საქართველოში გაეშეათ ერთდროულად.

გენიალური ფილმი და საბჭოთა კინემატოგრაფიის
შედევრი, — ასე შეაფასა „მონანიება“ რესპუბლიკის მაშინ-
დელმა ხელმძღვანელმა.

ფილმის ტირაფირებისთვის ფული გამოპყვეს და აქებ-
ალიდებდნენ ავტორს და მისი შემოქმედების ნაყოფს.

სამწუხაროდ, ასეთი პარადოქსებიც ხდებოდა ხოლმე იმ
დროს.

ბარემ იმასაც ვიტყვეი, რომ ჩემი აკადემიაში სწავლის
დროს სულიკო ქადაგიძე მოსკოვში იყო ჩამოსული ემირ ჯუ-
ლელთან, ჩემი ბავშვობის მევობართან ერთად, რათა აკადემიი-
დან წაედოთ პროგრამები, რომლებიც საფუძლად დაედებოდა
თბილისში ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების უმაღლეს
კურსებზე სწავლებას. შემთხვევით შევხვდი და კიდევ კარგი,



რომ შეეხდი, რადგან აკადემიაში არავის იცნობდნენ. შევას ვედრე აკადემიის ხელმძღვანელობას, კათედრებს, ფილოლოგიური და ეზმარნენ, გამოცდილებაც გაუზიარეს და საჭირო ლიტერატურა და ღოკუმენტები გადასცეს.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, საყოფაცხოვრებო მომსახურეობის მინისტრის მოადგილედ ემსუბუქი სულიერმ რამოდენიმეჯერ მთხოვა პარალელურად დამეწყო მასთან პედაგოგიური მოღვაწეობა, მაგრამ დროის უქონლობის გამო იძულებული ვიყავი უარი მეთქვა. არ მომეშვნენ და სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წევრად მაინც მიმიწვიეს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოწვევების სამინისტროს მოწვევების თვითონვე აშენებდა. რესპუბლიკაში ისეთი რაიონი არ იყო, ჩვენთან საქმიანი, ახლო ურთიერთობა რომ არ ჰქონდა. ხშირად გვირეცავდნენ ან მოდიოდნენ რაიონის პირველი პირები და დაბარებებს გვთხოვდნენ. შესაძლებლობის ფარგლებში უქმაყოფილოს არაეს ვტოვებდით.

იმ ზანად ახმეტის რაიონის პირველი მდიდარი ზაურ მანიუაშვილი იყო – მეტად მომხიბლავი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი. მას გურჯაანში რაიაღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობის გამოცდილება პქონდა და ჩინებულად იცოდა, რაც მაშინდელ სოფელს ესაჭიროებოდა.

მირეკავდა, ზოგჯერ სამინისტროშიც შემომივლიდა. იცოდა, ახმეტაში ნამყოფი რომ არ ვიყავი და მექატიკებოდა, ჩამოიდით, ისეთ ადგილებს გაჩვენებთ, არასოდეს დაგავიწყდებათ.

ერთ კვირა დღეს, ტრესტის მმართველთან ერთად ჩავედით ახმეტაში. სოფელ აწყურის რომ გავცდით, ჩვენი ყურადღება გზის გასწვრივ ჩარიცებულმა ქვით ნაშენმა ნაგებობებმა მიიქცა – ციხე-გალავნების, კაშების იმიტაცია იყო. ეს თურმე ზაურ მანიუაშვილის ინიციატივით ყოფილა გაკვთებული. ახმეტა ზომ ბახტრიონის ბრძოლასთან და ქაქეცა ჩოლოფაშვილის სახელთან ასოცირდება, ამიტომ არ გაგვკვირვებია მდივნის ეს „გატაცება“.

გულანად დაგვხედა და მალე პანკისისკენ წაგვიძლეა. გზაში ამ ზეობის სოფელებსა და მკვიდრთა შესახებ ბეჭრი რამ გვაძირო – იქ ზომ ფშაველების, თუშების, ხევსურების, კახების გვერდით სიამტკბილობით ცხოვრობენ ქისტები. როგორც ზაურმა გვითხრა, ხშირი ყოფილა შერეული ქორწინება, ქართველებს ძალიან მოსწონთ ქისტი ქალები. ქართულ



გვარ-სახელს ატარებენ, ჩინქეულად ფლობენ ქართულ ენაზ, ბავშვები ქართულ სკოლებში დაჰყავთო... მრრიცხული
არც გაგვევირვებია – ქისტები ხომ ქართველთა ცისუსაფრთხოება
ებად მიიჩნევენ თავს.

გავიარეთ ქაქუცა ჩოლოფაშვილის მშობლიური სოფელი
მატანი. მასპინძელს ლევილის სასაფლაოსა და ქაქუცას შეს-
ახებ ვუამხე. მამინ ამ დიდ მამულიშვილზე ასე აშკარად ჯერ
ქილვა არ ლაპარაკობდნენ...

პანკისის ხეობის თითქმის ყველა სოფელი მოუინახულეთ
– საკობიანო, გვარელწყალი, ღუისი, ჯოურლო, ბირკანი...
შევხვდით ახალგაზრდებსაც და ხანდაზმულებსაც. მშვენიერი
მოქართულენი აღმოჩნდნენ. არც ერთს მვირი რამ არ წა-
მოსცდენია: ისინიც ისევე ცხოვრობდნენ, როგორც მათი შე-
ზობელი ქართველები.

არასოდეს დამავიწყდება ბაწარის ნაკრძალი, სადაც უთხ-
ოვრის დიდი კორომებია. გაღმა-გამოღმა მწვანით შემოსილ,
ცამდე აზიდულ მოებს გაეშალათ მხრები, მათ შორის მოაგ-
ორებდა ტალღებს ანკარა აღაზანი. არც ის სუფრა დამავი-
წყდება, ქისტებმა რომ გაგვიშალეს. ბევრი თბილი სიტყვა
ითქვა მეგობრობაზე, სამშობლოს სიყვარულზე, ვაჟკაცობაზე...

ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო მშევნიერ პანკისთან და
პანკისელებთან, რისთვისაც ზაურ მანიუაშეილს ეკისდლიერე-
ბი.

მერე ყველაფერი აირია. მტრის მსახურალი ხელი პანკ-
ისსაც მისწვდა და სრულიად საქართველოსაც. იმ სამწუხარო
მოვლენებმა ბევრი ღირსეული ადამიანი იმსხვერპლა. მათ შო-
რის ზაურ მანიუაშეილიც...

შპრი... სახელმწიფო პრეზიდენტი

უნდა გავიხსენო ერთი ფრიად დელიკატური სახელმწიფო რომელიც ქორწინების სასახლის მშენებელთა სახელმწიფო პრემიაზე წარდგენასთანაა დაკავშირებული. მშენებლობის დასრულებამდე და საექსპლუატაციოდ გადაცემამდე მცირე წნით აღრე, კირა დღეს მუცელითურთ გვეწვა ედუარდ შევარდნაძე. მათ ახლდათ თბილისის ქალაქიობის მდივანი ნელი გურგენიძე და პარტიის თელავის რაიონის პირველი მდივანი მედეა მეზურიშვილი. მოვიდნენ აგრძოვე თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გურამ გაბუნია და აღმასქონის თავმჯდომარე ზაურ მესხიშვილი.

ცეკას მდივანსა და მის თანმხლებ პირებს ძალიან მოეწონათ შენებლობის ტექნი და სამუშაოთა შესრულების ხარისხი.

ამინდიც შესანიშნავი იყო და სტუმრებიც შევენიერ გუნებაზე ბრძანდებოდნენ. ამით „ისარგებლა“ სასახლის პროექტის ავტორმა, ცნობილმა არქიტექტორმა ვიქტორ (ბუცა) ჯორბენაძემ და ედუარდ შევარდნაძეს თხოვნით მიმართა:

— ედუარდ ამბროსიევიჩ, უნიკალური ანტიკვარული, სამუზეუმო ნივთებით მაქეს გადაესხაბული შეიძლოთახიანი ბინა. ისინი ერთმანეთზე მიწყვია და მოუვლელობით მიუკვედება. ქალაქის ხელმძღვანელებს რამდენჯერმე ვთხოვე დახმარება, მაგრამ არაფერი გამოვიდა, — და გაბუნიას და შესხიშვილს გადახედა. იმათ თავის მხრივ თავი იმართლეს, საქმიად დიდი ფართობი სჭირდება და კურჯერიბით ამისი საშუალება არა გვაქვსო.

ბატონმა ედუარდმა იქითხა, ეს ნივთები ვინმეს თუ განახავთ.

— ორჯერ მაქეს ნანახი, ედუარდ ამბროსიევიჩ. მართლა უნიკალური სამუზეუმო ნივთებია — ანტიკვარული ავეჯი, უნიკალური ფაიფურის ნაკეთობები, ნონები, ფერწერული ტილოები, ჭურჭელი... საშინელ დღეშია, მათი შენახვის და



მოვლა-პატრონობის არანაირი პირობები არ არის. ბუცა, თუ ნახმაა, რომ სანაცვლოდ საბურთალოზე შეიღოთახისწილებრივია კუთარი ბინა უსასყიდლოდ გადასცეს ქალაქის საბჭოს, — მოვახსენე მე.

შევარდნაძე მიუტრიალიდა გურამსა და ზაურს, თუ ასეა საქმე, ნულარ გააჭიანურებთ და მოკლე გადაში საკითხი მოაგრძოთ — ბრძანა...

ამ დროს ქალბატონი ნანული გამოეყო თანმხლებ პირებს, ჩემთან მოეიდა, ხელი გამომდო, განზე გამიყვანა და ჩუმად მეუბნება:

— ომარ, ბუცას თუ ჰყავს ცოლი?

სახტად დავრჩი: ამ შეკითხვას ნამდვილად არ ველოდი! კუპასუხე, არა-მეთქი.

— არცა ჰყოლია?

— მე მეონი, არა...

— მოდით, ერთი კარგი საქმე გაეჩარჩოთ: მედიკო მეზურიშვალი გავურიგოთო. მე და მედიკო საგარეულოში ერთად ვსწავლობდით. მას მერე ვმეცობრობთ. ძალიან კარგი ადამიანია.

დავპირდი, პირველი შესაძლებლობისთანავე დაველაპარაკები-მეთქი.

მართლაც, ბუცას მეორე დღესვე ვესაუბრე. გაიცინა, რაღა დროს ჩემი ცოლი, ან მედიკოს გათხოვებაა, შეიღები მაინც არ გვეყოლება და რანაირი ოჯახი უნდა შევქმნათო. ჩემი ნათქვამი ხუმრობაში გაატარა. ასე იყო მეორედაც.

სასახლის სახეიმო გახსნაზე ქალბატონი ნანულიც ბრძანდებოდა. მანიშნა, როგორ არის საქმეო. მივუახლოვდი და ღიმილით ვუთხარი, რა კენა, ქალბატონი ნანული, ჯერჯერობით ვერ დავითანხმე-მეთქი.

გადის დრო. ცეკაში მეუბნებიან, ძალიან კარგი სასახლე ააშენეთ და ამიტომ მივგაჩნია, რომ სახელმწიფო პრემიაზე უნდა წარადგინოთო...

დავიწყეთ საბუთების მომზადება.

ერთხელაც, რეკავს მთავრობის ტელეფონი – უშიშროების
კომიტეტიდან შეხვედრა მთხოვა ლევან ჭახრაკიამ. მოუიწევის
ლევანს ბავშვობიდანვე ვიცნობდი – ფალიაშვილის ქუჩაზე
ერთ ეზოში ვიზრდებოდით.

ლევანმა საქალალდით რაღაც საბუთები მოიტანა. ქორ-
წინების სასახლე სახელმწიფო პრემიაზე უნდა წარადგინო-
თო? – მკითხა. საბუთებს ვამზადებთ-შეთქი ვუპასუხე.

– ჩვენ ამის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ბუცა
ჯორბენაძეს ვერ წარადგენთ – განაცხადა კატეგორიულად.

– ე, მაგრამ, ის ხომ პროექტის ავტორია!

– სხვები წარადგინეთ, ბუცას თავი დანებეთ. სხვებთან
პრეტენზიები არა გვაქვს...

გამიკვირდა.

მაშინ ლევან ჭახრაკიამ საქალალდე გაშალა და წინ დამი-
დო.

ტელისქელი, გაყიდოლებული ფურცლები იყო რუსულად,
გაკრული ხელით ნაწერი, 1947 წლით დათარიღებული სასა-
მართლოს გადაწყვეტილება. აღმოჩნდა, რომ ბუცა ჯორბენაძეს
ჯარში საშახურის დროს ჩაუდენია მამაკაცისთვის ფრიად
შეუურცებული და სამარცხვინო საქციელი, რისთვისაც გაუსა-
მართლებიათ და პატიმრობა მიუსვათ. როგორც მოგვიანებით
შევიტყვე, ამის თაობაზე ბუცას ზოგიერთ კოლეგას სცოდნია,
მე კი მხოლოდ ახლა გავიგე. არ მესიამოვნა, მაგრამ რას
შევცვლიდი?

სახელმწიფო პრემია, რა თქმა უნდა, მომზადლავიც იყო
და ღირსეულიც. ან მე, ან სხვები რატომ ეიტყოდით უარს?
მაგრამ ლევანთან შეხვედრის შემდეგ თავი შევიკავეთ და
გამზადებული მასალები აღარ წარგვიდგენია...

სამაგიეროდ, ბუცა ჯორბენაძეს ქალაქის თავკაცებმა მის-
თვის სასურველი, საკმაოდ დიდი სახლი მისცეს აელაბარში,
მეტების ეკლესიასთან, საიდანაც მტკვარი და აბანოთუბანი
ხელის გულივით მოჩანდა. ეს ამბავი ტელეფონით პირველად



მე მომახარა და მეუღლესთან ერთად მიმიწვია. ხაზგასმოა
აღნიშნა, ამ სახლის მიღება თქვენი დამსახურებაა, რისეფვისაც აუკუ
დიდი მაღლობელი ვარო. ბუცას მთელი თავისი უნიჭედულობისა
სამუხეული ნივთები მშვენივრად განელაგებინა ვრცელ დარბა-
ზებში. ყველაფერი დაგვათვალიერებინა. ძალიან გახარებული
იყო. როგორც გეითხრა, ეს სახლი, თურმე, გასაბჭოებამდე
თევზით მოუჭრე ვინმე ისიპოვს ჰკუთვნოდა...

ქორწინების სასახლეში მშენებლობის დროს მას ხშირად
აკითხავდა კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი. ეს საოცრად
კოლორიტული თბილისელი ცნობილი იყო თავისი უცნაური
გამოვლინებებით. ისინი ყველაფერთან ერთად ერთმანეთს სასი-
ყვარელო ქომპლიმენტებს არ აკლებდნენ. სერგო, ბომბური
ჩაცმულობით, წვერგაუპარსავი, ფარაჯანოვისეული ფარგლენით
ყველას აოცებდა. ბუცასგან რომ გაიგო მედიკოს ურიგებდნენ
ხალისობდა — „Женись дурак — зато секретарь райкома —
ტო. მე უვე არავის არ უნდივარ“-ი.

ორივენი ერთი ბედისანი იყვნენ — ისიც იგივე ბრალდებით
იყო ნასამართლევი.

ბუცა ჯორბექნატეს ლომის წილი მიუძღვის ცკის მაშინდელ
კულტურის განყოფილების გამგესთან, ჩემს მეგობარ ნოდარ
ჯანბერიძესთან ერთად, ცნობილი ბალერინის იური ხარეცის
უნიკალური ანტიკვარული ნივთების თბილისის საქალაქო საბ-
ჭოსთვის გადაცემასა და ქარვასლაში მის გამოფნაში. როგორც
ჩემთვის ცნობილია, სამწუხაროდ, იმ ავადსახსენებელ პერიოდში,
როცა მხედრიონი და მასთან მიტმასნილი ათასი ჯურის გარე-
წარი დათარებობდა ქვეყანაში, ეს არაჩეულებრივი გამოუკა
გაიძარცვა და განადგურდა.

* * *

როგორც მოგვიანებით გავიგე, ამჟამად ბუცას ყოფილ ბი-
ნაში, საბურთალოზე, ნინო ბურჯანაძე ცხოვრობს.



ნინოსთან დაკავშირებით ერთ ეპიზოდს გავიხსენებლი:  ლაა. თბილისის აეროპორტში ვარ, მოსკოვში მივურინავრჩულა ისტრაცია უნდა გავიარო.

ამ დროს აჩქარებული ნაბიჯით მომდასწორედა ანზორ ბურჯანაძე – მაშინდელი თერჯოლის რაიკომის პირეელი მდივანი. გადამეხვიდა, გადამკოცნა – ომარ აღექსანდროვიჩ, მოსკოვში მიფრინავთო? – მეტხა.

კი ბატონო-მეთქი, დაუუდასტურე.

თქვენ გენაცყალეთ, ჩემი გოგონაც თქვენი რეისით მოფრინავს და ვთხოვთ ყურადღება მიმიქციოთო... დავპირდი, რომ გვერდით მოვისვამ, მოსკოვში მანქანა დამხვდება და სადაც უნდა იქ მიერყვან-მეთქი.

– თქვენ არ შეგაწუხებთ, აეროპორტში დახვდებიან და ისინი მიხვდავენი – მიპასუხა...

და წარმომიდგინა იქვე მის მეუღლესთან მდგომი თავისი სრულიად ახალგაზრდა, მაღალი, შევენიერი, სათვალეებიანი ქალიშვილი – ნინო.

ერთად გავიარეთ რეგისტრაცია.

თვითმფრინავში ჩემს გვერდით მყოფ მგზავრს ვთხოვე ნინოს ბილეთში მითითებულ საკარძელში გადაჯდომა...

ნინო გვერდით მოვისევი.

ავტონიდით. ცოტა ვისაუბრეთ – მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირეელი კურსის სტუდენტი ყოფილა და მშობლებთან არადაღებულზე ჩამოსულა...

მაღვევე ჩაქმნა. ბელურასავით თავი მხარზე მომადო. თვითმფრინავის დაჯდომის დროს გაიღვიძა...

მოსკოვის აეროპორტში მას შუახნის მამაკაცი დახვდა მეუღლითურთ...

გამოვემშვიდობე.

რამდენიმე ნაბიჯი რომ გაიარეს შემობრუნდა, ხელი დამიქნია და დამხვდურებთან ერთად გზა განავრმო.

მრავლი აბაზი

ირაკლი აბაშიძესთან ახლო ურთიერთობა არ შექმნის, თუმცა, პირველივე ზარზე ვიცანი მისი წმა. მაშინ საყოფაცხ-ოურებო მომსახურების მინისტრის მოადგილე ვიყავი, მთავრობის ტელეფონით რომ დამირეკა.

- ომარ აღექსანდროვჩი, ვამარჯობათ! —
- ვამარჯობათ, ბატონი ირაკლი!
- თქვენ ასეთი კარგი სმენა გაქვთ? — გაუკვირდა.
- თქვენ გაქვთ განსაკუთრებული წმა, — ვუჰასუხე-გულიანად გაიცინა.

— ერთი თხოვნა მაქს, ჩემი ომარ. ბევრს შეეჩივლე ჩემი გასაჭირი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ბოლოს მითხრეს, ისევ ომარ მარგველაშვილი თუ გიშველის, იმას უნდა მიმართოთო.

და მიამბო, იმ ზამთარს, დიდოოვლობის გამო, როგორ ჩაინგრა მისი ძევლი სააგარაკო სახლის სახურავი წყნეთში, გაოხრდა და გატიალდა ყველაფერი, რომ ზაფხული ახლოვდება, მან კი აღარ იცის, დასასვენებლად შეიღიშვილები სად წაიყვანოს.

— გადახურვა მინდა, თანაც, მოთუთუებული თუნუქით. საფასურს, რა თქმა უნდა, გადავიწდიო....

ვუთხარი, რომ დაუკავშირდებოდა ჩენი ტრესტის მმართველი ჯემალ კეთილაძე, ერთად დაათვალიერებდნენ იბიუქტს და გასაკეთებელს დროულად გააკეთებდნენ. ჩემბა ოპტიმიზმისა და ოპერატიულობამ ძალიან გაახარა. ბინის ტელეფონი გამოვართვი და დაკავშიდობე.

მაშინვე დაუკავშირებე ჯემალს, დავალება მიეცი და გაეფრთხილე, რაიმე წინააღმდეგობა თუ შეგხვდა, პირადად მაცნობე-მეთქი.

ჯემალ კეთილაძემ, როგორც მოველოდი, საქმეს თავი კარგად გაართვა — „ობიექტი“ ვადაზე აღრე ჩავაბარეთ. ბა-

ტონ ირაკლის შესრულებული სამუშაოს ნარჯითაღიც ჩვენი წარუდგინეთ და ისიც არ დარჩენილა ვალში... ირკვეული

დაძირება და დიდი მაღლობა გადამიხადა, „მაღლის მიზანი ჩემშეაო-მითხრა.

თამაზ კვაჭანტირაძემ და მისმა მეუღლემ ნანამ სკეტიც-ოველში ჯვარი რომ დაიწერეს, მეცვარედ მიმიწვიეს. ირაკლი აბაშიძეც იქ ბრძანდებოდა ვაჟიშვილთან – ზურაბთან ერთად. გადამეხედა და კიდევ ერთხელ გადამიხადა მაღლობა.

ბატონი ირაკლი ყოველი შესრულისას შემახსენებდა ხოლმე მაღარიჩის თაობაზე და აი ერთხელ ქობულეთში, ბულვარში ერთად მივსეირნობთ მე, გია რამიშვილი (ზარალას მამა) და გივი ჯორაძენაძე (ავლანეთიდან ახალი დაბრუნებული გენერალი). ვხედავთ, ბატონი ირაკლი მოდის მეუღლესთან ერთად. შენთვის პატივი არ მიციაო, მითხრა. არ მოგეეშვა და თავის ნომერში აგვიყვანა (ქალბატონი ნელი დაბლა დარჩა შევიბარ ქალბატონებთან). გამოიტანა ხილი და სამვარსკვლავიანი კონიაკის ჩანახევრებული ბოთლი, რომელსაც თავი გაზითის ნახვით ჰქონდა დაცული... გაგანია აგვისტოა, შუალედე, სულს ძლიერ ვითქვამთ, რა დროს კონიაკია!

ვეუძნები:

– ბატონო ირაკლი, ორ ნაბიჯზეა „ინტურისტი“, წავიდეთ, აფანზე დავსხდეთ, ვისაუბრებთ, თან გავგრილდებით და ცივ სასმელსაც დაკლევთ...

ჩემი წინადაღება ყველას მოეწონა. მშენიერი სუტრა გაიშალა. შემოგვიეროდა ქალბატონი ნელიც. დირექტორისა შესანიშნავი გარევნობისა და თუმორის მქონე პიროვნებამ, ედნარ მეგრელაძემ შეგვინმნა თუ არა, მოვიდა. (იგი სუჩიშვილების ანსამბლის ყოფილი მოცეკვავე იყო), ცოტა ხანს სუფრასთანაც დაკლდა, ილიკოსა და ნინოს უცნაურობებზე ბეჭრი გვაცინა. დანახარჯიც მანვე გადაიხადა...

ასე, რომ ბატონი ირაკლის „მაღარიჩიმა“ ამჯერადაც გადაიწია..



ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული...

ზემოთ ორჯერ ვახსენე ნიკუშა ალხაზიშვილია — ლიტერატურული პიროვნება, ირაკლი აბაშიძის ახალგაზრდობისდროინდელი მეგობარი.

1990 წელი იყო. დამირეკა და მთხოვა მიღება. მოვიდა, გადმომცა ბატონი ირაკლის ექსპრომტი და აი რა მიამხო:

— „1960 წლის აპრილის თვე, უკვე დათბა, ტყემლუბიც აყვავდა. ძეირფასმა ირაკლიმაც არ დააყოვნა, შეპირებისამებრ გვეწვია სავარდო და სამასო ქუთაისში. ჩეკინთან გატარებული ორი ქეთილმოსაგონარი დღე გვისახსოვრა ახლო მეგობრებს. მესამე დილით დედაქალაქში მიმავალი გავაცილეთ. სანაქებო ჰიმშურის რესტორანში სიყვარულით გზა დაულოცეთ. დამშვიდობებისას მან სახელდახლოდ დაწერა ეს ექსპრომტი, წამიკითხა, გადამეხვია, გადამოცნა და გადმომცა ჩემთვის დაუკიდები, მეგობრული შეძახილით გამთბარი პოეტური სტრიქონები...“

რაკეთ!

აი, ჭარება,
ასე ჭარება, —
ჩანარ სავა
ო რაზას.

მარტი,
სრახ უ მაწევ
ეჭვად გოვ
გა გარება!

— 1960 3/15



ნიკუშამ უმორჩილესად მთხოვა დავხმარებოდა ირაკლის მშვენიერი ექსპრომტის გამოქვეყნებაში. მე მას თხოვნა შეწყვის უზარულე. ჩემს მეგობარს, ღირსეულ და ნიჭიერ კაცს თამაზ წილი წივაძეს გადავეცი და მან „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დაბეჭდა.

შავეპითხავი 70860

წიგნს რომ მაჩუქებენ, ყოველთვის კცდილობს, რაც შემ ძლება მალე წავიკითხო და აეტორს ჩემი შთაბეჭდილებები გავუზიარო. და აი, ერთხელ მოხდა „სახწაული“, გულთბილი წარწერით: „ქალბატონ ბელას და ბატონ თმარ მარგველაშვილს გულწრფელი პატივისცემით“. მოძღვნილი წიგნი ვერ წავიკითხე, უურო სწორად დავიწყე და ვერ დავასრულებერე, არ იკითხავთ, აეტორი ვინ იყო? საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი, მრავალი უცხოური აკადემიის საპატიო წევრი, ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი ბატონი თამაზ გამორელიძე! 1986 წელს მან მაჩუქა რესულ ენაზე გამოცემული „ინდოეროპული ენა და ინდოეროპელები“ – ფირუზისტერყდანი ორტომეული.

მას შემდეგ ხომ ამდენი დრო – ოცდახუთი წელიწადი გავიდა, თავს მაინც დამნაშავედ ვვრძნობ. რამდენჯერაც წიგნების კარადას ჩავუვლი, გულში პატიებას ვთხოვ თრტომეულის აეტორს. მჯერა, უნებური ცოდვა უავე შემინდო – მე ხომ შექნებელი ვარ და არა ენათმეცნიერი...

ჩემგან განსხვავებით ბელამ წაიკითხა და ძალიან მაღალი შეფასებაც მისცა, ის ხომ შესანიშნავი ფილოლოგია.

აეტოგრაფიანი წიგნები ჩემი ოჯახის ოქროს ფონდია. სწორედ ისინი მაგონებენ იმ ადამიანებს, ვინც მათ შექმნაზე დამეტები ათა, მერე კი გულთბილი წარწერით მომიძღვნა, როგორც მეგობარს, რათა თბილი მოგონებები გაეისანგრძლივო.

მანსენდება ერთი საინტერესო ეპიზოდი: როცა ბატონმა თამაზმა ეს წიგნი მომართეა, იმ დროს ჩემთან კაბინეტში მმყოფებოდა ჩემი მეგობარი, ღირსეული პიროვნება, საქართველოს მთავარი სამონტაჟო და სპეციალური სამმართველოს უფროსი, შემდგომში, „საქენეროს“ ხელმძღვანელი გივი გამყრელიძე.

ერთმანეთზე ბევრი რამ სმენოდათ და სწორედ ჩემს კაბინეტში
გაიცენეს ერთმანეთი, ორივემ დიდად გაიხარია... სილუეტის გადასაცემა

როდესაც ბატონი თამაზი საკავშირო უმაღლესი საბჭოს
დეპუტატი იყო, ის დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ამომ-
რჩეველთა თხოვნებს. ჩეენ ვწედებოდით მშენებლობის სამინის-
ტროში და ერთად ვწყვეტდით იმ პრობლემებს, რომელიც მის
ამომრჩეველებს აწუხებდათ, მერე კი მთავრობის ტელეფონით
გაკავშირებდი აჭარის ხელმძღვანელებს და ის, როგორც მათი
დეპუტატი, ამცნობდა საკითხების განხილვის და გადაწყვეტის
დადგით შედეგებს.

ბატონმა თამაზმა მისი ბრწყინვალე გამოსვლით საკავ-
შირო უმაღლესი საბჭოს სესიაზე მოსკოვში, 9 აპრილთან
დაკავშირებით, მთელ მსოფლიოს ამცნო თბილისის ტრაგე-
დიის რეალური ვითარება.

გავიდა დრო. მეუღლესთან ერთად ჰარიზში ვიყავი. იქ
გაეცანი ბატონი თამაზის უფროსი ძმა, დიდი მეცნიერი და
შესანიშნავი ადამიანი, რუსეთის აკადემიის ნამდვილი წევრი,
მათემატიკოსი რეზო გამყრელიძე და მისი მეუღლე. საფრანგეთ-
ში ჩენი ელჩის, ცნობილი მეცნიერის, ჩემი სიყრმის მეგო-
ბრის – გოჩა ჩივლევაძისა და მისი მშენიერი მეუღლის მანანა
ჯიბლაძის წყალობით სამი დღე ერთად გავატარეთ საფრანგე-
თის ცნობილ კურორტებზე – ონფლორში და დოვილში...



პრატიკული გენერაცია აღამიახები

პროფესიონალური ანდრია (ტუკი) იაკობაშვილი მოსკოვის დამართვის ინსტიტუტის დირექტორი განლადათ. მას ყველა იცნობდა და აფასებდა. მაღალი, ხმელ-ხმელი, ჭაღარი და არაჩვეულებრივად ლამაზი მამაკაცი იყო. სწორედ რომ ერთმანეთისთვის გაეჩინა მამაშეციერს ის და ქალბატონი უთერ გიგინეიშვილი – ისიც პროფესიონალი, ოჯახის ღიმილიანი დაისახლისი. ტუკის დაბადების დღე რომ მოახლოვდებოდა, აუცილებლად დამირეკავდა. მეც სიამოვნებით ჩავდიოდი მოსკოვში, რადგან ვიცოდი არაჩვეულებრივ საზოგადოებასთან მელოდა შეხვედრა.

ანდრიასა და უთერის სტუმართმოყვარე ოჯახში ხშირად იქრიბებოდნენ არა მარტო ქართველი, არამედ სხვა ეროვნების ადამიანებიც, მათ შორის გულისისხლბარლვათა მსოფლიოში აღიარებული აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი ვლადიმერ ბურაკოვსკი, ევგენი პრიმაკოვი, მისი შესანიშნავი მეუღლე ლაურა ხარაძე, თენგიზ მენთემაშვილი, იმხანად მოსკოვში მოღვაწე, უურნალისტი, თბილისელი ვლადიმერ ონიკივი, უშიშროების გენერალი ვლადიმერ ნაერცკი, საკავშირო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე სტეფან სიტარიანი, საბჭოთას მუმინივი წარმომადგენელი გაეროში იღებენ ტრაიანოვსკი, ქართველ ხელბურთელთა გუნდის მწვრთნელი გიორგი („ქრიშკა“) შარაშიძე...

ცნობილია, რომ ედუარდ შევარდნაძესა და ევგენი პრიმაკოვს, ბოლო პერიოდში ცუდი ურთიერთობა პქონდათ. მაგრამ მე სრულიად საწინააღმდეგო ამბის მომსწრე ვარ. მაშინ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. მოსკოვში, ტუკი იაკობაშვილთან წვეულებაზე ვიყავით, ევგენი პრიმაკოვმა ბატონი ედუარდი აქო და თქვა, რომ მას განსაკუთრებული პირადი ხიბლი აქვს, ადამიანებს ვისთანაც ურთიერთობს სათავისოდ – თანამოააზრებად განაწყობს. ბრძენი კაცია, ფერომენალური ნიჭის მქონე. მან მოკლე პერიოდში



სრულიად შემოაბრუნა საბჭოთა საგარეო პოლიტიკა, გაათავისუფლა იგი კლასობრივი მიღეომისგან და საერთო სფეროზე ბრიო პრინციპებს დაუმორჩილოა.

ტუკის ვუძადლი კლადიმერ ბურაკოვსკისთან დაახლოებას. ჩემთვის დაუვიწყარია მასთან და ტუკი იაკობაშვილთან ერთად გატარებული საღამო რესტორან „არაგვში“... ვიცოდი, ბურაკოვსკი კონიაქის დიდი მოტრფიალე იყო და საჩუქრად მთელი ფუთი „ენისელი“ მივართვი.

— ომარ ალექსანდროვიჩ, მე ხომ თქვენზე უფროსი ვარ, იცოდეთ, ბევრი კონიაკიც დამიღევდა და ლამაზი ვორონებიც არ დაძლება! — ქამაყოფილმა მითხრა. დიდებული იყო ჩვენი იმ დღის მოლხენა... ამ შეხვედრას ვეგვინ პრიმაკოვიც ესტრებოდა, თუმცა მან აღრე დაგვტოვა. „არაგვის“ შემდეგ ბურაკოვსკის დაუზინებული თხოვნით მის ოჯახში ვადავინაცვლეთ. კრემლთან ახლოს, სერაფიმოვიჩის ქუჩის ორ ნომერში. ეს სახლი ჯერ კიდევ სტალინის დროს აშენეს პარტიულ-სახელმწიფო ელიტის წარმომადგენელთა ოჯახებისთვის.

ძალიან თბილი მიგვიღო ბურაკოვსკის სოხუმელმა რუს-აფხაზმა მუჟუდლებმ — მაშინვე სუვრა გაგვიშალა...

ერთხელ იუნესკოს კონფერენციაზე ვიყვაი მიწვეული. პარიზიდან მოსკოვში ერთად ჩამოვთვრინდით მე და ჩემი მეურბარი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი გრიგორი აბე. მეორე დღეს გორჩა მირეკავს და მეუბნება, ჩემი პრორექტორი მურაზ ჯაფარიძე გვეპატიუბა, მანქანით ვამოგივლი და წავიდეთ. მურაზში მომხიბევლელმა და რაფინირებულმა ინტელიგენტმა სერაფიმოვიჩის ქუჩაზე, სწორედ ამ ცნობილ სახლში მიგვიწვია. მიეცდით.

სიგარეტის მოსაწევად აივანზე გამოვედით. გორჩა მუჟუნება:

— იცი, ეს რა სახლია? ჯერ კიდევ სტალინის დროს ააშენეს და სულ მაღალი თანამდებობის პირები ცხოვრობენ...

— ვიცი. ამ სახლში რამდენიმეჯერ ვყოფილვარ სტუდენტები
 რად.

— მართლა? — გაუკეირდა. — ვის სტუმრობდი? სისლამის ხელი

— ვის და, ელადიმერ ბურაკოვსკის... კიდევ ცნობილ
 დიპლომატს საშა ლებედეს და მის მშენებელ მეუღლეს,
 მხატვარ ლოდო ლორთქიფანიძეს, ასევე ჩემს მეგობარს სუ-
 ლიკო სხვიტარიძეს და მის მეუღლეს ბელა ორჯორნიკიძეს.
 ჩემი ინფორმაცია გონიასთვის მოუღოდნელი აღმოჩნდა, გაოცე-
 ბულმა გამიღია და მხარზე ხელი გადამხვდა.

ტექის მშობლები — მიხეილ იაკობაშვილი და თამარ
 ლორთქიფანიძე — თბილისში, ვაკეში ცხოვრობდნენ. თვალწინ
 მიღვას ულამაზესი და უსათოესი, თეთრი თმით „დათვე-
 ლილი“ ქალბატონი თამარი. მიხეილი დიდხანს ცხოვრობდა
 მოსკოვში და წლების მანძილზე, ხელმძღვანელობდა სამარ-
 თლის ინსტიტუტს. 1937 წელს დააპატიმრეს და საშინელი
 ბრალდება წაუჭინეს; სტალინისა და ბერიას მოკვლა გქონდა
 გადაწყვეტილით.

ბატონი მიხეილის მონაყოლიდან ვიცი, როგორ შეაგდეს
 ბეტონის ვიწრო, დაბალჭერიან საკანში, საღაც საწოლიც კი
 არ იდგა. კაცი იქ ვერც წელში გაიმართებოდა და ვერც
 წამოწევებოდა. არაადამიანურად აწამეს, მაგრამ მაინც ვერ გა-
 ტეხეს. როცა შეთითხნილ ბრალდებაზე ხელის მოწერა უბრ-
 ძანეს, უარი განაცხადა. მაშინ საკანში ციცი წყალი შეუშეეს
 და რამდენიმე დღე ასე ამყოფეს. ამანაც რომ ვერ გასჭრა,
 მერე ცხელი ორთქლი „აყლაპეს“, ცხელ ორთქლს კი ციცი
 პარის ჭავლი მიაყოლეს.

თითქმის ყოველდღე გონიბის დაჭარგვამდე ასე აწამებდ-
 ნენ. ბოლოს გადაასახლეს.

ხანდაზმული იყო, თბილისში რომ დაბრუნდა. რეაბილი-
 ტაციის შემდეგ მინისტრთა საბჭოში კონსულტანტად მუშაო-
 ბდა.



დაასლოებით ათი წლის წინ მე და ჩემი მეუღლე ჟამარებ
დით მიღანში გაფრენას. რამდენიმე დღით აღრე ტელევიზიონით
ვესაუბრე მაშინდელ საქართველოს კლის იტალიაში რესუ-
დან ლორთქიფანიძეს – ჩემი უფროსი მეგობრის, დიდებული
პიროვნებისა და ცნობილი მეცნიერის რეზო ლორთქიფანიძის
ქალიშვილს. საუბრის თემა სხვა იყო, თუმცა, ბუნებრივია ჩემს
მიღანში მოგზაურობასაც შევეხეთ. რესუდანი დაინტერესდა
როდის ჩავთრინდებოდი მიღანში. მას ახსოვდა წინა წელს
რომ ვიყავი რომები და აინტერესებდა კიდევ ჩავიდოდი თუ არა
იტალიის დედაქალაქში. ვუპასუხე, რომ რომები ჩასვლას არ
ვაპირებდი და მიღანიდან მონტე-კარლოში მინდოდა წასვლა.
ამით ამინწურა ჩენი საუბარი.

ჩავთრინდით მიღანში. დაებინავდით სასტუმროში. ზარია
ჩემს მობილურზე, რეკავს რესუდანი. მეუბნება – რომიდან
თქვენთან შესახვედრად ჩამოვიდრონდი, თხუთმეტ წუთში სას-
ტუმროს ვესტიბილში შეეხვდეთო. გავოცდი, ეს იმდენად
მოუკლოდნელი იყო.

მან თავისი კონტაქტებით მონტე-კარლოში მოგზაურობის
ორგანიზებაც ითავა და წინასწარ, უეშენებელურ რესტორანში
საღილიც კი დაუკვეთა.

რა პქვია ყოველივე ამას?

– მიჭირს პასუხი.

აღბათ, მანც სწორედ ეს არის წრფელი მეგობრული
ურთიერთობების მაღალი კულტურა... პასუხისმგებლობათა და
ადამიანურ მოვალეობათა დაუწერელი კანონების აღსრულება.

ამ ყველაფერს, კიდევ უფრო მძაფრად უცნო ქვეყანაში
განიცდი...

განიცდი და აღარასოდეს გავიწყდება...

ЗАВЕЗДОВО ДЕД МОРОЗ-0 Ⓜ СНЕГУРОЧКА



ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, საბჭოთა კულტურული მემკვიდრეობისა და კურორტული მდგრადი გამორჩეული სამართველო ჰქონდა, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა პარტიულ-სახელმწიფო ნომენკლატურის მაღალი თანამდებობის პირების სამედიცინო მომსახურება და იწოდებოდა მარტივად – ჯანდაცვის სამინისტროს მეოთხე სამმართველო.

გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრის რომელიდაც ახალი წელი დგებოდა. მირეკავს ამ სამართველოს მაშინდელი უფროისი თეიმურაზ თოფურია, მორიდებით მოხოვს ახალი წლის მისალოცად გაუკეთდნო თოვლის ბაბუა და ფიფქა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს (სადაც მე მაშინ კუმაობდი) შესაბამის ქვედანაყოფს ჰქონდა სარიტუალო ნაწილი, რომელიც ჩვენს მოსახლეობას ამ სახის მომსახურებასაც უწევდა.

მინისტრად იმ პერიოდში ვლადიმერ სობოლევი მუშაობდა. მე მისი მოაღვიდე გახლდით.

მოკლედ, მირეკავს თეიმურაზ თოფურია და მეუბნება:

— ომარ, სობოლევს შევნებულად არ ვურეკავ. შარშან ვთხოვე ჩემი შვილიშვილებისთვის თოვლის ბაბუას და ფიფქიას გამოგზავნა. „რას მეწვეწები, ეთ ნაშა ინა მიპასუხა...“

თოფურიას 8 საათისთვის უთხოვა მათი გამოგზავნა, შემდეგ ბავშვები იძინებენ. ასეც შეთანხმებულან.

დამდგარა 31 დეკემბერი. გამხდარა 8 საათი, 9 საათი, 10 საათი... ბავშვებს უკვე ეძინებათ, ელოდებან დедушკა მოროვ-ს და Снегурочка-ს. მაგრამ არავინ ჩანს. სადღაც თორმეტის ნახევარზე ატყდა კარზე ბრახუნი. გააღეს კარი და რას ხედავნ: ბარბაცით შემოვიდა გალეშილი დედ მოროვი და Снегурочка კიდევ უფრო უარესი მოურალი და “ბაბა იაგაზე”

უფრო ხნიერი და სქელი დედაქაცი. ორივე რუსი იყო. წმაუ-
რით და ყვირილით შემოცვივდნენ დიდ ოთახში, სადაც ნაძვის
ხე იდგა და საახალწლო სუფრა იყო გაშლილი. ქართლის კულტურის
ანცელი, როგორც ჩანს, რევაზში ხალისიანი განცყობილების
შემოტანას გულისხმობდა. ბავშვები შეშინდნენ, დაფრთხნენ,
უფროსებს ამოეფარნენ. „სტუმრები“ კი გაქანდნენ და სუფრას
მოუსხდნენ:

— Где водка, налейте по стаканчику! — ар ცხრებოდნენ
ახალი წლის მომლოცველები.

დაიწყეს სმა. რისი ლექსი, რა სიმღერა, რის საჩუქარი,
არანაირი გართობა! კოშმარი!

— ბავშვები ტირიან. ესენი ხარხარებენ და ღრიალებენ,
— ისხენებს თოფურია, — ар აპირებენ წასელას. გადაეირი-
ვეუბნები: აი თქვენ ბოთლი არაყი, შამპანიური, წაიღვთ და
სადაც გნებავთ იქ გააგრძელეთ ღრეობა-მეთქი. ვეზვეწები,
ვემუდარები. როგორც იქნა გავარე, მაგრამ მეუღლე ცუდად
გახდა — ძლიეს მოვასულიერეთ. ნერვიულობისგან დამე არ
მეძინა.

— აი, ახეთი ამბავი დაგვემართა გასულ ახალ წელს და
ეს რომ აღარ განმეორდეს, გთხოვ უმორჩილესად, წესიერი
თოვლის ბაბუა და ფიფქია გამოვვიგზავნე, ჩემო ომარ.

გავეგზავნე.

ამჯერად ყველაფერშა კარგად ჩაიარა, ნაახალწლებს ქმაყ-
ოფილშა თეიმურაზმა დამირეკა და დიდი მაღლობა გადამიხა-
და.

ასე დამთავრდა გაღეშილი თოვლის ბაბუას ისტორია.
მაგრამ არ დამთავრებულა ამ საახალწლო რიტუალთან დაკავ-
შირებული კურიოზები.

თოვლის ბაბუა და ფიფქია იმ ახალ წელს ჩემს მეგო-
ბარს აღეკო კურცხალიასაც ვაწვიე სიურპრიზად. წინასწარ
მისთვის არაფერი შემიტყობინებია, არ გამიფრთხილებია. ასე
უფრო გავახარებ-მეთქი.



31 დეკემბრის თერთმეტი საათია. რეკავენ ზარს ეს ჩემი გაგზავნილი თოვლის ბაბუა და ფიფქია. გამოხვდე ცირკულარი ზოგში “ოჯახის პატრონებმა და ხელავენ, რომ მათ ქარს უცნაურად გამოწყობილი ქალი და კაცი მოდგომიან.

შემინდნენ. ოჯახი საკმაოდ შეძლებული იყო და შეშფოთების საფუძველი ჰქონდათ.

— გვაყაჩალებენო! — იფიქრეს.

— ვინა ზართ? — ეკითხებიან.

— თოვლის ბაბუა და ფიფქია ვართ, ახალი წლის მოსალოცად მოვადითო — მხაირულად პასუხობენ.

ესენი უფრო შემინდნენ: ასეთ „რატონირებულ“ პასუხს მხოლოდ პროფესიონალი ყაჩალები და მძარცველები თუ იძლევიანო გაიფიქრეს...

დაიბნა ოჯახი. რა ქნან, არ იციან.

შეწუხდნენ კართან მდგომი დაუპატიუებელი სტუმრებიც, ხომ გსმენიათ «Незванный гость хуже татарина»:

— გავეიღეთ, ბატონო, ჩეენ მინისტრის მოადგილემ ომარ მარგველაშვილმა გამოგვაგზავნა თქვენთან...

არ დაუკერეს. ეცნენ ტელეფონს. მირეკავენ აღელვებულები — ასეა და ასეო.

როგორც იქნა, დაშვიდლნენ, როცა ჭველაჭური ავუხსენი. კარიც გაუღეს, კარგადაც მოილნინეს, საჩუქრებით შვილიშვილებიც გაახარეს და ქმაყოფილებმა მოულოდნელი სტუმრები გააცილეს.

დადგა ახალი წელი და ალეკოს ოჯახი მექველეს ელოდება. ტრადიციულად ოჯახის მეკვლე თვითონ აღეცი იყო.

თეთრი წვერ-ულვაში გაიკეთა, წითელი ჩაჩი დაიხურა. წითელი წამოსასხამი მოიცა, ხილით და ტებილეულით სავსე სინზე სანთლები დაამაგრა და გავიდა სადარბაზოში. ჭველამ შესანიშნავად იცის, მექვლის დაკაგუნებას ბინადან რა შეკითხვა უნდა მოპყეს, შეკითხვაზე როგორი ტრადიციული პასუხი უნდა გასცეს მექველემ:



— ვინ ხარ? რა მოგაქვს?

— მომაქვს ხვავი და ბარაქა, სიკეთე, ბედნიერება როელობა, გამრავლება და ასე შემდეგ.

უჭირავს „ბაბუას“ ერთი ხელით სინი, მეორეთი ცდილობს სანთლები აანთოს, ვერ ახერხებს. ამ წვალებაში რომ არის, უცებ ცეცხლი მოუკიდა ხელოვნურ წვერულვაშს. ალექო იგ-ლევს ამ ცეცხლმოკიდებულ თმა-წვერს, ყვირის — გააღეთ ქარი!

შინიდან კი ნაზად, ენის მოჩლექით ეკითხება მეუღლე — ტკბილმოუბარი და პირმშევნიერი დანა:

— ვინ ბრძანდებით? რა მოგაქვთ?

გადაირია კაცი. ცეცხლი ტანსაცმელს მოედო, ყვირის:

— დედითქვენისა მომაქვს, გააღეთ კარი, ცეცხლი მიეიდია თქვე შობელძალლებო-ო!

არის ერთი კივილ-წივილი... დაბნეულობა...კარზე წიხლების ბრახუნი...

როგორც იქნა გაუდეს კარი და გაერთიანებული ძალებით შეძლეს, როგორც მეხანძრები ამბობენ — ცეცხლის ჯერ ლოკალიზება, შემდეგ კი ჩაქრობა.

გადაურჩა „შეწვას“ ბუტული ბაბუა.

«პარამის ღორი»

საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის შოთადგილე ვიყავი, დარგის ხელმძღვანელად აჭარაში ასლან აბაშიძის კან-დიდატურა რომ წარმოადგინეს. გასაუბრებაზე ჩემთან შემოი-ყვანეს. მანამდე პროფტექტანათლების სისტემაში მუშაობდა. კარგი შეაბეჭდილება დატოვა და მეორე დღეს კოლეგიამ დაამტკიცა.

დაახლოებით სამი თვის შემდეგ, ასლანი დიღით ბათუმი-დან მირეკავს – ბატონი ომარ, ხვალ კოლეგიაზე ვარ გამო-ძახებული, თუ შეიძლება მითხარით, რას მიპირებთო. მოსკოვი-დან წინა საღამოს ვიყავი დაბრუნებული და ჩემს არყოფნაში სამინისტროში რა მოხდა, არ ვიცოდი. კოლეგიას მასალები კი იდო ჩემს მაგიდაზე, მაგრამ მათთვის თვალის გადავლებაც კი ვერ მოვასწარი. ეს ყველაფერი ვუთხარი ასლანს, გავეცნობი და ცოტა ხანში დამირეკეთ-მეთქი.

მასალები არ მომეწონა – ნაჩქარეობაც ეტყობოდა და ძალიან დაბალი კვალიფიკაციისაც იყო. დასკვნაში ასლან აბა-შიძის განთავისუფლება ეწერა.

დამირეკა თუ არა, ვუთხარი, რომ მასალები არ მომწონს. როგორც საუბარში გაირკვა, სამინისტროში ამ მასალების წინასწარი განხილვაც არ ყოფილა. გამაღლიშვილი იმანაც, რომ ეს ყველაფერი ჩემს ზურგს უკან ნდებოდა და წისით ის წი-ნასწარი განხილვაც მე უნდა ჩამეტარებინა, ვინაიდან საკონ-ტროლო სარევაზიო სამსახურს მე კურირებდი. ვის აძლევდა ხელს ასეთი აჩქარება? სახეზე იყო არაობიერტურობა და უსამართლობა...

რას მირჩევთო, მკითხა შეწუხებულმა ასლანმა.

კოლეგიას არ უნდა დაესწროთ, თორემ, უცხველად გაგან-თავისუფლებენ-მეთქი – კუპასუხ...

ყურმილი დაკიდე თუ არა, მაშინვე მოვიწვიე საკონტრო-ლო-სარევაზიო სამსართველოს უფროსი მახეილ ჩიკვილაძე



და სამინისტროს ეკონომიკის განყოფილების უფროოსი გრაფიკით ნინიძე, სწორედ ისინი ხელმძღვანელობდნენ შემმღებელური პირების გაცევას.

მათგან შევიტყვე, რომ შემოწმება მათ მინისტრმა დაავალა, რომ ცეკაში ვიღაც არის დაინტერესებული ამაშიძის „გაფუჭებით“. შემოწმებლები სასტიკად გაუფრთხილებიათ, ამის შესახებ კრიინტი არავისთან დასტრათო. მოგვიანებით გავიგვი, რომ ყველაფური მოდიოდა ცქ-ის განყოფილების გამგის ენერგეტიკასაგან, რომელმაც – სანდრო კავშაძე შეცვალა. ესეც ჩვენი საკადრო პოლიტიკის პარადოქსი.

– ასე არ გამოვა. ასლან აბაშიძე მინისტრად სამი თვის დანიშნულია და განა ისეთი რა უნდა დაემავებინა, გათავისუფლებას რომ იმსახურებდეს? ამაღამ დაჯეტით და ყველაფური ობიექტურად დაწერეთ. შევცდები, რომ კოლეგიამ საკითხის განხილვა გადადოს, – ვუთხარი ჩიკვილაძეს და ნინიძეს.

კოლეგიაზე ერთი ამბავი ატყდა. განსაკუთრებით აქტიურობდა საორგანიზაციო განყოფილების გამგე პაპიტაშვილი, ოდესალაც შორეულ აღმოსავლეთში სამხედრო პროექტორობდ ნამუშევარი ქართულის არ მცოდნე ჩიაკაცი... წამოვდექი და უშეაღოდ მინისტრ კოტე სალიას მიღმართ:

– ეს საკითხი, უპირველესად, მე მეხება და არა ჩემს კოლეგებს. აგერ არიან რევიზიის მონაწილეები. მე მათ უკვე ვესაუბრე. მასალებში უამრავი ხარეუშია, ამიტომ სერუბულოშურ გადამოწმებას მოითხოვს. ასლან აბაშიძე მინისტრია და არა ვიღაც „ტავარავედი!“ სამი თვეა, დავამტკიცეთ. თუ ვინმეს კაპრიზს და დაკვითას ვასრულებთ, მაშინ რა კოლეგია ვართ? მოუშნადებელი საკითხის განხილვის წინააღმდეგი ვარ. წინასწარი თათბირიც არ ყოფილა. ვის სჭირდება ასეთი აჩქარება? შემოწმებლებსაც ვუსაყვედურე, მაღალი რანგის პროფესიონალები ხართ და მოუშნადებელი მასალების წარმოდგენა არ გეხადრებათ-მეთქი.

მინისტრს ძალიანაც არ სურდა საკითხის გადადება, მა-



გრამ ჩემი გამოსვლის შემდეგ განხილვა გადადო.

საკითხი მხრილოდ ორი კვირის შემდეგ განვიხილეთ დამოუკიდებელი შიძისთვის სასტიკი საყვედურის გამოცხადება უნდღიათ. არც ამაზე დავკთანხმე. ჩემი მოსაზრება უტყუარ და მიუკერძოებელ არგუმენტებს ემყარებოდა. ბოლოს, გადაწყვეტილებაში „მიეთითოს“ ჩაუწერეს.

ასე გადარჩა მაშინ ასლან აბაშიძე. წლების მერე, როცა თბილისში მინისტრის მოადგილედ გადმოიყვანეს, მე შენ-ებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ ვმუშაობდი.

ქქონდა თუ არა მასთან ახლო ურთიერთობა? თვითონ ამას არაერთხელ შეეცადა, მაგრამ მისი ყოველი ცდა დაუფარავი მლიქენელობის გამოელენა იყო, რასაც ვერა და ვერ ვეგებოდი. ბათუმში ვეღარ ჩავდიოდი, ხოლო თუ ჩავდიოდი, ვცდილობდი, რომ მას არ გაეგო. ქრთხელ ცოლა-შეილი ჩავ-იყვანე დასასვენებლად. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის არ მიცნობებია ასლანი თავისი მეუღლით თვითმფრინავის ტრაპ-თან მაინც დამხედა.

ქობულეთში რესან კონცელიძე, გივი ჯორბენაძე, ავთანდილ საყვარელიძე, გოგი ხარაბაძე და მე ერთად გავდიოდით პლა-ზზე. ასლანი იქაც არ გვასვენებდა!

ერთხელ შენებლობის მინისტრმა დამირ მანჯგალაძემ ოჯახში საღილზე მეუღლესთან ერთად მიმიწვია. ასლანიც იქ იყო, მეუღლით. მკითხა, რატომ არ მსურდა მასთან შეგობრობა. აბა, როგორ ამესინა, რომ მეგობრობა და მლიქენელობა ჩემთვის შეუთავსებელი ცნებები იყო...

გაჭირვებამ მას კიდევ არაერთხელ მოაძენინა ჩემი თავი. დამირეკა, თქვენთან საოზოვარი მაქს და გთხოვთ დამინიშნოთ შეხეედრაო. შევხვდი: „ჩემი მინისტრი ნიკოლოზ ნეფელოვი რაღაც ცუდი თვალით მიყურებს, ვიცი, მეგობრობთ, იქნებ, ორიოდე სიტყვა შემაწიოთ“ - ღ. ყურმილს დაუწედი და კოლიას დავურექ - ეს ეხლა მანდა ზისო? - მკითხა მინისტრმა. კი-მეთქი ვუჰასუხე. - როცა წავა, დამირეკე და ყველაფერს



გეტემი. ასლანის ვუთხარი — ეხლა დაკავებულია და თვითონ გადმომირეკავს, როგორც კი დაველაპარაკები, მაგრამ დაგირეკავ-შეთქი.

ასლანი წავიდა. ნეუვედოვს ისევ დავურეპე. გეტყობა, მაგ კაცს არ იცნობ, ჰოდა, იცოდე, უმაღლესი რანგის ნაძირალაა! შენი ხათრით ერთ შანსს კიდევ მიცემ. თუ ჭიუა კიდევ არ ისწავლა, უიჭვილად გავანთავისუფლებ და ნუ გეწყინებაო — მეუბნება.

გავიდა სულ ცოტა ხანი და ასლანი დააქვეითეს.

ზეაად გამსახურდის ზეობის პრიორდში ასლანი პარლამენტის შენობასთან შემხვდა. მითხრა, თემურ ქორიძესთან მიედიღარ, მერე შეიძლება პრეზიდენტს შევხვდეო. ჯიბილან ამილოდ და მიჩვენა ის სურათი, საღაც შავ ჩოხებში გამოწყობილი კონსტანტინე გამსახურდია, მემედ აბაშიძე, პავლე ინგოროვა და ვახტანგ კოტეტიშვილი არიან გადაღებულნი. ბატონი კონსტანტინე ბათუმში ჩენის ოჯახს წშირად სტუმრობდათ-მითხრა.

ზეიადის და ასლანის დაახლოება, სწორედ აქედან დაიწყო და ასლანის კანდიდატურაც აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე მან წარადგინა.

პრეზიდენტი ამომრჩევლებთან შეხვედრებზე აქებდა და ადიდებდა ასლანს. მოითხოვდა რომ მხოლოდ მისთვის მიუკათხმა...

„გამეცების“ შემდეგ „აჭარის ლომი“ აღარ შემხმანებდა...



უკადერაციულ გერმანიაში ჯგუფის ხელმძღვანელობის მიზანია სტუდენტთა ურთიერთობა გაგრძელდა და გადაიზარდა ოჯახურ მეგობრობაში. როდესაც მოსკოვში ვცხოვრობდი ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს. ის ჯერ საკავშირო სა-გარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა, შემდეგ გადაიყვანეს გენერალურ კონსულად ჩეხოსლოვაკიაში. მოუხდავად იმისა, რომ მე მისთვის არასდროს არ მითხოვია მიწვევა, მან თავისი ინიციატივით ორჯერ მიგვიწვია მთელი ოჯახი ქარლოვი ვარ-ში, სადაც ორსართულიანი, კომფორტული ვილა ჩვენს გან-კარგულებაში იყო. მან არაჩეულებრივი პირობები შეგვიქმნა დასკუნებისთვის, მკურნალობისთვის და გართობისთვის. მას და მის მეუღლეს დაეფავდით ექსკურსიებზე ჩეხოსლოვაკი-ის სხვადასხვა ქალაქებში, კურორტებზე, მუზეუმებში. თქვენ წარმოიდგინეთ საოცენაოდაც კი.

ერთხელ წყალჭვებშა მასაფისითვის კაბინის გათავისუფლე-ბას ველოდებოდი, როცა მოულოდნელად მეზობელი საპროცე-დუროს ქარი გაიღო და იქმდან... ზინაიდა კვაჭაძე გამოვარდა! დიახ, სწორედ რომ გამოვარდა! გზადაგზა ტანსაცმელს იც-ვამდა და ვიღაცას სწყველიდა. ასეთი გამძვინვარებული ქალ-ბატონი ზინაიდა მართლაც არასოდეს მენახა! მაშინვე მასთან გაეჩნდი, იქნებ ვინმეს ღმერთი გაუწყრა, შეურაცხყოფა მიაყ-ენა და ჩემი დახმარება სჭირდება-მეთქი.

თურმე, აბაზანაში ჩასვლას რომ აპირებდა, მეორე ქარი-დან თეთრ ხალათიანი მამაკაცი მასაფისტი შესულა. ზინაიდას აღშუოთებაც ამას გამოუწვევია.

— ამათ ვიღაცაში ზომ არ ვეშლები! მანამ გვერდები ნუ აუდგებათ, სანამ ვიღაც მამაკაცს მასაეს გავაკეთებინებდე! — ბობოქრობდა.

ქალბატონმა ზინაიდამ დანაქადინ შეასრულა: მას მეორე

სასტუმრო „იმპერიალის“ საპროცედუროში მისთვის თვალი
აღარ მოგეიქნავს.



მაგრამ მალე არც მე აღმოეჩნდი უკეთეს დღეში. მაშავებულებაზე
ის საპროცედუროში შესულ ლატვიელ ჩემ ქოლეგას ფეხდაფეხ
მივყევი, რა თქმა უნდა, ორივე დედიშობილა. კარი რომ შევაღე,
მოულოდნელობისგან შევცი: კართან გაღიმებული თეორზალა-
თიანი ახალგაზრდა ქალი დამხვდა და ხელით მანიშნა, შემო-
ბრძანდითო. ცივად გამოებრუნდი, მაგრამ ვინ გამოგიშვა: ქალმა
ხელი მომჟიდა და ჩამირუსელა, „ზახალიტე, პოვალუისტა“-ო.

ჩვენთვის ეს მართლაც უცხო წილი იყო: საქართველოს
კურორტებზე, როგორც წესი, ქალებს ქალები ემსახურებოდ-
ნენ, მამაკაცებს – მამაკაცები. „დაგვავიწყდა“, რომ ვიყავით
კუროპაში, სადაც ასეთი „სტერეოტიპები“ დიდი წნის წინ
დაამსხვრიეს.

კარლოები ვარში მეორედ რომ ვისევნებდით მარიანსკიე
ლაზნიში, მე და ჩემმა მეუღლემ გავიცანით ვენიამინ დიმშიცი
და მისი მეუღლე. მაშინ ის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო
მომარაგების კომიტეტს წელმძღვანელობდა, იმავდროულად
იყო საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგი-
ლეც. ჩვენს მიმართ ეს წყვილი განსაკუთრებულ ყურადღებას
და სითბოს იჩენდა. ბევრი საინტერესო მოგონება მოვისმინეთ
მათვან.

«СТАЛИНСКИЕ КАДРЫ»



მოსკოვის სახალხო აქადემიაში სწავლისას ბევრი თქმული საჩინო და გამორჩეული სამეცნიერო ხელმძღვანელი გვიკითხავდა ლექციებს. ეს ლექციები კი არა, უფრო გულახლილი და მეცნიერული საუძრები იყო კონკრეტულ დარგზე, მის პერსპექტივასა და ამოცანებზე. ერთხელ სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტის მაშინდელი თავმჯდომარე ნიკოლოზ ბაიბაკოვიც გვერწვია. ერთ-ერთმა მსმენელმა ჰქითხა, ვიცი, რომ შეა აზიაში მუშაობდით, ამხელა თანამდებობაზე როგორ დაგაწინაურესო.

— დიახ, შეა აზიაში, ნავთობის ჭაბურღლილის უფროსად კმუშაობდი, — ასე დაიწყო თხრობა სტუმარისა, — მაშინ მოსკოვში ეწყობოდა დარგის მოწინავეთა შეკრებები, რომელთაც, როგორც წესი, სტალინიც ესწრებოდა. ერთხელ მეც გახლდით იქ და სიტყვითაც გამოვედი. როცა ჩემი სათქმელი ამოვწურე, სტალინმა რამდენიმე კითხვა მომცა. მე ვუპასუხე. შესვენებაზე შეკრების ორგანიზატორმა მომძებნა და მითხრა, სტალინი გიმობთო. პატარა კაბინეტში მიმიღო. წინ დამისვა. მარტონი ვართ. ძალიან ვღელავდი, მე ხომ სრულდად ახალგაზრდა ვიყავი!

ისევ წარმოებაზე, დარგის სიახლეებსა და მომავლის პერსპექტივაზე შემეტათხა. გულწრფელად ვუპასუხე.

გავიდა ორი თვე. ისევ მოსკოვში მიმიწვიეს! საგანგებოდ დამხვდნენ და სასტუმროშიც მომაწყენ. დილით მირეკავენ, მანქანით ვართ, გვლოდებით და ჩამოღილოთ. არ ვიცი, სად მივყავარ და რას მიპირებენ. სასწრაფოდ მოვწესრიგდი და ჩავდი. მანქანაში მითხრეს, სტალინთან მივდივაროთ.

„აյე ერთხელ უკვე მესაუბრა, ნეტავი, ახლა რაღა აინტერესებს? რომ მცოდნოდა, მოვემზადებოდი მაინც“. აენერვიულდი. ამასობაში მივედით კიდეც. კარგად მიმიღო.

მეკითხება:

— თქვენი აზრით, ქვეყანაში ნავთობმოპოვების დარგი



როგორ უნდა განვითარდესო... კითხვა გლობალური იყო, ამი-
ტომ გამიკვირდა, ერთი ჩვეულებრივი ჭაბურღილის უფროსებული
ამას რატომ მექითხება-მეთქი? დავიძენი და ხმა კერ პმსულებულისა
წამოდგა სტალინი, ოთაბში გაიარ-გამოიარა, მერე მხარზე
ხელი დამადო და მეუბნება:

— მაშინ მე მომისმინეთ. თქვენი სახალხო კომისარიატი
ძალიან პატარაა, ნავთობზე მოთხოვნილება კი სწრაფად იზ-
რდება. ამიტომ მალე მის ბაზაზე შეიძლება რამდენიმე ახალი
სახალხო კომისარიატი შეიქმნასო.

რა თუ ათი წუთი ლაპარაკობდა, ბოლოთას სცემდა და
დროდადრო გადმომხედვავდა ხოლმე.

კველაფერს სწრაფად ვიწერდი. როცა „აუდიენცია“
დამთავრდა და გამომიშვა, ჩანაწერები დავაკონსპექტე.

არ გასულა დიდი დრო და ნავთობმოპოვების მრეწველო-
ბის სახალხო კომისარად დამნიშნეს. მაშინ ოცდაშვიდი წლისა
ვიყავო...

მას შემდეგ მთელი ორმოცდაორი წელი გავიდა. ის ჩანაწე-
რები შენახული მქონდა და დროდადრო ჩავხედავდი ხოლმე.
წარმოიდგინეთ, ყველაფერი ზუსტად ისე განვითარდა, როგორც
იოსებ ბესარიონის ძემ იმ საუბარში იწინასწარმეტყველა! იმ
ერთი სახალხო კომისარიატის ბაზაზე ექვსი მძღავრი საკავ-
შირო სამინისტრო შეიქმნა! დღესაც გულწრფელად მიეკინს,
საიდან პქონდა ამ ადამიანს ასეთი ღრმა ანალიზისა და პროგ-
ნოზის უნარი — დასძინა ბაიბაკოვმა...

* * *

ერთხელ მთელი რიგი საქითხების მოსაგვარებლად მოსკ-
ოვში ერთად გაუფრინდით ალექსანდრე პავშენცევი — ცნ-
ტრალური კომიტეტის მეორე მდივანი (ეს პირველი შემთხვევა
იყო, როცა საქართველოს კომპარტიის მეორე მდივნად მოსკ-
ოვიდან გამოგზავნილი რესის ნაცვლად თბილისში დაბადებუ-
ლი, თხემით ტერთუმდე ნაღდი თბილისელი დანიშნეს), ზურაბ

ლაბახუა და მე. უამინდობის გამო ეწყეოვთ არ მიგვიღეთ და ლენინგრადში დაევაშვით. დილის ცხრა საათია. სადეპუტატოში იმათხები რთას მივაშურეთ. იქ ორი ადამიანი დაგვხედა.

მომახლოვდა იმ ორიდან ერთ-ერთი და მექონება, საქართველოს მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე არა ხაროთ? დაახ-მეთქი, კუპასუხე-

ივი საშუალო მანქანათმშენებლობის („Minpredmash“) მინისტრის მოადგილე აღმოჩნდა. ზურაბი და ალექსანდრე წარვედვინე. ამასობაში მეორე მამაკაციც შემოგვიერდა.

— ახლა დავრეც მოსკოვში, მთხრეს, ამინდი ისევ ჰირვეულობს, ფრენა დღეს არ იქნებაო. აქ ხომ არ დავალამებთ? ჩემთან წავიდეთ... მეორე მანქანა უკვე გამოიყიდახეთ.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ლენინეცის“ გენერალური დირექტორი ანატოლი ტურჩაკი აღმოჩნდა. შეთავაზებაზე უარი არ გვითქვამს, წაყვევით. დიდ მოედანზე, გრანდიოზული, მაღალი და პირქუმი შენობის წინ კიროვის ძეგლი იდგა. აქ, თურმე, გაერთიანების აღმინისტრაცია იყო მოთავსებული, წარმოება კი ქალაქერთე ჰქონდათ.

როგორც მასაინდლებმა გვითხრეს, ისინი საბრძოლო ეროტმურენებს უშვებდნენ, ამიტომ აღარ გაგვეკირვებია, საგულდაგულოდ რომ შეგვამოწმეს, თუმცა თვით გენერალური დირექტორის თანხლებით გამოიცხადდით. სანამ დირექტორისა თავისი ხელით არ მოგვართვა საგანგებო ბლანქზე გამოწერილი საში, დაცვამ შენობაში არ შევვიშვა.

მასაინდლებმა ბევრი საინტერესო რამ გავემსილეს და გვაჩვენეს, მერე ქალაქიდან ოდნავ მოშორებით, „მწვანე ზონაში“ წაგვიყვანეს, საუნაში არაჩვეულებრივი სუსტა დაგვახვედრეს. ერთი სიტყვით, მეფეური პატივი გვცეს! — ზურაბს არაყო და ლუდი ისე მოეკიდა, რომ არა დაცვის ბიჭები — აღბათ საუნის აუზში დაგვეხრიობოდა...

მაგრამ მოსკოვში საქმეები „გვეძახდა“. „სე“-ს ბილეთები მოგვართვეს, თანაც, თითო კაცზე თითო კუპე! მატარებლის



გასელამდე საქართვის დრო რჩებოდა, ამიტომ დირექტორის მოადგინებულის მამახანან, აღიარებული შხატვრის სახელოსნიში პროფესიონალურ კულადიმერ კეტროგონის კისთან წაგვიყვანეს. მაშინვე სუფრა გაშალეს. სამი ბოთლი კონიაკი შეონდა მოსკოველი ძეგლის მიმდევადისთვის და გულდი მასპინძლელს მივართები. გადაირია კაცი, საპასუხოდ თავისი სურათები გვაჩრუქა.

შერა პოვშენცუკი ჩემს გვერდით იჯდა და გადმომილა-პარაკა: „რა კარგი პქენი ომარ, კონიაკები რომ მიართები ჩვენს მასპინძლებს“-ო.

გვარან საღამოს რეინიგზის საღვურში მიგვაცილეს. საღვურის ბაქანზე ზურაბმა წაიფორიზილა და დაკაცა, თუმცა დიპლომატი ხელიდან არ გაუშედა. წამოვაყენეთ, მივფეროთხმოვფეროთხეთ, აქეთ-იქიდან ხელი ჩავკიდეთ და ვავონში აეიყვანეთ. სანამ მატარებელი არ დაიძრა, მასპინძლებს ადგილიდან ფეხი არ მოუცვლიათ.

მართალია, ცალკე ეუჟე მელოდა, მაგრამ ის ღამე ზურაბთან გავათენე: ეტყობა, საუნამ დასცადა, სასმელი მოექიდა და ვერ მივატოვე...

რატომ მოვყენე ეს ყველაფერი? ჯერ ერთი იმიტომ, რომ სიკეთე დიდხანს რჩება ადამიანის გულში, მეორეც იმიტომ, რომ „ლენინეც“-ის გენერალურმა დირექტორმა დიმიტრი უსტინოვის დაწინაურების მეტად საინტერესო ეპიზოდი გვიამო.

1939 წელს ახალგაზრდა უსტინოვს ამ ქარხანაში ტექნიკურ ხელმძღვანელად (Technopuk), ანუ დღევანდელი წარმოდგენით მთავარ ინჟინრად უმუშევია. ერთხელ, სტალინი სწვევდათ. უკითხავს, წარმოების დღევანდელ ვითარებასა და პერსპექტივაზე ვინ მოგვახსენებსო. დირექტორი წამომდგარა და კედელთან მისულა, რათა ცხრილებით და დიაგრამებით ესარეგულდა.

— ხომ არ აჯობებს, თუ ტექნიკურ ხელმძღვანელს მოვუსმენთ? — უკითხავს სტალინს. დიმიტრი უსტინოვი, ცხადია, ამას არ ელოდა, თანაც, რა თქმა უნდა, საგანგებოდაც არ იყო



მომზადებული. მაგრამ მეტი რა გზა პქონდა? მაინც საქმიანად უსაუბრია. სტალინს შეკითხვები მიუცია. პასუხები დაკარგულიყოთ, და ამომწურავი ყოფილა. სტალინს კველა მოწვეული გაუშვა, უსტინოვთან კი კიდევ დიდხანს გაუგრძელებია საუბარი.

არ გასულა სამიოდე თვე, დიმიტრი უსტინოვი მოსკოვში გამოიძახეს და თავდაცვის მრეწველობის სახალხო კომისარად გაამწესეს...

ის შემდგომ დიდხანს ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავ-შირის თავდაცვის სამინისტროს, იყო პოლიტბიუროს წევრი.

ასე აღმოჩნდა ერთი ქარხნის ინჟინერი სახელმწიფოს ერთობ მაღალ ეშელონებში...

* * *

ეს ამბავი თვრამეტი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ელიზბარ მინდელმა მიამხო. უძვირფასები ადამიანი იყო, ახოვანი, მომხიბლავი და როგორც ასეთებს სჩვევიათ, ბავშვივით აღალი! მართალია, მან ცხოვრების დიდი ნაწილი რუსეთში გაატარა, მაგრამ რაჭული აქცენტი მაინც ვერა და ვერ მოიშორა... თუმცა, ძალიან კი უნდებოდა.

როცა ბატონი ელიზბარი თბილისში დაბრუნდა, მას სამთო მექანიკის ინსტიტუტი ჩააბარეს. პარალელურად სამთო დარგის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებას ხელმძღვანელობდა. იმ საბჭოს წევრი, მისი რეკომენდაციით, მეც გავხდა.

ხშირი კონტაქტი გვქონდა და სამთო ობიექტებზე ერთად დაკავშირდით. ერთხელაც გაიხსენა:

— აღექსანდრე ზასიადეო საოცარი კაცი გახლდათ. ხომ ამდენი ხანი ვიმუშავე მის პირველ მოადგილედ, ერთი უსიამოვნო ფაქტიც კი არ მახსენდება! ერთხელ კოლეგიზე ვარ და ვერ ვისვენებ: იმ დღეს თბილისის „დინამო“ მოსკოვის „სპარტაკს“ ხვდებოდა. „დინამოს“ თავეგადაკლული გელშემატკი-

ვარი ვიყავი. რაღაც უნდა მომეტიქრებინა, თორემ მატჩის გვერდი ვნახავდი. მინისტრს ბარათი გავუგზავნე, ალექსანდრ ფიროზაშვილი როგორი, ლავრენტი პაკლოვიჩთან ენერგეტიკის კომისართან? წასასვლელი, როგორ მოვიქცე-შეოქი? თავის დაქნევით მანიშნა, წავდიო. წავედი... მატჩი ფრედ 0:0 დამთავრდა.

დავბრუნდი სამინისტროში, კოლეგია ისევ გრძელდება. ზასიადეკომ ბარათი მომწერა: — Hy как?

რა თქმა უნდა, კომისიას გულისხმობდა. მე იმავე ბარათს მივაწერე: „0:0“. ერთი სიტყვით, დამავიწყდა, რა საქმეზეც ვიყავი წასული. მინისტრმა ჩემს პასუხს რომ დახვდა, გაოცებით გადმომხვდა, არ ვიცი, მიხვდა რამეს თუ არა, მაგრამ დამატებით აღარაფერი უკითხავს.

პო, საიდან მოიყვანეს ზასიადკო?

მოსკოვში დარგის მოწინავეთა შექრებაზე სიტყვით გამოვიდა დონბასელი ახალგაზრდა, გვარად ზასიადკო. საინტერესოდ იღლაპარაკა და სტალინის გურადღება მიიცია — რამდენიმე შეკითხვა დაუსვა. ზასიადკო არ დაიბნა, გონივრული პასუხები გასცა.

გავიდა დრო. სტალინი წყალტუბოში ისვენებს. მასპინძლებს გაენდო, მზარეულის კერძები მომბეჭრდა, ეგებ ქართველი დიასახლისის მიერ შინ მომზადებული რაიმე გამასინჯოთო. იმ დროს წყალტუბოს რაიაღმასკომის თავმჯდომარედ ნიკოლოზ ბიბილეიშვილი მუშაობდა. საოცრად მომნიბელული და კეთილშობილი მეუღლე პყავდა, შესანიშნავი დიასახლისი — მარიამ იოსელიანი. არჩევანი სწორედ მასზე შეაჩერეს. სტალინს ძალიან მოსწონებია მისი ნახელავი და სანამ წყალტუბოში ისვენებდა, ყოველდღე ქალბატონ მარიამის გაკოტებულ კერძებს მიირთმევდა.

ერთ დღეს იქითხა, არავინ ისვენებს აქ ისეთი, ვისთან დაკავშირდება და საუბარიც შეიძლებაო? უთხრეს, დონბასიდან კომბინატ „სტალინუგოლის“ უფროსი — ზასიადკო ისვენებსი. ბელადის მახსოვრობაში ამოტივტივდა რამდენიმე თვის წინა-



დელი ამბავი, როცა მოსკოვში მენახშირეთა შეკრებაზე დაინ-
ბასელი ახალგაზრდის ჭიკვიანურმა გამოსვლამ დაათვალისწიფებულია
მოიწვიეთო, ბრძანა.

მოიწვიეს. სტალინმა ფუჟერში არაყი დაუსხა. სტუმარმა,
რომელიც აშკარად ნერვიულობდა, წარმოსთქვა:

— За Вас, товарищ Сталин! — სასმისი ასწია და სულ-
მოუთქმელად გამოსცალა.

— მიაყოლეთ რამე, — შესთავაზა მასპინძელმა.

— После первого Засядько не закусывает, товарищ
Сталин...

სტალინმა მეორედ შეუვსო. ზასიადეომ ისევ რაღაც
წაილაპარაკა და ფუჟერის ფსკერი გამოაჩინა.

— ახლა მაინც დააყოლეთ ლუკმა, — ისევ შესთავაზა
სტალინმა.

— И после второго Засядько не закусывает, товарищ
Сталин...

სტალინმა მესამედ დააპირა ფუჟერის შევსება, მაგრამ
ზასიადეომ სასმისს ხელი დააფარა.

— Засядько свою меру знает, товарищ Сталин!

სტალინს აღარ შეუთავაზებდა არაფი, ერთხანს ისაუ-
ბრეს და დაემშეიდობნენ ერთმანეთს.

გავიდა დრო. გარდაიცვალა ქვანახშირის მრეწველობის
მინისტრი ვახრუშჩივი. ეძებენ შემცვლელს. ზასიადეო კრემლ-
ში მიიწვიეს სტალინთან.

— როგორ ფიქრობთ, თქვენ კეთილი ხართ თუ ბოროტი?

— ეკითხება სტუმარს სტალინი.

— მე მკონი, კეთილი, — პასუხობს ის.

— მაინც, რა ნიშანთვისებით მიიჩნევთ, რომ კეთილი ხართ?

— არ ეშევბა სტალინი.

ალექსანდრ ფილიპოვიჩი დუმს.

— კარგით, მაშინ მე მომისმინეთ. თქვენ მართლა კეთილი



ხართ — დიდ საქმეს აკეთებთ. ზშირად ჩაღინართ მიწის ქვეშ, გაუსაძლის სიცივესა და სიბრელეში, უმძიმესი შრომის ფასტებისა და მოპერების მაღანს, რათა ადამიანებს სითბო და სინათლე პქრნდეთ. განა ამაზე უფრო კეთილშობილური არის რამე?

ზასიადეკოშ შევბით ამოისუნთქა.

მეორე დღეს იხილავენ საკალრო საკითხს — გახრუშჩევის შემცვლელი უნდა დაამტკიცონ.

— წინადაღება შემომაჭეს, ამ პოსტზე ზასიადკოს კანდიდატურა განვიხილოთ, — ამბობს სტალინი. — რას იტყვით?

— Засядько пьет! — შენიშნა ლევ მესლისმა, რომელიც მაშინ სახელმწიფო კონტროლის მინისტრი იყო.

სტალინმა შეხედა და უჟასუხა:

— Да, Засядько пьет, но меры знает.

ზასიადკო დაამტკიცეს.

უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ზასიადკოშ ბელადის დიდი ნდობა საკებით გაამართლა. წლების მანძილზე პატიოსნად და მოული არსებით ეძლეოდა საქმეს. . ზასიადკოს თექვსმეტი მოადგილე პყოლია, რომელთაგან ზოგიერთს სახეზე წესირად არც კი იცნობდა. ერთხელაც, კრემლში გამოიძახეს. ჩქარობდა და დერეფანში სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა. შემოწვდა კედელს აკრული კაცი, რომელიც მოწიწებით მიესალმა.

— А кто этот хер? — ჰქითხა თანაშემწევე, რომელიც უკან მოსდევდა.

— Этот хер ваш заместитель, Александр Федорович! — უჟასუხა თანაშემწევე.

როცა ნიკიტამ სტალინის დროინდელ კადრებზე ნადირობა დაიწყო, თანამდებობიდან ისიც გადააჭენა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშნა.

სხვას შეიძლება ეს დაწინაურებადაც მიეჩნია, მაგრამ ზასიადკო სხვა წროობის კაცი იყო — ვერ ვგუებოდა უმოქმედობას, მას ცოცხალი საქმე აინტერესებდა, ახალი სამსახური კი უსიცოცხლო იყო!



ზასძადექომ ნიკიტას ახირება თავისი პიროვნების შეუ-
რაცხულობად აღიქვა, სასმელს მიეძალა და ურთ დიდობის მიზნები
ოვის ცენტრში, სასტუმრო „მოსკოვის“ გვერდით სკერიში,
მერჩხე მჯდომი, გაყინული ნახა მეეზოვემ...

ასე დაამთავრა სიცოცხლე ადამიანმა, რომელმაც ქვეყნისა
და დარგის განვითარებისთვის ფასდაუდებელი შრომა გას-
წია...



ერთ შესანიშნავ პიროვნებაზე გრიგოლ ვაშაქიძეში „მშენება შევჩერდე... „გრიგოლ სილიძისტროვიჩი“, როგორც ჩენენ მას მიემართავდით, იყო საქართველოს მშენებლობის მინისტრი. ბრილივით სუფთა და ზედმიწვევით პატიოსანი ადამიანი. ამავდროულად პრიოფესიონალი მშენებელი, დიდი ორგანიზატორი, საქმიანი და მშრომელი კაცი.

— „მაღლიან ახალგაზრდაა, შეძლებს კი? იქ აფიონები დახვდებიან, ცოდო არაა?“ — ასე მიმართა მან „საქმახტეშენის“ მმართველს შალვა გარდაფხამეს, როდესაც მის კაბინეტში შევედი და შემომხედა. მერე ჩააჩირდა ჩემს ორპწყარიან ავტობიოგრაფიას, მაგრამ კაცი ედო.

— „მერე რა რომ ახალგაზრდაა, ლავრენტი ჰაელოვიჩი 28 წლის იყო ზაგერააიონის მდინარე რომ დანიშნეს და ბრწყინვალედ გაართვა საქმეს თავი“ — პასუხობს გარდაფხამე.

„მაღდეულში ძალიან მძიმე მდგომარეობაა, შეძლებთ რომ გამოასწოროთ?“ — ჩამეკითხა მინისტრი.

„ყოველნაირად შევეცდები“ — ვუპასუხე. სკამი კი შემომთავაზა, მაგრამ არ დაუმჯდარეა.

დამამტკიცეს.

სისტემატიურად ინტერესდებოდა მაღდეულის სამორ გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობის მიმღინარეობით, ხშირად უწევდა ქაზრეთში ჩამოსულა, ხან რესპუბლიკის და ხან საკაშპირო ხელმძღვანელობასთან ერთად... უხაროდა ჩემი წარმატებები, მაქებდა მათთან. მოუხედავად იმისა, რომ სიტყვა-ძუნწი იყო, მარტი რომ დავრჩინდოდით მამხნევებდა — „ყოჩაღ ომარ, მისარია ჩემი და გარდაფხამის ნდობა რომ გაამართლეო.“

გავიდა რამდენიმე წელი.

ერთ საღამოს კაზრეთიდან დავურეკე და ვთხოვე მიღება. მიუკედი.



— „უმორჩილესად გთხოვთ თბილისში გადმომიყვანეთ ნერ-
ბისძიერ თანამდებობაზე.“ — მეტქი ვუთხარი.

გაოცდა კაცი. კი მაგრამ რატომ, რა მოხდა, რა მანეზია?

პასუხი დაეყოვნე, თავი ჩავღუნე.

შენ ხომ ასეთი დაქცეული სამართველო ფეხზე დააყ-
ენე, კველას გვანარებს შენი წარმატებები. იცი შენ, ეს ვი-
განტი-კომპლექსი პარტიის XXIV ყრილობის დირექტორებით
გათვალისწინებულ ვადებში რომ ჩააბარო ექსპლუატაციაში
— სოციალისტური შრომის გმირობა არ აგცდება, და რომ
ჩააბარებ ამის კველა წინაპირობაა — ეჭვი არ მეპარება, რომ
ჩააბარებ. რა ხდება მითხარით? — და მომაჩირდა.

— „ახალი დაოჯახებული ვარ, მე და ჩემი მუდლე მხ-
ოლოდ კვირაობით ჩამოვდივართ თბილისში. ექიმებმა ურჩიეს
მანქანით მგზავრობა შეწოვის არ შეიძლებაო. მე იქ უმაგისოდ
ვერ ვძლებ, ის კი აქ უჩიმოდ. ერთადერთი გამოსავალია ჩემი
თბილისში სამუშაოდ გადმოყვანა-მეთქი — სპეციალისტებმა
მეც გამაფრთხილეს: „თუ ეს საკითხი დროზე არ მოაგვარეთ,
შეიძლება ბავშვი საერთოდ არ გვყოლოთ“ — მინისტრს სახ-
ეზე შევატყვე, ძალიან შეწუხდა.

თავი ჩაღუნა, „პრიმა“ ამოილო და მოუკიდა. ერთი რომ
მოწია, მეორე გააბოლა. დუმილი ჩამოწევა. ასე კარგა ხანს
გასტანა. მერე ამოითხრა, თვალი ვერ გამისწორა, თავიაღ-
უნულმა მომმართა — ომარ წადი გენაცვალე რაღაცას მოვი-
ფიქრებ. „გენაცვალე“ ისე წარმოთქვა, მივხვდი რომ თანამი-
გრიშობდა... რატომ მაშინ ვერ მიეხვდი.

ორ კვირაში მისი ბრძანებით თბილისში გადმომიყვანეს
სამუშაოდ.

გაფიდა დრო. მე „საქმახტშენის“ მმართველად ის კი
საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს. მოგვიანებით, მე შენებლობის მინისტრის მოადგილე გავხდი,
ის კი პენსიაზე გაუშევეს. ყოველთვის თბილად მხვდებოდა. მეც
განსაკუთრებულ ყურადღებას ვიჩნდი მის მიმართ.

მოგვიანებით გავიგვე ერთადერთი შვილიშვილი მხმარე
აეად პყოლია და მოსკოვში წაუცვანათ სამჯერნალოდ —  მითხრეს, ბაბუა ბავშვს არ შორდება, თავზე ადგასო.

გავიგვე, სად იწვა — საკავშირო ონკოლოგიურ სამუცნიერო
ცენტრში — კაშირსკაა №24, ბავშვთა ონკოლოგიის ინსტი-
ტუტში...

ჩავთვინდი მოსკოვში, მივედი ონკოლოგიურ ცენტრში,
მოვძებნე პალატა, შევედი. მარტოა... ზის სკამზე, მუხლებზე
იდაყვდაყრდნობილს თავი ჩაურგავს ხელებში, მძიმედ სუნთქვას,
ოხრავს, ამოშნედა, მიცნო, გაოცდა, გაუხარდა, წამოდგომა
გაუჭირდა. მე მივახლე, ჩავიხუტე, გადავეოცნე, მოვეფერე...
აქვითინდა... ბავშვს გადავხედე, სიცოცხლის ნიშანწყალი არ
ედო სახეზე. მეც აეტირდი მასთან ერთად. ვთხოვე, გარეთ
გავიდეთ დერეფანში ბავშვი არ შევაწუხოთ-მეთქი, არაო, იქ
მიშლიან ტირილსაც და დგომასაც. შევწუხდი, არ ვიცი რა
ექნა, ვეფერები, ვამხნევებ, კაცი დაპატარავებულია, ლანდი
გასდის, ბეჭებშია მოხრილი...

ბავშვი მაღევე გამოემშვიდობა სიცოცხლეს...

ერთადერთი შვილიშვილის ენით აუწერელმა უბედურებამ
დარღმა და ვარამმა შეიწირა გრიშა ვაშაკიძე. დიდხანს აღარ
უცოცხლია...

მას არ ჰქონია საკუთარი შვილის დაბადებით გამოწვეული
ბეჭნიერების განცდა.

განგებამ ამ კეთილშობილ ადამიანს არც შვილიშვილით
ხანგრძლივი ტკბობის განცდა არგუნა.

დიპლომი ქართველი გვილი

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრი ქართველიშვილი ამ მაღალი თანამდებობიდან ბინის რემონტის გამო გაათავისუფლეს. სახელმწიფო სტანდარტების სამშაროველოს უფროსად დააქვეითეს, ის ბინა ჩამოართვეს და სანაცვლო ცხენისწყლის ქანაზე მისცეს.

ახალი გადავყანილი რომ იყო, დამირუკა და მთხოვა დავხმარებოდი ადმინისტრაციული შენობის რემონტში. მაშინ საყოფაცხოვრები მომსახურების მინისტრის მოადგილე ვიყავი და გვქონდა საშუალება მაღალი ღონის რემონტის გასაკეთებლად. ყოველმხრივ შეუწყვეტ ხელი – ზოგი სამუშაო ჩვენ შევუძლებელთ, ზოგიც – მასალა გადავყცით. გადის ამის შემდეგ სულ რამდენიმე თვე. ერთ დღიდას შემოდის ჩემთან მდივანი და მეუბნება დიმიტრი ლევანოვიჩი არის მოსული თქვენთან და შემოსულა უნდაო.

რომელი დიმიტრი ლევანოვიჩი? – ჩავკითხე.

ქართველი შეიღილილი.

არ დავიჯერე, გავედი მოსაცდელში და ვხედავ, რომ მართლაც დიმიტრი ქართველიშვილია მოსული. დგას სქელი „პაპკით“.

გადავეხეირე. გადავკოცნე. შემოვიყვანე კაბინეტში, დაუსეი და ვუსაყვედურე – რატომ შეწუხდით, დაგერუკათ და მე თვითონ გეანლებოდით-მეთქი.

– ეტყობა, შენ ჩემი ამბავი არ იციო.

– რა ამბავი? – გამიკვირდა.

– წესელ დამიძახეს ცეკას ბიუროზე და გამანთავისულეს.

– რატომ, დიმიტრი ლევანოვიჩ?

– ისევ ბინის რემონტის გამო...

– ის ბინა, ხომ აღარ მოგცეს და დაიხურა ის საქითხი.

– კი, მაგრამ ახლა ახალი ბინის რემონტში დამადანა-

შაულეს... რა ვქნა, ურთი გარემონტებული ბინა რომ მქონდეს,
უფლება არა მაქვსე?...



შეულონდი, შემებრალა კაცი.

- დიმიტრი ლევანოვიჩ მე რითი შემიძლია დაგეხმაროთ?
- თქვენთან გადმომიყვანეს.
- ჩენთან?! სად?!
- თქვენ რომ საპროექტო-ტექნილოგიური ინსტიტუტი გაქვთ, იმის დირექტორად დამნიშვნეს.
- იქ ხომ ცეკას გამოგზავნილი და დირექტორად ახლადდანიშნული კაცი უკვე მუშაობს...
- ის კაცი წერელ პარტიიდან გარიცხეს და დააპატიმრეს...

გაეოცდი. იმ ინსტიტუტს მე ვკურირებ და მსგავსი არაფერი გამიგდა.

- გვიან საღამოს მოხდაო, — ამიხსნა ქართველიშვილმა,
- ეტყობა, ამიტომ არ იცის ჯერჯერობით არავინო.

ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა თანანეთის რაიკომის ფოფილი პირები მდივანი — ახალგაზრდა, ინტელიგენტი, განათლებული კაცი... თუ მეხსიერება არ მდაღატობს, გვარად ქისტაური. საქუთარი ცხვრის ფარა პყავსო, იმ დროს წარმოუდგენელი რამ წაუყენეს ბრალად.

შევწერდი.

- რა ვქნათ ახლა, დიმიტრი ლევანოვიჩ? — შევეკითხე.
- ერთ რამეს გთხოვთ: ქოლექტივის წინაშე წარმადგინეთ — მიპასუხა.

დავურეპე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს — მაღაზაშ გელეაშვილს და თანამშრომლების შექრება ეთხოვე.

როგორც კი შემატყობინეს, რომ მზად იყვნენ ახალი დირექტორის მისაღებად, ჩავსხედით მე და ქართველიშვილი ჩემს მანქანაში და წავედით.

გულთბილად მიიღეს.

შევუძეხი თავის ქაბინეტში. დავსხედით და ვეკითხები:



- კიდევ რა არის ჩემთვან საჭირო, დიმიტრი ლევანიშვილი?
- კაბინეტი გამირემონტეთო (?!).

ზუსტად ასე. არაფერს ვიგორობს. კაცი გაუთავესტენა-ჩემიყენ მონტების გამო მთავრობის თავმჯდომარეობიდან საპროექტო ინსტიტუტის დირექტორად დაქვეითეს და ის ისევ რემონტზე აღაპარაკდა...

გაურებელონტეთ კაბინეტი და ახალი ოკუნტარიც დაკუდგით.

აეტომანქანაც მთხოვა. თვითონ წაიღო ჩვენი წერილი მინისტრთა საბჭოში და გამოიყანა კიდეც ახალი „ველგა“.

დიმიტრი ქართველიშვილი აღრე გაეიცანი, მაშინ ის, ქუთაისის აეტოქარხნის მთავარი ოფიციალი იყო, შემდევ ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარე, შემდევ ელუარდ შევარდნაძის ინიციატივით შექმნილ ცეკას ექონომიკური განყოფილების გამე...

ბატონი დიმიტრი ფეხულგან – ქარხანაშიც, აღმასკომშიც და ცეკაშიც კარგ მუშაქად ითვლებოდა, ღირსეული საგვევრო კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მა პერიოდში მასთან ძალიან ხშირი კონტაქტები მქონდა და მის ორგანიზატორულ ტალანტებსა და შრომისუნარიანობაში პირადად ბევრჯერ დაკრწ-მუნდო.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდშიც გვქონდა კონტაქტები, მაგრამ უწინდებურად ხშირია – არა.

იგი ფრიდად განათლებული და ურულირებული ადამიანი იყო. საოცარი თუმორი ჰქონდა.

ერთ კვირა დღეს, ქორწინების სასახლეში, მოსკოველ სტუმრებთან ერთად ბატონი დიმიტრი და მისი მოადგილე გივი ანჩაბაძე გეერვინენ. ვათვალიერებთ სასახლეს და ვაჩვენებთ სხვადასხვა საზეიმო რიტუალებს. კველა კმაყოფილია.

ერთ-ერთ დარბაზში რომ შევედით, შავ საკონცერტო რობალზე უკრავდა კონსერვატორიის ცნობილი პედაგოგი, მომხიბელელი და მიმზიდველი ქალბატონი ლია მიქავა – ახალგაზრდა, ქურა, წითელი პომადით და წითელი კაბით. ლია

საოცრად უხდებოდა იმ გრანდიოზულ დარბაზს. გივი მუჭითხ-
ება: „ომარ, ვინ არის ეს ლამაზი ქალი?“.

— ჩვენი „პიანისტება“...

ბატონშა დიშიტრიმ ჩაგვიარა და ჩაიღაპარა კა — პიანისტ-
ება კი არა „პრიმან კაა“.

შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის მერე, ჩვენი
ინსტიტუტიდან გადაიყვანეს მინისტრთა ჭაბინეტში, განყო-
ფილების გამგედ.

დიდი წანი არ არის რაც გარდაიცვალა.

ღმერთშა ნათელში ამყოფოს მისი სული.



გალერია ვადაშპონი

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილური შეკუმშების
ბდა ვალურიან ვადაშპონი, შესანიშნავი აღამიანი და მაღალი
რანგის პროფესიონალი. მის ამ თვისებებში არაერთხელ დავრ-
წმუნებულვარ. იმ დროს არსებული პრაქტიკის მიხედვით, ცე-
კას ბიუროს წევრებსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების
შენებლობას მიამაგრებდნენ. ბატონი ვალურიანი, ტუვარჩელის
დოლომიტების კომბინატის შენებლობას კურირებდა.

ერთხელ კომბინატის შენებლობასთან დაკავშირებით თავ-
ის კაბინეტში თათბირს ატარებდა, დავამთავრე რა ინფორ-
მაცია, გაიღო ვადაშპონის კაბინეტის კარი და გამოჩნდა
ლამაზი გარეგნობის ახალგაზრდა ქალი. ღია კარში შეჩერდა,
შეცდა და ჩაილაპარაკა: „უკაცრავად, მგონი შევცდი...“ – ბო-
დიში მოიხადა და გაბრუნდა.

ვალურიან ივლიანოვიჩმა არ დააყოვნა რეაგირება და მე-
კითხება: ომარ, ვინ იყო ის ქალი?...

- არ ვიცი-შეთქი – ვუპასუხე.
- მიდი თუ კაცი ხარ, შემოაბრუნეო.
- ამ ქალბატონს ჩენთან არავთარი საქმე არა აქვს-
მეთქი – ვუპასუხე.

შე კაცო ლამაზი ქალია, შემოიყვანე, ცოტა ხანს დაესვათ
და ვუცუროთ მაინცო, – გაიღიმა და აუციმუმდა თვალები.
სანამ მე ადგომსა და გასვლას მოვასწრებდი დაურეუა მდივანს,
სთხოვა, შემოეცვანა მოულოდნელი სტუმარი თათბირზე.

შემოეიდა.

მასპინძელმა გალანტურად შესთავაზა სკამი და თავის
გვერდით მოისვა. განვაგრძეთ ბჭობა, მაგრამ დაიკარგა ყოველ-
გვარი ინტერესი განსახილველი საკითხებისადმი – ყველანი
ამ ქალს ვიყავით მიშტერებულნი.

როგორც იქნა, ჩავამთავრეთ თათბირი.



კადაჭირიამ ყველა დაითხოვა და მასთან დარჩენილ ქალს
ეკითხება:

— ქალბატონო, თქვენ რა საკითხთან დაკავშირდეთ — მო-
ბრძანდით ჩემთან?!?

ჭეშმარიტად, ყველი ადამიანური მაშინდელი ზელისუ-
ფლების წარმომადგენლებისთვის უცხო არ იყო.

* * *

„შვედური მაგიდა“ — ცნობილი „Шведский стол“, ახლა
სასტუმროებში საყოველთაოდ მიღებული რომ არის, მაშინ
ის—ის იყო შემოვიდა საბჭოთა კავშირში, კერძოდ, სასტუმრო
„მოსკოვში“.

იმ დიღით დიმიტრი ქართველი მევილმა, ვალერიან კადაჭირიამ, ნოდარ მემარიაშვილმა და მე, სწორედ „შვედურ მაგი-
დასთან“ ვისაუბრეთ და რესტორნიდან ერთად გაძოვედით.

კლიენტი პირველი სართულის პოლში და კელლებით
ლიცეტს. უნდა ავიდეთ ჩვენ-ჩვენ ნომრებში, ავიღოთ ჩვენი
„საქართველოს“ და წავიდეთ საკავშირო უწყებებში.

იღება ლიცეტის ქარი და ვხედავთ, სახეგაბრწყინებული
გამოდის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი
ნელი გურგენიძე. აშენად ეტყობა, რომ რაღაცითაა აქიტორუ-
ბული და ერთი სული აქვს, ვიღაცას გაუზიაროს თავისი
სიხარული და აღფრითოვანება.

მიესალმეთ, მოგვესალმა და ისე, რომ არ გვიკითხაუს
არაფური, გვეუბნება:

— პარიზიდან ჩამოვურინდი გუშინ საღამოს. ძნელია სი-
ტყვებით გამოხატო ის საოცრება, ის წარმოუდგენჭლი შთაბე-
ჭდილება, რაც პარიზში ჩემზე მოახდინა და გაავრძელა და
გაავრძელო. გვიპოვა მსმენელები და არ ჩერდება. ჩვენ კი
საქმეზე მიგვეწარება. გვაგვანდება, მაგრამ სიტყვას ზომ არ
გააწყებინებ ქალს.



ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა დაამთავრა, დაგუეძველი
დობა და წაეიდა.

კიდექმათ ჩვენ და ვუყურებდით, როგორ მიბაკუნთხდა შემდეგი
აღ ქუსლებზე შემდგარი მეორე მდიგანი, ფართო ვესტიბილუ-
ლის თეთრი მარმარილოს კრიალა იატაკზე.

„არ გადარევდა ახლა ეს მთელ პარიზს?“ — ჩაილაპარაქა
ვალურიანმა.



საკარეო საქმეთა მინისტრად ვდეურდ შევარდნაძეს უმასტები იყო გადასვლის წინა წელს ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ჯუმბერ პატიაშვილი და სოლიკო ხაბეიშვილი. ისინი ერთად მუშაობდნენ საქართველოს კომკაუშირის ცქ-სა და საკაუშირო კომკაუშირის ცქ-ის აპარატებში. მეცობრობდნენ. მათი მეცობრობა იყო ხალასი და უანგარი, როგორიც დამახასიათებელია საღად მოაზროვნე. კეთილშობილი პიროვნებებისთვის. ორივე მისღვევდა სპორტს: ჯუმბერი – კალათბურთს, სოლიკო კი ალპინიზმით იყო გატაცებული.

დღემდე გაუგებარი, თუ ხელოვნურად ინცირებული კონფლიქტი გახდა მათი დაპირისპირების მიზეზი.

ბევრი მეცობარი მყავდა ცეკაშიც და მთავრობაშიც. ყველა განიცდიდა და წუხდა ამ ამბის გამო, კწუხდი მეც. დაპირისპირება არააუგრი კარგის მომტანი არ იყო, არც მათოვის და არც საქმისთვის და, რაც მთავარია, მე ორივესთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა – უსაზღვროდ პატივს ვცემდი ორივეს.

ვუიქრობდი, რა მეღონა, როგორ შეიძლებოდა ამ დაძაბულობის მოხსნა. ამ მიზნით მივედი პარტიის ცქ-ის მდივანთან გოგი ანდრონიკაშვილთან. გოგი პატიაშვილისა და ხაბეიშვილის ახალგაზრდობის დროინდელი მეცობარი იყო... გავანდე ჩემი გულისტკაუილი და შევთავაზე, როგორმე შეგვერუვებინა ჯუმბერი და სოლიკო... მოეწონა ჩემი აზრი. – როგორ, რა ფორმით? – მქითხა.

– ვიორგი ალექსანდროვიჩ, თქვენ ნამყოფი ხართ ჩემი შშობლების სახლის სარდაფუში, ვაკის პარეთან. იქ ჩემი ბუხართან გვიქეიფია ითარი ზუხბაისათან, საშა ვინოგრადოვთან, ნიკა ცხაკაიასთან ერთად... აი, სწორედ იქ გავშლი სუფრას, მოვიწვიოთ ჯუმბერიც და სოლიკოც. საქმის გარჩევას და



განწილვას ნუ დავიწყებთ, მტკუან მართლის დადგენას შევუძლია გათ. ეს უნდა იყოს მეგობრული სუფრა. ერთმანეთს მოუწოდებით, მათ შორის დაძაბულობას და დაპირისპირებას შორისნით და მეგობრულად დავიშელებით-მეთქი.

კოვის მოეწონა ჩემი წინადადება. ჩათვალე, რომ თანახმა ვარო, — მითხრა, — მხოლოდ რახან შენ ხარ ინიციატორი და ორივესთან კარგი ურთიერთობა გაქვს, გთხოვ, მიხვიდე მათ-თან და გაანდო შენი წინადადება. სასურველია, ჩვენ ოთხის გარედა არავინ არ იყოსო. შევთანხმდით.

იმავე დღეს შევედი სოლიკოსთან. ყველაფერი კუთხარი. ვუამბე გოვისთან რომ ვიყავი და ისიც მხარს უჭერდა ჩემს წინადადებას. მითხრა: ომარ, მეც თანახმა ვარ და მაღლობელი ვიქები, თუ ეს შენი ჩანაფიქრი კეთილად დაგვირგვინდება, მაგრამ, ვეჭეობ, ჯუმბერი დაითანხმოო.

გახარებული გამოვედი სოლიკოს კაბინეტიდან.

მეორე დღეს შევედი, ჯუმბერითან. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ფრთხილად, ისე რომ არ გამედიზიანებინა, კუთხარი ყველაფერი. ისიც დავსძინე, რომ ჟავა ვიყავი გოვისთანაც და სოლიკოსთანაც და რომ ორივე თანახმაა, ორივემ მოიწონა ჩემი წინადადება... გთხოვთ უმორჩილესად, ნუ გაგეაწბილებთ-მეთქი.

მოიღუშა. თავი ჩაღუნა. ჩაფიქრდა და ისე, რომ თავი არ აუწევია მითხრა:

— ომარ, არ არის ეს შენი საქმე და გთხოვ, თავი დაგვანებოთ...

ჩაიშალა ჩემი ჩანაფიქრი...

უნდა ვივარაუდოთ რომ ჯუმბერ პატიაშეილის უარი, გამოწევეული იყო ერთი მიზეზით, კერძოდ იმით რომ მას, როგორც ცეკას მდივანს არ შეეძლო უკან დახევა, რადგან მისი ასეთი ნაბიჯი შეფასდებოდა როგორც არაპრინციპულობა, უფრო მეტიც, შეეძლოთ ეჭვი შეპარევიდათ მის სიმართლეში... ეს კი სერიოზულად შეარყევდა მისი, როგორც ცეკას მდინას



რეპუბლიკურის...

ამიტომ გასაგები იყო მისი ეს გადაწყვეტილება ეროვნული დარწმუნებული ვარ, ადამიანურად ამ ყოველივეს იგი ჩატვირთვისა უფრო მეტად განიცდიდა.

სამწუხაროდ, ვერ გამოვდექი მედიატორად.

ჩირიბილიძან სღავეთისამდე

1986 წლის 26 აპრილს მომხდარ ჩერნობილის ტრაიანდის ას, საბჭოთა ხელისუფლება რამდენიმე დღე საკულტურულ მაღავდა – სამაისო დღესასწაულისთვის ემზადებოდა და საერთაშორისო ასპარეზზე შეკრეულ ავტორიტეტსაც უფროხილდებოდა. როგორც შეძლებომა მოვლენებმა გვიჩვნა, მთავრობამ თავდაპირეელად კატასტროფა სათანადოდ ვერ შეაფასა. ამ გაუმართელებელმა დაყოვნებამ და ავადმყოფურმა პატივმოყვარეობამ შესხერცლოთა რაოდენობა საგრძნობლად გაზიარდა.

როცა „ჭირმა თავი არ დამალო“, პოლიტბიურომ მიღლო გადაწყვეტილება და შექმნა ჩერნობილის კატასტროფის ლიკვიდაციის სამთავრობო კომისია. საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან დაყოვნებლივ დაიძრა მაშველთა ბრიგადები.

ამ დროს ისევ იწვოდა ჩერნობილის რეაქტორის გული. მისი ჩაქრობის ყველა ცდა ამაო გამოიდგა, სანამ ღონისეულიან ცნობილი მეცნიერი, ლენინური პრემიის ლაურეატი რაფიკ ტურკიანი არ მიიწვიეს. ის წარმოშობით ფოთიდან იყო, პრემია მას მინიჭებული პქნიდა ქვანაზშირის შახტებში ვერტიკალური ჭაურის ჩქაროსნელ გაყვანაში მსოფლიო რეკორდის დამყარებისთვის. რაფიკ არმენოვიჩი ჩერნობილის ტრაგედია-ამდე რვა წლით აღრე სტუმრობდა მაშინდელ შშექებლობის მინისტრს, ჩემს უფროსს მექობარს ნოდარ მექმარიაშვილს. ის ჩემი სტუმარიც იყო – მაშინ მე „საქმახტმენის“ მმართველი გახლდით.

ტურკიანი და მექმარიაშვილი ერთად სწავლობდნენ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და დამთავრეს სამორ ფაქულტეტი.

რაფიკ ტურკიანმა ჩერნობილში ურთიერეს დავალებას წარმატებით გაართვა თავი და რეაქტორის გული ჩაქრო.

კომისიამ მიღლო გადაწყვეტილება ავარიის აღგილიდან 50 კილომეტრის დამორჩიბით თანამდროვე ინფრასტრუქტურით

უშრუნველყოფილი ახალი ქალაქის – სლავუტიჩის აშენების
შესახებ. დაგვემარება ისე განხორციელდა, რომ მასში უფლურებელი
რესპუბლიკას თავისი წელიღი შევტანა. საქართველოზე შეამრიცეა
უშაოების შესრულება ჩვენს სამინისტროს დაუვალა.

ოპერატორულად შევქმნით სპეციალური სამშენებლო საძ-
მართველო. თევზი ერთხელ კომისიაზე დასწრება ევალებოდა
რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს
ზურაბ ლაბახუას, მაგრამ ის იშვიათად მიღიოდა და მე მა-
გალებდა თავისი ფუნქციის შესრულებას.

საქმე თავიდანვე კარგად ავაწყეოთ. ყველაფერი კიდონეთ,
რათა სამუშაოთა გრაფიკიც დაგვეცვა და სათანადო ხარისხიც
რეინაბეტონის ანაკრები კონსტრუქციები და სხვა აუცილე-
ბელი მასალა ვაკონებით შეუფრხებლად ჩაგვქონდა, ამიტომ
სამუშაოები სწრაფი ტემპით წარმოებდა. ყველას ძალიან მოს-
წონდა ჩენივე პროექტით აშენებული ლოკიებიანი საცხოვრე-
ბელი ბინები. მათზე დიდი მოთხოვნილება იყო.

ჩვენი ეს განსაკუთრებული მონძოშება საგანგებოდ არაერთხ-
ელ აღინიშნა ჩერნობილის ავარიის შედეგების სალიკვიდაციო
კომისიაზე, რომელსაც საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ბორის შექრბინა ხელმძღვანელობდა.
მე იგი ჯერ კიდევ მოსკოვში, სახალხო მუსრინეობის აკადემიაში
სწავლის დროს გაეციანი. მაშინ ის საკავშირო ნავთობგადამა-
შემაცებული მრეწველობის მინისტრი იყო.

კომისიაში შედიოდნენ უკრაინის მთავრობის თავმჯდო-
მარის პირველი მოადგილე, საკავშირო მინისტრები, უწყე-
ბათა ხელმძღვანელები... სხდომებზე სისტემატურად ისმენდნენ
მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა ოპერატორულ
ინფორმაციებს, აფასებდნენ და აძლევდნენ აუცილებელ მი-
თითებებს.

კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე მოისმინეს ჩემი ინფორ-
მაცია. კომენტარი გააკეთა სლავუტიჩის საქალაქო საბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარებ. ჩვენც კარგად დაგვახასიათა და

ჩვენი აშენებული კვარტალიც. მოსმენილით ქმაყოფილმა ბირთვული რის შჩერბინამ შექრებილთ ასეთი რამ უამბო: 

— ერთხელ საქართველოში მიმიწვეის. შემოდგრძელ „ზოგ ჩემმა ქართველმა კოლეგამ კახეთში წამიყვანა. ეს ვაზისა და ღვინის მხარეა. მანქანით მივდივართ. ერთომეორის მიყოლებით ვკითხულობ გზის გასწვრივ ჩარიგებულ წარწერებს — „მანაავი“, „კარდანაზი“, „გურჯანი“, „მუქუზანი“, „წინანდაალი“ (ბორის შჩერბინა სწორედ ასე, წამლერებით წარმოთქამდა სოფლების სახელებს). ჩემს კოლეგას ვეუბნები, რა გჭირო ქართველებს, სოფლებისთვისაც ამ შშვენიერი ღვინოების სახელები რომ დაგირქვევათ-მეთქი, იმან ვაცინა, სოფლებს კი არა, ღვინოებს ჰქვიათ სოფლების სახელებით.

რაც კახეთში ვნახე, არასოდეს დამაციწყდებაო — ავრძელებს იყი... ეს იყო ნამდვილი საოცრება: როგორი სითბოთი იღებენ სტუმრებს, რა სასოფლით უვლიან ვნახებს, ეფერებიან ღვინოს — მართლაც ბუნების სასწაულს! როგორ ზღვიან ჭაჭაპას, ამ არაჩეულებრივ სასმელს. მაგრამ ყველაფრის ვეირგვინი მაინც პურმარილი იყოო. ვუფურე მწვადის შეწვას. ჩვენ მწვადი შემწვარი ხორცი გვავინა, არადა, ეს მოელი ხელოვნებაა! ვნახე, როგორ დაჭრეს ხორცი, როგორ შეანელეს, წამოაგეს შამფურებზე და წვავლნენ, როგორ დატრიალებდნენ და უმარჯვებდნენ ნაკერძნისალს! ახლა თონეში პურის გამოცხობა? იქით პურის სურნელი ტრიალებდა, აქეთ მწვადის სუნი გვაბრუებდა, მასინძლები კი თავანქარა ღვინით საესე უიალებს გვთავაზობდნენ... ჩემი თავი ზღაპარში მეგონაო...

დარბაზი ახმაურდა: მწვადის, ჭაჭაპისა და ღვინის ხსენებამ ფელა გაახალისა და მაღაზე მოიყვანა.

სანამ ჩერნობილში წაედოდი, ჩვენმა სამმართველოს უფროსმა თბილისში დამირკეა, სლავუტიში ქართველებმა ახალგაზრდული კაფე-ბაზი გახსნეს, მოელი ოჯახი ემსახურება. თუ ქართულ ღვინოებს გამომიგზავნით, შჩერბინას ვთხოვთ და ეგებ კომისიის წვერებსაც ვაჩვენოთ. დაეძენ, რომ იმ



კაფე-ბარისთვის შენობა სწორედ ჩვენმა სამმართველომ აგია. რამდენიმე ჭუთი „ქინძმარაული“ და „ხანჭკარა“ გაფურცელდა.

როცა შჩერბინაშ საქართველოში სტუმრობა გაიხსნა, სამართველოს უფროსი გვერდით მეჯდა. გახარებულმა მითხრა, კარგი მომენტია, კონცერტი და კაფეში წავიყვანოთ.

— წამობრძანდით და ჩვენი ქარტალი დავათვალიეროთ, — შევთავაზე ბორის ევლიომოვიჩის. ჩემი წინადაღება ჭეუაში დაუკვდა. თათბირის დასრულების შემდეგ მანქანებში ჩავსხდით და წავედით. ერთ დამთავრებულ სახლში შევედით. ნახელავი მოგვიწონეს და შეგვაქეს. აյ ჩემს თანამემატულებს კაფე-ბარი გაუხსნიათ და გუშინ ახალგაზრდული ქორწილიც გადაუხდიათ... ზომ არ გვენახა? — შევთავაზე კომისიის თავმჯდომარეს. რატომაც არაო, — ხალისით დამთანხმდა. ყველანი წავედით.

კაფე-ბარის პატრონებმა შესანიშნავი სუფრა დაგვახვედრეს. ოჯახის ზუთივე წევრი გვმასპინძლობდა — ცოლი, ქმარი, შვილები, რძალი. ბზინაედა იქაურობა! როგორ ჩაიარაო ქორწილმა, დაინტერესდა შჩერბინა. როცა პასუხი მოისმინა, გაუხარდა: ახალი ქალაქი უკკე სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს, ქორწილებსაც კი იხდის!

მასპინძლებმა სუფრასთან მიგვიწვიეს და ჭიქები დეინით შეავსეს. პირეელი სადღევრძელო ბორის შჩერბინაშ წარმოსთქა: დალოცა სლავეტიჩი, მისი შშენებლები, ახალგაზრდა წყვილი, ბენიერი ცხოვრება უსურვა მათ. მერე ატომური ენერგეტიკის მინისტრმა ასწია სასმისი, იმას უკრაინის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ მიბაძა. სადღევრძელო უთქი მეც.

ბორის შჩერბინაც და მისი კომისიის წევრებიც კმაყოფილები იყვნენ.

სლავეტიჩმა, რომელსაც ამდენი ენერგია, მონდომება და სახსრები შევალიეთ, კერ გაამართლა. თუმცა, ეს შშენებელთა ბრალი არ იყო. აღმოჩნდა, რომ სახელისუფლებო ორგანოებმა ამ აღვილზე ქალაქის აგების გადაწყვეტილება ნაჩქარევად



მიაღეს. როცა სლავუტიჩის შშენებლობა უკვე მთავრდებოდა სამთავრობო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე შეიქმნა კულტურული ერთი კომისია, რათა დაედგინა, მომავალში ახალ ქალაქსა და მის მცხოვრებლებს რაიმე საფრთხე ხომ არ დაემუქრებოდათ. ახალ კომისიას თავმჯდომარეობდა საკავშირო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე (ქალბატონის გვარი სამწუხაროდ არ მანსონის).

სამთავრობო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე ამ ქალბატონმა წარმოადგინა ჯანმრთელობის დაცვის კომისიის დასკვნა. სავალალო და საგანგაშო იყო იგი, კომისიის წევრებს თავზარი დაეცა! მოხსენება მეც მოვისმინე. აღმოჩნდა, რომ უსაფრთხოებისათვის საქმარისი არ იყო არც ის 50 კილომეტრი რადიუსის აქრძალული ზონა, არც 20 მეტრის სიგანის გამდინარე წელის არხი, რომელიც გარშემო უვლილა ქალაქს, არც ნარგავების გადაბეჭდვა და შეწამვლა, არც მოჭრილი მცენარული საფარის გატანა და დამარწვა, არც სხვა ღონისძიებები...

შეირბინა განრისხდა. ქალაქის შშენებლობა დასასრულს უახლოვდება, ბერი რჯახი უკვე აქ ცხოვრობს. როგორ შეწვდება ამ ცნობას მთავრობა? თვითონ რატომ წინასწარ არ გაეცნო კომისიის დასკვნას?

მე მონი, უპირველესად საკუთარ თავზე ჯავრობდა, მერე — კომისიის თავმჯდომარე ქალბატონზე, ასეთ საშინელებებს ფარდა რომ ახადა!

მომავალი საფრთხეების თავიდან ასაცილებლად ხელისუფლებამ მრავალი დამატებითი ღონისძიება განახორციელდა, რამაც დანახარჯების დიდი ზრდა გამოიწვია. სლავუტიჩში ხალხი მაინც ჩაასახლეს. მოგვიანებით, ბერი რჯახი აიყარა და წაეიდ-წამოვიდა. დარჩნენ ისინი, ვისაც წასვლის საშუალება აღარ ჰქონდათ და ბედს მიწოდნენ.

მოგვიანებით, ბორის შეირბინა ჩერნობილში მიღებულ რაღიაციულ დასხივებას ემსხვერპლა.

სომხეთის ტრაგედია

1987 წლის 8 დეკემბერს, შუალაშისას, ბინაზე მიჩნეული საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მირაღვილე ზურაბ ჩხეიძე... ეს წუთია, ბორის სხდომა დამთავრდა, სომხეთის მიწისძერასთან დაკავშირებით შექმნილი საგანგებო შტაბის ხელმძღვანელად დაინიშნეთ და სასწრაფოდ ლენინგრადში უნდა გაემგზავროთ. თან მიხსნის, რომელი გზით უნდა წავიდე. თურმე, ჩემთვის ცნობილი ყველა გზა ტანკებსა და ბეტონებს გადაუეტავო, ვინაოდან ლენინგრანსა და სპიტაქს უძრავი ხალხი მიაწყდა და სამხედროებმა წესრიგის დაცვა ამ შეოთვით გადაწყვიტეს.

ზურაბ ჩხეიძემ ისიც მითხრა, რომ საკავშირო და აღგილობრივი შტაბები ლენინგრანის უშიშროების სამმართველოს შენობაში იყო განთავსებული — მიწისძერას მხოლოდ ეს ორსართულიანი შენობა გადაუწია. მეც იქ უნდა გამოვცხადებულიყავი.

— რა დავალებასაც მოგცემენ, იმას შეასრულებთ. ჩემთან ყოველდღე გვენებათ კავშირი უშიშროების „ვენეტი“. თუ გრიდათ, მანქანას გამოვიგზვითოთ...

მანქანაზე უარი ვუთხარი, რაღაც ჩემი მყავდა, თანაც — ტელეურნით აღჭურვილი.

— პო, აი, კიდევ რისი თქმა მინდოდა: იქ ყველა შიდა კომუნიკაცია მწყობრიდან არის გამოსული, ამიტომ სასმელი წყალი წაიღვით. კარგი იქნება, საჭმელსაც თუ გაიყოლებთ.

ამ მეობრული რჩევისთვის მერე ბეჭრჯვერ მაღლიერების გრძნობით ეიხსენებდი ბატონ ზურაბს. იგი რომ არა, უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი.

დამის ორის ნახევარი იყო. მანქანა გამოვიძახე, თბილად ჩავიცვი, სარდაფიდან ერთი ფუთი „ბორჯომი“ ამოედტანე-აკიდე თრი ბოთლი კონიაკი, პირდუქტები. ამასობაში მანქანაც მოეიდა. მძღოლი ეროვნებით სომხი იყო, კარგად იცოდა



გზები და ლენინაკანამდე გზის გავრცება არ გაგვჭირვებია. ლენინაკანის შესასელელი ტანკებს პერნდა გადაჭრებული ავტომატიანი ჯარისკაცების კორდონს აუარებელი ხალაზი და მანქანები მიწყდომოდა, ირგვლივ ისმოდა ქიოთის ხმა. გაგვაჩერებს. გადავედი და წარვედექი, საქართველოს მშენებლობის მინისტრის პირველი მოაღვილე და საგანგებო შტაბის ხელმძღვანელი ვარ-შეფქი, ჯარისკაცებს კი არაფრის გაგონება არ სურთ! ჯერ ისევ ბნელა. აღარ ვიცი, რა გზას დაუადგე. მოულოდნელად აკადემიიდან ჩემს მეობარს იური მატეკინს გადავაწყდი. მაშინ იგი საკავშირო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოაღვილედ მუშაობდა. რომ დამინახა, ლამაზ შეიშალა!

გადამეტვია. არ მიშეებუ-მეტქი, შეეჩივლე, არც მე მიშეებენო, „დამაშვიდა“. მერე ვიღაც მოძებნა, თურმე, სომხეთის საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოაღვილე, რომელიც მის შესახვედრად მოსულიყო. როგორც იქნა, ორივენი სამხედროების „ქლანჭებიდან“ დაგვიხსნა.

მეც და მატეკინც შტაბისაკენ გავეშურეთ. საშინელი სურათი დაგვხვდა: პირველი სართული იატაკზე მწოლიარე ქალებითა და ბავშვებით იყო საკსე. ძლივს გავიკვლიერ მათ შორის გზა და მეორე სართულზე ავედით. იქ დაგვხედნენ პარტიის სომხეთის ცეკას მდივანი კარმენ ღამბარიანი და „სახმენის“ თავმჯდომარე ვარტკეს არწრუნი, რომელსაც კარგად ვიცნობდი, ახალი ჩაძინებულები იყვნენ, დაქანცულები და მისავათებულები. გააღვიძეს. წარვედექი და ვუთხარი, რაც შეგვიძლია დაგვხმარებით-მეტქი. გაიხარეს. თქვენ ჯერჯერობით ჩამოსულთაგან პირველები ხართ და ამჟამად ყველაზე მეტად ტექნიკა და სპეციალური მაშველები გვჭირდებათ.

მოგვიანებით სხვა რესპუბლიკებიდანაც ჩამოვიდნენ. არსად ჩანდნენ მხოლოდ აზერბაიჯანულები... მიზეზი ყველამ ვიცოდით: არც ისე დიდი დრო იყო გასული, რაც მათ ბაქოდან სომხები გამოაძევეს – დაწყებული იყო ყარაბახის კონფლიქტი...

ამასობაში გათენდა. დაუურეკე ზურაბს. ვითარება აკუსტენი.



ისიც ვუთხარი, რისი გაქეთებაც იმჟამად იყო აუცილებელი. ჩვენ ტყიბულში, ტყვარჩელშა და ჭაღალურაში კარგად იმუშავდები და გაწვრთნილი სამთო მაშველთა ჯგუფები გვცავდა. შესანიშნავი პროფესიონალები, გამბედავი ბიჭები იყვნენ. ისინი უნდა ჩამოგვეყვანა, რათა ნანგრევებში მოყოლილი ხალხი გვეხსნა. ვთხოვე, რომ გამოეგზავნათ დიდი კარგები, ლოგინები, საველე სამხარეულო, შეშა, ნახშირი, ცისტერნებით – საწევავი და სასმელი წყალი, შეძლებისდაგვარად – კვების პროდუქტები – მაკარონი, ბრინჯი, კონსერვი, ძეხვი, პური...

დამპირდა, რაც გჭირდებათ, სასწრაფოდ მიიღებთ. ასეც მოხდა.

ჩვენი ხალხის მისაღებად და დასაბინაცემებლად სტადიონზე უსაფრთხო ადგილიც მოგამზადეთ.

გამაფრთხილეს, საღამოს ხუთ საათზე შტაბის სხდომაა, შტაბის ბორის შჩერბინა ხელმძღვანელობსო.

შტაბში დანიშნულ დროს გამოეცადდა. იქ, ძირითადად სომხეთის ხელმძღვანელები იყვნენ. დუნი არ იყო და სანთლები აენთოთ. ცოტა ხანში შემოვიდა მაღალი, წარმოსადევი გარეგნობის გენერალ-პოლკონიკი. მომექალმა და ჩემს გვერდით დაჯდა. როგორც მოგვიანებით შევიტყვე, იგი ამიურკავასიის ჯარების ახალი სარდალი ივორ როდიონოვი იყო. მაღვე შემოგვირთდა სხვა სამხედროც – გენერალ-ლეიტენანტი იური კუშნეცივი, სომხეთში განლაგებული ჯარების სარდალი. შჩერბინამ ორივე მათგანი წარმოგვიდგინა, მერე კი თქვა:

– მითხრეს, რომ საქართველოდან უკკე ჩამოვიდნენ...

შემომხედა. მიყურებს, მიყურებს, თითქოს რაღაცას იხსენებს.

– თქვენა ხართ? გმადლობთ, ასე იპერატიულად რომ გამოეხმაურეთ მეზობლების გასაჭირს! – თან ისევ მაკვირდება: – ჩვენ ხომ სადღაც შევხვედრივართ ერთმანეთსო...

– სლავუტიშიში, ბორის ევდოკიმოვიჩ! – ვუპასუხე.

– თო, ყველაფერი გამახსენდაო.





მოვალეობის ტეირთის სიმბიმეს კარგად ვგრძნობდთ. სახელმწიფო სხდომის მანძილზე დაძაბულები ვისხედით უფრო მაღალია ვა მას სტილური სახე ჩამოსტიროდა...

შჩერბინაშ მკითხა, თუ რას ვაპირებდი... მოვახსენე, რომ უკვე ვესაუბრე საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ზურაბ ჩხეიძეს, მიღებული იყო სათანადო ზომები, ტეირთი დაძრულია და მაშველებსაც წუთიწუთზე ველოდებით. მინდა, რომ ბანაკი სტადიონზე გავშალო-მეთქი, — დავამატე.

— სანამ თქვენები მოვლენ, სამხედროების დახმარება ხომ არ გჭირდებათო — როდიონოვზე და კუჭნეცოვზე მიმითითა. ორივემ მზადყოფნა გამოიტქვა და დილის შეიდი საათისთვის სამხედრო ბაზაში მისევდა მთხოვეს.

შჩერბინაშ თათბირი მაღლე დაამთავრა და გაგვაურთხილა, ღამის ორ საათზე ისევ შევიკრიბებითო. საერთოდ, ასეთი გრაფიკით ვმუშაობდით.

ამასობაში საქართველოდან ტეირთიც მივიღეთ და მაშველთა რაზმებიც ჩამოვიდნენ. ისინი ოპერატიულად გავანაწილეთ და დავალებებიც მივეცით — სამაშველო სამუშაოებშე გავაგზაუნეთ. ეს ყველაფერი მოვახსენე შჩერბინას, რითაც ქმაფოფილი დარჩა.

სხვათა შორის, არც უცხოეთმა დააყოვნა — მაშველები 17 ქვეყნიდან ჩამოვიდნენ. იმათმა ძალლებმა გამარტეს, ისე ჰყავდათ გაწვრთნილები. თვალი მომტაცა მაშველთა აღჭურვილობამაც. ასეთ სპეცტანსაცმელზე მაშინ ჩვენებს ოცნებაც კი არ შეეძლოთ...

როგორც გენერლებს დავპირდი, დილის შეიდ საათზე სამხედრო ნაწილში მივედი. თან მახლიდა სამინისტროს მექანიზაციის სამმართველოს უფროსი ჯუმბერ შენგელია, არაჩეულებრივი ადამიანი და საქმიანი კაცი. თავვანწირულად მუშაობდა სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვი თამაზ ვაშაძეზე. რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ვეღარსად ვნახე, ჩუმალ



გამოპარულიყო... (მოგვიანებით, ზეიად გამსახურდიას დროს იგი ქალაქის მერად მოგვევლინა) სამხედროებმა კარგად შეძლებოდა გვიღეს, გვასაუზმეს. მოგვცეს კავშირგაბმულობის საშუალებები: კარვები, ლოგინები, ქვანახშირი, საკელე სამზარეულოები... მერეც აქტიურად გვეხმარებოდნენ. სამწუხაროდ, შემდგომი წლების ტრაგიკული მოვლენების დროს, როდიონოვიც და მისი სხვა კოლეგებიც ისე ამაზრზენად მოიქცნენ, ყველაფერი, თუ კი რამ მათგან სიკეთე გვახსოვდა, ხელის ერთი მოსმით წყალში ჩაყარეს...

დაიწყო მოვლენები, ასეთ რითულ სიტუაციას რომ ახლავს ხოლმე – მაროდიორთა რამდენიმე ჯგუფი დააკავეს. ყოველ დამე რამდენიმე ჯგუფს ვიჭროთო, შტაბის სხდომაზე განაცხადა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ. მაროდიორობდნენ ძირითადად სომხები.

ამაყი ვიყავი, რომ ამ საშინელ ცდუნებას არც ერთი ქართველი არ აპყოლია! ჩენებმა ბოლომდე პირნათლად და ვაჟკაცერად მოიხადეს თავიანთი ვალი მეზობლების წინაშე.

ქართველების თავგანწირვას და სიკეთეს, ხშირად მადლიერებით აღნიშნავდნენ სამთავრობო თათბირებშეც და ადგილობრივი მოსახლეობაც.

აფხაზეთიდანაც ჩამოვიდა სომხთა ბრიგადა ვიღაც ტან-მორჩილი, ჯუჯა კაცის მეთაურობით. რასაც დაგვავალებთ, ყველაფერს გავაკეთებთო, – რიხიანად განმიცხადა. ნანგრევების გასუფთავება დავავალე – ყველაზე საშური ეს საქმე იყო, ხალხი უნდა გადაგვერჩინა. სალამოს პრეტენზიები წამომიყნეს, მძიმე სამუშაოა, იქნებ სხვაგან გაგვამწესოთო. საქართველოდან 600 კაცი მაინც მეშაობდა და ერთი შენიშვნა არავის მიუღია, ესენი სულ ოცდაორნი იყვნენ და ლამის თავი წამჭამეს! სტადიონზე, ჩვენს შტაბში დავტოვე, პროდუქტს, წყალს, ნახშირს მიიღებთ და საჭმელს მოამზადებთ-მეთქი. მაშველებს დღეში მხოლოდ დილა-სალამოს ვაჭმევდით. ვერც ამას მოაბეს თავი, რამდენჯერმე ხალხი მშიერი დაგვიტოვეს.



მესამე დღეს კი, დილით, აღარავინ დამხვდა – ყველანი მარტი-
თქლებულიყვნები”... სრულია მის განვითარება

აი, ასე დაეხმარნენ მოძმე სომხებს აფხაზეთის სისწავეს. აი, ასე დაეხმარნენ მოძმე სომხებს აფხაზეთის სისწავეს.

ერთხელ, ლენინაკანში, დამის თათბირზე მისულმა, ურუნ-
ზიკ მერტინიანი შევნიშე. კუთხეში იდგა და ხმამაღლა ტირო-
და... აღმოჩნდა, რომ მისი დის ოჯახი ნანგრევებში ჩამარხუ-
ლიყო... მსახიობი დახმარებას ითხოვდა. შეჩრბინამ ეს საქმე
მე მომანდო. ძალიან ბნელოდა და კურაფერს გავხდით. დილით
უთენია დახმარებისათვის ფრუნზიკა ჩეკინთან, სტადიონზე მო-
ვიდა. სამაშველო სამუშაოები ისევ განვახლეთ. სამწუხაროდ,
მხოლოდ ერთი ბავშვის გადარჩენა შევძელით, ოჯახის სხვა
წევრები დაიღუპნენ...

ჩვენ მსგავსი ნგრევა არასოდეს გვენახა! ცხადია, შეძრწუ-
ნებულები ვიყავით. ამ უმშიმესი ტრაგედიის თეოთმისილეველი
ადამიანები ნანგრევებთან „შეშლილი“ სახეებით იდგნენ. უძვირ-
ფასესი ახლობლები დაკარგეს და შწუხარებასთან ვერაფერს
გახდნენ... მათი ხილვა ცუდ დღეში გვაგდებდა. ხშირად თავს
ერ ვერეოდით და ცრუმლიც გვდიოდა.

საითაც გაიხედავდი, მწვანედ, ცისფრად, წითლად და თეთ-
რად შელებილი კუბოები მოჩანდა. სტადიონზე, ჩვენი კარვების
გარშემო, კუბოების ნამდვილი კედელი იყო აღმართული. მი-
ჰქონდათ მანქანებით, საზიდრებით, „დროვებით“, ხელით...

ერთხელ ერევანში მიმიწვიეს. გავიცდი, როცა დიდი უბე-
დურების სათანადო გამოძახილი იქ ვერ შევნიშნე. რესტორანში
ხალხი ჩვეულებრივად ქვითობდა, მუსიკაც უკრავდა.

ერევანში თათბირი საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარეშ ნიკოლოზ რიეკოვმა ჩაატარა. ესწრებოდნენ
იაზოვი, შეჩრბინა, ბატალინი, სომხეთის პარტიული და საბ-
ჭოთა ხელმძღვანელები, სხვა პასუხისმგებელი პირები. ითქვა,
რომ მიწისძერის ზონაში დაზიანებული მაღლიერი შენობების
აღდგენას აზრი არ ჰქონდა – ისინი უნდა დაენგრიათ. . .
დღითა და ღამით ისმოდა მძლავრი აფეთქებები.



შემზარავი სანახავი და მოსასმენი იყო. მძიმედ განვიცხული დიღი – მე ხომ შენებას ვიყავი მიჩეული და არა ნერგაში კონტაქტის ერთხელ, ღამის თათბირის შემდეგ, შჩერბინა მოვლოდნელიად მექითხება, სად გმინავთო. კუპასუხე, სტადიონზე, მძღოლთან ერთად, ჩემი სამსახურის მანქანაში – მეტქი.

– მერედა, რატომ? რკინიგზის სადგურში „CB“-ს ვაგონები ჩამოაყენეს, იქ მოისცენეთო...

მართლაც გამომიყენეს ერთი კუპე. დაღლილს მაღვე ჩამეძინა. კარზე კაკუნმა გამომაღვიძა. ვხედავ, შჩერბინას თანაშემწერ ბორის მოტივილოვადა.

– ბოლიშს გინდით, მაგრამ თქვენს იქთ გზა არა გვაქვს – მთელი დღეა, ჰირში არაფერი ჩაგვსვლია. ხომ არაფერი გვწებათო?

იმ დღეს ყუთებით მანდარინი მივიღეთ. ორი ძეხვა და ბოთლი კონდაკიც მქონდა. შევთავაზე. გახარებული წავიდა. ცოტა ნანში ისევ მომიკაკუნეს, ბორის ვეღოკიმეუჩი გთხოვთო. წავედი. სანამ ის ბოთლი არ გამოვცალეთ, არ გამომიშვა.

ჩინებულია – მანდარინი, „სერვილადი“ და კონიაკი! მეორე დიღით შჩერბინა „პერინზე“ იდგა და მელოდა, კიდევ ერთხელ მაღლობა რომ გადაეხადა...

გავიცანი უკრაინის სახელმწიფო მომარაგების თავმჯდომარე, შემდეგ – საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მომარაგების თავმჯდომარე და საკავშირო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პავლე მოსტოვი. მას ჩემს გეერდით კუპეში ეძინა.

სპიტაკში საგანგებოდ ჩამოსულ ჯუმბერ ჰატიაშეილსაც შევხედი. თავთეხიანად ტალახში ვიყავი ამოგანგლული. მანქანა გააჩერა და გადმოვიდა, ომარ, შენა ხარ? ძლივს გაცანა. საქმე როგორ მიღის, ხომ არაფერი გჭირდებაო. უკოარი, ზურაბ ჩხეიძესთან ყოველდღიური კავშირი მაქს და ის ოპერატორად გვეხმარება-მეტქი. სპიტაკში ჩემთან ერთად იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, მაშინ



საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების მინისტრი, შემისევა მეცნიერობისა და კულტურული მდგრადი განვითარებისათვის მინისტრი... —

ლენინაკანში ვნახე უამრავი ქართველი უურნალისტი... საქტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარე არძაშ სანებლიძე ჩამოსულიყო ტელეკურატორი ამირან მურმანიძესთან და ტელერუსულისორ ზენონ კაციასთან ერთად. შევხვდი განხეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ახლანდელ მთავარ რედაქტორს აღვეკო ასლანიშვილს, საქტელერადიო კომიტეტის უურნალისტებს მერაბ ბერაძეს და მარკ რივეინს, რომლებმაც ინტერვიუ მოხვეს და, მოუხედავად დიდი მოუცდელობისა, მათთვის უარი არ მითქვამს...



ელცინი თბილისს ორჯერ სტუმრობდა და ორჯერ შევხვდი. მოსკოვის ქალაქეომის პირველ მდივნად ახალი დანიშნული იყო, პირველად რომ გვეწვია. შავი ზღვისპირეთში ცოლთან – ნაინა ივანოვნასთან და ოჯახთან ერთად ისვენებდა... ისინი თბილისის სანახავად ჩამოვიდნენ.

1985 წლის ზაფხულის კვირა დიღლით პარტიის ცეკა-დან დამირეკეს, ჯუმბერ პატიაშვილს სურს, რომ სტუმრები ქორწინების სასახლეში მიიყვნოს. დავურუკე დარექტორს, მოუმშადეთ-მეთქი. ასეთ ღონისძიებებს მიჩვეულები ვიყავით და დიდი მომზადება აღარც კი გვჭირდებოდა. სტუმრებს ახლდნენ ჯუმბერ პატიაშვილი, ბორის ნიკოლსკი და ოთარ ჩერქეზია. ეს ის პერიოდია, როცა მთელს ქვეყნაში „ბობიქრობა“ ლიგაჩოვის ცნობილი ანტიალეკომლური კამპანია. სანახავი რომ ნახეს და მოსასმენი მოისმინეს, სტუმრები ფურშეტის მაგიდასთან მივიწვიეთ. ელცინმა სხვადასხვა შეფერილობის ჩარიგებულ ბროლის გრაფინებს თვალი შეავლო და იკითხა, ესენი რა არისო. ხილის წვენებია – მეთქი.

– მერე, განა ქართველები ქორწილებს უშამპანუროდ და უღიინოდ, ხილის წვენებით იხდითო – იკითხა, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარმა.

ოთარ ჩერქეზიას გადაუულაპარაკე, სასმელებს შემოვიტან-მეთქი. შემოიტანეო. ნიკოლსკიმაც კვერი დაგვიკრა, რა მოხდა, თითო ფულერი შემპანური, რომ სტუმრებს შევთავაზოთო. ამასობაში ჯუმბერიც მოგვიახლოედა. რაშია საქმეო, იკითხა. ავეტსენით, რას და რატომ ვაპირებდით.

– სულ შენი ოინებიაო, – გადმომსედა და გაგვშორდა.

ერთი ყუთი-მეთქი და სამი შემოიტანეს! ელცინმა შამპანური რომ დაინახა, თვალები გაუბრუყინდა.

– მალადცი, რებიატა, მალადცი! – წამოიძახა. მერე ცოლს

■ მიუბრუნდა: – Наина, ты помнишь, где мы расписались? В



полуподвале! А здесь как чудесно – настоящий дворец! Всё блестит.

ამასობაში შამპანურის ბოთლებს ბათქაბუთქა ჟუტებებს. უფრო მაღალი უფრო ბათქაბუთქა ჟუტებებს. შეავსეს. ელცინმა ორ უფრო დაავლო ხელი, ერთი მეუღლეს მიაწოდა, მეორე მაღლა ასწია და სადლევრ-ძელი წარმოსთქა.

ორი თუ სამი უფრო დალია. ერთობ გახალისდა.

ასე „დაგვარღვევინა“ ელცინმა ლიგაჩოვის ცნობილი „უქაზი“.

მეორედ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ ჩამოვიდა. ტრაგედიასთან დაკავშირებულ საკითხებში გარკვევა სურდა. მაშინ საბჭოთა კავშირის „სახმელების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საბჭოთა კავშირის მინისტრი იყო.

იმ დროს ელცინი, როგორც ოპოზიციონერი, მოსკოვის ქალაქეომის მდივნობილან გაათავისუფლეს: მოსკოვის პლენუმზე სასტრიქად გააკრიტიკა მიხეილ გორბაჩოვის მეუღლე რაისა მაქსიმოვნა, „ – ხშირად მირეკავს და მავალდებულებს, ეს პიროვნება გაანთავისუფლე, ეს კი დანიშნეო. ამან უკავი სისტემატური ხასიათი მითით, რაც მახინჯი გამოვლინება და კადრების შერჩევაში უხეში ჩარევააღ“, – აღნიშნა ელცინმა თავის გამოსელაში.

ქუქნის ხელმძღვანელთა ოჯახის წევრების ასეთ ღია კრიტიკას მაშინ მიჩვეულები არ იყვნენ. ელცინი ციმბირელი კაცი იყო, ციმბირელები კი პირდაპირი, აღალი და სტუმარობოფერე ხალხია (სხვათა შერიას, რიეგოვი, ზაიკოვი, ლიგაჩოვი, რიეოვი და დოლგიხიც ციმბირელები იყვნენ)... დიდ დროს არ გაუვლია და ელცინი გადააყენეს. ეს მისთვის საშინელი დარტყმა იყო. გულმა უმტკუნა და თითქმის ექვსი თვე ლოგინად ჩავარდა. მდგომარეობიდან გამოსული, ზემოხსენებულ თანამდებობაზე დანიშნეს.

ერთ შაბათ საღამოს ზურაბ ლაბახუაშ ბინაზე დამირეკა, ომარ ალექსანდროვიჩ, ხვალ ათ საათზე ჩემთან მოდით, ბო-



რის ელცინია ჩამოსული, 9 აპრილის ამბებთან დაკავშირებით.
მოვლენ აგრძეთვე გურამ მირიანაშვილი, ნიკოლოზ წევალაძემაც
ვი და ბორის სარალიძე. შევხვდეთ, ვისაუბრებთ, მერე კი
ვისადილებოთ...

ათს ათი წუთი აქლდა, მინისტრთა საბჭოში, ახლანდელ
პარლამენტის შენობაში რომ მივედი. მოვალენ გურამი, კო-
ლია და ბორისი. ლაბახუას თანაშემწე ნუგზარ ჩანტლაძე
გვეუბნება, ბორის ელცინი დიდი ხნის მოსულია, ცხრა საათი-
დან მიმდინარეობს შეხვედრაო.

კვლას გვიკვირს: ნუთუ ლაბახუამ მოვეატყუა? თუ მოვ-
ვატყუა, რატომ? რისთვის დაგვიძარა, თუ არ ვჭირდებოდით?

— უთხარი, რომ აქა ვართ, — მივმართე ჩანტლაძეს.

ნუგზარი, ზურაბის კაბინეტიდან გამოეყიდა თუ არა, ოთხ-
ივენი შევედით. ელცინი წამოდგა და ხელი ჩამოვართვა.
მივხვდით, საუბარი უკვე დამთავრებული იყო. ჩეკინი თანდახ-
წრებით ზურაბ ლაბახუამ ირონიულად ასეთი რამ უთხრა
სტუმარს:

— Борис Николаевич, Вам лучше активно заняться
научно-техническим прогрессом. У нас в этой части
много проблем.

ელცინი, რა თქმა უნდა მიუხვდა ცინიკურ ნათქვამს და
სახე მოედუმა. არც ჩეკინ გვესამოვნა — სტუმრის ასეთი
ტონით დამოძღვრა.

არ ვიცოდით, რაზე ისაუბრეს, მაგრამ მივხვდით, საქმიანი
არ იქნებოდა ის საუბარი.

ბორის ელცინი წამოდგა. დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა.
კაბინეტიდან რომ გადიოდა, ვიფიქრეთ, ჩენები ხომ არ გაუ-
ოლოდით. ლაბახუამ ხელით გვანიშნა, დამელოდებოთ. თვითონ
სტუმარი ცოტაზე გააცილა. ელცინს ორი კაცი ელოდებოდა.
ლაბახუა გამობრუნდა და კაბინეტში შევიძლვა.

— Пашел он...на хер!! Пусть займется своим делом.

არ დამჯდარა, ისე მოგვიძოდიშა, ოჯახებს კვირა დღეს



ტუშილად მოგწევიტეთ, წადით და თქვენს საქმეს მიხედვთ.

ბორის ელცინი საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში მართვა
პრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ამით მან გამოხატა
საქართველოსადმი თავისი თანაგრძნობა და თანადღომა. სამ-
წუხაროდ, ხელისუფლებიდან მას არავინ შეხვედრია, ყველა
მოერიდა როგორც ოპოზიციონერს. ეს მისია დააკისრეს ზურაბ
ლაბაზუას, საქავშირო „სახმენის“ პირდაპირ დაქვემდებარე-
ბაში მყოფ თანამდებობის პირს. მან კი თავისი ცინიზმით და
იქედნური დამოკიდებულებით შეურაცხყო სტუმარი, რომელ-
იც, რა თქმა უნდა, ასეთ დახვედრას არც მოეღოდა და არც
იმსახურებდა. წავიდა ნაწყენი და შეურაცხყოფილი...

ზურაბმა არც ჩვენ მოგვცა სტუმართან შეხვედრისა და
გამასპინძლების საშუალება.

ელცინთან ჩემი მესამე შეხვედრა მოსკოვში შედგა, „სახმ-
შენის“ ქოლეგიაზე. ერთად ვიყავით მე, გურამ მირიანაშვილი
და საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი, ახლანდელი სა-
გარეო საქმეთა მინისტრის მამა ნოდარ გრიგოლის ძე ვაშაძე.
ორივესთან დიდი ხნის კარგი და საქმიანი ურთიერთობა მქონ-
და. შესვენებაზე ბორის ელცინი მომიახლოვდა. სახეზე ძალიან
ცუდი ფერი ფდო: — თქვენ ხომ საქართველოს მშენებლობის
მინისტრის პირველი მოადგილე ხართ? — მეოთხა. დადგებითი
პასუხის მიღების შემდევ მეუბნება:

— მერე, რატომ ჩემთან არ შემოდიხართ, ნუთუ დახმარება
არ გჭირდებათ?

— აუცილებლად მოვალ, ბორის ნიკოლაევის! — ვუპა-
სუხე.

მეორე დღეს დავაპირე შესველა, მაგრამ მისაღებში იმდენი
ხალხი ელოდა, ნებისი არ ჩავარდებოდა. თანაშემწერ მეოთხა ვინ
ბრძანდებითო? ვუპასუხე. ძალიან არის დაკავებული, იქნებ, სხვა
დროს შემოიაროთ. ბორის ელცინი ამ დროსაც ოპოზიციაში
გახლდათ და მე მეონი ის ხალხიც აღმართ მისი მანამოაზრები
იყვნენ. ათასი საქმე მქონდა და მერე ვეღარ მივედი.


კლცინთან ჩემს ურთიერთობას სხვანაირი გავრტყოდ
ბა მოჰყვა. მეორე დღეს „სახშენის“ თავმჯდომარე მეტერიული
ბატალიონმა, მასთან სულ სხვა საკითხებზე მისულს სმერინის მიერად
განა არ იცით, კლცინი ოპოზიციაში რომ არის? დღეს, ხუთ
საათზე, ჩვენს კინოდარბაზში მხოლოდ კოლეგის წევრებისთ-
ვის დოკუმენტურ ფილმს უჩვენებენ, როგორ დადის ელცინი
ოლქებში – „გლუხინ კაში“, ხელისუფლებას მწვავედ აკრი-
ტიკებს და მის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწევა... მოღით
და ნახეთო...“

უძრავი გადაუდებელი საქმე მელოდა, თან იმ საღამოს
თბილისში უნდა გამოვფრენილიყავი, ამიტომ მოვუძოდიშე,
კინოუილმზე ვერ მოვალ-მეტქი. კარგით, მაგრამ იცოდეთ მას-
თან ურთიერთობას არ გირჩევთ, გამაფრთხილა.

მივხვდი, ელცინის მისაღებში ბატალიონს თავისი „სტუ-
კაჩი“ პყავდა და ჩემი იქ ყოვნის შესახებ იმან აცნობა.

საქმეში უკეთესად რომ გავრცელებულიყავი, ვიღრე მოსკ-
ოვს დავტოვებდი, აკადემიდან ჩემს მეგობარს, ბატალიონის
მოადგილეს ლევ ზარუბკინს მივაშურე. იმანაც იგივე მითხრა,
ელცინს მოერიდე, მასთან შეხვედრებს არ გირჩევო.

იყო მომენტები, როცა გულწრფელად ვნანობდი მათ რომ
დავუჯვრე: ვინ იყის, ქვეყნის სასიკეთოდ შემდგომში როგორ
გამომადგებოდა ბორის ელცინთან სახლოვე.

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენე ჩემი მეგობარი ნოდარ
ვაშაძე. მოსკოვში საკავშირო სახშენის ერთ-ერთი კოლეგიის
სხდომის შემდეგ, ნოდარმა მოგვიწევა მისი მძახლის აგარაკშე.
მისი მძახლი, ანუ გრიგოლ ვაშაძის სიმამრი, იყო საბჭოთა
კავშირის სახელმწიფო ბანკის მმართველი კლადიმერ ალხი-
მოვი. მან 10 წელიწადი იმუშავა ამ თანამდებობაზე. იმ დროს
საბჭოთა კავშირში სულ ორი ბანკი ფუნქციონირებდა: ერთი
– სახელმწიფო ბანკი და მეორე – მშენბანკი. პირველი აფი-
ნანსებდა საბიუჯეტო და დოტაციაზე მყოფ დაწესებულებებს,

მეორე — მთელ სახალხო მეურნეობას. უზარმაშარი აეტო-
რიტეტი ჰქონდა მთელ საბჭოთა კავშირში აღნიშვნელობის
ნოდარმა თავის გაუს ქორწილი თბილისში ჭრილობდნენ,
ფუნიკულიორის იმ დარბაზში, რომლის კედელს კოკა ოგნა-
ტოვის შესანიშნავი პანი ამშვენებდა. ავადსახსენებელ წლებში,
როცა ჩვენს ქვეყანაში სრული განუკითხაობა სულევდა, დაა-
ზიანეს და გაძარცვეს ხელოუნების ეს შესანიშნავი ნიშვნი.

იმ ქორწილში მეც ვიყავი მიწვეული.

გრიგოლ გაშაბის ცოლი, ანუ აღნიშვნელი, ერთ მშვენიერ დღეს ლონდონში გაემგზავრა მის მეგობარ ვა-
ჟთან და მასთან დარჩა. როგორ არ ეცადა მამა, მაგრამ შვილი
ბრიტანეთიდან ეერ დააბრუნა.

ნოდარს ორი ვაჟი ჰყავდა და მათ შორის გრიგოლი გან-
საკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩეოდა. ბევრი სხვა კეთილი
თვისებითაც იყო იგი შემკული და, აღბათ, ამიტომ იყო, რომ
აღნიშვნელი თავის უკვე ყოფილ სიძეს გვერდიდან არ იცილებ-
და, შეიღივით უყვარდა.

მშრალი კანონი

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საჭიროებისათვის გვჭირდებოდა უცხოური ვალუტა, რომელიც საკავშირო საგვეგმო კომიტეტს უნდა გამოიყო. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარებ დიმიტრი ქართველიშვილმა სათანადო წერილი გადმომცა. შევხვდი საგვეგმო კომიტეტის თავმჯდომარეს ზურაბ ჩხეიძეს და დახმარება ვთხოვე. ვვ წერილი შენ გქონდეს, ხვალ მოსკოვში მივურინავ, შეც ჩამოდი და საგვეგმო კომიტეტში ერთად მივიდეთო — მითხრა.

გადავურინდი და ბატონ ზურაბს სასტუმროში დავურევე საგვეგმო კომიტეტი იქვე, ორიოდე ნაბიჯზე იყო (ახლა იმ შენობაში სახელმწიფო დამსახური) და სასტუმრო „მოსკოვიდან“ ფეხით გადავედით. თავმჯდომარის მოადგილემ, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა სტეპან სიტარიანმა თბილად მიგვიღო, წერილი წაიკითხა, რეზოლუცია დაადო და სამართველოს უფროსს ტელეფონზე დაურეკა, ამხანაგები მოვლენ და დააქმაყოფილეთო.

მაშინ მოელს ქვეყანაში მძვინვარებდა ლიგანივის „ექაზი“, რომელიც ალკოჰოლიანი სახმელების მოხმარებას მაქსიმალურად ზღუდავდა. ამ უგუნურმა და მოუფიქრებელმა ნაბიჯმა მთელი საბჭოეთის ეკონომიკას აუზაზღაურებელი ზარალი მიაყენა. ჩვენს მასპინძელს აინტერესებდა, რა მდგომარეობა იყო საქართველოში. პირუთვნელად ვუთხარით, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა, რომ საშიმროება შეექმნა მევენახეობის მთელ დარგს და გლეხი თუ ღვინოს აღარ დაწურავს, მაშინ ვაზსაც გაკაფავს. ღვინოს ის გასაყიდად კი არა, ძირითადად საკუთარი მოხმარებისთვის წურავს. ღვინო მისთვის ყველაფურია — ჭირიც და ლხინიც, მიმსელელიც და მომსელელიც, ქორწილიც და ძეობაც. ერთი სიტყვით, ცხოვრების წესია. გლეხ-



ებს ეკვე ჩამოართვეს არყოს სახდელი ქვაბები და იმულებული გახადეს, ჭაჭა გადაყარონ. ეს ზომ მისი ოჯახისთვის უდიდესი ზარალია...

მოგვისმინა და ძალიან აღშეფრთდა:

— Вино, мои дорогие, это же прекрасное средство для общения! Как можно грузинскому крестьянину запретить выращивание винограда! А чача! Это же не самогон — уникальный напиток!

ერთი სიტყვით, ამ გონიერმა ქაცმა თანაგრძნობა გამოგვიცადა.

მაგრამ, ვაი, რომ მისი ეს თანაგრძნობა საქმეს ვერ უშევლიდა!..

ხომ ასე კარგად მიგვიღო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილებ და ჩვენი თანდასწრებით სამმართველოს უფროსს მითითებაც მისცა, ამ უკანასკნელმა უფროსის დავალების შესრულებისგან მაინც თავი შეიკავა, მითხრა, „პოსმოტრიმზ“ და... ხელცარიელი გამომისტუმრა. მეორე დღეს ზურაბ ჩხეიძე თავის საქმეზე იყო წასული. იმულებული გავხდი ისევ შევსულიყავი სიტარიანთან. მაშინევ აიღო ყურმილი და ჯიუტ ზექვეთს არც მისალმებია, ძალიან მკაცრი ტონით უბრძანა:

— Немедлено выделите валютное средство Грузии, согласно моей резолюции! — პასუხს არც დაუცადა, ფურმილი ისე დაუკითდა.

ამის მერე პირველი კატეგორიის ვალუტის გამოყოფის საქითხი სწრაფად მოგვარდა.

სტეპან სიტარიანთან ჩემი ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა, მოგვიანებითაც შევხვდი ჩემი მეგობრის — ტუკი იაკობაშვილის ოჯახში. დამსწრეთ მოვუკეყი, როგორ დაგვეხმარა ის, და კველას თანდასწრებით კიდევ ურთხელ დიდი მაღლობა გადავუსადე.

საქართველოს მინისტრის მიზანი

იური ბატალინი – საბჭოთა კავშირის „სახმელებულის და მუნიციპალიტეტის მინისტრი“ საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო. საქართველოში მის ერთ სტუმრობას მინდა შევეხსრო. თბილისში, მშენებლობის სამინისტროში გვეწვია. რესპუბლიკის უძლელესი ზელმძღვანელობაც მოვიდა. დიდ სააქტო დარბაზში ძირითადად მშენებლობის ეკონომიკის საკითხები განვიხილეთ. ბატალინმა შემაჯამებელ სიტყვაში განაცხადა, რომ ჩვენი პრობლემების განხილვისა და გადაწყვეტისთვის მზად იყო. შევთანხმდით, რომ საგანვებოდ მოვემზადებოდი და მოსკოვში ჩაევიდოდი.

ყველა საკითხის სამოთხს წერილში გაერთიანება შეუძლებელი იყო, ამიტომ თერთმეტი წერილი მომზადდა! ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები წამოვწიეთ. მოსკოვში გამგზავრების წინ საქმის კურსში ჩავაყენე საქართველოს კომისარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სანდრო გლურჯიძე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ ლაბაზუა. ისინი კაპიტალურ მშენებლობას კურირებდნენ. ორივემ გამოიტქვა ჩემთან ერთად წამოსვლის სურვილი. საკავშირო „სახმელების“ აპარატში უკვე დარკვილი მქონდა, თანაშემწესთან დაკაშუსტე ბატალინთან შეხედრის დღე და საათი. სანამ ბატალინთან შევიდოდით, საკითხები ყველა სამსახურში წინასწარ განვიხილე, შევათანხმე, რეზოლუციის პროექტები მოვამზადე და სამსახურის ზელმძღვანელების ვაზებიც მივიღე.

ბატალინი კარგად შეგვხდა. ერთიმეორის მიყოლებით წარვუდგინე შესაბამის განყოფილებებში მომზადებული წერილები. ეს რომ ნახა, სიამოვნებით ჩაიღია და თქვა:

– თქვენ ყველაფერი მოვიმზადებიათ, მხოლოდ ზელმოწერადა დამჭირდება!

პირველი წერილი თავიდან ბოლომდე წაიკითხა მეორე



და შემძღვომი წერილები აღარ წაუკითხავს, მხოლოდ რეზონაცია
ლუციის ტექსტს კითხულობდა და ხელის აწერდა სიცოდურობის
გლურჯიძემ ფეხი გამკრა, აქაოდა თავი დაანებე, სირცხვილია,
ამდენს რომ აწუხებო. იგივეს მეუბნება ზურაბი.

— განა ამისთვის არ ჩამოვედით, რა არის სირცხვილი? —
კუპასუხე. ბატალინი მიხვდა და მათ მიმართა:

— დაანებეთ თავი! მან თავისი საქმე შესანიშნავად იცის!
წერილები ასე მაღალკვალიფიციურად წინასწარ მომზადებუ-
ლი რეზოლუციებით და სათანადო ვიზებით ბერი არ მინახავს
— სამსახურებთან ყველაფერი შეუთანხმებია. რეზოლუციის
პროექტებზე მათი ვიზებია. ამით მეც ძალიან გამიიღლდა
საქმე. გმაფლობთ! — შემომხედა და გამიღიმა.

ფაქტობრივად, ორივეს უსაყვედურა, ამ კაცს რას უწ-
ნითო!

ბატალინმა ყველა წერილს ხელი რომ მოაწერა, კიდევ
ერთხელ შემაქო. მერე კარამდე გამოგვიცა და ხელის ჩამორთ-
მევით დაგვემშვიდობა.

**«НЕ МЕСТО КРАСИТ ЧЕЛОВЕКА,
А ЧЕЛОВЕК – МЕСТО...»**

თური ქედიშვილის გათავისუფლების შემდეგ, მინისტრთა საბჭოს თაემჯედომარის მოადგილედ კაპიტალური მშენებლობის საკითხებში, ზურაბ ლაბახუა დანიშნეს – ადამიანი, რომელსაც მშენებლობისა არაფერი გაეგებოდა. ურთი უკიცი შეცვალეს მეორე უვიცით. ერთიც კაც- ეროვნული ნიმნით დაინიშნა და მეორეც. გრძნობდნენ რა თავიანთ ეროვნულ „უპირატესობას“ – ორივე ძალიან ამბიციური და პრეტენზიული იყო. არცერთმა ქართული ხომ არ იცოდა, საუბედუროდ არც მშობლიური ენის – ოსურისა და აფხაზურის გაეგებოდათ რამე. ასეთმა უგუნურმა საკადრო პოლიტიკამ დარგს სერიოზული ზიანი მიაყენა.

თური ქედიშვილის წინამორბედი, ეროვნებით აფხაზი – არქიპე მირონის ძე ლაბახუა არაჩვეულებრივი ადამიანი იყო – გამოცდილი სამთო მშენებელი, სამთო გენერალი, საქმიანი და გულისხმიერი ხელმძღვანელი, შესანიშნავი ორგანიზატორი, მართლაც მირონივით გაცი. მასთან მუშაობა სასამორენოც კი იყო. სამწუხაროდ, ზურაბ ლაბახუა მხოლოდ აღნავობით ჰქაედა წინამორბედს, სხვა – არაფრით. ხშირად ბიძად მოიხსენებდა მას, თუმცა, სინამდვილეში მისი ნათესავიც კი არ ყოფილა. ერთი გვარის და ერთი ეროვნების ეს ორი ადამიანი ურთიერთსაწინააღმდევო თვისებებით გამოიჩინდნენ. ამით ის მიჩნდა კოქეა, რომ ეროვნება აქ რა თქმა უნდა არაფერ შუაშია – ადამიანს, რასაც იყი იმსახურებს და რისი ღირსიც არის, ის ადგილი უნდა მოუჩინო...

– ძე ორი ნათლია მუკედა – ულამაზესი და უსათნოები თამარ გელოვანი და ალექსანდრე ლალიევი. ბატონი ალექსანდრე ეროვნებით ოსი, იყო ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კათედრის გამგე და გეოლოგის დეკანი. წლების მანძილზე



მუშაობდა საზღვარგარეთ, განლდათ უკეთილშობილესი, ყურადღებიანი, თავმდაბალი და მორწმუნე ადამიანი.

თური ქედიშვილი (ქედივე) სწორედ რომ მისი პირველი იყო... ზურაბ ლაპახუასავით, ისიც ეროვნებით სპეცუალისტებდა. ცხოვრებაში ობიექტურად არსებობენ ქარგი და ცუდი ადამიანები და ამას ვერსად წაუჰვალ... სამწუხაროდ, ხელისუფლება ამ ფაქტორს ხშირად უგულვაჭელყოფს ხოლმე და შედეგიც როგორც წესი არ აყოვნებს.

ზურაბ ლაპახუასთან თავიდანვე დამეძაბა ურთიერთობა. უხავ და უქმებ არაპროფესიონალთან მნელია გამოიტანო საერთო ენა.

ერთხელაც მოსკოვში, საკავშირო ფინანსთა სამინისტროში ვარ მიულინგბით ჩასული ჩემს სპეციალისტებთან ერთად. ემუშაობდით შენებლობის სამინისტროს მომავალი წლის ბოუგეტის პროექტზე. მოულოდნელად მოვიდნენ ზურაბ ლაპახუა და საქართველოს მაშინდელი ფინანსთა მინისტრი დემურ დვალიშვილი. მოკლედ მოვახსენე რაც ვავკეთეთ, რომ ზეალ ვასრულებდით მუშაობას ფინანსთა სამინისტროში, შემდეგ ვაგრძელებდით სახშენში და შენებანკში. გინდა თუ არა, კაპიტალური შენებლობის დაფინანსების და დაკრედიტების სამსართველოს უფროსთან შევიდეთო. ვუპასუხე, ნერწებებით, კველაფერს ვაგვარებ - მეთქმ. არც დემურს არ უნდოდა შესვლა, მაგრამ ზურაბმა დაისინა და მაინც შევედით. სამსართველოს უფროსმა მოუსმინა ლაპახუას, - შემდეგ მე მითხა:

- Как его величать?
- Зураб Акакиевич, - ვუპასუხე.
- მიმართა ორივეს სახელითა და მამის სახელით:
- Омар Александрович, в вашей помохи не нуждается, все наше управление с ним имеет прекрасное отношение. Мы с ним справляемся со всеми проблемами, другое дело с бюджетным управлением. Главное - чтобы они приняли



нами подготовленный проект, №ураама სოხოვა, იქნებ მც-
ვიდობ საბიუჯეტო სამსართველოს უფროსისათ,

— За одно и с ним познакомлюсь.

ანატოლი ბრეუენქო ტელეფუნით დაუკავშირდა საფინანსო-საბაზუაცეტო მთავარი სამმართველოს უფროსს, კოლეგიის წევრს კლადიმირ პანსკოვს. აუხსნა ვითარება და სთხოვა ჩეკინ მიღება. პანსკოვთან რომ შეკვეთი ის წამოდგა, ჩვენსკენ წამოვიდა, ვიცანი. ყველას ჩამოართვა ხელი ჩემთან რომ მოვიდა, დამიღლით წამოიძახა:

— Омар Александрович, это ты дорогой? — გადამებას.

გადავკოცნეთ ერთმანეთი, მოქუცერა. ყველა გაოცდა — თუ ასე კარგად იცნობდი, რას გვიმალავდიო? — გახარებული მყითხებოდნენ. ავესხენი, რომ აკადემიაში ერთად ვსწავლობდით. აკადემიის მერე ერთმანეთი არ გვინახავს, არც კი ვიცოდი ფინანსთა სამინისტროში თუ მუშაობდა.

მაგრამ მაგიდასთან, მეტობება, რამ შევაწუხაოთ?
ბრევენ კომ მოკლედ მოახსენა საქმის ვითარება და წინ დაუდო
ჩვენი ბიუჯეტის პროექტი, მან გადაწყვდა და მეტობება:

— Омар Александрович, с Вами все параметры согласованы? — Нет, не все. — Тогда что же вы хотите?

— Анатолий Васильевич, представьте, мы утвердим.

მარტი ზურაბს და დემირს მიძაროა;

— Вы, друзья, больше не беспокойтесь, он и Анатолий Васильевич напрямую будут работать со мной.

წამოღვა, კველას დაქმუდობა, მე კი ცოტახანს დატოვა
თავისთან. ჩემი ამბები გამომქითხა, — მესაუბრა და მაღვე
გამოვედი. გარეთ მელოდნენ ზურაბი და დემური. გავიდა დრო
და ვაღოდია პანსკოვი რუსეთის ფედერაციის ფინანსთა მინ-
ისტრი გახდა.

ამ ამბის მურე, მალე თბილისში საკავშირო საჩქრენის



თავმჯდომარის მოადგილე ლევ ზარუბკინი ჩამოვიდა აკადემიაში ერთად ვსწავლობდით და ვმეცვიძრობდით მნიშვნელობის ობიექტები, შეხვდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობას, ჩაატარა გაფართოებული შემაჯამებელი თათბირი – ყველგან ახლდა და გვერდიდან არ მოცილებია ზურაბ ლაბაზუა. ზურაბი მას ყოველ საღამოს სთხოვდა რესტორანში ევახშმათ, მაგრამ ის უარზე იყო.

ზარუბკინმა ერთხელ გვერდზე გამიყვანა და მეუბნება:

– Омар Александрович – с ним не хочу никуда идти, давай мы с тобой в серные бани махнем!

– Пожалуйста, – зевая на зев, – Только министр, Дамир Манджгаладзе, весьма положительный человек, мой друг тоже пойдет с нами, если ты не возражашь.

– Ради Бога! – дамთანხმდა.

გოგირდის აბანოში არაჩვეულებრივი სუფრა დაგვახვედრეს, სამნი ვიყავით. წვერ-ულვაშ გაბურძგნულმა თათარმა მექისემ ჩენი სტუმარი ხომ სულ გადარია, როცა იგი „ფეხ-ქვეშ მოიგდო“...სიამოვნებისგან კრუტუნებდა, ხმამაღლა ხარხარებდა და უსაზღვროდ ქმაყოფილი მაღლობას მიხდიდა.

ზურაბს დიდად არ ესიამოვნა ზარუბკინმა რამდენიმეჯერ უარი რომ უთხრა დაპატიჟებაზე და ამ დროს ჩემთან ერთად აბანოში წასვლაზე თვითონვე რომ გამოიტქვა სურვილი.

ამის მერე მისი თანდასწრებით კიდევ იყო რამდენიმე ანალოგიური შემთხვევა, როცა საგვარეულო კომიტეტში, სახმ-შენის და შენბანკის ხელმძღვანელებთან ჩემი პირადი ურთიერთობების წყალღობით, ოპერატიულად გადავწყვიტე საქმაოდ პრობლემური საკითხები. ზურაბი საკავშირო უწყებებში ჩემი კონტაქტებით გულწრფელად იყო აღფრთოვანებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მერე დაკარგე მოსკვნება. ჩემ ჩვეულ დაძაბულ სამუშაო გრაფიკიდან ხშირად მაგდებდა. დამირეკავდა სამსახურში ან საღამოს ბინაში: „ხეალ ერთად უნდა



გაცურინდეთ მოსკოვში” — და ჩამოიძიოთ გლიდა საკითხებს და საკავშირო უწყებებს — სად რა უნდა გადაგვეწყვიტა წუთზე და რვედი, რომ არ შეძებლო, ძალიან ბევრი საქმე მქონდა — და ამიტომ იქნებ გადაგვედო წასკლა. გავლინება არ უზღოდა და მეც იძულებული ვიყავი მასთან ერთად მოსკოვში, საკავშირო უწყებებში მევლო საკითხების გადასაწყვეტად.

საგულისხმოა ისიც, რომ ზურაბმა საცხოვრებელ სახლებზე ლოჯიების მიშენების ნებართვის გაცემით „გაითქვა სახელი“. მიწისძვრის დროს, სახლებს ასეთი ლოჯიები რომ ჩამოწერა, მის კისერზეა ეს ცოდვა.

ლოჯიების მიშენების საკითხი მან გამოიტანა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ტექნიკური საბჭოს სხდომაზე. მას ესწრებოდნენ სოსო ხარატიშვილი, ბოგდან ზატუაშვილი, ვივი გამყრელიძე, გურამ მირიანაშვილი, ლევან თოფურია და სხვები. გამოაქვს ეს საკითხი ლაპახუას და ამბობს, რომ ლოჯიებზე მიშენების ნება უნდა იქნას ნებადართული. არავინ ხმას არ იღებს. იძულებული გავსდი, ჩემი ამ საკითხისადმი დამოკიდებულება პირდაპირ მეთქვა.

— ეს საკითხი საბჭოზე რომ გამოგაქვთ, ის კერ სახშენს უნდა განეხილა.

— სახშენმა განიხილა და მხარს გვიჰერსო, — მომიჭრა ლაბაზუამ.

— მაშინ მე ჩემს აზრს მოგახსენებთ, — არ დავიხიე უკან, რადგან გატყობ, არავინ არაფრის თქმას არ აპირებდა, — მიმაჩნდა, რომ პრინციპულად არ უნდა დავროოთ ნება. ჩვენ სამშენებლო კომპლექსს ეკისახურებით და ჩეენზე უკეთ არავინ იცის, რა ძლიომარუბაა დაპროექტების თუ სამშენებლო რესურსებით უზრუნველყოფის საქმეში. ვინ უნდა დააპროექტოს ეს ლოჯიები, თუ პროექტის გარეშე გინდათ აშენოთ?! რესპუბლიკაში არ გვყოფნის სიმბლაურები, ძირითადი ჩვენი პროგრამა რომ შევასრულოთ, არ გვყოფნის მუშაბელი, ტრანსპორტი, მექანიზმები, მასალები... არ გვყოფნის კი იმიტომ, რომ

პროგრამა არის გაცილებით დიდი, ვიდრე ჩვენი სიმბლაკონი. ბია რეალურად. ყველა მასალა მკაცრად არის ფონდირექტორული სად უნდა იშოვონ ღოჯიების შენებლობით დაინტერესისტუციის მიერა ადამიანებმა საჭირო რესურსები? ეს ფაქტორები განაპირობებენ ჩემს უარყოფით პოზიციას, — თუ ნებას დართავთ, დაიწყება ვაქხანალია: უსახური პროექტების კეთება, მასალების მოპარვა, მუშახელის გადამიტუბა, ტრანსპორტისა და სამშენებლო მექანიზმების პარტიზანული ექსპლუატაცია. რაც მოვარია, ეს უმსგავსო ღოჯიები დაამახინჯებს ჩვენს ქალაქებს.

ყველამ დამიტირა მხარი.

ჩაუვარდა ლაბაზუას ეს „ინიციატივა“. თუმცა უკან არ დაიხინა და როგორც კი გაიგო, რომ მივლინებაში ვიყავი, კვლავ სასწრავოდ გამოიტანა ივივე საკითხი და საბჭოს მიაღწინა კიდეც მისთვის სასურველი გადაწყვეტილება.

ჩამოვედი მივლინებიდან, გაეიგე ეს ყველაფერი და მივედი ზურაბთან:

— რატომ მიიღეთ ეს არასწორი გადაწყვეტილება? — ვეკითხები...

— Я вас прошу, поймите правильно — мишаешься, — миნდа ჩემს ამ თანამდებობაზე დარჩენა, ამ ნებართვით კი ეროვნული მოძრაობის ღიდერების უკუს მოვიგებო...

ზურაბ ლაბაზუას, ცნადია, ეს კარიერისტული განზრაზვა ჩაეშალა: ვერავის გული, რა თქმა უნდა ვერ მოიგო. სამაგიეროდ, მისი ინიციატივით მიღებულმა ღოვეუმენტმა დასაბამი მისცა იმ აღვირასხინილ, სრულიად უკონტროლო მიშენება-დაშენების ბუმს, რომელმაც დაამახინჯა ისედაც მდარე ხარისხით ნაგები საცხოვრებელი სახლები თბილისში და მოედ საქართველოში. ამას კი შედეგად მოჰყვა უხარისხო კონსტრუქციების რღვევა და მსხვერპლი. სამწუხაროდ, არ მეგულება კომპლექსურ ღონისძიებათა ისეთი მექანიზმი, რომლის რეალიზაცია მოაწესრიგებდა ამ უგუნურიბით გამოწვეულ საერალო შედევებს.



ეს ამბავი ერთი შტრიხია იმ კაცის პორტრეტის წარმოსადგენად, რომელიც საქართველოს მთავრობაში მუნიციპალიტეტის გრამ ყველა „სიკეთესთან“ ერთად ქართული არ იცოდა.

ბოლო პერიოდში თითქოს მოინდომა ენის სწავლა. ერთხელ მის მაგიდაზე ფურნალი „ნიანგი“ შევნიშნე. რად გინდა ეგ ფურნალი-მეთქი, რომ ვკითხე, მიჰასუხა: ქართულს ვსწავ-ლობო(?!).

საერთოდ კი ქართულის ცოდნა მშენებლობის სისტემაში პრობლემა იყო. საქმის წარმოება, მიმოწერა – რუსულად წარმოებდა. წარმოუდგენელ ამბავს მოგანსხვნებთ: მთელს ჩვენს სისტემაში ერთი ქართული საბეჭდი მანქანაც კი არ გვქონდა. ამიტომ იყო, რომ ქართული ენის შემსწავლელი მოკლევადი-ანი კურსები ჩაძოვაყალიბე სამინისტროში, მათ კარგი სპე-ციალისტები უძლვებოდნენ და შედეგმაც არ დააყოვნა...

ღმერთს პატივებას ვთხოვ, მიცვალებულზე რომ აუგს ვლა-პარაკობ, მაგრამ ოდესიდაც ერთხელ მაინც ზომ უნდა ითქვას სიმართლე.

0820008 ნგრევის მსხვერპლი - ბორის აღლუმია

ბორის აღლუმია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა მე რომ გაყიცანი. მაშინ მაღნეულის მშენებლობის უფროსი ვიყავი. ვრთხელ ბოლნისში, აქტივის კრებაზე სიტყვით რომ გამოვედი, შესენებაზე ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა, ლამაზი კაცი და ღიმილით მომესალმა. ჩემს შერის დიდი ასაკობრივი სხეაობა არ იგრძნობოდა - თანატოლებივით ვიყავით. აღბათ ამანაც განაპირობა ის რომ იმ წუთიდანვე გულობილი და ლალი ურთიერობა ჩამოვიყალიბდა.

ის ჯერ ოჩამჩირის რაიკომის პირველ მდივნად დანიშნეს, მოგვადანგათ კი ტყვარჩელში ქალაქებრიში პირველ მდივნად გადაიყვანეს. მე იმ ხანად „საქმახტმშენის“ მმართველად დამაწინაურეს და ბუნებრივია, ტყვარჩელში ხშირად მიხდებოდა ჩასვლა. ჩენი ნაძვილი მეგობრობაც იქიდან დაიწყო.

ტყვარჩელში მრავალ ობიექტს ვამენებდით - ქანახშირის ჟანტებს, წყალსადენს, საბაგირო გზას, საწარმოებს, განათლებისა და ჯანმრთელობის ობიექტებს, საცხოვრებელ სახლებს... ურთი სიტყვით, ყველაფერს, რაც მიწის ზემოთ თუ მიწის ქვემოთ იყო.

სხეათაშორის, ტყვარჩელში, მიწის ქეეშ, ქვანახშირის დე-მონტირებელი ამწე მანქანის გამონამუშევრში პიღროელექტროსადგური ავაშენეთ, დავამონტაჟეთ და გავუშვით ექსპლუატაციაში. ეს იყო საბჭოთა კავშირში პირველი მიწისქეეშა ჰქინი - თითქმის 1000 მეტრ სიღრმეზე მდებარე ურთულესი პიღრო-ნაგებობა. მიწისქეეშა დარბაზის - გამონამუშევრის მოცულობა, სადაც ტურბინები, ავრეგატები, ზიდურა ამწე და დანადგარები დამონტაჟდა, მოცულობით დაახლოებით რუსთაველის თეატრის დარბაზის ხელა იყო.

როცა რაიმე მიზეზით ტყვარჩელში ჩასვლა დამაგვანდებოდა, ბორისი არ დაყოვნებდა და დამირეკავდა:



— იმარ ალექსანდროვიჩ, ტეირუასო, რატომ დაგვიფიცებული
ჩამოდით, თქვენთან საუბარი მომენატრაო, — მეტყოდშვილი კი უკა
— ცოტა მადროვეეთ და უთურდ გაწვევით-მეთქი, მაგრა ეს კი მოუთმენლად შეძაწყვეტილება:

— კაცო, რომ გეუბნები ჩამოდი! ჩეხური ღუდი ჩამოგვიკ-
იდა ალუმინის კასრებით! ერთ რამედ ღირს! ხომ ვიცი, მანდ
ეს ღეფიციტია.

ჭარგად ვიცოდი მისი ხასიათი — საქმეს არახოდეს ღალა-
ტობდა, მაგრამ ძალას უყვარდა ცივი, ჭაფქაფა ღუდიც და
დროსტარებაც. მაშინ არც წასვლა ჭირდა და არც წამოსვლა,
თანაც იქ უამრავი საქმე მიხმობდა...

სამდვილად დიდი საქმე კეთდებოდა! სანამ იბიჯტებს მოვ-
ინაზულებდი და ხელქვეითებს სათანადო მითითებებს მიუკეტ-
დი, ბორისი პურ-მარილშე იზრუნებდა ხოლმე. მის სუფრას,
რომ იტყვიან, ჩიტის რძეც არ აკლდა, მაგრამ მისი გვარგვინი
მაინც ღუდი და ნაირნაირი თვეზეული იყო.

გვინათ, ამით ამოწურებოდა მასპინძლის ფანტაზია?
ყოფილა შემთხვევა, ოჩამჩირებდე გამოუცილებივარ. მაშინ
ტყვარჩელიდან თრად-თრი ვაგონი მოძრაობდა ოჩამჩირებდე,
ერთი ეწ. „CB“, ხოლო მეორე — საერთო.

პოდა, აი, ავდივარ „CB“-ში. ბორისიც ფეხდაფეხ მო-
მყვება. შევდივართ კუპეში, იქ კი სუფრაა გამლილი! თრი
საათია ჩვენს განკარგულებაში. სიყვარულსა და მეგობრობას
ვეუიცებოდით ერთმანეთს. ტყვარჩელიდან ოჩამჩირებდე ასე
ვმგზავრობდით, მერე ჩვენს ვაგონებს „ხოსუმი-თბილისის“ მა-
ტარებელს მოუბამდნენ. ადლეიბა ამის შემდეგ ჩადიოდა ვაგო-
ნიდან. მერე დიდხანს იდგა ბაქანზე და ხელს მიქწევდა. როცა
ჩემი ვაგონი თვალს მიეფარებოდა, მაშინ კლებოდა მანქანაში
და ტყვარჩელში ბრუნდებოდა...

ეს გულითადი და უანგარო ურთიერთობა არც მაშინ შეწ-
ყვეტილა, როცა კერ აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯ-
დომარის პირველ მოადგილედ, შემდეგ საოლქო ქოშიტეტის



პირველ მდივნად გადაიყვანეს. საქართველოს კომპარტიის ცენტრული
ტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი გურაშვილი
ჭოველ სამშაბათს უხდებოდა თბილისში ჩამოსელა, ბიუროს
სხდომებზე. მეც ხან აეროპორტში ვწვდებოდი, ხან - ცეკაში.
ხუმრობით მსაყველურობდა, მე რომ არ ვნახო, შენ არ უნდა
გამიხსენოო?

საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად შესანიშნავი ადამიანი
ლორიკ მარშანია მუშაობდა - აფხაზთა უძეველესი და უთვალ-
საჩინოესი გვარის წარმომადგენელი. სოხუმში მეგულებოდნენ
აგრეთვე ჩემი თბილისელი მეგობრები ოთარ ზუბაა, ვილი
აღავიძე, ავთანდილ საყვარელიძე, რეზო სალუქაძე, ნაპო-
ლეონ ქარქაშაძე, ჯემალ ბერიძე...

ასე რომ, ოდესაც დაწყებული მეგობრობა ახალ ფაზაში
შედიოდა. მოახლოვდებოდა ზაფხული და ატყდებოდა ტელე-
ფონის რეკვა:

- რას აპირებ, ზაფხულს სად ატარებო? ნუთუ არ
გვეწვევიო? ჩამოიყვანე ცოლ-შვილი და ჩამოდი! სად გინდა?
ბიჭვინთაში? იყოს ბიჭვინთა! პირდაპირ გაგრის ქალაქომის
პირველ მდივანთან მიხვალ, საქმის კურსში იქნებაო...

- ოთხნი გართ, ბორის, ოთხნი!
- დექროთმა გამრავლოთო! ოთხნი ხართ და ოთხნი ჩამოხ-
ვალთ, რა დიდი პრობლემა ვე არისო!

მიწვევა მივიღე და აი, უკვე გაგრაში ვარ. ცოლი-შვილს
აეტომანქანაში უტოვებ და ქალაქერომში ავდივარ. მდივანი
გოგონა ღიმილით მხედება და მეუბნება, რა ხანია, ბორის
ადლებია გიცდით, სოხუმიდან დილით ჩამოვიდა თქვენთან
შესახვედრად. შებრძანდით, გელოდებათო.

მართლაც რომ საოცარი კაცია!

გაგრის ქალაქომის პირველი მდივნის ასტიკო გვარამიას
კაბინეტში შევვდი თუ არა, ბორისი სკამიდან წამოიჭრა და
გადამეხვიდა. ასე გულითადად მხოლოდ უახლოეს ადამიანებს
უვებდან! არანაირი პოზიციონიბა, არანაირი ძალდატანება! აი,

ასეთია ნამდვილი აუხაზური მეცნიერობა და სტუმართმეციფრული რეაბილიტაციის მიერალებობა!

ნოდარ დუმბაძე გვარამიას რომ შეხვდებოდა „დრონსტრიქონ“ მიესაღმებოდა.

— ვიფაიქრე, რა ვიცი, ყველაფერი ხდება და თავი დავიზღვიე, დილით ჩამოვედი სოხუმიდან შენს შესახვედრად. ბასილაძა სად არის? — მოიკითხა ბიჭვინთის ქომპლექსის დირექტორი.

შემოვიდა ბასილაძა. ადლეიბამ ჩემი თავი წარუდგინა. რუსულად ვსაუბრობდით — ადლეიბას ქართული ესმოდა, მაგრამ ლაპარაკი უჭირდა. აღმოჩნდა, რომ ჩემი და ჩემი ოჯახის დასახვედრად ყველაფერი მოემზადებინათ...

ღია ფანჯრებიდან ბავშვების ხმა შემომესმა და ფანჯარასთან მივედი. ბორისიც გვერდში ამომიდგა.

— რაშია საქმე? ესენი არიან შენები?

ბასილაძა შეწუხდა: როგორც გაირკვა, თურმე, თექვსმეტ წლიამდე ასაკის მოზარდებს ბიჭვინთის კომპლექსში არ იღებენ — ასეთი ყოფილა მოსკოვის ნება. ჩემი შეიღები კი მხოლოდ ოთხი-ხუთი წლისანი იყვნენ...

მაგრამ აკი ნათქამია „თუ გული გულობს, ქადა რიც ხელით იჭმევაო...“ მოგვაწყებს და ერთმანეთის გვერდით რიც შშექნიერი ნომერიც გამოგვიყვეს. აივნებიდან ზღვის განუმეორებელი პეიზაჟი მოჩანდა. მის ცქერას არაფერი სჯობდა. რა ღვთის უტე, რა სილამაზე და შშევნიერება დავკარგეთ! საუბედუროდ, საქართველოს ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა ეს არ იცის! ან საიდან ეცოდინება, როცა, აგრე უკკე რც წელზე მეტია, აუხაზეთის ლაფვარდოვან სანაპიროზე ქართველ ჟაცს ფეხი არ დაუდგაში...

ყოველ საღამოს გაიხსნებოდა ხოლმე სამთავრობო აგარაკის მწვანე ჭიშკარი, რომელიც ჩვენს ტერიტორიას ესაზღვრუბოდა და თავისი სიძის — აკადემიკოს ჯერმენ გვიმზინის თანხლებით ჩვენსკენ მოსეირნობდა მოკლესახელოებიან პერანგში და



სპორტულ ფეხსაცმელებში გამოწყობილი აღნევის ნიკოლოზის ძე ქოსიგინი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს სამსახურის დომარე, ქოსიგინი დამსვენებლებს გულთბილად უღიძლივა და ესალმებოდა, ხალხსაც სიამორნებდა მასთან შეზედრა. ზოგი ხელსაც ართმევდა. მხუბუქად ჩატყული ოთხი დაცვის მუშაკი, რომელებიც მხოლოდ ტელეფონის სპეციალური აპარატებით იყენებ აღჭურვილნი, შორისახლოს შეუმჩნევლად მისდევდნენ, ახლანდელი პოლიტიკური ლიდერების დაცვის მუშაკებისგან განსხვავებით.

სრული თავისუფლება და კომუნისტი სუფელდა. ერთი ვე იყო, ბასილააბა მირეკავდა ხშირად, ხომ არაფერი გჭირდებათ. არადა, რა უნდა დამჭირვებოდა? არც ცივი ჩეხური ლუდი მაკლდა და არც მარცვლოვანი შავი ხიზილალა! შეიძლება თამამად ვთქვა, რომ ასეთი უზრუნველი და ბეჭისერი ჩემს სიცოცხლეში ხშირად არ ვყოფილვარ...

„წოპე“ – ვახტანგ ხუციძე, საქართველოში პლასტიკური ქირურგის მამამთავარი, ფოველ დილით გვთავაზობდა აღუშინის მავთულზე წამოცმულ, ცხლად შებოლლილ მუქ ღქროსსუერ სტაჟირიდას, რომელიც იმ დილით დაუჭირათ მეთევზებს. მე ბასილააბას გამოგზავნილი ჩეხური ლუდი მქონდა მაცივარში ჩაციებული – და ასე ვნეტარებდით!

გავიდა დრო. ქვეყანაში უკვე მწიფებოდა დრამატული მოვლენები. ლიხნის ამბებმა ყველას თავზარი დაგეცა. იქ შეერებაზე მიიღეს რეზოლუცია საქართველოსგან აუხაზეთის გამოყოფის შესახებ. იმ საბედისწერო წერილს ჩემი მეგობარი, პარტიის აუხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბორის ადლეიბაც აწერდა ხელს. ეს ჩემთვის, და არა მარტო ჩემთვის, მართლაც შოკისმომეგრელი იყო: აյდ ყველამ ვიცოდით ადლეიბას პოზიცია, მისი ქართული ორიენტაცია! და უცებ – ისიც იმათ შორის არის, ვინც საქართველოსაგან აუხაზეთის გამოყოფას ითხოვს!

ადლეიბა გადადგა. მას საქართველოში აღარ ედგომება



და მოსკოვში მიდის. ამის შემდეგ ჩვენი გზები დიდი ხნით გაიყარა. არ ვიცი, ის რას გრძნობდა, მე კი ყოველთვის მატერიალდა მისი გულიანი ღიამილი და ყურში ჩამესმოდა „სატრ წარ, ომარ, ჩამოდი, ძალიან მომენატრე!“

და აი, მიელინებით მოსკოვში ვარ. იმ დღის საქმეები მოვილიე და საღამოს სასტუმრო „მოსკოვში“ დავბრუნდი. მორიგემ ტელეფონის ნომერი დამახვედრა, დარცეკოთ. დავრეკში ზურაბ ლაპახუამ მიპასუხა. ვიციდი, იმზანად ისიც მოსკოვში იმყოფებოდა და ჩემს სასტუმროში ცხოვრობდა. მითხრა, სტუმრები მყავს და ახლავე ჩემთან მოდიო. მასთან რამდენიმე ნაცნობი დამხვდა, მათ შორის იყო არქიტექტორთა კავშირის თამაჯველომარე იური პლატონოვი, რომელსაც პირადად ვიცნობდი. ორიოდე უცნობიც.

რაც მთავარია დამხვდა... ბორის ადლეიბა, საქართველოდან ასე გაუჩინარებული ჩემი მრავალი წლის მევობარი! გადამესვია და გადამეოცნა.

ეტყობა, ჩემთან განმარტოებით საუბარი სურდა... ხელი გამომდო და საძინებელ ოთახში გამიყვანა. ჩამოვსხედით.

— ვიცი, საქართველოში ჩემზე ათასი სიბინძურე გაავრცელეს, მოღალატე მიწოდეს. ღმერთმა ხომ იცის, მოღალატე რომ არ ვარ! აფხაზმა უხუცესებმა აუტანელ დღეში ჩამაგლეს, ყველა გზა მომიჭრეს, არჩევანის საშუალება წამართვეს. ლიხნის წერილზე ხელი რომ არ მომეწერა, ოჯახს, მთელ სანათესაოს შევი დღე გაუთვალიშოდა... იმიტომაც გადავდექი და წამოიედი... ხომ გესმის ჩემი? წელიწადია, სამსახურს მიირდებიან, მაგრამ დღესაც უმუშევარი ვარ. ძალიან მტკიცა გული, ასე რომ მოხდა. მთელი არსებით მიუვარს საქართველო, იქაური მეგობრები და რა გამოეიდა? ჩამოსასვლელი პირი აღარ მაქვს... თავის დროზე მე შევთავაზე ქართველ დეპუტატებს და პლენუმის წევრებს, ექსცენტრული და მოსკოვიდან მართული არძინბა შეართველობას რომ ჩამოეცილებინათ, ვიცოდი რომ ის უკიდურესად დაძაბავდა ურთიერთობებს და აფხაზეთში

ვითარებას სისხლისღრამდე მიიყანდა, მაგრამ სამწუხაოდ, ქართველმა დეპუტატებმა და პლენუმის წევრმა ქართველებმაც ჩემი წინადაღება ფეხებზე დაიკიდეს.

რა უნდა მეტქა? როგორც შემეძლო ვანუგეშვ, მხარზე ხელი მოვუთათუნე? სამინებელში საქმაოდ ბნელოდა, მაგრამ ვერძნობდი, თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე. მურე თახი-დან ზურაბი გვიყვირის, რა დაგემართათ, ახლავე გამოიღიო. პასუხი რომ ვერ მიიღო, თვითონ შემოვიდა და სინათლე აანთო.

— ბორის ვიქტოროვიჩ, რა დაგემართა, ასეთი არასოდეს მინანიხარ! — იყვირა მან.

შევხედე აფლეიბას: მართლაც ტიროდა კაცი! ზურაბს ვთხოვე, მარტო დაგეტოვე, დაუამშევილქბ და კრთად გამოვ-ალო-მეტქი.

ახლაც გულწრფელი იყო ჩემი მეგობარი: თანამდებობას კი არა, სამშობლოს მასტიროდა. ის ხომ ვითარებამ აქცია განტევების ვაცად. მან ისიც კარგად იცოდა, რომ მომა-ვალი არანაირ სიკეთეს არ გვპირდებოდა და გულს ეს უფრო უქლავდა.

ვაი, რომ შეველა არც მე შემეძლო...

ამის შემდეგ ბორის ადლეიბა აღარ მინახავს. მისი გარ-დაცვალება დაგვიანებით შემატყობინეს, ომი ახალი დამთავრე-ბული იყო.

ზოგადი პრიგნოსტი

ერთ დროს იუნიკოს პარიზის შტაბინაში საბჭოთა კავკა-
შირის მუდმივ წარმომადგენლად მუშაობდა ჩემი მეცნიერი
კლადიმერ ლომეიკო. მართლაც არაჩეულებრივი ადამიანი.

დიდებული მეუღლე ჰყავდა – ოლგა სერგეევნა. იქ ჩა-
სულს აუცილებლად მიწვევდნენ თავის მშენიერ უზარმაზარ
ბინაში, რომელიც განთავსებული იყო დიდი შენობის ბოლო
სართულზე, ვიქტორ პიუგოს ქუჩაზე, საიდანაც პარიზის უმშ-
ენიერები ხედები იშლებოდა. პქონდათ როგორც ზაფხულის,
ისე ზამთრის ბალი იშვაიათი მცენარეებითა და კვავილნარით.
კლადიმერი თბილისშიც მსტუმრობდა. დიდი ავტო-
რიტეტით სარგებლობდა „იუნიკოში“. ახალგაზრდობიდან
მეცნიერილობდა კდუარდ შეკარდაბესთან, ოთარ ჩერქეზიასთან,
სოლიკო საბერძენილთან, გოგი ანდრონიკაშვილთან....

ერთხელაც პარიზიდან მირეკავს კლადიმერ ლომეიკო:

– ომარ ალექსანდროვიჩ, სათხოვარი მაქვს და იმედია
უარს არ მეტყველ. ჩემს შვედ მეცნიერ ბიზნესმენს ფოთის
გემთმშენებელ ქარხანაში დამზადებული კატარდა უნახას,
ძალიან მოსწონებდა, შეძენა კი ვერ მოუხერხებდა. უთქამთ,
წელიწადში მხოლოდ ოთხ ცალს ვამზადებთ, ისიც – უცხო-
ელთა წინასწარი შეკვეთით, ახლა ხელშეკრულებები უკვე
გაუორმებულია, წლევანდელი დაკვეთების პორტფელი შეჩვე
დახურულია და თქვენს სურვილს ვერ დავაკმაყოფილებთო.
იქნებ დავეხმაროთ ჩემს მეცნიერს? – მითხრა მან.

თხოვნა როგორი და მოუღილენელი იყო. რა შემეძლო?
გავიკითხ-გამოეიკითხავ და პასუხს შეგატყობინებ-მეთქი-ვუ-
პასუხე.

ამ დროს შექმნებლობის მინისტრის მოადგილე ვიყავი. ბე-
დად, სწორედ იმ გემთმშენებელი ქარხნის რეკონსტრუქციაზე
ვმუშაობდით. რეკონსტრუქციას საქართველოს კომპარტიის



ცენტრალური კომიტეტის მდივანი, არაჩვეულებრივი პიროვნეული ბაბა, კეთილსინდისიერი და გარეგნობითაც გამორჩეულია თუავა ზურაბ ჩხეიძე ქურილებდა ჩვენ წმირად ერთად თვითმურინავ ქკ-ის „სალონით“ მივურნავდით მის საკურატორო ობიექტებზე. ფოთში ერთ-ერთი ვაზიტის დროს ქარხნის დირექტორს დანიელ მაღალაშვილს, ფრიად საქმიანი რეპუტაციის კაცსა და კარგ ორგანიზატორს გაყიდე — ასეთი თხოვნაა და როგორ მოვიქცე მეთქი. მითხრა, მაღვე შეგეხმიანებითო. რამოდენიმე დღეში დამირეკა და მკონა, იმ უცხოელს სად და როგორის შეეძლება ჩამობრძანება, ხმს მთავარ ინფინერს რომ შეახვე-დროთ მოსალაპარაკებლად.

იმ დამესვე დაურეცე ლადიმერ ლომეიკოს. შევთანხმდით, რომ მოსკოვში, საქართველოს წარმომადგენლობაში შევხედებოდით ერთმანეთს. თებერვალი იყო. დათქმულ დღეს პარიზიდან მოსკოვში ჩამოვიდნენ კლავიშერ ლომეიკო, ავთანდილ ქორიძე და ის შევდი ბიზნესმენი. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოში საქართველოს მთავრობის მუდმივმა წარმომადგენელმა ნოდარ მექმარიაშვილმა შესანიშნავი აპარტამენტი გამოგეიყო. შემოგეირთდა მაღალაშვილის წარმომადგენელიც — დაბალი, ზომაზე მეტად შავერემანი მამაკაცი — გული კიზირია. მისი პრივატული პაბიტუსის დანახვაზე შვერუხდი, ამან რა საკითხი უნდა გადამიწყიტოს-მეთქი. ცოტას ლაპარაკობდა, თანაც — გამოკვეთილი მვრცელი კილოთი.

რატომდაც დარწმუნებულის, რომ მაღალაშვილის კაცს მხრლოდ ქართული ეცოდნებოდა, ლომეიკოს იუნესკოს თანამშრომელი და ჩემი მეგობარი ავთანდილ ქორიძე თარჯიშნად წამოუყენია. ლომეიკომ გამოგვიცხადა, ფრანგულად ავთანდილი გვითარებისთვის.

გული კიზირია შეიშუშნა.

- რაშია საქმე, რესულად ხომ არ გირჩვნიათ ლაპარაკი?
- ვქითხე.
 - მე, ბატონო, ნებისმიერ ენაზე შემიძლია თქვენთან

საუბარი, — სუფთა, უაქცენტო რუსულით უპასუხა კიზირიამ
ლომეიკოს.

ლომეიკო შეცდა, ჩვენც გავვოცდით.

— რა, ფრანგული იცით? — გაკერვებულმა პკითხე.

— ხომ გითხარით, ამათ როგორც სურთ მეც იმ ენაზე
დაველაპარაკები, გნებავთ ფრანგულად, გნებავთ ინგლისურა-
დო, — მომივო ჩიქორითული ქართულით.

— Ну и маладец! — აღტაცება ვერ დამალა ლომეიკომ, —
მაშინ, მოდით, ფრანგულად კილაპარაკოთო.

კიზირია სუფთა ფრანგულით აღაპარაკდა. წელში გა-
ვიმართე, ეს კაცი ჩემს თვალში უეცრად ამაღლდა! მან
ქარხანაზე მოკლე ინფორმაცია მოგვაწოდა. გაირკვა, რომ მხ-
ოლიდ ინდივიდუალურ დაკვეთებზე მუშაობდნენ და თავიანთ
პროდუქციას კაპიტალისტურ ქვეყნებში მხოლოდ პირველი
კატეგორიის ვალუტაზე ყიდდნენ. პროდუქციის რაოდენობაც
ძალიან შეზღუდული იყო — წელიწადში ოთხი კატარიდა „აღ-
ბატროსი“ წყალქვეშა ფრთვებზე.

— ვინაიდან ეს ბატონი ომარის თხოვნაა, ჩვენ კი მას დიდ
პატივს ვცემთ, ქარხნის ხელმძღვანელობამ გამონახა შიდა
რეზერვები და გემთმშენებელი სამინისტროს დახმარებით და
ნებართვით დამატებითი კატარიდის გამოშვება გადაწყვიტა.
მოსაპირეთებელ მასალაზე დამატებით მოვილაპარაკებთ...

შვებით ამოვისუნთქეთ.

შვედი სტუმარი წამოიდგა, დიდი მაღლობა გადავვინადა
და „ჰამერ-ცენტრში“ საღილზე დაგვპატია. ყველანი წაკულით
კიზირიას გარდა, სამინისტროში ბევრი საქმე მაქვს და უნდა
მიეხედოთ, ბოლიში მოგვიხადა, დაგვემშვიდობა და წავიდა. ამ
უაღრესად საქმიანობა, დიდია პროფესიონალია და ღირსულმა
ადამიანმა ყველა ჩვენგანზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

იმ პერიოდში „ჰამერ-ცენტრი“ ყველაზე პრესტიულ სას-
ტუმროდ ითვლებოდა თავისი მრავალი რესტორნით, კაფეებითა
და ბარებით, საკონცერტო, საკონფერენციო და საგამოფენო



დარბაზებით... კიდრე მის ერთ-ერთ რესტორანში სადილს მო-
გამთავრებდით, ჩეუნთვის მოულოდნელი პატარა „უსურიაზული“
მოხდა: ეეცრად დარბაზში ქარივით შემოიჭრა ახალგაზისთვის
ლამაზი ქალბატონი, შვედ სტუმარს ზურგიდან მიეპარა და
თვალებზე ხელები ააფარა. ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ ხდე-
ბოდა და ბუნებრივია გამიკვირდა. აღმოჩნდა, რომ ქალბატონი
შვედის მეუღლე იყო, ეროვნებით რუსი. მოსკოვში ჩამოსვ-
ლისას ის ბიზნესმენს თურმე თარჯიმნობას უწევდა. არც თუ
ახალგაზრდა შვედის გული დაუპყრია... დაქორწინებულან და
ბავშვიც შეძენიათ.

რაც „ალბატროსის“ შესახებ გიამბეთ, მეგობრობის
მაღალმა შევნებამ და მეგობართა უანგარო დახმარებამ შემა-
ძლებინა!

არაშემდგარი პავარაცი

რომელი წელი იყო, ზუსტად ვერ ვიხსენებ, ნიუტონები განძლივით მუდლებით ერთად, ჩვენთან ერთად იყვნენ ჩემი ქოლეგები - მერაბ ნიკოლაიშვილი, სოსო ხარატიშვილი, შოთა ლომიძე, თემურ ლოლობერიძე და სხვები.

მე და ჩემი მუდლები რესტორანში დაგვატიდა ძველმა მეგობარმა სოსო დოლიძემ (ის დღესაც შტატებში ცხოვრობს და მოღვაწეობს).

რესტორანი რესული იყო - „Русский Самовар“. დავსხვდით თუ არა, მისი დირექტორი გამოჩნდა. სოსოს ნაცნობი ყოფილა. გულთბილად მიგვიღო, ნებისმიერი სურვილის შესრულებას და კარგ მომსახურებას დაგვპირდა. ბარებ ახლავე ვიტვი, რომ სიტყვა არ გაუტეხია და ყურადღება არ მოუკლია... ასე რომ შესანიშნავი დრო გავატარეთ.

ახალი დამსხვრები ვიყვით, როცა მოულოდნელად თავზე წამოგვადგა ჟენია ვეტერენქო, გამოჩენილი რესი პოეტი. სოსოს გადაეხვია და მოიკითხა. ბუნებრივია, ჩვენც გაგვეცნო, სუფრასთან მოვიწვით, სიამოუნებით დაგვთანხმდა და საკუთარი ინიციატივით წარმოსთვეა რამდენიმე სადლებრძელო საქართველოსი, ქართველი ხალხისა, მეგობარი პოეტებისა, ვისთან ურთიერთობის თითოეული წუთიც კი მას თურმე ნაძღვილ ბეჭინერებად მიაჩნდა.

- ვამაყობ ჩემი ქართველი თანამოქალამებით. რესი და ქართველი პოეტების მეგობრობა, თანაც არა ერთი თაობისა, უნიკალური მოვლენა და მისაბაბი მაგალითია საერთოდ ადამიანთა ურთიერთობაშიო, - აღნიშნა მან.

საინტერესოა, დღეს რას იტყოდა ვეგენი ვეტერენქო, ერთ დროს საქართველოზე „უზომოღ“ შეყვარებული კაცი, იმ ურთიერთდაპირისპირებაზე, რაც რესერსა და საქართველოს შორის „შამოწვა“ პოლიტიკოსთა უაზრო ამბიციების გამო?

ამ დაპირისპირებაზე სიტყვა იმიტომ ჩამოვავდე, რომ უ-



ნია სულ ახალი წასული იყო, როცა ჩვენს სუფრასთან მეტ-იღდა მაღალი, ხმელ-ხმელი, შავგვერემანი პიროვნება, ჰირმეტები დღეს საქართველო-რუსეთის გამწვავებული სახელმწიფო ბრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. ეს განლდათ სერგეი ლავროვი, რუსეთის საგარეო საქმეთა ახლანდელი მინისტრი, მაშინ კი ამ ქვეყნის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ლავროვიც სოსოს კარგი მეგობარი აღმოჩნდა, რა თქმა უნდა მოიპატავა და სკამი შესთავაზა. ლავროვს უარი არ უთქამს, სისარულით შემოგვიეროთდა და საქმაო დროც დაპყო ჩვენთან. არაჩეულებრივად მხერვალე იყო მისი საქართველოსადმი წარმოთქმული სადლევრძლელო:

— მე ბევრი რამ მაკავშირებს თქვენს ქვეყანასთან. უფრო მეტიც — ჩემი ფუსვები თბილისშია, ჩემი წინაპრები თბილისელები იყვნენ. დაგლოცავთ, ბედნიერებას გისურვებთ. მოკითხვა საყვარელ და დაუვიწყარ საქართველოს, თბილისა და თბილისელებს...

ერთი სიტყვით, გულით მოგვეფერა...

როგორც შემდგომში გავიგე, მისი ნაძღვილი გვარი კალანტაროვა ყოფილია.

ნეტავ, რამდენნაირი სახე აქვს იანუსი?...აი, ამ უნიკალური ეპიზოდის თანმდევი კითხვა!...

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ლავროვმა თბილად და პატივისცემით მოიხსენია თავისი კოლეგა, გაეროში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი ზურაბ (პეტრე) ჩხეიძე, ჩემი ბავშვობის მეცობარი.

ლავროვი იმ დღეს ნიუ-იორქში წარმოგვიდგა, როგორც საქართველოს და ქართველების მეხოტბე და მეცობარი. ეს მან ისევე, როგორც ვეტუშენკომ, საკუთარი ინიციატივით წარმოთქმული სადლევრძლელოებით გამოხატა.

„სტუმართა“ მიღება-გაცილებაში რომ ვიყავით, მეტრდოტელმა ჩემს მეუღლეს ულამაზესი თაიგული მოართვა.

გაგეივეირდა: ეისგან უნდა ყოფილიყო იგი? ერთი პირობა
ვიტიქრეთ, ევტუშენკომ ან ლავროვმა ხომ არ „ჩაიდინზე“
ჯენტლმენური ჟუსტი.

სოსომ ჩაიდიმა:

— არც ერთი ამის გამქეთებელი არ არისო...

მიეიხედ-მოვიხედეთ და რას კხედავთ: დარბაზის სიღ-
რმეში ჩემი ყოფილი თანამშრომელი სოსო კირცხალია თავის
რამდენიმე მეგობართან ერთად არ ზის?! რა არ შეიძლება
მოხდეს ქვეყანაზე, მაგრამ ამდენი ნაცნობ-მეგობრის ერთ საღ-
ამოს ერთად შეყრა, თანაც ნიუ-ორკში, დამერწმუნეთ, სარ-
ცრებაა.

ცოტა ხანში, გავიხედე და, ჩვენთან მოდის ლამაზი გარევ-
ნობის ელეგანტურად ჩაცმული ახალგაზრდა ქალი. სოსოს
გადაეხვია და მოეფერა... ისეთი სიტყვებით შეაძვო, შევ-
შურდებოდა. სოსომ გავვაცნო და თან დასძინა პოეტიალი. იგი
ცოტა ხნით დაგვმორდა და მალევე დაბრუნდა წიგნით ხელში.
ჩვენს მასპინძელს მიართვა თავისი ლექსების კრებულის მშ-
ვენიერი გამოცემა რესულ ენაზე ავტორისეული წარწერით:
„Дорогому Coco...“ ამას მოსდევდა მაღლიერებისა და პა-
ტივისცემის გამომხატველი სიტყვები...

სოსომ ლექსებით დაინტერესება შემატყო და წიგნი მე
გადმომცა.

მეორე დილით ვზიდვარ სასტუმროს რესტორანში, ვსაუზ-
მობ და თან ნაწერარ წიგნს თვალს ვაკლებ... ამ ღროს შემო-
დან სოსო ხარატიშვილი — სოფლის მშენებლობის ყოფილი
მინისტრი და შოთა ლომიძე, მშენებლობის მინისტრის მოად-
გილე. არ ვიცი, რა ბზიქმა მიქბინა, უცებ, ანაზდად დამებადა
„მზაკერული“ აზრი და დაუყოვნებლივ დავიწყე მისი განშორ-
ციელება:

— იოსიეთ ალექსეევიჩ, — მიემართე სოსო ხარატიშვილს,
— გუშინ რესტორანში ერთი „პოეტესა“ გაეიცანით. თქექნ
გიყითხათ.



— ვინა, კაცო?

— აქი ვითხარით, პოეტი — მშენებელი ახალგაზრდა ქადაგის ბატონი.

არ დაიჯერა, გაუკვირდა:

— მთხოვა ეს წიგნი თქვენთვის გადმომეცა, — აეიღე და გველა ეჭვის გასაფანტად, წიგნი მივაწოდე.

მინაწერი წაიკითხა და ლამის გაგიყდა. უფრო „პოეტესას“ გარევნობამ გადარია: წიგნში იმ ქალის რამდენიმე არაჩეულებრივი ფოტო იყო...

ათვალიერებს და იმეორებს:

— რა ნაცნობი სახეა, რა ნაცნობი სახეა!

არადა, ხომ ვიცი, ცხოვრუბაში არსად უნახავს, თვალიც კი არ შოუკრავს.

როგორც შევატყვე, სოსო ხარატიშვილიმა ბოლოსდაბოლოს ნიუ-იორქში თავისი პოპულარობა მაინც დაიჯერა. ყველას აჩვენებდა ამ წიგნს. ეს რომ მოათავა მოვიდა ჩემთან, პოეტი-ქალის მისამართი და ტელეფონის ნომერი მოხვევა.

— თვითონ არ მოუცია, მე კი ვერ კოხოვე, მომერიდა, — წარბიც არ შემიხრია, ისე ვუჟასუნე.

— ვახ, კაცო, — უკეირს და შუოთავს.

— თანაც, ბატონო სოსო, მეგონა რომ მისამართიც და ტელეფონიც გექნებოდათ. ის ხომ თქვენი ახლობელია.

ესეც დამიჯერა. თვითონ კი მაინც ვერა და ვერ იხსენებს ამ ნაცნობ-უცნობს... რას გაიხსენებდა როცა არ იცნობდა?

ეს ველაფერი დილით, საუზმის დროს მოხდა. საღამოს ვესტიბულში ვხვდებით ერთმანეთს. მეუბნება:

— წიგნიდან გავიგე მისამართი. უნდა დავურეკო და დღესვე შეეხვდეო.

ვამე, ვფიქრობ, ეს რა ამბავი ავიტეხე და რა შეარს გადავეყარე! უცებ წარმოვიდგინე, თავზე რომ დაადგება, მე ვარ სოსოო და ის რომ გაოცდება — რომელი სოსოო?!

ერთი სიტყვით, ძალიან შევწესდი, მაგრამ რა მეღონა,

მინდოდა თუ არა, მოვლენების განვითარებას უნდა მივნდობოდი...

გათენდა მეორე, ნიუ-იორკიდან ჩეენი გამოფრენის დღე-
ვსხდებით ავტობუსში. ფრთხილად, ძალიან ფრთხილად
ვეკითხები სოსო ზარატიშვილს:

— იოსიფ ალექსეევიჩ, რა პქნით, ნახეთ გუშინ ის პოეტი
ქალი?

— არა, კაცო, დრო ვერ გამოვნახე... ჩემს მკურნალ პრო-
ფესორთან გვიანობამდე შემოვრჩი.

დამწერებული ჩანდა, თავ-პირი ჩამოსტიროდა. შვებით
ამოვისუნთქე!

ქართველი პედაგოგის ღირსებადი საჭარბებლობა



მოსკოვის აკადემიის დამთავრების შემდეგ თბილისში დაეხმუნდი. რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილედ დავინიშნე. ბევრი საჭირო და სასარგებლო ობიექტი ავაშენეთ, მაგრამ მათგან კულუაზე თბილი მოგონებები ქორწინების სასახლეში დამიტოვა. სწორედ მასზე მინდა მოვითხროთ...

შშენებლობის დამკვეთი ჩვენი სამინისტრო იყო და დაფინანსებითაც მანვე დააფინანსა. პროექტის ავტორი გახლდათ ვიქტორ (ბუცა) ჯორბეგაძე, გაფორმებაზე კი ზელოვნების ცნობილი და აღიარებული დიდოსტატები გია ჯაფარიძე, ზურაბ ნიუარაძე, ვაჟა ორბელიაძე, დოლო ლორთქიფანიძე და ვერიქო ბერიძე მუშაობდნენ.

სასახლის განხსნას, ქალაქის ელიტარულ ნაწილზე რომ არაფერი ვთქვა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მთელი შემადგენლობა ესწრებოდა. ბევრი თბილი სიტყვა მოვისმინეთ. საგულისხმოა, რომ სწორედ მაშინ შედგა მომლერალ თამარ გვერდწითელისა და საქართველოს ტელევიზიის რეჟისორის გიორგი კახაბრიშვილის ქორწინების ცერემონიალი. მის ორგანიზებაში აქტიურად მონაწილეობდა ნუზარ ფილხაძე... ის მათი მეუკარეც იყო. სამწუხაროდ, ეს ქორწინება უდღეური აღმოჩნდა – თამარი და გიორგი მალე დასცილდნენ ერთმანეთს. შემდგომში თამარ გვერდწითელს შევხვდი მოსკოვში, ჩვენს აკადემიაში გამართულ კონცერტში მონაწილეობდა და ბანკეტსაც დაესწრო. მოგვიანებით შევხვდი ისრაელში – ნათანიაში ჩემი ებრაელი მეგობრის, სოსო ფიჩაძის ოჯახში ვახშამზე....

მაგრამ ეს მოვლენა უპირველესად იმის გამო დამამახ-

სოვერდა, რომ მან ჩვენი დროის ყველაზე გამორჩეულ ფილმიდეს ეროვნულ მოღვაწესთან დამაკავშირა...

1984 წელი იყო. ერთ დღეს საქართველოს მინისტრთა

საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული ანზორ წიკლაური მირეკავს და მეუბნება, უწმინდესსა და უნეტარესს იღია მეორეს თქვენთან შეხვედრა და ქორწინების სასახლის დათვალიერება სურსო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა: მართალია, წარსულთან შედარებით საკრძნობლად „დათბა“ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში უფრო მეტი თავისუფლება იყრინობოდა, მაგრამ ეკლესიასთან ღია ურთიერთობას მაინც ერიდებოდნენ... ამის მიუხედავად, ერთი წუთითაც არ მიყოფმანია, დავთანხმდი და პატრიარქთან შეხვედრის დროც დაუთქმით.

მე და ანზორი პატრიარქის ძველ რეზიდენციაში, რომელიც მაშინ სიონთან იყო, ერთად გაევმართეთ. მე მანქანაში დაურჩი, ანზორი კი საპატრიარქოში შევიდა. დიდ დროს არ გაუვლია, ანაფორიანი ახალგაზრდა მოვიდა და მოწიწებით მამცნო, უწმინდესი და უნეტარესი გელოდებათო. სწრაფი ნაბიჯებით ავუშვი ხის ვიწრო კიბებს. თავი ავწიე და... კიბის თავში პატრიარქი იდგა! დიმილით ისე შემომცეკროდა, როგორც დიდი ხნის მონატრებული მამა შეიღს, თბილად შემევება. არადა, ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო უწმინდესთან. გადამეხვია და თავის სამუშაო ოთახში მიმიწვია. ამ თითქოს ბუნებრივია, სინამდევილეში კი უდიდესია ადამიანურია სითბომ ჩემი გული სამუდამოდ მოინადირა...

პატრიარქის ოთახში დამხვდნენ ეკლესიის უმაღლესი იერარქები. უწმინდესმა და უნეტარესმა თითოეულ მათვანთან წარმადგინა — თურმე, მთელი სინოდი მოეწვია!

როცა გაცნობის ოფიციალურ ცერემონიას მოურჩით, იღია მეორემ მაგიდასთან მიგვიწვია. იყო კონიაქი და ხმელი ხილი. პატრიარქმა ვერცხლის ძველებური პატარა სასმისი თავისი

ხელით შემივსო, მერე კი სრულდად საქართველო და ქართველი ხალხი დაღიცა...

მაშინ „ვიდეო“ იშეიათი რამ გახლდათ, ამიტომ ცოტა არ იყოს გამოკერძა, როცა იქვე კასეტები შევნიშნე. შეიძლება გავიკერძეთ, მაგრამ იმ პერიოდში პარტიის ცენტრალური ქომიტეტი ვიდეოკასეტების ყურებას კრძალავდა. პატრიარქის მახვილ თვალს ჩემი გაოცება არ გამოპარვია, გაიღიმა და მითხრა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან რელიგიურ თემებზე ვადალებულ ახალ ფილმებს გვივაჟნიან და ვუფურებთო...

— ახლა კი წავიდეთ და ქორწინების სასახლე დავათვალიეროთ. ძალიან აქებენ, მაგრამ, მოყოლილს მაინც ნახვა სჯობსო, — ბრძანა უწმინდესმა.

სასახლეში დაგვჭვდნენ ჩემს მიერ საგანგებოდ გაფრთხილებული დირექტორი ელზა სეიმნიშვილი, მისი მოადგილე ომარ შევიძე, არქიტექტორი ვიქტორ ჯორბენაძე და ზემოთ უკვე ნახსენები ზურაბ ნიუარაძე, ვია ვაფარიძე, ვაჟა ორბელაძე, დოდო ლორთქიფანიძე... დაგვათვალიერებინეს შენდლებში ჩამაგრებული ნათურებით გაჩირაღდნებული ლამაზი დარბაზები, თითქმის ყველაფერი, რისი ნახვაც შეიძლებოდა. ბავშვებმა შშვენიერი კონკრეტი გავიმართეს და ოქროს ქორწილის მოწმენიც კი გაგვხადეს...

პატრიარქი ფრიად ქმაყოფილი დარჩა, დაშვიდობებისას კი გვითხრა, რა კარგი იქნება, იმ შეადლებში ნამდვილი თაფლის სანთლები რომ ენთოს, შენობას უფრო მეტ სითბოს, მიმზიდველობას და სურნელს შესძნდაო.

ეს წინადადება ძალზე საინტერესოდ მომეჩენა, მაგრამ, სამწუხაროდ, მას აღსრულება არ ეწერა.

უწმინდესთან და უნეტარესთან ბედმა სხვა ღროსაც შემახვედრა. ურთხელ პარიზში მივლინებით იუნესკოს შტაბინაში განლდით. მითხრეს, საქართველოს კათოლიკოს-პატრი-

არქის მოწვევა გვსურს, ხომ ვერ დაგვეხმარებით... მიწვის
რომ გაგატანით და გადასცეთო. რა თქმა უნდა, სიამოწმებით
დაეთანხმდი! როგორც კი თბილისში დავბრუნდი, მაშინურა ფარის
უკავშირდი პატრიარქს.

უწმინდესი მიწვევამ გაახარა, მაგრამ სხვა სიურპრიზიც
მქონდა და უნდა გამოვტყოდე, იმ სიურპრიზმა უფრო დიდი
შთაბეჭდილება მოახდინა პატრიარქზე: პარიზიდან ჩამოვიტანე
ქართველ ემიგრანტთა ლევილის სასაფლაოზე დაქრძალულთა
ნუსხა და ფოტომასალა.

საპატრიარქოში მახლდა ოწესკოს თანამშრომელი, ჩემი
ძევლი მეგობარი აეთანდილ ქორიძე, რომელმაც ამ ორგანიზა-
ციაში თვრამეტი წელიწადი იღვაწა და ბევრი ქარგი საქმე
გააკეთა. მაშინ ლევილის სასაფლაო მასთან და მის შესანიშ-
ნავ მეუღლესთან მანანასთან ერთად მოვინაზულე, რომლებიც
ძალიან დამეხმარნენ ქართველთა საფლავების აღწერაში.
შევხედით უკვე ხანდაზმულ ქართველ ემიგრანტებს. ჩემდა
გასაოცრად ისინი ხმას არ სცემდნენ ერთმანეთს სხვადასხვა
პოლიტიკური შეხედულებების გამო. ეს სამწუხაროდ წმინდა
ქართული ხასიათის გამოვლენა იყო.

პატრიარქს იქნე ვერენეთ ქაქუცა ჩოლოფაშეილისა და
ნოე ჭორდანიას საფლავებზე გადაღებული სურათები. ვე-
ლაფერ ამას ცოტა ხნით თუ დამიტოვებთო, მკითხა. ცოტა
ხნით კი არა, საჩუქრად მოგართმევთ-მეთქი. ძალიან გაიხარა.

ამ შეხედრას მოწყვა გაგრძელება, თუმცა, ამაზე ცოტა
ქვემოთ მოგახსენებთ.

გახსოვთ ალბათ, მოელ საქართველოში მუსირებდა აზრი,
რომ თითქოს ნოე ჭორდანიას საფლავზე ამოტვითულია მი-
სივე ლექსი – „ვარ საქართველოს გულდამწვარი ჭირისუ-
ფალი, ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო, თუ
საქართველო ვერ ვიზილო თავის უფალი, დე, მტკრად ქცეული



დამტნახოს მთელი სამყარო!“ ეს სტრიქონები მეხსიერებაში
მქონდა აღბეჭდილი: მახსოვს ჩვენს ოჯახში შეკრებილი შემახადები
მეგობრები, როცა თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელოს
სკამდნენ, მთელი პათოსით კითხულობდნენ ამ ღვევსს.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა საფლავის ქვაზე ეს
პათეტიკური ღვევსი ვერ ამოვიყითხე! აი, რას იუწყებოდნენ
ქართული და ფრანგული წარწერები: „ნოე ფორდანია. საქართველოს
რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი. საქართველომ 1918 წლის 26 მაისს მისი მეთაურობით აღადგინა თავისი
დამოუკიდებლობა რუსეთის 117 წლის ბატონობის შემდეგ“.

როცა იღია მეორეს ნოე ფორდანიას საფლავზე გადალებული სურათი ვაჩვენე, გაიღიმა და თქვა: „ფორდანიას მთავრობა (სოციალ-დემოკრატები), რომელსაც ახლა აიღვალებუნ, აბსოლუტურად ათეიისტური სულისკვეთების მატარებელი იყო.
მან მიიღო ისეთი კანონები, რომელმაც საქართველოს მართმადიდებელი სამოციქულო კვლესია გაათანაბრა კველა დანარჩენ რელიგიურ კონფესიასთან... საღვთო სჯელი სწავლებიდან ამოიღო, საეკლესიო ხატებისა და სიწმინდების ტაძრებიდან გამოტანა და მათი გაყიდვა დაიწყო...“

ფორდანიას მეტი წინდახელულება და კონიურება რომ გამოიჩინა, ჩვენი ქვეყნის ბედი სულ სხვანაირად წარიმართებოდათ...“

— ნოე ფორდანია არ იყო თბილისი, საქართველოს დედაქალაქი, ინტერნაციონალურ ცენტრად რომ გამოაცხადა და მხოლოდ ტერიტორიის მესამედი — ვერა და მის იქით — მიაკუთხა ქართველებს, დანარჩენი როი მესამედი კი სომხებს და აზერბაიჯანელებს? — დავსძინე მე.

მეგონა, მაშინდელი ვიზიტით ამოიწურა ჩვენი ურთიერთობა. მაგრამ, საბჯენიეროდ, თურმე ვცდებოდი: ჩემი მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ ყოფნისას, კიდევ

ერთხელ გამიხსენა უწმინდესმა და უნეტარესმა. მიმიწვდი და დაუყოვნებლივ ვეახლე.

პატრიარქი ახლაც მისთვის ჩვეული ყურადღებით და სიუ-
კარიულით შემხედა. იმან, რაც მან მაშინ მითხრა აღმაფრ-
თოვანა, მაგრამ იმ დროისთვის განუხორციელებელ ოცნებად
მომექტვენა.

— ლევილში ეკლესის აშენება მინდა. პროექტის ავტორიც
შერჩეული მყავს — პარიზელი ქართველი, აღიარებული არქ-
იტექტორი ალექსი კობახიძე. მართალია, ის პარიზშია დაბადე-
ბული და გაზრდილი, მაგრამ მკურდში ქართველი პატრიოტის
გული უძგერს... რას მეტყვით, დახმარება რომ გთხოვთო —
მკითხა და დეთაებრივი თვალები მომაპყრო.

— თუ იქაური ქართველი ამ დიდებული საქმის შემწეო-
ბისთვის მზად არის, მე რა ღმერთი უნდა გამიწყრეს, — სა-
განგებო კომპლექსურ ბრიგადას შეექმნით, ისეთ ადამიანებს
შეეკრებთ, რომლებიც უსასყიდლოდ იმუშავებენ, მხოლოდ
თავშესაფარი და კვების მოგარება იქნება საჭირო — მეთქი,
მიუეცე.

ჩემი პასუხი უწმინდესსა და უნეტარესს ფრიად ემა —
თქვენგან სხვა პასუხს არც ველოდიო — ბრძანა...

სამწუხაროდ, ამ კეთილშობილური ჩანაფიქრის განხორ-
ციელება ვერ მოხერხდა: ლევილის მიწა მაშინაც საფრანგე-
თის მფლობელობაში იყო და დღესაც დავის საგანია... არ-
ადა, როგორ მოუწდებოდა იქაურობას ქართული ეკლესია!
ყვავილნარში ჩაფლული ლევილის სასაფლაო რომ დავათვა-
ლიერე, მწუხარებასთან ერთად ერთგვარი სიამაყეც დამეუფ-
ლა: ყველაფერს მზრუნველი ხელი ეტყობოდა და იგი ჩემთვის
ისევე წმინდა იყო, როგორც სამლოცველო...

* * *

ჩვენს მიერ აგებული ქორწინების სასახლე ერთ შერწყმულ დიდი მნიშვნელობის ღონისძიებასაც მასპინძლობდა. მაშინ ედუარდ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ. გაეროში სიტყვით პირველად რომ გამოვიდა, მისი წარმომავლობით დაინტერესებულია. ბატონ ედუარდს შეუთავაზებდა, გაეროს ერთ გასვლით კონფერენციას თბილისი უმასპინძლებსო. ეს აზრი მოიწონეს და კონფერენცია მართლაც გაიმართა, თანაც – ქორწინების სასახლეში! საორგანიზაციო საკითხებს მე ვხელმძღვანელობდი.

ბევრი უცხოელი სტუმარი გვეწვია, მათ შორის – გაეროს გენერალური მდივნის მოადგილუ, აგრეთვე გაეროში საფრანგეთის წარმომადგენლობის თანამშრომელი. სალომე ზურაბიშვილი. როგორც ვიცი, ეს მისი პირველი სტუმრობა იყო საქართველოში. მოსკოვიდან ჩამოვიდა ძველი თბილისელი ევგენი პრიმაკოვიც...

საზვანმით უნდა ითქვას, რომ გაეროს ევილით ეს საბჭოთა კავშირში პირველი ღონისძიება იყო. და ისიც თბილისში გაიმართა...

როცა ამ სტრიქონებს ეწერ, საქართველოში პოლიტიკური კითარება არც ისე სახარბიელოა. 2008 წლის ომის შემდეგ უამრავი პრობლემა შეგვექმნა როგორც შინ, ისე გარეთ. და ამ უაღრესად რთულ სიტუაციაში ხშირად გაისმის ჩვენი პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ბრძნული და იმედიანი შეგონებანი... მართლაც, ბედნიერია ქართველი ერი, ასეთი ღირსეული პიროვნება რომ პყავს სულიერი წინამდღვრად.

სამწუხაროდ, საქართველო და ქართველი ხალხი იმასაც კი მოესწრო, რომ ერთს ღვთივეკურთხეულ ბრძენ მოძღვარს

შეურაცხმული სიტყვა შეპპედა „თავისუფლების ინსტიტუტის
ტელმა“ ვინმე, თუ თუთბერიძემ.

ამ ფაქტმა ააღვლოა მოელი ჩეკი საზოგადოებრივა,
სრულიად მართლმადიდებელი მრევლი.

ეს უმეცარი და უტიფარი არსება კვლავ თავის თანამდე-
ბობაზეა და თბილისის სკოლების დირექტორთა საბჭოს წე-
ლიშმდლვანელობს. მისი გესლიანი სიტყვით იგი ზან ინტერნეტში
იჩენს თავს და ზან ზაზა ბურჟულაძის, ირაკლი დეისაძის, თუ
ვიღაც ბახმოლიანის უხამსობისა და სიბილწის გამართლებას
ცდილობს.

მართლაც, რომ „საწუხარ არს ესე“...

არივლ შარონის აღუსრელმანი თხოვნა



1987 წელი იყო. საქმიანი კიბიტით მუცელდესთან ერთად ისრაელს ვეწვიეთ. მუცელდებით იყვნენ აგრეთვე გოდერძი ბუკია და გივი შედაროვი. ისრაელის მიერ აუთვისებელ ტერიტორიებზე საცხოვრებელი სახლები უნდა აგვეშნებინა. ეს საქმე წამოიწყეს ისრაელში მცხოვრებმა ძმებმა — მორის და სოსო ფიჩხაძეებმა, რომლებსაც მე გივი შედაროვმა შემახვედრა... მაშინ უკვე ათვისებული გვქონდა „მოცულობით-ბლოკური“ კონსტრუქციები, რომლებიც საცხოვრებლებდა პარტიონორთათვის საჭირო ხარისხსა და მშენებლობის ტემპებს.

ბედნიერი დამთხვევის წყალობით, ისრაელში ჩასვლის მეორე დღეს, თელ-ავივში მორის ფიჩხაძის ქალიშვილის ქორწილი იყო დანიშნული და რა თქმა უნდა, ჩვენც მიგვიწვიეს. საოცარი სანახაობა ვიზილეთ: უზარმაზარ დარბაზში, ოვალურ ათ-თხუთმეტკაციან სუფრებზე კველაფერი ბრწყინვალი! განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა თამაღამ, იქაური ქართულენოვანი ფურნალ „დროშის“ რედაქტორმა, წარმოშობით ქუთაისელმა ხამ ხუბელაშვილმა. ის განათლებით ფილოლოგი იყო და ბრწყინვალე ქართულით მეტყველებდა.

ქორწილს ესწრებოდნენ ლევნდარული ნინო რამიშვილი, მისი ვაჟი თენგიზი და რძალი ინგა თევზაბე. თენგიზმა და ინგამ იცეკვეს. არც მე დავრჩნილვარ „ვალში“ და ქალბატონი ინგა გაეიწვია. ჩემი „ცეკვა“ განსაკუთრებით მოეწონა ქალბატონ ნინოს. ერთი სიტყვით, კარგად მოეიღლხინეთ.

თუმცა, კველაფერის აპოთეოზი მაინც ქალბატონ ნინოს ცეკვა იყო. შეუჩინდნენ, „ჯეირანი“ გვიცეკვეთო. მან ჯერ უარი განაცხადა, მერე კი ასეთი პირობა წამოაყნა:

— იმ შემთხვევაში ვიცეკვებ, თუ დოლარებს არ გადმოანევთ-ო!

თურმე, ისრაელში ასე სცოდნიათ და ეს ქალბატონმა ნი-



ნომ კარგად იცოდა. ზღაპრულად იცემა! ოვაცია გაუმართდა... დოლარებიც ბლომად აფრიალეს. პატარა ბიჭუწმუნებული დილდნენ და ჰკრეფდნენ. მოპქიდა ხელი ნინომ იმ ჰიტუში დაგრძელებთან მიიყვანა — მთელი ფული იმათ აჩუქა!

და აი, კველასთვის მოულოდნელად თამადა მიკროფონით აცხადებს:

— ეს წუთია, მოვიდა მთავრობის დეპეშა: შშენებლობის მინისტრი არიელ შარონი ხვალ დილით, იერუსალიმში, თავის რფისში იწვევს ბატონ იმარ მარგელაშვილს მუსლინთურთ!

ცნობილია, რომ არიელ შარონს დიდი ბრიტანეთის სამხედრო აკადემია ჰქონდა დამთავრებული და იბრძოდა ლეგენდარულ გენერალ მოშე დაინთან ერთად. იყო თავდაცვის მინისტრი.

არიელ შარონი წარმოადგენდა ქვეყნის ჭეშმარიტ სიმბოლოს. მას იერუსალიმიდან მაშინაც კი არ მოუცვლია ფეხი, როცა მთავრობის სხვა წევრები იქ ვერ ჩერდებოდნენ, რადგან არაბები არ ისვენებდნენ და ქალაქის სიმშეიღეს გამუდმებით არღვევდნენ.

მოგვიანებით ის გახდა საგარეო საქმეთა მინისტრი და შემდგომ ქვეყნის პრემიერი.

ვიდიქრე, არიელ შარონი მე არ მიცნობს და ხუბელაშვილი ასე „უქილობ“ რად ხუმრობს-მეთქი. თამადა თვითონ მოვიდა ჩემთან და დეპეშა მაჩვენა. იერითის ენაზე იყო შედგენილი და, რა თქმა უნდა, ვერ წავიქითხე. ხამშა მითარგმნა და მეტი დამაჯერებლობისთვის მითხრა:

— მარტო თქვენ კი არა, თქვენს მეუღლეს, ქალბატონ ბელასაც იწვევს. თარჯიმანი ხომ დაგჭირდებათ? წამოვალ და ამ მოვალეობას მე შევასრულებ-ო!

ბატონ არიელ შარონთან დილადრიან გავემგზავრეთ. შეპირებისამებრ, წამომყვა ზაიმ ხუბელაშვილი და მასთან ერთად შეძი ფიჩხაძები.

მინისტრი უკვე გველოდა. შეგვიყვანეს მოკრძალებულ პა-

ტარა კაბინეტში. გულთბილად მიგვიღო. წარუცულინების ჩექნი
პარტნიორები.

— ვიცი, რომ კარგ საქმეზე ჩამოხვედით, ამიტომ — უცი
ყოველნაირად დაგეხმარებით. მით უმეტეს, ქართველები ხართ,
ქართველთა მიმართ კი განსაკუთრებული გრძნობა მაქვს...

გვიამბო, რომ შარშან დედა გარდაეცვალა, სიკვდილის
წინ მას შეიღი მოუხმა და უთქვაშს:

— თბილისი ჩემი და მამაშენის სიყვარულის ქალაქია.
ერთმანეთი იქ, უნივერსიტეტში გავიცანით და შევეუღლებით.
ოცან წლებში ბოლშევიკების რეპრესიებს გამოვაქცით. ეს
რომ არა, შეიძლება ახლაც იქ ყორებილიყავით. აუცილებლად
უნდა ჩახვიდე და ეს მშენიერი ქალაქი ინახულო, იქ ბებისა
და დეიდაშვილის საფლავები გელისო...

თვითონ არისე შარონი ისრაელში დაბადებულა და
როგორც გვითხრა, დედის თხოვნა არასოდეს დავიწყნია:

— საბჭოთა კავშირთან დაბლიუმატიური ურთიერთობა არა
გვაქვს, ელჩი არა გვყაეს, ამიტომ ოფიციალურ მოწვევას აზრი
არა აქვს. იქნებ, თქვენ მიმიწვიოთ? აუცილებლად ჩამოვალო!

გადაჭრით არაფერს შევპირებივარ, მაგრამ ვუთხარი, რომ
ყველა ღონეს ვიშმარდი.

ისრაელში ჩენს მომავალ საქმიანობაზე ბევრი ვისაუბრეთ.
დახმარება და მხარდაჭერა აღგვითქვა. მერე გამოგვაცილა და
თბილად დაგვეტმებილობა.

იერუსალიმში დიდი პატივი გვცა წარმოშობით ქუთაისელმა
ებრაელმა რაფო ბალუაშვილმა — რაფი ბალუამ, ნაბრძოლებ-
მა პოლკოვნიკმა, რომელიც თელ-ავივში ქარწილაში გავიცანი.
იგი ჩენს მაგიდასთან იჯდა, ძალიან სიმპათიური მაროკოელი
მეუღლით. გვითხრა, ისრაელიდან ჯვრის მონასტრის უნახავად
კერ გავიშვებით. არადა, ამაზე ხომ ჩენც ვოცნებობდით. მიუხე-
დავად მასპინძლის თადარიგისა, ბერძენმა მღვდლებმა მართლაც
რომ ჯვარს გვაცვეს — მონასტერში არ გვიშვებდნენ! ბოლოს,
ჩენსას მაინც მიეაღწიეთ. შევედით, დავათვალიერეთ, სანთლები



დავანთეთ და რუსთაველის ფრესკასთან, შემდეგ ბერძნებმა რომ, გადაფხიქეს თუ გადაღებეს, სურათი გადავიღეთ. ენაბერ წერილი მინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ მონასტრინათვის შენაწირი ილია მართლის ხატი.

ხატი მონასტერში ჩვენ შევასვენეთ, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ კი ლოცვა აღავლინაო, — სიხარულით გვამცნო რაფო ბალუაშვილამ.

ბატონმა რაფომ ოჯახში მიგვიწვია, შესანიშნავად გვიმასპინძლა მისმა შევენიერმა მეუღლემ ქალბატონმა რახილმა და არაჩეულებრივი გარეგნობის ქალიშვილმა, რომელიც თურმეისრაელის „მოსადის“ ოფიცირი ყოფილა.

რაფიელ ბალუაშვილი საქართველოს გენერალური პროეკტორის ყოფილი პირველი მოადგილის ცნობილი იურისტის, აღიარებული სამართლისმცოდნის, ლირსეული პიროვნების ანზორ ბალუაშვილის ბიძა იყო.

ვიზიტის ვადა ამოიწურა და დავბრუნდით მოსკოვში. მაშინ ხომ ყველაფერი აქვდან კეთდებოდა! ვიზების გაფორმებაზე ერთი კვირა მაინც გვეკარგებოდა! ისრაელში მიმავალი ჯერ ვარშავაში ჩაეფრინდით, დამე გავათიეთ და თელ-ავიისკენ მერელა ავიდეთ გეზი. ისრაელიდან დაბრუნებულებმა უნგრეთში „შეედარეთ“, დამე ბუდაპეშტში გავათენეთ. მოსკოვში ისეთი სამინელი და შეურაცხმოფული ჩხრეკა მოგვიწვევის, კაცს უცხოეთისკენ მეორედ გახსედეა აღარ მოუნდებოდა!

მოსკოვი — თბილისის თვითმურინავში საქართველოს პრემიერი ნოღარ ჭითანავა უკვე თავის ადგილზე იჯდა. დამიძახა და გვერდით მომისვა. რომ გაიგო, ისრაელიდან ვბრუნდებოდი, იქაური ამბები გამომკითხა.

შემთხვევით ვისარგებლე და არიელ შარონის თხოვნა გადავეცი.

— არიელ შარონი ლირსეული პიროვნება და ისრაელის ეროვნული გმირია, ჩვენ ოფიციალურად ვერ მოვიწვევთ, ეგ საქმე თქვენმა სამინისტრომ ითავოს, მე კი ყველანაირად



დაგეხმარებით. პირობას გაძლიერ, მიღებითაც მაღალ დონეზე
მივიღებთო... სრული კონკურსის გადაწყვეტილების გადაწყვეტილები

ეს ნიშნავდა — აეროპორტში დაზედრის, კრწანისის რეს-
ილინციაში ცხოვრებას, ავტომანქანით და თარჯიშით მოშაპ-
ურებას, კვებას...

მაღლობის მეტი რა მეტემოდა!

აბლით მეგობრული ურთიერთობა მქონდა მაშინდელ საბ-
ჭოთა კავშირის საგარეო გაჭრობის სამინისტროს წარმო-
მადგენლოთან საქართველოში რაფიელ ელიგულაშვილთან.
ის იყო მართლაც რაფიინირებული ინტელიგენტი. მინისტრთა
საბჭოში შემხვდა და არიელ შარონთან შეხვედრის შესახებ
უკამბე ძალიან გაიხარა, თუ ჩამოვა, მეც შემახვედრულ-მოხ-
ოვა... ამ დროს სამინისტროს სახელით უკვე გაგზავნილი
გვქონდა მოწვევა, პასუხი იგვიანებდა. მეორე წერილიც გავაგ-
ზავნეთ. არც იძახე გვიპასუხეს. გვიან გავიგე, თურმე მოსკოვი
ბლოკვდა...

ერთხელაც, დილადორიან, რაფიელი მირეკავს, ომარ
ალექსანდროვიჩ, დღევანდელი „პრავდის“ მოწინავე თუ წაი-
კითხეო. ბინაზე კი მქონდა გამოწერილი, მაგრამ იმ უთენია
„პრავდა“-ს რა წამაკითხებდა? მივხვდი, რაღაცაში იყო საქმე,
ამიტომ მაშინვე მოვიძიე. იქ კი ეწერა, რომ... თურმე, არიელ
შარონს უკიდურესად უარყოფითი როლი შეუსრულება არ-
აბულ სამყაროსთან მიმართებაში...

გაზეთი „პრავდა“ კი ერქვა, მაგრამ უმეტესად ტყუილი
იწერებოდა მის ფურცლებზე...

ეს იყო საბჭოეთის პოზიცია, რამაც, ცხადია, ჩემს მონდო-
მებას წერტილი დაუსვა...



ტურიზმის და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი, ქართველი და ქართველი
წალხების ოცდაექვსსაუკუნოვანი მეცნიერებული ურთიერთობის
აღსანიშნავ ზემოქმედი ისრაელის ტურიზმის მინისტრი და ქვეყნის
პრემიერის მოადგილე მოშე კაცავი რომ ჩამოვიდა. ის ჩვენს
ქვეყნას პირველად ეწვია და პრემიერ ბენიაძინ ნათანიაჭუს
ვიზიტიც უნდა მოეწადებინა. საქამოდ დიდი დელევაციით
გვეწვია, დელევაციაში ბევრი ცნობილი ქართველი ებრაელი
იყო. მოშე კაცავმა ყველა მოგვხიბლა თავისი კეთილგანწყობით. ის სანამ ტურიზმის მინისტრი განდებოდა იყო ჯერ
მშენებლობის, მერე კი ტრანსპორტის მინისტრი.

სტუმარს სათანადო პატივი ვეცით, დაგათვალიერებინეთ მცხ-
ეთა, ჯვარი, სეუტიცხოველი, სამთავროს დედათა მონასტერი...
მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა, შესანიშნავმა პიროვნებამ
კობა ბუჩქეურმა არაჩვეულებრივი ვახშამი გავეიძარითა.

— მოულოდნელად დაცემ მოშე კაცავი დარბაზიდან გაიყ-
ვანა. მაღლევე შემობრუნდა, ვაჟა შებლაძე და მე განშე ვაგ-
ვინდო და საიდუმლოდ გაგვანდო, რომ თურმე რუსეთის სპეც-
სამსახურებს გაუკრცელებიათ ინფორმაცია, თითქოს ნათანია-
პუზე თბილისში თავდასხმა შზადდებოდა. ეს წუთია პრემიერმა
დამირეკა. შეწუხებულმა მითხრა, ვერ ჩამოვალ, მასპინძლებთ-
ან ბოლიში მომისადე, ჩემი მავიერობა კი შენ გასწიოთ.

ზემდებარებულმა მეზობელმა კი ასეთი ავანტურისტული
ჩაიარა. საცუბილეო საღამოს შესანიშნავად გაუძღვა კულტურის
მინისტრი ვალერი ასათაძი. უზომოდ ქმაყოფილი სტუმარი
მეორე დღეს გავაცილეთ.

ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა კი ასეთი ავანტურისტული
ქმედებით ჩაშალა ისრაელის პრემიერის ვიზიტი თბილისში...

მოშე კაცავი მაღლე ისრაელის პრეზიდენტი განდა. ამ
ღირსეულ და ზნექეთილ კაცს ვიღაც ქალმა სექსუალურ ძალა-
დობაში დასდო ბრალი. მთელი მსოფლიოს მედია საშუალე-
ბები ათასნაირ ჭორს აერცელებდნენ. იგი იძულებული განდა
თანამდებობა დაეტოვებინა.



საქართველოს პარტიულ-სახელმწიფო ელიტის უფლისძელობრივია რაკლესობა თითქმის ყოველთვის შავი ზღვისპირობის გვე-ლაზე პრესტიულ — გაგრის სამთავრობო სანატორიუმ „ობი-ლისში“ ისვენებდა. მეც ზაფხულობით შეებულებას ოჯახით იქ ვატარებდი. კარგი მასპინძლები მყავდა და დირექტორი — ტარიელ ბასარიაც ფურადლებას არ მაკლებდა.

პირველ სართულზე, ლუქსში ვცხოვრობდი.. ცალკე მდგრმ დიდ კოტეჯში. მეორეზე ოჯახით ისვენებდა გაზეთ „პრაედის“ საქუთარი კორესპონდენტი საქართველოში გიორგი (გოგა) ლებანიძე. ჩვენ მაინცდამაინც ახლო ურთიერთობა არ გვქონდა და შეხვედრითაც იშვიათად ვხვდებოდით ერთმანეთს. მახს-ოვს მისი იუმორნარევი პუბლიცისტური წერილები. გიორგის სტუმრობა გულზე არავის ეხატებოდა, რადგან თუ გაგაკრი-ტიკებდა, უნდა ჭველაფერს დამშვიდობებოდი — სამსახურს, პარტბილეთს... ეს დიდი ტრაგედია იყო.

ერთმა არასასიამოვნო შემთხვევამ ჩვენი ურთიერთობა საგრძნობლად დაათბო. აივანზე ვიდექი. სანატორიუმის ტერ-იტორიაზე მოულოდნელად გამოჩნდა მსუბუქი ავტომანქანა. მოულოდნელად-მეთქი, იძიტომ ვამბობ, რომ, როგორც წესი, იქ ტრანსპორტს არ უშვებდნენ. მანქანა ზუსტად ჩემი კოტეჯის კიბებთან გაჩერდა. დავინაზე, მძლოლმა დაუდევრად როგორ გააღი კარი. იქიდან მამაკაცი გადმოვიარდა და თავი ასფალტს დაარტყა. ხელიც კი არ შეაშველა მძლოლმა! შევხედე, გოგა ლებანიძე! მაშინვე მასთან გაუჩნდი. მთვრალი იყო. აფხაზ მძ-ლოლს უუსაყველურე. ყურიც არ შეიძერტყა, მანქანა სწრაფად დაძრა და გაუჩინარდა.

ჩემი შვილები წამომეხმარნენ, გოგას ხელი მოვეიდეთ და მეორე სართულზე ავიყვანეთ. კარი წანდაზმულმა ქალმა გაგ-ვიღო, სიღვედრი ყოფილა.

— Что с ним? Он что умер? — აუდელვებლად გვეითხა.

მისმა სიცივემ ცოტა არ იყოს გამაკვირვა. მთვრობლის
მეთქი, — უკასუხებ.

— იOh же не пьет! — შეიცხადა.

ოთახში შევიყვანეთ. შეიღები გავუშვი, ტანსაცმელი გავხ-
ადე და ლოგინზე დავაწერი. სიღედრს თითიც კი არ გაუნდ-
რევდა...

დილით ადრე კარზე ფრთხილი კაკუნი გაისმა. გავაღე-
გიორგია. დარცხვენილი ჩანს. მორიდებით მეუბნება, ომარ
ალექსანდროვიჩ, თუ შეიძლება გარეთ გამოდით, ცოლმა და
სიღედრმა გადამრიეს, მე არაუერი მახსოვს და იქნებ თქვენ
მითხრათ, გუშინ რა მოხდაო. მოვუყევი რაც ვნახე, ის კი არ
მითქვამს მანქანიდან როგორ გადმოვარდა და ასფალტს თავი
რომ დაარტყა.

— აფანასიევია ჩამოსული, „პრავდის“ მთავარი რედაქტო-
რი. დამირეკეს და წამიყვანეს. სუფრა გავეიშალეს. საქონლ
არ ვსვამ. რედაქტორს ეს რომ ვუთხარი, თვალები გადმომი-
ბრიალა. რა მექნა? დავლიე და... აღარ მახსოვს, მანქანამდე
როგორ მიმიყვანეს და ჩამსვეს... თავი საშინლად მტკიცა, რა
ყოფილა ეს „პასმელია“...

აი, ამ შემთხვევის შემდეგ ჩამოყალიბდა ჩვენს შორის
საქმიალ თბილი ურთიერთობა.

მიმდევნო წელსაც გაგრაში გადავწყვიტე ცოლ-შეილთან
ერთად შეებულების გატარება. დავუკვეთე იგივე ლუქსი, იმავე
ორსართულიანი კოტეჯის პირველ სართულზე, სადაც შარმან
ვისვენებდო.

ჩავედით და დაკავებული დაგვხვდა. სანატორიუმ „თბილი-
სის“ დირექტორი ტარიელ ბასარია ბოდიშებად დაიღვარა:

— გუშინ საღამოს გიორგი ძიძარიამ სამი დღით მთხოვა
ამ ლუქსში ცხოვრების ვადის გაგრძელება და უარი ეკრ
შეცბედეო.

პროფესორი გიორგი ძიძარია, რომელიც აუხაზური ენი-

სა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად მუშაობდა,
ცნობილი იყო როგორც აუხაზი სეპარატისტების იდეოლოგიური
და ლიდერი.

ბასარიაშ დიდი მობოდიშებით შემომთავაზა ცკ-ს პირველი
მდინარის აგარაკი, რომელიც ცოტა მოშორებით, ფერდობზე
მდებარეობდა. 24 საათის განმავლობაში თქვენს განკარგულე-
ბაში იწნება ავტომანქანა და პლაზზე ჩასვლა-მოსვლა არ
გავიჭირდებათ.

შესანიშნავი პირობები იყო: სამი დიდი ოთახი, საბილ-
იარდო, ფართე აივანი, საძაბნაც ზღაპრული ხედი იშლებოდა
— გაგრა, მისი ულამაზესი შემოგარენი და ზღვის პორიზონტი,
საკუთარი მზარეული, მომსახურე პერსონალი, დაცვა და ა.შ.

მეორე სართულზე მოგვათავსეს.

მზარეულზე და სხვა განსაკუთრებულ მომსახურებაზე
უარი ვთქვი, მანქანა დავიტოვე, რადგან უმანქანოდ ზღვაზე
ყოველდღიური, მით უურო, დღეში რამდენჯერმე ჩასვლა
გაგვიჭირდებოდა.

ავეისტოში, როგორც ყოველთვის, ბევრი ჩემი კოლეგა ის-
ვენებდა გაგრაში — მინისტრები, მინისტრების მოადგილები.
მათი თხოვნით ავიყვანე ერთხელ ისინი „ჩემი“ აპარტამენტ-
ების დასათვალიერებლად და კინაღამ გადაირივნენ, ისე მოე-
წონათ იქაურობა, აღფრთოვანებულები დარჩინენ.

სასაუზმოდ და სადილად ჩვენ ქვემოთ ჩაედიოდით და ჩემს
მეგობრებთან შესანიშნავად ვატარებდით დროს.

გაედა სამი დღე, მიედივარ პლაზისკენ. ჩავუარე იმ ორ-
სართულიან კოტეჯს და ვხედავ, დგას გიორგი ძიძარია სახ-
ლის წინ (შორიდან ვიცნობდი, ურთიერთობა არ მქონია),
მოწიწებით მომესალმა, მომიკითხა და ისეთი ბოდიშები მიხა-
და, რომ მე ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში:

— არ ვიცოდი რომ თქვენ იყავით, ოჯახი თუ გვავ-
დათ ჩამოყენილი, ტარიელ რაუფოვის ერთი სიტყვაც



რომ დასცდენოდა, რა თქმა უნდა უარს ეეტყოდი. სამი დღე
არაფერს ნიშნავდა ჩემთვის და ჩემი ცოლისთვის, თუ კარგი გადა
პატარა ბავშვებით ყოფილხართო...

ამასობაში მისი მეუღლეც გამოვიდა და მანაც მე და ჩემს
მეუღლეს დიდი ბოლიში მოგვიხადა.

ძიძარია წარმოდგენილი მყავდა უხიავ, უკარება კაცად,
ასე ახასიათებდნენ მას, მაგრამ ურთიერთობაში ნორმალური
ადამიანი აღმოჩნდა.

* * *

ამბობდნენ, შალვა ფარფარაშვილი უკარება კაციაო. რა
ვიცი, იქნებ მართლაც ასეა. ცე-ს პარტიული კომისიის თავმჯ-
დომარე კველასთან გულდია და გულთბილი ვერ იქნებოდა...
მიუხედავად ამისა, მასთან დაკავშირებით მე საპირისპირო
შემთხვევას გავიხსენებ.

მოსკოვში ერთდროულად ვსწავლობდით — მე სახალხო
მეურნეობის აკადემიაში, ის — საზოგადოებრივ მეცნიერებათა
აკადემიაში. მსმნელები ერთმანეთთან ვტევობრობდით. ერთხ-
ელ ცეკას ადმინისტრაციული განყოფილების გამგებ ნუგზარ
საჯარის დაბადების დღის აღსანიშნავი დიდებული პურმარილი
გაშალა, მე და შალვაც მოგვიწვა. მეგობართა წრეში ჭიქის
აწევაზე უარს არასოდეს ამბობდა. ჩვენ მოსკოვში სუფრასთან
რამდენიმეჯერ მოგვიწიდ ერთად ყოფნა, ამანაც დაგვაახლოევა.

გავიდა დრო. სამშობლოში დაებრუნდით და ჩვენ-ჩვენ
საქმეს შევუდექთ.

ერთხელ, ცეკას ბიუროზე უნდა განეხილათ კოლბინის
მიერ შეტანილი საკითხი, რომელიც მე მეხებოდა. შალვა
ფარფარაშვილმა წინასწარ მოაწყო მისი განხილვა. ძალიან
მკაცრად იღაარაკა. ავდექი და მოვახსენე, ხვალ დილით
მოსკოვში მივურინავ თათბირზე, ამიტომ ბიუროს სხდომას



ვერ დაკუსწირები-მეთქი...

— ევ გამორიცხულია, აუცილებლად აქ უნდა ჩატვალი შეუძლია მომიჭრა მქაცრი ტონით.

— აგერ მაქვს დეპეშა, მიელინება, ბილეთი, — უკან არ დაეიხი.

არაფერი მიპასუხა. ყველა დაითხოვა, მე კი დამტოვა. ცოტა სანს დუმდა, მერე კი მითხრა:

— ჰატივსაც გცემთ და მჯერა კიდეც თქვენი, მავრამ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი, იმათთან ასე უნდა მეთქვა. თქვენ საქმიანი კაცი ხართ. გაურინდით მოსკოვში. ზვალ მე ჭველაფერს მიეხედავ, საქმეს არ გავამწვავებო....

ასეთად დამამახსოვრდა იგი.

MGU-ს პირველი პროდუქტობის სტუმარი



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საიუბილეო თარიღი საზეიმოდ აღნიშნა. უამრავი სტუმარი ჩამოვიდა.

მოსკოვიდან ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ელოდნენ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მას მოულოდნელად მოუწია უცხოეთში გამგზავრება და თბილისში უნივერსიტეტის პირველი პრორექტორი ვლადიმერ ივანეს ქედობრენკოვი გვეწვია, ჩემი ძეველი და კარგი მეცნარი.

კვირა დილით მირეკავს დობრენკოვი და მეუბნება:

— გურამ ენუქიძემ გორში დამპატიება. გორში ვარ ნამყოფი და წასვლა არ მონდა, მოდი ეს დღე, ომარ ალექსანდროვიჩ, ერთად გავატაროთ. საღამოს კი მოსკოვში მივჟრინავო.

მე და ჩემი მეუბლე წინა საღამოს ჩამოვურინდით მოსკოვიდან და ოჯახში პროდუქტების სიმწირე იყო. ბელას ვთხოვე, დატრიალდი და ვებ რამე გაგვიხერხო, სტუმარს შინ სადილად მოვიყეან-მეთქი.

შეწუხდა ძალიან. მაგრამ დაუყოვნებლივ შეუდგა თადარიგს. მე კი მანქანა გამოვიძებე და სტუმართან წავედი.

ერთმანეთს კრწანისში, მთავრობის რეზიდენციაში შევხდით და ქალაქში გამოვედით ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად.

შემოღომა იყო. ახლოვდებოდა თბილისობა, ბევრი რამ კეთდებოდა ძეველი თბილისის უბნებში. სტუმარს ვათვალიერებინებ რესტაურირებულ და განახლებულ ვიწრო ქუჩებს, რესტორნებს, კაფე-ბარებს, საგამოფენო და სავაჭრო ობიექტებს, მაღაზიებს და სახელოსნოებს. მოულოდნელად თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ვივი გუბარიძეს და მეორე მდივანს, ჩემი ბავშვობის მეცნარს — რამაზ გოგლიძეს გადავეჭარეთ.

სამწუხაროდ, როგორც თითქმის ყველა მაღალი რანგის



ფუნქციონერს, არც გუმბარიძეს აკლდა ქედმაღლობა. ჩემს
სტუმარს ისე მიესალმა, თითქოს მოწყალება გაიღო რეალური მართვის
როგორც კი გაიგო, რომ იგი МГУ-ს პირველი პროფესიონალი
იყო, თვალსა და ხელს შუა შეიცვალა, აღტყინდა, გახალისდა,
აფორიაქდა, გარშემო ურბენდა ამ კაცს, დაუწყო რაღაც ამ-
ბების მოყოლა, უნდა დაგათვალიერებინოთ თბილისიო და ასე
შემდეგ და ასე შემდევ.

მოკიდა ხელი ამ ჩემს სტუმარს და წაიყვანა. აქ კაუეს
ვხსნითო, იქ ძევლი თბილისის რესტავრაციას ვაგრძელებთო,
დაყავს ეს კაცი აქეთ, იქით. მიეყვებთ უკან მე და რამაზი.

ჩემი მბროლი ოპანიკა მოკიდა და მუსხნება — ქალბატონმა
ბელამ დარეკა — ორ კაცზე სუფრა გაშლილიაო.

როცა გუმბარიძისგან თავსმოხვეული „ექსკურსია“ დას-
რულდა, დიდი მადლობა გადაუხადეთ მეც და ჩემმა სტუმარ-
მაც და წასასვლელად გაეკრძალეთ.

— რას ჰქვია, მიდიხართო! — იფეთქა გუმბარიძემ, — არა-
ვითარ შემთხვევაში! ასეთ პატივსაცემ კაცს თბილისში მე
უნდა ვუმასპინძლოთ.

არადა, არ მინდა, რომ წამოვიდეს...

მაგრამ პირდაპირ ხომ ვერ ვეტყოდი, თქვენ დარჩით და
ჩეუნ წავალთო...

ვერაფერი რომ ვერ გავაწყვე, ჩავსხედით მანქანებში. სტუ-
მარი გუმბარიძემ ჩაისვა და მითხვა, თქვენ წინ იარეთ ჩეუნ
გამოიყებითო. მანქანიდან ბელას დავურეკე როთხი მოვდივართ
და რამე მოიტიქრე-მეთქი.

მივედით ჩემთან. მივუსხედით მაგიდას და შევუდექით
ტრაპეზს.

ჩენებს სუფრას ახალი და ახალი კერძები ემატებოდა. ამ
სასწაულის შემოქმედი ჩემი მეუღლე იყო. ცოტას ოპანიკაც
მიხმარებია, რომელმაც იმ გეიანი შემოდგომის დღეს სადღაც
კიტრი და პამიღორიც კი იშოვა.

გაუქვირდა დობრუნკოვს, — ეს საიდანო?



გუმბარიძემ იხუმრა:

— У Омара Александровича есть приусадебный участок на котором он выращивает поздние овощи.

Амან კი იხუმრა, მაგრამ დობრენკოვმა, როგორც სერიოზულმა მეცნიერმა, ეს ინფორმაცია სერიოზულად აღიქვა და ესიამოვნა კიდეც, რომ მისი მეცნიერი გარდა თავისი პროფესიული საქმიანობისა, ასეთ სასარგებლო შრომასაც ეწეოდა თურმე..

სასმელი, მადლობა ღმერთს, არ გვაქლდა, რამდენიმე ბოთლი შესანიშნავი „წისელი“ მქონდა სახლში და მიყვა სადღეგრძელო სადლეგრძელოს.

გუმბარიძემ დობრენკოვს მიმართა:

— Владимир Иванович, осмелюсь обратиться к Вам с одной просьбой, — да შემდეგ მოუთხრო, რომ მისი შვილი იმ წელიწადს МГУ-ში მოეწყო, პირველ კურსზე. მოსკოვში პატრიოთი არავინ ჰყავს და რომ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს.

დამიწერეთ, რომელ ფაქულტეტზეა, რომელ ჯგუფში და მე ვიცი როგორც მივხედავო, — უპასუხა დობრენკოვმა:

— Я беру всю ответственность на себя. Лично буду его опекать.

ისეთ პირობებს შევუქმნი, რომ უკეთესს ვერც ინატრებო: ჩვენს საეციალურ საერთო საცხოვრებელში მოვაწყობ, ჩათვალეთ, რომ მოსკოვში მე ვიქნები მისი მამაო.

აუკე, გადაეხვია გივი ამ კაცს, არის ერთი ხვევნა-კოცნა და სიყვარულის ახსნა.

როგორც იქნა, ავდექით სულილდან. უნდა ვიჩქაროთ, რადგან სტუმარი მოსკოვშია გასაფრენი და უნდა მივუსწროთ რეისს.

საქმეში ხარ? გუმბარიძე მანქანიდან რეტავს სადღაც და ავალებს, სულრა გაშალონ კრწანისის რეზიდენციაში და მომღერლები მოიყვანონ აუცილებლად.

გივის კუპნები, რომ არაფერი არ არის საჭირო, რომ



დრო არა გვაქს, ეს კაცი გასამგზაურებლად შნად არ აძიგა, ყველაფური ჩასალაგებელი აქს, თანაც საქმაოდ ნასტაშიშვილი ვინ მისმინა! მივედით კრწანისში როგორც ბეჭა, უკანას წრაფოდ ჩავუყარეთ ყველაფური ჩემოდანში და ცოტა ხანში უკვე სუფრას მიეუსხედით.

ნემსებზე ვსხედვართ მე და რამაზი. მომღერლები მღერიან.

გუმბარიძეს უკვე ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად: დაგვიანება არ ვიცი მეო. რამაზს ეუბნება, ხომ იყვავი საქართვის რაიკომის პირველი მდივანი, ხომ შენთან შემოდიოდა აურაპორტი, დარეკე და უთხარი, შეაჩერონ რეისი!

წავიდა სადღევრელოები. ისევ ვსვამთ და მეც ეს მაშინებს – რამე არ დაემართოს დობრენქვეს, რომელიც მოსკოვშია გასაფრენი...

ვიძალე და როგორც იქნა სუფრას მოვწყვიტე გუმბარიძე.

მანქანებით მივედით ტრაპთან და რას ვხედავთ, დგანან იქ ცეკას მდივანი გივი ანჩაბაძე და ცეკას განყოფილების გამგე ენცერ კაპბა.

თურმე ამათ სტუმრები მოუცილებიათ ტრაპამდე და სანამ ადგილიდან არ დაიძრება თვითმურინავი, აქ უნდა იდგნენ, ხელი რომ დაუქნიონ:

თვითმურინავი კი ჩეენი მიზეზით არ გაპყავთ ასაფრენ ხოლოზე.

გამიყვანა ანჩაბაძემ გვერდზე:

– კაცო, თქვენ გიშები ხომ არა ხართ, ორმოცი წუთია აქა ვდგავართ, ჩამოვწყდითო.

უუთხარი, რაც იყო და როგორც მოხდა.

თითქოს აქ უნდა დამთავრებულიყო ჩეენი გასაჭირი.

როგორ გეკადრებათ!

ხომ უნდა ავიდეს სტუმარი თვითმურინავში?

მაგრამ როგორ ავა, როცა ფეხზე ეერა დგას?!



ავედი ბორტზე, ვწედავ სხედან გუგულებივთ სახელწიფი
მომარაგების კომიტეტის ბიჭები - ბონდო ხობელავაზე ამინდის და
თავართქილაძე, ემზარ ორჯონიქიძე, კუკური გვარიშვილი...
ორს ვთხოვე ჩამოდით და კაცი ამომაყვანინეთ-მეთქი.

ჩამომყენენ ანზორი და ემზარი. მხრებში ამოუდნენ დო-
ბრუნკოვს, აიყვანეს, შუაში „ჩასვენეს“ და დაგვამშვიდეს -
უკნებლად ჩავაბარებთ პატრონსო.

სტუმარი კი გავაძგზავრეთ, მაგრამ ქიფი გაგრძელდა. რა-
მაზ გოგლიძე არ მოგვემვა და საგურამოში თავისი ქეისლის
აგარაკზე წაგვიყვანა...

სანამ ამ ამბავს წერტილს დავუსვამდე, ბარემ იმასაც
ვიტყვი, რომ გვიან საღამოს მოსკოვიდან დამირეკეს ბიჭებმა
და დეტალურად მომიყვნენ, როგორ დამთავრდა დობრუნკოვის
თბილისური „ოდისეადა“...

შეეიღობით ჩავედით, მაგრამ ვერა და ვერ გავაღებიეთ
თქენი სტუმარიო. აეწიეთ და ციმციმ ჩავიყვანეთ ტრაპზე.
კიდევ კარგი, რომ მანქანები თვითმფრინავთან გველოდებოდა.
ჩავსვით მანქანაში. მაგრამ სად უნდა წავიყვანოთ, არ ვიცით.
თვითონ კი წმას ვერ იღებს. ბორჯომი ვაპკურეთ.

როგორც იქნა, ამოღერდა მისამართი. ავიყვანეთ სახლში
და როცა ცოლმა კარი გაგვიღო, ქმარი მკვდარი ეგონა.

რაც შეეხება გივი გუმბარიძის შვილს, პრორექტორმა სი-
ტყვა შეასრულა, უპატრონა და სწავლისთვის საჭირო იდე-
ალური პირობები მართლაც შეუქმნა.

- დობრუნკოვის მეუღლესთან ერთად თბილისში ჩემთან
მორიგი სტუმრობისას, გუმბარიძე უკვე სახელმწიფო უმიშ-
როების კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ...

მე და მისამილი პრამობები

ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პატარა პრამობების შემცემინა. მე და დიდი წილი ჩემი მეგობარი ზეზვა ღულუნიშვილი ერთად ვმუშაობდით ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტში. უროლოგის ცენტრში, აკადემიკოს ლაური მანაგაძესთან მინდა მისებია, მაგრამ მისამართი არ ვიცი, იქნებ, მომებმარო-მეთქი, დავურეკე. მაშინ ზეზვა პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

„არამიანცის“ ახალ კორპუსში ზისო, მიპასუხა.

ახალი კორპუსი სად არის, არც ეგ ვიცი-მეთქი.

— მკელი ხომ იცა?

— იზაშვილი, გზირიშვილი და სოქრატ არშბა რომ მუშაობდნენ? — ვეკითხებიძ...

— ვენი ისე მკელი პლეადაა, არ ვიცნობდიო, — შეწუხდა ზეზვა.

— სამაგიეროდ, მე ვიცნობდი. მარტო მაგათ კი არა, ვიცნობდი თვით ალექსანდრე წულუკიძესაც, საქართველოში უროლოგის მამამთავარს (ახლა უროლოგის ცენტრი ალექსანდრე წულუკიძის სახელობისაა).

არა და მართლა ვიცნობდი — მამაჩემსა გამაცნო ისიც, პროფესორი ავთანდილ კუტუბიძეც და პროფესორი დარია ბერევერანიც.

— როგორც გატყობ, შენ ალბათ მიქაელ არამიანცსაც იცნობდი და მიმალავო! — ამოიონზრა ზეზვამ.



რამდენჯერმე ვიწყეთ ბამზე – ბაიკალ-ამურის შეგისტრაციის შექნებლობაზე. ეს იყო იმდროინდელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უდიდესი შექნებლობა, რომელიც 3145 კილომეტრზე უნდა გადაჭიმულიყო უსტ-კუტიდან ამურის კოშისომოლსკამდე. შექნებლობის მიზანს შეადგინდა ციმბირის სასარგებლო წიაღისეულით (კოქსადი ქვანანშირი, რკინის მაღანი, მაგნეტიტი, ფერადი ლითონები, ბუნებრივი მოსაპირეთებელი ქვები, ხეტყე...) მდიდარი რაიონების დაკავშირება ქვეყნის მსხვილ სამრეწველო ცენტრებთან.

ადგილობრივი მაცხოვრებლები – ვენეცია, მხოლოდ თე-კაშაბბითა და ნადირობით ორჩენდნენ თავს. მათ ტერიტორიაზე ჩამოედინება უზარმაზარი წყალუხვი მდინარე ენისეი, რომლის ერთი ნაპირიდან, მეორე ბუნდოვნად ჩანდა. გარშემო ქიუპილვანი ტაიგაა...

ჩვენმა სამინისტრომ იქ ააშენა ჯერ ნია-გრუზინსკაიას რეინიგზის სადგურის კომპლექსი და საცხოვრებელი დაბა, მისი დასრულების შემდეგ კი რეინიგზის სადგური და დაბა იყაბია ჩიტის ოლქში. ნია-გრუზინსკაიას შექნებლობას ხელმძღვანელობდა სახელოვანი შექნებელი, მულტურის ოლიმპიური ჩემპიონის ნადევდა ხნიერის ღირსეული მუსლინ ანზორ დვალიშვილი, იყაბის კომპლექსის შექნებლობას კი თავკაციობდა ასევე შესანიშნავი შექნებელი გოგი ღუდუშაური – ისიც დიდი ორგანიზაციონი და არაჩვეულებრივი ადამიანი.

ქართველმა შექნებლებმა ტრადიციებს არც ახლა უდალატეს – მაღალხარისხოვნად შესრულებული ეს ორივე კომპლექსი, მოელი თავისი ინფრასტრუქტურით, დროულად ჩააბარეს სახელმწიფო კომისიას.

სხვათა შორის, ბაიკალ-ამურის გრანდიოზული მაგისტრალის შექნებლობის იდეას მიაწერდნენ ლეონიდ ბრეਜნევს (ასეთი რამ მაშინ წესად იყო!). მანაც მისთვის ჩვეული



„თავმდაბლობით“ შეიფერა ეს „დაშსახურება“. იქნებ ბევრიცა არც კი იცის, რომ მაგისტრალის მშენებლობის სათავეები სინამდვილეში იღვა იოსებ სტალინი. სწორედ მისი უშუალო მითითებით 1936 წელს დაიწყო ციმბირის ამ ურთულესი, უკიდუგანო ტერიტორიის ათვისება. მიზანი მაშინაც ამ რეგიონის ბუნებრივი წიაღისეულის ქვეყნის მრეწველობის სამსახურში ჩაეყინება იყო. როგორც ბევრი სხვა გიგანტისა, ბაიკალის მაგისტრალის მშენებლობაც გასაიდუმლოებული იყო. მშენებლობაზე, ძირითადად, პატიმრები მუშაობდნენ. პატიმრებისგან შედგებოდა ინჟინერ-ტექნიკური პერსონალიც.

მშენებლობა იმ დროისთვის უჩვეულო ტემპებით წარიმართა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომმა იყი შეაჩერა – აყარეს დაგებული ლიანდაგი და მშენებლებთან ერთად ტანკსაწინააღმდეგო და სხვა სახის ბარიერების მოსაწყობად ფრონტზე გადაისროლეს.

ერთხელ იკაბიის კომპლექსის ექსპლოატაციაში მისაღები სახელმწიფო კომისიის სხდომაზე მიგვიწვიეს „სახმშენის“ თავმჯდომარე გურამ მირიანაშვილი და მე. გურამი უნიჭირული არქიტექტორი და გულისხმიერი ხელმძღვანელი იყო. ჩევნ მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, რაზეც ჩემი მოგონებების სხვა ეპიზოდებშიც არაურთხელ მიეუთითე. ის პირველად იყო ბამზე. ძალიან ბევრი ვიურინეთ ჯურ თბილისიდან მოსკოვიჩიტა-ტინდის მიმართულებით, მერე კი ტინდიდან მატარებლით 26 საათი ვიმეზავრეთ, ამიტომაც გურამს დღე და ღამე აერია – ღამით ფხიზლად იყო, დღისით კი თვლებდა ხოლმე...

ამურსკის ოლქის ქალაქ ტანდაში, ბაზის მშენებლობის მთავარ სამსართველოში, შევხვდი ჩემს თანაჯგუფელს აკადემიიდან ვალერი შმიდტს, რომელიც, თურმე, მაგისტრალის „ხიდშენის“ ტრესტს ხელმძღვანელობდა. ისე თბილად შემხვდა, როგორც საზოგადოებრივ ციმბირელებს ახასიათებთ. ეს რომ ნახა, გურამი გადაირია, ამ ვადაკარგულ მხარეშიც არ ვამოგელია მეგობრებით?



კომისიის წევრებმა ტინდაში მოვიყარეთ თავი და ორგონი
უპი ვთქვი, იქიდან მატარებლის კრთი არასტანდაზოგადი და
ვაკონით გავემგზავრეთ. კომისიის ყველა წევრს ჰქინიაშო
ლიანი ცალკე ჩატე გვერდა გამოყოფილი. ჩეენს განკარ-
გულებაში იყო აგრძოვე ოთახი დიდი ოვალური მაგიდითა
და სავარძლებით. ვითათბირეთ, ბევრი ტექნიკური და ორგა-
ნიზაციული საკითხი განვიხილეთ. ეს ღონისძიება რამდენიმე
საათს გაგრძელდა. მერე მასპინძლებმა და მოშესახურე პერ-
სონალმა ზღაპრული სუფრა გაშალეს – რუსული დელიკა-
ტესებით, ზღვის პროდუქტებით. ჩემი წინადაღებით თამაღად
გურამი ავირჩიეთ. მან, თავისი შეუდარებელი ურუდიცით,
ინტელექტით, შევენიერი, უზინჯო რუსულითა და რა თქმა
უნდა მოსწრებული, შენაარსიანი საღლევრძელოებით ყველა
მოხიბლა. მართლაც დიდებულად ითამაღა!

შეუგული აგვისტო იყო. დილით აღრე გამეღვიძა და რას
ვხედავ: მატარებელი საღლაც ტაიგაში მიპქრის და მთელი შე-
მოგარენი თოვლით არის დაფარული! სიმბიმისგან დაზინებილი
ნაძვის ტოტები ლამის მიწას ეკვრის. ციმბირი ციმბირია, მა-
გრამ აგვისტო და ამხელა თოვლი? გავაღვიძე გურამი. ისიც
თვალებს არ უკერებს, კაცო, რა ხდება, სიზმარში ხომ არა
ვართო. თურმე ნუ იტყვით, მატარებელი მაღალ უღელტეხ-
ილზე გადადიოდა! დაახლოებით ერთი საათი ვიარეთ ამ ზღა-
პარში. მერე მატარებელმა ისევ გაივაკა და მოულოდნელი
ზამთარიც დამთავრდა...

მანსენდება გურამის 60 წლის ობილე. თამაღა ჯანსუდ
სარკვიანია. შემოღიან განუყრელი მეგობრები, ღირსული ადა-
მიანები – თეიმურაზ დავითაშვილი, მამია მეგრელიშვილი და
თამაზ ჯანელიძე. მათ წინ მოუძღვება კიტა შევიშეილი.

ამათ დანახვაზე ჯანსუდმა ხმამაღლა იხუმრა:
– შეხედეთ, კიტები მოვიდნენ, კიტები-ო!

ბენებობისტი-პილიტიკის სამსახური

ზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს მიგვიწვიეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან და გვითხრეს, რომ ჩვენთან საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად ჩამოდის აშშ აღმინისტრაციის მაღალჩინოსანი, ბინათმშენებლობის და ქალაქებანვითარების მინისტრი სამუელ პირია. წაგვიკითხეს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკოლოზ რიჟკოვის განკარგულება ამ ვიზიტთან დაკავშირდება.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს განკარგულებით შეიქმნა სტუმრის მიღებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი: ზურაბ ლაბახვა – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ირაკლი ანდორიაძე – თბილისის აღმასკომის თავმჯდომარე, ნიკოლოზ ნეფელოვი – ქომუნალური მეურნეობის მინისტრი, გურამ მირიანაშვილი – სახმელის თავმჯდომარე და მე.

უკრანალებს „ამერიკასა“ და „ინგლისს“ მინახავდნენ მოსკოვის ერთ-ერთ ჯიშურში.

ამ „ამერიკას“ ერთ-ერთ ბოლო ნომერში ამოვიკითხე, რომ პრეზიდენტმა რეიგანმა თავის ადმინისტრაციაში ირი ფერადკანიანი შეიყვანა: ერთი ქალი – განათლების მინისტრი, მეორე კი ის კაცი, რომელიც ჩვენთან ჩამოდიოდა.

აეროპორტში დასახვედრად მივედით. კოლა ნეფელოვს ვეუბნები, რომ მინისტრი, ვისაც ველოდებით, შავკანიანია.

– ჩე ჩამინა! – მიპასუხა ნეფელოვმა.

– აგერ ვნახავთ-მეთქი.

– შენ რა იცი, იცნობ? – მეზურება.

ჩამოფრინდა თვითმფრინავი. ჩვენ გამწკრივებულები ტრაპ-თან ვწვდებით.

გაიღო წინა კარი, ტრაპზე გამოჩნდა ერთი გულგაღელილი, შიშველ ფეხებზე ფეხსაცმლით და მკლავებდაკაპიწებული ჭრელი პერანგით ახალგაზრდა, ათლეტური აღნაგობის, სათვალეებიანი ზანგი მამაკაცი.



ჩეენ ყველანი კოსტუმებში, ჰალსტუხებით ყელწაჭერილებ
ბი ვდგავართ.

გამახსენდა თითქმის იდენტური სცენა იმავე აერატურული მასა
როცა თბილისში ჩამოყრინდა საურანგვითის კომპარტიის გენ-
ერალური მდივანი ფორე მარშე, — ჭიბამდე ღილებჩახსნილი
და მკლავებდაკაპიტებული პერანგით, უწინდებოდ... ტრაპთან
დაზედნენ რესპუბლიკის მაშინდელი ხელმძღვანელები ედუ-
არდ შევარდნაძე, ზურაბ პატარიძე და პავლე გილაშვილი
დაიბლომატიური ეტიკეტის სრული დაცვით კოსტუმებში და
ჰალსტუხებში.

არადა, ძალიან ცხელი აგვისტოა...

ახლაც ზაფხულია. ივლისი. ცხელა.

— ა, ეს კაცია ჩეენი სტუმარი! — ვთქვი.

არ დამიჯერეს.

მაგრამ როცა თან ჩამოყრინენ თანმხლები პირები და მოსკ-
ოვიდან სპეციალურად მოვლინებული თარჯიშინები, მაშინ ქი
დამიჯერეს და დიდის ამბითაც მიესალმნენ.

პირველი საქმიან ლანჩჩე ლაბაზუაშ სტუმარს საქართ-
ველოში მისა სტუმრობის პროგრამას წარუდგინა. კითხულობს
ზურაბი ამ პროგრამას, თან უხსნის, რატომ ავარჩიუთ ესა თუ
ის ობიექტი, რითაა ის საინტერესო და ვატყობთ, რომ რაც
უფრო შეტს ლაპარაკობს ლაბაზუა, მით უფრო შეტაც ეკარგე-
ბა ამერიკელს ინტერესი ჩეენს მიერ შეთავაზებული პროგრა-
მის მიმართ. მოსკოველმა თარჯიშინმაც დაგვიდასტურა, რომ

— ეთი ეму ანსოლითი ხე ინტერესი.

გადავდეთ ეს პროგრამა და დავათვალიერებინეთ ის, რაც
მას ნამდვილად აინტერესებდა.

ჩეენი სტუმარი ძალიან შესიკალური კაცი აღმოჩნდა.
ქართული სიმღერები ისე მოეწონა, რომ უებზე ამდგარი აღ-
ფრთველებული უსმენდა.

ზურაბ ლაბაზუა ჩეენთან ერთად იშვიათად იყო და ამი-
ტომაც მე მიხდებოდა სტუმრის მანქანაში ჯდომა... ჩეენთან



მყოფი თარჯიმანი მიაღვიღებდა მასთან კანტაქტს.

კეთხე, საბჭოთა კავშირში მისი პირველი ვიზიტის შემთხვევაში რატომ დაინტერესდა მაინცა და მაინც საქართველოში?

— ვაშინგტონში შევხვდი თქვენს საგარეო საქმეთა მინისტრს შევარდნაძეს. ისეთი საინტერესო მოსაუბრე გამოდგა, რომ ვკითხე, საიდან იყო წარმოშობით? მითხრა, საქართველოდანო, მელამარაკა თავის საშობლოზე და მთხოვა, როცა საშუალება მოგეცემათ, ჩადით საქართველოში და ჩემი სიტყვების სიმართლეში დარწმუნდებითო. ასე რომ, კლუარდის რეკომენდაციით ვარო ჩამოსული.

დამაინტერესა იმანაც, თუ როგორ აღმოჩნდა ასეთ მაღალ თანამდებობაზე, როგორი იყო მისი კარიერული აღმასვლა.

— სრულიად შემთხვევით აღმოჩნდი ამ სავარძელში, — მიპასუხა და აი, რა მიამო.

უღატაკესი ოჯახის შეილი ყოფილა. დიდი მონდომებისა და შრომისმოყვარების წყალობით მოუხერხებდა თურიდოული კოლეგის დამთავრება და თავისი საადვოკატო კანტორა გაუხსნდა.

გატაცებული ყოფილა ბეისბოლით და კალიფორნიის ერთ-ერთი წამყვანი და წარმატებული გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც თამაშობდა. თურმე კალიფორნიის გუბერნატორი რონალდ რეიგანი ამ გუნდის გულშემატკიცარი ყოფილა, დიდი კურადღებით ადევნებდა თვალს მის გამოსკლებს და აღტაცებულა ამ ახალგაზრდა სპორტსმენის ოსტატობით.

გადის დრო და რეიგანს პრეზიდენტად ირჩევენ. ერთ შევინიერ დღეს ამ პატარა საადვოკატო კანტორაში მოაქვთ დიდი კონკურენტი: პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოგზავნილი ბარათით: მას რეიგანთან შესახევერრად იწვევდნენ.

ვერ გავიგე, რა საქმე უნდა ჰქონოდა ახლადარჩეულ პრეზიდენტს ჩემთან — ერთ ჩვეულებრივ აღვოკატთან.

ჩატრენილა ვაშინგტონში და რეიგანს მშენებლობის და კომუნალური მუნიციპალიტეტის მინისტრის პორტფელი შეუთავაზე-

ბია: მე თქვენი დიდი გულშემატკიცვარი ვარ, ძალას გაფასები
და თქვენს თამაშს ყოველთვის სიამოვნებით ვუფურობდეთ უკუკი

სამუელ პირსი დიდი აღიროთვანებით არ შეხვდის მას მარე
წინადადებას, რადგან თავის კანტორიდან შემოსავალი მინის-
ტრის ხელიასს საგრძნობლად აჭარბებდა. თავისი მანქანით
სადაც სურდა და როცა უნდოდა, იქ წავიდოდა. აქ კი მანქანა
გამოიხატებით უნდა ჰყოლოდა და მიმოსელაც მკაცრად რეგლა-
მენტირებული იყო.

დავინტერესდი, რამდენი კაცი მუშაობდა მისი სამინის-
ტრის აპარატში? დაუკარებული პასუხი გამცა.

— ოცდაოთვისმეტიო...

გავოცდი, საქართველოს მშენებლობის სამინისტროში 300-
მდე თანამშრომელი გვყავდა, საკავშიროში კი ათას ექვსასზე
მეტი.

აშშ-ის სახელმწიფო დარგობრივი სტრუქტურების ფუნქ-
ცია დამატრალურად განსხვავებული იყო საბჭოთა სახელმ-
წიფო სტრუქტურების ფუნქციისგან. მაშინ, ამ კონკრეტული
სამინისტროს სპეციულიკასთან უმუალო შეხების დროს, ეს
განსხვავება რეალურად გამოიყენა.

სამწუხაროდ, ყველასთვის — არა.

ირაკლი ანდრიაძემ ასეთი უადგილო შეკითხვა დაუსვა:

— თქვენთან საცხოვრებელ სახლს რომ აბარებენ ექს-
პლოატაციაში, რამდენ პროცენტს აძლევთ მშენებელსო.

ამ შეკითხვისა ვერაფერი გაივი სტუმარმა, რა პროცენ-
ტებზე იყო საუბარი... სამაგისტროდ ჩვენ გავიგეთ ირაკლის
სანაფიქრი: ჩევნთან არსებული წესით მშენებლებს 10 პრო-
ცენტი რჩებოდა, ანდრიაძე სულ იმის ცდაში იყო, რომ რა-
მენათან შეემცირებინა ეს პროცენტი. ამერიკლს კი იმიტომ
შეეკითხა, რომ თუ იგი ნაკლებ პროცენტს დაუსახლებდა,
სალაპარაკო მიეცემოდა — ამერიკაში ნაკლებია და ჩვენ მეტი
რატომ უნდა დაუტოვოთ მშენებლებსო?

მეორე შეკითხვა კიდევ უფრო უადგილო იყო:



— ბინებს რომ უყოფეთ, მოქალაქებს რამდენ კვადრატულ
მეტრს აძლევთ ერთ სულზე, ნორმა რამდენია? — ირკვეული
ირაკლის გეუბნები, რომ მისი შეკითხვები უადგინდობდებოდა
ჩვენს უკიცობას ამჟღავნებს.

ის მაინც თავისაზე დგას.

შეწუხდა ჩვენი სტუმარიც და უპასუხა ანდრიაძეს:

— მე თქვენი შეკითხვისა ვერაფერი გავიგე, მაგრამ მაინც
გიპასუხებთ. ჩვენთან ვისაც რისი სურვეილი და შესაძლებლობაც
აქვს (აյ მან ჯიბეზე ხელი დაირტყა) იმას ყიდულობსო...

ანდრიაძეს კიდევ რაღაცის შეკითხვა სურდა, მაგრამ გა-
აჩერებს.

მესამე დღეს გავაცილეთ ამერიკელი სტუმარი. ქმაყოფილი
წაეთდა.

გადის დრო და შტატებში დაბრუნებული სამუელ პირსი
მიგზავნის მადლობის წერილს.

Уважаемый г-н Маргвелашвили,

«Примите мою личную благодарность за то, что Вы, при
Вашей большой занятости, нашли время сопровождать меня
и моих сотрудников во время нашего чрезвычайно приятного
пребывания в Тбилиси. Я уверен, что правительство Грузии
высоко ценит присутствие в министерстве строительства
таких талантливых людей, как Вы.

Ваш город очень красивый и имеет большую историю.
Вы можете по настоящему гордиться им. Что касается
Вашей личной жизни, Вы можете также гордиться Вашими
сыновьями. Они прекрасные атлеты и преуспевают в
водном поло. Желаю им всего хорошего. Мои наилучшие
пожелания Вам и Вашей семье.

Очень искренне Ваш,

Самуэл Пирс Младший

1987 г. 9 июля».



დაუკუმატებდი ერთ რამეს: ბატონი სამუელის აღვრით
განება თბილისით და მისი ისტორიით გამოჩენილი ქართველი უძველესი არქიტექტორის და სასიამოვნო ინტელიგენტის გიგა შემთხვევაში ვიღის დაშვახურებაც იყო, რომელიც ჩემი დაეფინებული თხ-
ოვნით თან გვახდდა თბილისის დათვალიერების ექსკურსიის დროს და ისეთი გატაცებით და საგნის ისეთი ღრმა ცოდნით
უხსნიდა სტუმრებს საქართველოს დედაქალაქის ისტორიას
და მის მნიშვნელობას მსოფლიო კულტურის კონტექსტში,
რომ აღაფროვანა ამერიკელები.

ერთი დეტალი — ერთ საღამოს რესტორანში სტუმარი
გახშმად მიეკიცით. სუფრის თამადა — ზურაბ ლაპახუა, აფხა-
ზური წესის მიხედვით, ყოველ სადლეგრძელოს ფეხზე დგომით
წარმოთქმას, თან აიშულებს ყველას, მათ შორის სტუმრებ-
საც, ფეხზე ადგნენ და მოუსმინონ. სადლეგრძელოებს ამბობს
გრძლად, ამას ემატება თარჯიმნის თარგმანი ისე, რომ ეს
ყველაფერი ძალიან მომახსრებელი და დამქნცველია. გან-
საკუთრებით სტუმრებისთვის. თან სადლეგრძელოებს შორის
პაუზა ძალიან მცირეა. ასე რომ, თითქმის სულ ფეხზე გიხდე-
ბა დგომა. სტუმრები შეწუხდნენ. სამუელი დაიღალა ამდენი
ადგომა-დაჯდომით და მორიგ სადლეგრძელოზე პროტესტის
ნიშნად ფეხი ფეხზე გადაიდო და ადგილიდან არ განძრეულა.
ზურაბი დგას და დეტალურად უხსნის, რომ ეს ჩვენი სუფრის
წესია. ვერააფერი გაიგო სტუმარმა და უთხრა: თქვენ ხელმძღ-
ვანელი ხართ და იდექით, ჩვენ კი, რიგითი წევრები ვიჯდებით
და ასე მოგისმენთო...



ეპიზოდი 1. რომელია უკალა გაარცა

იმ დროს საბჭოთა კავშირში ორად-ორი ბანკი – „შენტელიკი“ წილი ბანკი “და „მშენბანკი“ არსებობდა. „სახელმწიფო ბანკი“ აუინანსებდა მხოლოდ საბიუჯეტო და დოტაციაზე მყოფ ორგანიზაციებს, „მშენბანკი“ კი მთელ სახალხო მეურნეობას – მშენებლობას, მრეწველობას, ტრანსპორტს, სოფლის მუნიციპალიტეტებას. მიხეილ ზოტოვსაც და კლადიმერ აღნიშვნებაც ვიცნოდი. საბჭოთა დროს უდიდესი ბანკირები იყვნენ. მოგვალნებით, მიხეილ ვორბაჩიოვის დროს, საბჭოთა კავშირში შეიქმნა ხუთი ახალი ბანკი: „ბინსოციანკი“, „ავრობანკი“, „ექსიმბანკი“, „შემნახველბანკი“ და „მრეწველშემნბანკი“... ამით მინდა ხაზი გავუსვა იმ უზარმაზარ მასშტაბებს, რომელთაც „მშენბანკი“ ფლობდა. და აი, ასეთმა გიგანტმა, თითქმის ყოველისშემძლე ორგანიზაციამ, შესული ინფორმაციის საფუძველზე, პირადად ბანკის მსართველის მიხეილ სიმონის მე ზოტოვის მითითებით საქართველოს მშენებლობის სამინისტრო შეამოწმა! (მე მაშინ სხვა სამინისტროში კვეთაობდი).

როგორც ადრე მოგახსენეთ – ამ შემოწმების უკიდურესად უარყოფით მასალებს შეეწირა გოგი ანდრონიკაშვილი, იური ქელიშვილი, ზაურ მესხიშვილი, ირაკლი არობელიძე, გიგა ქართველიშვილი, რეზო თათეიშვილი და რამდენიმე ტრესტის მმართველი...

ამ სადამსჯელო ღონისძიებათა გატარების შემდეგ მიძინვეის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე და პირველ დღივანთან – ჯუმბერ პატაშვილთან გასაუბრების შემდეგ დამამტკიცეს საქართველოს მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ, საფინანსო-ეკონომიკურ საქითხებს ვეურირებდი.

ამის შემდეგ დად დროს არ გაუვლია, რომ მიხეილ ზოტოვი ჩამოვიდა თბილისში. მინისტრი, დამირ მანჯგალაძე მიელინებაში იმყოფებოდა, ამიტომ მაღალი სტუმრისთვის მე უნდა მემასპინძლა... ზოტოვი, საქმაოდ ხანდაზული, ძველი

და გამოცდილი ბანკირი იყო. ის უდიდესი ავტორიტეტით
სარეპლობდა მთელს კაეშირში.

ის ჩევნს სამინისტროში რომ მოვიდა, დიდ თაობირზე უცხოური
წრებოდნენ: მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ითარ ჩერქეზია,
ზურაბ ლაბახუა, დემურ დვალიშვილი, საქართველოს „მშენ-
ბანკის“ მმართველი ზაალ გენძეხაძე, პარტიის ცენტრალური
კომიტეტისა და მთავრობის ბევრი პასუხისმგებელი პირი...
განსახილველი საკითხი საფინანსო და ეკონომიკის სფეროს
ეხებოდა.

თაობირზე მახეილ ზოტოვმა განაცხადა:

— ჩევნი შემოწმების შედეგები განიხილა საბჭოთა კავშირის
ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ამხანავ ღიგაჩივის ხე-
ლმძღვანელობით. განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს ცე-
კას პირველი მდივანი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე-
მანამდე მათ განახორციელეს შესაბამისი ღონისძიებები და
ჟულა ბრალეულს სათანადო სასჯელი გამოუტანეს. როგორ
აპირებთ სიტუაციის გამოსწორებას? — მომმართა მე.

მიუწედავად იმისა, რომ ზოტოვი მოულოდნელად გვეწვია,
ჩევნი მინისტრი ადგილზე არ იყო და ასეთი დიდი ღონისძიე-
ბისათვის არც მე ვიყავი სათანადოდ მომხადებული, ჩემი
ინფორმაცია მაინც საინტერესო გამოდგა. ვისაუბრე ახალ
სისტემაზე, რომლის დანერგვასაც ვაპირებდით და რომლის
დიდი იმედიც გვქონდა. ზოტოვი ქმაყოფილი დარჩა. განაცხ-
ადა, ახლა საჭიროა ამ სისტემაში იმუშაოს, ჩევნთვის წომ
ჟულაზე მთავრი შედეგია. მერე დასძინა:

— მე აქ სისტემატურად ვერ ვივლი. ისევ თქვენ უნდა
შეიწუხოთ თავი და საკაეშირო „მშენბანკის“ გამგეობას
კურტალში ერთხელ ანგარიში წარმოუდგინოთ.

მიხეილ ზოტოვი საღამოს მოსკოვში გაფურინდა.

ყოველ კარტალში ერთხელ სავდიოდი მოსკოვში. „მშენბან-
კის“ გამგეობაზე. ყურადღებით მისმენდნენ და როცა აუცილე-
ბელი იყო, გვეხმარებოდნენ კიდევ.



ორ წელიწადზე ცოტა მეტი გავიდა. სისტემაშ, რომელიც სამინისტროში ჩემი წინადაღებით დაინერგა, გაამართლა დიდი წარმატებით იმუშავა. საბალანსო კომისიაზე, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი, ფიცელკვარტალურად დეტალურად ვინილავდით ქვედანაყოფების საბალანსო მაჩვენებლებს. შედევრი გმაც არ დააყოვნა: თანდათან შევავსეთ დანაკლისი საბრუნავ საშუალებებში, აღმოიფხორა – ზენორმატული ნაშთები, გადახარჯვა, ზარალი, დროულად ბარდებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები. რეალიზაცია მოვახდინეთ საკუთარი საწარმოების შენობა-ნაგებობების, მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების, რკინიგზის ჩიხების, დაზგა-დანადგარების, მოწყობილობების, სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების, რომლებიც სამინისტროს არ სჭირდებოდა, მათ შორის ზოგიერთი შენებარე ობიექტებისაც.

საქმაოდ სოლიდური საცხოვრებელი ფონდი შევასყიდინეთ იქ მაცხოვრებლებს, ეს მაშინ როცა ბინების პრივატიზაციაზე ქვეყანაში საუბარიც კი არ იყო.

ზოტოვი და გამგეობის ყველა წევრი ამ შედეგებით ფრიად ქმაყოფილი იყო.

ერთხელაც, მორიგი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, მიხედვილ ზოტოვმა ასეთი რამ შემომთავაზა:

– ჩემი მოადგილე ვიქტორ ბუკატო ახლად შექმნილი „ბინისოცბანკის“ მმართველად გადაჰყავთ. ამ თანამდებობას თქვენ გთავაზობთ, ომარ ალექსანდროვიჩ! რას იტყვით?

ანალოგიური დილემის წინაშე ერთხელ უკვე ვიდექი: სახალხო მეურნეობის აკადემია რომ დავამთავრე, მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილეობა შემომთავაზეს. ცდუნება დიდი იყო – მე ხომ სულ ახალგაზრდა ვიყავი. ჩემი შვილები მოსკოვში მეორე-მესამე კლასში სწავლობდნენ და ქართული წერა-კითხვა არც კი იცოდნენ. იქ თუ დავრჩინოდი, შესაძლოა, გარუსებულიყვნენ კიდევ და საბოლოოდ მოსწყვეტოდნენ მშობლიურ ფესვებს. ეს პერსპექტივა ნამდვილად



არ მიზიდავდა, ამიტომაც დავბრუნდი თბილისში. მაშინ ჩემი
ნაბიჯი ბერებს ძალიან გაუკერდა. გივი ანჩაბაძემ, რომელიც მეტად
შინ საკაეშირო ცენტრალურ კომიტეტში მუშაობდა, დამიწება,
ომარ, ხომ არ გავიდი, უარს რატომ ამბობო — მითხრა...

შექმნან კი მმართველის ახლანდელი შემოთავაზება ჩემთ-
ვის ერთობ მოუღოდნელი და მიმზიდველი იყო. თუმც მაშინვე
ჩემი ოჯახი და მისი მომავალი დამიღვა თვალწინ და უარი
განვაცხადე:

— მიხეილ სემიონოვიჩ, უღრმესი მადლობა ასეთი დიდი
ნდობისა და დაფასებისათვის, მაგრამ... რომ დაგთანხმდეთ,
ოჯახით უნდა ავიყარო. ბავშვები გაწვალდებიან. მოგეხსენე-
ბათ, იქ ქართულ სეოლაში სწავლობენ, ხანდაზმული მშობლე-
ბი მყავს... სხვა მიზეზებიც არის...

— ეს ჩემი ერთპიროვნული აზრი როდია. თქვენს შესახებ
გამგეობის წევრებსაც ვესაუბრე — კველა თანახმა. მთავ-
რობასთანაც შევათანხმე, მაგრამ, რახან ასეა, ძალას ერ
დაგატანთო... და დაამატა: „Я прошу Вас не оглашать мое
предложение...“. ახლა კი, აი, რა: კოლეგის გაცილებისა
და ახალი მუშაკის, ანუ თქვენი შემომატების აღსანიშნავად
სუფრა გავშალეთ. გთხოვთ დაგვეწვიოთ. იმედია, ამაზე მაინც
არ გვეტყეთ უარს, — დიმილით მითხრა.

შეგვიყვანეს დარბაზში. მართლა კარგი სუფრა გაეშალათ.
მაგრამ ეს არ იყო ქეიფი. ეს იყო კოლეგის დაწინაურებით
გამოწვეული სიხარულის გულწრფელი გამოხატულება...

დრო იხელთა ზოტოვის პირეებმა მოაღვისები დუბექეციძი,
მოეიდა, მხარზე მეგობრულად მომხვიდა ხელი და მითხრა:

— ომარ ალექსანდროვიჩ, ეგებ აჩქარება არ ღირდეს?
ერთხელ კიდევ დაფიქრდითო...

მაგრამ მე გადაწყვეტილების შეცვლას აღარ ვაპირებდი...

— გავიდა დრო, ხანდაზმულობის გამო ზოტოვი პენსიაზე
გაუშვეს და მის თანამდებობაზე იაკობ ნიკოლოზის ძე დუბე-
ნეცი დანიშნეს.



ერთხელაც საკავშირო ცტ-ს მშენებლობის განყოფილების
გამჯესთან, დიმიტრიევთან თათბირის დამთავრების შემდეგ ჩემი
ჩემთან მოვიდა და ცოტა გულდაწყვეტით მითხრა: **სისამართვა**
— ზოტოვის წინადადებას რომ დათანხმებოდით, ახლა
ერთად მოგვიწყვდა მუშაობაო.

ვერ გეტქვით, რომ არ მესიამოენა ამ კაცის ასეთი
კეთილგანწყობა.

ეპიზ საღომარის

აკადემიაში სწავლის დამთავრებისთვის აუცილებელი ბეჭო დიპლომის დაცვა. ჩემს საღიპლომოზე ძირითადად საკავშირო საგვემო, მომარაგების და მშენებლობის კომიტეტისი ემუშაობდი. აქ ვაგროვებდი მასალებს, ვანალიზებდი და ჩემს დასკვნებსა და მოსაზრებებს ვაფიქირებდი.

დიპლომს სახელმწიფო კომისიის წინაშე ვიცავდით. ამ კომისიის თავმჯდომარე იყო გური ივანეს ძე მარჩუკი, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის ედგა სათავეში. მისი პირველი მოადგილე იყო ქართველი კაცი ჯერმენ გვიშიანი, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კოსიგინის სიძე...

საღიპლომო ნაშრომი რომ დავიცავი, მარჩუკმა განაცხადა, რომ ჩემს საღიპლომოს აძლევდა რეკომენდაციას, რათა საკანდიდატო დისერტაციად გაფირმებულიყო. ჩემს ხელმძღვანელებს მიმართა, რომ ნაშრომს უმნიშვნელო გადამუშავება სჭირდებოდა, ვისარგებლოთ ჩვენი უფლებით, რომელიც მონიჭებული გვაქვს და მივაკუთვნოთ დიპლომანტს სამეცნიერო ხარისხით...

ერთი სიტყვით, მომანიჭეს ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. მაშინ მითხრა ჩემმა ხელმძღვანელმა, რომ არ უნდა გავჩერებულიყავი ამ მივნაზე და გამეგრძელებინა მუშაობა საღოქტორო დისერტაციაზე. ამას თუ არ გააკეთებ შენი თავის წინაშე დანაშაულს ჩაიდენ.

1989 წლის იანვარში საღოქტორო დისერტაცია გამშადებული მქონდა დასაცავად. ყველა ფორმალობა შესრულდა... დაცვა აპრილის შუა რიცხვებისთვის იყო დანიშნული და სწორედ ამ დროს მოხდა 9 აპრილის ტრაგედია.

8-ში საღამოს შევიკრიბეთ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ღოთარ ქვილითაიასთან. იქ იყვნენ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი

ზურაბ მანარაძე, შშენებლობის მინისტრი დამირ მანჯგალაძე, ცეკვაშირის გამგეობის თავმჯდომარე რესან კონცელიფშვილი და იმარ მელქაძე – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მინისტრის მინისტრის მინისტრის წინ მრავალათასიანი მიტინგი გუგუნებს. რაღაც შტაბის მაგვარი შეიქმნა ოთართან – ეიღაცევები რეკავდნენ, ისიც პასუხობდა. შტაბის წევრები მაქსიმალურად ცდილობდნენ მიტინგის ორგანიზატორები და ერწმუნებინათ, ხალხის დაშლის აუცილებლობაში, რაღვან სამხედრო ძალა უკვე მოვდანზე იყო შემოსული და ბრძანებას ელოდა დასარბევად.

სამწუხაროდ, მათმა მცდელობამ შედევი ვერ გამოიღო. ყველას ახსოვს, რომ პატრიარქის შეგონებაც – გადასულიყნენ ქაშვეთში და ელოცათ, არაურად ჩაგდეს... მიტინგი მაღალი ემოციურ ტალღაზე გრძელდებოდა.

საქმაოდ გვიანი იყო, როცა დავტოვეთ ოთარ ქვილითათას კაბინეტი. გამთენისას დამირექს და მაცნობეს, რომ ტრაგედია დატრიალდა, არან დაღუპულები, დასახიჩრებულები, მოწამლულები. დაუყოვნებლივ გავვარდით მე და ჩემი მეუღლე რუსთაველზე. მტრისას, რაც იქ ვნახეთ: ფეხსაცმლების გროვები, იმის აშკარა დასტური იყო, რა პანიკაშ მოიტინებები, როცა ჯარი მესანგრუთა აღესილი ნიჩბებით დაერია მათ და ცრემლსადენი გაზი მოუშვა. გარბოდა ხალხი, ფეხშიშეველი და ტანსაცმელშემოძრული და მიერეკებოდა მათ გონიერად ნელებულ ჯარისკაცთა სპეციალურად გაწვრთნილი ნაწილები...

წარმოედგინე ეს სურათი და ისეთი სიძულვილი გამიჩნდა ამ ტრაგედიის დამკვეთებისა და შემსრულებლების მიმართ, რომ იმავე წამს გადავწყვიტე, პროტესტის ნიშნად უარი მეთქვა მოსკოვში წახელაზე და იქ საღიძეტორო დისერტაციის დაცვაზე. იმავე საღამოს რამდენიმე სატელეფონო ზარი იყო მოსკოვიდან. ნაცნობ-მეცნიერები ინტერესდებოდნენ, რა მოხდა, რა უბედურება დატრიალდა თბილისში...


მომხდარის გამო იძლენად შეძრწუნებული ვიყავი, რომ
ემოციები ვერ მოვთოვე და საკმაოდ მკვახედ და უცერუმებული
უფოსარი ყველაფერი, რასაც საბჭოთა ხელისუფლებაზე და
საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობაზე ვფიქრობდი, სასიკვ-
დილოდ რომ გაწირა მშეიდობანი ქართველები...

მეორე თუ მესამე დღეს დავუწევე ჩემი სადოქტოროს ხე-
ლმძღვანელს და კატეგორიულად განვუცხადე, რომ არაფერი
არა მაქვს საერთო იმ ქეყანასთან, რომელიც ჩემს თანამემა-
მულებს მესანგრის ნიჩბებით უსწორდება, არ ინდობს არც
ქალებს და არც მოხუცებს.

ერთი სიტყვით, აღარ წავედი მოსკოვში. მოგვიანებით ჩემს
ხელმძღვანელებს უვლანებს და პროცენტოს დაუურეცე და ბო-
დიში მოვუწადე. ახლა რომ ვფიქრობ, შესაძლოა არ მოვიქეცი
სწორად — მათ ხომ თბილისში დატრიალებული ტრაგედია
მძიმედ განიცადეს.



სევდანარევი მობილუანი

მოსკოვიდან თბილისური ურთიერთობების გარემონტექსტურისა და დაცვისაცელებ და სიამოგზებით გავიხსენებ დადგებულ აღაძი-ანებთან გატარებული ოჯახური ტრაპეზის კოლორიტულ დე-ტალს.

ერთ შევენიერ, შენიანი შემოდგომის კვირადეს, ჩემთან ოჯახში საღილად შევიყრიბეთ ნოდარ მემარიაშვილი, თემუ-რაზ დავითაშვილი, გურაბ მირიანაშვილი, მიმა ცისქარიშვილი, ლადო ბახუტაშვილი (აკადემიკოსი, ეპრიმაკოვის მძახალი), ზურაბ წერეთელი და ოთარ კაკურიძე... კარგად მოვილხი-ნეთ.

ნიღლით გამასპინძლების ღრო რომ დადგა, ბელა მოვიდა ჩემთან და შემომჩინელა — კვახი ეის დავაჩეხინოო... ბელა მე თამადა ვარ, კვახის გამო სულრას ხომ ვერ მივატოვებ, სხვა ხილი რაც გვაქვს ის მოიტანე, კვახს თავი დაანებე, დღეს მაგის გარეშე გავძლებთ როგორმე-მეთქი...

რას ჰქეია კვახის გარეშე, მე დავჩეხავო — წამოიძახა ლადომ.

ჩემსხე უკეთესად ვერავინ ვერ დაჩეხავს, მე მაგის დი-დოსტატი ვარო — თქვა და ფეხშე წამოიჭრა ზურაბი — სად არისო კვახი? — და ღიმილით მიაჩერდა ბელას. აივანზეათ — უპასუხა მან — მართლაც რომ ოსტატურად დაჩეხა და დაანაწევრა წერეთელმა კვახი.

მხატვრისა და მინუმენტალისტის დიდმა ნიჭმა ამ კული-ნარულ ამპლუაშიც გაიძირწყინა...

მოსკოვში სასტუმროს მშენებლობა რომ დავიწყეთ, ზურაბმა, მე და ნოდარ მემარიაშვილი თავისთან ოჯახში მოგვიწვად ტევრის ბულვარზე — საკმაოდ დიდი ბინა გან-ლაგებული იყო ნახევარსარდაფში. გვაჩენა სკულპტურის მინიატურული მოდელი, რომელიც შტატებში უნდა დაედგა — ხეიბარ ბავშვთა ოლიმპიადის გახსნასთან დაკავშირებით

ოლიმპიადა ტარდებოდა ამერიკის მაშინდევ პრეზიდენტის ფორდის მეუღლის პატრიონა-ეთი. ზურაბმა არაჩეული გვიმასპინძლა და რაც კველაზე სასიამოვნოდ დამამახსოვრდა, პირადად თვითონ გვეშსანურებოდა, ქალბატონი ინესას მოსკოვში არყოფნის გამო...

არ დამავიწყდება გაოცებული ზურაბის ნაამბობი. წინა ღამეს, ღრმა ძიღმი მყოფი, როგორ გამოაღვიძა ტელეურნის ზარმა... კიდევ უფრო მოუღლოდნელი ის ფამილარული საუბარი ყოფილა, რომელიც ზურაბისთვის სრულიად უცნობს გაუბამს...

— „ზურა, გამარჯობა, ბიჭო! როგორა ხარ, ცოლი ჩამოვიყვანე, რაღაც ტეკივა კაცო მუცელში... და მითხარი რა ვისთან მივიყვანო, თანაც კაცო სასტუმრო არა გვაქვს. იქნებ მითხრა რომელ სასტუმროში მივიდეთ, თორემ კურსეკის ვაგზალში ვართ ეხლა...“ შეცემებული ზურაბის „რეპლიკაზე“ — ვინ იყო და ვინ მისცა მისი ტელეფონის ნომერი — პასუხი ასეთი ყოფილა: „კაცო მე ვაქირიდან ჩამოვდი, შენი ტელეფონი კიდენა, ყველამ იცის, მაგის გაგვას რა უნდა, შენა კაცო, რასაცა გთხოვ, ვე გამიეცო რა...“

ზურაბ წერეთლის არაჩეულებრივი პრეულარობა საყოველთაოდაც ცნობილი... მისგან ხელგამართულნი მრავალნი არიან და ალბათ მომავალშიც იქნებიან... ამიტომ, თითქოს ბუნებრივიცაა დახმარების მთხოვნელთა შორის ისეთი კურიოზული „ტიპების“ გამოჩენაც კი ვაქირელი რომ იყო. თუმცა, ყოვლისმნახველი ზურაბისთვის იგი მაინც „უნიკალურ“ ებ-ზემდარად იქნა აღქმული და დამახსოვრებული...

რაოდენ თაღიოზურია, რომ მოსკოვის ელიტარული საზოგადოების სათაყვანებული პიროვნება, რუსეთის სამხატვრო აქადემიის პრეზიდენტი, სოციალისტური შრომის გმირი და სხვა მრავალ რეგალიათა მფლობელი ზურაბ წერეთელი, მოსკოვის მერის — ლუქეოვის გადაყენებასთან ერთად რუსი



საზოგადოების უმაღლერი ნაწილისთვის დისკრედიტაციის ობიექტი გახდა. არადა, როგორც ჩემთვის ცნობილია, ზურაბ ბერიძე უკოვთან დაახლოებით ბოლო 5 წლის მანძილზე არავთარი ურთიერთობა არ ჰქონდა.

განსაკუთრებით თავი გამოიდო მოსკოვის ვიცე-მერმა კლადიმირ ჩესინმა, რომელიც თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე ზურაბის აპოლოგეტი იყო. სწორედ მან მოითხოვა წერილის მონუმენტურ ქანდაკებათა დემონტაჟი.

ისევ ჩემს ოჯახში გამართულ შეხვედრას მიუბრუნდები და სინაწყლით აღვნიშნავ, რომ ახალგაზრდა თაობისათვის, ჩემთან სტუმრად მყოფი ადამიანების გვარსახელები შესაძლოა ბევრს არაფერს ნიშნავდეს, მაგრამ ჩემმა თაობამ ხომ კარგად იყას, თუ რა ღირსეულ და ღვაწლობრივი პიროვნებას წარმოადგენდა თითოეული მათგანი. რამდენი ფიქრი და შრომა აქვთ გაწეული მათ ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღული. მარტო მიშა ცისკარიშვილის გახსენება რად ღირს? გარენობით და შინაგანი ბუნებით გამორჩეული ეს ულამაზესი ადამიანი, მე რომ მადნეულის შენებლობას ვწერმდევანელობდი, უკრ ქახეთის სარწყავ სისტემას, მერე კი ვნგურპესის შენებლობას ხელმძღვანელობდა. იყო სოციალისტური შრომის გმირი, საკავშირო უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საოცრად გულისხმიერი, კომუნიკაციური, სამშენებლო საქმის უდიდესი ორგანიზატორი. არაჩეულებრივი ურთიერთობები მაკავშირებდა მასთან.

„ეროვნული მომრაობა“ ჩვენთვის არა მხოლოდ გაუთავებელი მიტინგებითა თუ წინა ხელისუფლების შეურაცხმყოფელი ღანძღვა-გინებით გახდა ცნობილი, არამედ თანამდებობის პირთა სამსახურის მანქანების გაჩერებებით, იქიდან მათი თავშედური გაღმოყრითა და მანქანების გატაცებით. ასევე მათი კაბინეტის კარებების აჭედვით.

წარმოება-დაწესებულებებში ეგზალტირებული ბრძოს იარაღით შეჭრა, ხელმძღვანელთა კაბინეტების „ოკუპირება“ და მათი საკარძლების ძალით დაკავება – ჩვეულებრივ მოვლუნად იქცა.

ჩემი ინიციატივით შექმნებლობის სამინისტროში მოვიწყეთ
პარტიული კრება და უმრავლესობამ უარი ვთქვით კომპარტიის
წევრობაზე, იქვე ჩავაბარეთ ჩვენი მანდატები. მეორე დღეს შემ
სამინისტროს შენობაზე ავაფრიალეთ ეროვნული დროშა. ეს
გველაფერი სრული გულწრფელობით, შინაგანი კარნაზით გა-
ვაკეთეთ. მიუხედავად ამისა, რატომდაც, წკერდაბურიძენული
ვიგინდარების (ბოდიშს ვიხდი გამოთქმისთვის) შემოტკეცები
გახშირდა. უნდოდათ ფული, მანქანები და სავარძლები, სხვა
რამ მათ საურთოდ არ აინტერესებდათ.

გამსახურდას ხელისუფლებაში მოსელის შემდეგ, საწარ-
მოები ნედლეულისა და პროდუქციის გასაღების ბაზის უქონ-
ლობის გამო გაჩერდა... — უგუნურებმა რეინიგზა გადაკეტეს
სამტრედიასთან — „რესერის ბლოკადაში“ მოქცევის მიზნით(?!)

ზედაპირზე ამოტივტივდა „აშორებული ლექი“, რომელ-
მაც წალეჭა ჭაველივე კარგი, რაც ათწლეულების მანძილზე
მშრომელ, გონიერ და სამშობლოს მოყვარულ ადამიანებმა
შექმნეს.

ეს იყო რაღაც გამძეინვარებული მარაზმი და ვაქხანალია.
სამწუხაროდ მიშა ცისკარიშვილისთვის, ამ მოქმედი დიდი
პროფესიონალისთვის ეს ყველაფერი აუტანელი აღმოჩნდა.
უფრო ციოდ დარჩენილმა ველარ გაუძლო დროის სისასტიკის
გაუკულმართებულ დინებას და ოვითმკვლელობით დაასრულა
სიცოცხლე.

იმ ავადსახსენებელ დროს, იმავე მიზეზით, ასევე თვით-
მკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე ომარ ვარძელაშვილმა
და ვიქტორ შარაშვილმა, მოგვიანებით კი თამაზ ბოჭოიძემაც
— დიდად ღირსეულმა პიროვნებებმა.

ისინი ღრმა ბუნების და კეთილშობილი სულის ადამიანები
იყვნენ.

უფალსა ვთხოვ ნათელში ამყოფოს მათი სულები... გულ-
წრფელია ამ უღმერთოდ განწირულ ადამიანთა მიმართ ჩემი
თაყვანისცემა და სინაწელი...



თემი თანხმობი

პირველი მწარმატებული არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ურიდინია იყო, ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკური მეცნიერებათა დოქტორი, ლენინური პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის თვალსაჩინო ორგანიზაციონი. მე და ის მოსკოვში სახალხო მუსიკობის აკადემიაში ერთად ესწავლობდით.

ირაკლიმ გამაცნო თენგიზ სიგუა. ისინი ერთად მუშაობდნენ მეტალურგიის ინსტიტუტში. სიგუას, რომელიც გამსახურდიას მთავრობაში პრემიერ-მინისტრად დანიშნეს, ირაკლისთვის უთხოვდა, იქნებ, გამოცდილ, პროფესიონალ მშენებელს შემახედროო. მე მაშინ მშენებლობის მინისტრის პირველ მოადგილედ კმუშაობდი.

შევხვდით ერთმანეთს და ახლად არჩეულმა პრემიერმა მთხოვა, მისთვის მომემზადებინა საქართველოში კაპიტალური მშენებლობის მართვის ახალი სტრუქტურა.

სტრუქტურებზე მუშაობის საქმარისი გამოცდილება მქონდა.

შევესრულე რა დავალება, მთავრობის ტელეფონით დაურეკე თენგიზ სიგუას, რათა შევთანხმებოდი, როდის მიესულიყავი გამსაღებული პროექტით.

— გამარჯობათ, ბატონი თენგიზ, ომარი ვარ მარგველაშვილი, — ვამხოო ტელეფონის ყურადღილში, იქიდან კი პასუხად მესმის:

— ვა, ომარ, შენა ხარ, ტო? როგორა ხარ, სადა ხარ დაკარგული?

გავეოცდი: ასეთი ფარგლენით რატომ უნდა დამლაპარაკებოდა სიგუა, ინტელიგენტი კაცი და თან რამოდენიმე დღის წინ გაცნობილი??

— ბატონი თენგიზ, — გადავწყვიტე დამეზუსტებინა ჩემი



ვინაობაა, ვაითუ სხვაში ვეშლები-მეთქი, — ომარი ვარ, მაგრა
გველაშეიღი.

— გავიგე, ბიჭო! რად გინდა შენ ჩემთან ვევთი ლიკარტქის! თენგიზი ვარ, კიტოვანი!

ახალგაზრდობაში ნორმალური ურთიერთობა მქონდა თენგიზის კიტოვანთან, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ აღმოჩნდა ეს კაცი თენგიზ სიგუას, მთავრობის თავმჯდომარის ტელეფონთან. ვიფიქრე, ხომ არ შემემალა ნომერი-მეთქი და ვკითხე:

- ეს ხომ თენგიზ სიგუას ტელეფონია?
- ეი, ომარ!
- კაბინეტი შენია?
- არა, ტო!
- აბა, შენ მანდ რა გინდა?
- პრეზიდენტთან გადავიდა თენგიზი საქმეზე და მე ვზიოვარ ახლა.

გამიკეირდა, რადგან ასეთი რამ ჩვენ დროს დაუშვებელი იყო და, თანაც, თენგიზ კიტოვანი მაშინ არაფურს წარმოადგენდა.

კიტოვანი კი განაგრძობს ლაპარაკს:
— ომარ, მომენატრე ბიჭო, რამდენი წელია არ მინახიხარ. მოღი რა, გნახო.

ვეუბნები, რომ ბატონ თენგიზს, მისი თხოვნით, მოვუშადე მასალები და უნდა გადავცე.

— ამოიტანე მერე, რა პრობლემაა.
ჰივედი. ზის ეს ჩვენი თენგიზი მეორე თენგიზის საკარდელში. სხვათაშორის, იქ იყო ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარიაც, მომავალი საგარეო საქმეთა მინისტრი და თენგიზ ქორინთელი მათი მეგობარი, რომელსაც ახალგაზრდობიდან ვიცნობდი.

გადავეცი თენგიზს ჩემს მიერ მომზადებული მასალები და გამობრუნებას რომ ვაპირებდი, კიტოვანი მეკითხება:

- ომარ, იცი რა იყო ამ შენობაში?

— როგორ არ ვიცი, ყოველ დღე აქ მიწვედა მოსკოვი, ეს საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს/შეცხადი სისტემისათვეს ნობაა.

ეს ახალი ხელისუფლების ხალხი, გარდა იმისა, რომ არაფრის კურსში არ იყო და მართლაც რომ ქუჩიდან იყო მოსული, როგორც ბარბაროსები ისე იქცეოდნენ. შევარდნენ კაბინეტებში და დაარბიეს იქაურობა...

ვერ შეძლეს სახელმწიფოს მართვა მხოლოდ “რეფორმატორული” სურვილებითა და მისწრავებებით მოსულია ად არაკომპეტენტურმა, არაპროფესიონალმა და გამოუცდელმა ადამიანებმა.

თენგიზ კიტოვანმა იმ დღეს მაცნობა, რომ სულ მაღე პრემიერის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი გახდებოდა და მას დაემორჩილებოდა ძალოვანი სტრუქტურებიც...

გოგი წომტარიამ კი მითხრა, რომ განათლების მინისტრობას სთავაზობდა პრეზიდენტი, მას კი საგარეო საქმეთა მინისტრობა სურდა...

ვერაფერს იტყვი — მადა დიდი ჰქონდათ...

— წომ არ გვეყანშმა? — წინადაღება წამოაყენა თენგიზ კიტოვანმა. ყველა დაეთანხმა. ცხადი იყო, რომ დამპატიუებელი მე უნდა ყოფილიყავი, მაგრამ ჯიბეში სარესტორნე ფული არ მქონდა. დავრეკე სახლში. აკესენი ბელას, რა მდეომარეობა-შიც აღმოვჩნდი. დამპირდა, რამეს მოვახერხებო.

წავედით ჩემთან. კარგი სუფრა დაგვახვედრა ჩემთან მეუღლემ. არაყი სვეს. გვიან ღამე რომ ავიშალენით, თენგიზი მეუბნება, იქნებ, რაც დარჩა, ჩაგვიღავო და გაგვატანო — შშიერი ბიჭები გველოდებიანო.

წაიღეს და კმაყოფილებიც წავიდნენ...

თემცა, მთავარი ისაა, რომ თენგიზ სიგუას კი გადასცეს ჩემს მიერ მომზადებული მასალები, მაგრამ არც თენგიზი, არც სხვა კინმე ამის თაობაზე არ შემოშმიანებია. დავრწმუნდი, რომ მათ გამოცდილი პროფესიონალების წინადაღებები,

მოსაზრებები და რჩევები არ აინტერესებდათ!

დიდი ხანი არ გასულა, რომ მთელი ჩვენი სამინისტროს წელმძღვანელობა გაგვანთავისუფლეს. მინისტრად გურამ მირიანაშვილი დანიშნეს. მაკრამ გურამი წლების მანძილზე სახმშენის ხელმძღვანელობდა და უშუალოდ მშენებლობის წარმოებასთან შეხება არ ჰქონია. ამიტომ კადრებიდან დაწყებული, მშენებლობის ორგანიზების საკითხებით დამთავრებული ჩააბარეს თამაზ ვაშაძეს, კაცს, რომელიც ჩვენთან სამხრეთ ოსვეთის ტრესტის მმართველის თანამდებობაზე მუშაობდა და ყოველთვის უკიდურესად უარყოფითი მაჩვენებლები ჰქონდა. ახლა ფაქტობრივად ის განაგებდა სამინისტროს. დასასუენებელ ითახში „ლეფანტა“ ჰქონდა გაშლილი, იქ ემინა, იქ ჭამდა, იქ სვამდა და თუ გამოდიოდა, ავტომატებით შეიარაღებული დაცვის თანხლებით. სამინისტრო რაღაც ბინძურ ბუნაგად გადააქციეს...

მინისტრიც და მოადგილეებიც ისე დაგვითხოვეს, არავის აუხსნია რატომ გვათავისუფლებდნენ, რა მიზეზით. არც ჩვენი პიროვნებებით, არც სამინისტროს მაჩვენებლებით და მიღწევებით არავინ დაინტერესებულა. არც არსად განუხილავთ ჩვენი საკითხი.

ქვეყანაში სრული ანარქია სუსტებდა.

თითქმის შეიძი თვე ვიყავი უმუშევარი.



ერთ საღამოს ტელეუკინი რეკაუს ჩემთან სახლში:

— ბატონი ომარ, თქვენ ბრძანდებით?

— დიახ.

— მე იგორი ვარ, ჩხეიძე.

მომესალმა, მომიყითხა და შეუბნება:

— თქვენ ამამად არსად არ მუშაობთ, ხომ?

დაუცდასტურე, რომ ასეა.

— რამდენი ხანია გექტი. გთხოვთ, თუ შეძლებთ, ზვალ დილით მოხვილეთ ჩემთან.

იგი გამსახურდიას მთავრობაში მომარაგების სახელმწიფო კრმიტეტის თავმჯდომარევ შუშაობდა. ამ უწყებას იმ პერიოდში დაუცემდებარეს ჯერ სახელმწიფო რეზერვების კრმიტეტი, ცოტა ხნის შემდეგ ვაჭრობის სამინისტროც და დაარქვეს საქართველოს მატერიალური რესურსების სამინისტრო.

იგორ ჩხეიძეს მართალია ახალგაზრდობის დროიდან ვიცნობდი, მაგრამ არავითარი საქმიანი შეხება მასთან არ მქონია.

ამიტომ, ცოტა არ იყოს გამიკვირდა, როცა ძალიან თბილად შემწვდა თავის კაბინეტში:

— როგორ შეძლება, რომ თქვენ, ასეთი დიდი სპეციალისტი, ასეთი დიდი პროფესიონალი, ასეთი განათლებული კაცი უსაქმიდ იყოთ? მე გარკვეული პერიოდის მანძილზე ვსწავლობდი მოსკოვში, სახალხო მუურნეობის აქადემიის სამთხვევან კურსებზე და თქვენი ქების მეტი იქაურებისგან არაფერი მსმენია. კათედრუებზე, ლაბორატორიებში, აუდიტორიებსა თუ დერეფნებში სულ თქვენზე მეღაპარაკებოდნენ, როცა შეიტყობდნენ, რომ ქართველი ვიყავი. პირველი, რასაც შემეკითხებოდნენ იყო: — ვი ვნიშვნით მარად თქვენი ქებაო.

ბოლოს ასე დაასკვნა:



— მე ამ ხელისუფლების დიდ დანაშაულად მიმართი, თქვენ
რომ გაგანთავისუფლეს.

ასეთი შესავლის შემდეგ მან შემომთავაზა თავს და უკიდის ურთისშორის კრიტიკის გარეშე... კრიტიკის მოადგილის თანამდებობა, მშენებლობის დარღვევა...

შემდეგ მითხრა, რომ იცოდა ფინანსებსა და კონომიკას რომ ვკურინებდი, რომ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ვიყავი, ამიტომ მეორე მოადგილის ფუნქციის შესრულებაც შემომთავაზა. ამისსნა, რომ თრი მოადგილის ნაცვლად ჩემი სახით ეყოლებოდა ერთი, რომელიც ორივე სფეროს გაუძლვებოდა.

დავთანხმდი.

იყორმა საუკეთესო კაბინეტი და საუკეთესოვე მანქანა გამომიყო... პრაქტიკულად პირკული მოადგილე გაეხდი — მისი არყოფნის პერიოდში მინისტრის მოვალეობის შესრულებას ოფიციალურად, ბრძანებით მე მავალებდა... მინისტრი კველა საკითხს წინასწარ მე მითანხმებდა, თათბირებსა და კოლეგიის სხდომებზე განსახილეულ საკითხებზე მეთათბირებოდა, ჩემს წინადაღებებს და მოსაზრებებს ითვალისწინებდა.

ერთი სიტყვით, იყო სრული ნდობა.

მუშაობაში რომ ვაკეირდებოდი, უფრო და უფრო ვრწ-
მუნდებოდი, რომ აშკარად ნიჭიერი კაცი იყო. მიუხედავად
იმისა, რომ იმ უშბიმეს პერიოდში, როცა უშარმაშარი იმური-
ის დაშლასთან ერთად იმღებოდა ჭოველგვარი ეკონომიკური
ურთიერთობები, აღარ შემოდიოდა ნედლეული, პროდუქცია და
ა.შ. და ა.შ., მატერიალური რესურსების სამინისტრომ მაინც
საქმაოდ კარგად გაართვა თავი წარმოქმნილ სიძნელეებს.

რამდენიმე უაქტს გავიხსენებ.

ჩვენთან ჩამოვიდა აზერბაიჯანის მატერიალური რესურსების მინისტრის მოადგილე, რომელიც ნავთობპროდუქტებს კური-
რებდა. იყორ ჩხეიძემ მთხოვა, რომ სტუმართან ორი დღე ინ-
ტენსიურად მეშემვა, რათა გაგვეთორმებინა ხელშექრულება.

თვითონ კი ბელორუსიაში გაფრინდა.



შეორე დღეს მინსკიდან მირეკავს ჩხეიძე და მეცნიერება, თუ რა სტადიაშია აზერბაიჯანთან სახელშექრულებო მფლობელობა ბის მომზადება.

კუპასუხე, რომ გავდივართ ბოლოში და რამდენიმე საათში დავამთავრებთ, რომ ყველა საკითხზე შეთანხმებას მივაღწიოთ.

იგორი მუხრანი:

— ბატონი რამარ, სასწრაფოდ, ერთ საათში უნდა დაამთავ-როთ ეს ყველაფერი და დაუყოვნებლივ გაფრინდეთ ბაშკირეთში, უფაში, ვინც დაგჭირდებათ წაიყვანეთ, ხელშექრულების გასაფორმებლად სათბობის მოწოდების თაობაზე. ზამთარი დგება და თხევადი საწვავი კატასტროფულად გვაქლია, მაგრა გარდა ქიმიის ყველა პროდუქციის მოწოდებაზე უნდა გაფორმდეს ხელშექრულება.

კუპასუხე, რომ დავაზუსტებდი, როდის არის ფრენა უფა-ში და პირველსაც რეისით გაფორმდებოდი.

— არაო, — მითხრა, — ეგრე არ გამოივა. დაურეკეთ ალექს ჩხეიძეს (ტრანსპორტის მინისტრი იყო და სამოქალაქო ავი-აციაც მასთან შედიოდა) და უთხარით, რომ სასწრაფოდ გამოვიყოთ „დაკი“.

— ალექს ჩხეიძე კი არის ჩემი ბავშვობის მეგობარი, მაგრამ ასე, ჩემი თხოვნით, მეტყვება მომცეს თვითმფრინავი-მეთქი.

— ჩემი სახელით დაურეკეთ და ყველაფერს მოგიგვა-რებსო.

დავურეკე-

ჩემდა გასაკეირად, ალექსო მიპასუხა, რომ ნახევარ საათ-ში გადმომირექავდა და პასუხს მეტყოდა.

ზუსტად ნახევარ საათში მირეკავს, მაწერინებს თვითმ-ფრინავის ბორტის ნომერს, ხომალდის მეთაურის გვარს, სად იდგება, ვის უნდა მივმართო, ვინ იქნება ბორტგამცილებელი და ა.შ. მეუბნება, რომ ეს თვითმფრინავი ჩაგვიყვანს უფაში და იქ დაგველოდება უკან წამოსაყვანად.



ისევ დამირება იგორშა მინსკიდან და მკითხა, როგორ
არისო საქმე. მოვახსენე, რომ ყველაფერი რიგზე იყო უფრატესი და
საათში გავლინდებოდი ბაშკირებში.

ჯერ კოლგოგრადში ჩაეცრინდით, ზამთარია-ყინაჟს. დიდი
წევალებით და გაჭირებით ჩაგვისხეს საწვავი და, როგორც
იქნა, ჩავაღწიეთ უფაში.

ტრაპთან ბაშკირების მატერიალური რესურსების მინ-
ისტრის მოადგილე აღექსეი მაროზოეი დაგვხვდა. გვითხრა,
რომ თეთმერინავის ეკიპაჟის სასტუმრო და კვების საკითხი
მოგვარებულია, ჩეკინ კი მთავრობის აპარტამენტებში წაგვიყ-
ვანა. შევედით და ვხედავთ — გაწყობილია სუფრა, რომელსაც
იქაურ ხელმძღვანელობასთან ერთად უზის ჩვენი იგორ ჩხეიძე,
წამოღა, ხალისიანად გადამეხვდა და მითხრა:

— მე, ბატონო ომარ, აქ თქვენს საპატივსაცემოდ ჩამოვე-
დიო. — გავოცდი კაცი!

მომღევი დღეები თავაუღებლად კიშუმავეთ და ყველაფერი,
რაც გვჭირდებოდა, რისი მოთხოვნაც გვქონდა ბაშკირელებ-
მა უპრობლემოდ გამოგვიყვეს. ეს იყო ასობით დასახელების
პროდუქცია.

ბაშკირების პრეზიდენტთან მურთაშ რახიმოვთან მიღებაც
გაიმართა, თბილი და მეგობრული. გვთხოვეს — ახალი წელი
მოღის და თუ შეიძლება ქართული შამპანური გამოგვიგზა-
ვნეთო.

ჩხეიძე მეუბნება, აღექსანდრე რიკოვის (მათი მატერი-
ალური რესურსების მინისტრი) კაბინეტიდან ВЧ-თი დაურეკი
ნოდარ ჭითანავას (მაშინ სოფლის მეურნეობის მინისტრი
იყო), და გადაეცი ეჭვისი ფურა შამპანური თპერატორულად
დატვირთონ და დაუყოვნებლივ გამოაგზავნონ უფაში, საახალ-
წლოდ რომ ჩამოასწროსო.

დაუურეკე ნოდარ ჭითანავას და ყველაფერი გადავეცი.

— ბატონი იგორი მანდ არის? — მეკითხება ჭითანავა, —
როგორ არის საქმე? აქ ძალიან შეწუხებულები არიანო.



მთავრობის სხდომაზე უმსჯელიათ და შემფრთხებულები იყენენ, შეკრძინებით თუ არა ბაშკირეთიდან თხევადი სამართლის გამოგზავნას, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ზამთრის პერიოდში დედაქალაქის მოსახლეობისთვის.

ეუთხარი, რომ აქ ყველაფური მოგვარებული იყო და სათბობით დატვირთული ცისტერნების პირველი შემაღენლობა დღეს დაიძრება საქართველოსაკენ...

ნოდარ ჭითანავა დამპირდა რომ იგორის თხოვნას აუცილებლად შეასრულებდა.

მე გამაცა ასეთმა ურთიერთობამ, იგორ ჩხეიძისადმი ასეთმა პატივისცემამ თუ მორჩილებამ. რა ძალა პქონდა ასეთი? ჩემის აზრით, ამის მიზეზი, ერთის მხრივ, პრეზიდენტთან მისი განსაკუთრებული ახლობლობაც იყო — მათ ნათელმირონობა აკავშირებდათ, მეორეს მხრივ, მისდამი ასეთი დამოკიდებულება იგორის უდაეო ორგანიზატორული ნიჭით იყო გამოწვეული.

ერთხელ, კივში რომ ვიყავით, ერთ დღეში ვიტოლდ ფოკინთან — უკრაინის პრემიერ-მინისტრთან სამჯერ შეეიღა და ყველა საქითხი დადგებითად გადაწყვიტა.

მახსოვეს, უკრაინის მაგისტრალური რესურსების მინისტრთან შევეძით, მას ლენინის სურათი ეკიდა კედელზე. სკამი მიიღვა, ჩამოხსნა, მდინარი გამოაძახებინა და სურათი მას გაატანა.

უკრაინის პრეზიდენტის არჩევნები რომ ჩატარდა, ჩვენ კივეში ვიყავით. იგორმა საღამოს ჩემი თანდასწრებით დაურეკა ზეიად გამსახურდიას და ნებართვა სოჭოვა, მისი სახელით მიეღოცა კრავჩიუკისათვის პრეზიდენტობა — მინდა, რომ პირველად თქვენგან მიიღოს მიღოცვალ.

გამსახურდია დაეჭვდა — ჯერ ოფიციალურად შევეგები არ გამოუცხადებიათ და ნაადრევი ხომ არ იქნებაო.

არაო, უპასუხა იგორმა, არ შევცდებით, რადგან აქ ისე მიღის საქმე, რომ კრავჩიუკს გამარჯვება გარანტირებული აქვსო.

დათანხმდა ზეიადი.



გადაურეკა ხელაშვილს, მინისტრთა კაბინეტის საქმიანობის მმართველს, ეხლავე სასწრაფოდ გამოგვიგზავნე საჩუქრებულო და გამთენისას საჩუქრები მოგვიტანეს სასტუმროში, მთხოვთა ჭრის მიერად წავსულიყვანით მისალოცად კრავჩიუთან.

უამრავი ხალხი დაგვხედა, ტელევიზია, ჟურნალისტები. იგორმა საჩუქრები გადასცა ქრავჩიუს და მოულოცა პრეზიდენტად არჩევა ზვიად გამსახურდიას სახელით. მეც ვესწრებოდი ამ ცერემონიალს...

დიდი რეზონანსი მოჰყვა ქართველების ამ ქესტს: პირველი მიღლოცა უკრაინის პირველმა პრეზიდენტმა საქართველოს პრეზიდენტისგან მიიღო.

იგორ ჩხეიძე, შეიძლება ითქვას, ჩემს რჩევას ყოველთვის ყურადღებით ვყიდებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ საიდეალოდ ვიყვად განწყობილი და ჩემი მოსახურება საქმეს წაადგებოდა, მაგრამ სამწესაროდ ყოველთვის არ ითვალისწინებდა.

ერთი რამ მინდა გავიხსენო ამასთან დაკავშირებით.

აღმა-ათაში მიწვევა მიიღეს ზვიად გამსახურდიამ და ბე-საჩიონ გუგუშვილმა. დეპეშას ხელს აწერდა ნურსულთან ნაზარბაევი. მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო, ვერც გამსახურდიამ და ვერც გუგუშვილმა წასვლა ვერ მოახერხეს.

დელეგაციის ხელმძღვანელობა და ჯგუფის წერთა შერჩევა ბაკურ გულუას დაავალეს, ის მაშინ პრემიერის მოადგილე იყო.

ეს რომ ჩხეიძემ გაიგო, დამიახა და მუსხნება:

— რატომ უნდა წავიდეს გულუა, ეს საკითხები ხომ ჩვენ გვეხებაო.

ვუპასუხე, რომ პრემიერმა უკვე გამოსცა განკარგულება და ანლა ამაზე ლაპარაკი, მით უურო შეცვლა, დაგვიანებულია.

— რას პქვია, დაგვიანებულია?

აიღო კურმილი და დაურეკა ზვიად გამსახურდიას:



— ბატონი ზედად, — ეუბნება, — სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური ურთიერთებავისირები ჩვენი სამინისტროს შემცირებული როგორივა, რა შეაშა ბაკურ გულეა?

- აბა, ვინ გაუშევათო — იკითხა ზედადმა.
- მე აქ არა ვარი.
- ჩათვალე, რომ საკითხი ჩემთან შეთანხმებულიაო.
- მაშინ დაუურეკავ გუგუშეილს და ვეტკვი, შეცვალოს განკარგულება. დელევაციასაც მე დავაკომპლექტებო.

— კი, ბატონოო, — დათანხმდა ზედადი. მომეჩვენა, რომ პრეზიდენტს ძალიან დაღლილი, დაქანცული კაცის ხმა პქრინდა. ეს ის პერიოდია, როცა დაიწყო ოპოზიციის აქტიური გამოსვლები, სროლაცი იყო კინოს სახლთან შექრებილ მიტინგზე.

ჩხეიძე მე მომიბრუნდა და მითხრა:

- ხომ ზედავთ, როგორი ჭკვიანია ჩვენი პრეზიდენტი. თუ დაარწმუნებ, მხარს დაგიჭრეს ნებისმიერ საკითხში.

ურეკავს ბესო გუგუშეილს. დაახლოებით დღის პირველი საათია. პრეზიდენტის ტელეფონზე თანაშემწერ პასუხობს, წუხელ გვიანობამდე იმუშავა და ახლა სძინავსო.

— რას ჰქონა სძინავს! — აფეთქდა ივორი, — მაგის დედა რომ მ...., ქვეყანა ინგრევა, რა დროს ძილია?!

— მთელი დამე მუშაობდა და მხოლოდ დილის 8 საათზე დაიძინა — მშეიდად პასუხობს თანაშემწერ.

— ახლავე შედი და გააღვიძე! მაგის დედა მ... ახლა თცდაოთხი საათი უნდა ვიმუშაოთ ყველამ, ისეთი მდგრომარეობაა ქვეყანაში. გააღვიძე და სასწრაფოდ დამირეკოსო!

გამიკვირდა. ელემენტარული წესია, რომ ხელმძღვანელი ხელჭევითის თანდასწრებით არ უნდა გააკრიტიკო, ეს კი პრემიერს დედას აკინებს თანაშემწერის გასაკონად.

— უთხრას, მაგის დედაც ვატირე. არა ვარ სწორი, თუ რა? ქვეყანაში ასეთი ვითარებაა და ახლა ძილის დროა? — ბრაზობს ივორი.

გადის ცოტა ზანი და რეკავს გუგუშეილი, ნამდინარევი



ხმით ეკითხება — რა მოხდა?

ეს კი პასუხობს, რომ სასწრაფოდ შესაცვლელია ტანიქორული გულება. დელეგაციის შედეგენაც პრეზიდენტმა მე დამატებულია.

— კი, ბატონოვი, — მოქნარებით დათანხმდა გუგუშვილი.

— რამდენ ხანში გამოვაგზავნო ჩემი კაცი ახალი განკარგულების წამოსაღებად?

იმან რაღაც დრო დაუსახელა.

— არაეთიარ შემთხვევაში! — კატეგორიულად არ დაეთანხმა იყორი, — ერთ საათში ჩემს კაცს გამოვაგზავნი და გამოატანეთ დაუყოვნებლივ!

შშვიდად დათანხმდა გუგუშვილი.

შევადგინეთ წამსვლელთა სია და წავედით აღმა-ათაში.

აი, ასეთი ფაქტებიც მოწმობდა, რომ საშემსრულებლო დისკიპლინა კი არ განსაზღვრავდა სახელმწიფო დაწესებულებების მუშაობას, არამედ შიში და პრეზიდენტთან ახლო ურთიერთდამოკიდებულება.

შვიდად გამსახურდიას დროინდელ მთავრობაში, რომელ-საც თენგიზ სიგუას შეძლევ ბესარიონ გუგუშვილი ჩაუდგა სათავეში, სერიოზული სახელმწიფო სტრუქტურისა არაუკრი ეტყობოდა. აქ შეკრებილი იყო სრულიად განსხვავებული ინტელექტის, ზნეობის და გამოცდილების მქონე ადამიანები, რომლებსაც ერთიანი გუნდის, ერთიანი პრინციპებისთვის ბრძოლის არც უნარი და არც სურვილი არ გააჩნდათ.

ის კი არა, ელემენტარული კულტურაც არ ჰქონდათ მთავრობის სხდომების ჩატარებისა.

მასსოუს, ერთხელ იგორმა მთხოვა მასთან ერთად დავსწრებოდი მთავრობის სხდომას.

ზის მთავრობის თავმჯდომარე გუგუშვილი და ეწევა სიგარეტს. ქაღალდის ნაგლეჯიდან თავწაწვეტებული პარკი დაუხვიდა. ეწევა და აფერფლებს ამ პარკში.

ვერ გავიგე, რას ნიშნავდა ეს? სიღარიბის და სიღატაჭის, თუ საკუთარი უბრალოების დემონსტრირებას?



ჟერლტურობაა მთავრობის თავმჯდომარის შერიდან ასევე საქციელი. ბოგაონთა შეკრება ხომ არ იყო, სადაც რომელიც გადასახლდა გააძოლებ და ქაღალდის თვითნაკეთ პარკში ჩაატერიფლებ.

მიმართ, რომ ასეთი არაეთიური ქცევა პირველ რიგში საკუთარი თავისა და შემდგომ დამსწრეთა მიმართ უპატიუცემლობის გამოვლენა იყო.

რა უჭირდა მინისტრთა კაბინეტს ისე, რომ ერთი საფეროულე „გაემეტებინა“ თავმჯდომარისთვის. ასეთი ყოფითი საკითხების მოსაგვარებლად ხომ სპეციალური სტრუქტურული დანაყოფიც კი ფუნქციონირებდა მთავრობის პარატში.

რაც შეეხება საკითხების განხილვას, იგი მიმდინარეობდა ყაყანის, დაპირისპირების და ურთიერთშეურაცყოფის ფონზე, მთავარი არგუმენტი აქ ყვირილის რეგისტრი იყო და არა ფაქტების ანალიზი და პოზიციის გონიერული დასაბუთება.

თუ არ ცვლები, იმ სხდომაზე განიხილებოდა საქართველოს სანაოსნოს საკითხი, ის რომ გემები არ უნდა გაყიდულიყო...

ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ფინანსთა მინისტრი გურამ აბსანძე და თავმჯდომარის პირველი მოადგილე მურმან ომანიძე – ამავე დროს საგარეო საქმეთა მინისტრი.

გურამ აბსანძე ამტკიცებდა, რომ გემები გაიყიდა მისი გვერდის აელით და გადახდილი ფული ბიუჯეტში არ შესულა.

მურმან ომანიძე საპირისპირო პოზიციაზე იდგა. ამბობდა, რომ გემები გაიყიდა, ფულიც შემოვიდა, მაგრამ ბატონი აფსანძე ტფიისო.

მოკლედ, ორივე ერთმანეთს სახელმწიფო სახსრების მითვისებაში ადანაშაულებდა. შეგახსენებთ, რომ ეს ხდებოდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის სხდომაზე.

ატყდა, მაგრამ რა ამბავი ატყდა! ცოტაც და ერთმანეთზე გაიწევდნენ და ამ დროს ადგილიდან წამოხტა ომანიძე, ჩემ-სქენ გამოიერთა, ხელები გაშალა და შემომბახა:

– ხედავ, ომარ, რა საღამოან. მაქვს საქმე? ესენი ვინ არ-

იან, ჭო??!

რა უნდა მეპასუხა?

რა ჩემი საქმე იყო მთავრობის წევრთა ბნელი საქმეების მიმდევა? ან მე ვინ მეკითხებოდა?

ბესარიონ გუგუშვილი კი აუღელევებლად, ოლიმპიური სიმშეიდვით აბოლუბდა სიგარეტს და აფეროლებდა ქაღალდის ნავლეჭით ნაკეთებ პარკში.



თბილისის ერთ-ერთი ტრესტის მმართველად ცენტრული მუშაობდა ვემალ კეთილაძე. მას ექვემდებარებოდა ორთო-მეტი სარემონტო-ხასენებლო სამშართველო. ერთ-ერთ ასეთ სამშართველოში სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა ვინჩე გევლესიანი, რომელმაც ნაძალადევში, რკინიგზელთა დასახლებაში რამდენიმე კორპუსის მოსახლეებიდან შეკრიბა ფული ლოვეიბის მისაშენებლად და გაუჩინარდა.

ამ ხალხმა ცეკას პირველ მდივანთან იჩივლა. შევარდნაძემ განცხადება დააწერა ბარსუქოვს – ცეკას მრეწველობის და ტრანსპორტის განყოფილების გამგეს. ამ უკანასკნელმა კი მე შემაღლნა, სასწრაფოდ მონახვთ ეს აფერისტი და მიღეთ შესაბამისი ზომებიო...

ვეძებთ, ვერ ვპოულობთ. მიღიციაც ეძებს, მაგრამ ვერც ის პოულობს. გაქრა კაცი.

როცა გამსახურდიას ხელისუფლება მოვიდა ქვეფნის სათ-ავები, მირეკაეს ვემალ კეთილაძე და მექითხება:

– გევლესიანი გაბსოვთ? რომ ვეძებდით, ფულები რომ მიითვისა და გაიქცაო?

– მახსოვეს-მეთქი – ვუპასუხე.

– აი, ის გევლესიანი ვაჭრობის მინისტრად დანიშნეს გუშინ!

* * *

ერთ დღეს მირეკაეს ცეკას მდივანი სანდრო გლურჯიძე და მეუბნება, გამოგივლი და სასწრაფოდ უნდა წავიდეთ ცხინვალშიო.

მიედივართ. გზაში სანდრო მიყვება, რომ დაურეკა სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ახლადარჩეულმა პირველმა მდივანმა ჩეხოვევმა (ის შემდგომში სამი მოწვევის რუსეთის დუმის

წევრი იყო) და აცნობა, რომ ბიუროს სხდომაზე უნდა განხილოს ტრესტის მმართველის თამაზ ვაშაძის საკითხი, ჩამოსაზღვრული მოხსნას, გარიცხოს პარტიიდან და დააჭირინოს.

ვაშაძე რა სუსტი მმართველიც იყო ვიცოდი, მაგრამ საციხოდ მაინც ვერ გავიმეტე. კბილებით ვიცავდი თამაზს ჩეხოვეის რისხეისგან, მის კაბინეტში სანდროს თანდასწრებით. ბოლოს შევთანხმდით სასწრაფოდ გადავიცვანდი სამინისტროს განკარგულებაში.

იმ დღესვე შევხვდი თამაზს ცხინვალში და ვურჩიე სასწრაფოდ ჩაელაგებინა თავისი ნივთები და დაბრუნებულიყო თბილისში.

გადავარჩინე კაცი: სულ მაღვე მექანიზაციის სამმართველოს უფროსად დავნიშნეთ რუსთავეში. მაღვე იქაც დასაჭერად გაიხსადა საქმე. ოქმურ ხაზარაძემ რუსთავის ქალაქობის პირველმა მდივანმა დამირეკა და მითხრა: ეს კაცი სასწრაფოდ მომაშორეთ, თორემ მოვხსნი და პარტიიდან გავრიცხავო. გასაფუჭებლად ისევ ვერ გავიმეტე ვაშაძე. გადმოვიცვანეთ სამინისტროს კადრების განკარგულებაში.

გამსახურდიას ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობებზე რომ იყო, ჯერ შშენებლობის მინისტრის მოადგილედ, მერე კი დადაქალაქის მერადაც მოვკველინა. მე მაშინ უმუშევარი ვიყავი, მაგრამ ერთი თბილი სიტყვა არ დასცდენდა ჩემზე, ცუდი კი არ დაუკლია. ასეთ კაცზეა ნათქვამი „ვირო, მაღლოო...“

* * *

— მესამე მაგალითსაც მოვიტან წარსულიდან: მურმანიმანისე, რომელიც ჩემის სამინისტროში სამურჩო სამმართველოს უფროსად მუშაობდა, თავის ფუნქციას ელემენტარულად არ ასრულებდა. დავაღების სისტემატიური შეუსრულებლობისთვის, მულებული გავხდით სამსახურიდან გაგვეთავისულებინა.

გამსახურდიას ხელისუფლებაში კი ჯერ ავტოტრანსპორტის მინისტრის მოადგილედ დანიშნეს ისე, რომ მინისტრის აღმდეგობის ჩატარება არც იცოდა და არც იცნობდა. ს მერქუ ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრად, ბოლოს კი — ერთდროულად პრემიერის პირველ მოადგილედ და საგარეო საქმეთა მინისტრად მოგვევლინა.

ამ სამთავრობო მარაზმის შეილველშა როგორ არ უნდა იწამო სტალინის ცხობილი, მართლაც რომ ეპოქალური გამონათქვამი — „Кадры решают все“.

სამწუხაროდ, ავად შემოუბრუნდა დამოუკიდებელ საქართველოს ასეთი უგუნური საკადრო პოლიტიკა!

ცერესულთან დაზარბავის პრეზრული 060601ატ03ა



ბაიკონურის (ყაზახეთი) გვიგანტური კომპლექსის ნახევის სურვილი აღმართ ბევრ ადამიანს ჰქონია, იქიდან ხომ სტარტს იღებდნენ კოსმოსური ხომალუები, რომელთაც გასული საუკუნის სამოცუანი წლებიდან კოსმოსის ათვისების ისტორიაში სრულიად ახალი ფურცელი ჩაწერეს.

მე დავესწარი ყაზახი და ავსტრიელი კოსმონავტების სტარტს. ამ საზეიმო და საინტერესო სანახაობას თვალს ადევნებდნენ ავსტრიის კანცლერი და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების თოთხმეტივე პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი. არ ესწრებოდნენ მხოლოდ საქართველოს პირველი პირები: კინაიდან თბილისში უკვე დაწყებული იყო მასობრივი მღელებარება, მიწვევაზე უარი თქვეს ზეიად გამსახურდიამ და ბესარიონ გუგუშვილმა.

როდესაც ავსტრიელი და ყაზახი კოსმონავტები ტაშის გრძალში ცაში აიჭრნენ და უზარმაშარი საფრენი აპარატი პაერში გაუჩინარდა, დელეგაციის წევრები მიგვიწვიეს ძალიან დიდ იურტაში, სადაც მშენებორად გაგვიმსაპინძლდნენ. სადილს ესწრებოდა როგორც ავსტრიის კანცლერი, ასევე თოთხმეტივე ქვეყნის პრემიერი და პრეზიდენტი.

ამ მეტად საინტერესო სანახაობას წინ უსწრებდა ფრიად მნიშვნელოვანი შეკრება აღმა-ათაშე. გრანდიოზულ მრგვალ დარბაზში შეიკრიბნენ თხუთმეტივე რესპუბლიკის (უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების) დელეგაციები. მხოლოდ ჩვენ გამოვიყურებოდით „მოკრძალებულად“: დელეგაციას, რომელშიც შევდიოდით მე, ღევან თოფურია, ზურაბ მხეიძე და მინისტრის თანაშემწეობა იმარ კიზიკიძე, თავკაცობდა მაშინდელი მატერიალური რესურსების მინისტრი იგორ ჩხეიძე.

ეს შეკრება ყაზახეთის პრეზიდენტის ნურსულთან ნაზარბაევის ინციდენტით მოეწყო. იგი მიზნად ისახავდა თხუთ-



მეტივე ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთეკვშირების შენარჩუნებას, რათა სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ნიაზმადგუნდა. მრიტმი არ დარღვეულიყო. ეს იყო იმ დროისთვის შეტანილ გონივრულ, დროულ და აუცილებელ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომლის განხორციელებასაც ხელი უნდა შეეწყო ამ ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებისთვის და შემდგომი წინსვლისთვის. სამწუხაროდ, ამ უმნიშვნელოვანების საკითხის, ისე როგორც სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში, საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ აბსოლუტური წინდაუზედაობა და დილეტანტიში გამოიჩინა. გაჩაღებული ძმათამკედლელი ომის გამო, რამაც შიდა არეულობა, სრული ანარქია, ურთიერთდაპირისპირიუბა გამოიწვია, ქვეყნის ეკონომიკის გადარჩნისთვის ვეღარავინ მოიცავდა... ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც ქვეყნისა და ხალხის ინტერესებზე მაღლა პირადი ამბიციები დააყენა. შედეგად განადგურდა ეკონომიკა. ელექტროენერგიის, გაზის, თხევადი საწვავის, ნედლეულის უქონლობის გამო ჯერ გაჩერდა თითქმის ყველა საწარმო, მერე კი უმოწყალოდ გაჩანავდა, გაიძარცვა და უცხოეთში ჯართად გაიყიდა...

საქართველოს, პოსტსაბჭოურ ქვეყნებს შორის ერთ სულ მოსახლეზე, საგარეო ვალის მოცულობით პირველი ადგილი უკავია. მან 9 მილიარდ აშშ დოლარს გადაჭარბა.

ჯონ პერკინისი თავის წიგნში „ეკონომიკური მკვლელი“ წერს: „ჩენებს პროექტს სოლიდური მოგება უნდა მოეტანა ამჟრიკის შეძლებული ოჯახებისთვის. მაშინ, როდესაც ამ ქვეყნების მთავრობები აღმოჩნდებოდნენ გრძელვადიან ფინანსურ დამოკიდებულებაში, ეს შესაბამისად მათი მორჩილების საწინდარი იქნებოდა. რაც მეტი იქნებოდა სესხი, მით უკეთესი. ის ფაქტი, რომ სესხი უსპობს მის მოსახლეობას ჯანდაცვას, განათლებას, კულტურას, მხედველობაში არ მიიღება.“

ფაზაზეთში, ბაიკანურის კოსმოდრომზე ყოფნის დროს, დელეგაციებს დაგვათვალიერებინეს უზარმაშარი ანგარები

— ფაქტობრივად გრანდიოზული ქარხნები, სადაც კოსმოსში გასაფრენი აპარატები და სხვა აუცილებელი მოწყობილობები იქმნებოდა. საწარმოებში მომუშავე ადამიანები იმ დიდ სივრცესა და გიგანტური აპარატების ფონზე ძალიან პატარები მოჩანდნენ. ბაიკანურის უკიდევანო ტერიტორიაზე გაშენებული იყო რამდენიმე ქალაქი (ლენინსკი, კომსომოლსკი, მოლოდინი, სოვეტსკი და სხვ.), რომელიც ერთმანეთსა და საწარმოებს რეინიგზით უკავშირდებოდნენ.

სხვათაშორის ბაიკანურის გარდა საბჭოთა კავშირს კიდევ პქონდა კაპუსტინ იარის კოსმოდრომი და ზესაიდუმლო კველაზე თანამედროვე, პლესეცის რაკეტოდრომი, რომელსაც თითქმის 13 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ჩენი თანამემამულე საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი — გალაკტიონ ალფაიძე.

პრეზიდენტ ნურსულთან ნაშარბაევის მცდელობა, როგორმე შეენარჩუნებინა და განემტკიცებინა ყოფილ საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა და ურთიერთება მოქმედდი საწარმოების სრული პარალიზება, დამსხვრეული დოქტის შეკოწიწებას ჰგავდა, ამიტომაც მაშინ მაინცდამაინც სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. განსაკუთრებით საქართველოსთვის...

აზხახეთში 01060 ქართულ პრინციპის 01060 ქართულ პრინციპის



ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისია. გათვალისწინებული არ არის. ნაშაუადლევს მირეკავს ჩემი მეცნიერობით, სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტის ყოფილი დირექტორი, იმფაზად საქართველოს სახელმწიფო სამეცნიერო ინსტიტუტის რექტორი ნაპოლეონ ქარქაშაძე, მიღოცავს ახალ წელს და თავისითან მეპატიულება.

მე ჩემთან მოეთავსულე. მიპასუხა, რომ ძალიან უვერად ჩემი ოჯახი და სიამოვნებით მეწევა, თუმცა მარტო არ იქნება და მე რომ მიყვარს იმ ღირსეულ ადამიანებს მომიუვანს სტუმრად. რადგან ასე გულანად გვეპატიულები, შენთან გადმოვინაცლებოთ. ის კი არ მითხრა, ვის მოყვანას აპირებდა.

— ძალიან გამახარებთ-მეთქი.

ერთი საათიც არ იყო გასული, ქარზე ზარის ხმა გაისმა და შემოღიან მართლაც შესანიშნავი პიროვნებები — სოხუმის ფიზიკა-მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი რეზო სალუქეაძე, ოთარ ზუბბაია — აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და რა თქმა უნდა ნაპოლეონ ქარქაშაძე.

ჩემი დიდი ხნის ამ ძვირუას მეცნიერებთან წარსულში საქმიანი ურთიერთობაც მქონდა — რეზოს მთელ რიგ ობიექტებს ვუშენებდი სოხუმში.

რაც შეეხება ოთარ ზუბბაიას, იგი ცეკას ბიუროს სხდომაზე გავიცანი. ეს ის სხდომაა, რომელზედაც მე ტრესტის შმართველად დამამტკიცეს, ხოლო ოთარი ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად. მას შემდევ, წლების განმავლობაში ჩეენი ურთიერთობა მეცნიერობაში გადაიზარდა....

რა თქმა უნდა ძალიან გავიხარე მათი სტუმრობით. ამას დაემატა კოტე სალიას სატელევიუნო ზარი, რომელიც უწინ ოჩამიჩირის რაიკომის, შემდგომ ტევარინელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

კოტემ მომილოცა ახალი წელი და როცა გაიგო, ვინ მყავდა სტუმრად, სიხარული ვერ დამალა — კაცო, უშიშრის აუზაზეთის ღირსეული ადამიანები შევიქრებია და ოუზენას მომცემ, შექიმიურთდებით.

— ძალიან გაგვახარებ-მეტქი.

უნდა ვთქვა, რომ ისინი მართლაც რომ ღირსეული პიროვნებები იყვნენ და ყოველთვის მყარად იდგნენ ქართულ ნიადაგზე. სწორედ ისინი იყვნენ პირველები, ვინც ხმა ამოიღო სეპარატისტების წინააღმდევ და არასოდეს არ უდალატიათ თავიანთი პრინციპებისთვის. განსაკუთრებით ღირსეულად მოიქცნენ ე.წ. ლიხნის ავადსახსენებელი „წერილის“ მიმართ...

აფხაზეთში წმირად ჩავდოოდი, რადგან ამ აეტონომიურ რესპუბლიკაში შენებლობას ვკურინებდი და არ მახსოვს შემთხვევა, რომ ოთარს ოდესშე მოუცილელობა მოუმიზეზებინა და აქტიურად არ ჩართულიყო ჩემს მიერ დასმული საკითხების გადაწყვეტაში.

იმ პერიოდში შენებლის დღე აგვისტოს მეორე კვირადღეს აღინიშნებოდა. როგორც წესი, ამ დროს გაგრაში ვისეყნებდი ხოლმე. ყოველთვის მიკავშირდებოდნენ აღვილობრივი შენებლები და ამ ღირსეშესანიშავ დღეს ერთად აღვიზნავდით. მე ჩემი ინიციატივით თან „მახლდნენ“ ჩემი მეგობრები საშაჩიკვამე (მაშინ კენაში საბჭოთა კავშირის ელჩი), ნუგზარ რუხაძე (ქუთაისის ქალაქომის პირველი მდივანი) ანზორ ბურჯანაძე, ნოდარ ჯანბერიძე, ცნობილი რეგისორი დოდო ალექსიძე, რაფიელ კლიფულაშვილი და სხვები. წმირად ჩვენთან იყო აგრეთვე ვიქტორ სუხადრევიც, ურთობ ცნობილი პიროვნება, რომელიც იყო ხრუშჩოვის, ბრეზნევის, კოსიგინის, გრიმიკოს და გორბაჩოვის პირადი თარჯიმანი.

მე და სუხადრევს მეგობრული ურთიერთობა გვქონდა, იგი თბილისში ჩემთან ოჯახშიც არის ნამყოფი. მოსკოვში

რომ ვცნოურობდი, ჩემი ორმოცდა წლის იუბილეზეც ჭი შეწყალა /
მეუღლესთან – მშვენიერ ინგასთან ერთად... ერთიანული

მახსოვს ერთხელ, სწორედ მშენებლის დღეს, ჰასტატისუმცაა
ბაიაძ ცნობილი ფეხბურთელი სიომა ბარქაა გამოშიგ ზავნა
მანქანით და დამპატიუა ამ დღის აღსანიშნავად მდინარე ბზი-
ფის ხეობაში გამართულ „ნადიმზე“...

იქ დამხედნენ გაგრის ქალაქქომის პირველ მდიგანი ენვერ
კაპბა, საოლქო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების
გამგე ჯემალ ბერიძე და სხვები. დიდებული სუფრა გაიშალა
ულამაზესი ბუნების წიაღში...

ასეთი ურთიერთობები იმ დროს ცხოვრების ჩვეულებრივი
ნორმა იყო და ჩვენი მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებას
და რაც მთავარია წარმატებულ საქმიანობას უწყობდა ხელს.

...ეს და ბევრი სხვა ბედნიერი შეხვედრა გავიხსენეთ იმ
დღეს და ასე აღვნიშნეთ ახალი წლის შემობრძანება საქართ-
ველოში.

ჯაბა იოსელიაძე

ფრიად საინტერესო შეხვედრა მქონდა ჯაბა იოსელიაძის, რომელსაც ჩემი თანხმობის შემთხვევაში, აღვილი შესაძლებელი იყო რადიკალურად შეცვალა მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება.

მირეკავს ჯაბას მარჯვენა ხელი თამაზ ფანწულიძე და მატყობინებს ბატონი ჯაბას ჩემთან შეხვედრის სურვილს...

ეს ჯაბას აპოთეოზის დროა. როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრი იყი უაქტომრივად განავებს ჰქონიას. ყოველ შემთხვევაში, არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი, მათ შორის საკადოო საკითხებიც, მისი თანხმობის გარეშე არ წყდება...

კუპასუხე, ბატონ ჯაბას არ ვიცნობ-მეთქი, სამაგიროდ ის გიცნობთო მითხრა.

ჯაბას მართლაც არ ვიცნობდი. მხოლოდ ერთხელ მოვხვდი მასთან სუფრაზე. ეს იყო თამაზ კეაჭანტირაძის 50 წლის ოუბილებზე, სადაც მეუღლესთან ერთად ვიყავი დაპატივებული.

შესანიშნავი საზოგადოება შეიკრიბა თამაზის ოჯახში: სოსო ცისკარიშვილი, რისმავ გორდეზიანი, კოტე გაბაშვილი, აზხორ ბურჯანაძე მეუღლეებით... მოვიდა ჯაბა იოსელიანიც.

ითამადა ჯანსულ ჩარქეიანმა და არაჩეულებრივი დრო გაგვატარებინა...

სხვა რა გზა მქონდა, მივედი. მაშინ სახელმწიფო საბჭოს წევრებს „იმელის“ ყოფილ შენობაში პქონდათ სამუშაო კაბინეტები. უამრავი ხალხი დამხედა იოსელიანის მისაღებში. მათ შორის ჩემი ნაცნობებიც იყვნენ: რომან მელია (ყოფილი — ფოთის მერი, პარლამენტის დეპუტატი), პეტრე ჩხეიძე (ყოფილი ელჩი აშშ-ში და საქართველოს წარმომადგენელი გაეროში). კესაუბრები მათ, თან ეფიქრობ — მე დანიშნულ დროზე მოვედი, ახლა თუ რიგში უნდა ჩავდგე, ვინ იცის რამდენ ხანს მოძიწვს აქ დაყოვნება...

გარეთ გამოსულ თამაზ უანწულიძეს გამოველაპარაპე და



ვკითხე, როდის უნდა შევსულიყოვი. ანლავეო, მიპასუხად მაგრამ ეს ხალხი-მეთქი? ესენი მოიცდიანო.

შევვდი. ჯაბა იოსელიანი წამოღვა, შემომევება, მო-
მიკითხა.

ჯაბა დევჭაცად წარმომედგინა, არადა, ვიდექი საოცრად
სანდომიანი სახის ტანძორინილი ადამიანის წინაშე, ვინც,
როგორც დიდი ზნის ნაცნობს ისე მეღაპარაკებოდა.

მეუბნება, რომ მოსკოვში უნდა წახვიდეთ სამუშაოდ ჩვენს
ელჩიადო.

სრულიად მოულოდნელი იყო ჩემთვის ასეთი შემოთავა-
ზება, რადგან დიპლომატიურ სამსახურთან არავითარი შეხ-
ება არასოდეს მქონია, ამ სპეციფიკურ სფეროში მუშაობის
გამოცდილებაზე არაფერი რომ არა ვთქვა.

ვუთხარი ეს ყველაფერი.

თქვენ მოსკოვში ცხოვრობდით და აქალემია გაქვთ
დამთავრებულით.

მოსკოვში ნახევარი თბილისი ცხოვრობდა, მაგრამ ელჩო-
ბისთვის ეს საკმარისი არ არის-მეთქი.

სამაგისტროდ თქვენ გაქვთ დადი კონტაქტები მოსკოვის
მაღალ სახელმწიფო მოღვაწეებთანო, — მომავება თავისი
არგუმენტი. დამისახელა თავდაცვის მინისტრი იგორ როდი-
ონოვი, კლადიმერ პანსკოვი — ფინანსთა მინისტრი, ვალ-
ერი სეროვი — რუსეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე. გენერალ პოლკოვნიკი მიხაილ საცკოვს ხომ იც-
ნობთო? — მეითხა. როგორ არა, ჩემი მეზობელი იყო მიხაილ
მიხაილოვიჩი და ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა-მეთქი.
საცკოვი მაშინ მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი იყო.
სხვების გვარებიც ჩამომითვალა. უფრო მეტი მე დავუსახელე
და ისიც ვუთხარი, რომ მათი უმრავლესობა მაღალ თანამდე-
ბობებზე აღარ მუშაობდა.

ჯაბას ბოლო არგუმენტი კი ასეთი იყო:

— რას ამბობ კაცო, ვალიქო ადვაძეზე უკეთ როგორ ვერ



იმუშავებო (პროფესორ ვალიკო აღვაძეს საქმაოდ კარგად ვაც ნობდი. არაჩეულუებრივი პიროვნებაა. მისი საქმიანობის შემთხვევაში ფასებლად არ გამოვდგები, რადგან საქმიანი ურთიერთობა არ მქონია).

— შეიძლება უკეთესად ვიმუშაო, მაგრამ ეს ბევრს არაფერს არ ნიშნავს — მეტქი...

ერთი სიტყვით, არ დავეთანხმე.

მაგრამ იმასაც ვფიქრობ, ჩემი უარი ამ კაცმა ზელისუფლეუბასთან თანამშრომლობაზე უარის თქმად არ მიიღოს-თქო, ამიტომ იქნება დავსძინე, რომ თუ შემომთავაზებდნენ, სიამოვნებით ვიმუშავებდი იმ სფეროში, რომელიც ჩემი პროფესიისა და გამოცდილების შესაფერისი იქნებოდა.

ამ შეხვედრის შერე როი თვეც არ იყო გასული, რომ ისევ მიმიწვევს ბატონ ჯაბასთან. მაშინ მე ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თაქმჯდომარის მოადგილედ ვმუშაობდი. ამჯერად ჯაბამ უკვე განათლების მინისტრის მოადგილის თანამდებობა შემომთავაზა. მინისტრი, ჩემი მეგობარი და შესანიშნავი ადამიანი, თამაზ კვაჭანტირაძე გახდათ...

თუმცა, ბატონი ჯაბა კვლავ გავაწილე — თავი შევიქავი მის შემოთავაზებაზე.

ამით დამთავრდა ჩვენი ურთიერთობა...

ბანკეტი ღა... აპარაში

პრეზიდენტი

ერთ დროს წესად შემოიღეს ე.წ. „დია კარის დღე“, რომელიც, ჩემის აზრით, ძალიან კარგი და სასარგებლო პრაქტიკა იყო: რესპუბლიკის ხელმძღვანელები, სამინისტროებისა და უწყებების პასუხისმგებელი მუშაკები ჩადიოდნენ რაიონებში, იქაურ აქტივს აცნობდნენ მიმდინარე და სამომავლო გეგმებს, რომლებიც მიმართული იყო რაიონის სოფლის მუნიციპალიტეტებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად. თავის მხრივ აქტივის მონაწილეობიც საუბრობდნენ თავიანთ პრობლემებზე. აზრთა ურთიერთგაზიარების ეს მეთოდი რეგიონებისადმი დახმარებას კიდევ უფრო მიზანმიმართულს და ეფექტურს ხდიდა.

საქართველოს ყოველი კუთხი მდიდარია სამშენებლო მასალებით, ბუნებრივი ქვებით, მინერალური და სამკურნალო წყლებით, ხეტყის და სხვა ბუნებრივი რესურსებით. მათ ათვისებასა და გონივრულ გამოყენებას დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო არა მარტო კონკრეტული რაიონის, არამედ მთელი ქვეყნისათვის. საამისოდ საჭირო იყო არსებული ბაზისათვის ხელშეწყობა, ახალი საწარმოო სიმძლავრეების აშენება და ამოქმედება. ამაში რესპუბლიკურ სტრუქტურებს რაიონებისთვის მართლაც ფასდაუდებელი დახმარება შეეძლოთ გაეწიათ, როგორც ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური, ისე ინტელექტუალური თვალსაზრისით...

თუ უნარიანად ვიმოქმედებდით, თავისუფლად შეიძლებოდა ისეთი ხარისხის პროფესიის წარმოება, მსოფლიო ბაზარზე თავის ანალიტიკებს სათანადო კონკურენციას რომ გაუწევდა. ამ საკითხებზე წლების მანძილზე წარმატებით მუშაობდნენ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი ინაკლი გვერდწითელისა და ორაკლი ფორდანის თავებიცობით, „საქართველორტი“ ზეზვა ღუდუნიშვილის ხელმძღვანელობით, აგრეთვე

მთელი რიგი ინსტიტუტები, საგეგმო კომიტეტი, სამინისტრო
ები და უწყებები...

აღინიშნი ერთ-ერთ ასეთ გასვლით ღონისძიებებზე ჟან-
ზვეულინი ვიყავით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრ-
ეზიდენტი – ვეგენი წარამე, სააკტომობილო გზების მინისტრი
– ბორის სალარიძე და მე. საინტერესო საუბარი გამიართა
აკადემიკოს ვეგენი წარამესთან. იქაური ახალგაზრდა რაი-
კომის მდივანმა ჯემალ ნაკაშიძემ, ოფიციალური ღონისძიების
დამთავრების შემდეგ საღილზე მიგვიწვია (ჯემალი წლების
მერე აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობდა). ბატონ
ვეგენისთან საუბრის დროს გამოვთქვი ვარაუდი გალაკტიკაში
სიცოცხლის არსებობის შესახებ. მან მიპასუხა:

— “გეთანხმებით, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ შევ-
იტყობთ მხოლოდ მაშინ, როდესაც გაჩნდება კოსმოსური
აპარატების შემდგომი თაობა, რომელიც სპეციალურად არამი-
წიერი სიცოცხლის მიერას მოგებსახურება იუპიტერსა და
მარსზე. ბევრ ქვეყანაში მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები
მუშაობენ ამ პრობლემებზე – სიცოცხლის არსებობის ნიშნები
კი არის ზოგიერთ პლანეტაზე, მაგრამ ჩვენზე განვითარებულ
ცივილიზაციაზე რა მოვახსენოთ! მეცნიერება ჯერჯერობით
ვერაფერს ამტკაცებს, “– მიპასუხა მან. მოსკოვის აკადემიაში
სწავლის დროს ამოუცნობ მურინავ ობიექტებზე (ამო) ვეთხ-
ულობდი ყველაფერს, რასაც კი მოვიხელთებდი, თუმცა მაშინ
ასეთი სახის ლიტერატურით განებივრებულები არ ვიყავით,
ეინათან სახელმწიფოები წალხისგან ამგვარ პრობლემებს
საგულდაგულოდ მაღლავდნენ.

სადილის შემდეგ ბატონმა ვეგენიმ ამასთუმნის ობსერვა-
ტორიაში მიგვიწვია. დაგვათვალიერებინა, ბევრი გვესაუბრა და
გაგვანდო, რომ მეფის რუსეთის დროს აბასთუმანი გაცილებით
უკეთესად გამოიყერებოდა. რუსეთის იმპერატორმა აღვეჭიან-
დო მესამემ შეისყიდა აბასთუმანი. მან ააგო საზაფხულო
და საზამორო მშევრის სასახლები, გააშენა ულამაზესი

პარკი შედრულებით. აქ ისუნიკალურობის მისი ოჯახის წევრები. შესანიშნავი კლიმატი, ღვთითბოძებულები სამკურნალო და მინერალური ცხელი წყლები. აბაზოუბნის არა მარტო კლიმატური, არამედ ბალნეოლოგიური კურორტიცაა. აქ სრული დატვირთვით მუშაობდა 10 სანატორიუმი. ერთი ბავშვთა, სადაც ერთდროულად 200-ზე მეტი ბავშვი მკურნალობდა.

თუმცა, ახლა, ის რაც ჩვენ ვნახეთ, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა — შემოგარენი ისე იყო გაპარტაზებული და განასაგებული, კაცს აატირებდა. ომატე სათანადოდ უფლიდნენ, მერე კი ყველამ დაგვივიწყა, მარტო ჩემი ძალისხმევა შედევს ვერ იძლევათ — დაიჩივლა ბატონში ვეგენიძ...

წუმიშმატიკით და ფილატელიით გატაცებული ჩემი შეიღები ერთ კერია დღეს, ძევლი მონეტებისა და მარკების სამებნელად „ბარაზოლკაზე“ წავიდებან. ზანდაზმული ქალი მეფის რუსეთის დროინდელ „ღია ბარათებს“ ყოდა. ღავსებული მათვანზე აბასთუმანი, მისი კუთხე-კუნჭულებია გამოისახული! თანაც, ძალიან ბევრი ბარათია. ყველა შევსებულია და ნაირუფრი მელნით გადაჭრულებული. ბატონი ვეგენი გამახსენდა. როგორი გულისტკივილით ღაპარაკობდა რევოლუციამდელ აბასთუმანზე! დარწმუნებული ვიდავი, მას ასეთი ბარათები ნანახი არ ექნებოდა! მახსოვეს, ერთზე შავ-თეთრ ზოლებანი საგუშავო ჯიხური იყო გამოსახული, ჯიხურთან კი საზეიმო სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ზიშტანი, გაჯგიმული მეფის რუსეთის ჯარისკაცი იღვა — კურორტის შესახელელს იცავდა! მეორეგან მშევნიერი სკვერები, სააბაზანო ოთახები, დასახურებელი კუთხები, შადრულები აღებეჭდათ.

მთელი ეს სიმღიდორე ვროშების ფასად შევიძინე. ორშაბათს მძღოლს ბატონ ვეგენისთან გავატანე, თან დაუურცე, აბასთუმინის სურათებს გიგზავნით, უთუოდ დაინტერესდებით მეთქი. მაშინ ის საქართველოს მეცნიერებათა აქადემიის პრეზიდენტი იყო.



ერთ საათსაც არ გავვლო, მირეკავს, ბატონი ომარ, თუ იცით, რა დიდი სიხარული და სიამოუნება მომანიჭებული შესასტიკა თუმანზე აძლენი შშეენიერი სურათი ერთად არასოდეს შეინახა-ავსო.

ბოლოს რომ შევხვდი, ქვეყანაში უკვე განუკითხაობა სუვერენიტეტის და მიმიჯვა წლებს თავისი დაღი დაესვა... ის იყო ცოცხალი განსახიერება იმისა, როგორ ანადგურებს ადამიანს ზღვარდაუდები სისასტიკე, ანუ ის, რაც ოთხმოცდაათიან წლებს თან ახლდა...

მეცნიერებათა აკადემიამ გიორგი ჯიბლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კონფერენცია მოაწყო. საინტერესო გამოსკლები პქნენდათ გიორგი ციცაშვილს, დევი სტურუას, იუბილარის სიძეს გოჩა ჩოგოვაძეს და სხვებს. კონფერენციას ჩემი ბავშვობის მეგობარი – ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გურამ ბენაშვილი უძღვებოდა. „მეორე განყოფილება“ იწოდეს სახლში შედგა. ბატონშა ევგენიმ, თვალი მომკრა თუ არა, ჩემთან მოვიდა, ერთად დაესხდეთო – მთხოვა. გვერდით მოვისეი და რაც შეძებლო ყურადღება არ მომიკლა – კვშახურებოდი. დიდხანს არ გაჩერდა, ჭამითაც ცოტა მიირთვა და დალევითაც მხოლოდ ერთი თუ ორი ჭიქა ღვინო შესვა... უნდა წაეყიდეო, თქვა. უკცრად ჯიბიდან ძველი, ნახმარი პარკი ამიაცურა და მთხოვა – „ბატონო ომარ, უმორჩილესად გოხოვთ საჭმელები ჩამიწევთო...“ მხლოლს დაუურეკე, ცელოფანის ახალი პარკიდ ამოვატანინე, გავასე, ბატონ ევგენის ხელი მოვკიდე და ჩემს აეტომანქანამდე მივაცილე... როდესაც მანქანის კარი მიეხურე, ხელის აწევით დამეშვიდობა, თვალებში კი მაღლიერების ცრემლი უკიაუებდა.

ახლა ამის გახსენებაც მიჰირს და წერაც. არ ვიცი, სწორად ვიქცევი თუ არა, მაგრამ ის, რაც მაშინ ეიხილე, დიდი სინაწელის აღმძერელია, ვინაიდან, ეს მთელი იმდროინდები საზოგადოების სირცევილია... თუმცა, ქვეყანას უამრავი პრიბ-



ლუმა აწუხებდა (ბოუკეტიც კი არ ჰქონდა) მაინც ფრინველები
მიძებნია გამართლება ამ შემზარავი ფაქტისა, მსოფლიო-ფლობის
ნის მეცნიერის მიმართ ხელისუფლებისა და საზოგადოების
დანაშაულებრივი გულგრილობისა....

ესეც ჩვენი დუხჭირი ქვეყნის ისტორიაა... ისტორია, რომ-
ლის დავიწყებაც აღიათ შეეძლებელია.



ცხოვრების დიდი და საინტერესო გზა განვლო მწერლების მიერთვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, პროფესიონალური გიორგი ციციშვილმა. ჩენ არაერთხელ შევხედროვართ და კარგი ურთიერთობაც გვქონდა. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო საგულისხმო გახდა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როცა ჩეხოსლოვაკიაში, კარლოვი ვარში ერთად ვისვენებდით. მერეც, ხშირად ვხედუბოდით ერთმანეთს, უფრო – მთავრობის სხდომებზე. ყველგან და ყოველთვის გამოარჩევდით უაღრესად დახევწილი მანერებით, სიტყვა-პასუხით, მოხდენილი იუმროით.

აკადემიკოს გიორგი ჯიბლაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესიაზე გიორგი ციციშვილმაც გულთბილი სიტყვა წარმოსთქქა. დარბაზი ფრიად გაახალისა და გამოაცოცხლა მისი მოვონების ერთმა პიკანტურმა ეპიზოდმა აი, რა გაიხსენა მან:

– ჩენს შორის იმყოფება ბატონი გიორგის შესანიშნავი მეუღლე და ცხოვრების ერთგული თანამგზავრი ქალატონი ლილი გეგელაშვილი. მე მგონი, არ მიწყენს, თუ ერთ პატარა „საიდუმლოს“ გავიმხელთ. მოსკოვში ვართ, ჩემი ბატონი, მე და გიორგი. სასტუმროში ერთად ვცხოვრობთ. საქმეზე ხან სად დავდივართ და ხან სად. საღამოს დავბრუნდებით და, წარმოიდგინეთ, ის მაშინაც თავაუღებლივ მუშაობს: მოუჯდება მაგიდას და ურთიავად რაღაცას წერს. მე ნაკვერჩლებზე ვზივარ, ვერ ვისვენებ, რაღვან მრავალმილიონიანი ქალაქი ათასნაირი საცდუნებლით არის სავსე: გავიარ-გამოიაროთ, ამდენი ლამაზი, მაცდური ახალგაზრდა ქალი, ამდენი „საბლაზნია“, ვერა, კაცო, ჯვარი ვერ დავწერე...

დარბაზში შეიარიულად გაიცინეს: ამ სიტყვების ავტორი ხომ უკეე ხანდაზმული გახლდათ...

დამამახსოვრდა ჩენი ბოლო შეხედრა მთავრობის სხდო-

მაზე, რომელსაც პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უძლევს
ბოლა. ბატონი გიორგი მაშინ საქართველოს ომის ვეტერანთა უფლის
დეპარტამენტს თავმჯდომარეობდა. გვერდიგვერდ კისხულია მისა
ვიკრძენი, თანდათან ჩემსკენ როგორ გადოთიხარა და მომ-
ექიდნო. შევხედე, თვალები დაეხუჭა. ვიფიქრე, დაღლილია
და ალბათ ჩაეძინა. მერე თავი მსარჩე სამომადო. რომ არ
გამედვიძებინა, სუნთქვაც კი შევიკავე. არ გასულა დიდი დრო,
ერთბაშად მოეშვა და მუხლებზე გადმომაწვა. ახლა კი მივხვ-
დი, რომ ცუდად იყო საქმე და რაღაც უნდა მეღონა. ბავშვივით
ზელში ავიტაცე და სეამიდან წამოვდეჭი. ბატონმა ედუარდმა
შემნიშნა და გაოგნებულმა მომაძახა, რა მოუვიდაო. ვუჟასუხე,
გონება დაკარგა-მეთქი.

გულშევრინებული ბატონი გიორგი გარეთ გამოიყევანე-
იქვე დიდი მაგიდა იდგა და ზედ დავაწვინე. ამასობაში ჯან-
მრიოლობის მინისტრი ავთანდილ ჯორაბენაძეც გამოვიდა სხ-
დომიდან. მორიგე „სასწრავო“ გამოიძახა. ბევრი იწვალეს
ექიმებმა, სანამ ავადმყოფს მძიმე მდგომარეობიდან გამოიყევანდ-
ნენ. მერე საკაცეზე დააწვინეს და ლიფტით ჩაიყვანეს.

„სასწრავო“ სირენების წიგილით თვალს მიეფარა, მე კი
ისევ ვიდექი და გზას ვავკურებდი. გული მეუბნებოდა, რომ
ბატონ გიორგის ცოცხალს ვეღარასოდეს ვნახავდი.

სამწუხაროდ, გუმანმა არ მიმტკუნა...

აქვე მინდა ვავიხსენო ბატონი გიორგის უმცროსი ძმა შეს-
ანიშნავი პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი დავით ციციშ-
ვილი („ციცქა“), საზოგადოება „თბილისელის“ პრეზიდენტი,
მოღვაწე, მეცენატი, რომელმაც წარუმლელი კვალი დატოვა
ქალაქის ისტორიაში.

ის ჩემი ახალგაზრდობის მეგობრის – ულამაზესი დოდო
შანშიაშვილის ლირსეული მუელლე გახლდათ. ერთხელ, ჩემს
ოვახში სტუმრობის დროს, „ციცქამ“ ძალიან მოიღინა, ვახ-
შმის დასასრულს ჩემი სადღეგრძელო რომ წარმოთქვა მქოთხა
– „თბილისელის“ წევრი ხომ ხარო (მაშინ ახალი დაფუძნე-



ბული იყო ეს საზოგადოება). „რესტავრაცია“-ს საზოგადოების წევრი კი ვარ, მაგრამ სამწუხაროდ „თბილისული“-ს უჯრედი ჰტუპ ვარ-მეთქი...

— შე კაი კაცო თბილისში დაბადებული, აქ გაზრდილი, ასეთი შესანიშნავი ოჯახის პატრონი, ნალექი თბილისული — ჩვენი საზოგადოების წევრი როგორ შეიძლება რომ არ იყორ...

მოიხსნა თბილისულის სამქურდე ნიშანი და მე გამიკეთა. მეორე დღეს მისი დამადასტურებელი საბუთიც გამომიგზავნა სამსახურში.

დათომ ერთხელ თავისი პირველი წიგნის პრეზენტაცია-აზეც მიმიწვია.

შპნების ტბის სანაპიროზე

დაახლოებით ათი წლის წინ მე და ჩემი მეუღლე შვერცელი იცარიაში გავემგზავრეთ. წასკლამდე ტელეფონით შეეხმა-ანე ჩვენს ელჩს შეეცარიაში – ამირან კავაძეს. გაოცებული და ნასიამოვნები დავრჩი, როცა იგი უწევის აეროპორტში საელჩოს თანამშრომელთან, ქართლის ედილაშეილთან ერთად დაგვეხვდა. ქართლის ავტომანქანით მოგვამავრა და იქ ყოფინის პერიოდში დიდ ფურადღებას იჩინდა ჩვენს მიმართ. სწორედ ასეთი ფურადღებიანი დამოკიდებულების წყალობით შევძლით მოქლე წანში დაგვეტყალიერებინა უწევის და მისი შემოგარენის ღირსშესანიშნაობანი.

ერთ საღამოს უწევის ტბის მახლობლად, რესტორანში ვაჩშმის შემდეგ, ულამაზეს სანაპიროს მოუკეთებოდით მანქანით. ფურადღება მივაქციეთ ტბის ნაპირზე მდგარ შესანიშნავ ვიღას, პატარა ქაღაქ ნიონის შესასვლელში.

ჩვენმა მასპინძელმა გვითხრა, რომ აქ განთავსებული იყო ფიფას შტაბბინა. მის გვერდით ასევე არაჩეულებრივი შენობა იღვა, ულამაზესი ბაღით. შემდეგ კი ამჟრიეის ელჩის რეზი-დუნცია.

დავინტერესდით შტაბინასა და რეზიდენციას შორის არსებული ძველი, ულამაზესი შენობით. ქართლისმა გვითხრა, რომ ეს მდიდრული ნაგებობა შესანიშნავი ეზოთი – სამტრედიელი კაცის გორჩა ჭიდლამის ვიღა იყო. გავეოცდით. თურმე იგი უმაღლესი ღონის მიღებებს მართავდა თავის მამულში.

ასეთი არაჩეულებრივი სახლი, ასეთ არაჩეულებრივ ადგილას, ქართველი კაცისა რომ იყო, ძალას გაგეონარდა. ვიკითხეთ მისი ვინაობა, ბევრი ვერაფერი გვითხრეს, რადგან მას ჩვენს საელჩოსთან პრაქტიკულად არავითარი კონტაქტი არ ჰქონდა...



ცხოვრება ძალიან მოსაწყენი იქნებოდა, აღამანით ჰქონის რაციონალური და რესპექტაბელური საქმეებით რომ იყოს დაკავებული... და რომ არ არსებობდნენ კურიოზული შემთხვევები, რომლებშიც აღამანები გულუბრყვილობისა ან სხვა მიზუშების „წყალობით“ იგდებინ ხოლმე თავს...

ერთ ასეთ აბბავს მოგიყენებით.

ვმუშაობ საქართველოს ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. თავმჯდომარე ვაჟა შებდაძეა.

საქართველოს ტურისტულ ფირმებს საქმაოდ კარგი ურთიერთობები პქონდათ დამყარებული უცხოეთის სხვადასხვა ტურისტულ სააგენტოებთან: შექმნილი იყო ერთობლივი საწარმოები. ამ, სწორედ ერთმა ასეთმა – ქართულ-ინგლისურმა ფირმამ სახელად „ჯეომს კუპს“ პრეზენტაცია მოაწყო თბილისში.

დაგეპატიუეს და ჩვენც – ვაჟა შებდაძემ, მე და ჩემმა კოლეგამ – ზეზვა ლულუნიშვილმა მივიღეთ ეს მიწვევა.

პრეზენტაცია თავისი პროგრამით მიმდინარეობდა, გამოდიოდნენ მასპინძლები – უცხოელები და ქართული მხარის წარმომადგენლები. განწყობილება – საქმიანი და ცხადია, საზეიმოც იყო, ანუ ისეთი, როგორიც ასეთ ღონისძიებებს ახასიათებთ საერთოდ.

ვაჟამ სიტყვა ითხოვა.

საქმაოდ ბევრი ილაპარაკა საქართველოში ტურიზმის წარმატებულ განვითარებაზე... გამოსვლის დასასრულს მასპინძლებს მიმართა:

– გადაეცით ჩემი მხურვალე სალამი თქვენს პრეზიდენტს ბატონ ჯეომს კუპს(!) – ო

ატყველა სიცილი, მე და ზეზვამ ერთმანეთს გადავხედეთ, თავს ძლივს ვიკავებთ.


ჯეომს კუკი — ცნობილი ინგლისელი ზღვაოსანი, მოგზაური, პირველი მკვლევარი, რომელმაც ანტარქტიკული წერვები ბი შეისწავლა. იგი მეთერამეტე საუკუნეში მოღვაწეობდა და მაც ტრაგიკულად დაიღუპა პავაის კუნძულზე 1779 წელს. ამ კაცისთვის მხურვალე სალამის გადაცემა სოხოვა ბრიტანელ პარტნიორებს ვაჟა შუბლაძემ.

იმ დღეს არა, მაგრამ მეორე დღეს ვაჟას ავუხსენით, როგორ უხერხულ სიტუაციაში ჩაიყენა თავი და მასთან ერთად ჩვენც.

— მართლაო?! — გაიკირვა, მერე რა მოხდაო — გაიღიმა, ხელი ჩაიქნა და პრობლემაც ამოწურულად ჩათვალა.

* * *

მიმღინარეობს მთავრობის სხდომა. სხდომას პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე უძღვება. ტრიბუნაზე ვაჟა შუბლაძე და დამსწრეთ ახსნებს, როგორ მკეთრად გაიშარდა საქართველოში ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა მისი მუშაობის პერიოდში. ისეთი ციფრები დაასახელა კველა გააოცა.

მისი სტატისტიკით — ვინც სახელმწიფო საზღვარი გადმოკვეთა, კველა ტურისტად არის მიწნეული და თითოეული მათგანი მინიმუმ 1000 აშშ დოლარის ტოვებს ქვეყანაში — (ბილეთი, სასტუმრო, კვება, სუვენირები, შიდა ტრანსპორტი და ა.შ.)... ძალიან რომ გაუტია და დარბაზიდან რეპლიკებიც გაისმა, ბატონმა ედუარდმა შეაჩერა — ვაჟა, მე ვატყობ, შენი სტატისტიკით მეც ტურისტი ვარ, თანაც ძალიან აქტიური, წელიწადში რამდენიმეჯერ მიხდება საქართველოს საზღვრის გადმოკვეთაო... დარბაზი კრისტენ ვამხიარულდა — კველაზე მეტად კი ვაჟა სარჩარებდა. ამ სიცილ-ხარხარში თავჩაქინდრულმა დატოვა ტრიბუნა...

* * *

— ურთხელ გაფამ თათბირზე მიმიწვია. იქ დამხვდნები ჰქონია გადასაცემის და ჩემი ფოფილი თანამშრომელი, ცნობილი არქიტექტორი გოგი ჩახავა. ვაუა გვეუბნება — ბატონ გოგის აქვს ძალაან კარგი წინადადება და ჩემი მხარდაჭერის შემთხვევაში ეს იდეა უთუოდ განხორციელდებაო, — და გვაჩვენებს კედელზე გაპრელ პატარა უურცელზე ნახაშის მაგვარ ფერად ნახატს — მთებზე მდგარ დიდი თანამედროვე შენობების კასკადს. ვუყურებთ, მაგრამ ვერაფერი გავიგვთ მე და ზეზვამ. ვაუა გვიხსნის — ეს მთები გადაჭიმულია ეს ტბიდან ფუნიკულიორამდე და ამ მთებზე უნდა გაშენდეს ლას-ვეგასი, ეი ეს იქნება თბილისის სუპერ-თანამედროვე ლას-ვეგასი მთელი თავისი ინფრასტრუქტურით, ხუთ და შეიძლება გარსეკვლავიანი სასტუმროებით, ფუშენებელური კაზინოებით, თეატრებით, კინო და საკონცერტო დარბაზებით, მაღალი კლასის რესტორნებით, სათამაშო და გასართობი კლუბებით და სპორტული მოედნებით, ბანკებით, ელიტარული მაღაზიებითა და სალონებით, ავტო სადგომებით და ა.შ. და ა.შ...

ვაუას და გოგის ვეკითხები, კი მაგრამ რა ჯდება ეს თქვენი ლას-ვეგასი და ვინ დააფინანსებს მის შენებლობას, ამ მთებზე ბავშვობაში უეხით მღივს დავდიოდით, არც მისას-ვლელი გზაა და არც სხვა კომუნიკაციები, თქვენ კი იქ გრანდიოზული სუპერ თანამედროვე ქალაქის აშენებთ?...

ვაუა მსასუბობს — თუ ჩეკ ამ პროექტს მხარს დაუუჭროთ და მიუმართავთ პრეზიდენტს, მისი ერთი მოწოდება იქნება საკმარისი უცხოელი მსხვილი ინვესტორებისადმი, რომ ეს პროექტი დააფინანსონო. მე და ზეზვამ გაოგნებულებმა გადავხდეთ ერთმანეთს — კი მაგრამ საკარაუდოდ, რა დაჯდება ამ პროექტის განხორციელებაო — იკითხა ზეზვამ და გოგის გადასხდა. გოგი დაფიქრდა და ვაუას მიაპყრო მზერა. ვაუამ

განვეოძმარტა — თუ პრეზიდენტი დავითანხმევთ, მერი გიორგი გარიშებთო...»

— სავარაუდოდ, რამდენიმე ასეული მიღიარდა მარტინ გარება იქნება საჭირო და ეინ ჩადებს ამ კოლოსალურ თანხას ამგვარ გაუგებრობაში, მითუმეტეს, ჩენთან... მაპატიეთ, მაგრამ ეს უსავნო ფანტაზის ნაყოფია, პრეზიდენტს უწყვეტი ელექტრო-ენერგიით მოსახლეობის უზრუნველყოფა ვერ მოუგვარებდა და ამხელა თანხებს როგორ მოიზიდავს-მეოქი.

კარგით, რახან თქვენ ასე პესიმისტურად განეწყვეთ — გადმოგვნედა ვაჟამ მე და ზეზვას — მაშინ მე და ბატონი გოგი მივხედავთ ამ საქმეს, ბოლომდე რომ მივიყვანთ, ჩვენს ლას-ვეგასში ცხეირსაც არ შეგაყოფინებთო. აი, ასე დაგვექადნა თუ დაგვემუქრა იყი...»

კურიოზები იმის კურიოზებია, რომ მისმა განსენებამ ცხოვრება ვაგინალისოს და დაუვიწყარ წარსულშიც დაგაბრუნოს. ვაჟაც ისეთივე ჩვეულებრივი მოკვდავია თავისი ღირსებებით და სუსტი მხარეებით, როგორც თითოეული ჩვენგანი. დარწმუნებული ვარ, ამ ცხოვრებისეულ დეტალებსაც იყი იუმორით გაიხსენებს და მისთვის ჩვეული მანერით გულიანად გადაინარჩარებს კიდეც.



მე და გონია ჩოგოვაძე პარიზში იუნისკოს კონფერენციაზე მივურინავთ. ის პოლიტიკური ინსტიტუტის რექტორია, მე კი მშენებლობის მინისტრის პირველი მოადგილე. ჩვენმა მეცნიერება ავთო ქორიძემ, რომელიც პარიზში ცხოვრიბდა და მუშაობდა, მთხოვა, გულის ყველი ჩაგვეტანა. ცალკე, შავ ჩანთაში მხოლოდ გულა მოვათავსე და „ზმიერი“ მჭიდროდ დავკატე, მის მძაფრ სუნს რომ არავინ შეეწუხებინა. მოსკოვში დაგვჭვდა საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომელი, ჩემი ძველი მეცნიერი ვანო კულულაშვილი – (ლევან თედიაშვილი მას „შავ ვანო“-ს ეძახდა) – გულისხმიერი, მოსკოვში დიდად დაფასებული და პატივცემული ადამიანი. ვნუკოვოდან წაგვიყანა შერემეტევოს აუროპორტში და VIP-დან მოგვიზერხა გამგზავრება. გავიარეთ რეგისტრაცია, საბაჟო შემოწმება, ბარგვ წონიან და მექიონიზებიან ამ შავ ჩანთაში რა დევსო? ვუპასუხე ყველა-მეთქა. გახსნა ითხოვეს, გახსნეს, ჩაიზედეს და იქიდან ისეთი „სურნელი“ იყნოსეს, რომ შეიჭმუხნენ, დაიძანწნენ, იყიდეს და ხველება აუტყდათ – «Ужас, что за деръмо, куда вы везете этот вонючий, испорченный сыр?». მე ჩანთა სასწრაფოდ დავკატე. ვანო მივიღა მათთან და როგორც მირძველმა კახელმა დინჯად, წყნარად აუხსნა ყველაფერი. დაშოშმინდნენ. გავფრინდით. პარიზში ბარგის მისაღებ ტრანსპორტიორთან დაგვხვდა ავთო ქორიძე. აქეთ გამოჩნდა მხარშე ჩანთაგადაკიდებული გამოჩენილი კინორეჟისორი გია დანელია. მოგვესალმა, გადაგვიცნა, მოგვიყითხა. დავინახე „მოდის“ ჩემი შავი ჩანთა, სანახევროდ ვიღაცას გაუხსნა და იქიდან ამომავალი „კზოტიკური“ სურნელიც გვიანდოვდება.

ავთოს ვეუბნები – მე იმ ჩანთას ხელს არ მოვკიდებ, როგორც გინდა ისე მიიტანე შენ მანქანამდე. გამიღიმა – «Омар, нет проблем, შენ ისე გამახარე ამ ჩანთით...»



გიასთან საუბარში, მიკოთხვა—მოკითხვაში ჩანთის აღება /
ავთომ ვერ მოასწრო და ჩანთა მეორე წრეზე „წავიდა წავდა ასე... ა
პატი ლრმად შეისუნთქა, ეშმაკური ღიმილით გაღმოვეცხადით...“ და
და — «Ребята, какой родной запах—где это?!» პარიზში ალ-
ვანის გუდის სუნი ტრიალებს, надо же!! Молодцы ребята,
молодцы!— глядя на меня, Татьяна, знала и знала —
больше ничего не надо — прекрасная идея- надо написать
сценарий и снять короткометражный фильм.» -თ დასძინა
მან...

სამოცდაათან წლებში, მოსკოვში, „კინოს სახლის“
რესტორანში ჩემს მოსკოველ ხელოვან მეგობრებთან ერთად
ვისხდით. გია მოგვიანებით შემოვეიროდა. მისი მოსვლით
ყველამ გაისარა, გია ზომ ყველას უყვარდა, მის ნიჭის და
თუმორს ყველა აფასებდა. ვსაუბრობდით უცხოეთში ჩვენ მოვ-
ზაურობებზე. გავიჩხენე პამბურგში სტრიპტიზზე და მებავთა
ჭერა — „რიპერაბაზზე“ ჩემი ინიციატივით საბჭოთა ჯგუფის
ხელმძღვანელთა წაყვანის ამბავი.

თავის მხრივ გადამ გაიხსენა კანის ფესტივალზე ფილმის
„დაედიერ მოსკოვის ქუჩებში“ საჩვენებლად წალება... საბ-
ჭოთა დელეგაციაში ერთი გოგოც გვყავდათ — მთავარი რო-
ლის შესრულებელი — გალინა პოლსკის. მასპინძლებს ვთხ-
ოვთ წავეკვანეთ სტრიპტიზზე...

წაგვიყვანეს.

თითოეულ გამოშველელ ლამაზმანს ყვავილს ვჩუქნი-
დი. შეშველი, გრძელფეხი, აკვართული ტუშების ფურებით
აღზნებულმა იძდენი ვისკი დავლიე, რომ აღარც კი მახსოვდა
სასტუმროს ნომერში ვინ მიმიყვანა. დილამდე, ჩაცმულს, კო-
სტუმით და ბაბოჩქით მემინა საწოლზე. დილით გალინას
მორთმეული ლუდით გამოვედი პახმელიდანო...

ეპლური სამორჩილის გაბარიში

„ბობოქარი“ ახალგაზრდობის ერთ ფაქტსაც გაკაშენება კურიოზების რიგიდან...

მოსკოვში მიღლინებით ჩასვლა ძალას წმინდად მიხდებოდა. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ყოფნა და რუს „მანდილოს-ნებოსან“ დროისტარების უნიკალური შესაძლებლობის გამოყენების დაზღვრისა საყოველთაო უპატიველ ცოდვად ითვლებოდა.

არც მე გახდედით ამ შესაძლებლობის ზელიდან გამშვები. თუმც „ამურულ“ ტალღებში თავდავიწყებით არასოდეს გადავ-შვებულვარ და როგორც წესი, ყოველთვის თავს ვიცავდი არსებული ყველაზე ეფექტური საშუალებით.

მაშინდელ ამ ჩენის დატაკ აფთიაქებში ძნელად თუ იშ-ოვნიდა კაცი ნორმალურ პრეზერვატივს... აი საკავშირო დე-პეშათა სააგენტოს TACC-ის შენობის პირველ სართულზე, პატარა აფთიაქებში კი ყოველთვის იყიდებოდა „დამცავი“ საშუ-ალებები, თანაც — იმპორტული.

ჩემი სასამსახურო მოწმობით დაუბრკოლებლად შევდიოდი ნებისმიერ საკავშირო დაწესებულებაში, მათ შორის მინის-ტრთა საბჭოშიც და ცენტრალურ კომიტეტშიც.

„ტასის“ შენობაში გამიჭირდებოდა განა შესვლა? არა, რა თქმა უნდა. ვაჩერებები ხოლმე ჩემს მოწმობას მწვანექუდიან გუშაგებს და ისინიც დიდის მოწინებით მიშვებდნენ შიგ. მა-გრამ, ალბათ უკიირდათ ის, რომ ეს ხოლიდური ახალგაზრდა კაცი კერძით, პირველი სართულის ზემოთ არასოდეს ავდიო-დი და ჩემი ვიზიტი იქვე, პირველ სართულზე აფთიაქთან მთავრდებოდა.

კუთხულობდი პრეზერვატივებს არა ცალობით, არამედ „ბითუმად“ და ისეთ ადგილზე ვინახავდი, ჩემი ცოლი შექმნე-ვევით რომ არ წასწყდომოდა...

ერთხელ, მოსკოვში ყოფნისას, ამგვარად „შეიარაღებული“ წავედი „ლარისა ივანოვნასთან“ პაემანზე... მაგრამ სწორედ



იმ ერთხელ წასელისას მიმტკუნა „პრევენციის“ უცხოურმა საშუალებამ... და განა მხოლოდ ერთმა, ყველამ. ერთობლივად და დასაც ყველამ!

მაღვე გაირკვა ნამდვილი მიზეზი და ის ჩემს მიერ სიფხი-ზლის მოღუნების სავალალო შედეგი გამოდგა მხოლოდ...

ჩემს მეუღლეს აღმოჩენია თურმე ეს პრეზერვატივები და შეფუთულივე სათითაოდ ყველა ნემსით დაუხვრეტია... და ისევ ჩემ სამალავში მიუბრუნებია...

ჩემი ქალბატონი ბელა იუმორის იშვიათი ნიჭით გახლავთ დაჯილდოვებული და მისი ეს ნამოქმედარი, სწორედ რომ ამ ნიჭის დემონსტრირება იყო უთურდ...

მე რომ მკითხოთ, ეს იმ იშვიათი ქალური მაღალი სათ-ნოების და სიბრძნის გამოვლენაცაა, რომელმაც ჩემს ახალ-გაზრდულ ცდუნებებს კუდი არ გამოაძა და იგი ოვახურ ტრაგედიად არ აქცია... როცა ამ ამბავს ვუყვები ბოლმე ჩვენს სტუმარ-შეგობრებს, სხვებზე მეტად სწორედ ბელა იცინის და გულწრფელად წალისობს.

განა არის ეს ყოველივე მისი ანგელოზური ბუნების კადევ ერთი ნიშანი?... ჩემი მისდამი თაყვანისცემის კადევ ერთი ძვირფასი არგუმენტი და ქალური სათნოების დიდი მაგალითი?...



თენდებოდა 1952 წელი, მაშინ მე ოთხი წლის ვიზუალურ, ჩემის მიერ მასა — თორმეტის. ახლაც კინოფილმის კადრებიცით ვაიძნები ჩემს მეხსიერებაში ბავშვის თვალით დანახული იმ დღეთა შემაძრწუნებელი და შემისმომგერელი სურათები — ასე იწყებს თავისი ფანტასმაგირიული წარსულის თხრობას ჩემი მეუღლე — ბელა ლოლაძე...

მახსოვეს, როგორ მოგვიტანა მამამ დიდი ნაძვისხე, მაგრამ მისი მორთვა ვერ მოვასწარით, რადგან მეც და მამაც ანგინით გავხდით ავად და მაღალი სიცხით ჩავწეტით. იმ ღამეს დედა გვიანობამდე საახალწლო სამზადისში იყო. შუალამისას, დაახლოებით 2 საათზე კარზე კაცუნის ხმა გაისმა. დედა კარის გასაღებად გაეშურა და გააღო თუ არა, რთახში რთხი ავტომატმომარჯვებული სამხედრო პირი შემოიჭრა. სინათლე ანიტეს და გვიძრდანეს:

— სასწრაფოდ ყველანი ადექტით და ბარვი ჩაალაგეთ! სწრაფად გამოგვევით! ყვირილი არ ატეხოთ და, საერთოდ, ხმა არ ამოიღოთო!

გაფითრებული დედა სკამზე მოწყვეტით დაეშვა, ცდილობდა რაღაც ექითხა, ხმა არ ემორჩილებოდა და სიტყვის წარმოთქმას ვერ ახერხებდა. მასა გაოგნებული წამოიჭრა ფეხზე და იკითხა:

— როგორ? ბავშვებიც?

— დიახ! — გამყინავი ხმით დასჭერა სამხედროს.

ჩემი შშობლები პედაგოგები იყვნენ, გამოელილი პეტონდათ 37 წლის ტრაგიკული დღეები, როცა ყველანი დასახვრეტად იყვნენ განწირულები. იმ დროს ეს არავის უკვირდა...

მამამ იკითხა:

— კი მაგრამ რატომ?

— იმიტომ, რომ თბის დროს ტყვედ ჩაუვარდით გერმანელებს.



— ეს ხომ ქერჩიში მოხდა?! მაშინ მოელი ბატაღლიანი ჩაიგდეს ტყვედ გერმანელებმა, — აღმოხდა მამას. მომავალი კუელაფერს იქ გავარკვევთ, — შეუძრინა სამხედროებას.

— კუელაფერს იქ გავარკვევთ, — შეუძრინა სამხედროებას. მაგრამ საჯ იყო ეს „იქ“, არ დაუკონკრიტებია.

— არაუერსაც არ ჩავალაგებთ და არც კვირილისა და ხმაურს ავტეხთ მეზობლების შესაყიდლად, ეგ ავტომატები კი დაუშეით, ბავშვებისკენ ნუ გაჭერ მიშვერილი, — მქაცრად შეუ- ძახა მამამ.

მეორე სამხედრო, რომელსაც შედარებით ინტელიგენტური იქნი დაპრინავდა დედასთან მიერთა და მშეოდად სიხოვა:

— ქალბატონო, მე დაგეხმარებით ჩალაგებაში, წინ დიდი გზა გვლით, ბავშვები კი ჰატარები გყავთ. დამიჯერეთ, გზაშიც და იქაც, აუცილებელი ნივთები დაგჭირდებათ, — და თვითონ შეუდგა ჩალაგებას, დედა არ განძრეულა.

უხმაუროდ დავტოვეთ სახლი. შეგვაურეს საბარეთ ავ- ტომანქანის ძარაზე და მიგვიყვანეს მაშინდელ ნაკთლურის სადგურში. იქ უამრავი, ჩეუნსავით აწიოკებული ოჯახი დაგვხ- ვდა, რომელებსაც საბარეთ ვაგონებში ერეკებოდნენ ჯარისკაცე- ბი. ისმოდა მოსქმა და გოდება. ვაგონი, სადაც ჩეუნ ავედით, ხალხით იყო გადაუსხებული, სუნთქვა ჭირდა. აღმოჩნდა, რომ მე მათ შორის ყველაზე ჰატარა ვიყავი.

— ეს ბავშვი რიღასთვის?! — სახოწიანკვეთით ამოიგმინა ერთმა მოხუცმა ჭაღარა ქალბატონმა, რომელიც როგორც შემდეგ გაირკვა, შერა კალატოზიმეილი იყო და ისიც იმი- ტომ გადასახლეს, რომ მისი ვაჟი საფრანგეთში ცხოვრიოდა. დეიდა შერა, ასე ვეძახდით შემდგომში მას, ძალიან დაგვიახ- ლოვდა და მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც გადასახლე- ბაში ვიყავით, გვერდიდან არ მოგვიღებია.

ჰატარებელი დაიძრა, ვაგონში მღუმარება სუფევდა. გაეცდით საქართველოს საზღვრებს და დაიწყო თოვლიანი სტეპები, სრულ გაურკვევლობაში მყოფი ხალხი გაოგნებული

იყო თავსდატენილი უბედურებით და აღარავის ახსოვდა, რომ
თენდებოდა ახალი, 1952 წელი.

გადიოდა დღეები, კვირეები, საქონლის გადასაცავან სამი-
ნელ ვაკონებში აუტანელ პირობებში გრძელდებოდა ჩენი
მცხავრობა. ამიტომ ბევრი გზაშივე ავად გახდა და, სამწე-
აროდ, გარდაიცვალა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ხალხით გაჭედილი ორი
ეშელონი თბილისიდან შორიულ ფაზას ხეთში გადასახლეს.

სადგურებში კი, სადაც მატარებელი იშვიათად ჩერზე-
ბოდა, სამხედროებს ვაგონებში ამოპქონდათ თითო სათლი
წყალწყალა სუფი, რომელიც ყველას უნდა ჰყოფნდა.

ასე გავიდა 24 დღე, ბოლოს მატარებელი უკაცრიელ
სტეპში გაჩერდა. გვიბრძანეს გადმოხსელა. გაირკვა, რომ ეს
ყიზილ-უმის უდაბნო ოფი. ყინავდა, უკუნი სიბნელე იდგა,
შორიახლო მხოლოდ რამდენიმე მიწური შევნიშნეთ. ბაღრავმა
იმ მიწურებისექნ მიგვითითა...

უცრად მოგვესმა დეიდა შურას განწირული ხმა:

— თამარ! — ეძახდა დედაჩემს, — არ ჩამოიყვანო ბავშვები,
აქ მეგლეკაცები არიან, არ ჩამოიყვანო!

როგორც შემდევ გაირკვა, მიწურები ეკუთვნოდათ სტალინის
ბრძანებით გადასახლებულ ბერძნებს, რომლებიც არაადა-
მიანურ პირობებში ცხოვრობდნენ და სიღებჭირისა და სიბ-
ინტერისგან ადამიანის სახე ჰქონდათ დაკარგული... სწორედ
მათი შეეშინდა დეიდა შურას, იფიქრა, რომ მე, პატარა ბავშვი,
დამაუროთხობდა მათი დანახვა.

ძალით შეგვყარეს მიწურებში, ბერძნებს ჩენი მისვლა
მაინცდამაინც არ გახარებიათ. გრძნობდნენ, რომ მათ ისედაც
გაუსაძლის კოფას ჩენი მისვლა კიდევ უფრო დაამძიმებდა.
მკაფიოდ მახსოვეს, როგორ ვყავდი მამას ხელში აყვანილი
და ჩემი დაბლა ჩამოსმა ვერ გადაეწყვიტა, რადგან ირგვლივ
ვირთხები დარბოდნენ და როგორც გაგვაფრთხილეს, გველებიც



მრავლად იყენებ, ამიტომაც ფხიზლად უნდა კუროვილიყვავთ, რძიანი თასი უნდა დაგვედგა, რათა უხსესებელი ადამიანის კრისისა და მიპკარიებოდა.

30 კილომეტრს იქმო წასვლა გვეპრძალებოდა, მაგრამ ქართველმა მამაკაცებმა მოახერხეს სამხედროებისთვის გამოეთხოვათ საშეი და სახლების ასაშენებლად ჩამოეტანათ საშენი მასალა და ფიცრები.

ბავშვისათვის უცხო და უჩეულო გარემოში მიწევდა ცხოვრება. უამრავი აქლემი, უდაბნოს ცისფერი საქსაული, რომელიც ძლიერი ქარის დაბერვაზე ზღვის ტალღებიცით იწყეოდა, მომთაბარე ყაზახები განუყრელი იურტებით, რომლებსაც ერთ ღამეში გაშლიდნენ და დილით ყაზახთა დიდი სოფელი გვეცდებოდა. შემდეგ ასევე უეცრად აიყრებოდნენ და უდაბნოში უჩინარდებოდნენ. ისინი დიდი ინტერესით გვათვალისწინებდნენ და ჩევნდამი კეთილგანწყობას იჩინდნენ. განსაკუთრებით ბავშვებს გვანებიერებდნენ, გვიმასპინძლდებოდნენ ნაირ-ნაირი წუგბარითა და „ბეშმარმაკით“.

სწავლა არსაიდან ჩანდა. ყიზილ-ყუმის ადმინისტრაციის უფროსმა ქართველებს სამუდაბო გადასახლებაზე მოაწერინა ხელი. ბევრი ოჯახი უიმედობაშ და სასოწარკეთაშ მოიცვა. მოუხედავად ამისა, დედა სულით არ დაცემულა, ყველას ამხნევებდა, ამბობდა, რომ ღმერთი არ მიგვატოვებდა, რადგან უდანაშაულონი ვიყავით.

დედას სამედიცინო განათლება ჰქონდა მიღებული და შეკვეთრად შეეძლო ციბბირის წყლულის განკურნება. ყაზას მომთაბარეებში კი ეს დაავადება ძალზე გავრცელებული იყო. დედა უსასყიდლოდ და უანგაროდ ენმარტოდა ყველას. ენმარტოდა ორსულებსაც – მრავალი ქალი ამშობიარა და სიკედილს გადაარჩინა. ამიტომ იყო, რომ აღვილობრიცები დიდ პატივს სცემდნენ და ჩევნი ოჯახისადმი განსაკუთრებულ ჭრადღებას და გულისხმიერებას იჩინდნენ.



ჩემი ძმა სკოლაში 12 კილომეტრის სიშორეზე დაფიცირდა... ზამთარში კი უდაბნოში 40 გრადუსამდება ყინვა... სიცალის გადასამართებლად მანძილზე ყოველდღე სიარული. გაცივდა, ორივე ჭურის ანთება დაემართა მძიმე ფორმებში. ექიმი და წამალი კი არსად იყო, ამიტომ დაკარგა სმენა და სამუდამოდ დაინვალიდდა.

ასე გაილია წელიწადი და ხეთი თვე. რაიონული აღმინისტრაციის წარმომადგენელმა გადაწყვიტა ქართველთა კოლმეურნებაში გაწევრიანება. ახლაც მიკვირის, როგორი შეუპოვრობით გაავდეს ის კაცი სოფელიდან. ამ ვიცი როგორ მოახერხეს, მაგრამ არც ერთი ქართველი არ შესულა კოლექტივში.

მაისის ერთ დღილას ქართველთა სოფელში უწეველო ჩოჩქოლი ატყდა, ზოგი სიხარულისაგან ცეცვავდა, ზოგი ხმამაღლა ძლიერდა, ზოგიერთი კი ვერც კი იჯერებდა სტალინის გარდაცვალების ცნობას...

„ახლა კი გვეშველება, — იძანდა სასოწარკვეთილი ხალხი, — დავბრუნდებით მონატრებულ სამშობლოშიო“.

მართლაც, 5 მაისს დაიწერა ჩენი გათავისუფლების ბრძანება, 15 მაისს კი პირადად გადმოგვცეს იგი... მოვდიოდით ნაწილ-ნაწილ, ოთხი-ხუთი ოჯახი და იქ დარჩენილებს ცრემლითა და სინანულით ვემშეიღობებოდით. ეტაპობრივად ყველა გაათავისუფლეს.

ჩამოვედით საქართველოში — სამშობლოში, რომელიც მე თითქმის აღარ მახსოვედა. ჩემმა მშობლებმა, რომელთა საცხოვრებელი სახლი და ქონება მთლიანად კონფისკებული იყო, ცხოვრება თავიდან დაიწყეს.

ამ ტრაგიკულ ისტორიაში ყველაზე საოცარი ის არის, რომ მაშინდელი საბჭოთა კაეშირის 16 რესპუბლიკიდან, მხოლოდ საქართველოდან — სტალინისა და ბერიას სამშობლიდან გაასახლეს მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა ტყველისაში მყოფი სამხედრო პირებიცა და მათი ოჯახებიც —



ეს აბსოლუტურად უდანაშაულო აღამიანები - მეუღლეები, მოხუცი მშობლები, პატარა ბავშვები... გრიგორი გოგია

ამ უსამართლობას, რომელმაც სრულიად უდანაშაულო აღამიანები აყარა მშობელი მიწიდან და საფლაც შორს, უდაბნოში გადახვეწა, უმატებოდა ადგილობრივ ხელისუფალთა ცხოველური სისახტიკე, რაც კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა მათ გამწარებულ ყოფას...

მხოლოდ ერთი, ჩხატარაიშვილების ოჯახის მაგალითია ამის თვალსაჩინო იღესტრაცია...

როგორც ვთქვი, ეს გადასახლება გერმანიაში ტყვედ ნამყოფებსა და მათი ოჯახის წევრებს შეეხო. სრულიად გაუგებარია, რაში მოუძღვდათ ბრალი ოჯახის წევრებს?!

მაგრამ აი, ნიკოლოზ (კოკოშა) ჩხატარაიშვილი, რომელიც ჯარში არ გაუწვევიათ, ფრონტზე არ ყოფილა და მაშასადამე, ტყვედაც ვერავინ ჩაიგდებდა, მისი ოჯახი - მეუღლე და ორი მცირებულებანი შვილი, გადასახლეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ძმა - დავითი ტყვედნაშეოფი იყო, ომის დამთავრების შემდეგ ამერიკაში წავიდა საცხოვრებლად. თვითონ კოკოშა კი შემთხვევით გადაურჩა გადასახლებას იმის გამო, რომ იმ აებედით დამეს სახლში არ იყო, ერევანში გახლდათ მივღინებით.

საოცრება ის არის, რომ კოკოშა გადასახლებაში მყოფ ცოლ-შეილთან ჩადიოდა პერიოდულად, ცხოვრობდა მათთან, ბრუნდებოდა თბილისში და არავინ ხმას არ სცემდა, ორგანოებიდან არავინ არ ინტერესდებოდა მისი პერსონით.

გადასახლება, როგორც იმ დროის სხვა მასობრივი ღონისძიებები, კამპანიურ ხასიათს ატარებდა, „ქამპანეიშინის“ და „შტურმოვშინის“ სახელით იყო იგი ცნობილი: ვინც ამ საბედისწერო ტალღას გადაურჩებოდა, მისთვის შემდეგ უკვე აღარავის ეცალა.

ხომ სრული აბსურდია, რომ გადასახლებამ შეიძლება ვინმე გაახაროს?

მაგრამ სწორედ ასეთი პარადოქსებიც ხდებოდა იმ
დროს...

როგორც წესი, ოფიციალური ორგანოები უცხოეთმა
მცხოვრები ყოფილი ტყვეების შესახებ ოჯახებს არაფურს
ატყობინებდნენ. უკეთეს შემთხვევაში, ისინი უგზოუკვლოდ
დაკარგულებად ითვლებოდნენ.

აქედან გამომდინარე, გასაგები უნდა იყოს დედის სიხ-
არული, როცა შეიტყო რომ შვილი ცოცხალი პყოლია...

გივი გაბლიანის ჩვენთან ერთად გადასახლებაში მყოფი
დედაც, მოუწედავად აუტანელი პირობებისა, ამბობდა, რომ იყო
ბევზიერი, რადგან გაიგო რომ ერთადერთი შვილი ცოცხალი
პყავდა...

გადასახლებიდან დაბრუნების იმედს დედები არ კარგავდ-
ნენ.

მადლობა ღმერთს, რომ ბევრისთვის ასეც მოხდა.

ერთი რამ არის სრულიად აუსწენელი და გაუგებარი, რა-
ტომ დაატეხეს თავს ამგვარი რეპრესიები საბჭოთა კავშირში
შეძავალი თექვესმეტი რესპუბლიკიდან მხოლოდ საქართველოს
და ქართველებს! – აյ მთავრდება ტრაგიკული ემოციებით
აღბეჭდილი ჩემი მეუღლის გარდასულ უმბიძეს წელთა მოვ-
ონებანი...

ამაწლის 25 ივნისს დილით, აღმფოთებული მირეკავს იგი
სამსახურში:

– გაიგე, რა მოხდა? ტელევიზით ეს-ესაა გადმოსცეს,
რომ წუხელ, შუალამეს გორის ცენტრალური მოედნიდან აი-
ღეს სტალინის ძეგლი. ზალჩი, გორელები აღმფოთებულები
არიან. გაძლიერებული სპეცრაზმები იცავენ თურმე ქალაქის
ცენტრს, არავის ახლოს არ აკარებენ! ეს რა უბედურებაო!

– შენ ზომ იცი, – მეუბნება იგი, – სტალინმა მე და ჩემს
ოჯახს რა უბედურება დაგვატეხა თავს. ვანა შეიძლება, რომ
მე და ბევრი ჩემნაირი პატივს სცემდეს მას, მით უურო – გვი-
ყვარდეს იგი?... მაგრამ ისიც ზომ ჰეშმარიტებაა, რომ სტალი-



ნი კაცობრითის ისტორიაში დამკეთლება როგორც ჰუმანიტარული პოლიტიკოსი, დიპლომატი, მხედართმთავარი, ურთულესი და მართველი უდიდესი ქვეყნის ლიდერი, რომელმაც კაცობრითისა ისსნა ფა-შიზმისგან. სირცხვილი ჩვენ – ქართველებს!

როგორც შეძებლო შეკეცადე დამემშვიდებინა აღელვებ-ული მეუღლე ვუთხარი: – მალე დადგება ის დრო, როცა სტალინის ძეგლს უკან დააბრუნებენ – მეოქი...

წოლო იმ უსახურ სევეტს, რომელიც გმირთა მოედანზე ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ხს-ოვნის პატივსაცემად აღმართეს – მოაშორებენ.

ამის იმედი კი ნამდვილად მაქვს.

ნები რჯახი



დღეს ბევრს ლაპარაკობენ და წერენ ბიზნესმენებისადმი
ხელისუფლების დამოკიდებულებაზე – უკლის შეწერვაზე,
წილში ჩავდომაზე. სამართლიანობა მოითხოვს ვთქვა, რომ
ჩვენს ბიზნესს მსგავსი არაფერი შეხებდა. ხელისუფლებასთან
ურთიერთობა საქმიანი თანამშრომლობის ფარგლებს არასოდეს
გასცილებია.

რა თქმა უნდა, ქვეყანაში მიმდინარე პროცესები „თბილ-
ღვინოსაც“ შეეხო. მაგალითად, რუსეთის ცნობილმა ემბარ-
გომ მძიმე მდგომარეობაში ჩაგვადო, სერიოზულად გვაზარა-
ლა, რადგან ჩვენი წარმოებული პროდუქციის 51 პროცენტი
სწორედ ამ ქვეყანაში იყიდებოდა.

მაგრამ მსოფლიო ბაზრებზე არსებული კონიუნქტურის
შესწავლის, ანალიზისა და ხელისუფლების აქტიური ხელშეწ-
ყობით ყოველწლიურ საერთაშორისო გამოფენა-კონკურსებში
მონაწილეობის შედეგად, რომლებიც იმართება ლონდონში,
ბრიტანელში, დოუსელდორფში, სინგაპურში, ტორონტოში და
სხვაგან, შევძელით ქართული ღვინის გაერცელების არეალის
საგრძნობლად გაფართოება. რუსეთის ბაზარს ჩავანაცვლეთ
სხვა ქვეყნების ბაზრები და რუსეთის გარღვევა ორ წელი-
წადში გადაფარეთ... უკვე 5 წელიწადია, რაც საფრანგეთში
მხოლოდ „თბილღვინო“ ყიდის თავის პროდუქციას. 2009
და 2010 წლის შედეგებით, საქართველოში ღვინის მწარმო-
ებელ 127 კომპანიებს შორის ჩვენ პირველ ადგილზე გავედით
პროდუქციის ექსპორტით.

ექსპერტთა შეფასებით, Golden Brand 2010-ის გამარჯვე-
ბულად ქართული ღვინის კომპანიებს შორის საუკეთესო კომ-
პანიად, „თბილღვინო“ აღმარეს. აღსანიშნავია, მიღწეული წარ-
მატებების გამო „თბილღვინო“ Golden Brand 2006 და Golden
Brand 2009 ჯილდოს მფლობელიცა.

ეს მოლიანად ჩემი შეიღების – ზურაბისა და გიორგის



დაუკალავი შრომის შედეგია.

ბენზინი კაცი ვარ უპირველეს ყოვლისა იმერთულებრივი განათლებული, საქმიანი, თანამედროვედ მოაზროვნე შეიღები მყავს, რაც ძირითადად აღბათ მაინც ჩემი მეუღლის დამსახურებაა. მან მთელი თავისი ცოდნა და ენერგია არ დაზოგა იმისთვის, რომ აღეზარდა ისინი მატულიშეიღებად, იზრუნა მიეცა მათვის კარგი განათლება, ესწავლებინა ადამიანების სიციარული და დაფასება.

ჩემ შეიღებს არაჩეულებრივი სამეცნიერო ჰყავთ. განათლებული, საქმიანი, კარგი მეოჯახები და სამშობლოს მოყვარული. მსამარცვებს, მიყვარს და მიხარია მათთან ყოფნა და მათ წრეში ტრიალი.

ბელამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგის ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა, მას დიდი შანსი ჰქონდა გაეკრძელებინა სწავლა ასპირანტურაში, მაგრამ შეიღების აღზრდა-განათლება ამჯობინა.

მათი საქართველოს ჭეშმარიტ მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი ითამაშა ჩენება რეალურმა გარემომ, ჩემი და ჩემი მეუღლის ურთიერთობამ, პრობლემებისადმი ჩენება სამართლასამა მიღეომამ, ჭირთათმენამ, ოპტიმიზმა და სიკეთისკენ სწრაფვამ.

არაჩეულებრივი შეიღლიშეიღები გვყავს – ქეთევანი, აღექანდრე, ანი და ნატალი, რომლებიც ჩენი რეალურის ტრადიციისამებრ გამოიჩინებიან სიბეჭითით, უყვართ წიგნი. შესანიშნავად ფლობენ კომპიუტერს. იტაცებთ გალაკტიონის, ტიციანის, გოგლას, ანას, მუხრანის, მურმანის, ლადო ასათიანის პოეზია. პატარ-პატარა ნოველებსაც წერენ. უფროისი შეიღლიშეიღლი პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში სწავლობს.

ერთხელ ჩემმა მეუღლემ სარეცხის მანქანაში, შეცდომით, ლონდონში ნაყიდი მშვენიერი შაკეტი გარეცხა... იქიდან კი



გამოიღო საოცრად დაპატარავებული... ჩენი ტყუპი შეიღიძ
ვიღები გვესტუმრნენ და ბელამ ერთ-ერთს – ანის ჩატვრებულები
ზაკეტი. ბებო ასე რატომ დაპატარავდა შენი ზაკეტი შედაინიშვნებოდა
ტერესდა ანი...

გავრეცხე და დაპატარავდა, აი შენ კი კარგად გაქვს,
გიხდება და შენი იყოსო – მიუგო ბელამ... გახარებულმა
ცოტა ხანი წაითამაშა ნატალისთან, მერე მიირბინა ბებიასთან
და უუბნება – ბებო, შენ რომ დიდი ლამაზი საყურეები გაქვს,
რომ დაგიპატარავდება ხომ მაჩუქებო?...

გულით მინდა ამ ანგელოზთა სააშო ჟღურტულის ხმა
აღებეჭდოს ჩემს მეხსიერებასა და ამ წიგნის ფურცლებს... რა
არის მათი ბაბუისოფვის, მათზე ტკბილი და სანეტარო?...

გულწრფელად ვაღიარებ, რომ ბეღნიერი კაცი ვარ, და
რომ ამ ადამიანური ბეღნიერების საფუძველთ-საფუძველი ჩემი
მეუღლეა – ჩემი ყველაზე საუკუთესო და ერთგული მეგობარი,
რომელთანაც ორმოცწლიანი თანაცხოვრების დიდი სიყვარუ-
ლი მაკავშირებს.

ვფიქრობ, რომ მომავალშიც სწორედ ამ ცოლ-ქმრული
სიკარულით ფენილი წლები გამიაღეილებენ სიბერის სუსხ-
თან შეგუებისა თუ დაძლევის მტკიცნეულ „პროცესს“...

ვერ კი ჩემში ოდნავ „დაღლილი“ მზით განათებული შე-
მოდგომის ფაზი სულევს და ასე მგონია, კიდევ შორსაა დათვე-
ლილ „მწვერვალებაძე“, ანუ სიცოცხლის სრულ დაზამთრე-
ბაძდე...

ცხრილების აღმდეგადი ზოქნები

- საქართველოს პროეინციალიზმის სამწუხარო შეტანება ზები მოედო: ის მკეთრდება პოლიტიკაში, მასშიაბაში, ხელოვნებაში, მწერლობაში, ურთიერთობებში. საბედისწეროა მისი გამძინვარებული მოქმედების არალი...
- დღვენდელ საქართველოში ამინისტრობა და ამპარტაციობა ცხოვრების წესად იქცა, თავმდაბლობა და მოქრძალება კი უსახურობის ნიშანად.
- თუ ხელისუფლებას ხურს, დაიბრუნოს აფხაზეთი და ოსეთი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოში მცხოვრებ მოქალაქებს უნდა, შეუქმნას შრომისა და ყოფის ნორმალური პირობები. ეს იქნება ყველაზე ძლიერი ფაქტორი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ოსებისა და აფხაზების ერთიან და ძლიერ საქართველოსკენ შემოსაბრუნებლად.
- სახელმწიფოს უპირველესი დანიშნულება ხალხის სოციალური დაცვაა. თუ ბალწი დაუცველია, სახელმწიფოს არსებობა ნონსენსია...
- ჩვენნაირი აღვირასინილი დემოკრატია თვითონვე ასამარებს დემოკრატიას, რადგან ის უგულვებელყოფს ჭანონის უზენაესობას.
- როდესაც დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების მოტივით იწყება ლიდერის შეურაცხყოფა და დამცირება, იმ ლიდერის საქმე წასულია – ის უნდა გადადგეს. წინააღმდეგ შემთხვევაში გადააყენებენ...
- სამწუხაროდ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით არ განიხილავენ; საზოგადოებრივი აზრიც უგულვებელყოფილია; გადაწყვეტილებებს უმაღლეს ხელისუფალთა პირადი ინტერესების საფუძველზე იღებენ. საკითხებისადმი ამგეარი მიღვომა ქვეყნისთვის დამღუპველია.



- ხალხი პატივს სცემს ძლიერ, გონიერ და კეთილდინი დღისები ღიაღერს.
- პოლიტიკა მხოლოდ ქვეყნის ინტერესებით უწდო უმატებელი ისაზღვროს...
- ჩვენ, ქართველები, ელემენტარულ კროვნულ პასუხისმგებლობას ვართ მოკლებული...
- ქართველი ბუნებით აღმშენებელია, ხალისიანი და ლადა, მაგრამ, ამავე დროს, „დარღიმანდიც“ (ამბობენ, უდარღილობამ გადაგვარჩინაო, — მე არ ვეთანხმები).
- შეცდომის დაშვების შეშრა უმოქმედობა არ უნდა გამოიწვიოს.
- მთავარია ეძიო და ღირსეულად იარო საკუთარი გზით
- სწავლით, შრომით, კეთილსინდისიერად და კეთილგონიურულად.
- განა ყველა მიისწოდეთის საზოგადოებისთვის საჭირო და ღირსეულ ადამიანად ყოფნისაქნ?
- არიან ადამიანები, რომლებიც რატომდაც სხვებისგან მუდმივად მოითხოვენ ყურადღებასა და დახმარებას. თეიოონ კი?..
- ადამიანთა ურთიერთობა ძალზე იშვიათადაა უანგარო.
- თუ ადამიანი თავის შეცდომას, ან დანაშაულს გულწრფელად ინანიებს, უნდა შეუნდო...
- ვინც თავის ნამოქმედარში მხოლოდ დადებითს ხედავს, ფსიქიკურად გაუწონასწორებელი და მარგინალია.
- ადამიანს ინტუიცია მით უურო უკითარდება, რაც უურო მაღალი ინტელექტი აქვს და მოვლენების ზუსტი ანალიზის უნარი შესწევს.
- კულტურულ და განათლებულ ადამიანებთან ურთიერთობა დიდი ბედნიერებაა.
- დასაფასებელია, ვინც თავისი შრომითა და გონიერი შექმნის ღოვლათს და არა ის, ვინც ქონებას კორუფციის გაუკუდმართებული გზით მოიხევჭს.



- ბედნიერია ის, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზეა დამტკიც-
ილებული.
- ადამიანი საკუთარ ბედს თვითონვე უნდა ჰქონდეს.
- ნიჭიერსა და ღამიაზ ადამიანს ბევრი მტერი ჰყავს.
- საყვარელ ადამიანს მრავალ შეცდომას ვაპატიებ.
კველაფერს – არა. განსაკუთრებით – ღალატსა და უმა-
დურობას.
- მაღლიერების შეგრძნება ადამიანის კველაზე დიდი
ღირსებაა.
- ადამიანმა არა მხოლოდ არ უნდა ჩაიღინოს უკეთური
საქციელი, არც უნდა გაიფიქროს. ამას ღვთის სიყვარული
შეაძლებინებს.
- ადამიანს, რომელსაც ხეაღინდელი დღის არ ეშინია –
სხვისი არ შერს, პირიქით, უხარის სხვისი წარმატება.
- ნურაეინ დაიკვებნის: შეცდომა არ დამიშეა, არ შევმუ-
დარეარ კაცის ამოცნობაშიო.
- საკუთარი თავის დამნაშავედ ცნობა წერილმან შემთხ-
ვევაშიც კი არავის სიამოენებს.
- პატიება მხოლოდ ძლიერი პიროვნების ბუნებაა...
- სამწუხაროდ ადამიანს პიროვნება სიამოვნებს და სიმ-
პათია უჩნდება მაქტების მიმართ.
- მაღალი თანამდებობის პირი, ანგარებისა და მღიქენელო-
ბის ისე ძლიერი შეტევის ობიექტი ხდება, ძნელია რეალობის
აღქმა არ გაუჭირდეს.
- ადამიანს გადაჭარბებული ქებაც კი ბეზრდება.
- მთელი რიგი მოვლენების წინაშე ადამიანი უსუსურია.
- კველანი ცოდვილები ვართ.
- მწამს, რომ ადამიანი ცოდვებისგანაც ავაღდება.
- ყოველ ადამიანს აქვს თავისი გაუმნელელი საიდუმლო.
- ადამიანი საკუთარი თავის კველაზე კარგი მქურნალი-
ცაა და ამავე დროს, – „ჯალათიც“.



- ვფიქრობ, მთელი ჩემი ძალისხმევა ღვთის სიყვარულს მიუუძღვნი... გავხდი კი ამის გამო ჰეშმარიტად ექლექტიზმი სამწუხაროდ, შორს ვარ სრულყოფილი რწმენისგან.
- ქრისტიანობა რელიგიური ექლექტიზმათა გვირგვინია.
- სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ისტორიის ამ ურთელეს ეტაპზე საქართველოსა და ქართველი ერის გადარჩნის ერთადერთი იქნება.
- ვისაც სხეისი ბედნიერებით ტებობა არ შეუძლია, საბრალოა.
- უმიზნოდ ცხოვრება უაშრობაა.
- დიდი მოღვაწის პირადი ცხოვრება მუდამ ყურადღების ცენტრშია.
- ღირსეული ადამიანები თავიანთი განელილი ცხოვრებით ჩაგვაფიქრებენ, გვასწავლიან, გვეხმარებიან.
- ცხოვრების არსი ღირსებაშია.
- ვისაც ფიქრის დრო აქვს, ბედნიერია.
- სიყვარულისა და სახელის მოხვეჭა ყველაზე ძნელია ამქეყნად.
- მდიდრისა და ღარიბის ფსიქოლოგია ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდება.
- ქართველები გაჭირვებაში ყველაზე მეტად შეძლებულ ოჯახებს თანაუგრძნობენ.
- ტრაგედიაა, როცა გარყვნილი მორალზე, უზნეობაზე, უწიგნური განსწავლულობაზე, ნაძირალა ღირსებაზე, ბრიფი სიბრძნეზე ლაპარაკობს; გარეწარი ქეთილმობილებაზე, ხოლო ნარკომანი და ლოთი ჯანსაღი ცხოვრების წესზე ღალადებს!
- წლების გამოცდილებამ დამარწმუნა: სამწუხაროდ, ქართველს ავის კეთება უფრო ხელეწილება.
- ქართველები, ვფიქრობ, კიდევ უფრო შერიანები გავხდით.

— დრო ყველაფრის მქურნალი როდია, იმჯდა საუკეთესო
მქურნალი.

- გემოვნებაზე ყველაზე მეტად დავობენ.
- მუდმივ საკუთრებად არაფერი გვეძლევა.
- უზომო სიცრთხილე გაუმართლებელია.
- ცხოვრებამ მასწავლა: ზედმეტი გულახდილობა დამ-
ღუპველი გულუბრუყილობაა.
- დროთა განმავლობაში გემოვნება გვიცლება — იხ-
ვიწება ან უსახურდება.
- სამეცნ პარტნიორებთან გძელებიანი ურთიერთობა
მომებიანია.
- ადამიანი, რომელიც საყვარელ საქმეს აქვთებს, ბენ-
იერია.
- ადამიანის წარმატება თავბრუს ახვევს და რეალობის
გრძნობას უკარგავს.
- ოპტიმისტი უფრო კანმრთვლად და ბეჭნიურად გრძნობს
თავს, ვიდრე პესმისტი.
- ოპტიმიზმი სიცოცხლეს ახანგრძლივებს.
- ადამიანი დღენიდადაც უნდა იმაღლებდეს ფიზიკურ, ჭა-
მის, თქვენ წარმოიდგინეთ, სმის კულტურასაც!
- ღვინო ყველას როდი დაედლევინება. ღვინით ტკბობას
მისი სიუაქიშის შეგრძნების კულტურა სჭირდება.
- მოერალი ქალი ამაზრზენია.
- ღვინო საკრალური სასმელია. მისი დაულიცელად
შესმა მოტევებელი მქრებელობაა.
- ადამიანის მთავარი დასაყრდენი ოჯახია.
- თუ კაცი ოჯახის წინაშე პასუხისმგებლობას ვერ
გრძნობს, იგი ვერც ქვეყნის სამსახურს გაართმევს თავს.
- ასაქში შესულ მეუღლებს გაცილებით უფრო მეტად
სჭირდებათ ერთმანეთი.
- ასაქში შესულს მეუღლისადმი სიყვარული გიძლიერდე-

- ბა. ის ემსგავსება ახალგაზრდობის დროინდელ გატაცებას.
- მამაკაცს მეუღლებ ზოგჯერ განმარტოების საშექმნებლისა უწდა მისცეს.
 - ქალბატონებო;
 - ნუ დაუშლით თქვენს მეუღლეებს მეცობრებთან ურთიერთობას!
 - ჰატიფისცემით მოექადეთ მათ სამსახურებრივ საქმიანობას.
 - ავრინობინეთ, რომ ისინი ავტორიტეტები არიან თქვენთვის.
 - ნუ გააქილიერო მეუღლეს საზოგადოებაში, მეცობრებისა და ნათესავების თანდასწრებით.
 - ნურასოდეს დამცირებოთ მის შშობლებს — ეს მისთვის განსაკუთრებით მტკიცნეულია.
 - თუ ცოლი ზრდასრული ქმრის „აღზრდას“ შეცდება, პასუხად მხოლოდ აერესის მიღების.
 - ქალს მამაკაცის ფურადლება მუდამ სიამოვნებს, თუმცა ცდილობს, ეს არ გააძლიეროს.
 - ქალებს ფურადლებიანი და ძლიერი მამაკაცები უყვართ.
 - ქალისათვის უნიათო მეუღლე კოჯორთვა.
 - ქალებს, რომელთაც ჰყავს ძალლები, მინდა ვკითხო: როგორც თქვენ უვლით ძალლებს — ახეირნებთ ბუნებაში, სულთა პარზე, კებავთ, ბანთ, ვარუბნით, ეთამაშებით, ვაღერსებით — ასე თქვენს მეუღლეებს რომ ექცეოდეთ, როგორ ფიქრობთ, ხომ გაცილებით მეტს მოიგებდით? ასიამოვნეთ ქმრები, აღარ უყოლებათ საყვარლები.
 - ახალგაზრდების უმრავლესობა ნარცისიშმითაა ავად: ქრიტიკას ვერ ვუუბა, თვითკრიტიკას კი არ ცნობს; ვერც საკუთარ შეცდომებზე სწავლობს, ვერც — სხვისაზე.
 - რაც უფრო ნაქლებია განუხორციელებელი ოცნება, მით უფრო ბედნიერი ხარ.
 - შეცდებს უყვარნარ; მოგვიანებით მათი განსჯის საგანი ხდები. ბოლოს — ეცდები, დაღლილი ამ სამყაროთი და გარემოცვით.



- ტქბილი სიბერე, სამწუხაროდ, იღუზიაა.
- შვილებო, გაუფრთხილდით მშობლებს. ყველაზე ხმილებულია ად მათ გულს ჩვენ ვტკინთ — შვილები. ეს უმძიმესი ცოდვაა, რომელსაც ხშირად ისე ჩავდივართ, ვერც კი ვაცნობიერებთ.
- როცა ასაკში შედიხარ, შვილების მხრივ უფრო მეტი სითბოსა და ყურადღების მოთხოვნილება გიჩნდება.
- უსაზღვრო პატივისცემით ვიმსჭვალები იმ ადამიანებების მიმართ, რომელმაც ღირსეული შვილები აღუზარდა სამშობლოს.
- ვფიქრობ, მე ჩემი შვილებისთვის მეხამრიდი ვარ.
- კარგი შვილები ღვთის წყალობაა.
- შვილიშვილი სიბერის სიტყბოებაა.
- სიბერეზე ახალგაზრდობაში უნდა იფიქრო, თუმცა, ამ ჰეშმარიტებამდე მხოლოდ სიბერეში მიღიხარ.
- ვიდრე შეგიძლია ბავშვიერი აღფრთოვანება, მხცოვანი არ გეოქმის.
- ხანდაზმული არა ხარ, სანამ გაინტერესებს, გიხარია და გსიამოვნებს სახოგადოებაში ყოფნა.
- უნდა ეცადო, დაბერდე ახალგაზრდად და ღირსეულად. ლამაზი სიბერეც შშვენიერია.
- მთავარია, იცხოვრო ისე, ბოლოს არ ინანო...

პრეზიდენტის

თავდაპირველადვე, როდესაც ამ წიგნის იდეა გამოჩენდაში მოხარული იყო, განვიწროა ის დაუკიტარი პიროვნებები წარმომესახა, ვისთან ერთადაც გავატარე ჩემი ყმაწერლებაცობა, განველიე სკოლის, ინსტიტუტისა და აკადემიის წლები... ვისთანაც ვმეგობრობდი, ვმეზობლობდი და ვშრომობდი... ვისთანაც ნათესაობა და მოყვრობა მარგენა უფალმა...

ვცდილობდი თითოეული მათგანი მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თვისებებით ყოფილიყო აღმეჭდილი...

ვუიქრობ, ჩანაუიქროცა და მისი განხორციელებაც სრულ თანხვედრაშია...

საერთო კუთხივანწყობის სულისკვეთებით გაჯერუებული ამ წიგნის ავტორი, მიტევებას ვთხოვ აქ წარმოდგენილ იმ პერსონალიებს, რომელთა სახეები არც თუ პოზიტიურ შტრიხებში არიან წარმოისახულინა...

ამ შემთხვევებშიც მე ვეცალე ყოფილიყავი ბოლომდე გულწრფელი და ობიექტიური...

ნედა ვჩქარობდი და საბოლოო ჯამში გამოვიდა ის, რაც გამოვიდა!

ურთელესი საუკუნის ერთი ადამიანის მეხსიერებაში არეკლილი ცხოვრების შუქ-ჩრდილებით მოხატული ქრონიკა ამ წიგნის ლაიტმოტივი... მისი არსიცა და მიზანიც...

სხვა, რაღაც განსაკუთრებულობის პრეტენზია მას არ გააჩნია...

თოცომაციანე


ქართველი მწერლების განახლების დღის დასკვის



ლევა,
თამარი ქალაშიძე



Քամուսեան



Քամուս գամուցման մականում Քամուսի մատուցած



მარინა შევიძე — ჭაბუას ყოფილი მეცნიერებელი



უწმინდესობან და რეზო ამაშუკელთან



სანდრო განდევაკონ. 1954 წელი მცხეთა.
რამაზ მაყაშვილი, ოთარ მათეშვილი, ლევან აბულაძე, ნინო სუმატაშვილი,
ომარ გაჭარავა, მინანა ლომაძე, ლალი სანგლიოძე, ნუვზარ ლოლიძე,
ომარ მარგვალაშვილი



მომავალი შეტყობინები



გიორგი ქარავაშვილი მაღნეულაში.
ზურაბ პატარიძე, ნოდარ მებარისიაშვილი, მოსა ბუხრაშვილი, ომარ კუნაძე,
არაკლი გოგიატიძე, ვანტანგ მანარაძე, ომარ მარგველაშვილი



ნოდარ მექმარიაშეიღულან



თერთ ქედიშეიღული, ობარ მარგველაშეიღული, ნოდარ მექმარიაშეიღული,
კლიმბარ მინდელი



ოთარი ლომაშვილთან



დედა სტერე, ოთარ ლომაშვილი მეუღლებთან ერთად,
ჩემთან იჯახში



მაშინდედაც საქართველოს წელმხრეებისა დამარ გვერდწოთელის ქარტიის მიზნით დაიმტკიცია ქართველი მეცნიერებები, პაკეტ გადაშეიძლო, თერნგაზ მეცნიერებებით, ხელიყო საბერძნებლი, გურამ გამჭვინა, ბორჯის ნიკოლას



სალომე შეურაბიშვილთან



ՀՀՀՀՀ Արմամազուսան




ՀՀՀՀՀ Հայոց և պատմական գործածեստան շրջան



უწმინდესთან



სტერლად უწმინდესთან და უნტარესთან



ეროვნული
გიგანტისთვის

ალექსანდრე ქობაზიძესთან



ლევადის სასაფლაოსთან



ჭავჭავა ჩოლოფაშვილის საფლავთან, ლევილში



ნიკე ჭორბაძის საფლავთან, ლევილში



Ցյուրալյաններն ըրտաց գրչութեալումն Հյուրօն մանկակույրին
մոռա Ռյուստավունին պարզության դրսեսկանան



Հյուրօն մանկակույրին Ռմաննեա օղակ մարտկունք նախան.
Ռայք ծալուա (Ռայք ծալուաթշշան)



Իշրայիլի մայորաթուած Շեքիզա Հայությոնիշվիլուած



Եսրայէլու Քիւրօնիմու մանուկիրո - Հովհաննէս Մաթե Հաբայո



ომარ მარგველაშვილი, ნიკოლოზ წერებულევა, სამუხლ პარსი,
არაკელი აჩარიაძე, გიგა ბათიაშვილი



გურიაშ მინისტრანაშვილთან და სამუხლ პარსითან ურთად



Архангельск. 20-летие образования Архангельской области. 1987 г. Юбилейная выставка



Հայուն
Ըստամելուն



Վահագիռամ Աղքամբե, Հրոցա Տառեամելուն Մյուլունուտ, Բյումուն Ռայաթին



მანანა ჯიბლაძე, კომის წოდოვამე და მურაზ ჯაფარიძე ჩემთან ღვაწლი



თენესტოს ქონლერინცუაზე. პარიზი, 1988 წელი



ԱՌՋԻԾԱՆ ՀԵՂԻՆՔՆԵՐԸ: ԽԱՎՐԱԿՅՈՒՐ, ՇԱՃԱԲՈՒՐ, ՇԱԽԱՏ ԲԵՐԴՔԵՄԻԱ, ՌԱՄԱՆ ՄԵԽԵԳՅ և
ՌԱՄԻՆ ՄԱՐԴՈՉՅԱՆՆԵՐԸ



ՄԱՆՈՒՍՅԱՆ ԸՆԴՀԱՆՈՒՐ ՌԵՄԱՆ ՌԵՄԱՆ ՀԵՂԻՆՔՆԵՐԸ ԱՌՋԻԾԱՆ ՄԵԽԵԳՅ



პარიზი - მონმესარტის უკული ქურიასთან



თბილი ქორდანა, გვერდი გორგოშიძე, ომარ მარველაშვილი
აკადემიაში უცხოელ მსმენელებთან ერთად



სოსო ნარატივებისთვის ნიუ-იორქში



კანსერ ჩარგვანთან



ღირსების თანდენით დაჯილდოვებისას



კვერცხ წარადგისთან და კუმალ ნაქაშიძესთან



ალმა-ატაში, კონფერენციაზე, 1991 წელი



თანახელის პრეზიდუნტი ნაშარბაევი,
რუსეთის პრეზიდ-მინისტრი სილაევი, ალმა-ატას კონფერენციაზე



ଫୋଟୋଫିଲେବ୍ସ ଦ୍ୱାରା



ბერა



Տցեանտան լուսաց



Ֆըլանտան յոհան



გამა ღა შეუძლი



Հայության կողման լուսաց





Բյութ ռազմական



ՇԱՀՆԱՎԱՐ ՇԱՀՆԱՎԱՐ

სპეციალური

წინათქმა.....	
ჩეკ – ოშის თაობა	6
გაღაყტილი და ნესტორას ჯიხური.....	10
ჭაბუკა.....	15
ნაშროვი მაშვლობა.....	19
გაზე „თბილისის“ ანდამატი	23
სანდრო კანდელაკი	25
რეგის ლალიძე – კულინარი	27
ოპ. ეს მოუსვენარი, შეოთიანი ახალგაზრდობა!.....	30
მე, მოვარე და ღამეული ქალი	32
რუსი-მეგრული	35
ნაზ დასამიძე და გრანტიკა.....	38
სპორტის სასახლის პერიპეტიები	41
ინტელიგენტი-ლიტი	45
საშა ახვლევიანი	47
გერმანული „ოდისეადა“	50
პიქანტური ისტორიები	54
ნოსტალგია	57
მოულოდნელი შეხვედრები... კანცლერებთან	58
ვერმახტის გენერლის აღსარება	60
მეგობრული ნობათი	68
სიმონიკა სხირტლაძე	75
მაღნეულის ეპოპეა	79
როცა ასეთი სიყვარულია	91
ნადირობის ხიბლი და ზნეობა	94
„შეიქმულება“ ტრესტის წინააღმდეგ	99
გენადი ჭოლაბინის კომპრიმისი.....	110
„В конце концов, когда же вы будете работать?“	115
მოსკოვის სასტუმრო	121
თანადვობა	128
დაწინაურება	130
მართვის წარმატებული სისტემა	134
ე.წ. მამათშავალი	140



მოსკოვერი პერიპეტია	142
ციმბირის მწარე გაყვეთილები	146
ციმბირული ქურიოზი	152
როის გვირჩი	154
მოულოდნელი ზარი კრემლიდან	158
ბაიკალი — მსოფლიო საოცრება	161
ერთ სუფრაზე ორჯერ ნაცემი მინისტრი	162
ეჩმიაძინი	167
ვივა აკადემია	171
შეთა ჭანულებაძე	181
ვარსკვლავთცვენა „ზვიონდნიში“	183
სახელმწიფოები — სახელმწიფოში	184
მე — შოსტაკოვიჩის დაუპატიჟებელი სტემარი	187
ფრუნზეს სანაპიროს სიურპრიზი	189
აგარაკების გამო დასჯილი	195
ეთიოპელი ქართველი	199
პერედელი კინი	203
სტუმრად პანკისელ ქისტებთან	207
უარი... სახელმწიფო პრემიას	209
ირაკლი ალაშიძე	214
წაუქითხავი წიგნი	218
არაჩვეულებრივი ადამიანები	220
დაუკინწყარო მოვონება	223
გალეშილი Дед Мороз-ი და Снегурочка	224
„აჭარის ლომი“	228
ქართველი ვარი	232
«Сталинские кадры»	234
მოვონება ცრემლიანი დასასრულით	243
დიძიტრი ქართველიშვილი	246
ვალერიან ვადაჭვირია	250
მეღამატორიალ ვერ გამოვდექი	253
ჩერხობილიდან სლავუტიჩამდე	256
სომხეთის ტრაგედია	261
შეხვედრები ბორის ელცინთან	269



შერალი ქანონი.....	275
საქმის შესანიშნავი მცოდნე.....	277
«Не место красит человека, а человек – место...»	279
იმპერიის ნგრევის მსხვერმლი – ბორის აღლება.....	286
ფოთელი პოლიგლოტი.....	293
არშექტდგარი პაქმანი	297
ქართული ეკლესიის ღირსეული საჭიროებელი.....	302
არიყე შარიშვილის აღუსრულებელი თხოვნა	310
ჩაშლილი ვაზიტი	315
რბილი ასვალტი.....	316
МГУ-ს პირველი პროფექტორის სტუმრობა	321
მე და მიქაელ არამანცი	326
ციმბირის განსაციფრებელი თოვლი	327
ბეისბოლისტი-მინისტრი	330
უარი, რომელმაც ყველა გააოცა	336
უარი სადოქტოროს	341
სევდანარევი მოგონებანი	344
ორი თენგიზი.....	348
ღრივისა და პიროვნების შუქწრდილები	352
ჩენი ღრივის გმირები	362
ნურსულთან ნაშარბაევის გონივრული ინიციატივა	365
აფხაზეთში ისინი ქართულ პოზიციაზე იდგნენ	368
ჯაბა იოსელიანი	371
ბანქეტი და... აკადემიის პრეზიდენტი	374
შემთხვევა მთავრობის სხდომაზე	379
უქნევის ტბის სანაპიროზე	382
სალაში ჯეომს კუპს	383
გია დანელია	387
ქალური საონოების მაგალითი	389
გადასახლება ყარაყუშში	391
ჩემი ღვახი	399
ცხოვრებას აღევნებული ფიქრები	402
ბოლოთქმა	409
ფოტომატიანე	411

„დრო, დრო აღნიშნე“...



საგამომცემლო სახლი „მნიშვნელობა“
დირექტორი — ზაურ ნაჭელიძე

ტექნიკური რედაქტორი: ინგა ნაეროზაშვილი

ქომპიუტერული უზრუნველყოფა: სოფო ქილიფარი
ნონა ჯლარჯავა

კორექტორები: გვანცა შანავა, ქეთინო წახნაკია

F98·663

3

